114
1962/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველთაგი

4

1962

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე № 4 აპრილი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8797

შინაარსი

ლადო მრელაშვილი — ყაბახი. რომანი 3
ალიო მირცხულავა — მერცხლები. ლექსი 23
ალე ბობოხიძე — სიცოცხლის დაბადება. ლექსი 25
გიორგი შატბერაშვილი — თოვლში... შავი მოკასინებით. მოთხრობა 26
გიორგი კაჭახიძე — ყოველ ამინდში გავზაფხულდები. ლექსი 37
თენგიზ გოგოლაძე — ნიაღვარი. რომანი. გაგრძელება 38
ოთარ ჭილაძე — იტალიური რვეული. ლექსი 68
მიხეილ ქვლივიძე — პური და იარაღი. მოთხრობა 72
სანდრო შანშიაშვილი — აქლემის კუზი და მეხოტბე მამლაყინწა. იგავი 76
მიხეილ ლოხვიცკი — ზეგნელი ქალიშვილი. მოთხრობა. თარგმანი გურამ ბუხნიკაშვილისა 77
ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები 97

ნარკვევი

ილია დუბინსკი — ლენინის უახლოესი ამხანაგთაგანი 98

1812 ა. ი. გერცენი 1962

ანწკირველი — დიდი რუსი მოაზროვნე 105
ბაკაძე — გერცენი და საქართველო 112

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ოაკლი კენჭოშვილი — გიორგი ნატროშვილის კრიტიკული წერილები 120
ეთერ შუშანია — კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ . . . 129

(იხ. მე-2 გვ.)

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“

საბ. ... საბ. ... საბ. ... საბ. ... საქართველოს პუბლიკური ბიბლიოთეკა

მანანა კაკაბაძე — დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა 136
ალ. სანადირაძე — არნო ონელი—საბავშვო პოეტი 144

მეცნიერების სამყაროში

ევგენი ხარაძე — კოსმოსის დაპყრობა 149
ლ. ხუბულური — „სეზამ, გააღე კარი!“ 160
შალვა ნუცუბიძე — მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურის საკითხები თანამედროვე მეცნიერებაში 163

წარსულიდან

ნ. კევლიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილი და სანდრო ახმეტელი 175
იპოლიტე ვართაგავა — ილია, ვაჟა, გიგა ყიფშიძე. გაგრძელება 177

წიგნების მიმოხილვა

გივი ლომიძე — ახალგაზრდა მკვლევარის წიგნი პლეხანოვის ესთეტიკაზე 183
ვლადიმერ ჯიბუტი — მურმან ლებანიძის ლექსები 185
ვლადიმერ ზამბახიძე — მოთხრობები ბავშვებსა და ბუნებაზე 187
ლადო სულაბერიძე — „დაუმთავრებელი ბალადა“ 190
ახალი წიგნები 192

რედაქტორი: **გრიგოლ აბაშიძე**

პ/მგ. მდივანი: **ვ. წულუკიძე**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-62 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02485 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 687.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო მრეღაშვილი

ყაგახი

რომანი

წიგნი პირველი

თავი პირველი

სამი ხმლით ჩაიარა ავაზაშვილმა. ორთავ მხრივ ჩაკაფა მწკრივად ჩასმულ ხის ბოძებში ჩაჭედილი წკეპლები, მისწვდა ჩანგალზე დაკიდებულ რგოლს, ჰაერში გააფრინა, სადგამზე დასმულ თიხის თოჯინას თავი ნესვივით წააჭრა და ბოლოში შემოაბრუნა ცხენი.

სტადიონი ხალხის ღრიანცელმა დაფარა. ტაშის ხმა პატარა კახის ციხის ბებერ გალავანს მიაწყდა, მერე თავქვე დაეშვა და ალაზნის ველზე გაიშალა.

მოყელყელაობდა შემობრუნებული თეთრონი და ზურგს არც კი არხევდა გოგმანში.

მხედარი უნაგირზე შემდგარიყო და მაღლა აწეული მარჯვენით სალამს აძლევდა ატორტმანებულ მოედანს.

რუსუდანმა ძლივს მოსწყვიტა თვალი მხედარს და უკანასკნელი რიგის სიმაღლიდან მიმოიხედა ირგვლივ.

ქუხდა და ზანზარებდა სტადიონი. მარჯვნივ ქუჩები გაჭედილიყო ხალხით, რომელსაც ვერ მოეხერხებია შიგ შესვლა. მარცხენა მხრიდან მიკრულ ბაღში ხეები დაეხუნძლათ მოზარდებს. ფიცრის მესერი, რომელიც სტადიონისაგან ბაღს ჰყოფდა, ირყეოდა და ქანაობდა ზედ აბღოტებულებით. ახლო მდგომ სახლთა აივნებზე გამოფენილიყვნენ სახლის პატრონები და მეზობლები, ხოლო სახურავები ბავშვებს დაეფარათ.

ფრთხვინავდნენ ცხენები.

კიოდნენ მხედრები.

ჩახუნობდნენ ხმლები.

იდრიკებოდნენ მშვილდები და ამ საერთო ხმაურსა და ღრიანცელში მაყურებელიც თანდათან საბრძოლო ჟინზე მოდიოდა.

ერთ მხარეს დამდგარიყვნენ თეთრწყლებიდან და ვერონადან, სეროდნიდან და ბაკანადან, ქორუბნიდან და ახმეტის თავიდან პატარა, კუდგამოკვანძული, დაბალი და გამძლე მთიულური ცხენებით მოსული ხევსურები. ბრჭყვინავდნენ ნაირფერი მძივ-ღინჭილებით მორთული ჯვრიანი პერანგები და ლამაზმიბებიანი საცვეთები. წერწეტა ტანზე ირხეოდნენ დავითფერულები და გველისპირულები, გორდა და ფრანგული. მხარიღლივ ეკიდათ გუნიბსა და ბოთლიხში ნაჭედი ფარები.

ამაყად იმზირებოდნენ გოგოჭურები და არაბულები, ჭინჭარაულები და ლიქოკელები, ქეთელაურები და ნაროზაულნი. მათ ეს არი, მოათავეს ცივის კლდე-ღრეზე ხევსურული დოღი და ახლა თამაშას საყურებლად ერთიმეორის ზურგს იქიდან იცქირებოდნენ.

აგრე სჩვევიათ ხევსურებს: გაშლილ მინდორზედაც არ დაეწყობიან მხარდამხარ, უეჭველად, ერთი მეორის უკან უნდა იყოს, რადგან დედა-ბუნებას აგრე უანდერძებია. — ვიწრო საცალფეხო ბილიკზე ორი კაცი ერთად ვერ გაივლის, მაშასადამე, ერთი წინ მიდის და მეორე უკან მიჰყვება.

მთიელებიდან ცხენოსნობაში ტოლი არა ჰყავთ ხევსურებს.

ხედავ, მოდის ქუდგვერდზე მოგდებული, „ჭრელწინდაიანი“ ცხენოსანი ხევსური, მოდის და მოიმღერის თამამი და უშიშარი, ხოლო შეხედავ კლდეებს, მისი ცხენის ნაფლოქვარს და თმა ყალყზე _ დაგიდგება. შემოგანათებს თვალუწვდენი და პიტალო რუხი ქვის თვალებით. ხევსური კი მოაჯირითებს და მოიმღერის:

„ჭრელ წინდან გადმამილოცა,
არ მიყვარს შიბაიანი“.

სახტომ ორმოს გვერდით დამდგარან ზემო და ქვემო ალვანელი, ჩაღმა და წოვა თუშები. ბორბალოდან და გომეწრის ხეობიდან ჩამოსულ მწყემსებს თექები გაუხდიათ და სადავეებით ძლივს იჭერენ აბორგებულ თუშურ ულაყებს. ნიადაგ იალაღებსა და დღედაღამ კლდე-ღრეზე ხეტიალით ფეხის ორთავა კუნთები ისე განვითარებიათ, რომ ვიწრო გალიფეში აღარ ეტევათ. განიერ ბეჭებზე შავი, ვერცხლის ყაწიმებიანი ჩოხები ასკდებათ და თუშური ქუდები დაუდევრად მოუქცევიათ გვერდზე.

პანკისის ხეობა დაუტოვებიათ ქისტებს და ჯოყოლასა და დუისის ველებზე გაზრდილებს ომალოელებიც წამოუყვანიათ. აჭიხვინებულ ყაბარდოელებს იურვეზენ და ტანაშოლტილნი და არწივის ცხვირიანები ქერაწარბებქვევიდან ქორებივით ზვერავენ მოედანს.

ლაფანყურელი ფშავლები თელაველებს შეერთებიან, ხოლო დანარჩენი ადგილი, ვიდრე საჭიდაომდე, ყვარლისა, გურჯაანისა და ახმეტის რაიონებს დაუკავებიათ.

ყარაჯალიდან ამოსულ თათრებს კიტრი და პამიდორი გოდრებითა და ხურჯინებით, ალბათ, ბაზარში მიუტოვებიათ პატარა გოგოების ამარა და ისინიც განიერ ჭიშკარს აწყდებიან სტადიონზე ცხვირის შესაყოფად.

სტადიონი კი გუგუნებს და ზანზარებს. გმინავს და კივის. აქეზებს მარჯვეებს და დამცინავი ყიჟინით აცილებს მოედნიდან ხელმოცარულებს.

— უშნოო!

— უგერგილო!

— გამამბალო!

— შენ ხმალი კი არა, „სალფეტკი“ უნდა გეჭიროს!

— დაიკარგე მოედნიდან, ჩერჩეტო!

და შერცხვენილი ბიჭი თავჩაქინდრული, მოწყვეტილი ფეხების თრევით იმალება თავისიანებში.

ამაყად დაალაჯებენ თავიანთი გუნდების წინ გამარჯვებულნი და მალიმალ ისვამენ ნაცად მარჯვენას შეღინღლულსა და ჭაღარაშერეულ ულვაშიან ზედა ტუჩზე.

გუგუნებს და ზანზარებს სტადიონი.

ირხევიან ჭილის ქუდები და კეპები, ათასფერი ხელმანდილები და ცხვირსახოცები.

ხარხარებენ მამაკაცები და კისკისებენ ქალები.

ცივი ხმით წივიან პატარა ბიჭები და გოგოები.

და ამ საერთო ღრიანცელში იდება სანაძლეო ანთებული თვალებით, ირჩევენ რესტორან-სასადილოს საპურმარილოდ. ხითხითებენ მოგებულები, იფურთხებიან წაგებულები და შიგადაშიგ სამსართულიანსაც ურევენ. მსჯელობენ ცხენკეთილობაზე და ხმალთა სიმკვეთრეზე, მიზანში მორტყმულ და აცდენილ ისინდზე. ცეცხლს იკიდებენ და სხვასაც უკიდებენ.

და ამ საერთო ორომტრიალში, როდესაც შუა იარუსი აიჯაგრა და შიგადაშიგ მუშტმაც გაიელვა, ვიღაც წამოდგა და ხალხის შვიდპირი ტალღა გაარღვია.

ძლიერმა ხელმა მოჩხუბარნი თავთავის ადგილზე მიალურსმნა და აიძულა პირი მოედნისაკენ მიებრუნებინათ.

ასპარეზმა თითქმის ერთი კაციერთ თანაგრძნობის გმინვა ამოუშვა.

აქა-იქ გაისმა ტაშის ცემაც.

მოედნიდან გადიოდნენ გურჯაანელებისაგან ცხენბურთში დამარცხებული თელაველები.

თვალი ააყოლა რუსუდანმა ფეხზე ამდგარ შუბლმოღრუბლულ მეზობელს და დანანებით წაილაპარაკა:

— დამარცხებულ გუნდში ორი ჭალისპირელიც ურევია.

ფეხზე ამდგარს არც კი მოუხედავს.

— მშიერმა მგელმა შეგჭამოთ, ნაცარქექიებო... ფუჰ, თქვენს ახალგაზრდობას რა ვუთხრა!

რუსუდანი უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა.

— იქნებ, არჩილმა გვიხსნას სირცხვილისაგან? მშვილდს ყოველთვის კარგად ხმარობდა.

განაწყენებული მეზობელი ისევ დაჯდა და გადაპარსულ თავზე ცხვირსახოცი გადაისვა.

— ვირები შევსხი ზედ, ვირები. სანამ ისინი მოიფიქრებდნენ, ცხენი საით მიებრუნებინათ, გურჯაანელებს ბურთი კართან ჰქონდათ მიტანილი.

— ბიჭებისა რა ბრალია, ძია ნიკო? — ფრთხილად იკითხა ქალმა.

— მაშ ვინ ეშმაკების ბრალია? ჩოგანს საცეცხლურივით იქნევენ...

მოედანმა კისერი დაძგიბა და ისევ აყიყინდა ოხვრითა და ბოღმით, რადგან ათკილომეტრიანი დოღი დაიწყო და ᲨᲘᲚᲓᲘᲡ შავმა ფაშატმა გაასწრო აკურის ჩალისფერ ულაყს. ყველა თვალებად იქცა და მუხლის თავებზე ხელებდაყრდნობილი გასცქეროდა მარულას.

ცხენთა კისრებზე გაწოლილიყვნენ პატარა, წითელჩოხიანი მხედრები ღა ყურში საალერსო სიტყვების ფუჩუნით აქეზებდნენ ქარივით გაფრენილებს.

მეექვსე კილომეტრზე კვლავ დაწინაურდა ჩალისფერი ულაყი და მაყურებლებს აღფრთოვანებული შეძახილები მოსწყვიტა გულიდან.

— ეგრე, გენაცვალე!

— უჰ, შენი ჭირიმე!

— მიდი, ჩალისფერო!

— ცოტაც და შენია.

— დასცხე ყვარლელებს.

— გურჯაანელებსაც.

— ახმეტელებსაც.

— მიდი,ჩალისფერო!

მაგრამ ჩალისფერს ველოსიპედური იაბო ამოუდგა გვერდში და თელაველებს ხალისი წაუხდინა.

ახლა კი გაიტვრინა მოედანი და ისევ დაიძაბა.

აქა-იქ გაისმა წამაქეზებელი შეძახილებიც, მაგრამ უცებ სტადიონი შეაზანზარა ხარხარმა და რუსუდანის ყურადღება დაწინაურებული იაბოს ნაცვლად უკან ჩამორჩენილმა მიიქცია.

ეტყობოდა, პატრონს არავისთვის დაენებებინა ეს პატარა ცხენი და თითონ გადამჯდარიყო ზედ ვეება, სიმსუქნისაგან შეწუხებული ახმახი. საბრალო ცხენს ზურგი და მუცელი ისე ჩაედრიკა სიმძიმისაგან, რომ გეგონებოდათ, ეგ არის წელში გაწყდებაო, მაგრამ არა ჩერდებოდა და მაინც მისდევდა გაქცეულებს. მხედარი თითქმის მიწაზე მიათრევდა უზანგიდან გამოყოფილ ფეხებს და უმოწყალოდ უკაპუნებდა ქუსლებსა და მათრახს.

უეცრად საიდანღაც გამოტყვრა გულშემატკივარი და გაფარჩხული ხელებითა და საშინელი კივილით გამოუხტა საცოდავ ცხენს წასაქეზებლად.

ახლა კი კარგა მაგრად იუცხოვა ეს მოულოდნელობა ცალკე ხალხის ყიყინისაგან შეშფოთებულმა ცხენმა და ᲡᲐᲠᲑᲔᲜᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲓᲐᲜ გადაუხვია.

აგუგუნდა მოედანი.

დამფრთხალი ფაშატი შუა სტადიონისაკენ გაიჭრა.

კიდევ უფრო მაგრად დასცეს ყიყინა და გადარეულმა ცხენმა სტადიონიც გადარია.

დაბნეულმა და მოუქნელმა მხედარმა გადმოხტომა იუკადრისა, თუ ვერ მოახერხა და სადაველა მოქაჩა მაგრად.

კისერმოღრეჯილი ცხენი მაინც არ შედგა და გაქანებული დაეჯახა წყლით სავსე განიერ და ღრმა თხრილის წინ ამართულ დაბრკოლებას.

წაიქცა საბრალო ცხენი და ყირაზე გადასული მხედარი წყლით სავსე ორმოში გაუჩინარდა.

ახლა კი გაგიჟდა სტადიონი.

როხროხობდნენ მამაკაცები.

სიცილისაგან წამოსულ ცრემლებში ცხვირსახოცებს ალბობდნენ ქალები.

უნიათოდ ქანაობდნენ არაქათგამოცლილი ბებრები.

წიოდნენ გოგო-ბიჭები და ორივე ხელით ძლივს ეჭირათ ფერდები ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

და როცა ლაზარესავით გალუმპულ-გაზუნზლული, მღვრიე წყალნაყლაპი მოჯირითე ძლივს ამობობღდა ორმოდან, უკვე აღარავის აღარა ჰქონდა სიცილის თავი.

ამასობაში ქვემო ალვნის „ზღვის ქაფი“ გავარდა წინ და თვალებად ქცეულ ჩალისფერს თოვლივით თეთრი გავა აუნთო ცხვირთან.

დოღი დასასრულს უახლოვდებოდა.

ხითხითებდნენ ახმეტელები.

იღუშებოდნენ გურჯაანელები და ყვარლელები.

ხოლო თელაველები, ბუზღუნის შემდეგ, კინაღამ მუშტზე გადავიდნენ.

და მოხდა მოულოდნელი: ალბათ, კარგი მხედრისა და ძლიერი ფეხების წყალობით ჩალისფერმა მთელი კისრით გაასწრო თეთრ ცხენს და პირველი მიიჭრა ფინიშთან.

ატყდა ყვირილი და ტაშისცემა.

ჰაერში აცვივდნენ ქუდები.

ჭექითა და გრგვინვით დაეცა ბაღის გადალეწილი მესერი და სტადიონი ახალახალმა გუნდმა გაავსო.

მოცვივდნენ ასპარეზობის მოწესენი და მილიციელები.

გაიმართა ჯგლეთა და ხელის კვრა.

გამოიწვიეს რაიონის მთელი მილიცია.

მოზღვავებული ხალხი ბაღის მიჯნამდე მივიდა და იქ გაიდგა ფეხი. მათ წინ მკლავი მკლავში გაუყარეს ერთმანეთს წესრიგის მცველებმა და კედელი შეკრეს.

იწყებოდა ყაბახი.

თორმეტი ცხენოსანი დაეწყო მწკრივზე და ანთებული თვალებით მიაჩერდა შუა მოედანზე ჩასმულ, გრძელი ლატანის წვერზე დადებულ ბურთს.

მისცეს ნიშანი.

ჭაღარა მხედარმა მშვილდის საკილოში ჩადო ისარი და გაიგდო ცხენი. ლატანს მიახლოებულმა მოზიდა მშვილდი და შესტყორცნა ისარი. ისარმა შორს გაუარა ბურთს, გააკეთა ირაო და მიწაზე მოადინა ტყაპანი.

თერთმეტმა კაცმა სრულიად ამაოდ სცადა ბედი.

დარჩა ერთადერთი, ვეება ულაყზე მჯდარი ჭაბუკი.

შვიდი ათასი კაცი იმედითა და გულის ფანცქალით შესცქეროდა მოხდენილსა და თმაქოჩორას.

ხოლო ჭაბუკი, უცნაურის მოლოდინით, თუ ხელმოცარვის შიშით გაფითრებული, ძლივს ახერხებდა ცხენის დაურვებას.

ერთ ადგილს სცემდა ტორებს ზერდაგი, ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა და ხალხს ფეთიანივით უყურებდა.

და მოსწყდა ადგილს თვალის დახამხამებაში.

ჭაბუკმა ნიშანს მიახლოებისას უშვა აღვირის ტოტებს ხელი და პაპის პაპისეული უზარმაზარი მშვილდი მოზიდა.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად და ისე ლამაზად მოხდა, რომ ხალხმა ყიჟინა დასცა და ორი თუ სამი ფოტოგრაფი გამოვარდა სურათის გადასაღებად.

ეს კი მოულოდნელი რამ იყო ცხენისათვის. დაინახა თუ არა მან, რომ ვიღაცეები გამოუხტნენ, თანაც ხელების უცნაური პრანჭვა-გრეხით რაღაცეების დამიზნება და ჩხაკა-ჩხუკი ატეხეა, გულგახეთქილმა მოუკურდღლურა.

მხედარმა თავი ვეღარ შეიკავა და მიწაზე მოწყვეტით დაეცა.

ხელიდან გავარდნილი მშვილდი მოლზე გადაყირავდა.

უმიზნოდ აიჭრა ჰაერში ისარი.

თვალებზე ბინდგადაკრული და გაგიჟებული ულაყი უზარმაზარი კამარებით პირდაპირ ხალხზე წავიდა.

შიშისაგან სახედაცრეცილი წინა რიგები აიშალა და უწესრიგოდ და მოურიდებლად მიაწყდა უკანებს.

გაჩნდა ხელისკვრა და ბღაუჭი, სკამე-

ბსა და ერთიმეორის მხრებზე უბოდიშო გადალაჯება, გინება და წივილი.

შუა იარუსიდან იკივლა ქალმა.

ორიოდე გულადმა ძირს დაცემული მხედარი მოიტაცა მოედნიდან.

მოარღვევდა ვიღაც ვეება არეულ ხალხს და ძირს მოიწევდა, მაგრამ დაასწრეს. ვიღაც ორი ნახტომით მისწვდა ცხენს ლაგამში და მძლავრად მოზიდა.

იძალა ცხენმა და დამჭერიც თან გაიყოლია. მაგრამ თვალის დახამხამებაში უნაგირზე მოექცა უცნობი მხედარი და მოედანზე გაენთო ულაყი. ფაფარზე გადაწვა ზედმჯდომი, ვეება და გრძელი მარჯვენა გაიწოდა, ცხვირზე მოავლო და ლონივრად მოსწია. სული შეუგუბდა ნესტოებდახურულ ცხენს და კისერი მოღრიჯა. ახლა უფრო მაგრად მოსწია მხედარმა და კინაღამ კისერი მოამტვრია.

ტარაბუასავით დატრიალდა გადარეული ცხენი.

უნაგირიდან გადახრილმა აღვირის ტოტები აკრიფა და მიუშვა მერე.

სტადიონის თავში გავარდნილი ზერდაგი ლაგამის მძლავრი მოქაჩვით ყალყზე შედგა და უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა. იქიდან შემობრუნდა, ქარივით გადაევლო მოედანს და სანამ ბოლომდე გავიდოდა, უნაგირიდან გადაკიდებულმა მხედარმა ჭაბუკის ხელიდან გავარდნილი მშვილდი და ორიოდე ისარი აკრიფა მიწიდან. ბოლოში ისევ შემოაბრუნა ცხენი და მოედნის თავისკენ გააგელვა. მოსინჯა მშვილდი — საუკეთესო იყო. მაშინ ჩადო საკილოში ისარი და ისე მძლავრად მოსწია ლამბს, რომ კინაღამ გოზაზე მიაკრა.

ჰაერში გაიშხუილა ისარმა და წვერით ლატანის თავზე დადებულ ბურთს ეცა.

ხალხი, რომელიც აქამდე მიმინოჩავლილ ბელურებივით იყო განაბული, ახლა ერთი ყიჟინითა და ტაშის ქუხილით მიეგება მიწიდან ამომძვრალ უცნობ მოჯირითეს:

—უჰ, შენ გენაცვალე, ბიჭო!

— ეგრე გენაცვალე!

— მიდიი! ვინა თქვა, არსენა მოკვდაო?!

— შენი ჭირიმე, ბიჭო!

— ვინ არი კაცო, არ გადაგვრია?!

დგანდგარებდა და ირწეოდა მოედანი.

ხოლო მოჯირითე, მოედნის თავიდან მოტრიალებული, უკანასკნელ ისარს ადებდა მშვილდს.

გრიგალივით წამოსულმა ცხენმა მოშორებით ჩაუარა ლატანს და გაისმა დაჭიმული ლამბის ტყლაშანი.

ძლიერი მარჯვენით გატყორცნილი ისარი ეჯახა ნიშანს და ყარაჯლურ საზამთროსაკით წამოვიდა ძირს ლატანის წვერზე დადებული ბურთი.

შვიდი ათასმა ყელმა აღტაცებით დაიხუვლა.

უქუდო მხედარმა შავი თმები უკან გადაიყარა და გოლიათური ბეჭები გამართა. ნელი გოგმანით საჭიდაოსკენ წაიყვანა უკან კისერგადადრეკილი საფერხე და იქვე, მიწაში ჩასმულ ბოძებზე დაკრულ სავარჯიშო ხეზე გამობა.

ძიგძიგებდა კუნთებათრთოლებული, შეშინებული და მოთვინიერებული ცხენი.

მხედარმა აღტაცებულ მაყურებელთა გალავანი გაიარა, წაქცეულ მესერს გადაალაჯა და ბაღში დაიკარგა.

ფეხზე წამომხტარი და შეშფოთებული ქალი ბრაზისაგან დაღრეჯილ მეზობელს მიუბრუნდა და შეეკითხა:

— რა იქნა, არჩილი, ძია ნიკო?

თავმჯდომარემ არ მიხედა:

— მამაჩემ ლუკასთან წავიდა.

— რამ გაგაჯავრათ ასე, ძია ნიკო?

ახლა კი იკადრა მობრუნება მოსაუბრემ.

— მაშ დასახვრეტები არ არიან ეს ფოტოგრაფები?

— რატომ, ძია ნიკო, რას ერჩი იმ საწყლებს?

— არა, რა ეშმაკად გამოუტყვრნენ, უმაგათოდ აკლდა სიგიჟე იმ ცხენს? ან ვინ დამთხვეულმა შესვა ის პირდაუბანელი ბიჭი ზედ? სამ ვაჟკაცს უჭირდა მისი დაკავება. ფუი, მაგათი რჯული დაიქცა. ერთი შინ მოვიდნენ — სულ

ბოლი უნდა ავადინო!.. არა, ვინ ეშმაკმა შესვა ზედ ეგ ქარაფშუტა, რომელი კოლმეურნე და სტახანოველი ეგა მყავს, წელიწადი-თორმეტი თვე ერთი შრომადღე არ შეაქვს ოჯახში.

— თქვენი ბრალია, ძია ნიკო, რამ მოგაფიქრებინათ უხედნელი ულაყის მოყვანა საჯირითოდ?

— განა იმ ცხვირმოუხოცელისათვის მოვიყვანე, გოგო, — აუწია ხმას თავმჯდომარემ. — ის დამთხვეული რუსი ჯდება ხოლმე ზედ!

— რომელ რუსზე ამბობთ, ძია ნიკო?

— რომელზე და თქვენ მაქსიმეზე.

— მაქსიმზე?

— ჰოდა, ის უნდა მჯდარიყო ზედ. იმის მეტი ვერავინ ეკარება მაგ დაწყევლილს, ახლახან გაუხედნია და საეშმაკოდ ჩამომგვარა მთიდან.

—ალბათ, სთხოვა არჩილმა და იმანაც დაუთმო. მარცხი რომ არ მოსვლოდა, არ ააცდენდა ისარს. მართლა, რა იქნა ის ბიჭი. ხომ არა დაუშავდა რა?

— ალბათ საავადმყოფოში წაიყვანეს. კატის სული უდგა, რა უნდა დამართნოდა? — დაჯექი, სად მიხვალ, შვილო?

— წავალ, დავხედავ, ცუდი არაფერი იყოს. ცოდოა, ბიჭი.

აღარ დაუცადა ასპარეზობის დამთავრებას ქალმა და გასასვლელისაკენ გასწია.

კარებთან გულმა აღარ მოუთმინა და ისევ მოედანს მოუხედა.

სარბიელზე ქვიშისფერ ჯაჭვიანი ხევსურები ფარდაბღუჯულები დაჰქროდნენ და შავ ჩაბალახებზე სცემდნენ ერთმანეთს ლაპლაპა ფრანგულებს. მუზარადების წვეროებზე ჩამოცმული ჰქონდათ თითო ვაშლი და ასპარეზობის წესით, ვინც სხვას მუზარადზევე დაუჩეხდა ამ ვაშლს და თავისას უვნებლად დასტოვებდა სხვისი ხმლისაგან, გამარჯვებული ის იყო.

ჟღრიალებდა ფარი.

წიოდა მუზარადი.

ჩაჩქანზე ეცემოდა მოქნეული ელვა და ვაშლის ნაჭრები აქეთ-იქით იფანტებოდა.

ერთ ხანს თვალი ვერ მოსწყვიტა ამ სანახაობას გარეთ გამსვლელმა, მერე კი ცხენიდან გადმოვარდნილი — გაახსენდა და კარი აჩქარებით გაიარა.

2

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დაგდებულ სატვირთო მანქანის მიჭყლეტილ კაბინას, დალეწილ ძარასა და ცარიელ ჩარჩოს პირქუში სახით ათვალიერებდა ზურგზე ხელებდაწყობილი შუახანს კარგა გადაცილებული კაცი. საშუალოზე მაღალს, ეტყობოდა, დიდი-ხნის მოდებული ჰქონდა სიმსუქნე, რომელსაც მუცელი გაეზარდა და ლოყები მეზურნესავით გაებერა. სქელ წარბებს იქით მიმალულ პატარა და ჭრუტა თვალებში გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა ჩანდა. ოდნავ შეწითლებული ღაწვისთავები და მოკლე ცხვირის დაბერილი ნესტოები ამქვეყნიური, ყოველი სახის ვნებათა ახლო ნაცნობობას მოწმობდა, ხოლო წინ წამოწეული მსუქანი და მსხვილი ტუჩები პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების სიყვარულზე მეტყველებდა. თავზე გახუნებული, თეთრი ტილოს კეპი ეხურა, ტანზე ლურჯზოლებიანი უბრალო ხალათი ემოსა, უბრალო ჩაშვებულ შარვალშივე ჩატანებული. ოდნავ გაღეღილ საყელოდან მკერდზე მოდებული ჭაღარა ბალანი უჩანდა, ხოლო ფეხზე მოძველებული, ყავისფერი ტილოს ტუფლები ეცვა.

კაცმა ირგვლივ შემოუარა გრძელ ჩარჩოს, ძრავასთან მისულმა სანთლებს უჩხიკინა, დაბრეცილ გარდიგარდმო წევებს მიარტყა ფეხი, ირგვლივ მიმოფანტულ თვლებსა და ჭანჭიკებს გადახედა, უცნაურად დაიღრიჯა, ზიზღით გააფურთხა და შემობრუნებულმა პირდაპირ კანტორისაკენ გასწია.

ცაცხვის ძირში შეკრებილმა ხალხმა სალამზე სალმით უპასუხა და უკან მიჰყვა.

მოღუშულმა კაცმა აიარა კიბე, მეორე სართულზე ოთახის კარი შეაღო და ლურჯმაუდგადაფარებულ მაგიდასთან დაჯდა.

ხალხი კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჩამოსხდა.

მაგიდასთან მჯდომმა ქუდი მოიხადა, სათვალე გაიკეთა და რაკი გაზეთში, ალბათ, საყურადღებო ვერაფერი ნახა, გადათვალიერების შემდეგ გვერდზე გადადო. მოიხსნა სათვალე, ორივე ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა და მაუდს ზემოდან დადებულ მინაზე დააწყო, რომლის ქვეშაც ათასგვარი ბეჭდიანი და უბეჭდო ფურცლები და ორიოდე ბროშურა ჩანდა. მან სახის გამომეტყველების შეუცვლელად ჩამოათვალიერა იქ მყოფთა სახეები და იკითხა:

— ბლარცი აქ არი?

— აქა ვარ, ძია ნიკო.

— რას შვრება შენი ბრიგადა, რამდენი ურემი გაქვს მზად?

— ურემი სამი მოვამზადე და მომკელებიც გამოვყავ.

— სამიო?! შენ ოთხი ურემი უნდა გქონოდა.

— უნდა მქონოდა, მაგრამ „ბეღურას“ წუხელ საღამოს ზეწარი და სამი ჭალა გაუტეხნია.

— მერე და, შე დალოცვილიშვილო, მაგაზე მაკლებ ერთ ურემს? ყველაფერი მე უნდა გითხრა და მიგითითო? იქნებ, ფიქრობ, რომ მაგაზე მეტი საქმე არა აქვს თავმჯდომარეს? დღესვე ჩაიტანე ლევანასთან და გაამართვინე?

მკვახე ნათქვამმა ბრიგადირი შეშმუშნა.

— მასალა რომ არა მაქვს, ძია ნიკო?

თავმჯდომარემ შუბლის ნაოჭი გაიღრმავა.

— მასალა არა გაქვს? — და ხმას აუწია. — იმას რა მასალა უნდა, ბიჭო? წადი ახლავე და გომურთან ნაყარი კაკებიდან გამოარჩიე და, თუ საზეწრე ვერ იშოვო, სათივეს ერთი სარი მოაძრე და ის წაიღე! ხვალ დილით ოთხი ურემი უნდა დამახვედრო მინდორში.

ილო კარებისაკენ გაემართა.

— დაიცა! — კარებში მიუსწრო თავმჯდომარის ხმამ, — რამდენი მომკელი გყავს?

— ათი მომკელი და ხუთი მეძნეური.

— ორი მომკელი და ერთი მეძნეური კიდევ დაუმატე. „წარაფები“-კარგა დიდი მიწაა. ძნას სად დააწყობ?

— მიქიას თელებთან.

— შორს არ იქნება?

— იმაზე კარგი საჩრდილობელი ახლო არაფერია.

— კარგი, წადი და რაც გითხარი, გააკეთე. საჭალე ხეს ორი კავი ეყოფა. დარაჯს უთხარ ჩემ მაგიერ და მოგცემს.

ბრიგადირი შეყოყმანდა.

— წავალ, ძია ნიკო, მაგრამ ის სამი კაცი სადღა ვიშოვო. ხალხი არა მყოფნის.

— როგორ თუ არა გყოფნის? ბრიგადაში სამოცდაშვიდი კაცი გყავს.

— მყავს, მაგრამ ზოგი არ გამოდის. დანარჩენი კი ზოგი წყლის მზიდავად გამოვყავ, ზოგი ნამჯის საყრელად, საბულულებლად, კომბაინზე — ყველგან განაწილებულია.

— ჩემი საქმე არ არის. წადი და, რაც გითხარი, გააკეთე. მოსავალმა დაცდა არ იცის, თავის დროზე უნდა ავიღოთ.

ბრიგადირი გავიდა.

— შენ რაღას შვრები, შეკაზმული ხარ ხვალ დილისთვის?

ნაბდის ქუდიანი, წვერგაუპარსავი, მაღალი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა წამოდგა სკამიდან.

— საღამომდის ყველაფერი მზად იქნება.

— როგორ საღამომდის, ახლა არა ხარ მზად?

— როგორ არა ვარ, მაგრამ ცხენის ურემი არა მაქვს წყლის მოსატანად.

— მაშ არავისა აქვს შენს ბრიგადაში ცხენის ურემი?

— როგორ არა აქვთ, მაგრამ ყველა ერთმანეთს უყურებს.

— როგორ თუ უყურებს, კაცო, შრომადღეს არ უწერთ, თუ როგორ არი შენი საქმე? გაბრუას უთხარი და ის წაიყვა.

— გაბრუამ ეფრემას ჭურჭელი დაუდო და ახალსოფელში წაიღო.

— კაი დროს გაგიშვია, ბიჭო.

— მე რა გავუშვი, მე ვინა მკითხავს?

— ორი მომკელი და ერთი მეძნეური კიდევ დაუმატე. „წარაფები“-კარგა დიდი მიწაა. ძნას სად დააწყობ?

— მიქიას თელებთან.

— შორს არ იქნება?

— იმაზე კარგი საჩრდილობელი ახლო არაფერია.

— კარგი, წადი და რაც გითხარი, გააკეთე. საჭალე ხეს ორი კავი ეყოფა. დარაჯს უთხარ ჩემ მაგიერ და მოგცემს.

ბრიგადირი შეყოყმანდა.

— წავალ, ძია ნიკო, მაგრამ ის სამი კაცი სადღა ვიშოვო. ხალხი არა მყოფნის.

— როგორ თუ არა გყოფნის? ბრიგადაში სამოცდაშვიდი კაცი გყავს.

— მყავს, მაგრამ ზოგი არ გამოდის. დანარჩენი კი ზოგი წყლის მზიდავად გამოვყავ, ზოგი ნამჯის საყრელად, საბულულებლად, კომბაინზე — ყველგან განაწილებულია.

— ჩემი საქმე არ არის. წადი და, რაც გითხარი, გააკეთე. მოსავალმა დაცდა არ იცის, თავის დროზე უნდა ავიღოთ.

ბრიგადირი გავიდა.

— შენ რაღას შვრები, შეკაზმული ხარ ხვალ დილისთვის?

ნაბდის ქუდიანი, წვერგაუპარსავი, მაღალი, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა წამოდგა სკამიდან.

— საღამომდის ყველაფერი მზად იქნება.

— როგორ საღამომდის, ახლა არა ხარ მზად?

— როგორ არა ვარ, მაგრამ ცხენის ურემი არა მაქვს წყლის მოსატანად.

— მაშ არავისა აქვს შენს ბრიგადაში ცხენის ურემი?

— როგორ არა აქვთ, მაგრამ ყველა ერთმანეთს უყურებს.

— როგორ თუ უყურებს, კაცო, შრომადღეს არ უწერთ, თუ როგორ არი შენი საქმე? გაბრუას უთხარი და ის წაიყვა.

— გაბრუამ ეფრემას ჭურჭელი დაუდო და ახალსოფელში წაიღო.

— კაი დროს გაგიშვია, ბიჭო.

— მე რა გავუშვი, მე ვინა მკითხავს?

— მაშ ვისა ჰკითხავენ, შვილო, ბრიგადირი შენა ხარ... ჯავახიანთ იას უთხარი და ვირის ურემი შეაბმევინე. რასაც მიზიდავს, მიზიდავს.

კაბინეტში ბუღალტერი შემოვიდა. ეს იყო უცნაურად აწოწილი კაცი. კეფისაკენ წასული თვალებითა და მუდამ ერთნაირი სახით, რომლის გუნება-განწყობილებას კარგა დაკვირვებული თვალიც ვერ გამოიცნობდა. იგი თავის დაქნევით მიესალმა იქ მყოფთ და თავმჯდომარეს რვეულის ფურცელი დაუდო მინაზე.

— ამაზე ხელი უნდა მომიწერო.

თავმჯდომარემ სათვალე გაიკეთა, ფურცელს მცირე ხანს უცქირა, მერე მის მომტანს ახედა და როცა მისი მზერა დაიჭირა, კალამი დინჯად ჩააწო სამელნეში.

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— აღრიცხვის საქმე მოგვარდა?

— ძალიან კარგად.

— სასწორები მზად არი?

— ერთი სასწორი მაკლია, მაგრამ საწყობიდან წავიღებ.

— არ ივარგებს. საწყობშიაც საჭიროა.

— როგორ არ არი, მაგრამ თელავიდან მოტანილი დავდგათ აქა და მაგას კი დღესვე გავატან მინდორში.

— ეგრე უყავ, მწონავები გამოყოფილია?

— ყველგან გამოვყავ, მაგრამ დათიას ბიჭს ორმოცდაათ გრამიანი არა აქვს.

— იშოვეთ, კაცო, ეგეც კომბაინი ხომ არ არი.

— თელავში წასულ კაცს დავაბარე და მოიტანს ალბათ.

— საშრობზე რაღა ვქნათ?

— მეტი გზა არ არი. გომურზე უნდა დავყაროთ.

ფიცრების იმედი გაქვს, გაუძლებს?

— როგორ არ გაუძლებს? მეტი რა ჩარაა. უნდა გაუძლოს. სამივე გატლეკილი კოლმეურნეობა შემოგვიერთდა. სამიდან მარტო „წითელ სხივსა“ ჰქონდა საშრობი — სხვა გზა არ არი, უნდა გაუძლოს.

— კარგი, აბა რას ვიზამთ. მაშინ უთხარი ცალყურაანთ მართას, ქალები გაგზავნოს და დააგვევინოს.

კარები კიდევ გაიღო და მაზუთითა და ზეთის ლაქებით მოზუნზულ ტანსაცმლიანმა ბიჭმა შეშფოთებით მოათვალიერა იქ მყოფნი, რომელთაც გაკვირვებით აღმოხდათ:

— ოჰო, მოხვედი?

თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა, თავს წამომდგარი ბუღალტერი მარცხენა ხელით განზე მისწია და მცირე ხანს უსიტყვოდ უცქეროდა შემოსულს. ბიჭმა ვეღარ გაუძლო დანის წვერივით მიბჯენილ თვალებს და უმიზნო მზერა ფანჯრისკენ გადაიტანა.

— შენ რაღა ჩემი გამჩენი გაგიწყრა, ბიჭო?

ბიჭი თავჩაღუნული გაჩერდა და ხმა არ ამოუღია.

— რაზე შემიშალე შვილო, ხელი. ხვალ მოსავლის აღებას ვიწყებ და შენ მანქანას მიმტვრევ? რა იყო, რა მოგელანდა, რა მოგეჩვენა, რამ გადაგრია, რომ დაეჯახე იმ სახლს? შვილო, თუ გიჟი ხარ, — იტყოდი და საგიჟეთში წაგიყვანდი. თუ არა და რაზე მიმტვრევ მანქანას ამ სიკეთის დროს?

თავჩაღუნული ბიჭი ერთ ხანს ფრჩხილებით იწმენდდა ფრჩხილებს, მერე თავი აიღო და თვალი ძლივს გაუმართა.

— რა ჩემში ბრალია, ძია ნიკო, კაცს მოვარიდე და სახლს დაეჯახა. მაშ ადამიანს ხომ არ გავჭყლეტდი? აი, ეს ბიჭებიც იქ იყვნენ. ამბობენ შრომელიაო, ის ბიჭი. ველოსიპედით მოდენილიყო, მანქანაზე დადებულ მილებისათვის ხელი ჩაევლო და იგრე მოგვყოლოდა უკან. ესენი გაჯავრებოდნენ და იმასაც ხელი გაეშვა და ზედ ცხვირწინ გამომიქროლა. ასფალტზე აუსხლტა თვალი და იქვე დაეცა. მე მაშინვე მივლრიჯე, გაქანებული მანქანა, რადგან რომ დამეშუხრუჭებინა, მაინც ქვეშ მოჰყვებოდა. ჰოდა, მივლრიჯე, მაგრამ მილებმა გადაძალა უკან. ხომ ნახეთ, რამსიგრძე მილებია, ანდე ეზოში არა ყრია? თითო რვა მეტრია, თანაც იმდენი მედო ზედ,

გადაძალა მილებმა და წინა თვლები ზევით ასწია. რაღა უნდა მექნა? — საჭე აღარაფრის მაქნისი იყო. ჩავაქრე ძრავა, მაგრამ ინერციით დაეჯახა ფანჯარასა და შეანგრია.

— რაზე სახლში იქნებოდა ვინმე, ბიჭო, გაგიგონია, ქრისტიანო? — მიუბრუნდა თავმჯდომარე ბუღალტერს: — რომ დაჯახებოდა, ფანჯრის ქვები ღია კარებიდან აივანზე გადაეყარნა. კაბინა შიგნით იყო შესული და ზედ მაგიდასთან მისული პატივსაცემ სტუმარივით. წინა თვლები კედელთანვე მოსძრობოდა. მარტო კაბინა იდო იატაკზე. თურმე, ერთი თუ ორი წუთის წინ სახლში პატარა გოგო ყოფილა, იქვე უთამაშნია, მერე გარეთ გასულა ცოცხისათვის, თოჯინებს სახლი უნდა დავუგავოო. ჰოდა, შემთხვევით გადარჩა. გადარჩა და ეს დამთხვეულიც გადაარჩინა. რა გითხრეს, ბიჭო, მილიციაში?

— წიგნაკი ჩამომართვეს და მითხრეს: „ის მოიყვანე, ვინც ველოსიპედით წაგექცა წინო". არა სჯეროდათ, პირი დამაღებინეს და მსუნავდნენ, მთვრალი საიდან ვიქნებოდი, მთელი დღე პურის ნამცეცი არ ჩამიშვია პირში.

თავმჯდომარემ ცბიერად მოჭუტა თვალი.

— როდის იყო, შვილო, რომ კაცს პური ათრობდა? ხანდახან დილით, ჯანზე მოსასვლელად და გამოსაფხიზლებლად არაყს გადაჰკრავენ ხოლმე უნამცეცოდაც.

— არაყი რა არი, სამ ჭიქას რა უნდა ექნა?

თავმჯდომარემ ბუღალტერს ახედა, რომლის სახეზე არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა. მერე სკამზე ჩამომსხდრები ჩამოათვალიერა თვალში ჩამდგარი ღიმილით და გაიცინა.

იქ მყოფებმა ისარგებლეს თავმჯდომარის კარგი გუნებით და მათაც გაიზიარეს მისი მიხვედრილობა.

ხარხარი რომ შეწყდა, ისევ დარცხვენილ ბიჭს მიუბრუნდა თავმჯდომარე:

— შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, სამი არაყი, ისიც დილას დალეული, შენ ვერ გადაგრევდა, მაგრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო, შვილო, დედაშენმა სამი შვილი დაჰკარგა ფრონტზე და შენღა შემოგყურებს. ჭკვიანად უნდა იყო. მე რომ რაიკომის მდივნისთვის არ შემეტყობინებინა, ახლაც იქ იყურყუტებდი. წადი ახლა, ჩაჯექ ჩემს მანქანაში და ემტეესიდან მახათელაშვილი გადმოიყვანე. იქ იკითხე, მექანიკოსი ვინ არი-თქო და გეტყვიან. უნდა გავაკეთოთ, შვილო, ხვალ მინდვრად გავდივართ... ან კი თითონ როგორ გადარჩა, — საზურგე საჭის თავამდე მიეჭყლიტა მილებს, ძარის ფიცრები რომ გაენგრივნა.

და როდესაც ბიჭი გავიდა, თავმჯდომარე ახლა სხვას მიუბრუნდა:

— შენ რაღა გინდა, თედო?

— მე ის მინდა, რომა, აი, კაცი მოგიყვანე. არ მაძლევს ხალხსა.

— ჰო, რაო, რატომ არ მოგცემო?

— აბა, რა ვიცი, მე მჭირდებაო.

თავმჯდომარემ წარბები შეიკრა და ფეხზე ამდგარ შავგვრემან ახალგაზრდას მიაჩერდა.

ბიჭი ოცდარვა წლამდე იქნებოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი, მაგრამ გასაოცრად განიერი მხრებითა და ტყვიასავით ჩასხმული. დაკუთხული ნიკაპი და მჭიდროდ მოკუმული თხელი ტუჩები ნებისყოფის სიძლიერეზე მეტყველებდა: მან გაუტეხელი თვალი მიაპყრო მოსაუბრეს.

— რატომ არ აძლევ, ბიჭო, მაგ კაცს მუშა ხელს. როდემდის უნდა იყო შენწვერა და შენნება. ხომ ხედავ, მოსავალი კარზე გვადგა და პატრონობა უნდა. ხელის შეწყობის მაგიერია? ერთხელ იყო, შვილო, შენი მოხსნა უნდოდათ ბრიგადირობიდან და მე გადაგარჩინე. მეორედ იყო და — ისევ მე გიშველე. შენ როგორ გგონია, ისევ მე მოგეშველები? არა, შვილო, მეყოფა. კაცი დავბერდი, თვალის ამხელი ვარ და ეგეთი ხათაბალა კაცი ჯერ არ მინახავს. აღარ შემიძლია, შვილო, აი, საერთო კრებას მოვიწვევ და გაგანთავისუფლებთ, თუ აღარ გინდა ბრიგადირობა. გაგონილა და თქმულა ქრისტიანო? პარტიულ კრება-

ზე რა დავადგინეთ, შენ ყურებში ბამბა გეკეთა? ან იქნებ წყალგაღმა იყავ და ხმა ვერ მოგაწვდინეთ?

— სმენა რომ კარგი მაქვს, ამას თქვენც დამიდასტურებთ, რადგან იმ გრგვინვა-ქუხილში და ქვეყნის დაქცევაში თითქმის ნახევარ კილომეტრზე გავიგონე ყვირილი, როცა ალაზნის მღვრიე მორევიდან მშრალზე გამოგიტანე, ხოლო, რაც შეეხება პარტიულ კრებას, მაშინვე განვაცხადე, რომ ხალხი ჩემს ბრიგადაში ყველაზე ცოტაა. რატომ მევენახეობის სხვა ბრიგადებს არ დაავალეთ?

— შენ ჯერ არავის დაუყენებიხარ ჩემთვის ჭკუის სასწავლებლად. ეგ მე ვიცი, ვის დავავალებ და ვის არა. იმათ იმიტომ არ დავავალეთ, რომ ჯერ მესამედ შეწამლვაც ვერ მოასწრეს, შენ კი ყველა ნაკვეთის შეწამვლაც მოასწარ და დამუშავებაც. აი, რატომ არ დავავალეთ. გაიგე ახლა? შევიდა შენს ყურებში?

— რატომ ვერ მოასწრეს მერე? ხალხი ხომ იმათთან და, საერთოდ ყველგან, უფრო მეტია, ვიდრე ჩემს ბრიგადაში? — მეტი თუნდაც ორი-სამი კაცით? მე რომ მოვასწარ და გავაკეთე, იმიტომ, რომ ვენახი ამას საჭიროებს. ხალხი როგორ მივცე ახლა, როცა მეოთხედ უნდა დავიწყო შეწამვლა და გოგირდი ცალკეა შესაყრელი. ვაზს გაფურჩნა უნდა და თავის გადაჭრა. მე კი არა, სხვა ბრიგადებსაც არ უნდა მოაკლოთ ხალხი, რადგან ნაკვეთები დასამუშავებელია. მაგათი ვაზების მწკრივებქვევიდან ზევით რომ აიხედო, ცის ნაჭერსაც კი ვერ დაინახავ, ისეა ერთმანეთში გაბურდული. ჩახურდება და მტევანი გაუფუჭდება. ხელის მიტანება უნდა, ცის გახსნა უნდა.

თავმჯდომარემ იდაყვები მაგრად დააყრდნო მინას, მაგიდაზე გადაიხარა, ნიკაპი წინ წამოსწია და ისე უთხრა:

— ვაზებს ცის გახსნა უნდათ, შვილო, და შენ კიდევ ცის ჩამონგრევა, რომ შიგ მოჰყვე და ერთხელ და სამუდამოდ დავისვენო. ხალხს არ იძლევი, არ იძლევი, სხვა ბრიგადირებს რაღას მირევ? რა აგიტაციას ეწევი. ეგლა უნდათ? ვერა ხედავ, როგორ არიან დაბერებულები? გისწავლია, ჯარი მოგივლია, საქმისა რაღაც გაგეგება—რაზე მირევ ხელს, შვილო? ხელის შეწყობის მაგიერია? შენ აგებ პასუხს, მე რომ გეგმა ჩამეშალოს? შენ ვინა ხარ, კაცო, რა გახდი, წადი, მომშორდი, შვილო, აღარ მინდა შენი ბრიგადირობა! მორევიდან გადაგარჩინეო, — რას მაყვედრი? შენ ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ეგ მახსოვს, თორემ რაც შენ ახლა აქ წამოგცდა, ეგ რომ რაიკომის ყურამდე მივიდეს, აქ აღარ გედგომება. გაგონილა, ხალხს არ იძლევა და სხვასაც აგიტაციას უწევს, ნუ დაემორჩილებითო.

— მე არავისთვის არაფერი დამიყვედრებია, თავმჯდომარევ. სიტყვამ მოიტანა, ვთქვი და არც რაიმე აგიტაციას ვეწევი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდა. მევენახეობის ბრიგადებს თავიანთი საქმე აქვთ, ეს მე პარტიულ კრებაზეც ვთქვი. დაე, ჯერ თავისი საქმე გააკეთონ, და მერე სხვას დაეხმარონ.

— მაშ შენი აზრით მემინდვრეობის ბრიგადები სხვებია?

— მე ეგ არ მითქვამს.

— მაშ რა გინდა, შვილო, კარზე მომდგარი მოსავალი მინდორში დარჩეს, ჩალპეს და ჩაიშალოს?

— მოსავალი არც მინდორში დარჩება, არც ჩალპება და არც ჩაიშლება. მემინდვრეობას თავისი ბრიგადები აქვს. დაე ორგანიზაცია უყოს ყველამ თავიანთ ბრიგადას და რა ძალებიცა ჰყავთ, ამ ძალებით გეგმაზე ადრე აიღება მოსავალი.

— რომელი ძალები, რა ძალები, სადღაა ძალები, შვილო. მთელი ახალგაზრდობა გარბის სოფლიდან, ზოგი რუსთავში მიდის, ზოგი უმაღლესში, ზოგი ჭრაკერვის სასწავლებლად.

— თქვენც ნუ გაუშვებთ.

— მე ვიღა მეკითხება? შარშან ბა-

ჩიაანთ გოგო წავიდა თელავს ჭრა-კერვის სასწავლებლად და წელს შეკერა შარვალი. ისიც, ერთი ტოტი გალიფე უქნია, მეორე — ჩვეულებრივი, ჩაშვებული.

იქ მყოფნი ახარხარდნენ. მხოლოდ შავგვრემანი ჭაბუკი და ბუღალტერი დარჩნენ შეუვალნი.

— აი, შვილო, წავიდა და რა გააკეთა, აქ უფრო მეტ სარგებლიანობას არ მოიტანდა?

— ეგ მე სრულიად არ მეხება. დიდი დანაკლისი არ არი მისი გაშვება, მე ჭკვიანებზე მოგახსენებთ.

— რა ვქნა, შვილო, დავაბა?

— რა თქმა უნდა, უნდა დააბათ და არა თოკით, არამედ საშუალებით, რომელიც ნებას არ მიცემს დატოვოს კოლმეურნეობა.

— ეგ კი კარგი მოგიფიქრებია, მხოლოდ მე დაგასწარ მაინც და ახლა არც კომკავშირის რაიკომი და არც პარტრაიკომი აქედან წასულს არც რაიონში იღებს სადმე და არც რაიონის გარეთ აგზავნის, თუ ჩემგან ცნობა არა აქვს მისი გაშვებისა.

— მე მაგ საშუალებაზე სრულიად არ მოგახსენებთ და არც მინდა ახლა ვილაპარაკო ამ საკითხზე. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მემინდვრეობის ოთხ ბრიგადას იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც არი ამჟამად, შეუძლია ვადაზე ადრე აიღოს მოსავალი. ხოლო, რაც შეეხება რაიკომს და ჩემს ბრიგადირობას, ნუ მაშინებთ. მე რომ მშინებოდა, აქედან ბერლინში ფეხით ვერ ჩავიდოდი. ახლა შემიძლია წავიდე? მზე სად წამოვიდა და მე ისევ აქა ვარ. საქმემ დაცდა არ იცის.

თავმჯდომარე წელში გასწორდა.

— ჯანდაბაში წადი, შვილო, რევაზ, და დოზანაში! წადი, — ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი ძაღლსაო. ეგრემც ყოფილა, რომ სულ წასულხარ და აღარ მოსულხარ.

შავგვრემანმა ბრიგადირმა მადლობა გადაიხადა. გზის დალოცვისათვის და გავიდა.

თავმჯდომარემ გახურულ ქარებს მრისხანე თვალი მოაშორა, დამსწრენი ჩამოათვალიერა და მერე ხელების გაშლით ბუღალტერს მიუბრუნდა:

—აი, აჰა, ელაპარაკე რამდენიც გინდა. აბა რა უნდა გააკეთო კაცმა. ქენი სიკეთე, რამდენიც გინდა. კაცო, ეს ვენახი რომ გააკეთე, ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ სხვას რომ არ ეხმარები, ეს რაღააა? შენი ხომ გაკეთებულია? — ახლა სხვას დაეხმარე, კაცო. ეს არი ამხანაგობა? არა, ძალიან დავისვი თავზე. ახია ჩემზე. რბილად არ უნდა ვიქცეოდე. დამაცადოს, მე მოვუვლი. მამაჩემის კვალზემც წასულა.

ბუღალტერმა შემოტანილი ფურცელი აიღო და კაბინეტიდან გავიდა.

თავმჯდომარე სკამების მარჯვენა მწკრივისაკენ მიბრუნდა.

—თქვენ რაღა ღმერთი გაგიწყრათ გუშინ, რა დაგემართათ? ერთხელ მაინც დაგეგდოთ ჩოგანზე ბურთი. დაიხოცენით?

ორმა ახალგაზრდამ თავი ჩაქინდრა და ხელებს მუხლებშუა დაუწყო წვალება.

— ვაი, თქვენს ახალგაზრდობას რა ვუთხრა, რამ მოგკლათ, რამ დაგხოცათ ბიჭო?

— რა ჩვენი ბრალია, ძია ნიკო, ცხენები არ ვარგოდნენ. გურჯაანელები ამბობდნენ: უნდა გევარჯიშებინათო. ჩვენ კი გუთნიდან გამოვხსენით და იგრე გავრეკეთ სტადიონზე.

— ჰო, რატომ ღერძი და ორძელი არ გავუკეთე და იმაზე არ ვავარჯიშე.

— ღერძი და ორძელი ჩვენთვის არ არი და ცხენებს საიდან ექნებათ?—გაისმა სულ ბოლოდან გაუბედავად და თავმჯდომარის თვალიც ამ გაბედულს დაესო.

— რაო, რაო? ღერძი მოგენატრა? ორთვალასათვის არა გვაქვს ღერძი და შენთვის მოინდომე?—ცხენები უნდა ავარჯიშონ! ვენახებში კულტივაცია არ

დაუმთავრებიათ და ცხენების ვარჯიში მოინდომეს... ის რუსი რაღა იქნა, სად ეშმაკებში წაეხირა? დაამტვრევინა გადარეულ ცხენს ის ბიჭი და თითონ გაერიდა?

— მაქსიმეს ვიღაცამ უთხრა, რომ ვეტექიმი მთაში ავიდა ფარის ბრუცელოზის დასამუშავებლადო და იმანაც არჩილს ბევრი აღარ ახვეწნინა, მისცა ულაყი და თითონ თავის ცხენზე გადამჯდარმა ისევ მთაში მოუსვა.

— შენა, თედო, შენ რაღა გინდა, სულ საჩივრის კარზე უნდა იარო? რა დაგემართა, კაცო, დადიხარ, დაძვრები, ენას არ ასვენებ, აღარც შენ ისვენებ და აღარც სხვას. ორი სხვა თავმჯდომარეც არი აქ შენს გარდა, მაგრამ გაგიგია იმათგან რამე? ყველას ხომ არ დასვამდნენ თავმჯდომარედ? ერთი კოლმეურნეობაა—ერთი ხელმძღვანელი უნდა იყოს. რა ჩემი ბრალია, ძმაო, რომ შევერთდით. ეს მე კი არ მომიგონია.—ხალხს უნდოდა და საჭიროც იყო. ბრიგადირად ხომ გაგიშვი, რაღა გინდა, რატომ არ ისვენებ?

დაბალმა, მსუქანმა კაცმა აქეთ-იქით დააცეცა ცბიერად გამომეტყველი, შეშინებული თვალები.

— რას ამბობ, ნიკო, აბა რას ამბობ. არაფერი არ დაიჯერო. ჭორია, გენაცვალე, მტრის სიტყვაა, ნუ დაუჯერებ. რა ენაო, რა ძრომაო, აბა რას ამბობ. არა, ნიკო, არა შენი ჭირიმე. ვიღაცას უნდა ჩვენში უსიამოვნების ჩამოგდება. არ დაიჯერო...

—დაიცა, დაიცა, ნუ გამიბი „მამაო ჩვენოსავით". ვარდენს რა უთხარი, იმასთან რა საქმე გაქვს, იმას რასა სთხოვ? შამრელაანთა რომ ალილო თქვა, ჯავახიანთ უნდა მოგცენ გასამრჯელო?

პატარა კაცი თვალების მოხშირებული ხამხამით პასუხის თქმას აპირებდა, მაგრამ უცებ კარი გაიღო და კაბინეტში აქოშინებული პატარა ბიჭი შემოვარდა.

— ნიკო პაპავ, სტუმარი მოგივიდათ და თამარა დეიდამ მითხრა, ჩქარა მოდიო.

თავმჯდომარემ ბიჭი შეათვალიერა.

—ვინ სტუმარია, ბიჭო?

— რა ვიცი. მიქელაანთ დედაკაცმა თქვა, დიდი კაციაო. ძალიან დიდია, ფრთებიანი ქუდი აქვს და დიდი ყუთი.

თავმჯდომარემ ასადგომად აიწია და, თან გაკვირვებული, იქ მყოფებს მიაჩერდა.

— ვინ უნდა იყოს?

კოლმეურნეებმა ერთმანეთს გადახედეს.

—გაიქეცი და უთხარი: ახლავე მოდის-თქო, თქვენ კი, რაც გითხარით, ის გააკეთეთ. აბა, მოუსვით! ყველამ თავთავის საქმეს მიხედეთ. შენ კი, თედო, საღამოზე მოგელაპარაკები.

3

მიდიოდა ჭალაზე მგზავრი და მიჰქონდა დიდრონი ჩემოდანი. იგი დროდადრო ჩერდებოდა და თვალს ავლებდა ირგვლივ. ტანზე თეთრი ქათქათა პერანგი ეცვა და გაღეღილ საყელოდან მძლავრი მკერდი მოუჩანდა.

უზარმაზარი მუხები ჯმუხი ტოტებით აზიდულიყვნენ ცაში და მედიდურად გაეშალათ სხვა ხეებს ზევით ძლიერი მკლავები. ძირს ზღმარტლი და შვინდანწლა მინაბულიყო, აქა-იქ ბატიჭუკა, რცხილა და მურყანი.

მიდიოდა მგზავრი და წარამარა ახედავდა რტოხშირ თელებს. ჩემოდანი დროდადრო წამოედებოდა აყრილ ბირკასა და ძირხვენას, თავმსხმოიარე ღოლოსა და ველურ ჭინჭარს. ტოტიდან ტოტზე მცოცავი ლიანები ბაგირებივით ჩამოშვებულიყო მურყანთა ფოთლებში. მიწის ფერი დაჰკრავდათ კანზე და აყრილი ძახველის ყლორტებთან ერთად გაუვალს ხდიდნენ ჭალას.

მგზავრი ალაზნის ერთ ნაკალაპოტარში გადავიდა და ჯაუყვა სათავისკენ. წყალდიდობისაგან გადმოვარდნილი წყალი დამშრალიყო და ახლა

წმინდა, ანკარა ფშა მოლიკლიკებდა ქვიშიანებზე. აყრილიყო ჯორის ძუა და ვირის ტერფა ორთავ ნაპირზე. ალაგ-ალაგ ლაქაშები როკავდნენ პაწაწკინტელა ტალღების მიახლოებაზე და გრძელსა და მოღუნულ თავებს იქნევდნენ.

მორევს წაადგა ერთგან მგზავრი და ჩემოდანი დადგა.

ლურჯი წყლის სარკეში ვერცხლისფრად ელვარებდა მურწა და კაპუეტი, ციმორი და ნაფოტა. მზის სხივი ფსკერამდე ატანდა და მათი თამაში ფერადდებოდა შვიდფერ არილში.

კარგა ხანს ტკბებოდა მგზავრი მათი ცქერით და როცა ნასროლ ქვაზე თევზები დაფრთხნენ და წყალი რგოლებად გაეშურა ნაპირებისაკენ, ჩემოდანი აიღო და გზა განაგრძო.

ვიწრო კალაპოტის მშრალ კედლებზე გადმოხრილიყვნენ თხილები და მურყნები. ტოტები მარაოსავით გაეშალათ და უჩრდილებდნენ იქაურობას. საამოდ შრიალებდნენ ვერხვები კლდის გაყოლებაზე. ხშირ ტოტებში ქედანი ღუღუნებდა, შორიდან გუგული იძახდა და ძირს ნაირ-ნაირ ყვავილებს ფუტკარი დაბზუოდა.

მგზავრი ალაზნის მთავარ კალაპოტს მიადგა და შეჩერდა. დადგა ჩემოდანი, ხელი პერანგის გაღეღილ საყელოში შეიყო და გაბადრული სახით მიისვმოისვა.

განიერი იყო მდინარის კალაპოტი და აქა-იქ კუნძულებზე ვერხვი და ოფი ატყორცნილიყო, ხოლო ნაშეებში წნორი და ტირიფი გადახლართულიყო. თეთრი და ლურჯი ფერები ერთმანეთს ერწყმოდნენ და ასე გრძელდებოდნენ მოსახვევიდან ქვევით, მისაქციელამდე.

რიყის შუაზე ლაღი ზვირთების დუდუნ-ტყლაშუნით მიირწეოდა ალაზანი და ალერსიანი ჩურჩულით უნანავებდა შემოგარენს.

მგზავრმა მიატოვა ჩემოდანი. მივიდა წყალთან. დაჯდა და ღიმილის გაუქრობლად დიდხანს ტკბებოდა მისი ცქერით. შემდეგ ხელები მუხლებზე შემოირტყა, თავი მათ შუა ჩაქინდრა და კარგა ხანს იჯდა ასე.

— შენ ისევ ისეთი ხარ, ალაზანო!

მგზავრი წამოდგა, მოძებნა ვეება მორევი, თავს წაადგა და დოინჯი შემოიდგა. პირთავქვე დაქანებული მთელი ალაზანი კლდეს აწყდებოდა და იქიდან გამობრუნებული თავბრუდამხვევად ტრიალებდა, შუაში დიდი სიღრმე რჩებოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს უზარმაზარ სალუდე ქვაბისთვის კოვზი მოერივნოთ ამირანებს.

მგზავრმა ტანთ გაიხადა და შიგ გადაერია, ძლიერი მხარულით გააპო მორევი და დამდორებულ წყალზე გულაღმა გაწვა. შვეულად დაშვებული მზის სხივების გამო დახუჭა თვალები და მიყუჩდა.

მოსწყინდა ასე. წამოიწია, შექანდა ზევით და ფსკერისაკენ თავყირა წასული გაუჩინარდა. წუთის შემდეგ ისევ გადაიშალა დამდორებული წყლის ზედაპირზე შავი თმა და მობანავემ ძირიდან კბილებით ამოტანილი კენჭი ამოაფურთხა.

ცოტა ხნის შემდეგ ნაპირზე გამოვიდა წყალში შესული და ალაზნის რუხ შლამში გაგორდა.

მოსწყინდა ესეც. ისევ შევიდა მორევში, ტანზე მიკრული სილა გაიბანა, გამოვიდა ნაპირზე, ჩემოდანი წყალგაღმა გაიტანა და ჩაიცვა.

ახლა ალაზნის მარცხენა ნაპირის ჭალაში შევიდა მგზავრი და უგზოდ დაიწყო ბორიალი შიგ. გარშემო ჰყვაოდა ზაფხულის სილამაზე და საოცრება. მოკლე და გადაბმულ ჩრდილებს აფენდნენ ხეები ბალახზე.

მიდიოდა მგზავრი და ჰკრეფდა ყვავილებს.

ერთმანეთში ერეოდა ჩიტისთვალა და ჩადუნა, ყვითელკაბა და ღიღილო. შუაში მოქცეულიყო კელეპტარა და თავქვე დაეშვა ფირუზშეპარული ლურჯი ყვავილები.

ვეება თაიგული შეკრა მგზავრმა და ისევ გზა განაგრძო.

განაკაფზე მიდიოდა ძველი ნაგზაური და ზედ შამბი და ბალახი მოხშირებულიყო. ერთ ადგილს კი ლაქაშები აყრილიყო და უცნობი იძულებული გახდა ფეხთ გაეხადა და შარვალი მუხლზევით აეწია.

ერთ ხანს მისტოპავდა მგზავრი წებოვან ტალახსა და შამბში, შემდეგ კი ჭალაში შევიდა, მუხის ძირას დადგა ჩემოდანი და მოლაფულ ფეხებზე დაიხედა. წარბები შეიჭმუხნა და წაილაპარაკა:

— ძველი ფშის ჭაობს აქამდისაც მოუღწევია.

და ის იყო გზის გაგრძელებას აპირებდა, რომ მის ყურამდე ყრუ ხმაურმა მოაღწია. ცოტა ხნის შემდეგ ჩახლეჩილი და ხრინწგარეული ბანი გაისმა. ხოლო შემდეგ ქალის ხმამ დარეკა და განაკაფზე გასვლა გადააფიქრებინა.

რა შეედრება ამგვარ ყრუ ადგილას ქალ-ვაჟის განმარტოებას? განა მთელი ჭალა სიცხისაგან არ არის მოთენთილი და ნიავიც ვერხვებში იმიტომ არ მილუშულა, რომ ოდნავი ჩქამითაც არ შეუშალოს ხელი სიყვარულით ტკბობას? განა იმიტომ არ გაფენილა ირგვლივ გვირილა და ფეხდაუდგამი მოლი გაშლილა? ყოველი ჩრდილი სასიამოვნო სიგრილეს აფენს და ყოველ ხის ტოტზე ქედანი დვრინავს.

დაე, ყოველივე მორჩილებდეს სიყვარულის უძლეველ ძალას.

მგზავრმა ის იყო ჭალაში ზესვლა გადაწყვიტა, რომ გარკვევით გაიგონა მკვახე ნათქვამი და მუხის ძირასვე დარჩა.

— მე რომ მცოდნოდა გზაში ასეთი აუტანელი იქნებოდით, სულ არ წამოვიდოდი თქვენთან.

— ეს მე განგებ გავაკეთე, ძვირფასო, რომ არაფერს არ დაერღვია ჩვენი მყუდროება. — წკრიალა ხმა ჩაახშო ისევ ბანმა.

— როგორ თუ განგებ? ნუთუ აქეთ ამისთვის გამომყევით?

— რა თქმა უნდა. მე საერთოდ შეზარება იქ ჩავერიო, სადაც ხმალი ამ გამიჭრის.

— ეს რომელი ხმლის შესახებ გსურთ ლაპარაკი?

— მე უკვე მოგახსენეთ და ახლა პასუხს დიდხანს ვერ დავუცდი.

— ჩემი თხოვნაა, ასეთ ლაპარაკს ანებოთ თავი, თორემ ცხენს ახლავე უკან გავაბრუნებ.

— არა, გენაცვალე, ახლა ცხენს ვერსაით ვერ გააბრუნებ. ჭალა დაბურულია და სულიერი არსად შეგვხვდება.

— მე გირჩევდით, უფრო სხვა ტონით გელაპარაკათ.

— ჩემი რჩევა კი იქნებოდა, ჯიუტობას თავი ანებო და ჩემი სიტყვა გაიგონო.

— არასოდეს!

— მომისმინე, რუსუდან, რაც შენ ამ რაიონში გამოჩნდი, მას შემდეგ თავგზა მაქვს აბნეული და არც ერთ სხვა გოგოს ახლო არ ვეკარები. გეუბნები, მიყვარხარ-მეთქი. და შენ არ უნდა გიხაროდეს ეს? რამდენი გოგო ფიქრობს ჩემზე და მე იმათ ყურადღების ღირსადაც არა ვხდი.

— ნუ კვეხულობთ, ამხანაგო ვარდენ, თქვენი სილამაზით. მე არასოდეს არ მყვარებია ლამაზი მამაკაცები და, მით უმეტეს, ახლა აღარ მხიბლავენ.

— მაშ ვინა გხიბლავენ?

— ადამიანები, ვაჟკაცები.

— მაშ მე შენი აზრით ვინა ვარ?

— რაიკომის ინსტრუქტორი, ჩვენს კოლმეურნეობაზე მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მომაგრებული.

— სხვა არაფერი?

— არა.

— ოჰ, რუსუდან, — გააკრაჭუნა კაცმა კბილები, — შენ ამ ჭალიდან არ გაგიშვებ, თუ ჩემი არ იქენი.

— ოჰო, ძალიან დიდი უფლებებით მოგაქვთ თავი, ინსტრუქტორო!

— ლამის არი გადავირიო, რუსუდან, თვალზე უკვე ბინდი მაქვს გადაკრული.

— მე კი მეგონა. თვალი მაინც გიჭრიდათ. ნუთუ ვერ ამჩნევთ საერთოდ, ვისთან როგორ უნდა ილაპარაკოთ?

— რუსუდან!

— ნუ ყვირით, ვარდენ, წისქვილში არა ხართ და ყური მახვილი მაქვს. უღირსად დამიწყეთ ლაპარაკი და შემეზიზღეთ.

ტყის სიჩუმეში შორს ისმის ბგერა და მოსაუბრენი კარგა ხანს არ გამოჩენილან. ბოლოს განაკაფის მოსახვევში გამოჩნდა ორთვალა და უცნობმა თვალი მოჰკრა შიგ მჯდართ. სადავეები აეკრიფა ქალს და ფრთხილად უმარჯვებდა ცხენს, რათა უკეთ ევლო.

— შეგეზიზღე? ᲐᲮᲝᲘ, რატომ მეხი არ დამეცემა!

— იქნებ უკეთესიც იყო, ეგ ნატვრა ცოტა ადრე აგსრულებოდათ.

— რუსუდან, მგლის კერძი ვიყო, თუ...

— დაე ასე იყოს, არაფერს გავნებს. საკუთარ თავს რომ ეკუთვნოდე.

— გავგიჟდი, რუსუდან!

— არც წინათ გთვლიდით სოლომონ ბრძენად.

— მომისმინე, რუსუდან, მე საკმარისი გალაპარაკე და ახლა მომბეზრდა. აბა, ყური დამიგდე კარგად. შენ აქ მარტო ხარ და ჭაობიან ჭალაში მშველელი მეორე საღამომდისაც არ გამოგიჩნდება. ნუ ხარ ეგეთი უპურმარილო.

— ნუ მემუქრებით და ასეთ ტონსაც მოეშვით, ვარდენ, თორემ იძულებულს გამხდით, ორთვალა დაგატოვებინოთ.

— ახლა ჩემს ხელში ხარ, რუსუდან, ველარსად წამიხვალ. სულ დაგლეწავ და დაგამტვრევ.

— არ მომეკარო, უბედურო, გესმის თუ არა! არ მომეკარო!.. ოჰ, შე უსინდისო. — ჩადი ახლავე დაბლა. ჩადი ამ წუთში! არ ჩახვალ?! არა! მაშ მე ჩავალ! — ქალმა ხელი უშვა სადავეებს და ის იყო ჩამოსვლას აპირებდა, რომ ფეხზე წამოვარდნილმა კაცმა ხელი სტაცა და უკანვე მიაბრუნა.

— ვერსად ვერ წახვალ, ლამაზო!

ქალი მობრუნდა და ავაზის თვალები გააელვა.

— მაშ ეგრე, ინსტრუქტორო? ახლა ვნახავთ, ვინ ვის დაამტვრევს.

მოულოდნელი და ღონიერი ბიძგისაგან კაცი ორთვალას ფრთაზე დაეცა, მერე ჰაერში გაასავსავა ფეხები და ბოლოს მიწაზე მოადინა ბრაგვანი.

იჩქარა ქალმა. სადავეებს მოსწია და ცხენი მიუშვა.

ორთვალამ მუხას გაუქროლა, შევარდა ჭყანტობში და ხუთიოდე მეტრის შემდეგ ღერძამდე ჩაიფლა ტალახში.

ვერც სიფიცხემ და ვერც მათრახმა ვერ დასძრა ცხენი ადგილიდან.

სასოწარკვეთილმა ქალმა თავი ჩაჰკიდა.

გააფთრებული წამოვარდა მიწიდან კაცი და ბოროტი სიხარულით გაექანა ორთვალასაკენ.

— ახლა სადღა წამიხვალ?

ქალმა მოახლოებული საფრთხე შეიცნო. წამოდგა და მათრახი მოიმარჯვა.

ჭყანტში შევარდნილი კაცი ორთვალას მიუახლოვდა.

ქალს წარბები შეეკრა. სიბრაზისაგან ლოყები ატკეცოდა, მთელი ტანით აშოლტილიყო და საოცრად ლამაზი ჩანდა.

— გაები, ხოხობო?

— ᲰᲝᲘ, შე ტაკიმასხარავ, შე უწმინდურო! კაცები რომ გაიქცნენ, შენც უკან უნდა გამოუდგე განა?! არ გაბედო აქ ამოსვლა, თორემ ამ მათრახით აგიჭრელებ სახეს. არ გაბედო, არ გაბედომეთქი!

მაგრამ კაცმა გაბედა და ტალახში მოტარტლული ფეხით ორთვალაზე აალაჯა.

აალაჯა, მაგრამ ვიღაცის რკინის ხელმა ასწია ზევით, მოაშორა ორთვალას, გაიტანა ჭყანტობიდან და აფართხალებული ბალახებზე დასვა.

მოულოდნელობისაგან დაბნეული ქალ-

8297

ლი, ერთ ხანს ასევე დარჩა და როდესაც ვიღაცის უზარმაზარი ზურგი ჩაფლული ორთვალას ქვეშ დაიმალა და ბიძგებისაგანაც შეტორტმანდა, მოეშვა და რბილ ლეიბზე ჩაიკეცა.

ორთვალამ ზევით აიწია, თვლები ნელ-ნელა ამოძრავდნენ წებოვანი ტალახიდან და, რაკი ცხენმა სიმსუბუქე და თანაც გვერდებიდან ხელნების მიწოლა იგრძნო, სწრაფად გავიდა მეორე მხარეზე.

როდესაც ქალმა ჰაერში მცირე ხნის მოგზაურობის შემდეგ მიწაზე იგრძნო თავი, მობრუნდა და უცნობი დაინახა.

ბიჭს მარჯვენა მხართან გაგლეჯილი და საყელო მოღეღილი ქათქათა პერანგი ეცვა და დაკარწახებული შარვლიდან ტალახით შესვრილი მაღალი და მძლავრი წვივები მოუჩანდა.

ბიჭი მძიმედ დაიხარა და მკერდზე ლაფიანი მარჯვენა მიიდო.

— მაპატიეთ, ქალიშვილო, თავხედობა. ამას იქით ჭყანტობი აღარ შეგხვდებათ.

4

მიჰქროდა „ძოსკვიჩი" და ხაბახუსევ მგზავრებს მიაფრენდა.

გზა მინდორზე გადიოდა, მაგრამ ალაგ-ალაგ მანქანა ჩაზლაყუნდებოდა ხოლმე და შიგ მსხდომებს თავების აქეთ-იქით ხეთქებით შუბლსა და კეფაზე ისეთი კოპები ასხდებოდათ, რომ შაურიანი კი არა, ძველი ვერცხლის მანეთიანიც ვერ უშველიდათ.

ძალაში შესული ღამე ვარსკვლავიან თვალებს ახამხამებდა.

გაუგებარ სიმღერებს გაჰკიოდნენ მგზავრები, თანდათან ეშხში შედიოდნენ და ცეცხლი და რქაწითელი ერთად ეკიდებოდათ.

წელს მეორედ იჭიდავა ზაქრომ საქართველოს პირველობაზე, მაგრამ ორჯერვე ჩაბინაანელ ბაკურაძეს გადაეყარა. ბიჭს გულით უნდოდა შარშანდელი ჯავრის ამოყრა. ერთმანეთი დაბდღვნეს, დატორეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაჯაბნა და ბოლოს მსაჯებმა ილეთების დიდოსტატს მისცეს ნახევარი ქულით მეტი.

წელსაც ბაკურაძემ წაიღო საქართველოს ფალავნობა.

„მოსკვიჩით" დახვდნენ გახარებული ძმა-ბიჭები თელავის სადგურზე უკან დაბრუნებულს და დაძმარებული იქეე ბუფეტში შეაგდეს გულის გადასაყოლებლად.

გაბრაზებულმა ბიჭმა მსხვილი კბილებით დაფშვნა ნატიფად ნაკეთი თლილი ღვინის ჭიქა და „წინანდალი" ბოთლით მოიყუდა.

ახლა თელავში ამოვიდნენ და დაბინდებამდე ღვინის სარდაფში ახრჩობდა ბოღმას გასაოცარი ღონის პატრონი და შარშანდლამდე ტოლდაუდები მოჭიდავე.

ძმა-ბიჭებმა ანუგეშეს, ხოლო ღამით აიყარნენ და გზადაგზა სიმღერებით შეაქცევდნენ.

უეცრად ერთის ხმამ დაფარა დანარჩენთა ღრიალი:

— ეე, ჩერჩეტო, საით მიგყავს? ალაზანი ხელმარცხნივ არი, აქეთ წაიყვა. ახალ ხიდთან გავალთ შიგა და პირდაპირ ალვანში ჩავალთ.

— ალვანში რა გვინდა? — გაკვირდა რამდენიმე.

— იქ ერთი თუშის გოგო მყავს, — გვერდზე კისერგადახრილმა ბიჭმა მინაზებული ხმით თქვა და ცბიერი ღიმილი აისახა. — ახლა იქ დავუმატოთ.

ძმაკაცები სიხარულის ყიჟინით შეხვდნენ ახალ წინადადებას.

— მაშ, მიდი გენაცვალე!.. საწყობის გამგეე, თქვი რამე, შე ვირის თავო!

მანქანიდან ავარდა რაღაც სიმღერის მსგავსი, რომელიც მალე ხრინწიან ყვირილში გადავიდა და ბოლოს სულ მისწყდა კიდეც.

— ჰაი, დედასა! ბიჭს რა ხმა აქვს და... ფუი!.. ჩავალთ თუ არა ალვანში, სულ თოხლო კვერცხი უნდა გაყლაპო...

მიდი, სერგო, შენ გარეკე, მიდიი!

მანქანას წაქეზება აღარ სჭირდებოდა, მაგრამ ის ერთი მაინც გაჭკიოდა:

მიდი, მიდი, სამოთხეში,
მეც მოვდივარ ამ ორ დღეში.

ალვანში შესულები ორსართულიან ქვითკირის სახლთან შეჩერდნენ, მანქანა ააყვირეს და, რაკი მასპინძელი გონებაში ვერ ჩააგდეს, სახელი დაიძახეს.

ვიღაცამ ნამძინარევი თავი გამოჰყო ფანჯარაში და იკითხა:

— ვინ რას იძახის?

— ჩვენა ვართ, ქეთო გვინდა.

— ვინ თქვენა ხართ?

— ჩვენ... ამხანაგები ვართ.

— ქეთო სახლში არ არი. საავადმყოფოშია მორიგედ.

მოსულნი მცირე ხანს გაჩუმდნენ და მერე ძმაკაცს მიუბრუნდნენ.

— მაშ მოღრიჯე მანქანა, სერგო.

სერგომაც „მოღრიჯა“ მანქანა და ახლა საავადმყოფოსთან აყვირდა საყვირი.

ერთი მგზავრთაგანი გადმოვიდა მანქანიდან და საავადმყოფოს კიბეს აუყვა.

ცოტა ხნის შემდეგ მგზავრები გაწყობილ სუფრასთან ისხდნენ და ერთმანეთთან ალავერდს გადადიოდნენ.

მამაკაცი სახლში არ ჩანდა, ხოლო ნამძინარევი დედა ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყო და შუაღამისას დაცეშულ სტუმრებთან ბოდიშს იხდიდა.

ქეთო, რომელმაც ამხანაგი დატოვა მის მაგივრად საავადმყოფოში. თავზე ევლებოდა სასურველ სტუმრებს.

არაყმა მადა გაახელა, თავში შეუჯდა მოქეიფეთ და აახორხოცა.

— სიმღერა გვინდა, სიმღერა, საწყობის გამგევ.

— თქვი რამე, დაბდურო!

— არა, სიმღერა არა, ლექსი თქვას, ლექსი.

— ლექსი არა, ტოროლა, რომელი პოეტი ეგა მყავ?

— გაუშვი, ლექსი იყოს. ოღონდ მაგარი რამე.

— ჰო, მაგარი სჯობია, აბა დაიწყე: „ყაყაჩოსა სიწითლითა“.

— „წერტილი და მძიმე“.

— ეე, დამთხვეულო, ყოველთვის ხუმრობა არ ვარგა.

— მაშ ოტელო თქვას.

— არა მუხამბაზი!

— ოტელო სჯობია!

— არა, მუხამბაზი!

— ოტელო-მეთქი!

— მუხამბაზი! მიდი, მუხამბაზი, საწყობის გამგევ!

— კარგი, მუხამბაზი იყოს!

— ეგრე, გენაცვალე!..

სქელი, ღვინო-არყის ნაცნობობით გაჟინჟღილებული საწყობის გამგე წამოდგა, ამღვრეული თვალების ბლეტით გადახედა სუფრას, მერე მზერა მასპინძლის ქალიშვილზე გადაიტანა და დაშაქრული ხმით დაიწყო:

„ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.
რტო ალვისა — შენი ტანი მგონია,
მაგ წელზედა — ცისარტყელა მგონია...
ათი გზა მაქ — ვაიმე გულოჯან! —
წინ შენი სახე მოდის...“

კარგა ხანს ჩურჩულებდა მინაზებულად საწყობის გამგე, მერე ხმას თანდათან აუწია, გასიებული თვალები საშინლად გადმოკარკლა, მსუქანი მუშტი მაღლა ასწია და საყელოგაღეღილ ბალნიან გულზე ღრიალით დაიცა:

...აბა მუშტის კრივში მნახე ვინა ვარ!
— ჯამით ტოლუმბაში მნახე — ვინა ვარ!
უუ, შენი ღმერთი ვჭამე! — ჯამით
ტოლუმბაში მნახე — ვინა ვარ!..
ორთაჭალის ჯამში მნახე — ვინა ვარ!
ჯამით ორთაჭალის ჭალა ვნახე...
აბა მუშტის ჯამში მნახე...
აბა მუშტის ჭალა...
აბა მუშტრის...

და საწყობის გამგეს ისე აერია სიტყვები ერთმანეთში, ხმაც ისე ჩაუწყდა, რომ გაბრაზებულმა მაგიდას დასცა მუშტი და წაქცეული ჭურჭელიც ერთმანეთში აურია

შეწუხდა დედა.

ქალიშვილმა ვითომ არაფრად მიიჩნია.

— ნამტვრევები ცალკე დაალაგე, სერგო!

— რამ მოგკლა, საწყობის გამგევ?

— კვერცხი, ბიჭებო, კვერცხი!

— არიქა, მართლა, კვერცხი!

— კვერცხი, ქეთო, ხმა მოუვიდეს, მერე იცი რა ხმა აქვს? უუ, შენ კი გეგონაცვალე მაგ დაბრეცილ თვალებში! შენზე კარგად მარტო ზაქარიაძე თუ იტყვის! — და მეზობელმა საწყობის გამგე ჩაკოცნა.

მომღერალს კვერცხი ჩააყლაპეს.

— ეგ რა არი? ერთი კვერცხი რას უზამს? — მის გვერდით მჯდომი წამოდგა და კარში გავიდა.

მალე აივნის კუთხიდან კრუხის კრიალი და გაუგებარი ბუტბუტი მოისმა.

გარეთ გასული ისევ შემობრუნდა.

ხალათის აწეულ კალთაში ოცოდე კვერცხი ედო.

— წეღან კიბეზე რომ ამოვდიოდით მაშინ შევამჩნიე, — ღრეჯით განაცხადა და კარებთან მცირე ხნით შეჩერებულმა და მერე ფეხების ხლართვით საწყობის გამგისკენ წამოვიდა. გზაში სამფეხა სკამს წამოჰკრა ფეხი და პირქვე გაიშხლართა.

ძლივს წამოაყენეს დამტვრეულ კვერცხებში მოთხვრილი ძმაკაცი ბიჭებმა.

ქეთო შეცბუნდა და პირსაბანთან მიიყვანა წაქცეული.

— გაამოს, ლეოჯან, — ერთად დაიბღავლა რამდენიმემ. ერთადერთი, რაღაც სასწაულით გადარჩენილი და ჩაწიწილავებული კვერცხი გატეხეს და საერთო ხარხარში საცოდავ საწყობის გამგეს ძალისძალად გადააყლაპეს.

დიასახლისს კრუხის საცოდაობით და იმ კვერცხის დანახვაზე კინაღამ გული აერია და გვერდზე მიბრუნდა...

ისევ მიჰქროდა გზაზე ავტომანქანა.

მდინარე სტორში ძრავა ჩაუქრათ.

ბოთლით წამოღებული არაყი თითომ თითოჯერ მიიყუდა და მერე გაუხდელად ბარძაყებამდე შეტოპეს წყალში.

ბევრი იწვალეს, თითონაც დალბნენ, მანქანაც დაალბეს, როგორც იყო აამუშავეს და ისევ გზაზე გავიდნენ...

თითქმის მთელ სოფელ ეძინა, როდესაც მგზავრები ჭალისპირში შევიდნენ.

გაქანებული „მოსკვიჩი" შუა სოფელში შარისპირას მდებარე სასადილოსთან დამუხრუჭდა და შიგნიდან ერთმანეთზე მიწყობილი ბიჭები გადმოლაგდნენ.

სასადილო მუშტრის მისაზიდად გარეთ და შიგნით კარგად იყო გაფორმებული თადარიგიანი გამგის წყალობით. საერთო ოთახის გარდა სამიოდე წვრილ-წვრილი კუპე ჰქონდა, უკანა ეზოში გასასვლელი კარი და ეზოში ჭაღვინის ბოთლების ჩასაციებლად სიცხიან დღეებში. აზიდულიყო ჭის თავზე დიდრონი თუთა, და თავისი ხშირი ტოტებით ივლისის თაკარისაგან იფარავდა მის ძირში გამართულ მაგიდასთან მოპურმარილეთ. ეზოს წვრილად დახერხილი ფიცრის მაღალი მესერი ჰქონდა შემორტყმული და სხვა მოსახლეთა ეზოებისაგან სრულიად განმარტოებული იყო, რათა მოქეიფეთ უფრო თამამად და თავისუფლად მჯელხინათ.

მხოლოდ მზარეული და სასადილოს გამგე დახვდათ სასადილოში შესულებს. მებუფეტე და ერთადერთი ოფიციანტი წასულიყვნენ. მუშტარი არ ჩანდა, გარდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარისა, რომელიც ღვინისაგან გაფიცხებულ ტუჩებს წარამარა ატლაშუნებდა და დახლზე გადახრილი რაღაცას ელაპარაკებოდა გამგეს.

გამგემ შავი, ცოცხალი თვალები მიაპყრო შემოსულთ, ერთბაშად მიხვდა, ვინც ეწვივნენ, საბჭოს თავმჯდომარესთან ჩურჩულს თავი ანება და დახლიდან აჩქარებით გამოსული მუშტარს მიეგება. წინ წამომდგარ მოღრუბლულსა და ნაღვლიან ზაქროს გადაეხვია, გამარჯვება მიულოცა და გემრიე-

ლად ჩაკოცნა. შემდეგ დანარჩენებიც მოიკითხა და დაფაცურდა.

— ეგ არი, ახლა ვაპირებდი დაკეტვას, რაზე მზარეულს გავუშვებდი! ეგეთ ბუშტარს კი წელიწადში ორჯერ ვერ შეხვდები. რას დალევთ ბიჭებო? „წინანდალი“ მაქვს, „ნაფარეულიც“, ოუისპირული მწვანე და იყალთოური წითელი, ჩვენებური, რამდენიც გინდა. შვიდი მწვადი ააგე და ბუღლამა გააცხელე! ჰო, რა სიცხეები დაიწყო. ეს ჭა რომ არ მქონდეს, დავიხრუკებოდით. ხახვი და მწვანილი ბლომად დააჭერ, რაჟდენ! ბოთლებს ახლავე ჩავყრი ჭაში და ათ წუთში ყინულივით იქნება. რას დალევთ, ბიჭებო? გინდათ თითო ჭიქა თეთრი დალიეთ, —მაგარი ჭაჭაა, გინდათ კონიაკს მოგიტანთ — ძველია, ხუთვარსკვლავიანი. ზაქრო ზიზღით დაიღრიჯა.

— არ მინდა შენი ჭაჭა და კონიაკ-წინანდალ-ნაფარეული. მოიტა ჩვენებური ჭალისპირული. ხინკალი არა გაქვს?

გამგემ სინანულით მიირტყა შუბლზე ხელი და მზარეულს გასძახა:

— ბუღლამა გადმოდგი, რაჟდენ, და ხინკალი გააცხელე. სულ არ გამოვჩერჩეტდი ამ სიბერის დროს? რამდენი გავაცხელო, ბიჭებო?

— გააცხელე რამდენიცა გაქვს... ჩვენი კუჭი იგრეა მოწყობილი, რომ რკინასაც... მოინელებს. — ძლივს ასწია მაგიდაზე ჩამოდებული თავი საწყობის გამგემ.

მეინახენი ხარხარით დაეთანხმნენ და სასადილოს გამგეც ბუფეტისაკენ გაქანდა.

ხინკლით სავსე ორი ლანგარი ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში მოექცა და სუფრაზე გაჩნდა: თხლად დათლილი თუშური ყველი, ბრტყელფოთოლა წიწმატი, ნორჩი, მწვანე ფოჩებხასხასა ხახვი, წითლად მოელვარე ბოლოკი და კოხტად დაჭრილი კახური შოთის პურები.

— თითო კონიაკი მიგვერტყა, ზაქრო?!

— არ მინდა, ბიჭებო, თქვენ დალიეთ. მე კი, ჩვენებური რქაწითელი მომიტანე, კუპრაჭ!

— ახლავე, ზაქროჯან! ახლავე გაუჩენელს გავაჩენ. რქაწითელი მაქვს ისეთი, რომ მეფე ერეკლეს შეშურდებოდა.

სუფრაზე კონიაკი გაჩნდა და მაგიდას საბჭოს თავმჯდომარეც მიემატა.

— შენა, სიმონ, დაანებე ფაციფუცს თავი და მოდი აქ. მართალია, შეგარცხვინეთ, მაგრამ ჩემთან პური მაინც იჭმება... აბა, ეს ჭიქა ასწი! — და ზაქრომ კონიაკით სავსე ჭიქა გაუწოდა: — ერთი შენებურად თქვი რამე, რომ გულზე მომეშოს.

სასადილოს გამგე ახლოს მივიდა. ეს იყო ორმოც წელს გადაცილებული მაღალი და კარგი აღნაგობის კაცი, რომელსაც არც ისეთი სიმსუქნე ჰქონდა, როგორიც დახლთან დიდხანს მომუშავეთ ახასიათებთ. მარჯვენა თვალის უპე დალურჯებული ჰქონდა, ხოლო სახეზე მთელი კვირის გაუპარსავი შავი და ხშირი წვერი ღაწვის თავებამდე მოსდებოდა.

მან ჭიქა ასწია და სუფთა და მიმზიდველი ხმით დაიწყო:

— მე რა უნდა გითხრათ, ბიჭებო. მთქმელებიცა და მომგონებიც თქვენა ხართ. ქვეყანას უვლით და კარგსაც და ავსაც თქვენ უნდა გადაეყაროთ. ჩემი ხელობა კი გაუჭრელი საზამთროა. დილიდან მოვალ აქა და არ ვიცი, ის დღე როგორი გამომადგება. ყველა სიფათისა და მარიფათის კაცი შემოდის და გადის. — აქ კუპრაჭა შეჩერდა და დაწკურული და წყლიანი თვალებით შორს, მაგიდასთან მსხდომთა თავებს იქით გაიხედა. — კაცი? — იკითხა და მერე თვითონვე უპასუხა. — ცოცხალი კაცისას რას გაიგებ. შუბლზე არ აწერია და გული ხალათის შიგნითა აქვს. იცით, რა გითხრათ, ბიჭებო? მოდი ნამუსიან

მკვდრებს გაუმარჯოს და უნამუსო ცოცხლები შეიწყალოს.

სუფრა საერთო ხარხარმა შესძრა და მაგიდის თავზე დაშვებული ელნათურა ააცახცახა.

— უჰ, შენ გენაცვალე, მაგ ენაში... შენ დაღონებულ კაცს კი არა, მკვდარს გააცოცხლებ.

— ერთი მითხარი, ვისა გლოვობ და რატომ წვერი არ გაგიპარსავს?

კუპრაჭამ ყბებზე ხელი მოისვა და კისერი სასაცილოდ გადახარა გვერდზე.

— რა ვქნა, ვარლამ, გენაცვალე. ქვეყანასთან ეგრე პირშავადა ვარ.

— ეგ შენზე კარგად ვიცით, მაგრამ... ჰოდა, გაიპარსე და ახლა პირნათლად იქნები.

— ეჰ, ვალერიან, ნეტა ჩვენს კოლმეურნეობას მისცა ყოველ წელს ეგეთი მოსავალი.

უცებ ზაქრომ წამოიწია, სახელოზე ხელი წაავლო გამგეს. ახლოს მიიყვანა და სახეზე დააკვირდა.

— ეგ რა არი, სიმონ, რამ დაგილურჯა ეგრე ეგ თვალი?

კუპრაჭამ ჩაიღიმა და ისე ჩაიქნია ხელი, რომ ანიშნა არაფერიაო.

— ამ საღამოს ერთი ხევსური მეწვია. რაც მომთხოვა, ვაჭამე, — იმ ერთი ყივჩაღისა არ იყოს. რომ მოეკიდა ღვინო წასვლა დააპირა. ფასის გადახდა მოვთხოვე, სამარილე მესროლა. ეს მესამედ იყო, რომ ფულს არ იხდიდა. ერთხელ ვაპატიე, მეორედ ვაპატიე და ახლაც იფიქრა, ალბათ შევაშინე და ფულს იმიტომ არა მთხოვსო. ტკივილი არ შევიმჩნიე. მივედი, იმის მაგიდაზე გადავეყუდე და ვუთხარი: ეგრე რად აკეთებ მეთქი. იმან მუქარით შემომიტია და ხანჯალს დაუწყო წვალება, მაშინ გადავწვდი იმ ჯვრებიანი ხალათის საყელოში, სკამიანად დავითრიე და რომ დავაკერე, მაშინვე ყირაზე წავიდა... ცოტა ხნის შემდეგ სხვა ხევსურებმა გამოიარეს. მე მეგონა ხანჯლებს იძრობენ-მეთქი და სამწვადე შამფური დავითრიე, მაგრამ რაღა გესწავლებათ, მაგარი ბიჭები არიან ხევსურები, ფეხზე გაიყვანეს გარეთ და გაბრაზებულებმა თან წაიყოლეს: ყველგან შენ უნდა შეგვარცხვინოო.

ზაქრომ გადაიხარხარა.

— მამა ვაცხონე შენი და დედა. ენაც გიჭრის და მკლავიც. კიდევ კარგი, აქ არ ვიყავი, თორემ ერთ ძვალს არ შევარჩენდი მთელს.

ჭაში ჩაციებული ღვინო მოიტანეს და მაგიდაზე ჩაამწკრივეს ბოთლები.

— რას გაჩუმებულხარ, ზაქრო. თქვი რამე ქალაქის ამბები. გაზეთი კი წავიკითხეთ, მაგრამ ბაკურაძეს კარგ დღეს მაინც არ დააყრიდი.

ზაქრომ უნდილად გადახედა საბჭოს თავმჯდომარეს და ზანტად მიუგდო:

— ამაზე ნუ მელაპარაკები, ნასყიდ. — შემდეგ ჭიქისათვის არც კი შეუხედავს, ერთი ბოთლი აიღო, დაატრიალა და მოიყუდა. მსხვილ-მსხვილი ყლუპებისაგან მცირე ხანს ადი-ჩადიოდა ხორხი და როდესაც ბოთლი დაიცალა, მაგიდას ძლიერად დაჰკრა და განაგრძო: — ეს ოხერი ღვინოც აღარ მათრობს... მაგრამ ეკუთვნოდა, კარგი ბიჭია... შენ ე, საწყობის გამგევ! შენს საწყობში კი არა ხარ, სუფრაზე ხარ. აიღე თავი, შე ვირისთავო!

კუპრაჭამ ჩაიხითხითა.

— რამ გაასუქა ეს ღმერთძაღლი ეგრე, ერთი შეხედეთ, ლოტოს კოჭს არა ჰგავს?

მეგობრებმა სიცილით გამოაღვიძეს ბაჯაჯღანა თანამესუფრე და თითქმის ძალისძალად ჩაასხეს პირში სავსე ჭიქა ღვინო.

საწყობის გამგემ იხტიბარი არ გაიტეხა და, — ვითომც აქ არაფერია და ღვინოც თავის ნებით დავლიეო, — წაიღიღინა:

— გინდ მეძინოს, მაინც... — და თავი ისევ მაგიდაზე ჩამოუვარდა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მიჩიცხულავა

მ ე რ ც ხ ლ ე ბ ი

კვესავს ჰაერში კრიმანჭულის ხმა,
რაა სიმღერა უნაპერწკლებო?
უნდა იმღეროს ლექსმაც გულისთქმა,
თქვენ გაიხარეთ, ჰოი, მერცხლებო!

თქვენი ჭიკჭიკი ბევრჯერ ვინატრე,
ცისკრის ზარივით ელავთ, ენთებით,
და მიხარია, — ჩემს მობინადრეთ
ყოველ გაზაფხულს რომ ვახსენდები.

სად არ ყოფილხართ, სად დაფრინავდით,
გასცდით ინდოეთს, ქარს თუ ქაიროს,
სად დაგიღამდათ, — იქ დაბინავდით,
ლაღად გარწევდათ გზა საჰაერო!

თქვენ საგასტროლოდ სად არ იყავით,
როგორც მშვიდობის მახარობლები,
ალბათ, ესმოდათ, როგორც იგავი,
თქვენი ციური საგალობლები.

ალბათ, ხალისით ყველა გელოდათ,
ნახეთ მრავალი მხარეც ტანჯული,
იცოდნენ, რომ ხართ საქართველოდან?
რომ გურულია ეს კრიმანჭული?

ახლა, ზეიმით თქვენს დაბრუნებას
აყვავებული ხვდება თბილისი,
ახლაც ახარებს დედა-ბუნებას
მტკვრის ხმა უკვდავი და უტკბილესი.

წყლისპირ მიმოქრის ქარი დავლურით
და შრიალებენ მშვიდად ჭადრები,
სახლებს კი, სახლებს — აღმოსავლური
ჰშვენით ფოთლების მწვანე ჩადრები.

ჰა, ჩემი ბინაც ისევ აქ არის,
აღარ დაუწყებთ ძებნას მუდარით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ აქ არის თქვენი სახლკარიც,
საგალობელი და საბუდარიც.

ჩემო ჩიტებო, ახლოს მოფრინდით,
თქვენს ბუდეებთან მეც მადარაჯეთ,
ახლოს მოფრინდით და აფოფინდით
ცისკრად გაღებულ ჩემს ფანჯარაზე.

აი, დაიწყო მწვანის დაფენაც,
მთებს თითქო ფარჩა დააფარესო,
თქვენს აღტაცებას და აღმაფრენას
ზეცა არ ჰყოფნით საასპარეზოდ.

იმხიარულეთ, იჟრიამულეთ,
ჩაუნავარდეთ ტალღებს, წყაროებს,
ფრთები შეახეთ ჩვენს მკვიდრ მამულეთს,
დღეებს უმღერეთ სანეტაროებს.

ნაღლა აჰყევით მთებს და სალ-კლდეებს,
ხშირად თბილისის ნახეთ მშვენება,
სახლებს დახედეთ, სრა-სასახლეებს,
ძირს ბუდეებად რომ გეჩვენებათ.

შემოიარეთ არე მზიური,
უხვად გაშლილი ცისქვეშ მზისფერად,
შეუხმატკბილეთ ჰანგი ციური
ჩვენი ცხოვრების დიად სიმღერას.

მარად ბრწყინავდეს მხარე მშობელი
და მის კალთებში მზე ჩასახული,
იყოს მარადის დაუჭკნობელი
ჩვენი სამშობლოს ეს გაზაფხული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაღე ბოგოხიძე

სიცოცხლის დაგვადეგა

(1870 წ. 22 აპრილი)

ის დაიბადა უბრალოდ ისე,
ვით იბადება ამ ქვეყნად ყველა;
ხალხს მოევლინა მებრძოლი მტკიცე,
როგორც ავდრიან დღეს ცისარტყელა.

მას რუსმა დედამ უმღერა ნანა,
მას ყველა დედის ოცნება ზრდიდა;
გულს ჩაესახა სიცოცხლის ნამად
მშრომელი ხალხის მიზანი წმინდა.

ქრებოდა თეთრი ზამთარი ყინვით,
თბებოდა ჩაგრულ ერების კერა
და იწყებოდა აპრილის ბრწყინვით
კაცობრიობის ახალი ერა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

თოვლში... შავი მოკასინებით

ოთახში ორნი იყვნენ.

ერთი — დიდი სარკის წინ იდგა. ქოჩორს ივარცხნიდა. უხდებოდა მუქი კოსტუმი, თეთრ პერანგზე წვრილად შენასკვული შავი ჰალსტუკი. დაკვირვებით ათვალიერებდა სარკეში თავის თვალებს, წმინდად გაპარსულ ლოყებს, ახლად წამოზრდილ ულვაშებს...

მეორე — მაგიდასთან იჯდა. მოწყენით იჯდა და ჭაბუკს თვალს არ აშორებდა. ხან მის ახოვან მხარბეჭს ახედავდა, ხან სარკიდან მომღიმარ ფერმკრთალ სახეს. ჭაბუკი იღიმებოდა, მაგრამ თვალები მასაც ნაღვლიანი ჰქონდა. შავი მოწყენილი თვალები თითქოს მხიარული კაცის ნიღაბიდან იმზირებოდნენ.

ჭაბუკმა თმის ვარცხნა მოათავა, ყვითელ ფეხსაცმელებზე დაიხედა და ხელი ჩაიქნია. მერე კარგახანს დაფიქრებული იდგა... მაჯის საათზე დაიხედა. აჩქარდა.

— გარდერობის კარი გამოაღო.

მაგიდასთან მჯდარ კაცს თვალები აუჭრელდა, სარკიდან ნატყორცნმა შუქმა თვალი მოსჭრა. სახეზე ხელი აიფარა. როცა სარკე კიდევ შებრუნდა და შუქმა კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს რიალით გადაურბინა, კაცმა ისევ გახედა ჭაბუკს.

ჭაბუკს გარდერობიდან შავი წვრილწვერიანი ფეხსაცმელები გამოეღო, სკამზე ჩამომჯდარიყო და ყვითელ ფეხსაცმელებს იხდიდა.

— სად მიდიხარ? — ხმადაბლა თქვა კაცმა, როცა ჭაბუკი წამოდგა და ახალ, შავად აპრიალებულ ფეხსაცმელებზე დაიხედა.

ჭაბუკი მაგიდასთან მივიდა. ჭიქაში ღვინო დაისხა და თქვა:

— თორმეტის თხუთმეტი წუთია. წინასწარ მოგილოცავ ახალ წელს, მამი... აბა, უჩემოდ ნუ მოიწყენ. გვიან დავბრუნდები.

ჭაბუკს ღვინო არ დაულევია. დერეფნიდან პალტო შემოიტანა და ისევ სარკის წინ დატრიალდა.

— სად მიდიხარ? — გაიმეორა კაცმა.

— ამხანაგებთან ვხვდები.

— ვისთან, სტუდენტებთან თუ...

ჭაბუკი გასასვლელად მზად იყო.

— არა, მამი... შენ მათ არ იცნობ.

— ქალებიც იქნებიან?

ჭაბუკი შეყოყმანდა, გაიღიმა.

— იქნებიან.

— ამხანაგები?..

— არა... უნდა მოიყვანონ, — ჩუმად თქვა ჭაბუკმა..

კაცი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ჭაბუკის წინ გაჩერდა.

— რატომ ხვდები ახალ წელს უცნობ საზოგადოებაში?

ჭაბუკმა კარი გამოაღო.

— ბავშვი აღარ ვარ, მამი...

— ან ეგ ფეხსაცმელები რად ჩაიცვი. სადმე ყინულზე არ მოგისხლტეს, არ დაეცე...

— არ დავეცემი...

— დაეცემი...

— არა, მამი...

— ქუდი... ქუდი მაინც დაიხურე...

ჭაბუკი უქუდოდ გავიდა გარეთ. კაცი მარტო დარჩა.

„არ უნდა გამეშვა, არ უნდა გამეშვა“... — ჩურჩულით თქვა მან და სარკესთან მივიდა. სარკიდან საფეთქლებშეჭაღარავებულმა კაცმა შემოხედა, დაღლილი თვალებით.

„არ უნდა გამეშვა... ხომ შეიძლება, მართლაც ფეხი მოუსხლტეს. ყინავს“.

იგი დაფიქრებული იდგა სარკესთან, მაგრამ შიგ არ იყურებოდა.თანდათან მშვიდდებოდა. უნებურ სიამესაც კი განიცდიდა, მარტოობით თუ რაღაც სხვა გრძნობით გამოწვეულს. არა, ეს უეცარი და უცნაური გრძნობა მარტოობას არ მოუგვრია მისთვის. ამაში თანდათან რწმუნდებოდა. ეს იყო თავისუფლების სიამე.. გარეთ თოვდა, სასიამოვნოდ თოვდა. შეიძლებოდა კარის გამოღება და გასვლა. სადღაც სიცოცხლე ჩქეფდა. მას შეეძლო წასვლა. არავინ შეეკითხებოდა სად მიდიოდა. მას შეეძლო იქ შეხვედროდა ახალ წელს, სადაც მოისურვებდა. ქუჩაში, რესტორანში, მეგობრებთან, თბილ ოთახში, სადაც... აქამდე ეს ასე არ იყო. ბიჭი პატარა იყო და ამ ბედნიერ ღამეს მამაშვილი ყოველთვის ერთად ხვდებოდა. ახლა კი მარტო დარჩა. მარტო. რატომ მარტო?

„მივალ, მივულოცავ და ერთ საათში წამოვალ. ბიჭი გვიან დაბრუნდება“.

მან კედლის საათს შეხედა, მერე დერეფანში გავიდა, პალტო ჩაიცვა და ასე ჩაცმული დიდხანს იდგა. მერე საკიდიდან ქუდი ჩამოიღო და კარი გამოაღო.

თოვდა. ხვავრიელი ფანტელი ეფინებოდა ქუჩას. კაცი ფრთხილად მიაბიჯებდა. რაც უფრო ფრთხილობდა, უფრო მეტად აშინებდა ახალი თოვლით მოფიფქული გაყინული ქვაფენილი. შეჩერდა, ქუჩას გადახედა, მერე ნაბიჯი თამამად, გაბედულად გადადგა. სიმსუბუქე იგრძნო და სწრაფად წავიდა ჩასახვევისაკენ, საიდანაც თავდაღმართი იწყებოდა. ამ თავდაღმართის ქვემოთ ქალაქის მთავარი ქუჩა მოჩანდა.

მოსახვევთან ფეხი აუსხლტა და თუნუქის საწვიმარ მილს რომ არ მოსჭიდებოდა, მოლიპულ გზაზე წაიქცეოდა, თავი შეიშავრა. დასცხა. გაბრაზდა.

„ხომ შეიძლება მასაც მოუსხლტეს ფეხი...

კარგი იქნება დაეცეს. დაეცეს. ჰო, დაეცეს, რომ დაიმახსოვროს და სხვა დროს გაფრთხილდეს... დილით მოვა და მეტყვის:

„მამი, შენ დამნავსე.. მაგრა გავიხლართე... მაგრამ არაფერია, გაივლის“.

კარგი იქნება. კარგი.

დაეცეს ყინულზე. ფეხი მოუსხლტეს ყინულზე და დაეცეს.

მერე?

კედლის კუთხეს ან გაყინულ ქვას დაკრას საფეთქელი.. კეფა.

აჰა...“

ტაქსი გააჩერა, უკანა კარი გამოაღო და ჩაჯდა. მისამართი დაბალი ხმით უთხრა.

მანქანა რბილად, ცურვით დაეშვა თავდაღმართზე.

* * *

ფანჯარაში შუქი ენთო. მძიმე, თვალგაუვალი ფარდის იქით მაღალი, ბუნდოვანი ჩრდილი იდგა.

კაცი კიბეზე ჩქარი ნაბიჯით ავიდა. ზარი დარეკა. ერთხანს ელოდა, მერე ისევ დარეკა და დააკაკუნა. საათზე მოუთმენლად დაიხედა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა.

— ვინ არის? — გაისმა კარს უკან ფრთხილი ხმა.

— მე... — თქვა კაცმა ხმადაბლა და მიმოიხედა.

კარი უცებ არ გაუღიათ. მერე კი ერთბაშად, ხმაურით გაიღო. დერეფანში ნაცნობი სურნელი და სასიამოვნო სითბო იდგა.

ქალს კარის სახელური ისევ ხელით ეჭირა, შიშით, გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა მოულოდნელ სტუმარს.

შიშით... კაცს ასე მოეჩვენა .იქნებ ეს მხოლოდ გაოცება იყო ან სიხარული. ნახევრად ისევ კარში იდგა, თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა შინ არავინ შეეშვა.

— შემოდი... — უცნაური ხმით თქვა ქალმა და მაშინვე დაუმატა:

— რა კარგია, რომ მოხვედი!

თვალები კი ისევ შიშით თუ გაოცებით იყურებოდნენ, კაცის თვალებთან შეხვედრას გაურბოდნენ.

— არა, ნუ გაიხდი... რა კარგია, რომ მოხვედი. სანამ თორმეტი შესრულდება, ჩაირბინე, ღვინო ან კონიაკი ამოიტანე... სხვა ყველაფერი მაქვს.

— დალევის გუნებაზე არა ვარ. — თქვა კაცმა.

— არა, არა... ახლავე, ჩქარა!.. ჩაირბინე გასტრონომში .მე მინდა... შენ ხომ არასოდეს ყოფილხარ ჩემთან ახალწლის ღამეს. რა კარგია, რომ მოხვედი. სიამოვნებით დავლევ. იცი რას?.. აი, იმ კონიაკს. გახსოვს?.. ხომ იცი, მე ისე არ შემიძლია!

სხაპასხუპით, ხელისკვრით, კოცნით ისროდა ქალი და უკვე შეხსნილი პალტოს ღილებს ხელახლა უკრავდა... კაცი გრძნობდა მის მხურვალე კოცნას, შეუღებავი, მშრალი ტუჩების სითბოს, მაღალი მკერდის სიახლოვეს და უფრო მეტად იპყრობდა შეშფოთება.

— რა დაგემართა, მოიცა...

— არა, ხმა, კრინტი! ძალიან გთხოვ. ვიცი გეზარება, მაგრამ... ჩემთვის.. რომ მცოდნოდა, ასე არ დაგხვდებოდი. თორმეტი სრულდება. ჩქარა.

კაცმა ხელახლა იგრძნო უცნაური ნაზი ხელის კვრა, მის ზურგს უკან კარი ფრთხილად დაიხურა. კიბის თავზე ციოდა. ოთახში კი როგორ თბილოდა, რა სასიამოვნო, ჩვეული სიმყუდროვე იყო. მან ქუდი დაიხურა და კიბეზე დაეშვა. საფეხურებზე ფეხები ძლივს ჩაიტანა. პირველი სართულის ბნელი დერეფნის კუთხეში შეჩერდა.

„მოვკლავ... ვინც უნდა იყოს“.

იდგა და ელოდა. ჩაბნელებულ კიბეს გაჰყურებდა და ეჩვენებოდა, რომ დიდი, დიდი ხანია, რაც აქ დგას.

ზემოთ კარი ფრთხილად გაიღო. კაცმა იგრძნო, კარი ფრთხილად გაიღო და ვიღაც უხმაუროდ დაეშვა კიბეზე. უხმაუროდ, ქურდულად, თითქოს თვითეული საფეხურის ჩამოთვლით ჩამოდიოდა ვიღაც.

კაცი გრძნობდა, მან იცოდა, ქალი კიბის თავზე იდგა და თვალს ადევნებდა ფრთხილად მომავალ უცნობს. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა სიბნელეში მიმალულ კაცს... კარი ჯერ არ მიხურულიყო.

თვითონაც, როცა კიბეს ჩამოათავებდა, კარის ჩაკეტვის ხმას მხოლოდ მაშინ გაიგონებდა ხოლმე... ახლაც ასეა. ის ზემოთ დგას და ჩამოსცქერის როგორ ჩამოდის ვიღაც კიბეზე. როცა უცნობი კიბეს ჩამოათავებს, კარიც დაიხურება.

კიბის თავზე, მკრთალ ბინდში, ჯერ შავი ფეხსაცმელების პრიალა წვერები გამოჩნდა. მერე შავი ვიწრო შარვალი და შოკლე პალტოს კალთები.

უცნობს სახე და ზედატანი ზევით ჰქონდა შებრუნებული, ცალი ხელით მოაჯირს იყო დაყრდნობილი, ცალი ხელი არ ჩანდა, ალბათ ზევით ჰქონდა აშვერილი და რაღაცას ანიშნებდა კიბისთავზე გადმომდგარ ქალს.

„ვინც უნდა იყოს...“

უცებ ხმაური გაისმა .მოსხლეტილი ფეხის, აცდენილი ნაბიჯის... ზემოთ ვიღაცამ ხმადაბლა წამოიკივლა.

უცნობი კისრისტეხით ჩამოსხლტა კიბეზე. ცალი ხელი რკინის მოაჯირისათვის არ გაუშვია. ალბათ ამან გადაარჩინა. ბოლო საფეხურზე დაჰკრა ფეხი და მთელი ძალით გაირბინა სიბნელეში გაჩერებული კაცის წინ. არც მოუხედავს, ისე გავარდა ქუჩაში.

დაცარიელებულმა დერეფანმა ყრუდ გაიხმაურა.

ზემოთ კარი ჩაიკეტა.

კაცი თავჩაქინდრული იდგა და ყოყმანობდა.

სიბნელიდან გამოვიდა. კიბეს ახედა, ნაბიჯი ადგა ერთ საფეხურზე. ხელები უთრთოდა. მუხლები უკანკალებდა. მერე გამოუბრუნდა და ქუჩაში გამოვიდა.

მაღალი ჭაბუკი მოედანზე იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა, გამვლელებს ათვალიერებდა, თითქოს ვინმეს ეძებსო. მერე ქუჩა გადასჭრა, პირდაპირ მაღაზიაში შევიდა, მაგრამ მაშინვე გამობრუნდა.

„მე მეძებს“ — გაიფიქრა კაცმა, პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა.

ჭაბუკმა გაშუქებულ ფანჯარას შეხე-

და, მერე ტრამვაის გაჩერებასთან მივიდა. ტრამვაი რომ მოვიდა, კაცმა გადასჭრა ქუჩა, პაპიროსი გადააგდო და ვაგონში ავიდა.

ჭაბუკს ლოყები გაფითრებული ჰქონდა. მის თვალებს კაცი ვერ ხედავდა.

ტრამვაის ვაგონში სულ ოთხი-ხუთი კაცი და ერთი დედაბერი იჯდა. ეს ხალხი ნებსით თუ უნებლიეთ ახალ წელს გზაში ხვდებოდა. ყველას დაფიქრებული სახე ჰქონდა. ალბათ ამის გამო.

ტრამვაი რომ დაიძრა, ერთმა მგზავრმა მაჯაზე დაიხედა, ფეხზე წამოდგა, ჯიბიდან ბოთლი ამოიღო და წამოიძახა:

— მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო.

და დალია...

კაცმა საათზე დაიხედა. პირველის ათი წუთი იყო. რაც მანქანიდან გადმოვიდა და იმ საბედისწერო კიბეზე ავიდა. სულ ოცი წუთი გასულიყო, მაგრამ ეს ოცი წუთი საუკუნედ ეჩვენა. საათი უცნაური და გულცივია, მას არ შეუძლია აღნუსხონ ნამდვილი დრო, მისი მნიშვნელობა და ხარისხი. ის მხოლოდ წუთებს ითვლის.

„ყველა საათი ტყუის... სად არის მართალი საათი, სად?“.

ტრამვაი სწრაფად მიჰქროდა ბნელ ქუჩაში. მძღოლი რატომღაც ნერვიულად აწკარუნებდა ზარს. არავინ გადადიოდა სახიფათო მოსახვევებში. ზარი მაინც წკარუნობდა, აფრთხილებდა.

„ყველა საათი ტყუის...

არ შეგონა თუ მატყუებდა. მას ამის უფლება არ ჰქონდა, არა... მე ხომ მთელი გულით მიყვარს... მიყვარდა... ის იყო ჩემი სიყვარულიც... ცოლიც... სად არის მართალი კაცი, სად?..“

ტრამვაი მოედანზე გაჩერდა.

უცნობი ჭაბუკი ტროლეიბუსში გადაჯდა.

კაცი მის ზურგს უკან იჯდა. მას სუსტი კისერი ჰქონდა, შეუფერებელი განიერი მხარბეჭი, ქუდი არ ეხურა. კეფაზე თმა მრგვალად ჰქონდა შეკვეცილი.

„დავარტყამ“ — თქვა გუნებაში კაცმა, წამოიწია და ისევ დაჯდა.

„რა უნდა დავარტყა? ბუშტი?...

ასე არ ივარგებს... ხომ უნდა იცოდეს, რად, რისთვის გაიმეტეს?

ყველა საათი ტყუის...

ეს, ეს ყმაწვილი?

ესეც ხომ იცის, რომ ქურდობს, ვიღაცას სიყვარულს ჰპარავს... ასე რომ არ იყოს, რად გამოაგდებდნენ გარეთ... თოვლში. არც გამოვიდოდა. ესეც ტყუის“.

ჭაბუკი წამოდგა, ხელსაკიდს ცალი ხელით ჩაეჭიდა და ბარბაცით წავიდა ვაგონის კარისაკენ.

კაცი მის კისერს თვალს არ აშორებდა.

„არც ისე სუსტია, წელან რომ მეჩვენა“ — გაიფიქრა და ბრაზით დაუმატა — „სუსტი... სუსტი... თავს მაბრალებს“.

ჭაბუკი რუსთაველის პროსპექტზე მიაბიჯებდა.

„ასე დასდევენ მკვლელები თავის მსხვერპლს, ზვერავენ და ეძებენ შესაფერ წუთს“. — გაიფიქრა კაცმა და უცნობის მოქანავე მხრებს რესტორნის ვესტიბიულში შეჰყვა.

ჭაბუკმა პალტო გაიხადა და მეგარდერობეს მიუგდო.

„აჰა, რა კარგია ახლა ერთი ბოთლი ღვინო. წითელი ღვინო. სულმოუთქმელად...

იქ... იმასთან?..

არა, არა... აქ. ამასთან!“

— ერთად ხართ? — შეეკითხა მეგარდერობე, როცა კაცმა ქუდი და პალტო მიაწოდა.

— არა...

— ამხანაგო, ნომერი წაიღეთ!

ჭაბუკი მთვრალივით მობრუნდა, კაცს მხარი გაჰკრა, დაღლილი თვალები შეაფეთა. ბოდიში არ მოუხდია. ნომერი ჯიშები ჩაიდო.

კაცი სარკესთან მივიდა. უყურებდა თავის მოწყენილ, ამღვრეულ თვალებს და იდუმალ ზვერავდა შავკოსტუმიან ჭაბუკს.

ჭაბუკი დარბაზში შევიდა.

უკრავდა ორკესტრი. ისმოდა მოქეიფეთა ჟრიამული, სიცილი. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. აქაც ახალ წელს ხვდებოდნენ.

კაცს ტრამვაის ვაგონი გაახსენდა.

„ახალწელს ყველგან ხვდებიან.. ტრამვაის ვაგონში, რესტორანში, ზღვაზე... ცაშიც... ყველგან, სადაც მოუსწრებთ..."

ჭაბუკი დარბაზის თავში იდგა, ჩამწკრივებულ მაგიდებს შორის. თვალით თავისუფალ მაგიდას ეძებდა, იქნებ ნაცნობებს ეძებდა.

მერე დარბაზის ერთი კუთხისკენ წავიდა. იქ თავისუფალი მაგიდა იდგა.

კაცი უცებ არ მისულა იმ მაგიდასთან. საპირფარეშოში შევიდა. ხელპირი დაიბანა და ისევ დიდ დარბაზში გამოვიდა.

რაღაც თავბრუდამხვევს უკრავდა ორკესტრი. ორი წყვილი სწრაფად ცეკვავდა მცირე ესტრადის წინ, ხანდახან მაგიდებს შორისაც გაიელვებდა მუქი წითელი კაბა.

კაცი იდგა და ფიქრობდა. მას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო თუ არა იმ მაგიდასთან..

იქ, რესტორნის კუთხეში, ელექტრონის ყვითელ ბინდში მისი მტერი იჯდა.

— შეიძლება? — ჯერ სკამის ზურგს მოჰკიდა ხელი, მერე იკითხა კაცმა.

ჭაბუკს არც ახლა შეუხედავს მისთვის, თავი ოდნავ დააქნია და თვალით მოპირდაპირე სკამზე ანიშნა.

კაცმა სკამი გამოსწია და ჩამოჯდა.

ჭაბუკი მოუთმენლად ტოკავდა სკამზე. მან თავი ასწია, კაცს შეხედა და ზიზღით თქვა:

— ნახევარი საათია აქ ვზივარ და ველოდები..

ჭაბუკს დიდრონი, ამღვრეული თვალები ჰქონდა. ძლიერი გამოხედვა, შეკრული შუბლი. კაცმა თვალი ვერ გაუსწორა, განზე გაიხედა და ოფიციანტს ხელი დაუქნია.

— ნახევარი ბოთლი კონიაკი თავის მოსართავით... ჰო, ერთი კოლოფი სიგარეტიც — უთხრა ჭაბუკმა ოფიციანტს.

— ორივეს? — იკითხა ოფიციანტმა და კაცს გადახედა.

— არა, — უთხრა კაცმა. — მე ღვინო მომიტანე, წითელი. შემწვარი ხორცი, ცოტა მჟავე.

ჭაბუკს ძლიერი თვალები ჰქონდა.

ქალს არ შეეძლო ამ თვალებს არ დამორჩილებოდა. ეს ჟინიანი, უცნაური ბინდით სავსე თვალები ალბათ ყველასგან მორჩილებას მოითხოვდა. არა, ეს აღზრდის, განებივრების შედეგი არ უნდა ყოფილიყო. ძლიერი თვალები ძლიერ კაცთან ერთად იბადებიან.

ქალი ამ თვალებს ვერ გაუძლებდა.

„როგორც ქალებისგან ვიცი, მეც ასეთი თვალები მაქვს... ძლიერი..."

მან კვლავ შეხედა ჭაბუკს.

„... მაგრამ უკვე ჩამქრალი.. დაღლილი"...

ოფიციანტი დაბრუნდა.

კაცს შემწვარი ხორცი, ღვინო და მცირე საუზმე გაუშალა წინ. ჭაბუკს მწვანე პატარა გრაფინით კონიაკი დაუდგა. ცოტა პური და მჟავე კომბოსტო.

— მე შეიძლება მალე წავიდე, ახლავე გაგისწორდები, — უთხრა ჭაბუკმა ოფიციანტს და ხუთმანეთიანი გაუწოდა.

„ვერსადაც ვერ წახვალ.. სხვასთანაც გაქვს გასასწორებელი ანგარიში".

ჭაბუკმა მოზრდილ ჭიქაში დაისხა კონიაკი და მის წინ დაფიქრებით მჯდარ კაცს შეხედა.

— მაინც ახალი წელია.. გაგვიმარჯოს!

კაცმა ჭიქა ღვინით გაავსო და რაღაც წაიდუდუნა. ჭაბუკი მას არ უსმენდა, ერთბაშად გადაჰკრა კონიაკი, პურის ნაჭერი აიღო და ხარბად დასუნა.

ღვინოს მშრალი და მომჟავო გემო ჰქონდა. სასიამოვნოდ ჟონავდა სხეულის ყოველ ძარღვში.

რამდენიმე წუთის შემდეგ კონიაკი გრაფინის ძირში ღა იდგა, პატარა ჭი-

ქაც არ გამოვიდოდა. აღარც ღვინო ჩანდა ბოთლში.

ჭაბუკს სახე წამოსწითლებოდა. სკამის ზურგს მიყრდნობოდა, თვალები მოეჭუტა და ჯიუტად იმზირებოდა სადღაც, თავის ფიქრში.

„უნდა დავლიო... კიდევ, კიდევ... და მერე...“

კაცმა ოფიციანტს ხელი დაუქნია და ხმამაღლა უთხრა.

— ერთი გრაფინი კონიაკი და ღვინო... საჭმელიც წამოიღე!

..... რაც მოხდება, მოხდეს!“

ჭაბუკმა კაცს გაოცებით შეხედა, მერე წამოდგა.

— მიდიხართ? — ჰკითხა კაცმა. — კონიაკი თქვენთვის შევუკვეთე. —ოჰ!... რატომ წუხდებით?!

ჭაბუკი დაჯდა. კაცი ვერ მიხვდა ესიამოვნა თუ ეწყინა ახალგაზრდას მისი წინადადება.

— თქვენ რაღაც გაწუხებთ... —უთხრა კაცმა.

— მე აქ დასათრობად შემოვედი.

— მეც...

ოფიციანტმა სასმელი და შეკვეთილი საჭმელი მოიტანა.

— საქართველოში ეს სასწაულად არ ჩაითვლება, მაგრამ მაინც სიზმარში მგონია თავი. მე წასვლას ვაპირებდი... დაუთრობლად. თქვა ჭაბუკმა. ჰალსტუკი შეიხსნა და სკამის ზურგზე გადაჰკიდა. მერე საყელოც მოიხალვათა, თავისუფლად ამოისუნთქა.

—თქვენ უკვე მთვრალი ხართ.

ჭაბუკმა გაიცინა და ისევ დიდი ჭიქა გაავსო კონიაკით.

— გამოგიტყდებით, სინანულით ვაპირებდი ამ მაგიდის დატოვებას... ამაღამ დათრობის მეტი არაფერი მიშველის. ახალი წელი ჩემთვის ცუდად დაიწყო, ბედმა დამცინა... ახლა კი ისევ მილიმის. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

ჭაბუკმა თავისი ჭიქა კაცის ჭიქას მიუჯახუნა და გადაჰკრა... კაცმა უხმოდ გამოცალა ჭიქა და მოზრდილი ხორცის ნაჭერი დააყოლა. იგი გრძნობდა, როგორ თანდათან იბნიდებოდა და ივსებოდა მისი გონება ღვინით და ბოღმით.

— რატომ არაფერს სჭამთ?

— კონიაკს ძალიან უხდება სიგარეტი... მე საერთოდ ცოტას ვჭამ. ახ, რა კარგია ახლა შავი ყავა. ყავასაც ძალიან უხდება სიგარეტი.

მის გრძელ, თამბაქოს კვამლით გაყვითლებულ თითებში სიგარეტი ბოლავდა.

— ყავა მოიტანეთ! — დაუძახა კაცმა ოფიციანტს.

ჭაბუკმა სიგარეტის კოლოფი მიაწოდა კაცს.

— თქვენ რაღაც გაწუხებთ, — გაახსენა კაცმა.

ჭაბუკმა გაიცინა და მოსაუბრეს ურცხვი, ჯიუტი თვალებით შეხედა. — გყვარებიათ თუ არა ვინმე?..

კაცი გაუნძრევლად იჯდა. ეს კითხვა თავხედობად მოეჩვენა, ბრაზით გაფითრდა. იქნებ ეს გულუბრყვილო, დაუფიქრებელი ამოძახილი იყო. მას არ შეეძლო ხმის ამოღება, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თვალები დახუჭა.

— აი, თქვენ აქ, ამ მხიარულ რესტორანში ზიხართ და ღვინოს სვამთ ვიღაც უცნობ სტუდენტთან. ვინ გიყვართ? გიყვართ თუ არა, გყვარებიათ თუ არა ვინმე. რატომ მასთან ერთად არ ხვდებით ახალ წელს? სად არის ახლა ის?..

— მას სძინავს... სძინავს!.. — პირქუშად თქვა კაცმა. თვალები არ გაუხელია. არ შეეძლო ჭაბუკისთვის თვალებში შეეხედა.

— ბედნიერი ყოფილხართ... გჯერათ? დარწმუნებული ხართ?

— დიახ, მას დიდი ხანია სძინავს... სამუდამოდ! — კაცმა გაბოროტებით შეხედა მოსაუბრეს, თვალი ხანგრძლივად გაუსწორა. ჭაბუკი შეკრთა. დიდი, უსაზღვრო ნაღველი დაინახა უცნობი კაცის დიდრონ თვალებში.

— მაინც ჩემზე ბედნიერი ყოფილხართ, — თქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან, — მე ამ ერთი საათის წინ საყვარელმა ქალმა თავისი ოთახიდან გამომაგდო...

კაცმა წამოიწია და ბოთლს წაეტანა. თითები აუკანკალდა. ჭაბუკმაც წამოიწია და ბოთლს მისწვდა.

— მე დაგისხამთ...

— რატომ გამოგაგდოთ? — ხმადაბლა, სისინით ჰკითხა კაცმა და ათრთოლებული ხელები სუფრის ქვეშ დამალა.

— მეორე საყვარელი მოუვიდა და...

— მხდალი და ლაჩარი ყოფილხართ! — შეუძახა კაცმა და ზიზღით დააშტერდა ჭაბუკს.

— არა, დამშვიდდით... მან მითხრა, მოხუცი ბიძა მესტუმრა და შენი აქ ყოფნა უნერხულიაო. რაც წეღან ვთქვი, მხოლოდ ჩემი ეჭვია.

— ეჭვი კი არა სიმართლეა...

— რა იცით თქვენ?..

— ვიცი!

ჭაბუკმა დიდხანს უყურა კაცის გაცეცხლებულ თვალებს, მერე თავი ჩაღუნა.

— მართალი ხართ. მას ის ბებერი უყვარს.

— ნუთუ?.. — წამოიძახა კაცმა და უცებ გადაიხარხარა.

— რატომ იცინით?

— როგორ შეიძლება ახალგაზრდა ქალს უყვარდეს ბებერი... ის ბებერი, როცა ასეთი მშვენიერი ჭაბუკი ჰყოლია?!

— არ ვიცი... მითხრა, ბიძა მომივიდაო და დავუჯერე. მიყვარს და დავუჯერე. კი არ დავუჯერე, დავემორჩილე. მას ეხლა სხვის მკერდზე სძინავს.

— სძინავს? — გაეცინა კაცს.

— ნეტავ რომელი საათია?..—თავისთავს ჰკითხა ჭაბუკმა და წამოდგა.

კაცმა საათზე დაიხედა.

— სამის ნახევარი გამხდარა.

— თქვენი საათი წინ უნდა გარბოდეს... ერთი საათიც არ იქნება, რაც აქ შემოვედი.

— ყველა საათი ტყუის! — თქვა კაცმა და ღვინო დაასხა.

გრაფინში კონიაკი აღარ იდგა. კაცმა მიიხედ-მოიხედა. წითელი კაბა ისევ ფრიალებდა მაგიდებს შორის. მაგრამ მუსიკა აღარ უკრავდა. ქალი მდგომარეობდა და ვაჟს ეკროდა მკერდზე.

— დიახ, — ხმამაღლა თქვა ჭაბუკმა, — ყველა, ყველა ტყუის! ყველა ქალი ტყუის!

— დაჯექი! — უბრძანა კაცმა. ჭაბუკი დაჯდა. კაცი ისევ ფეხზე იდგა. — ყველა არ ტყუის. არ ტყუოდა დედაჩემი, ალბათ, არც დედაშენი... არ ტყუოდა ჩემი ცოლი! მან ჩემი შვილი გაზარდა და მოკვდა... დავლიოთ მათი სადღეგრძელო!

— მაინც ყველა ქალი ტყუის! — თქვა ჯიუტად ჭაბუკმა და წითელი ღვინო კონიაკის ნარჩენში ჩაასხა. გამოცალა, ტუჩები მოიწმინდა და კიდევ დაიძახა:

— ტყუის! ტყუის! ტყუის!

მერე ფეხი ჰკრა გვერდით მდგარ სკამს. სკამი რახუნით გადაბრუნდა. კაცმა ერთხელ კიდევ დაინახა, შავი, პრიალა ფეხსაცმელის წვეტიანი ცხვირი. ჭაბუკმა ჭიქა მაგიდაზე დადგა, სკამი ფეხით წამოაყენა და თავის ადგილას მოაცურა.

— ბოდიში... — თქვა მან.

„არ უნდა გამეშვა“... — ხმამაღლა თქვა კაცმა და უნებურად შეკრთა, მიმოიხედა.

ოფიციანტი მაგიდას მოუახლოვდა, დაიხარა და კაცს რაღაც უჩურჩულა. კაცი გაფითრდა. როცა ოფიციანტი წავიდა, ხმადაბლა თქვა:

— მამა-შვილი ვგონივართ... რა გაჩხუბებთო.

— მამა, მამა! — დაიყვირა ჭაბუკმა, გრძელი ხელები გაშალა; მაგიდაზე გადმოიხარა და ტუჩებში რამდენჯერმე აკოცა კაცს. მერე სკამზე მოწყვეტით დაეცა და შუბლით მაგიდას დაეყრდნო.

„არ უნდა გამეშვა, არ უნდა გამეშვა... არ დავუშალე, მტკიცედ არ დავუშალე... არ დავუშალე, თავისუფლება მინდოდა, გავლა, მასთან... სადღაც

გულში მინდოდა, ამიტომ არ დავუშალე, როგორც საჭიროა, თორემ არ წავიდოდა. არ წავიდოდა ახალთახალი შავი მოკასინებით. ახალი, მოუხეშავი ფეხსაცმელით სიარული კი მოყინულ გზაზე სახიფათოა. არ უნდა გამეშვა!"

— მე მამაჩემი არ მინახავს. სურათითაც კი არ ვიცნობ. დედას ეზიზღება... იქნებ თქვენა ხართ მამაჩემი. — ჩურჩულით თქვა ჭაბუკმა.

— სისულელეს ნუ როშავ!

ჭაბუკმა თავი ასწია. ისევ წამოდგა, მაღლა აიხედა და დარბაზის თაღზე გაჩახჩახებულ ხომლს გაუშტერა თვალი.

— მაგრამ მე მივაღწევ ჩემს საწადელს და ვანანებ. ყველას ვანანებ. იმასაც!

— ვის? — შეეკითხა კაცი.

— ის მოვა... ჩემს წინ დაიჩოქებს!

— ვინ? ვინ დაიჩოქებს თქვენ წინ?

— ეკა... ჩურჩულით თქვა ჭაბუკმა და სკამზე დაეშვა.

...ეკა...

აქამდე, სანამ მისი სახელი არ ახსენეს, კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა, არა სჯეროდა. ჩურჩულით ნათქვამმა სახელმა თითქოს მეხივით დაიჭექა სიჩუმეში, ირგვლივ ყველაფერი დაამსხვრია, შეაქანა ნათელი დარბაზის თაღები, ააფრიალა აბრეშუმის გრძელი ფარდები. წკრიალით დალეწა მაგიდებზე გამწკრივებული ბროლის ვაზები და მაღალი ჭიქები... ხალხი, მაგიდები, ყველაფერი გაქრა. ჩანდა მხოლოდ ჭაბუკის გაფიცხებული ბაგე, რომელმაც ჩურჩულით თქვა: ეკა!

კაცს მოუნდა გაქცევა, რესტორნიდან სასწრაფოდ გასვლა. თოვლში სირბილი. ფეხით სირბილი. მისვლა მასთან. მისი გაღვიძება და ყვირილი: ეკა, ეკა!

— ეკა! — დაიძახა მან.

— დიახ, ეკა... — ჩურჩულით თქვა ჭაბუკმა.

მაგრამ ჯერ ყველაფერი არ იყო თქმული. ჯერ დაწვრილებით არ იცოდა ყველაფერი. ჯერ კიდევ არ იცოდა, რის შეტყობაც საჭირო იყო.

ვიზე გასცვალა, ვიზე?

ამ უნდილზე?

ცოლის სიკვდილის შემდეგ ეკა იყო მისი ცოლიც და მეგობარიც, ვნებისა თუ ნაღველის გამქარვებელი. ქალი, ერთადერთი, საყვარელი და სასურველი ქალი. ერთი საყვარელი უნდა ჰყავდეს კაცს. უცოლოს, ქვრივს, მხოლოდ ერთი, თანაც კარგი.

.....

— როცა ცოლი ცოცხალი გყავდა, მაშინ უფრო გგრძნობდი, შორიდან უფრო განვიცდიდი შენი თვალების, შენი სხეულის ძალას... ახლა.

— დავბერდი.

— არა, არა, კი არ დაბერდი, რაღაც დაგაკლდა თითქოს, ის რაღაც, რაც შენში კარგი იყო, მან წაიღო. მას ეკუთვნოდა.

— გაჩუმდი...

— ალბათ, მაშინ მეც მეტად გიზიდავდი... ახლა მე ვარ შენი ცოლი. შენი ცოლი, ამიტომ...

— არა. მას შემდეგ დრო გავიდა, ხანში შევედი, შენ კი რაღაც სხვა გეჩვენება.

— ნუ ბრაზობ.

— იშოვნე ვინმე ჭაბუკი...

— არც კი გრცხვენია... არა, არა... მე სხვას ვერ ვიგრძნობ, მე არ მიყვარს უნდილი, უმწიფარი ჭაბუკები. ნუ ბოდავ... ნუ ბრაზობ. სხვაშიც შენ დაგინახავ.

— გაჩუმდი, ეკა... მე აღარ მოვალ შენთან.

.....

— რატომ გგონია, რომ დაგიჩოქებს?..

— ვინ?

კაცს ქალის სახელის თქმა უმძიმდა, ეგონა, მხურვალე მუგუზალივით დასწვავდა ეს სახელი მის ბაგეებს, ამიტომ ჩუმად თქვა:

— ის ქალი...

— ჰო, ეკა? ეკა დაიჩოქებს ჩემ წინ. იმ ბებერს მოიშორებს. მას მე ვუყვარვარ.

— მაშინ იმას გამოაგდებდა ქუჩაში, შენ კი არა.

— ეკას არ მოწონს ჩემი სტუდენტური ჯიბე... აქ რომ შემოვედი, მხოლოდ მისი მოცემული ფული მედო ჯიბეში.

„ნუთუ ეს მართალია? ნუთუ ასე უსინდისოა ეკა? იქნებ სხვა ეკაც ცხოვრობს იმ სახლში?.. სისულელეა... სიბრიყვე: აქამდე ვერ მიხვდი, ვისთან გქონია საქმე. მაგრამ, არა...

.....

ეკას ორი ოთახი ჰქონდა. ერთში სამუშაო მაგიდა ედგა. მეორეში რბილი საწოლი და მაგარი ტახტი, რომელზეც ფერად-ფერადი მუთაქები და ბალიშები ეყარა. ერთხელ კაცი ამ ტახტზე გულაღმა იწვა. მოპირდაპიროე კედელს მისჩერებოდა. კედელზე ფერდაკარგული შპალიერი იყო გაკრული. ძველი, მზისგან გახუნებული შპალიერი. მხოლოდ ერთ ადგილას მოჩანდა მკვეთრად დიდი, ოთხკუთხი მუქლურჯი ფონი. ოდესღაც ეს შპალიერი მთლიანად მუქი ლურჯი უნდა ყოფილიყო.

— ეკა? — დაიძახა კაცმა.

ეკა მეორე ოთახიდან გამოვიდა და ტახტზე ჩამოჯდა. ხელში სამზარეულო დანა ეჭირა.

— ეკა, აქ ვისი სურათი ეკიდა?

ეკა გაფითრდა. შეკითხვა არ ესიამოვნა. კაცი წამოჯდა.

— ვისი სურათი ეკიდა? —

— განა აქამდე არ შეგინიშნავს? დედაჩემის...

კაცი გულაღმა გადაწვა და თვალები დახუჭა. თითქოს რაღაც გათავდა. გათავდა თუ დაიწყო, ძნელი იყო გარკვევა.

— ორი-სამი კვირაც იქნება, რაც ჩამოვხსენი და მეორე ოთახში ჩამოვკიდე.

კაცს თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა. მას აწვალებდა ეჭვი. ვერ გაერკვია, რა გათავდა, რა დაიწყო. რა გათავდა ორი-სამი კვირის წინათ და რა დაიწყო.

კაცს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ხედავდა ეკას გაფითრებულ სახეს.

— ამ ოთახში უხერხული იყო... ისე მეჩვენებოდა, თითქოს სამდურავით ივსებოდა მისი თვალები.

კაცს გააჟრჟოლა. მან ცხადად დაინახა დიდი, სევდიანი თვალები, რომლებიც კედლიდან იმზირებოდნენ. ეს თვალები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ამ კედლებ შორის. წლების განმავლობაში იმზირებოდნენ განიერი წაბლისფერი ჩარჩოდან და უთვალთვალებდნენ მათ. უთვალთვალებდნენ. მაგრამ სამდურავით არ ივსებოდნენ. და მოხდა რაღაც. ორი-სამი კვირაა, რაც შვილმა სამდურავი იგრძნო, ორი-სამი კვირაა, რაც რაღაც გათავდა და რაღაც სხვა დაიწყო.

დიდხანს, დიდხანს იწვა კაცი გაუნძრევლად, თვალდახუჭული.

— ეს... ეს მას შემდეგ, რაც... — ხმის კანკალით წამოიწყო ეკამ და უცებ ბრაზიანად წამოიძახა:

— იცოდე, აქ აღარ შემოგიშვებ!

და ფეხზე წამოდგა.

მას სახე გაფითრებული აღარ ჰქონდა. თვალები ნაპერწკლებს ყრიდა. ლოყები წამონთებოდა, ნესტოები დაბეროდა. ახ, რა ლამაზი, რა მაცდური იყო.

.....

„ვს... ეს მას შემდეგ, რაც...

ალბათ, მას შემდეგ იყურებოდნენ დედის თვალები სამდურავით, რაც ეს ჭაბუკი შეიყვანა იმ ოთახში...“

მას კი წმინდა, წმინდა ქალი ეგონა ეკა. ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, ცოლად შეერთო.

.....

— რატომ მოგცა ფული? — შეეკითხა კაცი.

— რომ დააკაკუნეს, უკვე ჩაცმული ვიყავი და კართან ვიდექი. ჯიბეში

ის ხუთმანეთიანი მედო, წეღან ოფიციანტს რომ მივეცი. კონიაკის საყიდლად უნდა ჩამერბინა. მან ხელი მკრა და საწოლ ოთახში შემაგდო.

„ამიტომაც დავუჯერე და გამოვბრუნდი... საკიდზე მხოლოდ ეკას პალტო ეკიდა“. — გაიფიქრა კაცმა.

— პატარა სუფრა იქვე გვქონდა გაშლილი. მხოლოდ სასმელი გვაკლდა. ამაზე მე უნდა მეზრუნა, მაგრამ... — ჰაბუკმა ჩაიცინა. — მე მომცა ხუთმანეთიანი და მთხოვა მაღაზიაში ჩამერბინა. თორმეტი სრულდებოდა... ჰო, თორმეტი სრულდებოდა, რომ დააკაკუნეს.

მე გაბრუებული და შემკრთალი ვიდექი საწოლ ოთახში. არც გამიგია რა უთხრა იმ კაცს. რატომ გააბრუნა... გაფითრებული შემოვიდა...

— ასე უცებ სადღა მოასწრო გაფითრება? — ბურანში მყოფი სიცხიანივით ამოაბოდა კაცმა.

— ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავისთავად გაფითრდება... უცებაც.

„არა, არა, მე სხვა რამეს ვამბობ, — ფიქრობდა კაცი, — მას თვალები შეშფოთებული ჰქონდა, მაგრამ ლოყები უხურდა (სირცხვილით?) გაწითლებული ჰქონდა. მერე, მე რომ გამომისტუმრა, უცებ, უნებურად გაფითრდა“.

— ეკას აღელვება მეც გადამედო. გარეთ გამოვვარდი... თოვდა. მივრბოდი და მეჩვენებოდა, თითქოს უკან ვიღაც მომდევდა და მზვერავდა. ვიცოდი — მეჩვენებოდა, მაგრამ უკან გახედვისა მეშინოდა... თითქოს ჩემს უკან ვიღაც იდგა. ტრამვაიშიც, ქუჩაშიც.

ჰაბუკმა თვალებში შეხედა მოსაუბრეს, დააკვირდა, ერთხანს იყუჩა.

— ახლა ის უკვე მთვრალია და იმ კაცის მკლავებში...

— სმა უყვარს? — ისევ სიცხიანივით წამოიყვირა კაცმა.

— უყვარს... მე ისე არ მიყვარს, როგორც იმას. როცა ვხვდებით, ერთნაირად ვსვამთ, ვითრობით და სინათლეს ვაქრობთ. ახ, წყეული, რა ქალია!

...კაცი კი როცა მასთან მიდიოდა, არა სვამდა. ეკა სვამდა და კაცი უყურებდა, როგორ ითრობოდა მის თვალწინ სასურველი ქალი. ეს ძლიერ მოქმედებდა კაცზე. თვითონაც რომ დამთვრალიყო, დაჰკარგავდა ამ სიამოვნებას; ქალი აძალებდა, მაგრამ არ სვამდა. მას უნდოდა ფხიზელს ეცქირა მთვრალი ქალისთვის, მკერდგაღეღილი ლამაზი ქალისთვის, რომელიც თანდათან ითრობოდა, მღეროდა, ჰკარგავდა სიმორცხვეს, მოკრძალებას. მას ეგონა მხოლოდ მის წინ შიშვლდებოდა ამგვარად ეს ქალი. პატიოსანი ეგონა და ფიქრობდა, პატიოსნებსაც აქვთ ამგვარი უნარიო. რატომ არ შეიძლება ხანდახან პატიოსნებაც ურცხვი იყოს, რომ გიჟური ვნება მოჰგვაროს კაცს. რატომ უნდა ეკუთვნოდეთ ეს უპირატესობა მხოლოდ სიძვის დედაკაცებს?

. . . . . .

ისევ თოვდა. განთიადი იისფრად შედიოდა აბრეშუმის თხელ ფარდებში. რესტორნის დარბაზში აღარ უკრავდა მუსიკა. დარბაზში სიბნელე და სიჩუმე იყო.

ბნელი შენობის წინ, თოვლში ორი კაცი იდგა. ათოვდა ქუჩის პირას თეთრად ასვეტილ დათოვლილ ნაძვებს, ყვავილების კვლებს, უშნოდ შეკრეჭილ ჯუჯა ბუჩქებს..

ორი კაცი იდგა ჩუმად და ერთმანეთს შესცქეროდა. საიდანღაც ყრუდ მოისმოდა სიმღერა. ეს სიმღერა უფრო აძლიერებდა სიჩუმეს და თოვას. ხანდახან ქუჩის ბინდში გამოჩნდებოდა მწვანე შუქი და მერე მანქანა გაიქროლებდა დათოვლილ პროსპექტზე.

კაცი ხელს უქნევდა, მაგრამ მანქანა არ ჩერდებოდა.

— უნდა წავიდე... — თქვა ჰაბუკმა, — თენდება... უკვე წაეთრეოდა.

— წასული რომ არ იყოს?..

— მაინც უნდა წავიდე... კარს შევუმტვრევ და შევალ.

კაცი ახლოს, სულ ახლოს მივიდა ჭაბუკთან, მაჯაზე ხელი შეავლო, მოსწია და თვალებში ჩააცქერდა.

— მერე?..

— მოვკ...

კაცმა ხელი ჰკრა, ოდნავ, მაგრამ მკვეთრად და მოულოდნელად, ჭაბუკი უკან-უკან ბარბაცით წავიდა. მერე ფეხი აუსხლტა და თოვლში გულაღმა წაიქცა. ფართხალებდა, ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ მოლიპულ ფილაქანზე ფეხს ვერ იკიდებდა.

„არ უნდა გამეშვა... არ უნდა გამეშვა“... — ზარივით რეკდა კაცის გაბრუებულ თავში... ის შუა ქუჩაში იდგა და ზიზღით დაჰყურებდა ჭაბუკს. მერე მივიდა, პალტოს საყელოში სწვდა.

— ვინა ხარ? რა გინდა? რატომ ვწევარ თოვლში? — ბურტყუნებდა ჭაბუკი და უაზრო თვალებით შესცქეროდა კაცს, რომელიც მის წამოყენებას ცდილობდა.

— დავთვერი?... რა დამემართა?... რატომ წავიქეცი. რატომ ვზივარ თოვლში?

— ადექი, — უბრძანა კაცმა

— აჰ, თქვენ?... თქვენა?... ბოდიში... ჩვენ ხომ ერთად დავლიეთ... სად ვართ ახლა? ახ, ეს წყეული მოკასინები!

ისინი შუა ქუჩაში, თოვლში იდგნენ. თოვლი ეფრქვეოდათ თავზე, მხრებზე, გაოფლილ სახეზე ადნებოდათ.

კაცმა მანქანა გააჩერა.

— წადი... წადი შინ! — უთხრა მან ჭაბუკს, — დედა გელოდება.

— დედა, დედა! — დაიკვნესა ჭაბუკმა და შოფრის გვერდით ჩაჯდა.

კაცმა უკანა კარი გამოაღო, ჩაჯდა და იკითხა:

— საით წავიდეთ?..

მანქანა მიჰქროდა. თოვლის ფანტელი ფრიალებდა მინის წინ. პეპლებივით აწყდებოდა გაყინულ მინას, ეკვროდა, ეყინებოდა, სახვეტელა სწრაფად მუშაობდა, წმენდდა მინას. ქუჩა ბინდში გაწოლილიყო.

— აქ გამიჩერეთ, — თქვა ჭაბუკმა.

მანქანა ხმაურით დამუხრუჭდა. კაცმა სახლი შეათვალიერა: ზევით, მეოთხე თუ მეხუთე სართულზე ფანჯარაში შუქი ენთო. ჭაბუკი მანქანიდან ბარბაცით გადმოვიდა, ხელები იმ ფანჯრისკენ გაიშვირა და ჩურჩულით თქვა:

— დედა...

ფანჯარა გაიღო. ჭაბუკი უკანმოუხედავად წავიდა დიდი სახლის შესასვლელისკენ.

კაცი ისევ უკან იჯდა.

„ახლა ეკა მარტოა და მელოდება. მე თუ მას?... მელოდა. სძინავს. გულაღმა წევს, მშვენიერი, ხორბლისფერი მკლავები თხელი საბნის ზემოთ უწყვია, ბაგე ოდნავ, სულ ოდნავ აქვს გაღებული და...

— საით წავიდეთ?—შეეკითხა მძღოლი.

— შინ... — თქვა კაცმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ყოველ ამინდში გავზაფხულდეგი

ნუ მეკითხებით, მუდამ თქვენსკენ რად მოვიჩქარი,
ახალგაზრდობავ, სულს მიბრუნებს თქვენი ღიმილი.
რომ შემოგხედავთ, ამენთება თვალში ცისკარი
და მიამდება ქვეყნიური გულის ტკივილი.

მიწას ნერგით სცნობთ, გადაკარგულ ვარსკვლავს — კამკაშით,
შეუბოვრობით უკვდავებას უდებთ სათავეს...
მინდა გამოგყვეთ მიწის გულში, ცის კამარაში,
ჯერ სიჭაბუკის ჩემი წილი ვერ გავათავე;

ჯერ, როგორც უნდა, მთელი ტანით ვერ გავიმართე,
ბედის მწერალთან კვლავ გულდაგულ უნდა ვიდავო.
ნუ მოკლებოდეს თქვენი სითბო, თქვენი სინათლე
ჩემი ოცნების ციხე-დარბაზს და კარ-მიდამოს.

გეტყვით, ეჭვთანაც მაქვს სადავო და საკამათო,
ამივლ-ჩამივლის, არ ასვენებს ჩემი სახლ-კარი...
ჰოდა, რომ ფიქრობს, რომელიღაც ფესვი მღალატობს,
უცებ იმ ფესვზე ამოსკდება მწვანე ნაყარი.

თქვენ იმ ნაყარის სინედლეც ხართ, ხვალის ყვავილიც,
ქვეყნის სიფხიზლე, საჭიდილო ძალის მოკრება.
დარდი, როგორიც უნდა იყოს, ვიცი გამივლის,
ფესვიც იფესვებს და ნაყარი კვლავ ამოსკდება;

ჭირხლს ჩამობერტყავს თმა-წვერიდან დროის დიდედა,
სიმღერასავით მომინდება გაზრდა ხნულების.
ახალგაზრდობავ, ოღონდ მყავდეთ სულის იმედად,
ყოველ ამინდში აპრილივით გავზაფხულდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

ნიალვარი*

თავი მეშვიდე

სხვა დროს თბილისი მხიარულად შეგებებია სანდროს.

სადგურის ბაქანზე, შენობებში, ვაგზლისწინა მოედანზე და მთელ ქალაქში სინათლე არ ენთო. ავტომობილები ლურჯი, მკრთალი სინათლით იკვლევდნენ გზას. იყო ფრთხილი და ჩუმი მოძრაობა. გულდახურული ადამიანები ლანდებივით დადიოდნენ.

გული მოეწვა სანდროს. ძმას ხელი მოჰკიდა და ვაგზლის მოედნისაკენ წაჰყვა ხალხის ნაკადს. ქალაქში გასასვლელთან დამხვდური ხალხი ირეოდა, ბნელში უხმობდნენ თავისიანებს.

...მაგრამ სანდროს ყურს არ გამოჰპარვია დედის დაძახილი.

დედა იდგა რკინის მოაჯირთან, იქვე ახლოს, გასასვლელში. მარტო წამოსულიყო და გულის ფანცქალით ელოდა შვილებს, ცდილობდა აუცილებლად შეხვედროდა მათ, რომ შინ მარტონი არ წასულიყვნენ ამ უკუნეთში. და აი, ისინიც ბნელში გამოვიდნენ და წინ დაუდგნენ. დედა ვერ ხედავდა მათ სახეებს.

— თქვენ გენაცვალოთ დედა! — ორივეს მოეხვია და გულში ჩაიკრა. როცა ბაქანზე გამოვიდნენ, დედამ ამოიოხრა, — დაგვიბნელეს სიცოცხლე... თქვენი დარდი მკლავდა, როგორ იმგზავრებდით...

— ჩვენ რა გვიჭირს, — მიუგო სანდრომ და დედას მიეკრა, როგორც წინათ იცოდა, პატარობისას, სიბნელეში რომ შეშინებულა. მაგრამ ახლა შიში როდი აკრთობდა. არ ესიამოვნა თავისი ქალაქის ასეთი შუბლშეკრული დახვედრა.

ფეხით წავიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ საბურთალოს შეღმართს შეუყვნენ და ამ დროს ცაზე პროექტორის დიდმა ენამ მოლოკა ცის კიდური. მისმა შუქმა გაანათა გაყუჩებული შენობები. ქალაქი თითქოს რაღაც დიდ უბედურებას ელოდა. იდგნენ ეს თვალჩაღამებული სახლები, რომელთა წინ, ქვაფენილზე, კანტი-კუნტად იძროდნენ ადამიანთა ლანდები. მკრთალმა შუქმა ქუჩის ბოლომდე გადაიარა. პროექტორის ენა უცებ გადაეშვა ქვევით და გაქრა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ სამნი. იქ, სადაც აღმართი თავდებოდა, ცის კიდური მოჩანდა. ცა შედარებით ბაცი იყო და მის ფონზე იხატებოდა საბურთალოს მეტნაკლებად დიდ-პატარა შენობათა ლანდები.

აქ მეტი მყუდროება სუფევდა.

კაცი ვერ გაიგებდა, ეძინათ თუ ეღვიძათ ამ უბნის ბინადართ.

მეზობლები არ ჩანდნენ. მამა შინ არ იყო.

დედას კარ-ფანჯარაზე გაეკრა შავი მუყაო, რომელსაც ღამით, დაწოლისას ხსნიდა ხოლმე.

ლამპის შუქი კედელზე აუარება ლანდებს აჩენდა, ლანდებს საოცარსა და სასაცილოს.

— ელექტრონს რატომ არ ანთებ? — ჰკითხა სანდრომ დედას.

— გამოთიშულია. ერთი კვირაცაა დენს არ გვაძლევენ, ქარხნებს აღარ ჰყოფნითო. თანაც, რა საჭიროა, ჩვენ მაინც სიბნელეში ჯდომა გვიწერია.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ვახშმობის შემდეგ დედამ ლამპა ჩააქრო და შავი მუყაო ჩამოხსნა ფანჯრებს, კარი გააღო, რომ ცოტა სიგრილე შემოსულიყო შინ.

ამ ათიოდე წლის წინათ ფარნა ცოტა ხნით ჩამოვიდა ქალაქში. დურგლად მუშაობდა რომელიღაც მშენებლობაზე, თბილისში მისმა ნათესავმა ერთი პატარა ოთახი მიაქირავა, სადაც დურგალმა სახელოსნო და საცხოვრებელი ბინა ერთად გაიმართა.

ოთახი ძველი იყო. ხანდახან წვიმა ჟონავდა. ფარნამ შეაკეთა ჭერი, კარ-ფანჯარა გამოუცვალა, იატაკი დააგო და ოთახს დაამსგავსა.

ფარნა მალე აიბარგა ქალაქიდან, თავისი დაზგითა და იარაღით ისევ სოფელში დაბრუნდა, ხოლო ამ პატარა ოთახში თავისი ქალი და სიძე დააბინავა, რომელთაც ორი ვაჟი შესძენოდათ და უბინაობის გამო ხან სად იყვნენ, ხან სად.

ეზო დიდი არ იყო. აქ იდგა ერთი ოროთახიანი მაღალი სახლი და რამდენიმე ქოხმახი. საგრძნობლად უსახურად გამოიყურებოდნენ ეს ქოხები.

თბილისის გარეუბნის ამ კარ-მიდამოს სოფლის იერი დაჰკრავდა. ეზოს წინ საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა.

დიდი ხანი არ იყო, რაც ქალაქმა აქეთ გამოიწია. სამხედრო გზის გაყოლებით და უფრო ზევითაც რამდენიმე მოზრდილი შენობა ააგეს, ქალაქს გაზრდა-გამშვენიერებას უპირებდნენ. საბურთალოზე კი უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი, უგემოვნოდ და უგეგმოდ აგებული სახლები ძალზე ბლომად იყო. ამ უზარმაზარ სოფელში ავტობუსები გაჭირვებით ადიოდნენ აღმართზე.

უწყინარი და მუშაკაცი იყო სანდროს მამა, გიგო ვაშაკიძე. კარს არავის უმტვრევდა, ბინა მომეცი. ბედს შერიგებოდა. განსაკუთრებით სიმძიმე იყო მის ოთახში ზამთრობით, როცა ღარიბული ავეჯით ავსებულ ამ პატარა ოთახს თუნუქის ღუმელიც ემატებოდა. ღუმელის მილის ტუჩი ფანჯარაში გადიოდა და, როცა ოთახში აუტანელი სიცხე დგებოდა, იძულებულნი იყვნენ კარი გაეღოთ.

სამხედრო გზაზე დროდადრო გაივლიდა მანქანა და ქოხი ზანზარებდა.

მამა გვიან მოვიდა. ოთახში შემოსვლისას ფეხი რაღაცას წამოსდო. ასანთი ააჩხაკუნა და იკითხა:

— ბიჭები ჩამოვიდნენ?

— ჩამოვიდნენ, — უპასუხა დედამ და მაშინვე დაუშალა, ასანთი არ გაჰკრაო.

გიგომ შვილებს აკოცა და ასანთი კიდევ აანთო, ლამპას შუშა ახადა, უნდოდა ბიჭებისათვის კარგად შეეხედა.

ამ დროს ქუჩიდან მილიციელის სასტვენის ხმა მოისმა და მალე ეზოს ღია ჭიშკართან დაიხვიხვინა:

— ჩააქრეთ შუქი!

შუქი ჩაქრა.

ღია კართან მილიციელის ლანდი აიმართა.

— ეი, მანდ ვინა ხართ? წესრიგს რატომ არღვევთ?

გიგომ შეუღრინა:

— შენღა გვაკლიხარ! ხომ ხედავ. აღარ ვანთებთ, ვიძინებთ... აი, გვძინავს.

მილიციელს რაღა დარჩენოდა იმის მეტი, რომ ხელი ჩაექნია, ერთი გინებით ჩაებურტყუნებინა და იქაურობას გასცლოდა.

მამა ერთხელ კიდევ მოეფერა შვილებს და ტანსაცმელი გაიხადა.

დილით ადრე, სანამ გიგო სამსახურში წავიდოდა, საწოლთან ჩამოუჯდა სანდროს და უთხრა:

— მე უკვე მოველაპარაკე ქარხანაში. იქ უნდა დაიწყო მუშაობა.

ეს ისე მოულოდნელი იყო სანდროსთვის, რომ მამას გაკვირვებული მიაჩერდა.

— ქარხანაში რა მინდა, მამა?

— ასეა საჭირო, შვილო.

—მერედა, სწავლა?

— რაღა დროს სწავლაა, ახლა შენისთანა ბიჭები ფრონტზე სჭირდებათ.

სანდრო საწოლზე წამოჯდა.

— ქარხანა რა... — ენას ვერ მოაგო სიტყვა, — როგორ გამოვიდე უკანასკნელ კლასიდან?

— სხვა არა იყოს რა... ომმა გაჭირვება მოგვიტანა, მუშებს ჯავშნიან და ყველაზე მეტ პურს აძლევენ.

სანდრომ არაფერი უთხრა მამას, ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო. მის გონებას არ ეკარებოდა მამის განზრახვა. სანდრო საგონებელში ჩავარდა. მაშინ, როცა საშუალო სკოლას წარმატებით ამთავრებდა, მისთვის ძნელი იყო გზიდან გადახვევა.

ფეხსაცმელის ყაითანი შეიკრა და წამოდგა.

დედამ შეხედა შვილს. იგი ტანაყრილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. დედის სევდიანი თვალების მზერას ვერ გაუძლო სანდრომ და ახლა მამას შეხედა.

— ჰა, რას იტყვი, სანდრო?

დედა ხმას არ იღებდა. ჩანდა, იგი მამას უჭერდა მხარს. ერთი სული ჰქონდა შვილის თანხმობა გაეგონა.

სანდრო თავს იკავებდა. მამა აღარ ჩასციებია, კარი გაიხურა და წავიდა.

გონება აეწეწა სანდროს. სანამ სკოლაში წავიდოდა, ახლომეზობელმა, მისმა ამხანაგმა გამოუარა. მეგობრები დიდის ამბით შეხვდნენ ერთმანეთს, მიიკითხ-მოიკითხეს და სკოლისკენ გასწიეს.

სანდროს მეგობარი, თეიმურაზი, იყო მაღალი, ქერა ყმაწვილი. საბავშვო ბაღიდან სულ ერთად იყვნენ. თეიმურაზის მამა ჯარში გაუწვევიათ, შინ დედაშვილი დარჩენილან. ამას წინათ უკრაინელი ლტოლვილები შეუხიზნიათ. ახლა გზაში ამაზე უყვებოდა ამხანაგს.

— საცოდავი ხალხია... ზღაპარი გეგონება, ისე საშინელ რამეებს ყვება ხოლმე ის ქალი...

სანდრო თავჩაქინდრული მიდიოდა, არაფერს ამბობდა.

— მოდიან, მოდიან და ვაი თუ კავკასიონიც გადმოიარონ, — თქვა თეიმურაზმა.

— სისულელეს ნუ ამბობ! — შეკრთა უცებ სანდრო და მწყრალად შეხედა მეგობარს. მერე ჩაილაპარაკა, — ქარხანა, ჯავშანი, შვიდასი გრამი პური.

— რას ამბობ? — ვერაფერი გაუგო თეიმურაზმა.

— რა და, ამ დილას მამაჩემმა მითხრა, რომ მე ქარხანაში უნდა დავიწყო მუშაობა.

— ქარხანაში? რომელ ქარხანაში?

— რა ვიცი... ალბათ, სულ ერთია სად ვიქნები, ოღონდ დავიჯავშნო და ყველაზე მეტი პური მივიღო. ტვინი გადამიტრიალდა. რა ვიცი, იქნებ, მამაჩემი მართალია. ამხელა ბიჭები ვართ და ქვეყანას არაფერს ვარგივართ.

— შენ მაგაზე ნუ დარდობ. ამ ომს წელს ვერც ჩვენ მოვიგებთ და ვერც ჰიტლერი. გაისად კი... წავალთ. მეტი რა უნდა ვქნათ, რა ვიცი.

მოწაფეებს თავი მოეყარათ სკოლის იმ ახალ შენობასთან, რომელშიც სულ რაღაც ორიოდე წელს სწავლობდნენ.

უფროსკლასელები ერთად შეჯგუფულიყვნენ. პატარები ჟივჟივებდნენ.

მეათეკლასელთა ხელმძღვანელი, ლავრენტი კალანდაძე, თავის ჯგუფს მიუახლოვდა. გოგონებმა ყვავილები მიართვეს, ბიჭები თავის დაკვრითა და ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ.

კალანდაძემ უთხრა ჭაბუკებსა და გოგონებს:

— ყმაწვილებო, ამ შენობაში მალე ჰოსპიტალს გახსნიან. ჩვენ კი, ისევ ძველ შენობაში უნდა გადავბარგდეთ. რას ვიზამთ! ასე მოეწყო ჩვენი ცხოვრება.

— მერედა, იქ, იმ პატარა სახლში? — იკითხა ვიღაცამ.

— სამ წყებად ვისწავლით. ჩვენ, როგორც უფროსებს, მესამეში მოგვიწევს, — მასწავლებელს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ შებრუნდა და იმ გზით გასწია, რომელიც ვეძისში მიდიოდა, სადაც ის ძველთაძველი ორსართულიანი შენობა იდგა. კალანდაძეს ფეხდაფეხ გაჰყვნენ მეათეკლასელები. მალე სხვებიც დაიძრნენ.

ვიწრო და ოღროჩოღრო ქუჩით მიდიოდნენ საბურთალოს ნახევრადდასახ-

ლებულ მინდვრისაკენ. დასტოვეს ოთხსართულიანი, ნათელოთახებიანი, უზარმაზარი შენობა და მიადგნენ პატარას.

სანდრომ უთხრა თეიმურაზს:

— ისე მეჩვენება, თითქოს გემი დავტოვეთ და ნავში გადავჯექით.

— მართლაც, — თქვა თეიმურაზმა და შენობა შეათვალიერა, — კი მაგრამ, აქ ხუთ წყებადაც ვერ მოვთავსდებით.

ეზოც პატარა იყო.

მოწაფეები სამ წყებად დაჰყვეს. ჯგუფებს თავ-თავიანთი საკლასო ოთახები აჩვენეს. მეათეკლასელები მეორე სართულზე იყვნენ. დილით ამ ოთახში მეხუთეკლასელები მოვიდოდნენ, შემდეგ მერვეკლასელები იქნებოდნენ და საღამოს შვიდი საათიდან — მეათელები. ოთახი ძალზე პატარა იყო და თითო მერხზე სამ მოწაფეს მოუწევდა ჯდომა. ყველა გულისტკივილით შეხვდა ამ შეიწროებას. სანატრელმა და სასიხარულო პირველმა სექტემბერმა წელს პირველად არ მოიტანა სიხარული. მასწავლებლებიც უგულოდ შეხვდნენ სწავლის დაწყებას.

იმ დღეს ხუთი გაკვეთილი ჰქონდათ მეათეკლასელებს, და ხუთივე მასწავლებელმა ომზე ილაპარაკა. აქ მოწაფეებიც ჩაერივნენ საუბარში. მასწავლებლები ცდილობდნენ გაემხნევებინათ ახალგაზრდები. განსაკუთრებით ისტორიის მასწავლებელმა ბევრი რამ მოიგონა რუსეთის ჯარის წარსული საგმირო ამბებიდან.

სულის გაკაჟება, გულის გამაგრება მართებდა ყველას, დიდსაც და პატარასაც.

მეორე დღეს მამამ კიდევ გაუმეორა სანდროს წინა დღით ნათქვამი. გიგო ახლა უკვე დაჟინებით ეუბნებოდა შვილს, შესულიყო ქარხანაში.

სანდრო მუდამ თავშეკავებული იყო შშობლებთან, მაგრამ ამჯერად მამის ნაბიჯი არ მოეწონა და პირველად თავის სიცოცხლეში სიტყვა შეუბრუნა გიგოს.

გიგო ამას არ მოელოდა. არც ისეთი ფიცხი კაცი იყო, რომ შვილთან ეჩხუბა. შვილის უზომო სიყვარულმა თვალები აუხვია და იმ დროს, როცა ქვეყანას გასაჭირი ადგა, სანდროს გადარჩენას ცდილობდა. ისევ ტკბილი სიტყვით მორიგება არჩია. მაგრამ არც ამან გასჭრა. მაშინ გიგო გულმოსული წავიდა სამსახურში.

თავი მერვე

სანდრო თეიმურაზს ესტუმრა.

კარი გაუღო საშუალო ტანადობის ქერა ქალმა, რომელსაც ხელში სამი წლის ცისფერთვალება ბიჭუნა აეყვანა. სანდრო მაშინვე მიხვდა, რომ ესენი ლტოლვილი ხიზნები იყვნენ. ქალს ტანჯული სახე ჰქონდა. ეტყობოდა ერთ დროს ლამაზი და მოხდენილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა ომის უცაბედ ქარიშხალს მოეფშვნა სილამაზე მის სახეზე და სამუდამოდ დაეტოვებინა ტანჯვის დაღი.

ქალმა კარი გააღო და შეტრიალდა. შუშაბანდიდან მარცხენა ოთახის კარს მიაშურა, სადაც უწინ თეიმურაზის ოთახი იყო, სადაც ხშირად დამსხდარან მეგობრები და ქანცმილეულნი მოშორებიან ჭადრაკის დაფას. მეორე ბავშვი ოთახის კარში ჩამდგარიყო. ის იქნებოდა ექვსი-შვიდი წლის გოგონა. იერით დედას წააგავდა. შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით ნერვულად აცეცებდა. ეტყობოდა ოთახში მარტოდმარტოს ვერ გაეძლო და დედას გამოჰყოლოდა. სანდრომ შეიგრძნო ამ ოჯახის ტრაგედიის სუსხი. ბავშვების მამა მოკლეს, ქალი სამი ბავშვით ჯოჯოხეთს გამოექცა. უფროსი ბიჭუნა გზაში მოუკვდა დაბომბვისას. ასეთი ამბის მომსწრე ქალი რა ჭკუაზე უნდა ყოფილიყო! სანდრომ თეიმურაზისაგან იცოდა, რომ ეს ქალი ოცდაათი წლისა იქნებოდა, მაგრამ ახლა მისი შემყურე, ამას ვერ დაიჯერებდა.

სწრაფად გაიღო მეორე კარი და თეიმურაზიც გამოჩნდა. მან წამით შეაჩერა მდგმური:

— იცნობდეთ, ეს ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია.

ქალმა უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი სანდროს, შემდეგ აჩქარდა, ბოდიში მოიხადა და ბავშვები ოთახში შეიყვანა.

თეიმურაზი და სანდრო მეორე ოთახში განმარტოვდნენ.

— შენ ამბობ, რომ ოცდაათი წლისაა? — მიმართა სანდრომ მეგობარს და მაგიდიდან სკამი გამოსწია.

— არც მე მჯეროდა, მაგრამ ასეა. პაპიროსსაც სწევს. ერთხელ მითხრა, რომ ომამდე ძალიან მეჯავრებოდა თამბაქოს სუნი და არც ჩემი ქმარი ეწეოოდაო.

სანდრო ჩამოჯდა.

მეორე ოთახიდან ხმა არ ისმოდა.

— სულ ასე ჩუმად არიან?

— ასე ჩუმად. უფროსი, გოგო, ხმაურს ვერ იტანს, ისეა შეშინებული. უნდა ნახო, უბრალო გახმაურებაზე რა ემართება. მაშინვე ტირის და კანკალებს. დედამისი ცდილობს, რომ ყველაფერი ჩუმად გააკეთოს... ჩვენც ხელს ვუწყობთ.

თეიმურაზი გაჩუმდა. სხვა დროს იგი სიამოვნებით შესთავაზებდა მეგობარს ჭადრაკის თამაშს, მაგრამ ახლა მასაც ასცრუებოდა გული და ამჯერად ლაპარაკს არჩევდა.

— ფრონტზე რომ ვიყო, სიცოცხლეს არ დავიშურებდი, შურს ვიძიებდი, — ამბობდა თეიმურაზი, — ლამის მივატოვო სკოლა და ჯარში წავიდე.

— ნუ ჩქარობ. ამ ზაფხულს მაგასაც მოესწრები... ჩვენ ამ ომში უთუოდ მოგვიწევს ყოფნა.

გიგო ვერაფერს გახდა შვილთან. სანდროს არც უნდოდა ქარხნის გახსენება. ერთხელ ქალაქის კომკავშირის აქტივთან ერთად პირველი გმირული ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლებს შეხვდა და ამან საბოლოოდ ერთ აზრზე შეაჩერა: არავითარი ქარხანა და ჯავშანი!

კომკავშირელებმა საჩუქრები წაიღეს, დროშაც ააფრიალეს და, ერთი სული ჰქონდათ, როდის შეხვდებოდნენ ჯავშნოსელებს.

მატარებელი დიდუბეში, ყოფილ იპოდრომის ტერიტორიაზე იდგა, სადაც რკინიგზის ერთი შტო თბილისის საბარგო სადგურიდან შემოდიოდა.

სანდრო და თეიმურაზი კომკავშირელები იყვნენ, და ისინიც ქალაქის აქტივში შეეყვანათ.

ვიწრო შუკა გათავდა და დაიწყო იპოდრომის ველი, სადაც უკვე აეგოთ რამდენიმე ფარდული და შენობა. ველის შუაგულში, რკინიგზის მოკლე შტოზე, იდგა ჯავშნოსანი. შორიდან მედიდურად მოჩანდა იგი. ნაომარი ქვემეხები იბღვირებოდნენ.

მოედნის თავში თოფიანი ჯარისკაცი იდგა. გულმკერდს ორი ორდენი უმშვენებდა. სანდრომ მაშინ პირველად ნახა სამამულო ომის ორდენი. ჯარისკაცი ქართველი იყო. შავი ულვაშები ჰქონდა და დაკვესებული თვალები. მან უკვე იცოდა, რომ ქალაქიდან ახალგაზრდა სტუმრები უნდა მოსულიყვნენ. ღიმილით შეეგება მათ და ჯავშნოსანისკენ მიიწვია. კომკავშირელები პირველად ამ ჯარისკაცს შემოეხვივნენ. ყველას სურდა ენახა სამამულო ომის ორდენი.

ჯარისკაცს აუარება შეკითხვა დააყარეს. იგი ღიმილით აძლევდა პასუხს.

ჯავშნოსან მატარებელს მოსცილდა მაღალი, მხარბეჭგანიერი მაიორი. ეს იყო ამ მოძრავი ციხე-სიმაგრის მეთაური. დელეგაციისაკენ წამოვიდა და საქალაქო კომიტეტის მდივანს, რომელმაც ჭაბუკები და ქალიშვილები მოიყვანა, ხელი ჩამოართვა, ჯგუფს კი საერთო სალამი ხელის აღებით მისცა.

— რა ვაჟკაცია! — წასჩურჩულა თეიმურაზს მეთაურის გარეგნობით მოხიბლულმა სანდრომ.

თეიმურაზმა მხრები აიჩეჩა.

— მიკვირს და გონს ვერ მოვსულვარ, ვაჟკაცები გვყვანან და მტერი მაინც წინ მოდის.

— მტერი ძლიერია, რას იზამ... — მოკლედ უთხრა სანდრომ. მას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თეიმურაზ-

თან ლაპარაკში მხედველობიდან გამორჩა, როგორ მიიწვია მეთაურმა კომკავშირელები ჯავშნოსანის დასათვალიერებლად.

მატარებელთან მებრძოლები იდგნენ. ისინი ხელის ჩამორთმევით შეხვდნენ ახალგაზრდებს და მადლობის გრძნობით იღებდნენ მათგან მცირე საჩუქრებს.

ჯავშნოსანის რამდენიმე კარი ღია იყო. ყოველ კართან ხის დროებითი კიბე მიედგათ. მებრძოლებს ეს კიბე არ სჭირდებოდათ, მაგრამ საგანგებოდ სტუმრებისათვის გაამზადეს, რომ მოხერხებულად შესულიყვნენ ვაგონებში.

გოგონებმა ვერ შებედეს შესვლა. ვაჟები რიგრიგობით ავიდნენ კიბეზე.

მატარებლის მეთაური და საქალაქო კომიტეტის მდივანი განზე იდგნენ და საუბრობდნენ.

ჯარისკაცებმა გოგონები კიდევ ერთხელ მიიწვიეს ჯავშნოსანში, რამდენიმემ კიდეც გაბედა შესვლა, მაგრამ უმალვე გამოტრიალდნენ.

— არა, ჩვენ არ შეგვიძლია.

ისევ გარეთ ყოფნა ამჯობინეს, ჯარისკაცებს გაესაუბრნენ.

ვაჟები შევიდნენ გრძელსა და მჭიდროდ დახურულ ვაგონში, რომელიც ცივი და მკაცრი იყო შიგნიდანაც. ვაგონს ორი ქვემეხი ჰქონდა მბრუნავი კოშკურით. კოშკურაში რამდენიმე საფეხურიანი კიბე ადიოდა.

ერთი ახმახი ჯარისკაცი ძუნწად ყვებოდა ჯავშნოსანის საბრძოლო ისტორიას. მართლაც გმირული და სახელოვანი გზა ჰქონდა გავლილი. ახლა, ბრძოლებში მოღლილი, ერთ თვეს თბილისში დაჰყოფდა და მერე ისევ გასწევდა ბრძოლის ველისაკენ. ვაგონებს ალაგ-ალაგ ჯავშანი შეკეთებული ჰქონდა. ეტყობოდა, მტრის ყუმბარებს დაეზიანებინა. ამ ვაგონში ბევრი მებრძოლი დაცემულა.

სანდროს თვალწინ კიდევ და კიდევ იშლებოდა ომის სურათები, მაგრამ მის გონებაში სულ სხვა ელფერი დაჰკრავდა და ყველა ნაამბობი რაღაც საზღაპრო ამბად ესახებოდა. თბილისში მყუდროება იყო და ეს სიმყუდროვე ამხელებდა ყოველივე იმ საშინელი სურათის წარმოდგენას, რაც შორს, ძალიან შორს ხდებოდა.

— აბა, აქეთ მობრძანდით, — ჯარისკაცმა ფეხი შედგა კოშკურაში ამავალ კიბეზე. ყმაწვილები ერთად შეგროვდნენ და ქვევიდან ახედეს უზარმაზარ მბრუნავ კოშკურას, ქვემეხის სავაზნე კოლოფს, ქვემეხის სამართავ და კოშკურის მოსაბრუნებელ ონკანებს.

ჯარისკაცი ამბობდა:

— ეს ყველაფერი გერმანელებსაც აქვთ. მათ აქვთ ზოგიერთი ამაზე უკეთესი იარაღიც. მაგრამ ვაჟკაცურად ვუმკლავდებოდით. ამ ქვემეხით ათიოდე ტანკი და ბევრი ზარბაზანი გავანადგურეთ. მარტო კარგი იარაღი არ უშველის მებრძოლს, თუ გონება და მოხერხებულობა არ მიაშველა. თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ, ჩვენი მებრძოლები როგორ უვარდებიან ტანკებს, კბილებითაც კი ბდღვნიან მტერს, ოღონდაც არ მოუშვან... თქვენ ნუ დაგაღონებთ მტრის წარმატება...

მან კიბიდან ფეხი ჩამოდგა და ვაგონის კედლისაკენ გაიშვირა ხელი.

— აი, ამ ჭრილებში ვაზნებს ვაწყობთ.

სანდროს სული შეეხუთა ვაგონში.

— როგორ სძლებენ! წარმომიდგენია პაპანაქებაში აქ რა იქნება, — გადაულაპარაკა მან თეიმურაზს, რომელიც ჯარისკაცს მისჩერებოდა.

ჯარისკაცმა გაიგონა სანდროს ნათქვამი, მოუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

—პაპანაქებაში აქ კვერცხი შეიწვის... ჩვენ კი ვძლებთ. ჯავშან-სატანკო ჯარების ხალხი ცოტა დაჩაგრულები ვართ ქვეითებთან შედარებით. ისინი სუფთა ჰაერზე მაინც არიან.

ჯარისკაცმა გასასვლელისკენ გასწია, თან ამბობდა:

— აი, ეს არის მთელი ჩვენი ავლადიდება, ჩვენი ციხე-დარბაზი.

საღამოს რადიო აცხადებდა:

„ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქები“...

სანდრო ნერვიულობდა. მას თვალთაგან არ შორდებოდა ჯავშნოსანი მატარებელი, მებრძოლები და ის ჯარისკაცი, ვაგონში რომ შეჰყვა, ჯარისკაცი, რომელიც დაჯერებით ამბობდა: „ვაქაცურად ვუმკლავდებოდით და კვლავაც იმედი მაქვს...“ კარგია რწმენა, იმედი, მაგრამ მტერი რომ მოდის და საშინელება ემუქრება ქვეყანას, ეს რაღაა...

სანდროს უძილობა დასჩემდა. დღე-დღეზე მოელოდა თბილისის აოხრებას. დღე-დღეზე მოელოდა მტრის თვითმფრინავების თავდასხმას. დღისით იგი ხედავდა საზენიტო ქვემეხების აშვერილ დრუნჩებს. ღამით პროჟექტორებმა მოუხშირეს ცის დაზვერვას. პროჟექტორი უამრავი იყო, და ბნელ ქალაქს უცნაური შუქი დასთამაშებდა. ჩაბნელებულ ქუჩებში წამს ჩაგუბდებოდა მკრთალი ნათელი, გამოჰკვეთდა შენობების კონტურებს და მერე ისევ წყვდიადი მოიცავდა ყველაფერს. დღისით ქალაქს ისევ ახსოვდა ღამის ტანჯვანი.

თავი მეცხრე

მოსკოვში 7 ნოემბერს გამართულმა საოქტომბრო პარადმა და ამის შემდეგ დედაქალაქთან მტრის ჯარების განადგურებამ სითბო შეიტანა გულში. იმედი გააღვივა.

მამამ გაზეთი მოიტანა. იშვიათად კითხულობდა გაზეთს, მხოლოდ მაშინ, როცა მისთვის სასიამოვნო ამბავი იყო დაბეჭდილი. მოსკოვში გამარჯვებაზე არაფერს ამბობდა. გაზეთი მაგიდაზე დადო და შვილებს თვალების ციმციმით შეხედა. ცხადი იყო, რაღაცას ძლიერ აეჩუყებინა მისი გული.

კარ-ფანჯარაზე შავი მუყაო იყო გაკრული. ოთახში ღუმელი ენთო და ლამპის შუქი კვლავ უცნაურ ჩრდილებს აფენდა კედლებს.

სანდრომ გაზეთს დახედა. მამამ უთხრა:

— აი, მე და ეს პოლკოვნიკი, — გაზეთში დაბეჭდილ სურათს ხელი გადაუსვა გიგომ, — ოცდაექვს წელში ერთად ვიყავით თბილისის სამთო-საარტილერიო სკოლაში. ჩემი ბატარეის მეთაური იყო, ლესელიძე კონსტანტინე... ახლა პოლკოვნიკია. ერთხელ ჩექმები ვაჩუქე... მეც რომ ჯარში დავრჩენილიყავი...

— რა ჩინი გექნებოდა, მამა? — ჰკითხა ლევანმა. გაკვეთილებს უჯდა და მამის სიტყვებზე წამოიხედა.

— მაიორი, ან პოდპოლკოვნიკი...

— ჰაუ! რატომ არ დარჩი? — პირი დააღო ლევანმა.

— ჯარს სხვა ჯურის კაცი უნდა. მით უმეტეს, არტილერიას... ცალკე დედაშენიც არ მომეშვა, გამოდი და გამოდიო და... მეც შივანებე თავი. — თქვა მამამ და ერთხელ კიდევ დახედა კონსტანტინე ლესელიძის ფოტოსურათს.

სანდრომ გაზეთი გამოართვა მამას. ლესელიძის საგმირო ამბები წაიკითხა და მერე მამას მიუბრუნდა.

— მას მერე აღარ გინახავს?

— როგორ არა. რამდენჯერმე შევხვდი... ო, რა კაცია, რა კაცი! მალე, ალბათ, გენერლის ჩინს მისცემენ.

სანდრო სკოლაში ადრე წავიდა. სკოლამდე დიდი გზა ჰქონდა სავალი, უსწორმასწორო და ბნელი.

ნოემბრის ცივი საღამო იყო. სანდრომ პალტოს საყელო აიწია. ჩრდილოეთის ცივი ქარი სახეში სცემდა და ლოყებს უწვავდა. ნაადრევი შემოზამთრება კარგს არას უქადდა თბილისელებს. დილას მთებზე უკვე მოჩანდა ლილო-ჭრილო. ალბათ, სუსხიც იმ თოვლმა მოიტანა.

სკოლისკენ მოკლე გზა იცოდა. ახლაც ამ გზას დაადგა. ეს იყო მიყრუებულ ქოხმახებს შორის მიმავალი გორახიანი გზა, რომელიც სოფლის შარაგზას აგონებდა კაცს: შარაგზას მოუვლელს, ნაწვიმარის შემდეგ რომ დაშრებოდა ლაფი, გახმებოდა ტალახი და გაქვავდებოდა ოღრო-ჩოღროები.

ავდარში ამ გზით არ დადიოდნენ. გრძელი გზით უვლიდნენ.

სანდრო მიიჩქაროდა. კიდევ კარგად არ იყო დაღამებული, ხედავდა სახლებს, ეზოებს, ქარში დარხეულ ხეებს და ბოძებზე გაბმულ მოზუზუნე მავთულებს. არსად სინათლე.

სკოლაში ძალზე მძიმე პირობებში სწავლობდნენ. განსაკუთრებით მესამე წყების მოწაფეებისათვის იყო აუტანელი. ღამით ფანჯრებზე შავ მუყაოს აფარებდნენ. ოთახში, სადაც მეტისმეტი სივიწროვე იყო, — ცხელოდა. ერთ მერხზე სამი მოწაფე მიჭეჭყილიყო. უფროსკლასელები ჩუმად იყვნენ და ითმენდნენ. შინ რომ ბრუნდებოდნენ, ჩაბნელებულ ქუჩაში ძლივს მიიკვლევდნენ გზას. შინ კიდევ: შემცირდა ულუფა, კუჭმა შიმშილი იგრძნო.

იმ დღეს, მეოთხე გაკვეთილზე შემოვიდა კალანდაძე. ჩვეულებრივ მოწაფეთა სია არ ამოუკითხავს, ჟურნალი მაგიდაზე დადო, დაჯდა და ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მიაჩერდა. ერთ ხანს არაფერს ამბობდა, მალიმალ კარისკენ იხედებოდა. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა. გაიღო კარი და გამოჩნდა მეცხრეკლასელი, ტანად მორჩილი, მაგრამ მთელ სკოლაში თავისი სიმკვირცხლით ცნობილი თამაზ ბერიძე. იგი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო. მეათეკლასელებთან და პედაგოგებთან მუდამ მორიდებით და მოკრძალებით ეჭირა თავი, ხოლო დაბალკლასელებთან მეტისმეტად თამამი და რიხიანი იყო.

ახლაც მორცხვად შემოვიდა. კალანდაძემ შეათამამა, და ბერიძემ დაიწყო:

— ამხანაგებო, თბილი ტანსაცმელი უნდა შევაგროვოთ ჩვენი მეომრებისათვის და ფული შევკრიბოთ სატანკო კოლონის ასაგებად... ვისაც რა შეგიძლიათ და რამდენი მანეთიც შეგიძლიათ, მოიტანეთ. — ხელები გაშალა ნიშნად იმისა, რომ სათქმელი მოათავა და კალანდაძეს შეხედა.

— კარგი, გენაცვალე, — უთხრა მასწავლებელმა.

თამაზ ბერიძემ ერთხელ კიდევ შეხედა თავის უფროს ამხანაგებს და გაიღიმა, მერე მკვირცხლად შეტრიალდა და გავიდა.

კალანდაძე წამოდგა, მერხებს ჩაუარა.

— ხვალიდანვე შევუდგეთ, მეგობრებო, — თქვა მან.

მეორე დღესვე სკოლაში უამრავი თბილი ტანსაცმელი მოგროვდა. მოწაფეებს ფულიც მოჰქონდათ.

სანდრომ თავისი ახალთახალი წინდები სკოლაში წაიღო. ფული კი არ ჰქონდა. მშობლებს ვერ გამოართვა. სიტყვა ვერ შებედა ამაზე. საჭმელზე გადადებული მათი ხელფასი თვიდან თვემდე ვერ სწვდებოდა.

სანდროს სინდისი ქეჯნიდა. გულით უნდოდა, როგორმე შეშველებოდა რაიონის კომკავშირელებს, რომ მალე აეგოთ ტანკები.

საგონებელში ჩავარდნილს ერთ დღეს მოაგონდა: საბურთალოს ბაზარზე ხელმოცარული მხატვრები უგემოვნოდ ნაჯღაბნ სურათებს ყიდიდნენ. ეს იყო საქვეყნოდ განთქმული სურათების პირები. მხატვრებსაც უჭირდათ. საკუთარ ხელობას ებღაუჭებოდნენ, ცდილობდნენ როგორმე გაესაღებინათ თავიანთი ნამუშევარი. სურათები ბევრი იყო, დიდ-პატარა, ჩარჩოიანი და უჩარჩოო. სურათები იშვიათად იყიდებოდა. მხატვრებს ტანჯული სახეები მოუჩანდათ.

„მაინც ვცდი ბედს“, — თქვა გულში სანდრომ. გადაწყვიტა გაეკეთებინა რომელიმე ცნობილი მხატვრის სურათის პირი. ზეთისფერები შემორჩენილი ჰქონდა. სანამ მუშაობას შეუდგებოდა, ოცნებამ გაიტაცა. აი, ჩინებულად შეასრულა სურათი, გაიტანა ბაზარზე და ხელიდან გამოსტაცეს, დიდძალი ფული ჩაუთვალეს. ნაწილს დედას აძლევს, ნაწილი სკოლაში მიაქვს... მაგრამ რომელ ბაზარზე გაიტანს? აქვე, საბურთალოზე? არა, ჯობს შორს წაიღოს, ძალიან შორს, სადაც მისი ნაცნობები არ დაიარებიან.

იმ საღამოს მოუსვენრად იყო სკოლაში. დილით თეიმურაზის სურათების კოლექციაში გულმოდგინედ ეძებდა ფერად რეპროდუქციას, რომ იქიდან გადაეწერა ზეთის ფერებით. თეიმურაზს არ უმხელდა განზრახვას. მას უნდოდა თავისი ნამუშევარით, თავისი ნაოფლარით შეეტანა წვლილი რაიონის კომკავშირელების კეთილ საქმეში.

ტილო გადაჭიმა; მოლბერტი პრიმიტიული გააკეთა. პალიტრის მაგიერობას შუშის ნამტვრევები უწევდა. ზოგი ფუნჯი უხეში ჰქონდა.

ტილოზე პირველი მონახაზები გაჩნდა. სანდრომ გაკვეთილების მოსამზადებლად სკოლაში წასვლის წინ ორი საათი დაიტოვა. დილის ცხრიდან საღამოს ხუთამდე სურათს უჯდა. გრძნობდა როგორ თანდათან ემატებოდა ტკივილები ბეჭებში, კისრის ძარღვები დაეჭიმა. გრძნობდა თვალების წვას დაძაბული ცქერის გამო. ლუკმაპურს არ იდებდა პირში და რვა საათი ტრიალებდა სურათთან.

მეოთხე დღეს სურათს მდუმარედ უცქერდნენ თეიმურაზი და ლევანი.

— კარგი გამოდის, — წაიჩურჩულა თეიმურაზმა.

დედა ვერ ხედავდა რაოდენ დაძაბულად შრომობდა სანდრო მთელ დღეს. იმ დროს იგი სამსახურში იყო და როცა ბრუნდებოდა, ხედავდა კარადის თავზე პირით კედლისკენ აყუდებულ ტილოს. დედას არ უკითხავს რას ხატავდა. მას სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ აუარება საოჯახო საქმე ჰქონდა.

სურათი იწერებოდა.

„რამდენს მომცემენ? მერე იმ ფულს მთლიანად წავიღებ და ჩავაბარებ... მაგრამ, იქნებ, ჯობს ნაწილი დედას მივცე! იქნებ, ამ გზით კიდევ ვიშოვო შემოსავალი და დედას ხელი გავუმართო. იქნებ, სჯობდა მამისათვის დამეჯერებინა და ქარხანაში წავსულიყავი? მაინც, რამდენს მომცემენ სურათში?“ ფიქრი ერევა, ხელი უთრთის.

გარეთ ცივა. ხეს ფოთოლი გასცვენია. ცა ნაცრისფერია და ადრე ღამდება. ეზოში მობუზული ბელურები საკენკს ეძებენ. საკენკი კი გამოილია, რადგან ნამცვრევს არავინ ყრის ეზოში.

და ამ გაყინულ, გათოშილ დღეს სანდრო გატაცებით წერდა სურათს.

ექვსი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ, სურათი მზად იყო.

სანდრომ კვირა დღეს აღარ დაუცადა. სურათს გაზეთი გადაახვია და ნავთლუღის ბაზრის კარს მიადგა. მსგავსად საბურთალოს ბაზრისა, აქაც იდგა გაჭირვებულთა რიგები, ჩარიგებულიყვნენ ქალები და მოხუცი მამაკაცები, რომელთაც შინიდან წამოეღოთ ჩასაცმელ-დასახური.

სანდრომ გაჭირვებით ჩაუარა მოვაჭრეთა რიგებს და იმ კუთხეს მიადგა, სადაც სურათებიც ეწყოთ მხატვრობის მოყვარულთ.

— რას აფასებ? — ჰკითხა გამყიდველს ერთ მომცრო სურათზე, რომელზედაც ჭყეტელა ფერებით, ძალზე უნიათოდ იყო გამოსახული ზღვის ქალი, აქაფებულ ტალღებს რომ მოჰყვებოდა.

მხატვარმა-გამყიდველმა, რომელიც სურათის გვერდზე ჩამომჯდარიყო და ღვიძლის ღვეზელს მიირთმევდა, ალმაცერად და იჭვნეულად ამოხედა სანდროს.

— სამას მანეთად ვყიდი. მყიდველი ხარ?

სანდრომ ტუჩები გამობურცა და მისი ასეთი მოქცევა არ მოუვიდა თვალში გამყიდველს.

— რაო, ყმაწვილო? არ მოგეწონა?

— ძვირია.

— რა არის ძვირი?! სამასი მანეთი? რა მოგივა ამ სამასი მანეთით? — ცალი თვალი მოჭუტა „მხატვარმა“ და ღვეზელით გამოიტენა პირი.

— მაშ ეს სურათი რა ეღირება? — სანდრომ სწრაფად შემოხსნა ქაღალდი სურათს და „მხატვარს“ შორიახლოდან დაანახა.

„მხატვარმა“ ქვეშ-ქვეშ გამოიხედა. ერთ ხანს არაფერი თქვა, სურათს

მუშტრის თვალით უყურა, მერე სანდროს ჰკითხა:

— რა მიეცი?

— ვყიდი.

— სურათი კარგია, მაგრამ ეგრე ვინ იყიდის, ჩარჩოში უნდა ჩაგესვა.

სანდრომ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება თევზჭალას სურათს, რომელიც ძვირფას ჩარჩოში იყო ჩასმული, მაგრამ მაინც არ მოეწონა.

— რას მომცემენ, როგორ გგონია? — იკითხა სანდრომ.

— რა ვიცი... პირველად ხარ ბაზარში?

— პირველად. ჯერ არაფერი არ გაგიყიდია... ახლა ფული მჭირდება და...

— მაშ მე მომეცი შენი სურათი, — უთხრა „მხატვარმა“ და ღვეზელი კიდევ ჩაიტენა პირში, — აი, ას მანეთს მოგცემ, ესეც ბევრია პირველ ვაჭრობაში. სიფთა კარგი გაქვს, ხეირი გექნება. აჰა, დაიჭი.

სანდრო შეყოყმანდა. ერთ წუთს მიაჩერდა „მხატვრის“ გამოწვდილ ხელს, ასმანეთიანი რომ ეჭირა, მერე გარშემო მიმოიხედა. სანდროს ლოყებზე ალმური მოედო, როცა დაინახა, რომ მის სურათს რამდენიმე კაცი უყურებდა. აიწურა, შერცხვა, სურათი ანგარიშმიუცემლად გაუწოდა „მხატვარს“ და ასმანეთიანით ბაზრიდან სწრაფად გავიდა.

„მომატყუა, მომატყუა, მაგრამ ჯანდაბას! ჯანდაბას! მე ჩემი საკუთარი შრომით მონაგარს მივიტან იქ...“ ლოყები კიდევ უხურდა სანდროს, გული გამალებით უცემდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ბაზარი უკან მოსდევდა. უკან მოსდევდა ის „მხატვარი“ და უძახდა: „დამიბრუნე ჩემი ფული, დამიბრუნე ჩემი ფული!“

ავლაბართან სული მოითქვა. ხალხში არ ერია ის „მხატვარი“. იგი, ალბათ, დამშვიდებით იჯდა ბაზარში, ღვეზელს მიირთმევდა და მუშტარს ელოდა.

სანდრო შინ მივიდა, გაკვეთილებს ჩაუჯდა, მაგრამ გული ვერ დაუდო და სულ იმაზე ფიქრობდა, რაც ამ ორიოდე საათში თავს გარდახდა. ეჩვენებოდა ადევნებული „მხატვარი“. აი, ახლა შემოვა ის კაცი ეზოში, აი, ახლა შემოვა და... მაგრამ არავინ მოდიოდა.

სკოლაში წასვლამდე თეიმურაზი ეწვია.

— კარგი ჰქენ, რომ მოხვედი.

— რა დაგემართა? გატყობ, რაღაც გაწუხებს.

— ჩემი სურათი გავყიდე, — თქვა სანდრომ და ასმანეთიანი მაგიდაზე დასდო.

თეიმურაზმა გაკვირვებით შეხედა.

— არაფერი მესმის.

— რა არ გესმის. ფული მჭირდებოდა, იმიტომ ვიკლავდი თავს.

— ცუდად დაიწყო შენი სამხატვრო მოღვაწეობა. ფული გაგაწუწკებს, — ხანდაზმული და გამოცდილი კაცის კილოზე უთხრა თეიმურაზმა და ხელი ჩაიქნია, — ას მანეთად გაყიდე ექვსი დღის ნამუშევარი?

— რა მექნა? მე რომ ტანკების ასაგებ ფონდში კაპიკიც არ შემიტანია... ეს მაწუხებდა. მაგნაირ სურათს კიდევ დავხატავ, ეგ არაფერი. ჩემ შრომას არაფრად ვაგდებ, ხალხი ფრონტზე სისხლს ღვრის და სიცოცხლეს არ იშურებს.

წამს დუმილი ჩამოვარდა. სანდრო თეიმურაზს მისჩერებოდა.

— ასი მანეთი ცოტაა, ბიჭო. ნამდვილად მოგატყუეს.

— ჯანდაბას. აი, თუ მშვიდობა იქნა, აკადემიას დავამთავრებ, უფრო კარგ სურათებს დავხატავ. შენ ეგ გადარდებს? კარგად ვიყოთ, თორემ, ყველაფერს მოვესწრებით, ბიჭო.

სანდრო წელში შესწორდა, მეგობარს მხარზე მოხვია ხელი. მხოლოდ ახლა იგრძნო შვება, თავისსავე სიტყვებმა გაამხნევა და ძალა შემატა.

მეორე დღეს, კვირას, თეიმურაზი აქოშინებული გადმოიჭრა სანდროსთან. ანიკო შეშინებული შეხვდა შვილის მეგობარს.

— რა მოხდა, თეიმურაზ?

— ისეთი არაფერი, დეიდა ანიკო...

სანდრო, ჩქარა წამოდი, რამე უნდა გაჩვენო.

— რა ფათიფუთა ხარ, მითხარი რა უნდა მაჩვენო.

— აბა, აქ როგორ გითხრა! წამოდი ჩქარა!

თეიმურაზმა ხელი ჩაჰკიდა მეგობარს. ბიჭები სირბილით გაცვივდნენ ეზოდან. სანდროს გაუკვირდა, როცა თეიმურაზმა იგი ბაზრისაკენ წაიყვანა.

კვირა დღეს გაუვალი იყო საბურთალოს ბაზარი. ზღვა ხალხი ბაზარში რომ ვერ ეტეოდა, იმ უბნის ყველა პატარა ქუჩას ავსებდა და იდგა ერთი ღრიანცელი, ზუზუნი, აუარება ადამიანის ფეხისხმა ყაყანს უერთდებოდა.

ბიჭები ხალხის შემჭიდროვებულ ჯგუფებს მიაღწევდნენ. თეიმურაზი დაჟინებით იწევდა წინ, სანდრო ფეხდაფეხ მისდევდა. უკვირდა, თეიმურაზი რატომ არაფერს ეუბნებოდა და ასე ჩაციებით მიაქანებდა სადღაც, ხალხის უფრო და უფრო შეკრულ მორევში.

ისინი ბაზრის ფარდულებთან გავიდნენ. ფარდულებს უკან შინიდან გამოტანილ სურეთებს, ჭურჭელსა და ავეჯს ყიდიდნენ ხოლმე ხელზე მოვაჭრენი. და აი, ამ მრავალრიცხოვან გამყიდველთა შორის სანდრომ თვალი შეასწრო გუშინდელ „მხატვარს". იგი ახლო იყო. რამდენიმე ნაბიჯს იქით იჯდა. ახლო იყო სანდროს ნახატი სურათიც, რომელსაც ახლა ჩარჩო ამშვენებდა და უფრო კარგ იერს აძლევდა.

— იცანი? — ჰკითხა თეიმურაზმა.

სანდრომ უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— შეგხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი, რომ ეს შენი სურათი იყო.

„მხატვარმა" ერთი კი შეასწრო თვალი სანდროს და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ იცნო. გვერდზე გაიხედა და მეზობელ გამყიდველს გამოელაპარაკა.

— იცი, რას აფასებს? — უთხრა თეიმურაზმა სანდროს, — რვაას მანეთს. ჩარჩო, ბევრი-ბევრი, სამასი მანეთი ღირდეს, მეტი არა. შენ კი რამდენი მოგცა.

— ჯანდაბას მაგისი თავი! რომ მცოდნოდა ამისთვის მოგყავდი, არ წამოგყვებოდა. აბა, მიიხედ-მოიხედ! აქ რამდენი სპეკულიანტი და გაიძვერაა! ესენი ქვეყნის გაჭირვებით სარგებლობენ და ხელებს ითბობენ. მე რომ შემეძლოს, ამათ ყველას გავრეკავდი. მაგრამ ეჰ... წამოდი, წამოდი, თეიმურაზ. ახლა აქედან გასვლა არ გინდა?!

— ეს, იცი, ვისი ნახატია?.. — ვეღარ მოითმინა თეიმურაზმა და გამყიდველს შეუტია.

„მხატვარმა" ქვეშ-ქვეშ გაკვირვებით გამოხედა.

— უჰ, შენი!.. — მუშტი მოკუმშა თეიმურაზმა, მაგრამ ამის თქმის შემდეგ იქ აღარ ედგომებოდა და გაბრაზებით შეტრიალდა. სანდრო ფეხდაფეხ აედევნა. ბიჭები გაბოროტებით მიაღწევდნენ ხალხის ნაკადს.

თავი მეათე

მოსკოვთან დამარცხების შემდეგ, ჰიტლერელებმა სამხრეთს შემოუტიეს. ომის სუსხი ჩრდილოეთ კავკასიასა და სტალინგრადს წაეკიდა.

თბილისში რამდენჯერმე იფეთქეს საზენიტო ქვემეხებმა. ბაზარში უფრო მეტად გაძვირდა სურსათი.

სანდრო დღე-დღეზე ელოდა თბილისის დაბომბვას და სულგატრუნული უგდებდა ხოლმე ყურს საზენიტო ქვემეხების ყეფას; ხან არსენალიდან, ხან სამხრეთის გორაკებიდან და საბურთალოს სერებიდან უშენდნენ. ნავთლუღში და ვარაზის ხევში ორი ყუმბარა დაეცა, მსხვერპლი არ ყოფილა და არც არაფერი დანგრეულა, მხოლოდ ომის ქუხილს შეუჩვეველი გული შესძრა და საშიშროების მოახლოება აუწყა.

სანდრო შინ იყო, გაკვეთილებს უჯდა. ბოლო დროს ისე ვეღარ უდებდა გულს. თავს ძალას ატანდა, მალე იღლებოდა, ქვეყნის ვარამი აღონებდა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. მარტოობით გულგაწყალებულ სანდროს გაუხარდა. კართან შალში შეფუთვნილი ვი-

ღაც გალანდა. კარი გააღო და დათოვლილი სტუმარი უცებ ვერ შეიცნო. მალე რუსიკოს სახემ შეანათა.

— რუსიკო, შენა?!

მისი მოსვლა ისე მოულოდნელი იყო, რომ სანდროს თავი სიზმარში ეგონა და დაიბნა.

— აი, ისევ მე მომაგონდი... შენ ერთხელაც არ იფიქრე, რომ ამოსულიყავი სოფელში, — საყვედური გაისმა რუსიკოს ცრემლნარევ ხმაში.

— რად მისაყვედურებ, განა შემეძლო და არ ამოვედი?

— რა ვიცი... — თქვა რუსიკომ და შალი მოიძრო თავიდან. ხშირი, წაბლისფერი თმა გაეშალა. პალტოც გაიძრო, მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შეკრთა:

— თქვენები სად არიან?

— დედა და მამა სამსახურში... ლევანი ჯერ არ მოსულა სკოლიდან. ამ შუა ზამთარში რამ ჩამოგიყვანა?

— შენ. სხვა არავინ და არაფერმა. ვითომ დიდედაჩემს უნდა მოვხმარებოდი. ცოტა რამ ჩამოიტანა გასაყიდად. კალათი ბაზრამდე მივატანინე და მე აქეთ გამოვიქეცი. დიდედამ ყველაფერი იცის. მანამ ის ლობიოს გაყიდის... ძალიან ძვირია ყველაფერი და მუშტარი ვერ ეკარება... დიდედამ ლობიო გინდა გაყიდოს, გინდა არა.

სანდრო შეჰყურებდა და თვალს კიდევ არ უჯერებდა, გული გამალებით უცემდა და ხარობდა.

— ეს რა ვიწროდ ყოფილხართ, სანდრო, — აქეთ-იქით მიმოიხედა რუსიკომ.

— ჰო, ასე ვცხოვრობთ. გავიმარჯვებთ, აკადემიას დავამთავრებ, საკუთარ სახლს ავიგებ, რამდენიმე თვალიანს. შენც ჩემთან იქნები.

რუსიკომ ხელი შეაცურა ვაჟის თმებში და ქოჩორი აუშალა.

რა ულმობელია დრო.

რუსიკო მალე წავიდა. დიდედა და იგი საღამოს მატარებელს უნდა გაჰყოლოდნენ სოფელში. სანდრომ ბაზრამდე მიაცილა ქალიშვილი, სადაც დიდედა ელოდა რუსიკოს. ერთხანს ბაზრის შესასვლელთან იდგნენ. ვერცერთი სთმობდა და ვერც მეორე ერთმანეთს. ვერც ვერას ამბობდნენ ურთიერთ საალერსოს. რუსიკო წავიდა. სანდრო იდგა და უყურებდა, ვიდრე იგი ხალხში არ დაიმალა.

წამოთოვა. ხვავიანად წამოუშინა. საღამო იყო, მაგრამ თოვლი შუქს ფენდა გარემოს.

სანდრომ ნაბიჯს აუჩქარა, რადგან სკოლაში წასვლის დრო იყო. ტრამვაის ერთერთ გაჩერებასთან თვალი შეასწრო მამაკაცის ნაცნობ სახეს. თან იცნო და თან ეეჭვიც შეეპარა მის ნაცნობობაში. ნუთუ ის არი? ის არი, ის, დიმიტრი ლორთქიფანიძე! მერედა, ასე მობუზული, საცოდავად გამომზირალი, მობერებული? ეს რა დამართვნია, რა არის მის თავს? სანდროს ახსოვდა ყოველთვის ცოცხალი, მოძრავი და ხალისიანი. უცებ თვალწინ გაურბინა მასთან ხანმოკლე შეხვედრებმა, თვალწინ დაუდგა მისი შვილების, ახოვანი ვაჟკაცების სახე, ის ნათელი და გიჟმაჟი ზაფხული.

ეუცნაურა დიმიტრის დაღვრემილობა და რაც ყველაზე უფრო თვალშისაცემი იყო: სიბერე, აშკარა სიბერე.

— გამარჯობა, ჩემო კარგო, — თქვა მან, როცა სანდრო მიუახლოვდა და ის იყო მისალმებას აპირებდა.

სანდრომ ხელი ჩამოართვა და მაშინვე ჰკითხა გულისფანცქალით:

— ცუდი ამბავია რამე?..

— ცუდი, ძალიან ცუდი... ჩემი შვილები..- — თქვა დიმიტრომ და ხმა აუთრთოლდა. სანდროს სუნთქვა შეეკრა და გული შიშით გადაელია.

— ფრონტზე იყვნენ?

— ნუღარ მკითხავ. განადგურებული ადამიანი ვარ, შვილო... დავდივარ, ვცოცხლობ მხოლოდ იმიტომ, რომ სული ტკბილია. ვაჟკაცურად და გულმაგრად გავისტუმრე შვილები ფრონტზე. მეგონა, რომ სულ კაეივით ვიქნებოდი,

თავს ძალას ვატანდი, ვამხნევებდი, მაგრამ... ილია დავკარგე უგზოუკვლოდ.., ნუგზარი ვიპოვნე ჰოსპიტალში... განადგურებული, დაკუტებული. ვაი მის ყოფას! შენ ხომ გახსოვს, რა ვაჟკაცები იყვნენ.

სანდროს მუხლთ მოეკვეთა და შეშინებული შეჰყურებდა ატირებულ მამას. დიმიტრი ლორთქიფანიძე და ცრემლი?! სულ რომ ეფიქრა, ამას მაინც ვერ მოიფიქრებდა. მაგრამ ახლა ხედავდა დაბეჩავებულ კაცს და არ შეიძლებოდა არ დაეჯერებინა მკაცრი სინამდვილე.

სანდრომ სიტყვა ვერ დასძრა, ძალაც არ ეყო სანუგეშო რამ ეთქვა მამისათვის, რომელმაც სიამაყით გაზარდა შვილები და ასე უცებ განადგურდა. რა უთხრას, რით ანუგეშოს? და განა ამ დროს შეიძლება ნუგეში?

— შინ არის? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა სანდრომ.

— შინ არი. წამოდი, ნახე. წამოდი, წამოდი, — დიმიტრიმ ცრემლი მოიწმინდა, ხელი მოჰკიდა სანდროს. ყმაწვილკაცი ერთ წუთს შეყოვნდა, მაგრამ მერე მიენდო მოხუცის ნებას და გაჰყვა შინ.

ტრამვაით წავიდნენ, მერე ფეხით დაადგნენ ჩუმსა და დათოვლილ ქუჩას.

უბრად გალიეს გზა. დიმიტრი ოხრავდა. თავდახრილი მიდიოდა, თითქოს ქვეყნისა რცხვენიაო. უწინ რა ამაყად უმზერდა გარემოს, როგორი დიდი სიხარული ჩანდა მის გამოხედვაში! გულდამწვარი მისდევდა სანდრო და ახლა იმას ფიქრობდა, როგორ უნდა შერიგებოდა დანახულს, როგორ უნდა დაეჯერებინა, რომ ნუგზარი, ეს მხარბეჭში ლაღად გაშლილი ჭაბუკი ახლა კუტი იყო.

მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეგუება. ასე რომ არ იყოს, მაშინ კაციშვილი მალე გადაშენდებოდა.

დაჭრილ და დაკუტებულ ნუგზარისათვის მამას რუსეთის რომელიღაც ჰოსპიტალში ნაცნობი ექიმების საშუალებით მიუგნია, იქიდან რის ვაივაგლახით წამოუყვანია. უფროსი შვილი ომის დაწყების პირველსავე დღეებში დაკარგულა. დიმიტრის ახლა იმედის მცირე ნაწილიღა ასულდგმულებდა, ილია სადღაც ცოცხალი მაინც ეგულებოდა. დაკუტული ვაჟის ბედი კი კლავდა, სიცოცხლეს უმწარებდა. მისი სახელი არც არავინ იცოდა, ვერც მოესწრო ვაჟკაცობის გამოჩენა. ფრონტზე გასულა თუ არა, პირველსავე ბრძოლაში დაუჩეხავს და ცალი თვალითაც დაუბრმავებია ყუმბარის ნაფლეთებს.

ახლა ეს ჭაბუკი გაუნძრევლად იწვა საწოლში და ცალ აუხვეველ თვალს აბრიალებდა. მას მხოლოდ ერთადერთი ესღა შერჩა, რითაც ჩანდა მისი სიცოცხლე, მისი სულის სარკე მხოლოდ ეს ერთადერთი თვალიღა იყო, ისიც გაბოროტებით გამომზირალი.

სანდრო გამშრალი უყურებდა კუტს.

კარებში გამოჩნდა ფერმკრთალი და უაღრესად მოტეხილი ბებია ეფროსინე. იმ ზაფხულს შვილიშვილების სილაღით ლაღობდა და მხნეობდა, უდედობას არ აგრძნობინებდა მათ. ახლა სადღა იყო ის ენამოუსვენარი ეფროსინე!

— შენა ხარ? — დაიბუხუნა ნუგზარმა, როცა სანდრო შეიცნო და ერთადერთი დაბრიალებული თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა, — ხელიც არა მაქვს, რომ ჩამოგართვა.

დიმიტრი შეტრიალდა ფანჯრისაკენ, მერე სანდროს მიუბრუნდა და სთხოვა, ცოტა ხანს დარჩენილიყო. მოხუცმა ქალმა სკამი დაუდგა და ისიც შვილთან ერთად გავიდა.

სანდრომ არ იცოდა ასეთ დროს რა ეთქვა, საიდან დაეწყო ლაპარაკი. ენუგეშებინა? ყალბი ნუგეში არ უყვარდა. გულს რა გაუკეთებდა კაცს, რომელსაც ცალი თვალის, გულისფეთქვისა და სულის გარდა ყველაფერი წართმეოდა. იჯდა სანდრო და უყურებდა...

— რას გაჩუმებულხარ? მითხარი რამე! — თითქოს შეუტიაო, დაიბუხუნა ნუგზარმა და ეს ხმაც ვერ იცნო სანდრომ.

— თქვი რამე. ხომ ხედავ, რა დღეში ჩავვარდი. მე აღარაფერი შემიძლია... თავის მოკვლაც კი.

დაიღმუვლა და მერე გაირინდა. სანდრო კვლავ გაოგნებული მისჩერებოდა და ცრემლს ყლაპავდა. ვერც ადგილიდან დაძვრა შეეძლო, ისე მოაჯადოვა ვაჟკაცის დაბრიალებულმა თვალმა.

სანდრო უცებ წამოდგა და პალტო ჩაიცვა.

— კიდევ შემოვივლი, — თქვა დახშული ხმით. შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით კარისკენ წავიდა. მოხუცმა ქალმა დუმილით გააცილა, ხოლო დიმიტრი კართან წამოეწია.

— ასე ჩქარა?

—მე არ შემიძლია, ძია დიმიტრი, — სანდრომ სახე იბრუნა და კიბეზე სწრაფად დაეშვა.

ქუჩაში კვლავ ხვავიანად ბარდნიდა. თოვლი შრიალებდა. სანდროს თვალთაგან არ შორდებოდა უსახელოდ განადგურებული ვაჟკაცის სახე და შიში გულს ულევდა.

ქუჩის საათის ისრები რვას უჩვენებდნენ. რამდენი დრო გასულა! ახლა პირველი გაკვეთილი გამოსულია და ირეკება მეორის ზარი.

სანდრო დღეს ვეღარ წავიდოდა სკოლაში. არც შინ მისვლა უნდოდა. ანგარიშმიუცემლად მიაბოტებდა თოვლში. შუბლს მალიმალ ისრესდა, თავის ტკივილი აწუხებდა. რუსიკოს მიერ მოტანილი სიხარული ვარამის გამოუნელებელმა ცეცხლმა შეუცვალა.

როდის-როდის თავისი ეზოს ჭიშკარს მიადგა. ეზოში მყუდროება სუფევდა. სახლების ჩაღამებული თვალები ისე მოჩანდნენ, თითქოს ამ მყუდრო ღამეში შენობებსაც სძინავსო.

ნათელი ღამე იყო. თოვლი კარგ სინათლეს აყენებდა და ქუჩაში სიარული არცთუ ისე ჭირდა.

ლევანს უკვე ეძინა, როცა სანდრო შინ შევიდა.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, შვილო? — შეკრთა დედა მის დანახვაზე. ანიკომ შეხედა კედლის საათს, თვალი ხომ არ მატყუებსო.

„ახლა მეოთხე გაკვეთილზე არიან," — გაიფიქრა სანდრომ, პალტო გაიხადა და იქვე, კართან დაჰკიდა.

— სკოლაში არ ვყოფილვარ,—თქვა სანდრომ და შუბლი კიდევ ერთხელ მოისრისა, — შენი ჭირიმე, დედა, მეტს ნურაფერს შემეკითხები.

დედამ შვილის თვალებში ცრემლი დაინახა.

— რა იყო, რა ნახე ისეთი? — ხელები მოხვია დედამ და შვილს თვალებში შეხედა, — რა გატირებს ამხელა კაცს?!

— ოღონდ ნუ მათქმევინებ, ჩემო დედიკო... არც ისეთი რამ არის.. — სანდრომ ძალაუნებურად გაიღიმა და დედას ორივე ლოყაზე აკოცა.

— შენ იცი. პატარა აღარა ხარ. აქამდე კარგ გზას ადექი და კვლავაც მაგ გზაზე უნდა იყო.

საათი წიკწიკით მიითრევდა დროს.

„ახლა მეხუთე გაკვეთილზე არიან..." — საბანი თავზე წაიფარა სანდრომ, მაგრამ მთელი ღამე მის თვალს ძილი არ მიჰკარებია.

თავი მეთერთმეტე

ზამთარი მიდის სიცივითა და აუარებელ ამბებით სავსე. სტალინგრადმა წელში გატეხა მტერი და ხალხს კიდევ მიეცა გული.

სტალინგრადთან თავი უსახელებია მიტრო ალიმბარაშვილს. მისი საგმირო ამბები გაზეთში იყო დასტამბული, ფრონტიდან სურათიც გამოეგზავნათ. თბილი, ყურებიანი ქუდი ეხურა და წარბშეკრული იბღვირებოდა. დაღლილი სახე ჰქონდა, თითქოს მტრის

ქლეტას რომ მორჩენილა მაშინ გადაუღია სურათიო.

სანდრო დიდხანს უყურებდა ამ სურათს, აგონდებოდა ყველაფერი, რაც კი მიტროს აგონებდა და განსაკუთრებით მისი ჯარში წასვლის დღე ხომ ეს მართლაც დაუვიწყარი იყო მისთვის. როგორ „არხეინად“ მიდიოდა... გაზეთში სურათი ფერმკრთალი იყო და ლამის არ გავდა მიტროს. ეს სულ სხვა იყო, სულ სხვა ჩანდა. სანდრო მეათედ კითხულობდა მისი გმირობის ამბავს და გული სიხარულით ევსებოდა. წარმოიდგინა მიტრო ბრძოლის ქარცეცხლში. ვინ იცის, არმდენჯერ უნახავს იგი კალოზე. როგორ ცეცხლივით ტრიალებდა! სამთითაზე გაწაფული ხელით ხიშტიც კარგად დაუტრიალებია. რამდენი ძალა და მხნეობა იყო ამ კაცში! ახლა ცოცხალია, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. ვინ იცის, რა სიხარულია ახლა მიტროს ოჯახში. იმ დღეს კი როგორ იცრემლებოდნენ. თითქოს გუშინ იყო, ღობესთან აკრული, დამფრთხალი რამდენიმე ადამიანი იდგა და გაჰყურებდა საომრად მიმავალ ოჯახის ბურჯს და იმედგაწყვეტილები ფიქრობდნენ, დაბრუნდებოდა მიტრო ცოცხალი თუ არა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ დაჭრილია, იქნებ ხელი ან ფეხი მოჰკვეთეს. ამაზე არაფერს წერენ გაზეთში. მთავარი ის არის, რომ ხალხს მისი გმირობა აუწყეს და გააცნეს თავდადებული ვაჟკაცი. ნეტავი კი მანახაო, ნატრობდა სანდრო, რომლის გულშიც ერთიათად გაიზარდა მიტრო. დიდ ადამიანთან მოსალოდნელი შეხვედრა მას მეტად აღელვებდა.

მართლაც დიდი იყო მიტრო. ახლა ქეიფია მის ოჯახში. მოდიან სოფლელები და მოაქვთ მოსალოცი. ყველა მადლობის გრძნობით ხვდება მოხუც მშობლებს კარგი ვაჟკაცის გაზრდისათვის. იმ დღეს, ღობესთან რომ იდგნენ და სლუკუნებდნენ, ახლა, ალბათ, სიხარულით ცასა სწვდებიან. უფროს შვილს თავი მოაქვს, გმირის შვილია და თვითონაც გმირი იქნება... პატარა გუგულ, იმ დღეს გარღვეული ლობესთან რომ იყურებოდა, ჯერ არაფერი ესმის. ალბათ, ისიც ინაწილებს სიხარულს, ახარებს სტუმრიანობა და გაშლილი სუფრა... ექნებათ კი რამე ამ გაჭირვების ჟამს? რამეს გამოძებნიდნენ. სოფელი მაინც სოფელია და პურ-მარილი ცოტა მაინც მოეპოებოდათ.

სანდრომ ყველაფერი ისე წარმოიდგინა, თითქოს ალიანშია და ალიმბარაანთ ოჯახს უყურებსო.

„სიკვდილისა თუ გეშინია, ძია მიტრო? — ეკითხება გუნებაში გმირს.

და საიდანღაც ბუბუნი ესმის:

„არა, არ მეშინია...გმირს სიკვდილისა არ ეშინია“.

„ვითომ მართლა? აი, მე რომ ბრძოლაში მოვხვდე... რა ვქნა, თავის იმედი არა მაქვს და უთუოდ შემეშინდება...“

სანდროს გული გამალებით უცემს, სისხლი უდუღს და ფიქრით კვლავ მიტროსთან და მის ოჯახში ტრიალებს. ალბათ, რუსიკომაც მიირბინა ალიმბარაშვილებთან. რა გააჩერებდა. პირველი ის გაიგებდა, პირველი ის მიეჭრებოდა და მიულოცავდა. მერე კლუბშიც ჩაირბენდა და გმირთან შეხვედრის თადარიგს ამთავითვე შეუდგებოდა. იმას — ა რ იკითხავდა, მიტროს ფრონტიდან გამოუშვებდნენ თუ არა. „გამოუშვებენ, აბა რას იზამენ. კაცმა იმდენი საგმირო რამ ჩაიდინა. ზღაპარივითაა. იმ დღეს, სოფელში რომ შეხვედრას მოუწყობენ, მეც ჩავალ და ვნახავ, რა ამბავი იქნება!“ „მშვიდობით, ძია მიტრო“. მოაგონდა ის დღე, ბოგირთან რომ მიდიოდა ხალთააკიდებული. „კარგად იყავ, ბიჭო“. ახლაც ჩაესმის მისი ყრუდ ნათქვამი.

სანდრომ გაზეთი დაკეცა და მეგობართან გადირბინა. თეიმურაზი შინ არ დახვდა. მდგმურმა უთხრა, რომ იგი პურის მოსატანად წავიდა და მალე დაბრუნდებაო.

როცა კი ზინა კარის გასაღებად გამოვიდოდა, მას ხელში ეჭირა პატარა ბიჭი

და ოთახის კარში მოჩანდა გოგონა. ტანიას გონებას თანდათან შორდებოდა იმ საშინელ დღეთა მოგონებანი, თვალებში თანდათან უქრებოდა შიში და ზინაც უკვე სხვაგვარად გამოიყურებოდა რამდენიმე თვე ამ მყუდრო ბინაში ცხოვრების შემდეგ. „სიკეთეს და მყუდროებას, გაზაფხულსა და მზეს შეუძლია დაუბრუნოს ახალგაზრდობა“, — გაიფიქრა სანდრომ და ბიჭუნას მიუალერსა.

— მობრძანდით, — შეიპატიჟა ზინამ.

სანდრო შუშაბანდში შევიდა და გოგონასაც მოეფერა. უწინ იგი მოფერებაზედაც კი ფრთხებოდა და ტიროდა.

სანდრომ გაზეთი გაშალა და ზინას თანასოფლელი გმირის სურათი აჩვენა.

— აი, რეები ხდება... უკრაინასაც მალე გაათავისუფლებენ.

ზინამ ამოიოხრა. გმირის სურათს ერთ ხანს მდუმარედ უყურებდა.

— ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ დაჭრილი გულის გამთელება ადვილი როდია. მე მადლობელი ვარ ყველა მებრძოლის, რომლებიც შურს იძიებენ მრავალი ათასი ჩვენისთანა გაუბედურებული ადამიანისათვის.

პირველ ხანებში, როცა ზინა ამგვარ რამეს იტყოდა ხოლმე, ცრემლი სდიოდა. ახლა აღარ ტიროდა.

სანდრომ გაზეთი დაკეცა. ფანჯრიდან თეიმურაზი დაინახა, რომელიც შინისკენ სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა. მეგობარს რომ გაზეთი დაუნახა, კარგად ენიშნა. სასიხარულო ამბებს ყოველთვის ერთად კითხულობდნენ ხოლმე.

— რა ამბავია, სანდრო?

— კარგი ამბავი. აი, ნახე, ჩემი თანასოფლელი, მიტრო ალიმბარაშვილი! გმირი გამხდარა. ვაჟკაცი კაცი იყო და აკი გვასახელა კიდეც... — სანდრო უცებ დადუმდა. ნუგზარი მოაგონდა. საბრალო, კარგი ვაჟკაცი იყო, მაგრამ...

თეიმურაზი გაზეთს კითხულობდა. ზინამ ოთახში შეიყვანა შვილები და კარი მოხურა. მეგობრები შუშაბანდში მარტო დარჩნენ.

— ყოჩაღ! — დაიძახა თეიმურაზმა აღტაცებით, — აი, გმირიც ეს არის.

კიდევ ერთხელ დახედა ... სურათს და მერე მეგობარს შესცქეროდა. თვალები აღგზნებული ჰქონდა და სიხარულით უციმციმებდა. ყოველი ახალი გმირის გამოჩენა სიამაყით ავსებდა, ისევე, როგორც სანდროს. მეგობრებს აწ უფრო მტკიცედ სჯეროდათ გამარჯვების მოახლოება.

ოთახში შევიდნენ. თეიმურაზმა კარადის თავიდან ჭადრაკის ყუთი გადმოიღო, მტვერი გადაწმინდა და მაგიდაზე ხმაურით გადმოყარა ქვები.

— რამდენი ხანია არ გვითამაშია.

— სიამოვნებით გეთამაშები, — თქვა სანდრომ და მაგიდას მიუჯდა.

ნაგვიანევი მთვარე გადმოჰყურებდა ქალაქს. ღრმაღელისა და დიდუბის კალთები მოჩანდა სკოლიდან მომავალი გზიდან. ამ ჩაბნელებულ უბნებს ვერცხლისფერი ნათელი დასდგომოდა და მუქი ჩრდილისა და მკრთალი სინათლისაგან გამოკვეთილი უფანჯრებო შენობების ლანდებით ისეთი სურათი იქმნებოდა, თითქოს ქალაქი გაქვავებულიაო.

ეს რამდენიმე დღეა ავტოკოლონები საქართველოს სამხედრო გზაზე შუალამიდან გათენებამდე განუწყვეტელ ნაკადებად მიჰქრიან ფრონტისაკენ. როცა ქალაქი ნაწილობრივ იძინებს, ხოლო მესამე წყების მოწაფეები შინ მიდიან, სამხედრო გზაზე გარბიან მანქანები. მიდიან მოღუშულნი. წყდება კოლონა, ისევ იწყება. სანდროს შინ, ძილშიაც ჩაესმის ხოლმე მანქანების ღუღუნი, ტანკების შემაზრზენი რახრახი.

ახლაც, შინისკენ მიმავალ სანდროს გზაში ხვდებოდა უამრავი მანქანა. მტვერში მოგანგლულმა და დაღლილმა შეაღო სახლის კარი.

მამა ჩაცმული იჯდა მაგიდასთან. ლევანი გვერდზე მოესვა და რაღაცას ეუბნებოდა. დედა ხალთაში მამის საცვლებსა და საჭმელს ალაგებდა, თან იცრემლებოდა.

გუშინწინ სანდრომ მიიღო მამის უწყება. იგი ჯარში უნდა წასულიყო, მაგ-

რამ ეტყობა ააჩქარეს, რომ ამ შუაღამისას ეთხოვებოდა თავის ოჯახს.

— აკი ხვალ უნდა წასულიყავი? — ხმა შეუთრთოლდა სანდროს.

— საათნახევარში გავა ჩვენი ეშელონი, — მამამ ხალთას წამოავლო ხელი და თქვა, — არ გამომყვეთ. ანიკო, შენი ჭირიმე, ორ ვაჟკაცს გიტოვებ... შენ იცი და ამათ... —ამოიოხრა და დაუმატა, — ჭიშკრამდეც არ გამომყვეთ... ვითომ აქვე მივდივარ.

კარი გააღო და ეზოში გავიდა. მეზობლებიც გამოიშალნენ ეზოში. დუმილით მიაცილეს ჭიშკრამდე. ამ შუაღამისას გზა დაულოცეს. ანიკო ტიროდა. სანდროსა და ლევანს გული უდუღდათ, მაგრამ თავს იმაგრებდნენ.

გიგო წავიდა. ქუჩა ჩაიარა და სადღაც ქვევით მიწყდა მისი ფეხის ხმა.

...სანდრომ თანდათან უფრო იგრძნო მამის დაშორების სიმძიმე. თითქოს რაღაც დარჩა სათქმელი მასთან, მხოლოდ ერთი ტკბილი სიტყვა... სინანული გულს უჩაგრავდა.

მაგრამ დრო თანდათან კურნავდა გულის ჭრილობას და ყოვლის შემგუებელი ადამიანი ყველაფერს კვლავ და კვლავ ეგუებოდა.

პატარა ქოხში ჩვეულებრივ მიდიოდა ცხოვრება, მხოლოდ შუაღამისას აღარ მოდიოდა მამა.

თავი მეთოთხმეტე

აპრილის დამდეგს სოფლიდან რუსიკოს დეპეშა მოვიდა.

მიტრო ალიმბარაშვილს კვირას ხვდებოდა სოფელი.

სანდრო წინა დღეს დაადგა სოფლის გზას. ერთი სული ჰქონდა — შეხვედროდა სახელოვან კაცს, რომელიც არაერთხელ უხსენებიათ გაზეთებში. თვალთაგან არ შორდებოდა გზადმიმავალი, მისი უკანასკნელი აგდებული გამოხედვა, ის სევდიანი თვალები, რომლებიც ემშვიდობებოდნენ ყველაზე უტკბესს... ვინ იცის, ამ ყველაზე უტკბესის სიშორე როგორ აწუხებდა, რა ძალას მატებდა მისი ნახვის წყურვილი, მისი გადარჩენის წყურვილი.

ასევე წავიდა მამაც. იგიც ხომ ჭიშკრამდე მიაცილეს. შემდეგ საბურთალოს დაღმართი მარტომ ჩალია და მიტროსავით გამოემშვიდობა ჩაძინებულ ქალაქს.

სოფლის სადგურს არ ეტყობოდა გმირის მოლოდინი. აქ ყველაფერი ჩვეულებრივ იყო, როგორც უწინ უნახავს სანდროს, ოღონდ მეეტლეები აღარ ჩანდნენ. აღარ ჩანდა ის ერთადერთი ავტობუსიც, რომელიც შორეულ სოფლებში მიაქროლებდა მგზავრებს. ახლა ყველანი ფეხით დადიოდნენ. და სანდროც ფეხით გაუდგა გზას.

საღამო ხანი იყო. ხიდზე შეჩერდა და გახედა მტკვრის გაშლილ ხეობას, რომელსაც ჩამავალი მზის მეწამული ფერი დასდებოდა.

მტკვარს ნაპირ-ნაპირ ნერგები გასდევდა, მერე იქით ბაღები იყო. სერები, სახნავ-სათესი მიწები, მერე ისევ ბაღ-ვენახები და სოფლები, გაზაფხულით გამოღვიძებული ქვეყანა ატმისა და ტყემლის ყვავილებით მორთული. მერე იქით მთებია. წინ ბავშვებივით ჩამომდგარან უფრო მომცრონი, ხოლო იქით ჭარმაგნი დგანან და სულ უკან თეთრთმიანი მოხუცები — მაღალი მთები. თითქოს დღესასწაულზე არიან, თითქოს რაღაცას უმზერენ. დგანან და ტკბებიან ველთა მშვენებით.

სანდრომ ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი, ხარბად შეიყნოსა გაზაფხულის დამათრობელი სურნელი.

მგზავრთა ნაწილი უკვე გასცდენოდა ხიდს და ორღობეში მიიჩქაროდნენ, რომ დღიურ ასულიყვნენ სოფელში. სანდრო სანამ ხიდთან იდგა და სანახებს გაჰყურებდა, ჩამორჩა მათ. ფეხს გაუჩქარა, მაგრამ ვერ დაეწია თანამგზავრებს.

გზაზე მყუდროება იყო. გაზაფხული ღობეებიდან იყურებოდა. ხეზე ბევრი ყვავილი იყო, ღობის ძირშიც ეყარა,

თოვლის ფიფქივით გზაზედაც მოფანტულიყო.

სოფელში რომ ავიდა, ბინდი იდგა. პირველ სახლებს გაუარა.

საპარიკმახეროდან კოჭლი კოტე გამოხანხალდა და კარს დიდი ბოქლომი დაადო.

— გამარჯობა ძია კოტე. — მიესალმა სანდრო.

კოტემ მუშტრის მზერით შემოხედა, ალბათ, არ ესიამოვნა მისი სუფთა ლოყების დანახვა.

— ფუი, დასწყევლა ღერთმა! მუშტარი გამოილია! — თქვა მან და გასაღები გამოაძრო ბოქლომს.

სანდროს გაეღიმა.

— მერედა, მე რა დაგიშავე, ძია კოტე? — უსაყვედურა სანდრომ.

— შენ რა... გაგიმარჯოს! მოვალ დილას, ვლესამ და ვლესამ ამ ჩემ სამართებელს, მერე ვზივარ და ველოდები... ორიოდე კაცი შემოივლის და მორჩა. უწინ ვერ ავუდიოდი.

— რას იზამ, ომის ბრალია.

— ჰიტლერის ბრალია, იმისი დედა კი... ერთი ჩემი სამართებლით ამათლევინა.

კოტემ გინებითა და ბურტყუნით გასწია შინისკენ.

სანდრო წყაროსკენ გამოვიდა, ქვემო წყაროსთან, სადაც სოფლის კლუბი იყო და უწინ ახალგაზრდები იყრიდნენ თავს, ახლა კაციშვილი არ ჩანდა. სოფელს არ ეტყობოდა გმირის მოლოდინი.

სანდროს ყურადღება კლუბის ღია კარმა მიიპყრო. ქვის რამდენიმე საფეხური რომ აიარა, რუსიკოს ხმა მოესმა, შენობის სიღრმეში ვიღაცას უხმობდა. სხვათა ხმებიც გაიგონა სანდრომ. დარბაზის კარში გამოჩნდა, მაგრამ მისი მოსვლა არ შეუნიშნავს რუსიკოს. სცენაზე საშუალო სკოლის გოგო-ბიჭები ტრიალებდნენ. აწყობდნენ, რთავდნენ. ეტყობოდა რუსიკო ყოველივე ამის მოთავე იყო. როცა მეგობარმა გოგონებმა ყურში ჩასჩურჩულეს, სწრაფად შემოტრიალდა. ერთ წუთს სახეალეწილი შეჩერდა სცენაზე. სანდროს სახე გაეხსნა, შორიდან გაუღიმა, თვალებანთებულ ქალიშვილს და სცენისკენ წავიდა. რუსიკო გადმოხტა. თამამად გამოემართა სანდროსკენ და ხელი ჩამოართვა.

— კარგ დროს მოხვედი, სანდრო! უნდა მოგვეშველო. აბა, თუ მიხვდები, რა აკლია ჩვენი სცენის მორთულობას? — რუსიკო სცენისკენ შეტრიალდა და თვალი ერთ წუთს მოაცილა ვაჟს.

— კარგად კი მოგირთავთ, — მოუწონა სანდრომ ნამუშევარი.

— რა აკლია? — გაიმეორა რუსიკომ და თავადვე დაუმატა, — სურათი, გმირის სურათი. კარგი იქნებოდა სცენის სიღრმეში რომ დაგვეკიდა. შენ უნდა გაგვიკეთო, სანდრო.

— მერედა, სურათი გაქვთ?

— შინ გამოვართმევთ მისიანებს. ერთად წავიდეთ. ეხლავე ავირბინოთ, დროს ნუღარ დავკარგავთ. ძია მიტრო ხვალ ნაშუადღევს მოჰყვება მატარებელს.

ქალიშვილმა ხელი დაუჭირა და გაიქცნენ.

— ჩვენ ახლავე მოვალთ, ამხანაგებო! — კარიდან მოაძახა რუსიკომ სცენაზე მყოფთ.

გზაზე გავიდნენ. რუსიკომ ხელი გაუშვა ვაჟს. ბინდი უკვე შემუქებულიყო. სოფლის უკაცრიელ შარაზე ქალ-ვაჟი მიიჩქაროდა.

— იცი, როგორ მომენატრე! — ჩურჩულებდა ვაჟი.

— მეც, მეც ძალიან მომენატრე! — გულისფეთქვით ამბობს რუსიკო, — დაიცა, გული ლამის გამისკდეს.

მან აქეთ-იქით მიმოიხედა და წამით შეჩერებულმა ვაჟს შეხედა.

— წავიდეთ! — თქვა უმალვე და ფეხს გაუჩქარა.

ალიმბარაშვილების მაღალ სახლში ლამპა ენთო. ოთახში ვიღაცები მიმოდიოდნენ და მათი ლანდები ფანჯარაში მოჩანდა. ჭიშკართან სანდროს კიდევ ერთხელ მოაგონდა მიტროს წასვლა. მი-

სიანები აი, აქ იდგნენ და იცრემლებოდნენ. ალბათ დღესაც ცრემლი სდით, მაგრამ სიხარულის ცრემლი.... დღეს მათ ოჯახში ზეიმია. ამაში მალე დარწმუნდა სანდრო, როცა რუსიკოსთან ერთად მიტროს სახლის აივანზე ავიდა და მასპინძელმა, მიტროს მოხუცმა დედამ, მხნედ და ხალისიანად გააღო სახლის კარი.

— რუსიკო, შენა? მოდით, მოდით, შვილებო!

სანდრომ მიულოცა. ქალი გადაეხვია და გადაკოცნა მიმლოცველი.

რუსიკომ ააჩქარა მიტროს დედა:

— ძია მიტროს სურათი გვინდა სასწრაფოდ, უნდა გავადიდოთო.

ქალმა შეიცხადა:

— რათა, შვილო, გადიდება რათ უნდა?

— კლუბის სცენაზე უნდა ჩამოკიდოთ, დეიდა სოფო. ჩქარა მოგვიძებნე სურათი, თორემ ვერ მოვასწრებთ.

— შინ შემოდით, თქვენ გენაცვალეთ...

ქალი ოთახში შეუძღვა სტუმრებს. შინ სხვა სტუმრებიც იყვნენ. რამდენიმე ბერიკაცი და ქალი შემოსხდომოდა სუფრას. სუფრა არ იყო მდიდარი, მაგრამ იქ მყოფთ ხაზეიმო ელფერი დასდებოდათ. ალბათ, ერთი სული ჰქონდათ, მალე დამდგარიყო ხვალინდელი დღე.

„დედა ენაცვალოს, დედა ენაცვალოს!“ — გაიძახოდა სოფო და რძალთან ერთად დიდ ალბომში მიტროს სურათს არჩევდა, თვალში ცრემლი ერეოდა და თავშლის ბოლოთი იწმენდდა. ბედნიერი დედა იყო. ასეთები ცოტანი უნახავს სანდროს.

ახალგაზრდები სუფრაზე მიიწვიეს. მათ ორიოდე სიტყვით დალოცეს გმირის კერა, გმირის გზა და მისიანები. მერე სურათი გამოართვეს დედას.

— კარგად გამოვა, არა? — ჰკითხა რუსიკომ სანდროს.

— ამ სურათში კარგად არის. ვნახოთ, მე როგორ გამომივა. — თქვა სანდრომ და ერთხელ კიდევ დახედა მიტროს.

ეს სურათი ომის დაწყებამდე სანდრომ თვით ადრე გადაეღო გმირს — ...

გაშლილი ვაჟკაცი ჩანდა.

ცოტა ხნის შემდეგ სოფლის მოედანზე გამოვიდნენ რუსიკო და სანდრო. ვაჟი შეჩერდა და ქალიშვილს უთხრა:

— მე რომ ჩემს მოხუცებთან ჯერ არ მივსულვარ!

— მართლა? მე კი მეგონა... მაშ მივირბინოთ იქაც. ნახე ისინი და მერე კლუბში გავიქცეთ.

ზემოთ გაიქცნენ, სადაც დღისით ნაცნობი სახლის სამკუთხა სახურავი მოჩანდა.

ადრე დაეძინათ დიდედას და პაპას. სოფელში დაღამდებოდა თუ არა, ერთ ხანს კიდევ ფუსფუსებდნენ და მერე ბებერ ძვლებსა და კუნთებს მოასვენებდნენ.

რუსიკომ და სანდრომ გამოაცოცხლეს მიძინებული კარმიდამო. წამოიშალნენ მოხუცები, ლამპა აანთეს. ელენე დატრიალდა, ფარნამ გვერდით მოისვა შვილიშვილი და ქალაქის ამბები ჰკითხა.

ახალგაზრდები იქაც არ დარჩენილან დიდხანს, ისევ ღამის სიბნელეში გავიდნენ და სოფლის კლუბისაკენ დაეშვნენ. მოწაფეებს უკვე მოეთავებინათ სცენის მორთვა. კლუბში მხოლოდ გამგე და რამდენიმე ყმაწვილი იყო. მათ შეიცადეს და ცქერა დაუწყეს სანდროს საქმიანობას.

კლუბის გამგემ ურჩია იქვე ჩამომსხდარ ყმაწვილებს:

— ჩვენ წავიდეთ, ხელის შემლის მეტს არაფერს გავუკეთებთ მხატვარს. გამომიცდია, რა ძნელია, როცა ვინმე შემოგყურებს ხელებში.

— მართალია, — თქვა რუსიკომ და უმალ წამოხტა.

„არა, შენ ნუ წახვალ... შენ თუ წახვედი, არაფერი გამოვა“, — სანდრომ თვალი მიადევნა ყმაწვილებთან და კლუბის გამგესთან ერთად ოთახიდან გამავალ რუსიკოს. ქალიშვილი კართან

შედგა, შემოტრიალდა და რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაუღიმა და კარი გაიხურა.

სამი ლამპა ანათებდა ქაღალდს. ქაღალდი დაფაზე იყო გაკრული. სანდრომ პირველი გაუბედავი ხაზები გააკეთა... გამხნევდა, ნამუშევარი თვითონ ამხნევებდა და ნაკვთების მსგავსება თანდათან მატებდა ძალას. ფანქარი სწრაფად დაცურავდა ქაღალდზე.

დროის მსვლელობას ვერ გრძნობდა სანდრო. ღამე კი იწურებოდა. ღამესაც არ გრძნობდა, რადგან მიტროს თვალებში ბლომად შუქი ჩამდგარიყო.

როდის-როდის მოიხედა სანდრომ და შეკრთა. ოთახში არ მოელოდა რუსიკოს. ქალიშვილი თავისთვის იჯდა საკარძელში და უცქეროდა, თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადაწეული და იღიმებოდა. როდის შემოსულა? როდის შემოპარულა? სხვები წასულან, ეს კი დარჩენილა.

— რუსიკო, შენა?!

რუსიკომ გაიღიმა და უთხრა:

— აი, ვერც კი გაიგე როგორ შემოვიპარე! დიდებული სურათი გამოდის, დიდებული. იცი რომელი საათია?

— ახლახან არ დავიწყე?!

რუსიკოს გაეცინა.

— შუაღამეა. ყველანი წავიდნენ. კლუბის გამგემ გასაღები მე დამიტოვა. ახლა წავიდეთ შინ და დილაზე ადრე ჩამოვიდეთ.

— შუაღამეა?! — გაუკვირდა სანდროს, — მაშ წავიდეთ, დაიღლებოდი.

— მე? მე დავიღლებოდი? მე რა დამღლის!..

...სურათი სცენის სიღრმეში ჩამოკიდეს.

ხალხი უკვე დაძრულიყო სადგურისაკენ. რუსიკო და სანდროც გაჰყვნენ თანასოფლელებს.

სადგურს გუშინ არაფერი ეტყობოდა გმირთან შეხვედრისა, საზეიმო ნიშანწყალი არ ედო. დღეს კი სანდროს თვალში ეცა წითელი დროშები და სადგურის შენობაზე, რკინიგზის მხარეს გაკრული პლაკატი.

სანდრომ შარას გახედა, [illegible] ხის ნაკადი არ ილეოდა. „რა ბედნიერია ძია მიტრო! დაუფასდა ამაგი. დაუფასდა და მერე როგორ! მე რომ ასე შემეგებოს ჩემი სოფელი, ალბათ, გავიყდებოდი სიხარულისაგან, ასე რომ გააკრან პლაკატი სადგურის შენობაზე, გაუმარჯოს სანდრო ვაშაკიძესო... აქ ათასობით მატარებელი გაივლ-გამოივლის, ათიათასობით თვალი შეხედავს, ყველას გაახსენდება გმირი და გმირის მშობლიური კუთხე. გაახსენდებათ და მადლობის ნიშნად სიყვარულით გახედავენ ამ მთებს, ამ ველებს, ამ მიწას, რომელმაც ძუძუ აწოვა „გმირს“.

მოწაფეები ბაქანზე დგანან, მინდვრის და ბაღის ყვავილები უხვად დაუკრეფიათ. მიტროს, ალბათ, დამალავენ ამ ყვავილებში. აგერ, მიტროს მამა, დედა, ცოლი და შვილები, მოკეთეები, მეზობლები, კიდევ და კიდევ მეზობლები. ვისაც კი სადგურზე მოსვლა შეეძლო, ყველას აქ მოუყრია თავი. ან კი ვინ დადგებოდა შინ იმ დროს.

მატარებლის გამოსვლის ზარი დარეკეს. ზარის ხმა სწრაფად გაჰქრა სივრცეში.

მოსახვევში გამოჩნდა მატარებელი. ხალხი შეინძრა. შეჩოჩქოლდა. ვიღაც წესრიგს ამყარებდა. ვარაუდობდნენ, დაახლოებით სად გაჩერდებოდა მეოთხე ვაგონი, რომელშიც გმირი იჯდა.

სანდრო და რუსიკო წინ გავიდნენ. ჩამოქროლებული მატარებლის აძრულმა ქარმა თმები წამოუშალა რუსიკოს. მას თავი მაღლა შეემართა და გაფაციცებით უმზერდა ფანჯრებს. აგერ, მეოთხე ვაგონი. მაგრამ ფანჯარასთან არავინ იდგა. მატარებელი ჩამოდგა. კარი ღია იყო და ვაგონის გამყოლთან ერთად გამოჩნდა ჩვეულებრივი, უბრალო, ჯარისკაცურ ფორმაში გამოწყობილი ახოვანი მამაკაცი, რომელსაც გულმკერდს დიდი ჯილდო უმშვენებდა.

ისევ ის მიტრო იყო, ოდნავ ფერშეცვლილი, როცა მან ბაქანზე უამრავი

ხალხი დაინახა, ხელი მაღლა ასწია და გაიღიმა. ახალგაზრდები ჯგუფად ეცნენ კიბეს და მიტრო უცებ დაიმალა თაიგულებში.

სანდრომ იგი მხოლოდ ბაქანზე დაინახა, როცა დედას იკრავდა გულში, როცა პატარებს კოცნიდა და მამასა და ცოლს სიყვარულით მოეხვია.

თანასოფლელებმა ვაშა შეუძახეს მიტროს და ხელში ატაცება დაუპირეს. რაიკომის წარმომადგენლებიც რაღაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ მათ ვინ რა აცალა. გაისმოდა:

— იხაროს, შენმა მარჯვენამ!

— დღეგრძელ იყავ, შვილო!

— ყოჩაღ, ბიჭო!

— ჩვენო სახელოვანო ვაჟკაცო!

მიტრო იღიმებოდა, მხრები ლაღად გაეშალა და ხარბად უმზერდა ხალხს, ვისთვისაც იბრძოდა, ვისთვისაც სიცოცხლეს არ იშურებდა. სიარულში ოდნავ კოჭლობდა. დედამ გვიან შენიშნა:

— მოგიკვდეს დედა, შვილო! — გვერდიდან არ შორდებოდა. თაიგულების ნაწილი მას მიჰქონდა, ნაწილს ბავშვები იკრავდნენ გულში.

მიტრომ რუსიკოსაც აკოცა, სანდროს გაუღიმა. უწინაც გაუღიმია მისთვის, მაგრამ ახლანდელი ღიმილი ძვირფას საჩუქარს უდრიდა. „აბა, ახლა თუ აივლის ისე „გულარხეინად“ სოფელში?“ გაიფიქრა სანდრომ და თვალს არ აშორებდა მიტროს, რომელიც აწ უკვე სასოებით შეჰყურებდა გაზაფხულით გადახატულ მთებს და ველებს. კოჭლობით მიაბიჯებდა და თან მიჰყვებოდა მადლიერი ხალხი.

ალიმბარაშვილების მწვანით მოფენილი ეზო ბევრ ხალხს იტევდა. კლუბის გამგეს უნდოდა გმირი კლუბში მიეწვია და იქ მოეწყო შეხვედრა, მაგრამ სოფელი თავისსავე კარ-მიდამოში შეხვდა მიტროს.

კაკლის ხის ძირას იჯდა მრგვალ მაგიდასთან, აქეთ-იქით შვილები შემოესხა. ნამგზავრს აღარ ასვენებდნენ მეზობლები, ყველა სახეში შეჰფოფინებდა, თითქმის ყველამ ალერსით გადაუსვა ხელი მის მკერდს, რომელზედაც ორდენი და მედალი ბზინავდა.

— წავიკითხე, შვილო, შენი საგმირო ამბები... მართლა გმირი ყოფილხარ.

— არ გეშინოდა, ძია მიტრო? ხო შეიძლება მოეკალით?

მიტროს ეღიმება ამ შეკითხვაზე.

— გულახდილად გეტყვით, სანამ ორომტრიალი ატყდებოდა, მანამდე კიდევ ვიწვნიე შიში... მერე თავიც დაძავიწყდა.

— კიდევ უნდა წახვიდე, მიტრო?

— ჰო. ერთი თვით გამომიშვეს... ჭრილობა მომიშუშდება და... ჰიტლერი თუ არ ვნახე და თქვენი „მოკითხვა“ არ გადავეცი, აბა, ისე როგორ იქნება! — კვლავ ეღიმება გმირს.

— შავი ქვა და ცხელი ნაცარი იმას! — მწარედ დაიწყევლა ვიღაცამ ხალხში.

— აგვირ-დაგვირია ცხოვრება.

— ერთი აქ ჩამოათრიე ის სულძაღლი, ჩვენ მოვუვლით... — წვერზე ნერვიულად გაისვა ხელი ერთმა ბერიკაცმა.

სოფლის დალაქმა, რომელიც სხვებთან ერთად ისიც გმირთან შესახვედრად მოსულიყო, კოლოფში ჩადებული სამართებელი გაუწოდა მიტროს და უთხრა:

— ჩემგან სახსოვრად გქონდეს, ძმაო... ბერლინამდე წვერი იპარსე, იქ კი ჰიტლერს ყელი გამოსჭერ... ჩამოხვალ და სხვას გაჩუქებ.

მიტრომ მაშინვე ამოიღო სამართებელი და ფხა გაუსინჯა.

— ბიჭოს! ეს მართლა კარგი რამ არი. გმადლობ, კოტე. თუ შემხვდა, შეგისრულებ დანაბარებს, — გაიღიმა მიტრომ და სამართებელი ბუდეში ჩადო.

ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. საჩუქრები მოჰქონდათ, თავიანთ დაკარგულებს კითხულობდნენ. მიტრო ყველას ანუგეშებდა.

საიდანღაც დედასპურის სუნი მოვიდა. მიტრომ სათონისაკენ გაიხედა. სა-

თონე ფარღალალა იყო და მან დაინახა ქალები თონიდან როგორ ყრიდნენ პურებს.

ჰაი დედასა, რამდენჯერ მონატრებია! თავი შეიკავა, თორემ იმ წუთში ერთი სული ჰქონდა, მისულიყო თონესთან და ცხელ-ცხელი პური გაეტეხა.

სანდრომ შენიშნა ეს დიდი წყურვილი და გული მოეწვა. „ვინ იცის რა გაჭირვება, სულიერი თუ ხორციელი წამება გადაიტანა... ახლა ისე ზის, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ზის ჩვეულებრივი, შარშანდებური, კალოზე რომ გვინახავს მხნე და ამაყი... საქვეყნოდ ცნობილი კაცია.“

დედასპური სანდროსაც მონატრებოდა. მხოლოდ სოფელში წუხელ პაპასთან გატეხა. შიგ ბლომად მახობელი და ქერი ერია. პაპამ თქვა, ძლიერ გვიჭირს, ჭირნახულს ცეცხლი უკიდიაო.

ახლა, ალბათ, გაიყიდნენ ალიმბარაანი. ფიქრი სხვა რამეზე გადაიტანა სანდრომ, მერე რუსიკოს ჰკითხა:

— კლუბში როდისღა ხვდებით?

— ამ საღამოს, ან ხვალ მივიპატიჟებთ. შენ კი როგორ აგაჩქარე.

— მომწერე, როგორ ჩატარდება თქვენი საღამო.

— შენ რა, ახლა მიდიხარ? მერე... როდის ჩამოხვალ?

— რა ვიცი... აბა, რა ვიცი... — ახლა, როგორც არასოდეს, სანდროს რუსიკოსთან გამარტოება მოუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ სადგურისაკენ მიმავალ გზაზე გამარტოვდნენ.

არ ჩანდა არავინ.

იყო ვრცელი მინდორი.

ალერსიანი ნიავი დაჰქროდა და სადღაც სტვენდა მიმალული ჩიტი.

თავი მეცამეტე

თეიმურაზის ოჯახში მწუხარება დატრიალდა. ფრონტიდან მამის დაღუპვის ცნობა მოვიდა. დედამ შავები ჩაიცვა, ხოლო გულდაკოდილი თეიმურაზის თვალები სევდით აივსო. შინ ვეღარ ჩერდებოდა და ვერც სწავლას უდებდა გულს.

ერთ დღეს მეგობრები სკოლაში ისხდნენ. გაკვეთილების დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო. ღია ფანჯრებიდან მოჩანდა მცირედ დასახლებული ვეძისის ველი, იქით — წყნეთის კუზიანი გორაკი. ველი იყო მწვანე ხასხასა ბალახით მოფენილი, ცა იყო კამკამა.

— დღეს გაკვეთილებზე ვეღარ დავრჩები... ამის შემდეგ სულ აღარ მოვალ სკოლაში, — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ თეიმურაზმა.

— რა თქვი, ბიჭო?

— სკოლაში ვერ ვივლი-მეთქი. ჯარში უნდა წავიდე. მამაჩემის მკვლელებს... — არ დაამთავრა, ქვედა ტუჩზე იკბინა და ფანჯრის რაფას მუშტი დაარტყა.

— რამ გაგასულელა?! — შეუწყრა სანდრო, — ერთი თვე ღა დაგვრჩა სკოლის დამთავრებამდე. ჯერ ატესტატი აიღე და, მერე სადაც გინდა იქ წადი. მერე ინანებ.

— რა თავში ვიხლი ატესტატს! გულზე ცეცხლი მიკიდია. კარგად იყავი... ვთქვი და გავაკეთებ კიდევაც! — თვალცრემლიანი სანდროს მოეხვია, ერთი მხურვალედ აკოცა და კლასიდან გავარდა.

სანდრო ერთ პატარა შუკაში წამოეწია.

— ყური მიგდე, თეიმურაზ...

— ნურაფერს მეტყვი...

— ჩვენს მეგობრობასაც წყალში ყრი? — სანდრომ მეგობარს ხელი წაავლო და თავისკენ შემოაბრუნა, — დამიცადე და მეც წამოვალ... მოხალისედ რომ არ წახვიდე, ამ ომში ჩვენ ისედაც გვიწევს წასვლა.

— მე ვეღარ ვითმენ. აქამდე ვითმინე და სისხლი ყელში მომაწვა. მამაჩემის მკვლელებს შავი დღე უნდა დავაყარო... თუ არა და მეც იქ ვიქნები, სადაც მამაჩემი.

წამს დუმილი ჩამოვარდა.

— ხვალ განმანაწილებელ პუნქტში მოდი და იქ მნახე, — თეიმურაზი კიდევ ერთხელ გადაეხვია სანდროს და

სწრაფი ნაბიჯით გაშორდა სახტად დარჩენილ მეგობარს.

...იმ დღეს მერხზე თავისუფლად იჯდა სანდრო. დასამალი არაფერი იყო, ამხანაგებს და მასწავლებელს ყველაფერი უამბო.

ლავრენტი კალანდაძემ ბოლოთა დასცა კლასში, მერე დაფასთან მივიდა, ცარცი აიღო, მაგრამ ხელი არ დაემორჩილა. ცარცი ისევ ცივად დასდო. შაგიდასთან ჩამოჯდა და საათს დახედა. ზარის დარეკვამდე კიდევ კარგაძალი დრო იყო და ამდენი ხნის მასწავლებლობის შემდეგ ამ ნახევარი საათის გატარება ყველაზე უფრო გაუძნელდა.

განმანაწილებელი პუნქტი.

ქალაქგარეთ, მიყრუებულ უბანში მესერშემოკრული პატარა სოფელი იყო. რამდენიმე ფინური სახლითა და ერთი ქვითკირის შენობით. აქედან ანაწილებდნენ მებრძოლებს. სხვადასხვა ხაწილებიდან მოდიოდნენ მეთაურები და მიჰყავდათ ხალხი.

ჭიშკარი მაღალი და ფარღალალა იყო. მთელი ეზო მოჩანდა. ეზოში ჯარში გაწვეული უამრავი ახალგაზრდა, ირეოდა. ისინი უბრალოდ და თალხად იყვნენ ჩაცმულნი, თავგადაპარსულნი ერთმანეთს გავდნენ.

სანდრომ აუარება საყვედურები მოამზადა, აუარება სიტყვა თავისი გულისტკივილის გამოსახატავად, მაგრამ როცა ჭიშკარს მიუახლოვდა და მორიგეს სთხოვა გამოეძახა თეიმურაზი, გულმა უცხადრად დაუწყო ფორიაქი და თავი ისე იგრძნო, თითქოს დიდი ხნის უნახავ ძმას ხვდებოდა.

სულ ახლოს მოვიდა იგი, პატარა ჭიშკარიც გაიღო და გარეთ გამოვიდა. მაგრამ უცებ ვერ იცნო სანდრომ. თვალი შეჩვეული ჰქონდა მის ხუჭუჭა თმაზე. მის მუდამ ფაქიზ ჩაცმულობაზე. ახლა, აღარც ის თმები, აღარც სიფაქიზე.—

— თეიმურაზ!

— სანდრო!

ერთმანეთს გადაეხვივნენ. ეს იყო შეხვედრაც და განშორებაც ერთიც და მეორეც.

— მაპატიეთ, ყველამ მაპატიეთ, მაგრამ მე არ შემეძლო სხვანაირად, — თქვა თეიმურაზმა და სანდრომ შენიშნა: თეიმურაზს ცრემლით ავსებოდა თვალები.

სანდრომ სიტყვა ვერ მოაგო ენას. გზაში საყვედურები ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ახლა ვერაფერი უთხრა, ახლა მეგობრის სიახლოვით შეეცვალა გუნება და გული აუჩუყდა.

— დედას წერილი დავუტოვე. სამსახურიდან რომ დაბრუნდება წაიკითხავს და შეშინდება... ცუდად მოვიქეცი, თავის დროზე რომ არ გავაფრთხილე.

— როგორ, დედამ არ იცოდა?

— ჰო, ვერ ვუთხარი.

— ეჰ, თეიმურაზ! დედის ფასი რა არის ამ ქვეყნად! დედასაც არ გამოემშვიდობე!

— მიდი დედაჩემთან... ჩვენ ხვალ საღამომდე არსად არ წაგვიყვანენ... დედას მარტო ნუ გამოუშვებ და შენც წამოჰყევი.

— ნეტავ დაგეცადა ჩემთვის... ერთი თვე, ბიჭო, მხოლოდ ერთი...

თეიმურაზმა თავი დახარა. გულში საშინელ სინანულს გრძნობდა. მაგრამ რაღა დროს იყო.

მეგობრები ერთ ხანს დუმდნენ.

— ნაწილში როდის წაგიყვანენ?

— ალბათ ხვალ. ასე ამბობენ. ვინ იცის სად მოვხვდები. მე კი პირდაპირ ფრონტზე მინდა.

სანდროს გამხდარი და ფერმკრთალი ეჩვენა თეიმურაზი, თვალებშიც არ ეტყობოდა უწინდელი ცხოველი სხივი.

სანდრომ ჯიბიდან ცოტაოდენი ფული ამოიღო, ფული, რომელიც ბიბლიოთეკის გამგემ მისცა გუშინ კედლის გაზეთის გაფორმებისა და ლოზუნგების დაწერაში. ამგვარ სამუშაოს აქაიქ შოულობდა ამ ბოლო დროს, რომ

დედას შეშველებოდა ცოტაოდნავ მაინც.

— დაგჭირდება, —უთხრა მეგობარს და ფული გაუწოდა.

თეიმურაზმა იუარა.

— არ მინდა. დედაშენს მიეცი... უფულოდაც ჩამაცმევენ და მაჭმევენ.

— მე კიდევ ვიშოვნი ფულს... ხვალ ორ ლოზუნგს ვუწერ ქარხანას და კარგად შემპირდნენ. აიღე, აიღე...

თეიმურაზმა გამოართვა. მერე ჯიბიდან წვრილი, შავი თამბაქოთი დატენილი პაპიროსი ამოიღო და პირში ჩაიდო. სანდრომ გაკვირვებით შეხედა.

— ვეწევი, გუშინდელს აქეთია... ბიჭები ეწეოდნენ და მეც მოვწიე. სალდათისათვის უპაპიროსოდ ძნელია.

სანდროს ნაღვლიანად ჩაეცინა:

— შენ კი შურის საძიებლად მიდიხარ.

— მერე რა?

— პაპიროსი რაღა ჯანდაბაა, გადააგდე, ბიჭო,

მათ არ დასცალდათ საუბრის გაგრძელება. თეიმურაზს სასწრაფოდ გამოუძახეს. მოეხვია მეგობარს და გაიქცა.

— დედას უთხარი, მაპატიოს... ერთად მოდით, ყველანი მოდით. ყველანი! — მოაძახა და წვევამდელებში მიიმალა.

სანდრო გულდაწყვეტილი შეტრიალდა და დაღმართზე დაეშვა.

...იმავე საღამოს სანდრო ისევ განმანწილებელი პუნქტის ჭიშკართან იდგა. თეიმურაზის დედა ქვითინებდა, შვილს გულში იკრავდა და საყვედურებით ავსებდა.

— ნუ ტირი, დედა, სირცხვილია... ცრემლით ომში გაცილება არ შეიძლება, — თეიმურაზი ცდილობდა დედის გამხნევებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ნაადრევად ვაჟკაცობდა, ნაადრევად თაკილობდა დედის ცრემლს, დედისა, რომელსაც არ სჯეროდა გუშინდელი მისი ბალღი თუ დღეს საომრად მიდიოდა. დედისერთას, გამოუცდელს, აბა რა უნახავს: სახლი და სკოლა, სკოლა და სახლი... ახლა კი დიდ ნიაღვარს უერთდება და... ვინ იცის, ოა დაემართება.

ამიტომ ტირის დედა, ამიტომ ეწვის გული.

თეიმურაზი არანაკლებ განიცდიდა ამ განშორებას.

— ნახვამდის...

დედა ძლივს მოსცილდა შვილს. ჯიუტობდა, მთელ ღამეს ამ ჭიშკართან გავათევო. სანდრომ გაიყოლია ქალი და აღუთქვა, რომ დილით ისევ მოჰყვებოდა განმანაწილებელ პუნქტში.

დილით თეიმურაზი სხვა რამდენიმე წვევამდელთან ერთად ნაწილში წაიყვანა ახალგაზრდა ლეიტენანტმა. მას იმდენი დედა ეხვეოდა გზაში, რამდენი ჭაბუკიც მოჰყავდა... ლეიტენანტი ღიმილით ყველას ამშვიდებდა. ბიჭები ფეხარევით მიელალებოდნენ, ზოგს თავი დაეხარა, ზოგს შეემართა. მალე ისინი მატარებელში ჩასხდნენ. ბაქანზე ატირებული ქალები და გამცილებელი მეზობლები დარჩნენ...

აგერ თეიმურაზი, ცდილობს ბიჭებით სავსე ფანჯარაში გამოიხედოს, ცრემლიც უელავს თვალებში...

მატარებელი უკვე მიდის. მიდის სწრაფად და იკარგება.

თავი მეთოთხმეტე

გამრავლდა განშორებები. ძალზე ცოტა იყო შეხვედრები. ომში იხარჯებოდა ყველაფერი საღი და ჯანმრთელი. ადამიანები არაფერს ზოგავდნენ გამარჯვებისათვის.

მსხვერპლსა და თავდადებას თავისი გაჰქონდა — მტერი საკუთარი ბუნაგისაკენ გარბოდა დამარცხებული, მხოლოდ ზოგჯერ ძაღლივით პირს იბრუნებდა და დასაკბენად იწევდა.

სამხედრო გზაზე კვლავ განუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ ტანკები და ავტოკოლონები. კვლავ ზანზარებდა ქოხი და შუაღამისას ძილგამფრთხალი სანდრო ფიქრს აყოლებდა მო-

გუგუნე მანქანებს, გონების თვალით ხედავდა ბრძოლის ქარცეცხლს, სადაც ახლა საბჭოთა ჯარების ვაჟკაცობა უფრო მეტი ჩანდა.

მაისი იწურებოდა. იწურებოდა გამოცდებიც. შარშან ამ დროს, უკანასკნელ გამოცდისათვის რომ ემზადებოდნენ, თეიმურაზი და სანდრო ზოოპარკის ბაღში შეიპარებოდნენ ხოლმე და იქ მდელოზე წამომჯდარნი მეცადინეობდნენ. ახლა გული მეტისმეტად სწყდებოდა, რომ მეგობარი გვერდში არ ჰყავდა. თეიმურაზისაგან რამდენიმე წერილი მიიღო ჩრდილო კავკასიიდან. ბოლოს მოიწერა, ფრონტზე მივდივარო და ჩაიყლაპა... მისგან აღარც ავი ისმოდა და აღარც კარგი. სანდრო დარდობდა, ფიქრობდა მასზე, ხშირად დადიოდა დედამისთან და ანუგეშებდა, თუმცა მანუგეშებელი თვითონ იყო საანუგეშო. მან ხომ არ იცოდა, სად იყო თეიმურაზი. იქნებ პირველივე ბრძოლაში მოხვდა ტყვია და დაიწვა, იქნებ... ყველაფერი ბურუსით იყო მოცული, ყველაფერს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული.

ეზოში ორძელია გამართული. აქვეა ღერძიც. დილას ადრიან გამოდიან ძმები, ერთი ღერძზე ტრიალებს, მეორე ორძელზე ვარჯიშობს. ფიზკულტურისადმი შვილების ასეთი მიძალება დედას არასოდეს არ შეუნიშნავს. იგი შეხაროდა სანდროს დავაჟკაცებულს, ლევანს— ვაჟკაცობაში ფეხშედგმულს.

ბიჭები თავგამოდებით ცდილობდნენ სხეულის გაკაჟებას.

შიში, ომით გამოწვეული შიში დედას ძილს არ აძლევდა. გიგოსგან წერილები ხშირად მოდიოდა, მაგრამ აგერ, სანდროსთან გაწმორების წუთები ახლოვდებოდა. სანდრო უკვე რამდენჯერმე გამოიძახეს და საექიმო კომისიაში გაატარეს.

სწრაფად მიჰქრის დრო, უკანასკნელი გამოცდა, უკანასკნელი, სკოლასთან გამოსათხოვარი საღამო.

დილა ახლოვდება. ცა მუქი ლურჯია, ცისკარი კიაფობს ცაზე. ღარიბული სუფრიდან აშლილი ყმაწვილები და გოგონები შინისკენ მიდიან. ათი წლის მათი ერთად ცხოვრება ამ საღამოთი გათავდა. ახლა წავლენ-წამოვლენ და დაიქსაქსებიან. მოგონებათა მიღმა დარჩება სკოლის ტკბილი წუთები და ერთ კარგ წაკითხულ წიგნს დაემსგავსება წარსული ცხოვრება.

სიმღერით მიდიან. დაბალ ხმაზე მღერიან. სხვა დროსაც უმღერიათ, მაგრამ ასე ნაღვლიანი და ტკბილი არასოდეს არ ყოფილა მათი სიმღერა.

„სკოლის მერხიდან ომის ქარცეცხლში მიდიან“. — ფიქრობდა კალანდაძე და დროდადრო გადახედავდა სანდროს.

ისინი ახალგაზრდების ჯგუფს ჩამორჩნენ და ნელა მიაბიჯებდნენ.

— ესეც ოცდამეხუთე გამოშვება, — ჩაილაპარაკა ლავრენტიმ და სანდროს მიუბრუნდა, — მაგრამ ჩემთვის არც ერთ გამოშვებას ისე არ დაუწყვეტია გული, როგორც შარშანდელსა და წლევანდელს... შენ როდის მიდიხარ?

—ერთ კვირაში. მანამდე კიდევ გნასავთ, მასწავლებელო.

— კარგი, — თქვა კალანდაძემ. სანდროს ეს სიტყვა მეტად უადგილოდ მოეჩვენა და მიხვდა, რომ მასწავლებელმა სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

ახალგაზრდებმა შეწყვიტეს სიმღერა. რამდენიმე ამხანაგს გამოემშვიდობნენ. გზადაგზა ჯგუფი თხელდებოდა და ბოლოს სამხედრო გზაზე მარტონი გამოვიდნენ კალანდაძე და სანდრო.

ცას უკვე შეეტყო ნათება. ქალაქს დაემჩნა განთიადის ნაფერი.

გზაზე ავტოკოლონამ გაიარა. კვლავ პირქუშნი ჩანდნენ მანქანები. ჩაბნელებულ კაბინებში მოჩანდა მძღოლების სილუეტები. ისინი პირქუშნი იყვნენ. შორი გზიდან მოდიოდნენ და შორ გზას გასდგომოდნენ.

მოწაფე და მასწავლებელი იდგნენ და უსიტყვოდ გაჰყურებდნენ ამეტყველებულ გზას, სანამ უკანასკნელი მან-

ქანა არ დაიკარგა. არც ერთი ჩქარობდა, არც მეორე.

— ნახვამდის, გმადლობთ ყველაფრისათვის, მასწავლებელო, — სანდრომ შეხედა კალანდაძეს, უძილობისა და დარდით მოღლილს. წელს მაინც საოცრად გამხდარი და მობერებული ეჩვენებოდა ეს კაცი.

ლავრენტიმ მასაც აკოცა. ჩიტივით დააფრინა ბარტყები და ახლა მარტო წავიდა. ის მიდიოდა ნელა, წელში მოხრილი.

განთიადის სხივი თანდათან ეფინებოდა გზას.

სანდრო მარტო დარჩა უკაცრიელ ქუჩაზე და მხოლოდ ახლა იგრძნო განთიადის შემაკრჭოლებელი სიგრილე.

თავის ჭიშკართან იდგა. ეზო დუმდა, სახლები დუმდნენ, ისევე, როგორც მთელი ქალაქი იყო გარინდებული.

„კიდევ ერთი კვირა და მშვიდობით. მე ამ ჭიშკრიდან გავალ. დედას და ძმას გავაფრთხილებ, რომ არ გამომყვნენ. მე ისე წავალ, როგორც მამა წავიდა...“

რუსიკო თვალწინ დაუდგა. მე შენთვის მოვკვდებიო, თქვა და ირგვლივ მიმოიხედა. ისე მოეჩვენა, თითქოს მარტო რუსიკოს კი არა, მთელ ქვეყანას ეუბნებოდა ამ სიტყვებს.

სანდრო ეზოში შევიდა. სახლის კარს მიუახლოვდა და ფრთხილად შეაღო, რომ დილის ტკბილი ძილი არ დაეფრთხო დედისა და ძმისათვის. მაგრამ დედას არ ეძინა. შვილის ლანდი კარს მიუახლოვდა თუ არა, იგი ლოგინიდან წამოხტა.

— არ დამეძინა... გელოდი! — შეშფოთებით უთხრა შვილს.

ეზოში უკვე იდგა ნათელი. სინათლე ღია კარიდან და ფანჯრიდან ოთახშიც შემოდიოდა და სანდრომ დედის თვალებში დიდი განცდა ამოიკითხა. იმ დროს როცა იგი მეგობრებთან ერთად იმ ღარიბულ, მეტად ღარიბულ სუფრას უჯდა, დედა ფხიზლობდა, დედა ღამეს ფიქრში ტეხდა.

სანდრო მოეხვია დედას და მხურვალედ აკოცა.

— ჩემო ძვირფასო! — უთხრა და გული აუჩუყდა, მაგრამ მაშინვე ამოიკრიფა ძალა და ვაჟკაცური შემართებით უთხრა:

— პატარა ხომ აღარა ვარ. ჩემისთანა ბიჭები მთებს აბრუნებენ.

თავი მეთხუთმეტე

ისევ სოფელი.

საღამოს სანდრო და რუსიკო გორაკზე ისხდნენ და ურთიერთ ალერსით ერთმანეთს ანუგეშებდნენ.

მთვარე წამოვიდა ცაზე და რუსიკოს ცრემლიან თვალებს სხივი მიუმატა.

„ვინ იცის, შევხვდებით კიდევ“? — ფიქრობდა სანდრო.

„ვინ იცის, შევხვდებით კიდევ?“ — ფიქრობდა რუსიკოც.

ერთმანეთს არ უმხელდნენ. რუსიკოს გული გამალებით უძგერდა და თავი სიზმარში ეგონა.

სოფელში ჩასვლის დრო იყო. სოფელმა ჯერ არა იცოდა რა მათი სიყვარულისა და სოფლელებს ემალებოდნენ. მხოლოდ სანდროს დიდედამ და პაპამ იცოდა ეს საიდუმლო და რუსიკოს დიდედაც თანაუგრძნობდა მათ.

შუაღამისას გაშორდნენ.

რუსიკო ჩუმად ქვითინებდა ლოგინზე ტანგაუხდელად მივარდნილი. ხოლო იმ დროს სანდრო უძილო ღამეს ებრძოდა. აივნის სვეტს მიყრდნობილი შორს იყურებოდა ცის უსაზღვრო სივრცეში, სადაც მოჩანდნენ ვარსკვლავები და კიდევ ვარსკვლავები, ჩუმნი იდუმალნი, ძალზე შორეულნი და ფიქრმიუწვდენელნი. დროდადრო ცას მოწყდებოდა ცინცხალი, მეტეორები ზედიზედ ქრებოდნენ... მთვარე კი ნელა მიიწევდა. მიძინებულ სოფელს გადმოხედა, მისი მიდამოები ვერცხლისფრად გაანათა.

შორიდან რძიანას რუდუნი ისმოდა, სადღაც ვასაკა კრუალობდა.

სანდრო თავისი ბავშვობის მყუდრო სავანეს ჩუმად ემშვიდობებოდა.

ყველაფერი წავიდა, ყველაფერი ამ ერთ მთვარიან ღამეში გაინასკვა.

გარემო მშვიდად უგდებდა ყურს სანდროს გულისფეთქვას.

...მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო რუსიკოს და სანდროს სიყვარული. როცა მატარებელი ბაქანს გასცდა, რუსიკომ თვალებზე აიფარა ხელები და ატირდა.

იმ დღეს ამ ჭიშკრიდან გამოვიდა თეიმურაზი. ყველაფერი მეორდება, როგორც იმ დღეს... სანდროს განმანაწილებელ პუნქტში მისვლისას ისე ეჩვენა, თითქოს ისევ ის ბიჭები ირეოდნენ აქ და მათ შორის თეიმურაზიც გამოჩნდებოდა.

დედა და ძმა გვიან წავიდნენ. წავიდნენ სხვა უმცროს ძმებთან და დედებთან ერთად, რომლებმაც თავიანთი ვაჟკაცები მოაცილეს განმანაწილებელ პუნქტში.

პატარა ბარაკში ნარები ორ სართულად იყო გაკეთებული. ძველ ლეიბებზე გაუხდელად მიწოლილიყვნენ ბიჭები. აქედან იწყებოდა არმიული ცხოვრება. უცნობი ბიჭები პაპიროსს აბოლებდნენ. სანდროსაც შესთავაზეს, მაგრამ მან იუარა. გაახსენდა თეიმურაზის ნათქვამი.

ბარაკში კვამლი იდგა და სუნთქვა ჭირდა. ბარაკის გამურული კედლები პირქუშად იყურებოდნენ და სანდროს თითქოს სწორედ მათგან ჩაესმოდა: „მკაცრად, მკაცრად... გულქვად, გულქვად“! სანდრომ ვერ გაუგო. რატომ გულქვად? რატომ მკაცრად? ალბათ იმიტომ, რომ ახლა ყველაზე უფრო მეტად გენატრება თბილისი და სოფელი, დედა, ძმა და რუსიკო... მაგრამ ახლა შორეთი გიხმობს, შორით შორეთის მკაცრი გზები. მკაცრად! მკაცრად! სევდიან ფიქრებს უნდა მკაცრად გამკლავება...

განა იმ ბიჭებს, აგერ, კუთხეში რომ მიმჯდარან, არ აღონებთ რამე? მაგრამ თავს ყოლიებენ, თავს იქცევენ, ერთმანეთის სიახლოვით მხნევდებიან.

ასმის დომინოს ქვების ტკაცატკუცი და ბიჭების მხიარული შეძახილები.

სანდრო კი კვლავ ფიქრებშია: ძვირფასი ადამიანები, მშობლიური და სულზე უტკბესი შენი კუთხე. ყველა და ყველაფერი შენ შემოგყურებს იმედით, თხოვნით. შენ მეომარი ხარ, ხვალ-ზეგ თოფს მოგცემენ და უნდა დაიცვა შენი სამშობლო.

როცა სულში მაღლდება სამშობლოს სურათები და სიყვარულის გრძნობა, მაშინ გული კაჟდება, გული სულ სხვა გულია.

სანდროს სიმხნევე ემატება, ნარიდან წამომდგარი უახლოვდება ერთ მაღალმაღალ ყმაწვილკაცს, რომელიც მასთან ერთად დღეს მოიყვანეს სამხედრო კომისარიატიდან. მისი კბილა იყო შოთა ჩიმაკაძე, ახლად ულვაშაბიბინებული, თვრამეტ-ცხრამეტი წლისა. სანდროზე ცოტა უფრო სრული იყო და სევდიანი თვალები ჰქონდა. ისევე როგორც სანდროს, უბრალოდ ეცვა. პერანგის საყელო შეუხსნია, გვერდით რაღაც-რაღაცეებით გატენილი ხალთა მოუდევს და ისე ზის, გეგონებათ რომელიღაც სადგურზე მატარებლის მოლოდინშია.

შოთა ჩიმაკაძემაც იცის სანდროს სახელი და გვარი. სანამ აქ მოიყვანდნენ, სამხედრო კომისარიატში, ვინ იცის, რამდენჯერ ამოიკითხეს მათი გვარები. პუნქტშიც რამდენჯერმე მოაწყვეს და აქაც გვარები დაიძახეს. ვისაც კი მოლისფერი ხალათი ეცვა, ყველა უფროსობდა, ყველა ქედმაღლად უყურებდა წვევამდელებს.

მოახლოებულ სანდროს გაუღიმა შოთამ და ნარზე შემოდებული ცალი ფეხი ძირს ჩამოუშვა.

— ხომ არ მოგეწყინა, ძმობილო? — ჰკითხა სანდრომ და გვერდით მიუჯდა.

— რა ვიცი... გაბრუებული კი ვარ. თავი სიზმარში მგონია, — უპასუხა შოთამ და შუბლზე მოისვა ხელი.

— მეც ასე ვარ.

— სიკვდილის გეშინია? — რატომღაც იკითხა შოთამ.

— მაგას რათ მეკითხები? — მხრები აიჩეჩა სანდრომ.

— იმიტომ რომ... რა იცი, რა მოგელის ფრონტზე.

— მერედა შიშით რა იქნება... ძალიან გთხოვ, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ... ვჭამოთ რამე, არა გშია?

— ვჭამოთ. აქ კარგი რამეები მაქვს. წამოდი, აგერ იმ მაგიდასთან დავსხდეთ, — თქვა შოთამ და თავისი ხალთა იღლიაში ამოიდო.

„კარგი რამეები“: ერთი გამხდარი, ცივად მოხარშული ქათამი, ორიოდე კვერცხი, რამდენიმე ხაჭაპური და მწვანილი. მათარაში არაყიც ჰქონდა.

სანდრომ თავის ხალთას მოუფათურა ხელი.

— ეგ ხვალ დაგვჭირდება, — უთხრა შოთამ, — დღეს ჩემი სტუმარი იყავი.

ბარაკში სუსტი ნათურა ბჟუტავდა. პატარა სუფრას ორნი უსხდნენ სანდროს არაყი არ უყვარდა, მაგრამ მაინც მოსვა ორიოდე ყლუპი. ძარღვებში სიცხე იგრძნო, თვალები წამოენთო. ქათამი გახლიჩა და მადიანად შეუდგა ჭამას.

— მე მიყვარს არაყი. ჯარში ალბათ ცოტ-ცოტას მოგვცემენ. ამბობენ, ფრონტზე, იერიშის წინ აძლევენო... ჩვენ თუ ერთ ნაწილში მოვხვდით, შენ წილს მე მომცემ.

— დიდი ხანია სვამ?

— არა, შენ რა, ძალიან გეჯავრება არაყი?

— საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ ამ გუნებაზე მეც სიამოვნებით გადავკრავ, ტანში რაღაც კარგი სითბო ვიგრძენი.

ერთ ხანს უსიტყვოდ შეექცეოდნენ, მერე სანდრომ სიყვარულზე ჩამოაგდო სიტყვა:

შოთამ ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ერთი გოგო მიყვარდა... როგორ მიყვარდა! ჯარში წამოსვლის წინ ვუთხარი, რომ ნუღარ დამელოდები-მეთქი. რათ უნდა იტანჯოს.

— უცნაური კაცი ყოფილხარ.

— გული რაღაცას მიგრძნობს.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

მეორე დღეს, ნასაუზმევი წვევამდელები ეზოში მოაწყვეს. ისინი ბევრნი იყვნენ. ჭიშკართან უკვე იდგნენ ახლობლები, ისმოდა ყაყანი, ჩოჩქოლი, შეძახილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმანაწილებელი პუნქტის უფროსი ჯმუხი და პირქუში პოდპოლკოვნიკი ყოველივე ამას შეგუებული იყო, ჭიშკართან შეჯგუფებულ ხალხს ყურადღებას არ აქცევდა და ახალგაზრდების მწყობრს გამჭვალავი თვალებით ცივად უყურებდა.

შოთა და სანდრო გვერდიგვერდ იდგნენ. ერთმანეთს არ შორდებოდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ერთ ნაწილში მოხვდებოდნენ. დილას, ადრიან, შოთამ გაბედა და თხოვნით მიმართა პოდპოლკოვნიკს. მან თურმე ბურტყუნით დაიფრინა. შოთა კაბინეტის კართან არ იყო მისული, რომ პუნქტის უფროსს მიუხმია და უთქვამს: კარგი, თანახმა ვარ... ერთ ნაწილში გაგგზავნითო.

პოდპოლკოვნიკმა შეასრულა თავისი დანაპირები.

პუნქტის უფროსის გვერდით იდგნენ სხვადასხვა ნაწილებიდან გამოგზავნილი მეთაურები. მათ შორის იყო ერთი სერჟანტი, ახმახი, შავგვრემანი უზბეკი. იგი წინ გამოვიდა, პოდპოლკოვნიკს ქაღალდები ჩამოართვა და მერე ხმამაღლა ამოიკითხა გვარები:

— ჩიმაკაძე, ვაშაკიძე...

სხვებიც მიაყოლა. გამოძახებულნი ცალკე მოაწყვეს. სულ ოცამდე კაცი იქნებოდა.

სანდრომ ხარბად შეხედა თავის მეგზურს. რატომღაც გულჩათხრობილი, ცივი და მკაცრი ეჩვენა უზბეკი.

წვევამდელების ერთი ჯგუფი უკვე დაიძრა. ჭიშკარს გასცდნენ და თან გაიყოლეს ქალები, ბავშვები, მოხუცები...

ჭიშკართან იდგნენ სანდროს გამცილებლებიც: დედა, ლევანი, კალანდაძე და რამდენიმე ამხანაგი. მასწავლებელი თავისი ტანადობით ხალხში გამოირჩეოდა.

სერჟანტმა ჩანთა დახურა, ღვედი

მხარზე შეისწორა და პოდპოლკოვნიკს ხელის აღებით მიმართა:

— ნება მომეცით, წავიყვანო!

პოდპოლკოვნიკმა ხელი აუღო და უსიტყვოდ დაუქნია თავი.

მაშინ სერჟანტმა ხმამაღლა დაიძახა:

— ნაბიჯით იარ!

და წავიდნენ. ცხვრებივით გაილალნენ გაუწვრთნელი ბიჭები. ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, სერჟანტმა მწყობრი გააფრთხილა:

—არ დაიშალოთ... ვიდრე არ გიბრძანებთ!—და მან წარბი შეკრა, რომ უფრო მეტი სიმკაცრე გამოეჩინა.

— რა გულქვა რამ იქნება!—გადაულაპარაკა სანდრომ შოთას.

— ერთი მაგის...—ჩაიბურტყუნა შოთამ.

მწყობრი არ დაშლილა, მაგრამ სერჟანტი განზე დარჩა, როცა მიმავალ ბიჭებს აქეთ-იქიდან გამცილებლები შემოეხვივნენ. ქუჩაში რომ გავიდნენ, მწყობრი ისევ გამოჩნდა. გამცილებლები განზე გადგნენ და ისე მიჰყვებოდნენ ნავთლუღის სადგურამდე.

სანდრომ შენიშნა, რომ შოთას სახე გაუფითრდა. შედგა და სადგურის წინ გაჩერებულ ცისფერკაბიან ქალიშვილს შეხედა. ქალიშვილს სახე ხელებში დაემალა და ქვითინებდა.

—შვილო! — მოესმა სანდროს შოთას დედის ხმა.

შოთას დედა მაღალი და წარმოსადეგი ქალი იყო. იგი პუნქტიდან თან მოსდევდა შვილს და იმ ცისფერკაბიანის დანახვაზე მასაც შეუტოკდა გული. მიდი და გამოემშვიდობეო, უთხრა ხმის თრთოლვით შვილს.

სერჟანტი განზე იდგა და სანამ წვევამდელები თავისიანებს ემშვიდობებოდნენ, წეკო ჩაახვია და გააბოლა.

სანდრო თავისიანებს ეთხოვებოდა და ვეღარ გაიხედა სადგურის წინ.

დრო სწრაფად გასულა. სერჟანტს უკვე მოუწევია საკმაოდ გრძელი პაპიროსი. ბიჭებს თავისკენ იხმობდა, სანდრო კი დედის თბილ მკერდს ძლივს მოსწყდა. ერთხელ კიდევ მოხედა გამცილებლებს და გული სადღაც დიდ სიღრმეში ჩასწყდა.

წვევამდელებმა ლიანდაგებზე გადირბინეს. სამანერო ორთქლმავლები ვაგონებს მიარახრახებდნენ, იქით პატარა ეშელონი იდგა. ეშელონში ჯარისკაცები და წვევამდელები იყვნენ, რომელთაც თან მიჰყავდათ ცხენები და მიჰქონდათ სამხედრო საჭურველი.

ძველი და ფარღალალა ვაგონი ირყეოდა. ქარი დვრილეებში ქშუოდა. ვაგონში რამდენიმე ნარი იყო და ზედ მიეყარნენ ბიჭები. ზოგი ღია კარში ჩამჯდარიყო, ფეხები გარეთ გადაეწყო და... მიჰქროდნენ.

მინდორი ტრიალებდა, სერი სერს ეფარებოდა, გორაკი გორაკს, ხე ხეს უსწრებდა და ჩონგურის სიმებივით ირხეოდნენ ტელეგრაფის მავთულები. ვაგონის ბორბლები რახარუხით გარბოდნენ რელსებზე.

— სადღვებელასავით არ არის, ეს ოხერი!—თქვა ვიღაცამ,—გულ-ღვიძლი ამითქვიფა!

ზოგს მოსწონდა ვაგონის ჯანჯღარი.

სანდრო და შოთა ნარზე წვანან გულაღმა. ორივეს თავქვეშ ამოუდიათ ხელები და ყურს უგდებენ ხმაურს.

—არ დაიშალოს, ეს ოხერი!—ისმის იგივე ნაცნობი ხმა.

სერჟანტი კარებში ჩამჯდარა და წვევამდელებს ელაპარაკება. სერჟანტმა წეღან უთხრა ბიჭებს, რომ შორი გზა აქვთ სავალი, მათი ნაწილი შავი ზღვის პირას ერთ დანგრეულ ქალაქში დგას... პოლკი საკმაოდ შეთხელებულა ომში. ახლა ძალებს იკრებდა და ისვენებდა. შემდეგ კიდევ მოუწევთ ბრძოლა. სერჟანტიც ყოფილა ბრძოლებში. ახლა ომზე თავის შეხედულებებს, თავის განცდებს უზიარებს ბიჭებს. არც ისეთი გულქვა ყოფილა, როგორც სანდროს ეგონა.

რაიმჯან ხასანოვი ერთი უბრალო გულთბილი ჭაბუკი იყო.

სანდრო გაბრუვდა. ყველა კარგი მოსაგონარი თავში უტრიალებდა. ვაგონი არყევდა, ძილს გვრიდა ფიქრით მოღლილს. შოთა დუმდა. ეტყობოდა, რომ იგიც ფიქრში ღრმად იყო წასული და ერჩივნა ასე უსიტყვოდ წოლილიყო და ეფიქრა, ყური ეგდო ვაგონის ჯანჯღარისათვის, თვლების რახარუხისათვის და დვრილეებში ქარის გაბმული სტვენისათვის.

— სანაძლეოს დავდებ, რომ დაიშლება! — ისმის ნაცნობი ხმა. სანდრო ვერ ხედავს ვინ არის. ბიჭები იცინიან და კიდევ რაღაცას ამბობენ.

სანდრომ პირველად ნახა ომის ნაკვალევი. მატარებელმა რამდენიმე დანგრეული ქალაქი გაიარა, გაპარტახებულ სოფლებს ჩაუქროლა, სადაც ის იყო ფეხს იკიდებდა ცხოვრება და უამრავ ქვათა გროვებში, უამრავ ნანგრევებშორის მოჩანდა ხუხულები, მოჩანდნენ ადამიანები.

შავი ზღვისპირა პატარა ქალაქში, სადაც საბოლოოდ გაჩერდა ეშელონი, ჯარისკაცმა, რომელიც მთელი გზა სანაძლეოს უდებდა ბიჭებს, ვაგონი უთუოდ დაიშლებაო, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— მადლობა ღმერთს, რახან გადავრჩით! ამის შემდეგ არაფერი გვიჭირს.

ბიჭებს გაეცინათ და ვაგონის ფართოდ გაღებულ კარიდან გადახტნენ. ამდენ ჯანჯღარში გაბრუებულნი და მოღლილნი ჩანდნენ.

— სერჟანტ! სანატორიუმში არ დაგვასვენებენ? — ქართულად ჰკითხა იმ ჯარისკაცმა, რომელიც ვაგონის დაშლის „შიშს“ განიცდიდა, ის იყო ტანად პატარა, ცოცხალ-თვალება, ხალისიანი და სულ ხუმრობის გუნებაზე. ოთარს ეძახდნენ.

— რა თქვი?—ჰკითხა სერჟანტმა რუსულად.

— სანატორიუმში გვინდა დასვენება, დავიღალეთ...—აქეთ-იქით მიმოიხედა, ქალაქის ნანგრევებს მკვირცხლად გაავლო თვალი ოთარმა.

—რას ამბობს?—ახლა სხვებს მიუბრუნდა სერჟანტი.

სერჟანტს რუსულად გადაუთარგმნეს ოთარის ნათქვამი. მაშინ რაიმჯან ხასანოვს გაეღიმა. სანდრომ შენიშნა, რომ მას მეტად მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა. სერჟანტმა ბიჭები მოაწყო და ლიანდაგებიდან ნახევრად დანგრეულ სადგურისაკენ წაიყვანა, იქიდან კი ნანგრევებშორის ვიწრო ქუჩაზე გავიდნენ.

მზიანი დღე იყო. აქა-იქ მოხუცი ქალები ქვებს ზიდავდნენ, მიწას ხვეტდნენ, რომ სახლისათვის ჭრილობა მოეშუშებინათ და ყუმბარებისაგან გადარჩენილ ერთ ოთახში მაინც შეხიზნულიყვნენ. ომის სუსხი და სუნი ტრიალებდა ქალაქში. სანდროს ისე მოეჩვენა, რომ კიდევ ისმოდა გარდასული გრიგალის ექო.

ზღვაური ჰქროდა. ჰაერის ნაკადს ზღვიდან სინესტე და სიმლაშე მოჰქონდა.

— როგორ დაუნგრევიათ, იმ შობელ-ძაღლებს! — თქვა შოთამ კარგახნის დუმილის შემდეგ.

— რამდენი ასეთი ქალაქია გაპარტახებული! — დაუმატა სანდრომ.

მწყობრის ბოლოში ოთარი მიაბიჯებდა. ჯარში გაუწვევიათ თვრამეტნახევარი წლისა, მაგრამ ბიჭებს არ სჯეროდათ, მას ულვაშის მაგივრად ღინღლი ჰქონდა და მეტად ბავშვური სახე.

— კარგი ბიჭი ჩანს ჩვენი სერჟანტი. ჰა, რას იტყვი?—მჯიღს კრავს ოთარი თავის წინ მიმავალს, რომელსაც დარდით გასიებია გული და დანგრეული ქალაქის ხილვა ჭმუნვას გვრის.

—დამეხსენ, თუ ძმა ხარ... ნეტაი შენ!

— დედაბერი კი არა ვარ, ცხვირი ჩამოვუშვა და ვიტირო!

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭიღაძე

იტალიური რვეული

საითაც გინდათ და როგორც გინდათ,
მე სტუმარი ვარ და სულერთია.
თანაც ყოველთვის ოცნებად ვთვლიდი
ამ ყოველის მნახველ გზებზე ხეტიალს.

შუა მინდორში დგას სახედარი,
სამრეკლოს ჩრდილი და თივის ზვინი
და მიირწევა მტვერში მხედარი,
გაბრუებული სიცხით და ღვინით.

და აი, გოგოც. გოგო და ზვინი,
მაღალი გოგო და სიცხე, — სიცხე.—
ხეების იქით მდინარე ბზინავს
და სულში ვიღაც სიმღერას იწყებს.

და უცებ, როგორც საჭირო სიტყვა,
ძველი სასახლე იელვებს მთაზე,
თითქოს იმიტომ, რომ ვინმეს
კითხოს,
როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე.

როდემდე უნდა უცადოს კიდევ
სალაშქროდ გასულ ხალხსა და
პატრონს
და ბუკის ღრიალს, რომელიც
მინდვრებს
და არა მარტო ამ მინდვრებს ათრობს.

იცვლება კაცი და თავის გზაზე
ყველაფერს უცვლის სახეს და
სახელს,
მაგრამ ნანგრევსაც ეწევა ფასი,
რადგან ჯერ კიდევ აღელვებს
მნახველს.

მე კი კბილებით მიჭირავს გრემი,
გარეჯის ბუღი და უფლისციხე
და რომ ვიგულო ჩემში და ჩემად,
ყოველდღე ალყას ვარტყამ და ვიღებ.

მე ერთხელ უკვე ვიყავი ქვეყნად,
დიდიხნის წინათ, ველურებს შორის,
და იმის ნაცვლად, რომ ბშვიდად
მეხნა,
უნდა მეთრია მომხდურის ბძორი.

უნდა მემტვრია თავი და ენა,
თუმცა ყოველთვის ამაოდ დავშვრი,
რადგან მეზობლის რჯული და რწმენა
არ შედიოდა ველურის თავში,

და არ სჯეროდა, რომ შეიძლება
არ აყვე სხვების გზასა და ძახილს
და წმინდა, როგორც კუბოს
ფიცრები,
შენც გქონდეს ფიქრი, საქმე და
სახლი.

გზა კი გრძელდება და უკან მიქრის,
მზესთან ალერსით დაღლილი ყანა,
და ზეთისხილის ხეების იქით
შეყვარებული ჩრდილები წვანან.

თავისთვის წვანან და მზისგან
უკვირთ,
რად აირჩია ცა სარბიელად,
რად აირჩია. და აი უკვე
მზეზე ცახცახებს ძველი სიენა.

სიენა! თუმცა თვითონ ხედავენ,
რომ შენც ფიქრებში ხარ
დაქსაქსული
და მოედანზე, როგორც ცხედარი,
კვლავ ასვენია შენი წარსული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის გარშემო დადიან ჩუმად
თეთრი მტრედები და ტურისტები.
შენც ყველას თვალწინ შიშვლდები
უმალ
და ყველას თვალწინ საჭურისდები,

რადგან გაფრინდნენ ძვირფასი
წლები
და გაილია ოქროს საყვირიც,
შენც დაიღალე და მზეზე წვები,
რომ უხმოდ ღეჭო აწმყოს აღვირი.

და იზმორება აგვისტოს დილა,
მხურვალე, როგორც მთიბავის პეშვი,
და ავტობუსის დაღლილი ჩრდილი
მიცოცავს ქვებზე, ბუჩქებზე,
მტვერში.

გზას უყვარს ფიქრი. ზიხარ და
უცქერ
ძველ სამონაზვნოს და სააბატოს,
და შეიძლება შენს ფიქრში უცებ
აღმოაჩინო ოქროს საბადო.

აღმოჩენილი არ ნიშნავს ნაპოვნს,
ნაპოვნი ოქრო სხეულს ეკუთვნის,
და საჭიროა, როგორც საპონი,
ან მექუდისთვის აბრა მექუდის.

აღმოჩენილი ეკუთვნის ღმერთებს.
ღმერთი კი ყველა ჩვენგანში
ცხოვრობს,
ყველა ჩვენგანში ცხოვრობს და
მართავს
ზოგის სასახლეს და ზოგის სოროს.

მე უკვე ვნახე მილანის სახლი
და ვიგრძენ ღმერთი, რომელსაც,
ალბათ,
სხვა ღმერთი ყავდა და ფიქრით
დაღლილს
კედლები მზისკენ მიყავდა ხარბად.

მე ვენეციის ქუჩებიც ვნახე
საოცრად ვიწრო, ჩუმი და გრილი,
და წყალში დგომით ფერწასულ
სახლებს
ხელში ეჭირათ გონდოლის ჩრდილი.

გონდოლს წყვილები მიყავდა,
წყვილებს
უცემდათ გული, სურვილით
მთვრალებს,
და პატიოსნად შექონდათ წვლილი
სხვათა ზეიმში ზღვასა და მთვარეს.

და ერთმანეთში არეულ ქუჩებს,
დოჟთა სასახლეს, ზარებს და
ბუკებს,
პატარა ხიდებს და წყალში უცებ
გამქრალ კიბეებს ეძინათ უკვე.

მე დავდიოდი და მეშინოდა
მეფიქრა შენზე. მეფიქრა ისე,
როგორც მინდოდა. და ბნელ კინოდან
ისმოდა სროლა. და სულმთლად
ფხიზელს

მიჭირდა სუნთქვა. და აივნიდან
გამწარებული მიყეფდა ძაღლი,
მე არ მეგონა თუ გამივლიდა
ეს უცნაური ცახცახი დაღლილს.

ქუჩაში ეგდო ძველი გაზეთი
და ღრმად ეძინათ ცარიელ ბაზრებს
და ახლა მხოლოდ მთვარე ავსებდა
მოწნულ კალათებს, ყუთებს და
კასრებს.

კედელთან იდგა დარაჯის სკამი
და ჩრდილი წოვდა გაჭყლეტილ
ყურძენს
და ვარსკვლავებით მორთული ღამე
იპყრობდა ქალაქს უხმოდ და უცებ.

რას ნიშნავს ღამე, ჩუმი და ბნელი,
რას გვაჩვევს იგი, დუმილს თუ
ფიქრებს,
ან იქნებ სიკვლიდს, რომელიც ნელა
გვიახლოვდება და ხელებს გვიქნევს.

ჯერ კი ადრეა, ადრეა ფიქრიც
ან უფრო სწორედ, ფიქრია ადრე.
გინახავთ, როგორ თამამად მიქრის
მატარებელი... ან ფერმკრთალ
ჭადრებს

როგორ ამაყად უჭირავთ თავი
სუსხიან ქარში... ან როგორ უჭირს
ამ ბნელი ღამის ერთადერთ კლავიშს
მთვარეს — დათმობა საყვარელ
ქუჩის.

მე მათგან ვსწავლობ. მეც, შენც და
ყველა,
ვინც რამეს სწავლობს, სწავლობს და
ცდილობს,
როგორმე ვინმეს შეუწყოს ხელი:
ან წყალი მისცეს, ან მზე, ან გრილო.

მაგრამ ასეთი ცოტაა, ალბათ,
ჩვენ რომ გვგონია, იმაზე ცოტა,
რადგან ბევრია ძუნწი და ხარბი,
რომელიც მარტო თავისთვის
შფოთავს.

დე იყოს ასე. ეს იმას ნიშნავს,
რომ განვსხვავდებით: შენა ხარ,
მე ვარ.
როგორც ვანსხვავებთ თოხნარს და
ქვიშნარს,
დრეკადს და მყიფეს, მყარსა და
თხევადს.

მაგრამ ჯერ საქმე. ჩემს სარკმელს
ისევ
მოადგა მთვარე. მობრძანდი,
მთვარევ,
თუკი მიკადრებ და ჩამთვლი
ღირსად.
თუმცა ოთახი რად უნდა მთვარეს,

მთვარეს, მეომარს, მეძავს და
პოეტს...
მე ვუცდი სტუმარს და ისიც მოვა.
მე იმედისთვის ყოველთვის ვტოვებ
პატარა ადგილს და ბევრი დრო მაქვს.

იმდენად ბევრი, რომ თავი მტკივა
და გული მიცემს. მაგრამ ის მოვა.
მოდის. მოვიდა. ასეთი მძივი,
სწორედ ასეთი ვიღაცამ მთხოვა.

როგორ გიხდება ძვირფასო მძივი!
მე მიხარია, რომ ჩემი გჯერა.

მოდი. მომშივდა, მომწყურდა, მცივა.
ვერ დაგივიწყე, ვერა და ვერ!
ვერც დაგივიწყებ და ალბათ, ხვალვე
მომენატრები კვლავ მთელი ძალით
და კვლავ ვიფიქრებ, რომ ყველა
ქალმა
ჩემს სულში უნდა დატოვოს კვალი.

კვალი კი ნიშნავს, რომ ვიღაც მიდის,
დიდიხნით მიდის ან სამუდამოდ,
მაგრამ შესამჩნევ ადგილზე კიდებს
ნიშანს, რომლისაც სჯერა, უდავოდ.

ერთნაირია ყოველთვის ქალი,
მაგრამ არ არის ერთფეროვანი.
ის საგნებს აძლევს ხმასა და ძალას,
როგორც თანხმოვან ბგერებს
ხმოვანი.

და აი, უკვე თენდება კიდეც.
რა მალე გადის შენს გვერდით ღამე.
გამოჩნდა ქუჩა, თაღი და ხიდი,
დარაჯებს ღვინო უდგათ და სვამენ.

და სიბნელიდან გამოდის რომი,
რომელიც აქრობს დროსა და
მანძილს,
რაც გადაურჩა უთვალავ ომებს
და გაირუჯა უთვალავ ხანძრით.

და მონებს მოაქვთ ქვეყნის ქონება,
თითო სასახლე კიდია თითოს,
და ვალმოხდილი ლეგიონები
ელოდებიან ქებას და ჯილდოს.

ეს კი სამსხვერპლო ცეცხლის
ბოლია,
რომელიც ცაში ცახცახით ადის
და გაჩაღებულ კაპიტოლიუმს
უახლოვდება კეისრის ლანდი.

შენ მოენატრე და ხალხში გეძებს,
რომ ერთხელ კიდევ შეგახოს ხელი
და ერთხელ კიდევ მიგიკრას მკერდზე,
როგორც სამყარო, ურჩი და ვრცელი.

და არცკი იცის, რომ მხოლოდ წუხელ
ვნებამ პირველად დაგიფრთხო ძილი,

და ვიღაც მოკვდავს მიეცი უხვად
თაფლიც და ცეცხლიც, კეისრის
წილი.

გარეთ კი ისევ ბრჭყვიალებს მტვერი
და ყველაფერი გრძელდება ისევ,
და რესტორნიდან გამოდის ბერი,
როგორც ცნობილი არტისტი ბისზე.

ჩნდება მიზეზი ფიქრის და ზრუნვის,
ქრება ოცნება ჩავლილი ფუჭად,
და გაცხელებულ საუზმის სუნით
ივსება ყველა პატარა ქუჩა.

მე ალალბედზე მივყვები ქუჩებს
და მსურს ვიარო დიხანს და ნელა,
როგორც თბილისში და ვამჩნევ
უცებ,
რომ სულში რაღაც გაჩნდა და
ღელავს.

მე ამ ქალაქში დღეს ჩამოვედი,
დღეს გადავხადე პირველად ფარდა,
მაგრამ მე ასე ვღელავ ყოველთვის,
როდესაც ვრჩები საყვარელ ქალთან.

და თვალებს ვხუჭავ, რომ უფრო
ცხადად
და უფრო ახლოს ვიგრძნო წარსული,
გმირობასავით დიდი და სადა,
მაგრამ თანდათან ფერგადასული.

ხალხში მიცურავს მონაზვნის ქუდი
ნალქანივით... და მტკიცედ სჯერა,
რომ არაფერი არ ელის-ცუდი
მის ცას და მიწას, სახელს და ენას.

ან რას მიხვდება მონაზვნის ჭკუა,
რომ დღეს პატარა კაცია ღმერთი.
ღმერთის თანხმობას და ღმერთის
უარს
ყურს უგდებს მხოლოდ ათასში ერთი.

ისიც ბევრია. ვეზუვის ჩრდილში
თეთრად ანთია პომპეის ნაშთი,
გაქვავებული სევდა და შიში,
რომელსაც სისხლის სურნელი ასდის.

და უკვე დროა, რომ ღმერთზე მაღლა
და ღმერთზე მაგრა დავდგეთ
ყველანი
და ვიმყოფინოთ ჩვენ ჩვენი სახლი,
ჰაერი, წყალი, პური, მელანი.

ცხელა. ძალიან ცხელა და სიცხეს
თავს აფარებენ ძეგლების ჩრდილში.
და თვლემას იწყებს მზესავით ფიცხი.
მზესავით ძველი და გამძლე ჯიში.

დაღლილი ფიქრით და გზების
ძებნით,
ვაჭრობით, შრომით და ფეხზე
დგომით.
დღე კი მთავრდება და ბუნებრივად
ხვალინდელ დღეში გადადის რომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

პური და იარაღი

ომი თბილისელებისათვის, უმთავრესად, შიმშილი და გაჭირვებაც იყო...

მაღაზიებში ვერაფერს იშოვნიდა კაცი, ბაზარში ცეცხლის ფასი ედო საქონელს. ფასები დღითიდღე იზრდებოდა. გადამყიდველების პარპაშს საზღვარი არ ქონდა. ისინი ქალაქის გარეუბნებსა და ახლომახლო სოფლებში ყიდულობდნენ სანოვაგეს, ქალაქში ეზიდებოდნენ და ერთი-ათად ასაღებდნენ. დამშეული ქალაქელები ყველაფერს ეტანებოდნენ, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ...

განსაკუთრებით მოსამსახურეებს უჭირდათ. მუშები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ: ისინი საფაბრიკო და საქარხნო სასადილოებში იკვებებოდნენ, სადაც გაცილებით უკეთესი იყო მომარაგება, ვიდრე დაწესებულებებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში...

მთავრობა შეძლებისდაგვარად ებრძოდა გადამყიდველებს: რკინიგზის სადგურებსა და ქალაქის ნავმისადგომებთან, დღისით და ღამით მორიგეობდნენ მილიციის და შინსახკომის თანამშრომლები, აჩერებდნენ მანქანებს, საბუთებს უსინჯავდნენ მგზავრებს, ართმევდნენ ვიღაცა საეჭვო პირებს ხორბლითა და სიმინდით გატენილ ტომრებს. ჯვალოს გასისხლიანებულ ნაჭრებში გახვეულ ღორისა და ცხვრის ხორცის უზარმაზარ ნაჭრებს, მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა: სპეკულაცია მძვინვარებდა და საშველი არ იყო.

ჩვენი ოჯახიც იმ ხანებში დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. ჯარში წასული მამის ატესტატით მიღებული ფული არა გვყოფნიდა სამ სულს: მართალია გარეკახეთის ერთ პატარა სოფელში მარტოხელა და საყვარელი ბებია გვეგულებოდა, რომელსაც შეეძლო ჩვენთვის ცოტა ხილი ან ბოსტნეული მოეწოდებინა (მეტი რა ჰქონდა საწყალს!), მაგრამ იქ წასვლას ვერ ვახერხებდით, რადგან მატარებლები გადამყიდველებს ჩაეგდოთ ხელში და ბილეთს ვერ იშოვნიდა კაცი, მანქანები კი გაესამხედროებინათ და აბა, ჩვენ ვინ მოგვაშავებდა მანქანას!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ფრონტიდან რამოდენიმე დღით თბილისში ჩამოსულმა, ჩვენმა თანასოფლელმა ვინმე პოლკოვნიკმა ყურაშვილმა დაურეკა დედას, მამაჩემის ამბავი ამცნო და უთხრა, რომ ხვალ დილით სოფელში აპირებს წასვლას სანოვაგის ჩამოსატანად და თუ ვინმე გაჰყვება, ჩვენთვისაც გამოატანს რამეს.

ჯერ არ გათენებულიყო, როცა ჩვენი სახლის წინ საბარგო მანქანა გაჩერდა და მოაყვირა. სწრაფად ჩავიცვი და კიბეზე დავეშვი. ყურაშვილი კაბინაში იჯდა, არ გამოუხედნია, ხელით მანიშნა მხოლოდ, ძარაში ადიო, და ჩვენ დავიძარით.

სოფელში რომ ჩავედით, ყურაშვილმა თავის ორსართულიან ქვითკირით ნაგებ სახლთან გააჩერებინა მანქანა და მოკლედ მითხრა:

— რვაზე გავალთ. არ დააგვიანო.

ბებიას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. იტირა კიდეც. მერე მეზობლები მოიარა, სადღაც ერთი დამხვრჩალი ყვინჩილაც კი აღმოაჩინა, ცოტაოდენი ნიგოზი, ჩირი და ლობიო ფუთაში გამომიხვია, დამაპურა როგორც შეეძლო

და უკვე ბინდდებოდა, როცა ჭიშკრამდე მიმაცილა.

ყურაშვილებისას ავედი. მანქანა ეზოში იდგა და ძარა მოპირთავებული იყო სანოვაგით: კარტოფილითა და ხორბლით გავსილი ტომრებით, კალათებითა და გოდრებით, რომელთა შორის ერთ მოზრდილ ბურვაკსაც ამოეყო თავი. სახლიდან დანა-ჩანგლის ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ეტყობა, სუფრა ჰქონდათ გაშლილი. მე მომერიდა უცხო ოჯახში შესვლა, ამიტომ ჩემი ბარგი-ბარხანა მანქანის ძარაში ჩავაგდე და იქვე ხის ძირას ჩამოვჯექი. მალე, სახლიდან შოფერი გამოვიდა, მას ყურაშვილიც გამოჰყვა. მაღალი კაცი იყო, მხარბეჭიანი. ჯარისკაცის მაზარა ეცვა და მხოლოდ საბეჭურებით თუ მიხვდებოდა კაცი, რომ პოლკის უფროსის ხარისხი ჰქონდა. ტანკისტი გახლდათ. მანქანას მიუახლოვდა და ძარაში გადაიხედა. მე თითქო ვერ მხედავდა. მხოლოდ ეხლა შევამჩნიე მის სახეზე, ფართო ვარდისფერი ჭრილობის კვალი.

— ეს შენია. — ერთ კალათზე მიმითითა. მერე თვალით მანიშნა ზევით ავსულიყავი და კაბინაში ჩაჯდა.

წამოვედით. მაგრა აცივებულიყო. თებერვლის მიწურული იდგა და იალნოს დათოვლილი კალთებიდან გამყინავი ქარი უბერავდა. კაბინას მოფარებული, თითქმის ოთხად მოკეცილი ვიჯექი ტომრებსა და გოდრებს შორის, საყელოში თავი ჩამერგო და ფიქრებს მივცემოდი. მანქანის რახრახში ნელნელა ჩავთვლიმე...

თვალები რომ გავახილე, მანქანა იდგა. ბნელოდა. წამოვიწიე, რომ გამეგო რაშია საქმე. რკინიგზის გადასასვლელთან ვიდექით. „ალბათ ვაზიანში ვართ", გავიფიქრე. პოლკოვნიკი ვიღაცას უჯავრდებოდა.

— ჰო და, რაღას უდგახარ, ადი მანქანაში!

— ბავშვი მახლავს, ბატონო, — მოისმა ქალის მორიდებული ხმა, — გამიცივდება.

წამით დუმილი ჩამოვარდა. მერე კაბინის კარი ხმაურით მოიხურა და ძარაში პოლკოვნიკი ამობობღდა. მან მისწი-მოსწია ტომრები, დაჯდა ჩემს გვერდით და უკანმოუხედავად შოფერს გადასძახა:

— გასწი.

მანქანა დაიძრა. პოლკოვნიკმა მაზარის საყელო აიწია, აჭყვიტინებულ ბურვაკს წიხლი ჩაჰკრა და გულმოსულად ჩაილაპარაკა:

— აუღიათ თავი და დადიან ამ შუაღამისას, მაგათი ქოქი გაქრა! ბავშვები მაინც არ ეცოდებათ!.. — მერე იქვე ტომრებზე დაგდებული საწვიმარი აიღო, გაშალა, მხრებზე წამოიხურა, მოხერხებულად მოთავსდა და მალე ხვრინვა ამოუშვა...

ქალაქში რომ შევედით, უკვე კარგა შეღამებულიყო. ქუჩებში ბნელოდა შენიღბული ფანჯრებიდან ერთი ბეწო შუქიც ვერ ატანდა. ალაგ-ალაგ ლურჯი სინათლით ოდნავ განათებულ მოსახვევებში ბზინავდნენ სველი ქვაფენილები, დამდნარი თოვლის გუბეები და ტრამვაის ლიანდაგები.

ნავთლუღს რომ გავცდით და ავლაბრისკენ გადავუხვიეთ, ვიღაცამ გაგვაჩერა. პოლკოვნიკს ეძინა. მე წამოვდექი, უხერხული ჯდომისაგან დახუთული მუხლები ძლივს გავმართე და მანქანიდან გადავიხედე. კაბინასთან მილიციელი იდგა. იღლიაში რაღაც ეჭირა თეთრ ქაღალდში გახვეული. იგი ჩვენსკენ ხელს იშვერდა და შოფერს უჯავრდებოდა. პირველ ხანში ვერც კი გავარკვიე რას ამბობდა.

მერე შოფრის ხმა მომესმა:

— კარგი ახლა, ნუ გააჭირე საქმე, შენც მითომ ვერა ხედავ რაღა, ვინცა ვართ?!.. ხო გითხარი, პოლკოვნიკის მანქანაა, სოფელში ვიყავით, ცოტა რამე-რუმე წამოვიღეთ და ეხლა სახლში მივდივართ... გამიშვი თუ ძმა ხარ, გარაჟში მაგვიანდება!..

— მაგასაც გამოვარკვევთ, სადაც იყავით. — თანდათან ხმას უწევდა მილიციელი და ძარაში იხედებოდა. — იქით მიაყენე მანქანა! —იგი კაბინის საფეხურზე შედგა და ხელით ანიშნა შოფერს: მოაბრუნეო. შოფერმა კილო შეცვალა, ეტყობა გაბრაზდა:

— კაცო, შენ შემოჩენილი ხომ არა ხარ? აჰა, საგზური ნახე! — მან გულისჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ხელში მიაჩეჩა მილიციელს.

— საგზური არ ვიცი. თუ წასვლა გინდა, ჯარიმა გადაიხადე!

— რაზე, კაცო, რისთვის? მორიგე ხარ? — ცხარობდა შოფერი.

— ეგ შენ არ გეკითხება, იხდი ჯარიმას?

— კაცო, შენ საშოვარზე ხომ არა ხარ გამოსული? თუ დაგილევია, გაიარე. — წყნარად უთხრა შოფერმა. — თუ აბანოში იყავი, გაამოს, ძმაო. ჩემთან რა გინდა? მე ჩემი გზა მაქვს.

ამ დროს პოლკოვნიკმა წამოსწია თავი.

— რა ამბავია? იკითხა ნამძინარევი ხმით.

—ვიღაც მილიციელია, ამხანაგო პოლკოვნიკო, არ გვიშვებს. — ამოსძახა შოფერმა.

პოლკოვნიკმა მილიციელს გადახედა.

— ჩადი. — მოკლედ უთხრა. მერე შოფერს მიუბრუნდა: — გასწი, ნუ უჩერებ ყველა მოცლილს... — და ისევ დასაძინებლად მოემზადა.

მილიციელი ჩამოვიდა საფეხურიდან და ძარას მიუახლოვდა.

— მოცლილი ვარ, თუ რაცა ვარ, მაგას განყოფილებაში გამოვარკვევთ... აბა ჩამოდი ძირს, ამხანაგო, და შენი საბუთები მაჩვენე.

პოლკოვნიკი არც განძრეულა. სიბნელეში ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ბრაზი აღრჩობდა.

— გასწი-მეთქი! — ხელმეორედ უბრძანა შოფერს.

შოფერმა მოტორი ჩართო.

მილიციელმა ისევ კაბინის საფეხურზე შედგა ფეხი:

— იქით მიაბრუნე, გეუბნები!

ამის თქმა და პოლკოვნიკი გადმოეშვა მანქანიდან.

— აბა მოდი აქ. — ხმადაბალი მუქარით უთხრა მილიციელს. — მაშ შენ არ იცი ვის ელაპარაკები?

მილიციელი მიუახლოვდა. პოლკოვნიკს მხრებზე საწვიმარი ჰქონდა მოხურული და მილიციელი ვერ ხედავდა მის საბეჭურებს.

— საბუთები მაჩვენეთ. ჰო, რას მიყურებ! ეგ სამხედრო ფორმა რომ ჩაგიცვამს, გგონია მომატყუებ? გატყობ რა შვილიცა ხარ... საბუთები ნაჩვენე, შე სპეკულანტო, შენა, თორემ..

ამ სიტყვის თქმა იყო და პოლკოვნიკმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა სილა გაარტყა მილიციელს.

კაბინიდან შოფერი გადმოვარდა, მეც ჩამოვხტი ძარიდან და ორივენი პოლკოვნიკს ვეცით. მთლად გაგიჟებული, გააფთრებით იწევდა თავის მოწინააღმდეგისაკენ და უშვერი სიტყვებით იგინებოდა:

— ნაშ მე სპეკულანტი ვარ, ?! მაშ მე სპეკულანტი ვარ, შე... მაშ მე ფრონტზე იმისათვის დამიღვრია სისხლი, რომ შენისთანა მაიმუნებმა სპეკულანტი დამიძახოს!

— ლავ, ელი, ხაზეინ ჯან, დაწყნარდი თუ ღმერთი გწამს... მაგან რა იცოდა... კარგი დაწყნარდი, შენ ლიანას გაფიცებ, დაწყნარდი!..

შოფერი ძლივს აკავებდა პოლკოვნიკს. — ხო გითხარი, შე უღმერთო, პოლკოვნიკია-მეთქი, ფრონტიდან ჩამოსული კაცია, ამასთან გადაკიდება შეიძლება! — ამბობდა შოფერი, თან კი იქითკენ იხედებოდა, სადაც წაიქცა მილიციელი. მეც იქით მეჭირა თვალი. ბნელოდა და სიბნელეში ძლივს ჩანდა მიწაზე გართხმული კაცი. გუბეში ჩავარდნილიყო და რატომღაც არ იძვროდა. მე ჯერ შიშმა შემიპყრო, ხომ

არ შოვკალით მეთქი, . მერე დავინახე როგორ წამოიწია, ფილაქანს ხელებით დაეყრდნო და გაბობღდა.

„იარაღს იღებს!“ — გამიელვა თავში და გამაცივა. პოლკოვნიკმაც, როგორც ჩანს, გამოცდილი მეომრის გუმანით იგრძნო საფრთხე, უცებ ხელიდან გაგვისხლტა და წაქცეულს თავზე დაადგა.

— იარაღს იღებ, შე დედალო, შენა... აჰა, ჩემი წაიღე, ვნახოთ რა ბიჭიცა ხარ!..

მილიციელს თავი არ აუღია, კვლავ ფილაქანზე დაბობღავდა და მიწაზე ხელებს აფათურებდა.

— ჰო, რას ეძებ, რას? — პოლკოვნიკმა ხელი წაატანა წაქცეულს. ჩვენც მივუახლოვდით.

მილიციელმა ამოგვხედა.

— ასანთი ვეძებ... — გაგუდული ხმით უთხრა შოფერს. — თუ ძმა ხარ. გამინათე, პური მიმქონდა სახლში, დამივარდა და ვერა ვხედავ... ბნელა ეს ოხერი და ვერა ვხედავ...

შოფერმა ასანთს გაჰკრა. ასანთის შუქზე გამოჩნდა პოლკოვნიკის სახე. ქვედა ტუჩი უცახცახებდა. ლოყაზე საოცრად ჩამუქებოდა ნაჭრილობევი. არაფერი არ უთქვამს, მოტრიალდა და ძარაში აძვრა.

მეც ავყევი.

კაბინაში ბავშვს გაჰღვიძებოდა და ხმამაღლა ტიროდა.

შოფერი ერთხანს მილიციელთან იდგა, რაღაცას ეუბნებოდა, ეტყობა, ამშვიდებდა. სიბნელეში დავინახე, როგორ ჩამოუბერტყა ფარაჯის კალთები, „გქონდეს ეგ ხელსახოცი“ უთხრა, მერე მოტრიალდა, მანქანისაკენ წამოვიდა და კაბინაში ჩაჯდა. გაიჯახუნა კარმა. ჩვენ გზა განვაგრძეთ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

აქლემის კუზი და მეხოტგე მამლაყინწა

იგავი

ერთხელ აქლემს
    დაუკარგეს მოსვენება, —
    დაავალეს მოხსენება!

უთხრეს: ნაკლი არ დაფარო
არცა შენი, არცა სხვისი,
თორემ შავს დღეს დაგაყენებთ,
ამოგივსებთ თვალსა ფისით.

გამონახეს სადღაც ძერა,
მოიწვიეს სტურმად ძერა.
და აქლემმა გახსნა კრება.
სულ არავის მოეფერა.
თქვა: ეს ყოჩი არის ურჩი
სახლში ყბედი, გარედ მუნჯი!
თხა ცეტია, მას რეტი აქვს.
ცუღლუტობს და სულ კიკინებს;
ჩივის გაწვებ, თავს იტკივებს.
აი, ბატი და ეს იხვი,
ეს დედალი და ეს ჩრიხვი,
სამსახურში ისვენებენ,
ჭორაობენ, სისინებენ!
დააცქერდით სირაქლემას!

მე ვერ ვიტყვი მაგის ქებას!
მტვვრში თავს ჰყოფს, შავთვალება,
ჰგონია თუ იმალება!..
და ამ რიგად ყველას თითო
რაღაც ნაკლი მოუნახა,
„გამოსწორდით!“ შეუძახა
და მიზნებიც დაუსახა.

დასასრულ თქვა: „ვის სურს
სიტყვა?“
წამოიჭრა მამლაყინწა
და აქლემი ისე აქო,
რომ ხმა თითქმის ჩაეხრინწა.
შეადარა ფრთიან მერანს,
ვინაც დაჰქრის, დასრიალებს,
შეადარა ვეშაპს ზღვისას,
ვინაც ელვას აპრიალებს.
ძერას დიდად გაუკვირდა,
რომ აქლემმა თვითკრიტიკა
ამოწურა, ამოხაპა;
ხოლო მისი დიდი კუზი
სადღაც გაჰქრა, ჩაიყლაპ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ლოხვიცკი

ზეგნელი ქალიშვილი

ნადია ქუჩას მიჰყვებოდა ჩაფიქრებული და დატკეპნილ თოვლს უყურებდა. მარხილების კავებსა და მანქანების საბურავებს ორი ღრმა კვალი დაეტოვებინა თოვლში. იგი ფრთხილად აბიჯებდა ნაკვალევის ნაწიბურს და გაშლილი ხელებით წონასწორობას იცავდა, ფეხი რომ არ დასცურებოდა. ერთი შეხედვით, კაცს ეგონებოდა, ქალიშვილს სიამოვნებას ჰგვრის ეს ბავშვური საქციელი, მაგრამ, სინამდვილეში, იგი ვერც კი გრძნობდა, რას აკეთებდა. რიტმულად ჭრიალებდა ოწინარი — ვიღაცას ჭიდან წყალი ამოჰქონდა. საიდანღაც ყრუ ხმაური მოისმოდა, ერთმანეთს ერწყმოდა გამვლელთა ლაპარაკი, ნაბიჯები, ვიღაცის ღიღინი... ნადიამ ხმადაბლა წამოიწყო სიმღერა.

სადღაც, შორს, მარხილის ჭრიალი მიწყდა, ოწინარიც დადუმდა, მაგრამ ნადია მხოლოდ საკუთარ თავს უგდებდა ყურს და სულ უფრო ხმამაღლა მღეროდა, თან რიტმულად აჭერდა ფეხს თოვლს, რომელიც ხრაშუნით იშლებოდა ქუსლქვეშ. მუსიკა მოიწევდა მისკენ თოვლით დაფარული მიწიდან, მოქუფრული, რუხი ციდან, სახლებიდან, ადამიანებიდან — ყველაფრიდან, რაც მის გარშემო იყო, პირთამდე ავსებდა მთელ მის არსებას და გარეთ გადმოღვრას ლამობდა.

ნადიამ აირბინა პატარა კიბე, სწრაფად გააღო კარი, შეიჭრა ოთახში და კედლიდან გიტარა ჩამოიღო.

დედის სიკვდილის დღიდან გიტარაზე არ მიჰკარებია. მაგრამ ახლა თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა მასში. ჩამოჯდა დაბალ ტახტზე და დაიწყო იმ მელოდიის აწყობა, რომლითაც იყო გაჟღენთილი. ერთი წუთის შემდეგ ბრაზმორეულმა გადაისროლა განზე გიტარა. არაფერი გამოსდიოდა.

დიდხანს იჯდა უძრავად. ვახშამი არც კი გახსენებია. მაგრამ უცებ სხვა მუსიკა აჟღერდა და მოულოდნელად, ხმაურით შემოიჭრა ოთახში. ნადია შეკრთა, საგონებელში ჩავარდნილმა, შიშით ირგვლივ მიმოიხედა და, როგორც იქნა, მიხვდა, რომ რადიოტრანსლაცია ჩართეს — მუსიკა მოისმოდა კოლმეურნეობის კანტორის წინ ბოძზე მიმაგრებული რეპროდუქტორიდან, რომელიღაც უცნობ საკრავს ახმიანებდნენ. ჰანგები ნაკადულივით იღვრებოდა.

ქალიშვილმა კვლავ აიღო ხელში გიტარა. ამჯერად სიმები დაემორჩილა მის თითებს — გიტარის აკორდები მორჩილად მისდევდნენ მელოდიას, რომელსაც უკრავდნენ სადღაც, შორს, ძლიერ შორს.

იძინებდნენ მთელი დღის ჯაფით დაქანცული ქალები, უჩინარდებოდა მეთევზეთა ჩირაღდნები, ნადია კი კიდევ დიდხანს იჯდა კოცონთან, სიმებზე თითებს ათამაშებდა და შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ვეებერთელა ცას, რომელიც რაღაც მომთენთავ და ბუნდოვან წადილს უღვიძებდა.

საქათმეში მამალმა იყივლა. ნადიამ სინანულით გადასდო გვერდზე გიტარა და მხოლოდ ახლა იგრძნო შიმშილი. ვახშმის გაცხელების დრო აღარ იყო, მან კარადიდან გამოიღო პური, ყუა მოტეხა, დაადო ზედ ყველის ნაჭერი და დაიწყო ჭამა.

ოთახში ციოდა, თითები გაეთოშა. სწრაფად შეჭამა პური, ლოგინი გაშალა და საბანში შეძვრა. უცბად ძალზე ობ-

ლად იგრძნო თავი და თვალები დახუჭა, რომ ჩქარა ჩასძინებოდა.

მეორე დღეს ნადიამ კანტორაში შეირბინა და რადიოკვანძის კარებზე მიაკაკუნა.

—ვასილი! — ჰკითხა რადისტს,—შემთხვევით ყური ხომ არ მოგიკრავს, გუშინ რა გადმოსცეს, როცა შენ რეპროდუქტორი ჩართე? ისეთი კარგი მუსიკა იყო...

— გუშინ? არა! რატომ მეკითხები?

— ისე, უბრალოდ...

ნადია ფერმაში დაბრუნდა — არავითარი იმედი აღარ ჰქონდა, რომ გაიგებდა, რა მუსიკას უსმენდა გუშინ. იქნებ კვლავ გადმოსცენ რადიოთი. ყურებში იგივე მელოდია ჩაესმა ქალიშვილს, აშკარად გრძნობდა მასში წყლის ჩუხჩუხს, ზაფხულის გრილ დღეს.

ნადია დაუმეგობრდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩასუქებულ ცისფერთვალა ქალიშვილს ლუბოჩკას, რომელიც ბუღალტერიაში მსახურობდა. ლუბოჩკა სხვებისაგან გამოირჩეოდა პაჭუა ცხვირით, ხუჭუჭი თმითა და ცეკვის დაუცხრომელი სიყვარულით. საოცარია, რომ ყველაფერ ამასთან სიტყვაძვირი იყო. მას შეეძლო ნადიასთან მისულიყო, მოკალათებულიყო ტახტზე, დაეყრდნო ხელებზე მოკლედ შეკრეჭილი თავი და მთელი საღამო ჩუმად მჯდარიყო. შემდეგ კი ეთქვა: „მაშ, წავედი ნადია“, ან „მე შენთან დავიძინებ“. მაშინ ის მეგობარს ჩაუწვებოდა ხოლმე ლოგინში, მაგრად მიეკვრებოდა და იძინებდა. ლუბოჩკა ნადიაზე სამი წლით უფროსი იყო, მაგრამ ამ სხვაობას ისინი ვერ ამჩნევდნენ.

კვირაობით ლუბოჩკა ღალატობდა თავის მეგობარს და კლუბში ცეკვებზე მიდიოდა.

— მამას ვეუბნები, რომ შენთან ვმეცადინეობ, — ეუბნებოდა ლუბოჩკა,—ასე, რომ უცაბედად არ გამცე, თორემ ბრაზობს: მარტო ტაშფანდურაზე ფიქრობ.

ერთი-ორჯერ ლუბოჩკამ დაიყოლია ნადია, კლუბში წაყოლოდა, მაგრამ ნადიას ცეკვა არ მოეწონა—იგი ცუდად ცეკვავდა, მოუხეშავად ადგამდა ფეხებს და ბიჭებიც ზედმეტად გულმოდგინედ ხვევდნენ ხელს, რაც მთავარია, ბაიანზე დამკვრელი მელოდიას აუტანლად ურევდა—ნადიას ყოველ არასწორ ბგერაზე აურეოლებდა, თითქოს დანით თეფშს ფხაჭნიანო. მას შემდეგ კლუბში აღარ წასულა. საღამოობით შინ იჯდა და რადიოს უსმენდა.

ერთხელ ლუბოჩკამ არაჩვეულებრივად აღელვებულმა მოირბინა.

— ნადიკო,—შესძახა მან და ტახტზე შეხტა.—ნადიკო რომ იცოდე როგორი კლუბის გამგე გამოგვიგზავნეს.

— მთელი საღამო შენთან ცეკვავდა, არა?—მშვიდად წარმოსთქვა ნადიამ.

— არაფერიც, ჩემთან სულაც არ უცეკვია.

ნადიამ გაკვირვებით შეხედა მეგობარს. „უნდა წამოხვიდე და საკუთარი თვალით ნახო... ლუბოჩკამ სიტყვები ვეღარ იპოვა. ენა დაება, მერე სული მოითქვა და მიაყარა:—ახალგაზრდაა! კოხტა! სანდომიანი! ისე უკრავს ბაიანზე, რომ ჩვენს სენკას არც მოელანდება. სიმებიან ორკესტრს შევადგენო, მე თვითონ ვიდირიჟორებო, ვისაც მოუნდება, ნოტებს შევასწავლიო, დრამწრეს ჩამოვაყალიბებო...

ნადიამ ხელი ჩაიქნია და სიცილით უთხრა:

— ნუ გამაბრუე, კარგი, გეყოფა.

იგი ღია ფანჯარასთან მივიდა და თითქოს ლურჯად გადაშლილი ღამეული ველის ნელი სუნთქვა იგრძნო. ლუბოჩკა პირქვე დაემხო ტახტზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და განაცხადა:

— ოი, ნადია მგონი, შეყვარებული ვარ.

კვირა დღეს ლიუბოჩკამ ნადიას გაუარა. ძალზე გამოპრანჭულიყო. თბილისში ნაყიდი ახალი კაბა ეცვა და კრემის სუნს აფრქვევდა.

— წამომყვები კლუბში?

ნადია ის-ის იყო ფერმიდან დაბრუნდა.

— რა დამრჩენია იქ, რომ წამოვიდე, —ჩაილაპარაკა მან.—ფუი, როგორი სუნი გდის!..

ლუბოჩკა მიუხვდა, რომ ნადია განზრახ ლაპარაკობდა ასე და შეუჩნდა:

— ტყუილია, ტყუილი, ვიცი, რომ გინდა წამოსვლა.

— წამოდი გრიშას უკვე ვუთხარი, რომ გიტარაზე უკრავ. მითხრა, მოიყვანეო.

— გრიშა ჰქვია?

— ჰო, გუშინ კანტორაში ვსაუბრობდით. მოდიხარ?

—კარგი,—უგულოდ დაეთანხმა ნადია.

მან სწრაფად დაიბანა ხელ-პირი, ტანთ გადაიცვა, ნაწნავში ლენტი ჩაიწნა.

— ოჰო, შენც კოპწიაობ, — გაიცინა ლუბოჩკამ, უკვე ინანა, რომ ნადია მიჰყავდა თან.

— წავიდეთ. — თქვა ნადიამ. გარეთ გამოვიდა და კარი გამოკეტა.

მთელი გზა ჩუმად გაიარეს.

გაჩირაღდნებული კლუბის წინ ახალგაზრდები შეგროვილიყვნენ, ქალიშვილები ზედ კარებთან შეჯგუფდნენ, ვაჟები კი ცოტა მოშორებით. როცა ნადია და ლუბოჩკა კარს მიუახლოვდნენ, ვიღაცამ მხიარულად წამოიძახა:

— ა-ა, შენც მოხვედი!

კლუბიდან ბალალაიკის ხმა მოისმოდა. ნადია ლუბოჩკას შეჰყვა დარბაზში.

სცენასთან გრძელ სკამზე რამდენიმე ყმაწვილი იჯდა. ერთს შავგვრემანს, ღაწვმაღალ, ხუჭუჭთმიან ბიჭს ნადია არ იცნობდა. მას ნაცრისფერი კუბოკრული კოსტუმი და სქელი — ლანჩიანი ყავისფერი ფეხსაცმელი ეცვა. ხელში ბალალაიკა ეჭირა. „გრიშა — კლუბის ახალი გამგე“, — მიხვდა ნადია და ნელა გასწია სცენისკენ. იგი ვერ ამჩნევდა ლუბოჩკას, რომელიც გვერდით მიჰყვებოდა და ეჭვიანად შესცქეროდა მეგობარს აწითლებულ სახეში.

გრიშამ დაინახა ისინი — უკვე ნაცნობი ლუბა და მაღალი, ტანადი ფართო სახიანი ქალიშვილი, მკვრივი ნიკაპითა და წყლიანი შავი თვალებით. გრიგოლმა ძირს დაუშვა ბალალაიკა და წამოდგა.

— ეს ნადიაა. — უთხრა ლუბოჩკამ, — გიტარაზე რომ უკრავს.

— გრიგოლ, — ხელი გაუწოდა კლუბის გამგემ. — დიდი ხანია უკრავთ გიტარაზე? — ნოტები იცით? — ჰკითხა მან.

— ცუდად ვუკრავ, — ძლივს გამოსცრა ნადიამ.

მას ჩამოეშვა ხელები და დაეინებით შესცქეროდა შავგვრემან ჭაბუკს. ალბათ, ასე უცქეროდა ნადიას მამა თამარს, როცა პირველად ნახა იგი.

— ლუბოჩკა, ერთი გიტარა მოიტანე, — თხოვა გრიგოლმა, — აი იქ ჰკიდია, ოთახში. დაუკარით ნადია, — მოგისმენთ.

ნადია მორჩილად დაჯდა, გიტარა აიღო. სახეზე ალმური მოსდებოდა. ჯერ თავისი საყვარელი ქართული რომანსი „ისევ შენ და ისევ შენ“ დაუკრა, შემდეგ ის მელოდია, რადიოში რომ მოჰკრა ყური.

გრიგოლს მსხვილი ტუჩები წინ წამოეშვირა და უსმენდა.

— არა უშავს, — თქვა მან და სწორედ მაშინ დაადო გიტარის გრიფს ხელი, როცა ნადია ცდილობდა გადმოეცა წყლის ჩუხჩუხი, რომელმაც უცნობ მელოდიაში მოხიბლა. — მაგრამ სწავლაა საჭირო. ჩვენ გადავწყვიტეთ, წრე ჩამოვაყალიბოთ, მოდი, შენც ჩაგწერ. რეპეტიციებზე კვირაში ორჯერ მოხვალ. რა გვარი ხარ?

— ვეტროვა, — ოდნავ გასაგონად წარმოთქვა ნადიამ.

— ოთხშაბათს რვა საათისათვის მოხვალ. აბა, ახლა ცეკვები. სენია, აიღე ბაიანი.

გრიგოლმა წინ გადადგა ნაბიჯი, დოინჯი შემოიყარა და ლუბოჩკასთან გაჩნდა.

— აბა, ლამაზო გამოდი. მაგალითი ვაჩვენოთ.

ლუბამ აიქნია ცხვირსახოცი და ქუსლების რიტმული ბაკუნით დარბაზის გულში გაცურდა.

— მერე მე და შენ, — ნადიამ სერგის ხმა გაიგონა. თურმე გვერდში ამოდგომოდა.

— არა ვცეკვავ, — მიუგო ნადიამ, რომელიც შურით შეჰყურებდა ლუბოჩკას. ცეკვა დასრულდა. ნადია მოშორდა სერგეის, რომელიც რაღაცას ეჩურჩულებოდა, მივიდა გრიგოლთან და უთხრა:

— ჩემთან იცეკვეთ.

— წავიდეთ,—გაუღიმა მან, წელზე შემოხვია ხელი და ნელა დატრიალდნენ.

დაიწყო გრიგოლმა და იქვე მიუთითა: მოაცილეთ ფეხი იატაკს, უფრო მსუბუქად, მსუბუქად. ნადია სდუმდა. იგი განსაკუთრებულ ნეტარებას განიცდიდა, ისეთს, როგორიც ერთი ჭიქა ღვინის შემდეგ იგრძნო ლუბოჩკას დაბადების დღეს რომ დააძალეს. თავი ოდნავ უბრუოდა და მამაკაცის ძლიერი ხელის შეხება თითქოს კიდეც სიამოვნებდა. მან ვერ შეამჩნია, რომ ლუბოჩკა კედელს მიყრდნობოდა, ცხვირსახოცს აწვალებდა და თვალს არ აშორებდა.

ნადია კვლავ და კვლავ მიდიოდა გრიგოლთან და ღიმილით ეუბნებოდა:

— კიდევ ვიცეკვოთ. მასწავლეთ. მე მინდა, კარგად ვცეკვავდე.

საღამო დამთავრდა.

ქუჩაში რომ გამოვიდა, ნადიას მაშინ გაახსენდა ლუბოჩკა, მაგრამ ვერ იპოვა და შინ მარტო წავიდა.

მეორე დღეს ფერმის გამგემ ნადია კანტორაში გააგზავნა. ოთახში რომ შევიდა, ლუბოჩკას მაგიდასთან მივიდა.

— გამარჯობა, გუშინ სად დაიკარგე?

ლუბოჩკამ ტუჩები მოკუმა და ჩაიბურტყუნა:

— გაგიმარჯოს, ნადეჟდა ფეოდოროვნა.

— რა დაგემართა! — გაუკვირდა ნადიას. — აბა, წამო, ვილაპარაკოთ.

ლუბოჩკა წამოდგა და გაჰყვა დერეფანში.

— რა იყო, რას იბერები? რა მოხდა! — კვლავ ჰკითხა ნადიამ.

— არაფერი. მხოლოდ მე თქვენ მეგობრობას აღარ ვსაჭიროებ. აი რა, — ლუბამ ველარ გაუძლო ოფიციალურ ტონს და აჩურჩულდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, — კარგი მეგობარი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, მშვენივრად იცი, რომ გრიშა მომწონს, შენ კი კისერზე ჩამოეკიდე და აღარ მოსცილდი. უსინდისო ხარ, ნადია, აი რა! მე თვითონ ჩაგაცივდი, რომ წამოსულიყავი, შენ კი...

ნადია თითქოს შეცბა, მაგრამ იმ ძალამ, რომელმაც გუშინ უბიძგა, ყოველგვარი მორიდების გარეშე სულ გრიგოლის გვერდზე ყოფილიყო, გააბედვინა მკვახე პასუხი:

— საინტერესოა, რა ისეთი განსაკუთრებული უფლებები გაქვს გრიგოლზე? იგი შენ მოგწონს, იმას კი შეიძლება არ მოსწონხარ.

— მაშ, ნახვამდის, ნადეჟდა ფეოდოროვნა! — უკვე დამცინავად უთხრა ლუბოჩკამ, — მაგრამ ვნახავთ, ვინ დარჩება მოგებული. მზეთუნახავო! დამიხედეთ, ამანაც ცეკვა რომ მოისურვა, კუბ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო.

ნადიამ არაფერი უპასუხა, მოტრიალდა და წავიდა.

დანიშნულ დღეს საღამოთი გიტარა აიღო და კლუბისაკენ გასწია.

ნადიას გარდა, მეცადინეობაზე მოვიდნენ ბაიანზე დამკვრელი სენია — ქერა, ნაყვავილარი ჭაბუკი. მაღალი, გამხდარი მეჯინიბე, არტემი, იღლიაში ამოჩრილი ბალალაიკით და... ლუბოჩკა — გიტარით ხელში.

ნადიამ გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

ლუბოჩკამ ცერად შეხედა მას და პაჭუა ცხვირი აბზიკა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „რითი ვარ თქვენზე ნაკლები!“

გრიგოლმა მოამზადა სკოლიდან წამოღებული დაფა და ცარცი. სერიოზული გამომეტყველებით დახედა საათს,

თმაზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და თქვა:

— დასხედით, ჯერ ნოტების წაკითხვის შესწავლას შევუდგეთ, შემდეგ დავუკრათ. ყურადღება, ამხანაგებო. მაშ ასე... უყურეთ... — მან დაფაზე ხუთი პარალელური ხაზი გაავლო და თავში რაღაც ლამაზი ნიშანი მიუხატა, — ყოველ ხაზს სანოტო ხაზი ეწოდება.

ნადია სულგანაბული უსმენდა. სკოლაში გაკვეთილის დროს იგი არანაკლები ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს, მაგრამ ასე საინტერესო მეცადინეობა მას ჯერ არ ახსოვდა. გრიგოლის ახსნილში იყო რაღაც ჯადოსნური. იგი არასოდეს არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ყოველი ბგერა შეიძლება გამოისახოს ქაღალდზე და გაიხსახულების წაკითხვისას შეიძლება მისი აჟღერება გიტარაზე, ბალალაიკაზე, ბაიანზე. ვინ იყო ის გენიალური ადამიანი, რომელმაც ნოტები გამოიგონა? მისთვის რა თქმა უნდა, დიდი ხანია ნაცნობი იყო სიტყვა „ნოტები", მან ბავშვობიდანვე იცოდა, რომ მუსიკოსები ნოტებით უკრავენ, მაგრამ ქალაქს მოწყვეტილ მათ გადაკარგულ სოფელში არავინ იყო ისეთი, ვისაც შეეძლო ნოტების წაკითხვა. და აი, როგორც იქნა ასეთი კაციც მოვიდა.

ნადია თვალს არ აშორებდა გრიგოლს და უეცრად შეამჩნია თავისთავს, რომ ათვალიერებდა მის მსუქან, წითელ ტუჩებს და ფიქრობდა, თუ რა სასიამოვნო იქნებოდა თავისი ტუჩებით შეხებოდა მათ. იგი აინთო და თავი დახარა, შეეშინდა, რომ მის სახეზე ვინმეს არ ამოეკითხა ნაფიქრალი.

„ეს რა მომდის?" — ფიქრობდა ნადია და სირცხვილით იწვოდა.

მეცადინეობა დამთავრდა. ნადიამ ხელი დაავლო გიტარას, შინ გაიქცა, დაემხო საწოლზე და თავი ბალიშში ჩარგო.

ერთხელ, თავმჯდომარის დავალებით, ბაიანზე დამკვრელი სენია ბოგდანოვკაში წავიდა. კლუბში მარტო გრიგოლი დახვდა ნადიას.

— რაღაც ვერ აეწყო ჩვენი საქმე — გაიცინა მან. — იქნებ, გადავდოთ მეცადინეობა, ა? მოდი გავისეირნოთ?

ნადიამ თავი დაუქნია.

— ოღონდ გიტარას წავიღებ შინ, კარგი?

— კარგი, — მიუგო გრიგოლმა, — შენ სად ცხოვრობ?

— აი, იქ, სულ ბოლოში.

ნადიამ გიტარა შინ წაიღო და მთელი საღამო გრიგოლთან ერთად სოფელში დასეირნობდა. შემდეგ გრიგოლმა სახლამდე მიაცილა.

მეორეჯერ არც კი უკითხავს, ისე გააცილა ნადია მეცადინეობის შემდეგ. მალე ორივე შეეჩვია ამას.

— თქვენი სოფელიც რუსულია, მაგრამ ჩვენი სხვანაირია, — უთხრა ერთხელ გრიგოლმა.

— ჩვენთან ხომ დუხობორები ცხოვრობენ. მოხუცები ამბობენ, დუხობორები აქ ასიოდე წლის წინათ გადმოასახლეს მელიტოპოლის მაზრიდანო. თქვენ თვითონ საიდან ხართ, გრიშა?

გრიგოლი მოუყვა თავის ამბავს. იგი კახეთში დაიბადა და გაიზარდა, — იქაც ხომ არის რუსული სოფლები, მსახურობდა არმიაში, შემდეგ დაამთავრა სოფლის კლუბების გამგეთა კურსები და კულტურის სამინისტრომ ბოგდანოვკის რაიონში გამოაგზავნა. შინ დედა, მამა და და ჰყავს. იგი უცოლოა და არც ეჩქარება ცოლის შერთვა — ჯერ ახალგაზრდობით უნდა დატკბეს, დრო გაატაროს, წელი მოიმაგროს, ფეხზე დადგეს.

— აი, მოვედით კიდეც, — შეჩერდა ნადია. — იქნებ, შემოსულიყავით?

— ერთი წუთით შემოვალ. წყალს ხომ არ დამალევინებ!

ნადიამ გააღო კარი, აანთო ლამპა და გრიგოლი ოთახში შემოუშვა. შემდეგ ციცი ჭის წყალი შემოუტანა.

— შესანიშნავია — ნეტარებით წარმოთქვა გრიგოლმა და ნადიას კათხა

დაუბრუნა — რა კარგი სანახაობა იშლება აქედან!

ნადიას გაეღიმა, მას უცბათ ძალზე ესიამოვნა გრიგოლის გვერდით ყოფნა. გრიგოლი პირველი იყო, ვინაც ხმამაღლა წარმოთქვა ის, რაც მას ყოველთვის აღელვებდა.

— ძალიან მიყვარს ყველაფერი ლამაზი. აი, აქ ფანჯარასთან, საათობით შეიძლება ჯდომა, — იგი მიუახლოვდა ვაჟს და ხელი ველისაკენ გაიშვირა. — ჩვენი ზეგანი ყოველთვის სხვადასხვანაირია, ადამიანივით სუნთქავს და მღერის. მაგრამ ყველას არ ძალუძს ამის გაგება. მთებიც ადამიანებივით არიან. ავდარში ერთმანეთს ვერ ხედავენ და ამიტომ მოქურუშებულნი და შუბლშეკრულნი დგანან. უღრუბლო ამინდში კი მხიარულნი არიან. დგანან თავისთვის და თავი მაღლა აუწევიათ. დედაჩემს უყვარდა მთები. მას მხოლოდ არ შეუძლია გამოეჭღავნებინა ეს სიყვარული, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ტკბებოდა მათი სილამაზით. სიმღერაც კარგი იცოდა!

ნადია ჩაფიქრდა. მისი მაღალი მკერდი თანაბრად და ძალუმად სუნთქავდა. უცბად კაბის ზედა ღილი გაეხსნა. გრიგოლმა თვალი მოჰკრა ნაზ, თეთრ კანს. რაღაცის ლაპარაკი წამოიწყო და უცბად აზრი გაუწყდა. რატომ დაპატიჟა შინ? გრიგოლს გაგონილი ჰქონდა, რომ დუხობორები არც ეკლესიაში დადიან და არც მმაჩში აწერენ ხელს. ყოველგვარი ფორმალობის გარეშე უახლოვდებიან ერთმანეთს და ერთად ცხოვრობენ. თუ იჩხუბებენ, გაეყრებიან ერთმანეთს და ეს არავის ეჩვენება უცნაურად.

გრიგოლმა თითქოსდა უნებურად, ხელი დაადო ნადიას მხარზე და იგრძნო, როგორ შეკრთა ქალიშვილი, მაგრამ, როცა დაბპირა ხელი წელისაკენ წაეღო, ნადია შემოტრიალდა, ხელები კისერზე მოხვია, დახუჭა თვალები და მოკუმული პირით უგერგილოდ მიეკრო მის ტუჩებს.

— ჩემო გრიშენკა, — ჩაილაპარაკა მან და ისე მაგრად მოხვია ხელები, რომ ვაჟს კისერი ეტკინა — გიყვარვარ? ხომ გიყვარვარ? თქვი, რომ გიყვარვარ.

გრიგოლი არაფერს უპასუხებდა. იგი ეხვეოდა ნადიას და შეუმჩნევლად საწოლისკენ ეწეოდა. ქალიშვილი უცბად ხელიდან გაუსხლტა და განზე გახტა.

— რას სჩადიხარ? — შიშით და გაოცებით იკითხა მან, თან ცდილობდა ვაჟის მიერ გახსნილი ღილები შეეკრა. — რა დაგემართა?

— ნადია?!

გრიგოლი მივარდა მას.

— არ მომეკარო! — თქვა ნადიამ, — თორემ...

გრიგოლი მძიმედ სუნთქავდა. იგი მივიდა კართან, ფართოდ გააღო და გავიდა.

— გრიშენკა! — წამოიძახა ნადიამ და კარებისაკენ გაიქცა, მაგრამ ვაჟი არ დაბრუნებულა.

მეორე დღეს იგი მივიდა ნადიასთან და თავდახრილმა პატიება სთხოვა.

დღეს იგი უფრო წინდახედული იყო. ნადიამ კოცნის ნება დართო ისევე, როგორც გუშინ. მაგრამ, როგორც კი გრიგოლმა გუშინდელი დააპირა, ბრაზმორეულმა ნადიამ თავისუფლად დააღწია მის მკლავებს თავი.

„რა ჯანიანია“, — გულმოსულმა გაიფიქრა გრიგოლმა, საათს დახედა და წამოდგა.

— მიდიხარ. გრიშა? — გააჩერა ნადიამ, — როდის მოხვალ? ხვალ ფერმაში ვიქნები. ზეგ მოხვალ?

— მოვალ.

ნადია ისე მაგრად მოეხვია გრიგოლს, რომ ვაჟს სუნთქვა შეეკრა. მერე კარი გააღო და ხელი წაკრა. გრიგოლი შეჩერდა წინკარში, გაიგონა, როგორ გაიჩხაკუნა ურდულმა და კიბეზე დაეშვა.

„დამახვევს თავბრუს და მერე უკვე გვიან იქნება, — გაიფიქრა გრიგოლმა — დღეს თავიდან მომიშორა, ხვალ კი თვითონ არ გამიშვებს. როგორ თრთოდა, როცა ვეხვეოდი. არა, ჯობია ფრთხილად ვიყო. მერე რა, რომ რაღაცეებს ლაპარაკობენ დუხობორებზე.

სოფელი უცნობია, მე აქ უცხო ვარ, ფეხს აღარ მივდგამ მასთან!"

ნადია მთელი საღამო ელოდა გრიგოლს, მაგრამ იგი არ გამოჩენილა.

ლოდინით მოღლილი ნადია ტახტზე მიწვა და ჩაეძინა. გათენებისას გაიღვიძა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და დიდხანს უყურებდა, როგორ უჩუმრად დნებოდა ღამეული ჩრდილები ველზე, როცა უკანასკნელი ვარსკვლავები ჩაქრა და მომწვანო ცა აღმოსავლეთით ნაზ ვარდისფრად შეფერადდა, იგი ფერმაში წავიდა.

გრიგოლი არ გამოჩენილა არც მეორე, არც მესამე დღეს.

ოთხშაბათ საღამოს კლუბში მორიგი მეცადინეობა უნდა ჩატარებულიყო, ნადიას ეგონა, ეს დღე არასოდეს დაილეოდა. შვიდ საათზე დეიდა მანიამ, რომელმაც თავისი ბებრული თვალებით ქალიშვილის სახეზე მოუთმენლობა ამოიკითხა, გაათავისუფლა იგი.

კლუბში ბნელოდა, კარი გამოკეტილი დახვდა. დაბნეული ნადია ჯერ შესასვლელთან დაყოვნდა, შემდეგ აქეთ-იქით დაიწყო ქუჩაში სიარული. იქნებ, გაჯავრებულია ჩემზე, ან, იქნება, ჩემი გამოცდა უნდა? თუმცა, ვაი თუ ავად გახდა? ჰო, ჰო, უეჭველად ავადაა. აქ მას არავინ ჰყავს, მიხედვაა საჭირო, ექიმის გამოძახება ბოგდანოვკიდან...

ნადია გრიგოლის სახლისაკენ წავიდა. როცა დარაბაზე დააკაკუნა, ფანჯარაში დიასახლისი გამოჩნდა.

— მართა, გრიგოლი რას აკეთებს?

დიასახლისმა კისერი წაიგრძელა და ქალიშვილს გამოხედა.

— ნადეჟდა, შენა? რისთვის მოსულხარ?

— გრიგოლი მჭირდება, კლუბის გამგე.

— გრიგოლი შინ არაა, დროს ატარებს, ალბათ, სადღაც. შემოდი.

— არა, წავალ, საჩქარო არაფერია, — ძლივს გასაგონად წაილუღლუღა ქალიშვილმა.

— ეცადე, კლუბში ნახო, თორემ მთელი საღამოები გვიანობამდე სადღაც დაწანწალებს, შინ მამლის ყივილზე ბრუნდება ხოლმე.

— გოგონებში დადის, ალბათ, — ძალადევი სიცილით თქვა ნადიამ. უეცრად თავში გაუელვა, — „გრიგოლი ნამდვილად ლუბოჩკასთანაა".

— ყმაწვილკაცების ამბავი ხომ იცი, შინ რა გააჩერებს. გადავცე რამე?

— აოაფერი.

ნადია ხელა მიდიოდა შუა ქუჩაში. ძლივს იკავებდა ხელში ძალზე დამძიმებულ ვიტარას.

ბაფბულის მიწურულში გაყუჩებული და მწყრალი დადიოდა ნადია. თითქმის არავის ელაპარაკებოდა. თუ ჰკითხავდნენ რამეს — უპასუხებდა, თითონ კი პირველი არ წამოიწყებდა ლაპარაკს.

—შენ რა, ავად ხომ არა ხარ? რამ დაგაღონა? — შეეკითხა დეიდა მანია.

— არა მიშავს — უპასუხა ნადიამ. — ოღონდ რაღაც მოწყენილობა შემომეჩვია.

კლუბს ყოველთვის გვერდს უვლიდა, მაგრამ საღამოობით, თავის სახლთან როგორც კი ნაბიჯების ხმას გაიგონებდა, კვლავინდებურად შეკრთებოდა ხოლმე.

შაბათს ნადია სხვა კოლმეურნეებთან ერთად მინდორში წავიდა თივის მოსაგროვებლად. კვირა საღამოს შინ რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ მისი სახლის კიბეზე ვიღაც მოკუნტულიყო და უცდიდა.

ნადია ჭიშკარში გაჩერდა და გულზე ხელი მიიდო.

— ვინ არის? — ყრუდ იკითხა მან.

— მე ვარ ნადენკა, ლუბა, — მოისმა ხმადაბალი პასუხი.

ნადიამ ლუბას გვერდზე ჩაუარა, — ოთახში შუქი აანთო, მერე მოტრიალდა და ჰკითხა:

— რაზედ გარჯილხარ!

— ნუ მიჯავრდები ნადია. მე...

— რა, მიგატოვა? — დაცინვით ჰკითხა ნადიამ.

—ვინ მიმატოვა? — ლუბა მიუახლოვდა, ცისფერ თვალებში გულწრფე-

ლი გაკვირვება ემჩნეოდა, — რას ამბობ?

— რას თვალთმაქცობ? გრიგოლზე გელაპარაკები.

ლუბოჩკამ ამოიოხრა.

— ერთი შენც, რაში ვჭირდები. ის განათლებულებს ეძებს. მასწავლებელ ვალკა საპრიკინასთან არის დღე და ღამე.

— არა სტყუი? — შეეკითხა ნადია.

— დედას გეფიცები. განა შენ არ გაგიგია? მთელმა სოფელმა იცის, რომ იგი ვალკასთან დადის.

— შემოდი, დაჯექი, — ნადიამ ტუჩზე იკბინა, გავიდა, ხელ-პირი დაიბანა, შემდეგ შემობრუნდა და სუფრის გაშლა დაიწყო, — ხომ არ ივახშმებ ჩემთან ერთად?

— ჰოო! — ამოიოხრა ლუბოჩკამ.

ნადიამ ბორშჩი გააცხელა, თუჯის ქვაბი მაგიდაზე დადგა და ლუბას პირდაპირ დაჯდა.

— გრიშამ ვალკასთან ერთად დრამწრე ჩამოაყალიბა. მეც მინდოდა მონაწილეობა მიმეღო, — დაიწყო მოყოლა ლუბოჩკამ, — მან კი მითხრა, ნიჭი არა ვაქვსო. სცენაზე ხესავით დგახარო. საპრიკინას ხომ მოჭარბებული აქვს, თხასავით დახტის სცენაზე და კივის.

ნადია დაფიქრდა, გაიხსენა ახალგაზრდა ქვრივი საპრიკინა, რუსული ლიტერატურის მასწავლებელი. შეუხედავი, ტანდაბალი, გამხდარი, შავტუხა, ენამწარე. ერთხელ ნადია მასთან სახლში იყო. თარო და კარადაწიგნებით ჰქონდა გამოტენილი. რასაკვირველია, გრიშას ვალკასთან ყოფნა უფრო ეპიტნავება, ვიდრე ლუბოჩკასთან ან მასთან. მაგრამ ნადია ვალკასავით განათლებული რომ ყოფილიყო, საკითხავი იქნებოდა, ვინ აჯობებდა. არც ნადიაა ლამაზი, მაგრამ ინსტიტუტი რომ დაემთავრებინა, მას ეცოდინებოდა ყველაფერი ის, რაც იცის ვალიამ, ვალიას კი ვერავითარი უმაღლესი ვერ შესძენს უნარს, მოისმინოს როგორ გალობენ ტროლები ცაში, როგორ სუნთქავს ველი, როგორ რაკრაკებენ თოვლქვეშ გაზაფხულის ნაკადულები.

ნავახშმევს მეგობრები დაშორდნენ. ლუბოჩკა კიდევ ამბობდა რაღაცას, მაგრამ ნადია აღარ უსმენდა.

— უმჯობესი იქნებოდა, შენთან ყოფილიყო და არა მასთან, — წაიდუდუნა ლუბოჩკამ, თავი ნადიას მხარზე დადო და ჩაეძინა.

ნადიას არ ეძინა. სოფელს ავტომანქანა უახლოვდებოდა — ჭერზე შუქის მკრთალმა ანარეკლმა გაიელვა.

მანქანამ ხმაურით ჩაიქროლა და ოთახი ერთი წამით განათდა. ძრავას ხმაური უკვე ყრუდ ისმოდა და უეცრად მოწყდა. —სატვირთო მანქანა კანტორის წინ გაჩერდა. „ხომ არ წავსულიყავი სასწავლებლად“, — გაიფიქრა რულმოკიდებულმა ნადიამ.

ეს ფიქრი აღარ ტოვებდა ნადიას — მხოლოდ ამაში ხედავდა იგი ვალიასაგან გრიგოლის გამოხსნის საშუალებას.

რამდენიმე დღის შემდეგ ნადია კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მივიდა.

— ივანიჩ, ახლა თქვენა ხართ ჩემი მამაც და დედაც... გამიშვი სასწავლებლად, — თხოვა მან.

— სასწავლებლად? — ეს კარგი საქმეა, საით აპირებ?

— თბილისში. კონსერვატორიაში.

— სადა? — შეეკითხა გაკვირვებული თავმჯდომარე.

— კონსერვატორიაში.

— მომისმინე, — სერიოზულად უთხრა ივანიჩმა, — მე მამაშენს ახლოს ვიცნობდი, ლომივით იბრძოდა ფრონტზე... თავი შესწირა ამ მიწა-წყალს... შენც პატივს გცემ, ცუდს არაფერს გირჩევ. კარგი მწველავი ხარ, შენი საქმე მშვენივრად იცი. ეს კი სულელური აზრი აგიკვიატებია, ვინ მიგიღებს კონსერვატორიაში. შენც ერთი დიდი მომღერალი გამომიხვედი, რაღა.

— სიმღერა რაში მეკითხება, — წყენით უთხრა ნადიამ.

— სულერთია, არ მიგიღებენ. მხოლოდ რვა კლასი გაქვს დამთავრებული,

უმაღლესში მიღებისათვის სრული საშუალო სკოლის ატესტატია საჭირო. წახვალ და ჩემს ლუბკასავით მობრუნდები უკან.

— შენ გამიშვი ივანიჩ, მერე ვნახოთ. — თავისას იმეორებდა ნადია დაჟინებით.

— მოიცადე ცოტა ხანს, რჩევას ვთხოვ ვისმე, სერგეის შევეკითხები...

— რა საჭიროა შეკითხვა, შენა ხარ ჩვენი თავკაცი. სერგეი, რასაკვირველია, არ მოისურვებს ჩემს გაშვებას. ხოლო, თუ გაჯიუტდა, კომკავშირის რაიკომს მივმართავ, უფლება არა გაქვთ, საშუალება არ მისცეთ, თუკი ადამიანს სწავლა სწყურია.

— რაიკომით ნუ მაშინებ, საკმაოდ შეგნებული ვარ თვითონაც, — გაჯავრდა ივანიჩი.

— მაშ, რას იტყვი, მოვემზადო გასამგზავრებლად?

— კარგი, კარგი — ხელების ქნევით თქვა გულმოსულმა ივანიჩმა, — ვიცი მამაშენის ჯილაგის ჯიუტი ხასიათი.

ორიოდე დღის შემდეგ ნადიამ ძველი, ჯერ კიდევ დედისეული ჩემოდანი ჩაალაგა, კარ-ფანჯრები ფიცრებით აჭედა, თავისი ქათმები ლუბოჩკას მიჰგვარა, გამოეთხოვა მას, დეიდა მანიას, ივანიჩს და თითქმის ყველას, გრიგოლის გარდა. მისთვის გადასაცემად ლუბოჩკას ბარათი მისცა.

„გრიგოლ, კონსერვატორიაში სასწავლებლად მივდივარ. რადგან შენ განათლებული გინდა, გავხდები განათლებული, მაგრამ იცოდე, მიყვარხარ და მივაღწევ კიდეც ჩემს მიზანს. გკოცნი მრავალჯერ. ნადია“.

ნადიამ საბარგო განყოფილებაში ჩაბარა ჩემოდანი და ქალაქის მოედანზე გაჩერდა. ხალხის ჩოჩქოლმა, ყოველი მხრიდან მოზღვავებულმა მანქანებმა, ავტობუსებმა, ტროლეიბუსებმა, ხმაურიანმა ტრამვაიმ ოდნავ თავბრუ დაახვია ნადიას.

შორს, ქალაქის თავზე, ლურჯად მოჩანდა კუზიანი მთა, რომელიც კამეჩის ქედს წააგავდა. მთაზე კი თეთრი სახლი, მის გვერდით ზეცისკენ ატყორცნილი ვერცხლისფერი მახათი. „ფუნიკულორი და სატელევიზიო ანძა“, — გაახსენდა ნადიას ჯაფარიძის სიტყვები.

დაინახა, სად სხდებიან ტროლეიბუსში და მოედანი გადაჭრა. გზაში კინაღამ მანქანის ქვეშ მოჰყვა. თავს პირობა მისცა, უფრო წინდახედული ყოფილიყო.

ტროლეიბუსის ნომერი იცოდა.

კონსერვატორია ხომ არ გავიარეთ? — ხმამაღლა იკითხა ნადიამ.

— ჯერ არა. — უპასუხა რამდენიმე ხმამ.

— მე გეტყვი, როდის უნდა ჩახვიდეთ.

— კონსერვატორია ოპერის პირდაპირაა.

— გადლობთ, — ყველას ერთად გადაუხადა მადლობა ნადიამ და განაგრძო ფანჯარაში ცქერა. ქალაქი მოსწონდა: ლამაზი სახლებია, ლამაზი ქუჩებიც და ხალხიც ლამაზია.

ტროლეიბუსი ხიდზე გადიოდა, გამოჩნდა სანაპირო. მდინარის წყალზე თვალისმომჭრელად ელვარებდა ამომავალის მზის სხივები.

ნადიას გამჭრიახი თვალი ყველაფერს ამჩნევდა. კვარცხლბეკზე ბრინჯაოს გამოსახულება შენიშნა, რუსთაველი იცნო, გაეხარდა.

უცებ რამდენიმემ ერთად გააფრთხილა, რომ მისი ჩასვლის დრო იყო.

ტროტუარის კიდესთან მდგარი ნადია აღტაცებით შეჰყურებდა ოპერის თეატრს. მას თანდათან ემატებოდა გამბედაობა. იკითხა, როგორ უნდა მისულიყო კონსერვატორიამდე და აიარა აღმართი, რომელმაც დიდ სახლთან მიიყვანა. კედლებზე რამდენიმე აფიშა ეკიდა.

ნადია სადარბაზოში შევიდა, კიბე აიარა, დერეფნისაკენ გაუხვია და ხის მოაჯირთან შეჩერდა გაუბედავად. მოაჯირს იქით სათვალიანი მოხუცი ქალი იჯდა და ტელეფონით ლაპარაკობდა. მან მიაფარა ხელი მილაკს და ნადიას ჰკითხა:

— ვინ გნებავთ?

— მე ბოგდანოვკის რაიონიდან ვარ. — დაიწყო ქალიშვილმა.

— მოითმინეთ, ახლავე...

ქალმა მილაკი მაგიდაზე დადო, ვიღაცის დასაძახებლად წავიდა.

დერეფნის სიღრმეში თეთრი მარმარილოს კიბე მოჩანდა. ნადიამ მიიხედ-მოიხედა, ქალი არ ჩანდა. „რად, უნდა ვუცადო, — იგი, ალბათ, დარაჯია, ჩვენი კოლმეურნეობის კანტორის დარაჯივით. — გაიფიქრა ქალიშვილმა.

ნადია გავიდა მოაჯირს იქით, აირბინა კიბე და მეორე სართულზე შეჩერდა. ქვემოთ ვიღაცის ფეხის ხმა ისმოდა. იგი დერეფანს გაჰყვა და მარცხნივ გაუხვია: ორსავე მხარეს ტყავაკრული კარებები იყო. სუსტად მოისმოდა მუსიკის ხმა.

ნადია ნელა მიჰყვებოდა დერეფანს, ყოველ კართან ჩერდებოდა და უსმენდა. უეცრად მას სუნთქვა შეეკრა. კარი ოდნავ ღია იყო, მას მოესმა ნაცნობი წკრიალა მელოდია. ვიღაც იმ საკრავზე უკრავდა, რომლის ხმამ ასე გააოცა იგი რადიოს მოსმენისას.

ნადიამ კარი შეაღო და შევიდა. პატარა ოთახში დიდი, შავი როიალი იდგა, მის გვერდით კედელზე სარკე ეკიდა, მისკენ ზურგით ქერა გოგონა იჯდა სკამზე და გასაოცარი სილამაზის, ოქროსფრად აელვარებულ, ჩუქურთმებით შემკულ საკრავზე უკრავდა, რომელიც სხვადასხვა ფერისა და სიდიდის სიმებით გაწყობილ დიდ სამკუთხედს წააგავდა. გოგონას გვერდით ხნიერი, შავთვალა, მკაცრი სახის ქალი ეჯდა, იგი კარის გაღებაზე შემოტრიალდა და წარბები მრისხანედ შეიკრა.

— რა გინდა აქ? გადი ახლავე!

ნადია არ განძრეულა, თითქოს არც კი გაუგონიაო ნათქვამი. მან მხოლოდ ხელი გაიშვირა უცნაური საკრავისაკენ და იკითხა:

— რა ჰქვია ამას!

ქერათმიანმა გოგონამ დაკვრა შეწყვიტა.

— რას გავს ეს! — აღშფოთდა მოხუცი ქალი, ადგა და ნადიასაკენ გაემართა. მოძრაობა მკვეთრი ჰქონდა, თვალები მკაცრი. მაგრამ, როგორც კი შეათვალიერა ჩითისკაბიანი, თავსაფრიანი, ჯანსაღი, მზემოკიდებული ქალიშვილი, და მის ხელში გიტარას მოჰკრა თვალი, უცებ მოლბა. რისხვა ცნობისმოყვარეობამ შეცვალა.

მოხუცმა ნადიას ნიკაპში მოჰკიდა ხელი. მუქ, წყლიან თვალებში ჩახედა და უკვე მშვიდად ჰკითხა:

— როგორ მოხვდი აქ, გოგონა, საიდან?

— დარაჯი ვიღაცის დასაძახებლად წავიდა, ტელეფონზე უხმობდნენ. მე ვისარგებლე შემთხვევით და შემოვედი. ნადეჟდა ვეტროვა ვარ, ბოგდანოვკიდან. თუ შეიძლება მითხარით, ამას რა ჰქვია?

— ეს ქნარია.

— ქნარი... — გაიმეორა ნადიამ და თითქოს ეალერსებაო, სიმებს ხელი გადაუსვა. თავი დახარა და მიუგდო ყური ხმას, რომელსაც საკრავი გამოსცემდა— თქვენ რომ უკრავდით, მას რაღა ჰქვია, — შეეკითხა ახლა ქალიშვილს.

ქალიშვილმა გახედა მოხუცს და უპასუხა:

— ჩაიკოვსკის „ბარკაროლა".

— მე ვცადე გიტარაზე ამეწყო ეს.

— ნუნუ, შეგიძლია წახვიდე, — თქვა მოხუცმა — კარგად უკრავდი დღეს. შენ კი, გოგონა, რისთვის მოსულხარ აქ?

— მინდა ქნარზე დაკვრა ვისწავლო, — სერიოზული კილოთი უპასუხა ნადიამ.

მოხუცს გაეღიმა.

— რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტის.

— ქნარზე დაკვრა კარგად რომ ისწავლო, ექვსი წლიდან უნდა დაიწყო.

ნადიამ ეჭვით შეხედა მოხუცს.

— ერთი, ხელი მიჩვენე, — უცბად უთხრა მოხუცმა — დახედა ხელისგულზე, მოსინჯა თითები და ჩაილაპარაკა:

— ძლიერი ხელი გაქვს.

— წადი, ნუნუ ჩვენ ცოტას ვიმუსაიფებთ — უთხრა მოხუცმა ქერათმიან გოგონას, რომელიც ცნობისმოყვარეობითა და ღიმილით შესცქეროდა ნადიას.

როდესაც გოგონა გავიდა, მოხუცმა მკაცრად ჰკითხა ნადიას:

— აბა, მითხარი რატომ მაინცდამაინც ქნარზე დააპირე დაკვრის სწავლა?

ნადიამ უამბო თავისი ამბავი, უამბო, როგორ მოისმინა რადიოთი საოცარი მელოდია, როგორ უკრავდა მას გიტარაზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი უამბო იმ წუთამდე, როცა დერეფანში ქნარის ხმას მოჰკრა ყური.

მოხუცმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს არ აშორებდა გოგონას, პაპიროსს მოუკიდა და სავარძელში ჩაჯდა.

—ვინა ხარ შენ?—თვალების მოჭუტვით იკითხა მოხუცმა — რას აკეთებ იქ, თქვენთან, კოლმეურნეობაში.

— მწველავი ვარ.

— ჰოო, მწველავი... მწველავი... დაჯექი, დაუკარი რაც იცი, — უბრძანა მოხუცმა.

ნადიამ ზონარი გახსნა, გამოაძრო გიტარა მუშამბიდან, დაჯდა სკამზე და ბარკაროლას დაკვრას შეუდგა. მალე ნადიამ მელოდია აურია.

—მეტი აღარ მახსოვს, — თქვა მან და რაღაც ვალსი წამოიწყო.

მოხუცი შეიშმუშნა:

— არ არის საჭირო! რამე სხვა დაუკარი.

ნადიამ კიდევ ერთი მელოდია გაიხსენა.

— მოცარტი! — წაიბურტყუნა მოხუცმა. — ამასაც რადიოთი ისმენდი?

— დიახ!

მოხუცი დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული.

— სად დაბინავდი? — ჰკითხა მან ნადიას ცოტა ხნის შემდეგ.

— ჯერჯერობით, არსად. სადგურიდან პირდაპირ აქ მოვედი.

— მოკიდე ხელი შენს გიტარას და ჩემთან წამოდი. ბარგი გაქვს?

— კი. ბარგის შესანახ კამერაში მაქვს მიბარებული.

— კარგი, წამო.

მოხუცმა დიდი შავი ქუდი დაიხურა, როიალიდან საფულე აიღო, ნადიას თავის დაქნევით ანიშნა, — წამომყევიო, და დერეფანში გავიდა.

— ნინოს მეძახიან. ჩემი გვარია ნუცუბიძე, — თქვა მან.

— მასწავლებელი ბრძანდებით? — ჰკითხა ნადიამ.

— მე პროფესორი ვარ, გოგონა.

კონსერვატორიიდან რომ გამოვიდნენ, ნუცუბიძე ქუჩის კუთხეში გაჩერდა და ხელი დაუქნია მიმავალ მანქანას.

— ჩაჯექი, — უბრძანა მან ქალიშვილს, მაგრამ თვითონ პირველი ჩაჯდა. როდესაც ნადია გვერდზე მიუჯდა, მძღოლს უთხრა: სადგურში წაგვიყვანე, გეთაყვა.

გზაში იგი შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდა ნადიას. ისე რომ, როცა ჩემოდანის გამოტანის შემდეგ იმ სახლთან მივიდნენ, სადაც ნუცუბიძე ცხოვრობდა, ნადიას ყველაფერი ჰქონდა უკვე ნაამბობი თავის თავზე.

ნუცუბიძე ძველ, ლამაზ სახლში ცხოვრობდა, მეორე სართულზე. მან კარი გააღო და პირველი შევიდა შინ.

— მარტო ცხოვრობთ? — ჰკითხა ნადიამ.

—მარტო. ჩემი ქალიშვილი მომღერალია. ლენინგრადში ცხოვრობს.

ნასადილევს ნინო როიალს მიუჯდა და უთხრა ნადიას:

— იმღერე.

— მე... — დაიბნა ნადია.

— იმღერე. აი ეს ნოტი, — მოხუცმა კლავიშს დააჭირა თითი.

— ახლა ეს. ასე. კიდევ... აბა, ერთი მიბრუნდი.

მან რომელიღაც კლავიშს დააჭირა თითი და ნადიას უთხრა:

— აბა, იპოვნე.

ნადიამ როიალის კლავიატურაზე გაატარა ხელი და თითი ერთ-ერთ კლავიშზე შეაჩერა.

— ეს.

— კარგი. კიდევ.

ნადია უშეცდომოდ პოულობდა ყველა კლავიშს, რომლის მოძებნასაც თხოვდა ნუცუბიძე.

— ისევ მიბრუნდი. ახლა აი, ეს მიჩვენე. ყურადღებით უსმინე.

ნადიამ გაარჩია განსხვავება ბგერაში, რამდენიმე კლავიში მოსინჯა და შავს დააჭირა თითი. აქამდე ყველა კლავიში, რომლის მოძებნაც მას უხდებოდა, თეთრი იყო.

— კმარა. — ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა ნუცუბიძემ. — ერთი, ჩანთა მომაწოდე.

მან ჩანთიდან ფანქარი ამოიღო და როიალის სახურავზე დააკაკუნა.

— გაიგონე? აიღე ფანქარი და გაიმეორე.

ყოველივე ეს ბავშვურ თამაშს წააგავდა. ნადიას გაეღიმა. მოხუცი სმენად იქცა. როდესაც მან გაიმეორა სხვადასხვა რიტმი, ნუცუბიძემ ჰკითხა:

— არ მატყუებ? იქნებ ვინმე გამეცადინებდა!

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სიმართლეს ვამბობ.

— თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. — წაიდუდუნა მოხუცმა, პაპიროსი გააბოლა და მთლიანად კვამლში გაეხვია. იგი დიდხანს დუმდა ჩაფიქრებული.

ნადია როიალთან იდგა და ელოდებოდა, როდის დაელაპარაკებოდა ნუცუბიძე.

— დაჯექი, — უცებ მოესმა ქალიშვილს ცივი ხმა, — აი აქ, ჩემს პირდაპირ.

ნადია სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— ყურადღებით მისმინე. შენ აბსოლუტური სმენის პატრონი ხარ. იცი, გოგონა, რას ნიშნავს აბსოლუტური სმენა? ბუნებამ დაგაჯილდოვა ყველაზე სრულყოფილი აპარატით, რომელიც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. მაგრამ, საუბედუროდ დაგაგვიანდა. შენთვის რომ ბავშვობიდანვე ესწავლებინათ მუსიკა, შენგან დადგებოდა მექნარეც, პიანისტიც, მევიოლინეც... ახლა კი გვიანაა. გაიგე?

— ძალიან რომ ვეცადო?

— ხელი უკვე ძალზე გამაგრებული გაქვს, ბევრი წვალება მოგიწევს. არა, არა, ეს შეუძლებელია. ისტორიას არ ახსოვს ასეთი შემთხვევა. ოექვსმეტი წლის ასაკში ქნარზე დაკვრის სწავლა წარმოუდგენელია.

— შრომა არ მაშინებს. დილიდან საღამომდე ვიმეცადინებ, — დაჟინებით თქვა ნადიამ.

— ვერც კი წარმოიდგენ, რა სატანჯველი მოგელის. მოგიწევს მეცადინეობა არანაკლებ ოთხი წლისა და თუ ამის შემდეგ მოხვდები კონსერვატორიაში, კიდევ ხუთი წელიწადი უნდა იმეცადინო. სულ ცხრა წელიწადი გამოდის.

—იყოს ცხრა, — ჯიუტობდა ნადია. მასში უცებ მამამისის შეუპოვარმა ხასიათმა გაიღვიძა. „უთუოდ მაშინებს მოხუცი, მცდის. სურს დარწმუნდეს, რომ ფარ-ხმალს არ დავყრი, არ მივანებებ თავს სწავლას“.

— ესე იგი, შენსას არ იშლი? მაინც გინდა მექნარე გამოხვიდე? — ხელახლა იკითხა ნუცუბიძემ, — გასაოცარი სიჯიუტეა.

იგი წამოდგა და ოდნავი კოჭლობით ოთახში იწყო სიარული. ქალიშვილი აქეთ-იქით ატრიალებდა თავს და თვალს აყოლებდა მოხუცს.

— საცინლად ამიგდებენ, — თავისთვის ლაპარაკობდა ნუცუბიძე, — იტყვიან, ჭკუაზე შეიშალაო. თუმცა, ვინ გაიგებს, რომ მე... შემდეგ ვეღარ გაუძლებს და გაიქცევა. მაშინ კი მე თვითონ ვიცინებ გამოჩერჩეტებულ მოხუცზე, შეუძლებელი რომ დაიჯერა.

ნუცუბიძე ნადიას წინ შეჩერდა, ისევე, როგორც დილით კონსერვატორიაში, ხელი ნიკაპში ამოსდო და თვალებში ჩახედა.

— იცი, გოგონა, რა არის მუსიკა? იცი, რას ნიშნავს ქნარზე დაკვრის სწავლა შენს ასაკში? — დაიწყო ნუცუბიძემ და თანდათანობით აუწია ხმას. — წარმოიდგინე, რომ წამოკიდებული გაქვს უმძიმესი ტვირთი, რომლისგანაც მრავალი წლის მანძილზე არ შეგიძლია გათავისუფლება. წარმოიდგინე, რომ ხვალაც, ზეგაც, მთელი თვე, მთელი წელიწადი და კიდევ ბევრი წელიწადი ისე

გეტკიება თითები, რომ ღამე ძილი გაგიჭირდება. შენ ამბობ, რომ გიყვარს მუსიკა... მაშ, დაიმახსოვრე: ოთხი წელიწადი არ გეცოდინება, რა არის მუსიკა, დაუკრავ მხოლოდ სავარჯიშოებს, სავარჯიშოებს და ისევ სავარჯიშოებს. და ამ სავარჯიშოებისაგან მთელი შენი სიცოცხლე ვერ გათავისუფლდები. როდესაც საკრავს დაეუფლები, მაშინ მოინდომებ მისი საშუალებით იმ გრძნობების გადმოცემას, კომპოზიტორს რომ აღელვებენ. თავდაპირველად მსმენელი ვერ გაგიგებს, იგი გულგრილი იქნება მანამ, სანამ ქნარის სიმებზე შენი გულის, შენი სულის ნაგლეჯებს არ დატოვებ. და, აი, მხოლოდ მაშინ დაგიკრავს მსმენელი ტაშს, მაშინ მოგართმევს ყვავილების კალათებს. შენ დაეუფლები ადამიანთა გრძნობებს და წაუძღვები მათ მუსიკის საიდუმლოებით აღსავსე ჯადოსნურ სამყაროში... მაგრამ... მაგრამ მოვა დრო, თითები გაგიურჩდება, დაგრჩება მხოლოდ მოგონებები ძველი თაიგულებისაგან შემორჩენილი გაყვითლებული ბაფთები და აი ასეთი ფოტოსურათები. მოხუცმა ხელით კედლებზე უჩვენა. მას თვალები უბრწყინავდა, იდგა წელგამართული შავ-წითელი ვარდებით გაწყობილ ხალათში.

— მაგრამ, თუ ისე მასწავლით დაკვრას, როგორც თქვენ უკრავდით, რაც თქვით, იმის გარდა კიდევ რაღაც დაგრჩებათ. მე კი სხვას შევასწავლი.

ნუცუბიძეს თვალებში სითბო ჩაუდგა და გაეცინა.

— აი, თურმე როგორ გაგიგია ცხოვრების აზრი! ჩანს ვერ შეგაცვლევინებ შეხედულებას. რა გაეწყობა, დავიწყოთ მეცადინეობა. მაგრამ, იცოდე, ამიერიდან შენ მე მეკუთვნი. რა წამს შეგატყობ, რომ ოდნავადაც კი ზარმაცობ, გაგაგდებ. უმჯობესია იყო კარგი მწველავი, ვიდრე უხეირო მუსიკოსი.

იგი ტახტზე წამოწვა, კვლავ გააბოლა პაპიროსი და წაილაპარაკა:

— კი მაგრამ, როგორ მოგაწყო ჩემთან?

ნადიამ ვერ გაიგო საკუთარ თავს ეკითხებოდა მოხუცი, თუ მას.

ნადიამ უკვე დაათვალიერა მთელი ბინა — გვერდით სასადილო იყო, რომელშიც მათ ისადილეს, მის იქით კი საწოლი ოთახი.

— მე შემიძლია აქ დავიძინო, — ჩუმად თქვა მან.

ნუცუბიძეს კვლავ გაეცინა.

— მოგწონს აქაურობა?

— დიახ მომწონს, აქ ყველაფერი ისე ლამაზია... კარგი იქნება, თუ თქვენთან დავრჩები საცხოვრებლად, დავალაგებ, სადილს მოვამზადებ. ჩემს წილ თანხას შემოვიტან, ფული მაქვს.

— მართლა? — გაიღიმა მოხუცმა,— მას ძალზე ართობდა ქალიშვილის უშუალობა. — საიდანა გაქვს ფული?

— გამოვიმუშავე. ორასი თანა მაქვს, დანარჩენს გადმომიგზავნიან. ახლავე ამოვიღებ, ჩემოდანშია.

— არ არის საჭირო, ხვალ ამოიღებ. მაღაზიაში წავალთ, საკაბეს ვიყიდით შენთვის.

ისინი კიდევ დიდხანს საუბრობდნენ, სანამ ადრე დაძინებას მიჩვეულმა ნადიამ არ დაამთქნარა. როცა მან ზრდილობიანად პირზე მიიფარა ხელი, ნინოს გაეცინა.

ნადიას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორი ბედი ეწვია, ნუცუბიძე მარტობას ძალიან ნაღვლობდა და ვადაწყვეტილი ჰქონდა, ეთქვა რომელიმე მოწაფისათვის საერთო საცხოვრებლიდან მასთან გადმოსულიყო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ეს გოგონა.

დილით ნადია ადრე ადგა, მიალაგა საზარეულო, თავის ყაიდაზე დააწყო კარადაში ჭურჭელი.

ნინო ლოგინიდან გვიან წამოდგა.

— ჩვენ დილაობით ვიმეცადინებთ ხოლმე, — უთხრა ნადიას, — დღეიდან დავიწყებთ. საღამოობით შენ თვითონ იმეცადინებ, სკოლა დაამთავრე?

— არა.

— საღამოს სკოლაში ივლი. აალაგე მაგიდა, ხელები დაიბანე და ქნართან მიდი.

როდესაც ნადია ქნარს მიუჯდა, ნუცუბიძემ ოთახში იწყო სიარული, შავი თვალები გაუბრწყინდა. ნადიამ გაიფიქრა, ალბათ, ამ უხეშ და ჯმუხ მოხუცს დედამიწის ზურგზე ყველაფერს მუსიკა ურჩევნია, — იგი უმალ გამოიცვლება ხოლმე, როდესაც მასზე ლაპარაკობს.

— ქნარს შეხედე! და ყველაფერი დავიწყე — უბრძანა ნინომ. — ამ წუთიდან ქნარი ყველაფერი უნდა იყოს შენთვის — სატკივარიც და სიხარულიც. იცი რა საკრავია ეს? ქვეყანაზე ამაზე უძველესი საკრავი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ისტორიკოსები. ქნარი ხალხმა შეჰქმნა. მასზე უკრავდნენ ძველი ეგვიპტელები, როცა თავიანთ ღმერთს ოზირისს ევედრებოდნენ. მას იცნობდნენ ძველი იუდეველნიც, ბერძნები ქნარს პოეტურობისა და მშვენიერების განსახიერებას უწოდებდნენ. ქნარის თანხლებით მღეროდნენ თავის სიმღერებს გალელი, შოტლანდიელი და გერმანელი სახალხო მომღერლები, მის სიმებს კარგად იცნობდნენ სკანდინაველი სკალდების თითებიც... გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ? ამის შესახებ მერე წაიკითხავ, მუსიკისი განათლებული უნდა იყოს.

ნადიას გაახსენდა, როგორ უხსნიდა გრიშა მას, მეჯინიბე არტემს, სენიას და ლუბოჩკას სანოტო ანბანს, ნეტა რას აკეთებს ახლა გრიშა?

— რაზე ფიქრობ? ხომ გითხარი, ქნარის მეტი არაფერი გახსოვდეს მეთქი, — მოისმა ნინოს ხმა. — მეთვრამეტე საუკუნეში ქნარზე უკრავდნენ სასახლეებსა და ციხე-დარბაზებში, ხალხური საკრავისაგან იგი ქალწულთა გასართობად იქცა. ისინი ქნარზე აი ასეთ რაღაცას უკრავდნენ.

ნინო დაჯდა, ქნარი თავისკენ დახარა და თითები ნელა გააცურა სიმებზე.

— თითქოს თოჯინები ცეკვავენ, — თქვა ნადიამ.

—ყოჩაღ! — წამოიძახა მოხუცმა, წამოდგა და კვლავ დაიწყო სიარული ოთახში.

— ახლა ქნარი სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ქნარზე დამკვრელი სოლისტები თითქმის არა გვყავს. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ჯადოქარ ვერა დულოვას, ერდელის და კიდევ რამდენიმეს. თავის დროზე მათ მოუსმენ. ყველა ისინი დაკვრას ბავშვობიდანვე სწავლობდნენ, მუსიკოსთა ოჯახებში იზრდებოდნენ. შენ, მწველავ სოფლელ გოგონას ძალიან გაგიჭირდება. თექვსმეტი წლისამ უნდა შეიძინო ის, რასაც ისინი აკვნის ასაკიდან ითვისებდნენ. მაგრამ არ უნდა შეშინდე. დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რომ დაუკრავ ისე, როგორც ისინი უკრავდნენ და კიდევ უფრო უკეთესად! მხოლოდ ასე უნდა იფიქრო. ხელოვნება უფერულობას ვერ იტანს! მთელი შენი არსებით ქნარს უნდა მიეცე. ხელოვნება სრულ ერთგულებას მოითხოვს, ორჭოფობას ვერ იტანს.

მერე გამომცდელი თვალით შეხედა ნადიას და უბრძანა:

— ქნარს მიუჯექი.

ასე მბრძანებლურად ისმოდა მისი ხმა ყოველ დილას.

თავდაპირველად მეცადინეობა ერთ საათს გრძელდებოდა, შემდეგ კი ორ საათს. როდესაც ნინო კონსერვატორიაში წავიდოდა, ნადია ბაზარში მიდიოდა, სადილს მოამზადებდა და უკვე მარტო მიუჯდებოდა ხოლმე ქნარს. საღამოობით სკოლაში დადიოდა, სკოლის შემდეგ კი გაკვეთილებს ჩაუჯდებოდა. სხვა ვერ აიტანდა ასეთ დატვირთვას, მაგრამ ნადია ყოველგვარ სიძნელეს აუდიოდა. მას მხოლოდ ძილთან ბრძოლა უჭირდა. ხშირად მიეძინებოდა ხოლმე თავის რვეულებთან. მაგრამ მაინც წამოხტებოდა, ბარბაცით მივიდოდა საბაზანოში, პირს დაიბანდა და კვლავ მიუჯდებოდა მაგიდას.

ზამთარში ნინომ ნადია ოპერის თეატრში წაიყვანა „დაისზე“.

— რა მოგეწონა ყველაზე მეტად? — შეეკითხა ნინო, როდესაც სახლში ბრუნდებოდნენ.

— ყველაფერი, — არ დააყოვნა პასუხი ნადიამ. — შესანიშნავი მუსიკაა.

განსაკუთრებით „მაროს ტირილი“. კიაზოს არიაც მშვენიერია, — მას უყვარს და მიილტვის მაროსაკენ მის... მის...

— თემაში, — წაეშველა ნინო.

— მის თემაში გამუდმებით იბრძვის სიყვარული და ეჭვი.

— ერთი ამას დამიხედეთ, როგორ მსჯელობს, — ჩაილაპარაკა ნინომ. — რა გაეგება სიყვარულისა და ეჭვისა?

მათ უკან მოიტოვეს ლენინის მოედანი და კიროვის ქუჩის აღმართს შეჰყვნენ. გამვლელები კანტიკუნტად ხვდებოდათ, იშვიათად ისმოდა აჩქარებული ნაბიჯებისა და მანქანების ხმა.

— მე მიყვარს, — ჯიქურ თქვა ნადიამ, და ამიტომ ვამბობ.

ნინო ადგილზე გაშეშდა, განცვიფრებით შეხედა ქალიშვილს და მერე ისე განაგრძო გზა, რომ ხმა აღარ ამოუღია. ნადიაც ჩუმად მიდიოდა, მას ვერც კი წარმოედგინა, რა გრიგალი გამოიწვია ნინოს სულში მისმა სიტყვებმა.

ნინოს შეეშინდა მისი სიტყვებისა: „მე მიყვარს“, რადგან, თუ ნადიამ შეიყვარა, იგი ისეთივე გატაცებით მიეცემა თავის გრძნობას, როგორც ახლა მუსიკას ეძლევა, და მაშინ მშვიდობით, ქნარო.

როდესაც შინ დაბრუნდნენ, ნინო ტახტზე ჩამოჯდა ნადიას გვერდით და უთხრა:

— აბა, მიამბე ყველაფერი. ვინაა და სად მოახერხე მისი გაცნობა?

— აქ არა, — ნადიამ თავი გააქნია — ეს ჯერ კიდევ გოლოვნევკაში მოხდა... და მოუყვა.

მოხუცი დამშვიდდა. მან გაიფიქრა, რომ სოფლის კლუბის გამგე არ იქნებოდა ქნარისთვის საშიში მეტოქე.

ნინომ თითქმის გაათავისუფლა იგი საოჯახო საქმეებისაგან და ამით მდგომარეობა ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ მუსიკაში კვლავინდებურად ბევრს მეცადინეობდა. ყველაფერში, რაც კი მუსიკას შეეხებოდა, მოხუცი მკაცრი იყო.

მოხდა ის, რის შესახებაც ნინო ნადიას აფრთხილებდა, — თითები საშინლად ტკიოდა. და განა მარტო თითები! — ხელის მტევნები, მხრები. და მართლაც ნადიასათვის არავითარი მუსიკა არ არსებობდა — მხოლოდ ვარჯიში და ვარჯიში.

თუმცა ნინო, თუ მეცადინეობას არ ჩავთვლით, მის მიმართ მეტად ალერსიანი იყო, მაგრამ ნადიას ყურებში განუწყვეტლივ ესმოდა მოხუცის მკვეთრი ხმა:

—ხელი! როგორ გიჭირავს ხელი!

— ასე არ ვარგა! კიდევ!

— სიმებს ნუ წყვიტავ. რბილად, უფრო რბილად!

— შენით ნუკი თხზავ რაღაცეებს. ნოტებით დაუკარი!

— დავიწყეთ! დო-რე-მი!..

მეცადინეობის წუთები საათებად ეჩვენებოდა. შესვენება თვალის დახამხამებაში თავდებოდა, შემდეგ კვლავ ქნარზე დაკვრა, შესვენება, სკოლა, გაკვეთილები და ისევ ყველაფერი თავიდან.

— არა, არა, ეს ნახევარი ბგერაა!

— სოლი, სოლი, შენ კი...

— ხელი, ხელი.

ნადიას გულში ნელ-ნელა ეპარებოდა სიძულვილი ამ მკაცრი, მბრძანებლური ხმისადმი; სიძულვილი ქნარისადმი, საკუთარი თავისადმი, ოთახისადმი, რომელშიც იჯდა ხოლმე, ქუჩისადმი, რომელზედაც დადიოდა, ქალაქისადმი, რომელშიც ცხოვრობდა... თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე გოლოვნიევკას წყნარი ქუჩა. მინდორში ჩიტების ყღურტული, ტალღების ტლაშუნი ტბაზე, ის მუსიკა, რომელიც კი არ ტანჯავდა, არამედ ეალერსებოდა, ელამუნებოდა გულს. გრიშამ წერილი გაუგზავნა იმ ღია ბარათის საპასუხოდ, რომელიც ნადიამ დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლის პირველ ხანებში მიწერა და რომელზეც პასუხს მთელი ამ ხნის განმავლობაში ელოდა.

წერილი მოულოდნელად ალერსიანი და გულითადი იყო. გრიშა ატყობინებდა, რომ საპრიკინასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა — „და არა იმიტომ, რომ იგი ცუდია. ან ჩვენს შორის რაიმე მოხდა, არა, მივხვდი, რომ დიდი სისულელე ჩავიდინე. როცა გაგიცანი, ვერ

დაგაფასე, ხოლო როცა წახვედი, ხშირად მაგონდებოდი და აუტანელი გახდა ჩემთვის ვალიასთან ყოფნა, გავიგე, რომ მას აკლდა ის, რაც შენშია, არავინ არ არის შენისთანა, არც ლუბოჩკა და არც ვინმე სხვა ქალიშვილი, არც თქვენთან — გოლოვნევკაში და არც ჩვენთან — კახეთში. ბევრი ვინანე, რომ ასე უხეშად მოგეპყარი. თავისით მომიფრინდა მერცხალი და მე კი დავაფრთხე. ახლა შენზე ოცნებაც კი ამაოა. დიდი ხნით წახვედი, ვინ იცის, შევხვდებით კი ერთმანეთს ოდესმე? თბილისი დიდია. იქ ჩემზე უკეთესებიც მოიძებნებიან“.

ნადიამ გრძელი, დაბურდული წერილი გაუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მისთვის გრიშაზე ჭკვიანი და ლამაზი ქვეყნად არავინ არის, რომ მას არავისზე არ გაცვლის. ჩამოსვლით კი გოლოვნევკაში მალე, ზაფხულის დამდეგსვე ჩამოვა.

— ფიქრებიდან ნადია ნინოს ხმაზე გამოერკვეოდა ხოლმე...

— ისევ ჩაფიქრდი!.. ვერ გამიგია, რაზე ფიქრობ!

ასეთ დროს ნადია მოხუცს ბოროტ მზერას ესროდა, ისიც ასევე ბოროტად გამოხედავდა ხოლმე.

— დავიწყოთ., დო-რე-მი...

გრიშას, საყვარელი გოლოვნევკის და მშობლიური ველ-მინდვრების ნახვის სურვილი უფრო და უფრო იპყრობდა ნადიას. დილაადრიან იგი აივანზე გამოდიოდა და ახლად გამოღვიძებული ქალაქის მზერით ტკბებოდა. არ შეეძლო არ გამოსტყდომოდა თავს, რომ თბილისმა იგი მოხიბლა. მით უფრო მეტად მიისწრაფვოდა იგი უკან, გოლოვნევკაში. ეჩვენებოდა რომ ცოტაც და მას საბოლოოდ გაიტაცებს ეს ქალაქი, მუსიკა, ყველაფერი, რაც შეიცნო და რაც ამ შეცნობილის მიღმა უცნობი და მიმზიდველი იმალებოდა. მაშინ გრიშა მიატოვებს მას. ნადიას კი უიმისოდ უკვე აღარ შეეძლო გაძლება.

ივნისში ნადიამ გამოცდები ჩააბარა სკოლაში.

— ჩვენ ზღვაზე წავალთ, სოჭაში. დასვენება გესაჭიროება, — უთხრა ნინომ, —ქნარს ერთი თვე არ შევაწუხებთ, მაგრამ თეორიაში მაინც ვიმეცადინებთ ცოტ-ცოტას, დღეში ერთ საათს. შენ, ჩემო გოგონავ, ათ თვეში უფრო მეტის გაკეთება შესძელი, ვიდრე სხვები ორ წელიწადში შესძლებდნენ. მე კმაყოფილი ვარ.

ნადიამ თავი გაიქნია — არ მინდა სოჭაში წასვლა. გოლოვნევკაში უნდა წავიდე.

— სისულელეს თავი დაანებე! — ნერვიულად წარმოთქვა ნინომ — თუ სოჭაში არ გინდა, მაშ ყირიმში წავიდეთ, იალტაში. ბათუმამდე მატარებლით ,შემდეგ კი თბომავლით. შენ ხომ არ გინახავს ზღვა.

— არ მინდა, ჩემ სოფელში წავალ.

მოხუცმა თვალები დააბრიალა, ხელი დაჰკრა როიალს და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ნადიამ ტუჩზე იკბინა და თვალი გააყოლა.

— შეშინდი? დაყარე ფარ-ხმალი? — ჰკითხა ნინომ და ნადიას წინ შეჩერდა.

— არა. ჩემთვის საჭიროა, გთხოვთ, რომ გამიგოთ, ძალზე საჭიროა გოლოვნევკაში წასვლა, — ნაღვლიანად მიუგო ქალიშვილმა.

მოხუცი ფანჯარასთან მივიდა, დიდხანს დუმდა და ქალაქს გასცქეროდა.

— რამდენი ხნით მიდიხარ? როდისთვის გელოდო? — ჰკითხა მოხუცმა, ისე რომ თავი არ მოუბრუნებია.

— არ ვიცი, — გულწრფელად მიუგო ნადიამ.

ნინო მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა.

— დღეს პირველია? ოც ივლისს გელოდები. იცოდე, სისულელეებს თავი დაანებე. არ დაივიწყო, რასაც გეუბნებოდი... ესეც არ დაივიწყო,—ქნარზე მიუთითა. — ახლა კი გასწი ბილეთის საყიდლად!

* * *

ნადიას აღარ ტოვებდა უეცრად წარმოქმნილი გრძნობა თბილისში მგზავრობის უნაყოფობისა და ამავე დროს სიხარულისაც, რომ ყველაფერი უკვე

წარსულში იყო და იგი უბრუნდებოდა იმ უბრალო და ღვიძლ საქმეს, რომელსაც არ უნდა მოსწყვეტოდა. ეს გრძნობა ახლდა მას მატარებელში, ავტობუსში და სატვირთო მანქანის კაბინაშიც. შვებისა და სიხარულის ამ გრძნობით აღსავსე შევარდა იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლში და აღტაცებისაგან აკივლებულ ლუბოჩკას გადაეხვია, შემდეგ თავისი ოდისაკენ გასწია.

— გრიგოლი ჩვენს თვითმოქმედ წრესთან ერთად, ბოგდანოვკაში წავიდა, — საშეფო კონცერტი აქვთ. საღამოს დაბრუნდება, — უთხრა ლუბოჩკამ.

ნადია იღიმებოდა და თავისთვის იმეორებდა:

— შემდეგ... შემდეგ...

— რამდენი ხნით ჩამოხვედი? — ჰკითხა ლუბამ.

— ოჰ, ლუბოჩკა, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, — ამოიხვნეშა ნადიამ. ხან ერთი, ხან მეორე სახლიდან გამორბოდნენ ქალები, ეხვეოდნენ ნადიას, ჰკოცნიდნენ, ათას რამეს ეკითხებოდნენ.

მეგობრებმა ოთახი მიალაგეს და ბუხარი დაანთეს.

— საღამოს შინ იყავი, — უთხრა ლუბოჩკამ. — გრიგოლს დავუდარაჯებ და როგორც კი ბოგდანოვკიდან მობრუნდება, შენთან გამოვგზავნი, კარგი?

ლუბოჩკამ მეგობარი შეათვალიერა.

— გაზრდილხარ და გამხდარხარ. ეს კაბა კი აღარ გიხდება. რაღაც სხვანაირი გახდი...

ნადია ჩაფიქრდა. ის მსუბუქი და სიხარულით აღსავსე გრძნობა, რომელმაც დილას შეიპყრო, უეცრად გაქრა... „რა მემართება? — შეეკითხა თავს. წინათ ყოველთვის ვიცოდი, რაც მინდოდა, ახლა კი... არა, ეს იმის გამო მემართება, რომ გრიშა არ მინახავს. ვნახავ და ყველაფერი გაივლის“.

— შენი გიტარა რა იქნა? — შეეკითხა ლუბოჩკა.

— გიტარა? — ნადიამ დაბნეულად შეხედა — დამრჩა. იქ, თბილისში.

იგი კვლავ შფოთმა და დაუკმაყოფილებლობის უნებლიე გრძნობამ მოიცვა.

ნადიამ ჩაკეტა სახლი და ლუბოჩკასთან წავიდა. მათთან ისადილა, ესაუბრა ივანიჩს, მოუყვა, თუ როგორ ცხოვრობდა თბილისში. მერე წასვლა დააპირა.

— სახლში მელოდე. მე კლუბისაკენ წავალ, — წასჩურჩულა ლუბოჩკამ — შენ ოღონდ ახლებში გამოეწყვე.

ნადიამ კარი გამოაღო, ოთახში შევიდა, დააპირა ძველი კაბის გახდა, მაგრამ გადაიფიქრა და გარეთ გამოვიდა.

— დეე, ყველაფერი ძველებურად იყოს, — ხმამაღლა წარმოთქვა მან.

სოფელში უჩვეულო სიჩუმე იდგა. ნადიამ სატვირთო მანქანის ხმა გაიგონა და მალე ქუჩაში აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. ჭიშკართან მამაკაცი გამოჩნდა.

— გრიშა? — ხმამაღლა წაიჩურჩულა ნადიამ.

გრიგოლმა სწრაფად გამოიარა ეზო და კიბე აირბინა.

— ნადია! — მოესმა მას.

ისინი გაუნძრეველად იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ.

ნადიამ ხელი გაიშვირა, სახელოში მოჰკიდა გრიგოლს და ეზოში შეიყვანა.

— ნადია, — კვლავ წარმოთქვა მან.

— არაა საჭირო. ნურაფერს იტყვი.

შემდეგ ქუჩაში გამოვიდნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც ოცნებაში, — ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ ღამეულ მინდორში, ირგვლივ ყვავილების სურნელი იდგა, ფრთების ტკაცუნით ფრთხებოდნენ ღამის ფრინველები, შორიდან ტბის ოდნავ გასაგონი ტლაშუნი მოისმოდა. ცის თაღზე კი ლურჯად კაშკაშებდნენ უზარმაზარი ვარსკვლავები.

მეორე დღეს ნადია ფერმაში წავიდა.

— მაშ, ჩამოხვედი? — მხიარულად ლაპარაკობდა დეიდა მანია, — რაო, გაგიძნელდა? თუ ჩაფლავდი? მე კი მეგონა, გაუძლებდი, შენ ხომ შენსას ყოველთვის გაიტან...

— არა, იმიტომ კი არა, დეიდა მანია, მომწყინდა უშენოდ.

— კარგი ერთი, უჩემოდ. რომ გეთქვა უგრიშაოდ, დაგიჯერებდი. მე ლუ-

ბოჩკამ მითხრა, რომ შენ გრიშას გამო ჩამოხვედი.

— უკვე წამოაყრანტალა, — წყენით ჩაილაპარაკა ნადიამ.

— რას ამბობ, ეს ისეთი საქმეა, რომ არ დაიმალება... კარგი და რას გინდა ხელი მოჰკიდო? — ჰკითხა დეიდა მანიამ. — ჩვენ ხომ არ დაგვიბრუნდები?

შეკითხვა კვლავ მოულოდნელი იყო.

— ალბათ!

— მაშ წადი, სამორიგეოში ხალათი აიღე და მომეხმარე, ერთი ვნახო, ხომ არ გადაჩვეულხარ.

როცა ნადია საწველით ხელში თეთრ ძროხასთან მივიდა და კისერზე გადაუსვა ხელი, მან დაიზმუვლა და დრუნჩი გამოუშვირა.

— მიცნო, მიცნო ვარსკვლავამ! — ეუხარდა ნადიას.

იმ დილიდან ყველაფერი ძველებურად წარიმართა. დღისით ნადია ფერმაში მუშაობდა, საღამოთი გრიგოლთან ერთად ან მინდორში გაივლიდა, ან კლუბში დადიოდა, თუკი კინოს უჩვენებდნენ, ან თავისი სახლის კიბეებზე იჯდა და გრიშას გულისცემას უსმენდა.

ფერმის გამგემ ნადიას უთხრა:

— მაშ მალე კანონიერი ქორწინებაც უნდა მოგილოცოთ, არა?

ნადიამ ბრაზმორეულმა შეხედა. უკვე სამი კვირაა, რაც გოლოვნევკაშია და თითქმის მთელმა სოფელმა წინასწარ მოულოცა გათხოვება. ნადია ყველას უღიმოდა, ყველას უხდიდა მადლობას, დღეს კი უეცრად გაბრაზდა.

— როცა ქორწილში დაგპატიჟებ, მაშინ მომილოცე, — უთხრა მან და ზურგი შეაქცია.

ისევ უშფოთებდა რაღაც გულს. ადგილს ვეღარ პოულობდა. გუშინ თბილისიდან დეპეშა მოუვიდა. სულ ოთხი სიტყვისაგან შედგებოდა: „მოუთმენლად გელი, გკოცნი. ნუცუბიძე“. ამ ოთხმა სიტყვამ არეულობა შეიტანა მის ცხოვრებაში, რომელიც უკვე ჩამოყალიბებას იწყებდა. დაჭმუჭნა დეპეშა, უნდოდა გადაეგდო, შემდეგ გადაიფიქრა და კაბის ჯიბეში შეინახა. დეპეშა მთელი დღე შრიალებდა ჯიბეში და თავს ახსენებდა.

საღამოს ნადიამ გრიგოლს დეპეშა გაუწოდა და უთხრა — წაიკითხე.

ეს ყველაზე იოლი საშუალება იყო— ეთქვა მისთვის ყველაფერი, რაც კი აწუხებდა. მაგრამ გრიგოლმა არ იტვირთა მისი ტვირთი. მან თვალი გადაავლო დეპეშას და თქვა:

— ვინ არის? რას წარმოადგენს?

— ქალია — ოდნავ გაიღიმა ნადიამ, — ჩემი მასწავლებელი.

ისინი პარმაღზე ისხდნენ. ბადრი მთვარე კაშკაშებდა და თითქოს დღე ყოფილიყოს, ნადია გარკვევით არჩევდა მისი სახის ყოველ ნაკვთს — იგი კვლავ მშვიდი და მტკიცე იყო.

—ჰოო, მასწავლებელი,—ნელა წარმოთქვა ნადიამ. მას გრიშასთვის თითქმის არაფერი უთქვამს ნინოზე და ახლა სურვილი აღეძრა ყველაფერი ეამბნა.

—გრიშა, იგი უბრალო მასწავლებელი კი არ არის, ის...

გრიგოლი ყურადღებით უსმენდა, თან მის ნაწნავს ათამაშებდა. მას უყვარდა ნადიას თმა, ნადიამ იცოდა ეს და ნაწნავი თავზე აღარ შემოუხვევია როგორც თბილისში.

— რას იზამ, — თქვა გრიგოლმა, როცა ნადია გაჩუმდა, — შენ მისწერე, რომ მადლობელი ხარ ყურადღებისათვის, მაგრამ აქ რჩები. რამდენი ექნება შენზე დახარჯული? ფული გავუგზავნოთ. მე შვიდას მანეთამდე მაქვს. შემდეგ კიდევ მოვაგროვებთ.

ნადიამ ტუჩზე იკბინა — გრიგოლმა ვერ გაუგო მას.

— დახიე ეს დეპეშა, — მხიარულად თქვა გრიგოლმა, — აქ მომეცი.

— შუაზე გადახია ცისფერი ქაღალდი და გადააგდო. აი ასე. კმარა. შინ გირჩევნია, მითხარი, ასე კიდევ დიდხანს ვიქნებით?.. უკვე მთელმა სოფელმა იცის... მოდი, მოვაწეროთ ხელი. მე დედასა და მამას შევატყობინებ, შენ ბიძებს. გადავიხადოთ ქორწილი და შენთან გადმოვალ.

მან მიიზიდა, გადაეხვია და ძლიერად დაუწყო კოცნა ტუჩებში. ნადია მაშინვე მოეშვა და თვალები დახუჭა.

—მითხარი „ხო“, — ემუდარებოდა ვაჟი — ნადიუშა, მითხარი „ხო“, ხომ გიყვარვარ?

— მიყვარხარ, — კვნესით მიუგო მან და კისერზე ხელები შემოხვია.

ბოძზე დამაგრებული რეპროდუქტორიდან ძალუმად გაისმა საზეიმო მუსიკა. როიალის ხმები ჩანჩქერივით იღვრებოდა და თანდათან ძლიერდებოდა.

—რა კარგია, — წაიჩურჩულა ნადიამ. — იგი ზურგზე იწვა და თავი გრიგოლის მუხლებზე დაედო. გრიშამ ჩახედა ფართოდ გახელილ შავ თვალებში.

— რაზე ჩაფიქრდი? — ჰკითხა გრიგოლმა, როცა მუსიკა შეწყდა.

ნადიამ შეხედა, თითქოს ვერ ცნობდა, წამოჯდა და ნაწნავის დაწვნა დაიწყო.

— ძილის დროა, — წადი გრიშა შინ.

— ჯერ ადრეა, ნადიუშა.

— დავიღალე, გრიშა, — ალერსით თქვა მან.

გრიშამ ამოიხვნეშა, აკოცა, დაეშვა კიბეზე, უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდა და შემოტრიალდა.

— ნადიუშა, იმაზე რას იტყვი... შენ არაფერი არ გითქვამს.

— მერე გრიშა, მერე მოვილაპარაკოთ, საყვარელო. ღამე მშვიდობისა.

—ღამე მშვიდობისა, — ოდნავ გასაგონად მიუგო გრიშამ და წავიდა.

ნადიამ თვალით გააცილა, უნდოდა დასწეოდა, რომ შეეჩერებინა და ეთქვა: „გრიშა დარჩი, დარჩი სამუდამოდ“, — მაგრამ რაღაც მოაწვა ყელში. იგი შეჩერდა და ბოძს მიეყრდნო.

გრიგოლი თავგზააბნეული წავიდა. ნადია გრძნობდა ამას, მაგრამ არ სურდა საშველად ხელი გაეწვდინა, ვიდრე საკუთარ თავში არ გაერკვეოდა.

ნადია ჩაფიქრებული იდგა და ისმენდა როგორ მღეროდა მამაკაცი.

ცრემლები, სიყვარული... ნაზად ეხმაურებოდა მომღერალს შორეთში გამოძახილი. ცაზე სწრაფად მოცურავე ღრუბლებით იფარებოდა მთვარე, მიწაზე შუქის უსწორმასწორო ზოლები ირეოდა, ისინი მისდევდნენ ერთმანეთს და ერთ ბუნდოვან მოცისფრო არშიად შეერთებულნი გარს ეხვეოდნენ ზეგანს.

— ჩაიკოვსკი. სენტიმენტალური ვალსი. ქნარზე ასრულებს ვერა დულოვა, — გამოაცხადა დიქტორმა.

ნადიამ ეზოში ჩაირბინა და ჭიშკართან შეჩერდა, რათა უკეთესად მოესმინა. ვერა დულოვა! რამდენი რამ უამბნია მასზე მოხუც ნინოს.

ნადია უსმენდა, თუ როგორ აყღერებდა ქნარის დამკვრელი სიმებს და თან აგონდებოდა ნუცუბიძის ნაამბობი ბერძნების მიერ შექმნილ ეოლოსის ქნარზე. სიმები თრთოდნენ და მომხიბვლელად ყღერდნენ. ნადიამ წარმოიდგინა, თითქოს იგი ახლა ეოლოსის ქნარს უსმენდა, ვერ დაეჯერებინა, რომ ადამიანის ხელს შეუძლია ასე ნაზად და მელოდიურად აამღეროს ეს საკრავი.

სიმღერა სადღაც შორეთში მიწყდა.

ნადია გაუნძრევლად იდგა.

— სალცედო. გრიგალი, — თქვა დიქტორმა.

აგუგუნდა მოახლოებული ქარი, ჯერ ჩუმად, შემდეგ კი სულ უფრო მზარდი ძალით იგი თავს დაატყდა ნადიას, მის ირგვლივ ყველაფერი დაატრიალა, ხეებსა და ბუჩქებს ფოთლები ააგლიჯა და ცაში აიტაცა. ნადიამ განცვიფრებისაგან კინაღამ შეჰკივლა — იმდენად ბუნებრივად იყო გადმოცემული ქარის კვეთება, — შეუძლებელი იყო დაჯერება, რომ ეს იმ საკრავის ხმებია, რომელიც ეს-ესაა ასე უნაზესად ყღერდა...

„ჩვენ მხოლოდ ჯადოქარ ვერა დულოვას ვიცნობთ...—მოესმა მას ნინოს ხმა, — შენ ისე დაუკრავ, როგორც ის, — უფრო კარგადაც! მაგრამ მთელი შენი არსებით ქნარს უნდა მიეცე“.

გრიგალი შორეთს გადაიკარგა. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა...

ნადიამ მთვარეულივით გაიარა ქუჩაში. იგი იმ გზით მიდიოდა, რომლითაც არა ერთხელ უსეირნია გრიგოლთან ერ-

თად, ბოსტნების გავლით, შავად მოელვარე ტბისაკენ.

იგი დიდხანს იჯდა წყნარად მოდგაფუნე წყლის პირას და ტიროდა, ემშვიდობებოდა გრიგოლს, თავის პირველ და, როგორც ფიქრობდა, უკანასკნელ სიყვარულს. მან არ იცოდა, რომ გაივლის წლები და სიყვარული კვლავ მოვა მასთან, მაგრამ მაშინ აღარ დადგება არჩევანი მუსიკასა და გრძნობას შორის. ნადიას არ შეეძლო სცოდნოდა ეს, იგი იჯდა ტბის პირას და მწუხარებას მისცემოდა — მარტოდმარტო, მდუმარე, სიბნელეში მოცულ მთებს შორის.

შინ დაბრუნებისთანავე ლოგინში ჩაწვა, მყისვე დაიძინა და მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა, როცა მზე უკვე ამოიწვერა. ნადია წამოხტა და გამგეობაში წავიდა.

ნაშუადღევს ქუჩაში გრიგოლი შემოხვდა.

— მე შენთან მოვდიოდი,—უთხრა ნადიამ, — წავიდეთ სადმე, თუ გინდა კლუბში...

— იქ არის ვინმე? არა? წავიდეთ.

გრიგოლმა გამოაღო კარი და ისინი დარბაზში შეავიდნენ.

— მოდი დავსხდეთ.—ნადია გრიგოლის გვერდით დაჯდა და გრიშამ შეამჩნია, რომ ფერი დაკარგვოდა და თვალები ჩაცვენოდა.

—გრიშა, აი რა, — თქვა მან,—მე მივდივარ. უკვე ყველაფერი გადაწყდა. ივანიჩთან ვიყავი, მან იცის. ოდას სილანტიევები ყიდულობენ. მათი ვაჟიშვილი დაქორწინდა. ათასად მოველაპარაკე. გზისათვის ცოტა მომცეს, დანარჩენს თბილისში გამომიგზავნიან.

გრიგოლი დარეტიანებულივით უსმენდა.

— მე... მე რაღა ვქნა?—ძლივს ამოილუღლუღა მან.

ნადიამ ნერწყვი გადაყლაპა, იწყებოდა ის, რისაც ყველაფერზე მეტად ეშინოდა ნადიას, „უნდა გავუძლო“, „უნდა გავუძლო“ შელოცვასავით იმეორებდა ნადია თავისთვის და ბოლოს ხმამაღლა წარმოთქვა:

— გავიარ-გამოვიარეთ და კმარა. განა ცოტა ქალიშვილი დადის ქვეყანაზე. მე გუშინ ვიფიქრე და გადავწყვიტე— ტყუილად ვუბნევთ ერთმანეთს თავგზას.

გრიგოლს სუნთქვა შეეკრა, შემდეგ ნაღვლიანად გაიღიმა:

— მცდი, ნადიუშა?

ნადიამ გაიცინა:

— თუ გნებავს, შენ თვითონ გამოსცადე შენი თავი, მე კი უკვე ჩავიხედე ჩემს გულში. დილას მივემგზავრები, თუ არ გჯერა, ივანიჩს ჰკითხე, სილანტიევებში გაიკითხე ოდის თაობაზე... არაფერს გიმალავ, პირდაპირ გეუბნები.

— მაგისთვისაც მადლობელი ვარ, —გრიგოლი წამოხტა, წყენისა და დარდისაგან ხმა უკანკალებდა,—ოღონდ, იცოდე, რომ მე ძალით არ გახვევდი თავს.—სიტყვა არ დაუმთავრებია ისე გავარდა კლუბიდან.

ნადია ზურგით მიეყრდნო კედელს— იტირებდა, მაგრამ ცრემლი გაშრობოდა.

გრიგოლი არ ბრუნდებოდა. იგი წამოდგა, კედლებს თვალი მოავლო, თითქოს ეთხოვებაო და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რას იზამ, გაჟეჟილს გატეხილი სჯობია“.

კარი მიხურა და თავის ოდაში წავიდა ჩემოდნის წამოსაღებად. იქ მას გრიგოლზე არა ნაკლებად დაბნეული ლუბოჩკა უცდიდა.

იმავე დღეს ნინომ გაიგონა ზარის ხმა და კარის გასაღებად წავიდა.

— ვინ არის? — იკითხა მან.

— დეპეშაა!—უპასუხეს კარს იქიდან. ნინომ ხელი მოუწერა, ოთახში შევიდა, სათვალე გაიკეთა და წაიკითხა:

„მოვდივარ ოცში სამუდამოდ. გკოცნით, თქვენი ნადეჟდა“.

თარგმანი **გურამ გუხნიკაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

• • •

ჩვეულებრივად,
სუფრაზე მარილს
მაშინ ამჩნევენ,
როცა არ არის...

ხიდზე ათასი გამვლელი მიდის,
მაგრამ არავის არ ახსოვს ხიდი.

ის კი არა და,
წყალსა და ჰაერს
მხოლოდ იქ გრძნობენ,
სადაც არ არის...
ადამიანიც არსებობს ერთი,
ის არის ჩვენთან, ის არის ჩვენთვის
ჰაერი, წყალი, მარილი, ხიდი

და უფრო მეტიც
და უფრო დიდიც, —
ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ,
სანამ დიდები
დედის საფლავთან არ ავტირდებით.

• • •

ჯ. მეძმარიაშვილს

...მაინც არ დაცხრა უფსკრული
ხარბი:
თეთრი დუმილი დავარდა ირგვლივ
და მოითხოვდა ერთადერთ ნაბიჯს,
რომლის იქითაც ეძინა სიკვდილს.
და თუმცა ნაბიჯს უფსკრულის
კართან
თოვლიც ელოდა გაუკვალავი, —
აჯანყებული სინდისის გარდა,
არ სჭირდებოდა იგი არავის.
აჯანყებული მუხლი და მაჯა
მეგობრის ძახილს გაჰყვა იმწამსვე,
ერთი ნაბიჯი სიცოცხლე დარჩა
მაინც საყვარელ დედამიწაზე.
მაინც არ დაცხრა უფსკრული ხარბი:
თეთრი დუმილი დავარდა ირგვლივ
და მოითხოვდა ერთადერთ ნაბიჯს,
რომლის იქითაც ეძინა სიკვდილს.
სიკვდილის იქით ეძებდა ადგილს
უკანასკნელი გადაბიჯება...
. . . . . .
ქალიშვილები
ამბობენ:
— კარგი
ამხანაგობა იცით ბიჭებმა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ლუბინსკი

ლენინის უახლოესი ამხანაგთაგანი

„ძვირფასო სერგო!

მახსოვს, თქვენ რომ გვეწვიეთ მარი-როზში. დგახართ და ილიმებით! ლონჟიუმოშიც მახსოვხართ... თქვენ ძალიან გიყვარდათ ილიჩი.

ნ. კრუპსკაია

1936 წ. 27 ოქტომბერი“.

შეხვედრა პარიზში

ვლადიმერ ილიას-ძემ მკაცრი რეჟიმი, ანუ როგორც თვითონ ხუმრობით იტყოდა ხოლმე, „прижим“-ი შემოიღო. დგებოდა დილის რვა საათზე. ჩაის შემდეგ, ჯდებოდა ველოსიპედზე, რომელიც ძლივს შეაკეთეს (ჟიუვიზში მიმავალს ავტომობილი დაეჯახა) და პარიზის პატარა განაპირა ქუჩიდან—მარი-როზიდან მთელი ქალაქის გავლით მიდიოდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ნაშუადღევის ორ საათზე ძალაუნებურად უკან ბრუნდებოდა, — ბიბლიოთეკა იხურებოდა სადილობის ჟამს. ამ წესს საოცარი გულმოდგინებით იცავენ მთელს საფრანგეთში. ასე მოხდა დეკემბრის ყინვიან დღესაც. კარზე ენერგიულად დააკაკუნა კონსიერჟმა ქალმა, რომელიც, საერთოდ, მშვიდობიანი ზნის იყო, მაგრამ ახლა გულმოსული იყო იმის გამო, რომ სადილი შეაწყვეტინეს.

— დაუყოვნებლივ ჩამყევით ქვევით, უთხრა ქალმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, — მოვიდა ვიღაც უცნობი კაცი, ერთ სიტყვას ვერ ლაპარაკობს ფრანგულად. ალბათ, თქვენი სტუმარია.

— ჩავედი დაბლა, — ჰყვებოდა შემდეგ ნ. კ. კრუპსკაია, დგას კავკასიური გარეგნობის კაცი, იღიმება. ეს იყო სერგო! იმ დღიდან ის გახდა ჩვენი უახლოესი ამხანაგთაგანი.

უწინარეს ყოვლისა, ლენინმა სერგო[1] სადილზე მიიწვია. სერგოსაც, რომელსაც არ გაახსენდა, რომ იმერული ზნეჩვეულება ნებას არ აძლევს სტუმარს მიუჯდეს სუფრას მანამდე, ვიდრე მასპინძელი თავის მიპატიჟებას სამჯერ მა-

[1] 1962 წლის თებერვალში მე ვეცნობოდი პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების არქივს. მოულოდნელად უხვად ვიქენ დაჯილდოებული. ბაქოს გუბერნიის ქანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ გამოგზავნილ ფრიად საიდუმლო ქაღალდებში აღმოჩნდა ორჯონიკიძის კერძო ბარათი ერთ-ერთი კავკასიელი სოციალ-დემოკრატისადმი, ბარათი, რომელიც ხელში ჩავარდნოდა პოლიციას და რომელიც სერგოს დაუწერია ლენინთან პირველი შეხვედრის მეორე დღეს. „გარეგნულად ლენინი ჰგავს ტიპიურ რუს მუშას, — უზიარებს სერგო თავის შთაბეჭდილებას ამხანაგს, — დაბალ-დაბალი, მელოტი თავით, თვალების ყირგიზული ჭრილით. საუბარში ოდნავ არ გაგრძნობინებს, რომ საქმე გაქვს ადამიანთან, რომელიც შენზე მილიონჯერ მაღლა დგას. პირიქით. თითქოს პირველ წუთიდანვე გეხვევა გულითადი გრძნობით. მე 3—4 საათი დავყავი მასთან... ი. ლ.

ინც არ გაიმეორებს, არ დაუყოვნებია, — სწრაფად და მადიანად — შეექცეოდა უბრალო სადილს, დამზადებულს ნადეჟდა კონსტანტინოვნას მიერ, რომელიც ხშირად ჩიოდა, ღმერთს ჩემთვის კულინარის ნიჭი არ მოუმადლებიაო.

შემდეგ ილიჩმა სერგო მიიწვია „სადარბაზოში", — ე. ი. იმავე სამზარეულოში, ოღონდ სასადილო მაგიდიდან გადაჯდნენ ფანჯრისაკენ, რომელიც ბაღს გაყურებდა.

ამ ჩვეულებისათვის — ეწარმოებია უგულითადესი საუბრები სამზარეულოში —ვლადიმერ ილიჩს არ უღალატნია ბოლომდე. ასე, მაგალითად, 1919 წლის ივლისში ლენინმა შეიტყო ნადეჟდა ალილუევასაგან, ეს არის მოსკოვში დაბრუნდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ბევრს დაღუპული ეგონა უკვე რამდენიმე თვის წინათ ჩრდილოეთ-კავკასიაში. — თეთრგვარდიული დეპეშათა სააგენტოები და გაზეთები დაწვრილებითს ცნობებს ავრცელებდნენ, თუ როგორ შეიპყრეს და დახვრიტეს თეთრგვარდიელებმა სამხრეთ-რუსეთის საგანგებო კომისარი, მათთვის საძულველი ორჯონიკიძე. ილიჩმა მაშინვე კრემლში მიიპატიჟა სერგო, მიიწვია ჭიქა ჩაიზე სამზარეულოში და გაუბა გულთბილი საუბარი, სწორედ ისე, როგორც ჩვეოდა მარი-როზის ქუჩაზე ცხოვრების წლებში.

...ფანჯრიდან მოჩანდა პარიზი. იდგა მოხალული წაბლის სუნი და თვალს ახარებდა ნაზი მწვანე მოლი დეკემბერში.

სერგო ამბობდა:

— ვლადიმერ ილიჩ, დამიჯერეთ, არავითარი შესაძლებლობა არ მქონდა მეცნობებია თქვენთვის გილიანიდან ჩემი გამომგზავრება, მით უფრო ის, თუ რა სიფრთხილით მოვდიოდი პარიზისაკენ. არ ივარგებდა მიმეცა კიდევ ერთი ზედმეტი საბაბი რუსეთის ჟანდარმერიისა და პოლიტიკური პოლიციის საზღვარგარეთელი აგენტებისათვის. ისწავლეს ჭკუა, უკვე კარგად მუშაობენ. ვიღაც მეტად ზუსტ ინფორმაციას აწვდის მათ. ბაქოელი პარტიული მუშაკების აზრიც ასეთია.

ერთ წუთს დუმილი ჩამოვარდა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — თხოვა ლენინმა.

— გუშინდელი დღიდან უკვე პარიზში ვარ.

ილიჩი საყვედურით შეაცქერდა ორჯონიკიძეს. სერგოსაც თვალი არ მოუშორებია.

— ჯერ კიდევ რეშტში გადავწყვიტე, ჯანდაბას ყოველგვარი ცერემონია და პირობითობა, ვოკზლიდან პირდაპირ გავსწევ ლენინთან-მეთქი. ჩრდილოეთ სადგურის მოედანზე ჩავჯექი ომნიბუსში. ერთი საათი, არა, უფრო მეტი, ალბათ, ორი საათი ვითმინე, სანამ ეს ორსართულიანი საოცრება დიდ ბულვარს გადაკვეთდა და მონსურის პარკამდე მიაღწევდა. სირბილით მივაშურე ბონიეს ქუჩას, ვრეკავ სადარბაზო კარებზე, ჩაქუჩითაც ვაკაკუნებ. ძლივძლივობით გამაგებინეს მეზობლებმა, რომ „მადამ ე მესიე რიუსს ადიე".

ლენინმა ამოიოხრა. —

— „ადიე" — ჯერ კიდევ სანუკვარი ოცნებაა. მიჯაჭვული ვართ პარიზზე. რამდენი ხნით, — არ ვიცი... ჩვენი ცხოვრება ძალიან ნაღვლიანია. როცა სევდა აუტანელი ხდება, ვიგინები,—ეს რა ეშმაკმა გადმოგვაგდო პარიზში.

სერგომ გაოცებისაგან თავი ვეღარ შეიკავა.

— განა პარიზი რუსული პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი არ არის?

— პარიზი არის პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრი, — გაუსწორა ლენინმა. — დიახ, რეაქციის წლებში პარიზი გახდა ემიგრანტული ცხოვრების ცენტრი. აქ უნდა გაჩაღდეს ბრძოლა არქისერიოზული, არქიპრინციპული პარტიისათვის!... მაპატიეთ, სერგო, ლაპარაკი არ დაგაცალეთ! საქმიანი საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ. როცა შეიტყეთ, რომ ბინა გაგიცვალეთ, ბონიეს ქუჩიდან საითკენ გაეშურეთ?

სერგოს ვენაში ერთი ქართველი ემიგრანტისაგან მიცემული ჰქონდა ასეთი

მისამართი — ავენიუ დე გობელენ, მირონი.

გრძელი, ახმაურებული თბილისისებური ეზოს სილრმეში სერგო ავიდა თბილისისებურ ხრახნილ კიბეზე და ხელი კრა კარებს. არც ისე ნათელ, მოუწყობელ დარბაზში იდგა თაროები წიგნებით და მაგიდები რუსული გაზეთებით. სერგოს ერთბაშად გულზე მოეშვა. გამოჩნდა მირონიც, — ემიგრანტული პარტიულ ბიბლიოთეკის გამგე, ხმელ-ხმელი, ბეცი კაცი, რომელმაც უმალვე აუწყა სერგოს, — თუმცა ბოლშევიკებისადმი სიმპათიურად არ ვარ განწყობილი, წიგნებს მაინც არ ვუკავებო. ბიბლიოთეკარისგან სერგომ შეიტყო, რომ ბოლშევიკების შესაკრები ადგილია კაფე ავენიუ დ ორლეანზე. იქ, მეორე სართულის დარბაზში რეფერატებით გამოდიან: ლენინი, ლუნაჩარსკი, კოლონტაი და „კიდევ ვიღაც მათი კომპანიიდანო“.

სერგომ მადლობა გადაუხადა მირონს და, ის იყო, გასასვლელად კარი უნდა გაეღო, მასპინძელმა მიაძახა:

— მოითმინეთ, ყმაწვილო! არ გინდათ დახმარება აღმოგიჩინოთ — პირადად თქვენ? გთხოვთ, დაიმახსოვროთ სამი სიტყვა: ბულვარი მონპარნას, როტონდა. ეს უკვე სულ სხვა კაფეა, ბოჰემურია, არავითარი რეფერატები! იქ იკითხეთ მხატვარი ქალი მიამლინა; პოლიტემიგრანტების საზოგადოების მდივანია და ამასთან თქვენი ლენინის დიდი თაყვანისმცემელიც, სამწუხაროდ! მას ქმარიც ჰყავს, — პოეტი ოსკარ ლეშჩინსკი, პოლტაველი. როტონდა მისთვის საკუთარი სახლივითაა. ბავშვიც იქა ჰყავთ...

როტონდაში — პოეტების, მხატვრების, მუსიკოსების ამ წარმტაც და განუმეორებელ თავშესაფარში სერგოს შემდეგში არა ერთხელ მოუხდება ყოფნა. აქ ის გაეცნობა ბევრ მეტად საინტერესო ადამიანს. შესანიშნავი ახალგაზრდა იყო, კერძოდ, ოსკარ ლეშჩინსკიც, მაგარი აგებულების, ჩასკვნილი ვაუკაცი, სახის ფაქიზი, ინტელიგენტური ნაკვთებით. მალე დაუახლოვდა იგი სერგოს და მის მეგობრებს — ნოე ბუაჩიძეს და სერგეი კიროვს.

ჩვიდმეტი წლის ოსკარი ისე, როგორც სერგო, გამოიქცა ენისეის მხარიდან, — მას მისჯილი ჰქონდა სამუდამო კატორღა, როგორც მეფის ერთ დიდ ჩინოსანზე თავდასხმის მონაწილეს. უფრო ადრე ბიჭუნა ოსკარი მეკავშირეობას უწევდა ბარიკადებზე მებრძოლ მუშათა რაზმებს როსტოვში, — მიქონდა იარაღი, ვაზნები, მედიკამენტები, წყალი, უხვევდა ჭრილობას დაჭრილებს, ზოგჯერ თვითონაც ისროდა.

პარიზში ლეშჩინსკიმ ერთბაშად გაითქვა სახელი, როგორც პოეტმა და ესთეტიკოსმა. გამოაქვეყნა ლექსების წიგნი „სერებრიანნი პეპელ“; ილია ერენბურგთან ერთად (ერენბურგს მეტსახელად ილია ლოხმატის (თმაგაჩეჩილს) ეძახდნენ) სცემდა ჟურნალს „ჰელიოსს“ „(მზეს“). ჟურნალის მუდმივ ავტორებს შორის იყო ა. ვ. ლუნაჩარსკიც. იმავე დროს ლეშჩინსკი სწავლობდა „აკადემია რიუსს“-ის სახვითი ხელოვნების სტუდიაში, რომელიც დააარსა პოლიტიკურ ემიგრანტთა საზოგადოებამ. აკადემიის და ემიგრანტთა საზოგადოების მდივნად მუშაობდა მხატვარი ლიდა მიამლინა, შემდეგ ოსკარის ცოლი. ლიდამ ოსკარი გააცნო ლენინს. ეს ჯგუფი ხშირად აწყობდა ექსკურსიებს ქალაქგარეთ. ოსკარი ბევრჯერ მჯდარა ლენინთან ერთად სამზარეულოში, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ახლა სერგო იჯდა.

ოსკარმა და ლიდამ გაცნობის პირველ საღამოს სერგოს ღამე თავის ბინაში გაათევინეს.

მეორე დილას ოსკარმა სერგო ჩააჯინა იმავე მიმართულებით — მონსურის პარკისაკენ მიმავალ ომნიბუსში, სიცილით აუხსნა, რომ „ილიჩები“ (ასე უწოდებდნენ მეგობრები ლენინსა და კრუპსკაიას) საცხოვრებლად დარჩნენ იმავე რაიონში, ოღონდ ბონიეს ქუჩიდან

გადავიდნენ უფრო წყნარ მარი-როზზედ.

ვლადიმერ ილიჩმა უთხრა სერგოს, აუცილებლად პარიზში უნდა დარჩეთ, პარტიის ბედიღბლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობა მოგველის.

რამდენიმე დღე დასჭირდა იაფი ოთახის შოვნას და სხვა საყოფაცხოვრებო საქმეების მოწესრიგებას. ორჯონიკიძე დაბინავდა მანსარდზე, სენ-ჟაკის ბულვარის მახლობლად, თითქმის რირახოვსკის რუსული სტამბის გვერდით, სადაც ყოველ პარტიას და პოლიტიკურ მიმდინარეობას ჰყავდა თავისი საკუთარი ასოთამწყობი.

ამასობაში ვლადიმერ ილიჩს მოევლინა საუცხოო სიურპრიზი სერგოს გასაცებლად. სწორედ მოევლინა! და ყველას უდიდესი სიხარული განაცდევინა. პირველ წუთში მოულოდნელობისაგან სერგომ უკან დაიხია, მაგრამ უმალ თვითონ კამო გადაეხვია მას: „ნუ გეშინია, ბიჭო, მკვდარი არ გეგონო, ცოცხალი ვარ!“

მართლაც, სასწაულს ჰგავდა ის, რომ კამო პარიზშია, რომ კამო ცოცხალია!

ვიღაც პროვოკატორის დაბეზღებით, კამო შეიპყრეს ბერლინში, დინამიტით სავსე ჩემოდანითურთ. რუსეთის საიდუმლო პოლიციის საზღვარგარეთული აგენტურის მაშინდელმა გამგემ ა. მარტინგმა დაუყოვნებლივ გადასცა თავის გერმანელ კოლეგებს იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ კამო, პასპორტით ავსტრიის ქვეშევრდომი დიმიტრი მირსკი, ნამდვილად — საშიში ტერორისტი და თბილისში მომხდარი ექსპროპრიაციის — ორასორმოცდაათი ათასი მანეთის გატაცების მთავარი მონაწილეა. წრე, თითქოს, უკვე სავსებით შეიკრა.

რუსეთის ჟანდარმერიისათვის გადაცემა, სამხედრო-საველე სასამართლო, სახრჩობელა, — აი რა ელოდა კამოს. და იმ დღიდან კამომ დაიწყო სიგიჟის სიმულაცია.

ჯერ ბერლინში, შემდეგ თბილისში, თითქმის ოთხი წლის მანძილზე, უძლებს წარმოუდგენელ, ურჯულო წამებას. პოლიციის ექსპერტები ადებენ გავარვარებულ რკინის შანთებს გვერდებზე, მთელ სხეულზე, ფრჩხილებში უყრიან ნემსებს, მახათებით ჩხვლეტენ თავსა და ზურგში.

ამ სასტიკი ბრძოლის ჟამს, მთელი ოთხი თვის განმავლობაში, კამო არ დაწოლილა, არ უძინია. დღისით და ღამით ბოლთასა სცემდა პალატაში ან იდგა პირით კუთხისაკენ, კედელზე მიყრდნობილი.

გამოჩენილმა გერმანელმა ფსიქიატრებმა, მედიცინის დოქტორებმა ჰოფმანმა და ლიპმანმა, რომლებიც, სასამართლოს დავალებით, თვალყურს ადევნებდნენ კამოს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასეთი დასკვნა მისცეს სასამართლოს:

„...ეჭვგარეშეა, რომ ბრალდებული სულით ავადმყოფია. მისი ყოფაქცევის დამახასიათებელი თვისებების სიმულირება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელია. ასე უჭირავს თავი მხოლოდ ნამდვილ ავადმყოფს, რომელსაც გონება დაბნედილი აქვს. ამას ზედ ერთვის ფაქტი საჭმელზე უარისთქმისა, რასაც ჯანსაღი ადამიანი ვერ მოიმოქმედებს ასეთი შეუპოვრობით“.

მრავალი წლის შემდეგ, შლისელბურგის ციხის ყოფილმა პატიმრებმა ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარით დაითანხმეს კამო მოკლედ ეამბნა მათთვის, რაც გადახდა და განიცადა... როცა კამომ თავის ამბავი დაამთავრა, გამოჩენილმა რუსმა რევოლუციონერმა, სწავლულმა, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მოროზოვმა შესძახა:

— მე ვამჯობინებ ოცდაერთი წელიწადი მარტოობაში კვლავ ვიჯდე შლისელბურგის საკანში და გადავიტანო ყველა იქაური საშინელება, ვიდრე განვიცადო ის, რაც გადახდომია კამოს ფსიქიატრულ საავადმყოფოებში.

ოთხი წლის წამების შემდეგ, კამო მოახერხა ციხიდან გაქცევა. მის კვალს გაადევნეს მაძებარი ძაღლები. რუსეთის ყოველ კუთხესა და ქალაქში დაგზავნეს „ოხრანკის“ აგენტები. დახმარებისათვის მიმართეს გერმანიის პოლიციასაც. კამო კი იჯდა თბილისის პოლიცმეისტერის სახლის ქვემო სარდაფში და ელოდა ჯალათთა კლანჭებიდან საბოლოო თავდაღწევის წამს.

სამი თვის შემდეგ, ვიღაც თურქეთის ქვეშევრდომმა, რომელსაც ზევით აპრეხილი მბზინავი შავი ულვაშები და ასეთივე შავად მბზინავი თმა ჰქონდა, მესაზღვრეებს თავისი პასპორტი წარუდგინა. თურქს თბილისსა და ბაქოში თავისი კომერციული საქმეები მოეგვარებია და სამშობლოში ბრუნდებოდა. სწორედ ეს „თურქი ნეგოციანტი“ გადახვეოდა ახლა სერგო ორჯონიკიძეს.

საათობით დაეხეტებოდა ორი მეგობარი სენის სანაპიროებზე, პარიზის ბაღებსა და ბულვარებში. ზოგჯერ კი თავს ამოყოფდნენ პარიზის გარეუბნებში — ფონტანეი-ო-როზში ან ჟიუვიზში, — აქ ილიჩმა უჩვენა მათ რამდენიმე წყნარი კუთხე, სადაც შეიძლებოდა დასვენებაც, გარდასული ამბების გახსენებაც და მომავალზე დაფიქრებაც.

კამოს მეტად ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი ქვეყნის ზომავალი. სერგომაც ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის დასტოვა ლენინმა პარიზში. საქმე მაინც გამოულეველი ჰქონდა: ლიტერატურის ტრანსპორტის გაგზავნა რუსეთში, მეცადინეობა ბიბლიოთეკაში, რეფერატები და უკანასკნელ კვირეებში დახმარების გაწევა ვლადიმერ ილიჩისა და ინესა არმანდისათვის პარტიული სკოლის ორგანიზაციის საქმეში.

ბოლშევიკების ძლიერ და საკმაოდ მრავალრიცხოვან პარტიულ ჯგუფში, რომელსაც, სერგო ორჯონიკიძის თქმით, ყოველი მხრიდან ცეცხლს უშენდნენ, ინესამ ერთბაშად დაიჭირა თვალსაჩინო ადგილი: ის იშვიათი მომხიბლაობის და გასაოცარი ენერგიის ქალი იყო. ახლა ინესამ დაიქირავა მთელი სახლი სოფელ ლონჟიუმოში, პარიზიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით.

სოფელს დიდხანს არჩევდნენ და ბოლოს, უპირატესობა მისცეს ლონჟიუმოს, უმთავრესად იმიტომ, რომ იქ არც რუსები და არც მოაგარაკენი არ იმყოფებოდნენ. სოფელი გარშემორტყმული იყო ვრცელი მინდვრებით და ბაღებით. ცხოვრობდნენ აქ უბრალო ადამიანები — გლეხები და ტყავის პატარა ქარხნის მუშები. ყველაფერი აქ ხელს უწყობდა პარტიული სკოლის ორგანიზაციას. მსმენელები უნდა ჩამოსულიყვნენ რუსეთიდან და უკანვე დაბრუნებულიყვნენ არალეგალური მუშაობის გასაჩაღებლად.

ინესასაგან დაქირავებულ სახლში დაბინავდნენ: სერგო, ლენინის კარგი ნაცნობი მუშა — პიტერელი ბ. ა. ბრესლავი (პარტიული ფსევდონიმი ზახარი) და ნიკოლაევსკელი გემთმშენებელი ი. ი. შვარცი (სემიონი). ამათი მეზობლობა რომ შემთხვევითი არ იყო, ეს, ილიჩის გარდა, არავინ იცოდა.

ვლადიმერ ილიჩმა და ნადეჟდა კონსტანტინოვნამ სოფლის მეორე ბოლოში დაიქირავეს თავისთვის ორი ოთახი ორსართულიან ქვის სახლში. იმის შესახებ, თუ სად იყო განზრახული მეცადინეობა, პოლიციის დეპარტამენტის პარიზულ აგენტურას არ დაუყოვნებია დაწვრილებითი ცნობების გაგზავნა პეტერბურგში.

სკოლაში სწავლის დაწყების მეორე დღეს, პოლიციის აგენტებმა პეტერბურგში აფრინეს ახალი შიფრი:

„მიღებული ცნობების მიხედვით, სოციალ-დემოკრატების პირველი საერთო პარტიული სკოლა გაიხსნა ა. წ. 20 ივნისს. ამჟამად სკოლაში მეცადინეობს რუსეთიდან ჩამოსული ათიოდე მოწაფე. მოელიან კიდევ 5—6 კაცის ჩამოსვლას. გარდა ჩამოსულებისა, სკოლაში სამაცადინოდ შევიდნენ პარტიის პარი-

ზელი წევრები: ვინმე „სერგო“, ვიღაც მუშა სემიონი... და ერთი ქალიც — ინესა, რომელთა გვარები და სახელები ჯერჯერობით გამორკვეული არ არის.“

პარტიულ სკოლაში ბევრს და გულმოდგინედ მეცადინეობდნენ. ლენინი კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის კურსს, სოციალიზმის თეორიას და პრაქტიკას, ლექციებს აგრარულ საკითხებზე.

საღამოობით მსმენელებს და ლექტორებს უყვარდათ გასეირნება ველ-მინდვრებზე. რუსული ჩვეულების თანახმად ბიწვებოდნენ ხოლმე თივის ზვინების ძირში, საუბრობდნენ ყველაფერზე, რაც კი გაახსენდებოდათ, საუბარს ცვლიდა სიმღერები. უფრო ვიწრო წრე — „ილიჩები“, არმანდი, სერგო, ლუნაჩარსკი დადიოდნენ სპექტაკლებზე, მეტწილად, პარიზის გარეუბნის თეატრებში. იქ ხშირად დგამდნენ პიესებს, რომელთა დადგმა ქალაქის ცენტრში აკრძალული იყო. უპირატესობას აძლევდნენ გეტეს ქუჩაზე მდებარე მუშათა თეატრს, სადაც კომუნარ მონტგიუსის ვაჟი ასრულებდა რევოლუციურ სიმღერებს. მაყურებელთა დარბაზიდან მის სიმღერას მწყობრად ბანს აწევდნენ გარეუბნის მუშები — ფობურები.

ინესას დაჟინებით კონცერტების გასამართავადაც პოულობდნენ დროს. თავათ ის როიალზე უკრავდა და ყოველთვის უპირატესობას ბეთჰოვენს აძლევდა. როცა სერგო ძალიან კარგ გუნებაზე იყო, ინესას აკომპანიმენტზე მღეროდა ქართულ სიმღერებს.

ერთხელ, იმპროვიზირებული კონცერტის შემდეგ, ლენინმა შესთავაზა სერგოს — გავისეირნოთო. ის იყო, მარტოდ დარჩნენ, ილიჩმა ჰკითხა სერგოს:

— როგორ შეხვდებოდით თქვენ წინადადებას გამგზავრებულიყავით რუსეთში?

სერგო აენთო.

— ვლადიმერ ილიჩ, ეს რა საკითხავია... განა დარწმუნებული არა ხართ?!

ლენინმა სერგოს მკლავში ხელი გამოსდო და პირველად, ჩვეულებრივი მიმართვის „ამხანაგოს“ ნაცვლად, გულთბილად უთხრა:

— ძვირფასო მეგობარო! ახლა ჩემი დარწმუნება გვიანღაა! დღეს საზღვარგარეთ მცხოვრებ ცკ-ის წევრთა თათბირზე, მე, როგორც იქნა, ბივიღე თანხმობა გავგზავნოთ რუსეთში რწმუნებული. გაემგზავრებით თქვენ, თქვენთან ერთად სემიონი და ზახარიც. ჩამოაყალიბებთ რუსეთის საორგანიზაციო კომისიას. არქიენერგიულად შეუდგებით პარტიული კონფერენციის მომზადებას. ეს კონფერენცია სამუდამოდ ბოლოს მოუღებს მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების ნაშთებს და აღადგენს ჩვენს რევოლუციურს ბოლშევიკურ პარტიას. მე ხაზს ვუსვამ, — აღადგენს, რადგან ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა, როგორც პოლიტიკური პარტია, არსებობს 1903 წლიდან.

შეჩერდნენ ილიჩის ნაცნობის, მოხალული წაბლის გაბყიდველის ფარდულთან. სერგომ, იმერული ჩვეულებისამებრ, ჯიბეები წაბლით გაიტენა. ილიჩს გაეღიმა. იქნებ, გაახსენდა როგორ გაგზავნა ერთხელ დილაადრიანად ნადეჟდა კონსტანტინოვნა მიხა ცხაკაიასთან იმის შესამოწმებლად, მართალია თუ არა ხმები, რომ მიხა უფულოდაა, რომ არავის არ უმხელს თავის გაჭირვებას და იკვებება მარტო წაბლით, ისიც ნედლი, მოუხარშავი წაბლით. ნადეჟდა კონსტანტინოვნამ მიუსწრო ბიხას მაგიდის წინ მჯდარს, რაღაცას წერდა, მაგიდის ირგვლივ ეწყო წაბლები. „დანაშაულში“ დაჭერილი მიხა დაუყოვნებლივ მიგვარეს ილიჩს; მიხა გამოტყდა, სეირნობისას, მართლაც, ვაგროვებ წაბლს! ძალიან მიყვარს კრიალოსანივით მისი მარცვლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რამეზე ღრმად ვარ ჩაფიქრებულიო. ტყის წაბლით საზრდოობა, აბა ვის გაუგონიაო?

უკან გამობრუნდნენ. ისევ ნელი ნაბიჯით ჩაუყვნენ ბულვარის დაღმართს. ლენინი განაგრძობდა საუბარს თემაზე, რომელიც ორივეს აღელვებდა.

— თავს ნუ შოვიტყუებთ! — ამბობდა ილიჩი. — რღვევა და მერყეობა მეტისმეტად გაძლიერდა. ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან არა მარტო კრებული „ვეხი"-ს — ბურჟუაზიული რენეგატობის ამ ენციკლოპედიის ავტორები. ჩვენი მოწინააღმდეგების ბანაკში არიან მემარჯვენე ლიკვიდატორებიც, რომლებიც ცდილობენ მიიღონ ლეგალური სტოლიპინური მუშათა პარტიის დაარსების ნებართვა, ლიკვიდატორებიც „მარცხნიდან", ფრაზის რევოლუციონერებიც — ოტზივისტები და „ფრაქციის გარეთ" მყოფი თაყვანისმცემელნიც ტროცკისა... ადგილებზე „ოხრანკის" მიერ დარბეულია პარტიული ორგანიზაციები... არ დაგავიწყდეთ, რომ შეფის მთავრობასაც ზურგზე კიდია 1905 წლის გამოცდილება. ახლა იგი პროვოკატორის ხშირ ქსელს ბლანდავს მუშათა ორგანიზაციების გარშემო... ისინი ძველი შპიკები როდი არიან, ქუჩის კუთხეებში რომ იყვნენ აყუდებულნი! თქვენ მათ წააწყდებით უმალვე, როგორც კი შეუდგებით მუშაობას რუსეთში.

ვადებში ვლადიმერ ილიჩი შეცდა. სერგო ჯერ კიდევ პარიზში იყო, როცა პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტის სამხრეთ განყოფილებას უკვე ხელთ ჰქონდა ფრაზად საინტერესო ცნობები ლონდონიდან. გენერალს, დეპარტამენტის დირექტორს, წამახული — მწვანე ფანქრით ორჯერ ჰქონდა ხაზგასმული უკიდურესი შეშფოთების გამომწვევი სტრიქონები: „გვაქვს სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ისიც გამოგზავნილია ლენინის მიერ რუსეთში საგანგებო ინსტრუქციებით!"[1]

იმ ტექსტიდან, რომელიც ამ სტრიქონებს წინ უძღვის, ადვილად მისახვედრია, რომ „ისიც" — ეს გახლავთ... სერგო, ეროვნებით ქართველი ან სომეხი, მრწამსით —მგზნებარე ლენინელი; მისი ნიშნებია: დაახლოებით 26—28 წლისაა დაბადებიდან, საშუალო სიმაღლისა და აგებულებისა, მოგრძო ხმელი სახე აქვს, შავგვრემანია, წვერი და ულვაში მოპარსული აქვს, თმა უკან გადავარცხნილი; ატარებს შავს კოსტუმს, თეთრ ჩალის ქუდს, შტიბლეტებს; როგორც ჩანს, ინტელიგენტია, კარგი გარეგნობა აქვს. განაცხადა ყელი და ყურა მტკივაო და ლონჟიმოდან პარიზს წავიდა თითქოსდა ოპერაციის გასაკეთებლად..."

ჩვენთვის ცნობილია, რომ სერგო პარიზიდან მიემგზავრებოდა რუსეთის არალეგარულ პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციის მოსამზადებლად. ლენინის მოსწრებული შენიშვნით, „ამხანაგებს, რომლებმაც ხელი მოკიდეს კონფერენციის ორგანიზაციას, მეფის ხელისუფალნი ისეთი გულმოდგინებით დევნიდნენ, რომ კაცს ეგონებოდა — მთავრობა მიიჩნევს თავის პირად შეურაცხყოფად, თუ კონფერენცია შესდგება და ჩვენი სოციალდემოკრატიული პარტია საბოლოოდ აღდგება".

კონფერენცია შესდგა. ისტორიული პრაღის კონფერენცია!...

---

[1] პროვოკატორი ყოყმანობს სერგოს ეროვნული ვინაობის გარკვევაში, არ იცის დანამდვილებით „ქართველია თუ სომეხი". როგორც ჩანს, პარიზის პოლიციის პრეფექტის კანცელარიაში პროვოკატორმა შეიტყო, რომ სერგომ იქირავა ოთახი მადამ **მარანდის** პანსიონატში ირანის ქვეშევრდომის — ქ. თებრიზში დაბადებული სომეხის სარქის ნაზარიანცის სახელზე. ორჯონიკიძემ ეს პასპორტი მიიღო ენზელიდან გამომგზავრების წინ საზოგადოება „კავკაზი მერკურის" კონტორის მოსამსახურის ალექსეი ორეშკოვისაგან, რომელიც დახმარებას უწევდა ბოლშევიკებს. სერგო ნაზარიანცის პასპორტით ორჯონიკიძე გამოცხადდა ბაქოში ირანის კონსულთან და ამანაც ნაზარიანცის პასპორტს დაადო ვიზა, რაც აუცილებელი იყო მოგზაურობის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ. შაჰინშაჰის უბედნიერესი ქვეშევრდომის როლში სერგომ დაუბრკოლებლად გადალახა რუსეთ-ავსტრიის საზღვარი, რამდენიმე ხანი დაჰყო ვენაში და ბოლოს, დაბინავდა პარიზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ინნაკირველი

დიდი რუსი მოაზროვნე

ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი მსოფლიოს პროგრესული აზროვნების განვითარების ისტორიაში შევიდა როგორც XIX საუკუნის რუსეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, მწერალი და რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწე. იგი ითვლება ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული ეტაპის მოღვაწედ, „რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში“.[1] მისი მსოფლმხედველობა, მკაფიოდ ასახავდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების შეცვლის აუცილებლობას, ყალიბდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისის, კაპიტალისტური წყობის განუხრელად განვითარებისა და ხალხთა მასების ანტიბატონყმური, რევოლუციური მოძრაობის გამწვავების ვითარებაში.

* * *

გერცენის რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძველს შეადგენდა მისი მატერიალისტური ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ძირითადად უკვე 40-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ბელინსკისთან ერთად გერცენი ითვლება მარქსამდელი მატერიალიზმისა და რევოლუციური დიალექტიკის უმაღლესი ფორმის— XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის ფუძემდებლად. აფასებდა რა გერცენს როგორც ფილოსოფოსს, ვ. ი. ლენინი წერდა: „XIX საუკუნის 40-ანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა“.[1]

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაჭრაში გერცენი გამოდის იდეალიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლ მტკიცე მატერიალისტად და ათეისტად. იგი აღიარებს მატერიალური სამყაროს, ბუნების ობიექტურობას. „საგნის არსებობა ხუმრობა როდია, — წერს გერცენი თავის ნაშრომში — „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“..— „ჩვენი გარემომცველი საგნები არ შეიძლება ჭეშმარიტნი არ იყვნენ უკვე იმიტომ, რომ ისინი არსებობენ“.[2]

იმავე ნაშრომში ვხვდებით მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის საფუძვლიან მატერიალისტურ დასაბუთებას. გერცენი აკრიტიკებს ჰეგელისა და შელინგის იდეალისტურ თეორიებს და ამტკიცებს, რომ სამყარო მატერიალური და პირველადია ცნობიერების მიმართ. „უდავოა, — წერს იგი, —

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 11.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 12.

2. ა. ი. გერცენი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. I, გვ 137—138, სახელგამი; 1953 წ.

რომ გარეგანი სამყაროს მოვლენები ჭეშმარიტია, და იდეალიზმის მხრივ ამის აღიარების უუნარობა მისი ცალმხრიობის ძლიერი დამამტკიცებელი საბუთია".[1] და შემდეგ: „ცნობიერება სრულებითაც არ არის ბუნებისათვის გარეშე რამ, არამედ მისი განვითარების უმაღლესი ხარისხია".[2]

გერცენი მატერიალისტურად წყვეტს ობიექტური სამყაროს შეცნობადობის საკითხსაც. იგი გამოდის ყოველგვარი აგნოსტიციზმის წინააღმდეგ და ამტკიცებს ადამიანის მიერ რეალური მატერიალური სამყაროს და მისი განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის შესაძლებლობას. მისი კრიტიკა მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა გარკვეულ ჩარჩოებში წარმოედგინა ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობანი და წერდა: „...ასეთი საზღვრები უსაფუძვლოა".[3] იგი მოითხოვს რეალური სინამდვილის შესწავლას, ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებას შორის კავშირის დამყარებას: „ფილოსოფია უბუნებისმეტყველებოდ ისევე შეუძლებელია, როგორც ბუნებისმეტყველება უფილოსოფიოდ".[4]

მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა გერცენი ვერ მიდის პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების საზომის, აღიარებამდე, რითაც ამჟღავნებს თავისი მსოფლმხედველობის შეზღუდულობას. მის მატერიალისტურ შეხედულებათა სხვა სუსტ მხარეებს მიეკუთვნება ისიც, რომ იგი იდეალიზმს აიგივებდა რაციონალიზმთან, ხოლო მატერიალიზმს — ემპირიზმთან.

მეორე მხრივ, გერცენის ფილოსოფია ხასიათდება ბუნების საგნებსა და მოვლენებზე დიალექტიკური შეხედულებით. მისი დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მან გაავრცელა დიალექტიკა ადამიანთა საზოგადოების მოვლენებზეც. „ვერც კაცობრიობას, ვერც ბუნებას ვერ გაიგებთ ისტორიული განვითარების გარეშე[1]", — წერდა იგი.

გერცენი ცდილობდა გამოეყენებინა დიალექტიკა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან დიალექტიკა გაიგო, როგორც საზოგადოებაში რევოლუციურ გადატრიალებათა საფუძველი, როგორც „რევოლუციის ალგებრა".

მაგრამ გერცენის დიალექტიკა, ისევე როგორც მისი მატერიალიზმი, ისტორიულად შეზღუდული იყო. მიუხედავად გერცენის ფილოსოფიურ შეხედულებათა პროგრესულობისა, იგი ვერ გახდა დიალექტიკური მატერიალისტი, ვერ შეძლო დიალექტიკისა და მატერიალიზმის შეერთება, მთლიანად ვერ გადალახა იდეალისტური შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვერ მოახერხა მატერიალიზმის გავრცელება ადამიანთა საზოგადოების მოვლენებზე. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა გერცენის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა: „გერცენი უშუალოდ მოვიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე".[2]

* * *

ნიკოლოზ I რუსეთში დამყარებული საყოველთაო რეაქციისა და უსასტიკესი ცენზურის პირობებში გერცენს არ შეეძლო აშკარად გამოეთქვა თავისი შეხედულებანი, მაგრამ მის ხელთ იყო მხატვრული სიტყვა, რომელიც მან გამოიყენა ბატონყმური ყოფა-ცხოვრების სიმახინჯის, მემამულეთა თვითნებობისა და გლეხთა უუფლებო მდგომარეობის გამოსახატავად. გერცენის რწმენით, ლიტერატურა იმ ხალხისათვის, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური თავისუფლება, ერთადერთი ტრიბუნაა, საიდანაც მას შეუძლია გააგონოს თავისი „აღშფოთებისა და სინდისის ხმა". რომანში — „ვინ არის

1 ა. ი. გერცენი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. I, გვ. 360, სახელგამი 1953 წ.
2. იქვე, გვ. 177.
3. იქვე. გვ. 135.
4. იქვე, გვ. 132.

1. იქვე, გვ 180.
2. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 12.

დამნაშავე?“, მოთხრობებში „ქურდი კაჭკაჭი“, „ექიმი კრუპოვი“ და სხვ. გერცენი გვიხატავს მებატონეთა პარაზიტული ცხოვრების ნათელ სურათებს, მათ გარყვნილობას, სისასტიკეს და თვითნებობას ყმა-გლეხთა მიმართ.

დიდი შემოქმედებითი ძალით აქვს შესრულებული გერცენს ბატონყმური სინამდვილის კრიტიკულ-რეალისტური ასახვა რომანში „ვინ არის დამნაშავე?“, რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1845 წელს. მწერალი ნათლად უჩვენებს მკითხველს მემამულური ყოფა-ცხოვრების მთელ სიმახინჯეს და ამორალურ ხასიათს. მემამულეების ნეგროვების და მაზრის წინამძღოლის კარპ კონდრატიევიჩის მაგალითზე გერცენი შემდეგი სიტყვებით აღწერს თავადაზნაურობის პარაზიტული ცხოვრების უაზრობასა და სიცარიელეს: „რატომ დგებოდნენ ეს ადამიანები ლოგინიდან, რატომ მოძრაობდნენ, რისთვის ცხოვრობდნენ, — ძნელი იქნებოდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა“.

გარყვნილება და უმეცრება, მემამულეთა უხეშობა და თავაწყვეტილი თარეში ყმების მიმართ ასევე მკაფიოდ არის ასახული ამ რომანში. რა თქმა უნდა, ცენზურას დაქვემდებარებულ ნაწარმოებში ავტორს არ შეეძლო პირდაპირ ეწოდებინა მემამულეებისათვის მჩაგვრელები ან ექსპლოატატორები, მაგრამ მათი უარყოფითი და სატირული დახასიათების მეშვეობით უშუალოდ მიჰყავდა მკითხველი ამ დასკვნამდე. მაგალითად, რომანის ერთ ადგილას გერცენი წერს, რომ მემამულე ქალის მარია სტეპანოვნას მარჯვენა ხელი ისევე აწითლებულია, როგორც შინაყმა ტერეშკას მარცხენა ლოყა. მეორე ადგილას მოთხრობილია, თუ როგორ შეიძულა გუბერნატორმა ექიმი კრუციფერსკი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა არ მისცა ცნობა ცემით მოკლული ყმის ვითომდა ბუნებრივი სიკვდილის შესახებ. საერთოდ კი გლეხთა მდგომარეობის შესახებ ავტორი მრავლისმეტყველად შენიშნავს: „გლეხების შესახებ არ ვიცი, ისინი სდუმდნენ“.

ვინ არის დამნაშავე — ადამიანთა ცხოვრების ყველა ტრაგედიასა და უბედურებაში? — ასე აყენებს საკითხს ავტორი თავის რომანის სათაურში, და დაკვირვებულ მკითხველს ებადება პასუხი: არსებული წყობილება, ბატონყმური ურთიერთობა!

სხვა სოციალურ საკითხებთან ერთად, დასახელებულ რომანში გერცენი ეხება ბატონყმურ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობისა და მისი განთავისუფლების პრობლემას; ამ საკითხს იგი ავითარებს მოთხრობაში „ქურდი კაჭკაჭი“, რომელიც დაიწერა 1845 წელს და რომელიც ბელინსკის სიტყვებით „ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს“.

ამ ნაწარმოებში მოთხრობილია, რომ მემამულე თავადს სკალინსკის ყავდა მისი შინაყმებისაგან შემდგარი თეატრალური დასი, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბრწყინვალე მსახიობი ქალი ანეტა. იგი საშინელ დევნას განიცდიდა გარყვნილი თავადის მხრივ, იმის გამო, რომ მისი საყვარელი არ გახდა. საბოლოოდ მსახიობი ტრაგიკულად იღუპება როგორც ბატონყმობის ერთ-ერთი მსხვერპლი.

ამგვარ ფონზე ჩანს გერცენის მოთხოვნა რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის შესახებ, საერთოდ, და ქალის განთავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, კერძოდ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ადრინდელ მოთხრობაში „ელენა“, გერცენმა დახატა დაჩაგრული ქალის სახე და აღშფოთებით განაცხადა: „უცნაური საქმეა! ქრისტიანობის ცხრამეტმა საუკუნემ ვერ ასწავლა ხალხს ეცნოთ ქალი ადამიანად. თითქოს უფრო ძნელი მისახვედრია, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, მაგრამ იდავეს და შეთანხმდნენ; ის კი, რომ ქალი ადამიანია — მათ თავში არ ეტევა“.

თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგი მახვილი პამფლეტია აგრეთვე გერცენის სატირული

მოთხრობა „ექიმი კრუპოვი“, რომელიც პირველად 1847 წელს დაიბეჭდა. რუსეთის სინამდვილეზე დაკვირვებამ ნაწარმოების გმირი მიიყვანა იმ შეხედულებამდე, რომ თანამედროვე საზოგადოებას ბევრი რამ აქვს საერთო საგიჟეთთან.

ხშირია მოთხრობებში ისეთი ადგილები, სადაც ავტორი მკითხველებში ბადებს აზრს მემამულეების სისასტიკის, გარყვნილობისა და პარაზიტიზმის შესახებ. მაგალითად, ბატონის სახლისკენ მიმავალ ექიმ კრუპოვს ეუბნებიან: „ნუ წახვალ, მიგტყეპავენ“. იქვე ავტორი წერს, რომ ახალგაზრდა ბატონი ხშირად უსაქმოდ დახეტიალობს მინდვრებში, „განსაკუთრებით სადაც გლეხის გოგოები მუშაობენ“. მემამულე თედორე გრიგორევიჩზე მოთხრობაში წერია: „იგი ერთადერთია, რომელიც არაფერს არ აკეთებს, მაგრამ სარგებლობას ყველაზე მეტს ღებულობს“.

* * *

გერცენის რევოლუციური და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის გაფურჩქვნა იწყება 1852 წლიდან, როდესაც იგი საცხოვრებლად გადავიდა ინგლისში. 1853 წელს ლონდონში მყოფი პოლონელი დემოკრატ-ემიგრანტების დახმარებით მან განახორციელა დიდი ხნის ოცნება და მოაწყო რუსული სტამბა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში.

1855 წლიდან გერცენმა გადაწყვიტა პერიოდული ალმანახის „პოლიარნაია ზვეზდის“ გამოცემა. როგორც ცნობილია, თავის დროზე ამ სახელწოდებით გამოდიოდა დეკაბრისტების — რილეევისა და ბესტუჟევის ალმანახი. ამით გერცენს უნდოდა ხაზი გაესვა, რომ დეკაბრისტებსა და მის მოღვაწეობას შორის არსებობს შინაგანი კავშირი საერთო პრინციპების საფუძველზე. მაგრამ არა მარტო სახელწოდება, არამედ აგრეთვე გერცენის ჟურნალის შინაარსი და მიმართულება ადასტურებდა, რომ „პოლიარნაია ზვეზდამ“ აამაღლა და განავითარა დეკაბრისტების საუკეთესო ტრადიციები. მასში იბეჭდებოდა მასალები რუსეთის ცხოვრების ყველაზე თანადროულ, აქტუალურ საკითხებზე, ცენზურის გარეშე თავისუფალ რუსულ ენაზე. მისი გამოცემები ფარულად ვრცელდებოდა რუსეთში და იძენდა მკითხველთა ფართო წრეს, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

თავის ერთგულ მეგობარ ნ. პ. ოგარიოვთან ერთად, რომელიც 1856 წელს ჩავიდა ლონდონს, გერცენმა გადაწყვიტა გამოეცა ყოველთვიური გაზეთი „კოლოკოლი“, რათა სწრაფად და უშუალოდ გამოხმაურებოდა რუსეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და, რაც მთავარია, შესაძლებლობა ჰქონოდა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე პრაქტიკული ზემოქმედება მოეხდინა.

გერცენი აღნიშნავდა, რომ მისი „კოლოკოლი“ დაიწყებს ზარის ცემას რუსეთში ჩადენილ ყოველგვარ უსამართლობათა გამო. აღსანიშნავია, რომ ეს დაპირება მან პირნათლად შეასრულა. რუსეთში არსებული „მონური დუმილი“ დარღვეული იქნა ჯერ კიდევ „პოლიარნაია ზვეზდის“ გამოცემით, ხოლო 1857 წლის ივნისიდან, როდესაც გამოვიდა „კოლოკოლის“ პირველი ნომერი, გერცენი, ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან, უკვე სერიოზულ ბრძოლას აწარმოებს ბატონყმური რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესების წინააღმდეგ.

მიუხედავად ლიბერალური მერყეობისა, გლეხობის საკითხში გერცენი ძირითადად დემოკრატიულ პოზიციებზე იდგა. „კოლოკოლი“ თავის ფურცლებზე სისტემატურად ააშკარავებდა მემამულეთა თვითნებობას, ყმათა დაუნდობელ ექსპლოატაციას და ჩაგრულ გლეხობის მათხოვრულ არსებობას. გერცენი და ოგარიოვი სასტიკად კიცხავდნენ მთავრობას საგლეხო რეფორ-

მის მომზადების შეგვიანებისათვის, აკრიტიკებდნენ მმართველი წრეებისა და ლიბერალების მიერ წამოყენებულ განთავისუფლების სხვადასხვა პროექტებს. ბეჭდავდნენ საკუთარ პროექტებს, მოითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის გადაცემას.

ისევე როგორც ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაში, ეროვნულ საკითხშიც გერცენი „კოლოკოლის" ფურცლებზე და სხვა გამოცემებშიც გვევლინება თავისი დროის მოწინავე მოაზროვნედ და თანმიმდევრულ რევოლუციონერად და დემოკრატად.

გერცენის რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში განსაკუთრებით ნათლად და თვალსაჩინოდ გამოვლინდა მის პოზიციაში პოლონეთის საკითხის გამო. მისი ბრძოლა პოლონელი ხალხის განთავისუფლებისათვის მჭიდროდაა დაკავშირებული რევოლუციურ მოღვაწეობასთან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ბრძოლასთან ყველა ხალხის თანასწორობისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემთხვევითი არაა, აღნიშნავდა იგი, რომ პოლონეთის საკითხი, ისე როგორც გლეხთა გათავისუფლების საქმე, საფუძვლად დაედო თავისუფალი რუსული სტამბის მოღვაწეობას. გერცენი არ ცნობდა მეფის რუსეთის უფლებას პოლონეთზე, მისი შემოერთება მიაჩნდა ყოვლად გაუმართლებელი ძალადობის აქტად იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად იარსებოს. იგი ხაზს უსვამდა, რომ რუსი ხალხი თვითონ ხელფეხშეკრულია, გმინავს თვითმპყრობელობის უღელქვეშ და ამიტომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის მმართველი წრეების მიერ პოლონეთის მიმართ ჩადენილ დანაშაულში.

პოლონეთის 1863 წლის აჯანყებისადმი თავისი დამოკიდებულებით გერცენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი იყო სავსებით ჩამოყალიბებული რევოლუციონერი დემოკრატი, რომელსაც შეუძლია სწორად შეაფასოს და ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს დამონებული ხალხის ბრძოლას მჩაგვრელების წინააღმდეგ. რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს იგი არწმუნებდა არ აღემართათ იარაღი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი პოლონელების წინააღმდეგ. „კოლოკოლში" მოთავსებულ სტატიებში გერცენი მიესალმა პოლონეთში დაწყებულ აჯანყებას და ხოტბას ასხამდა მის მონაწილეთა მამაცობას.

რუსეთის რევოლუციური დემოკრატია იზიარებდა გერცენის შეხედულებებს პოლონეთის საკითხში, თუმცა გაძლიერებული რეაქციის პირობებში არ შეეძლო აშკარად გამოსულიყო პრესაში. რაც შეეხება რეაქციულ-ლიბერალური წრეების შეხედულებათა გამომხატველ ოფიციალურ პრესას, ის მხარს უჭერდა მთავრობის პოლიტიკას პოლონეთში, ხოლო გერცენს სამშობლოს მოღალატედ აცხადებდა. მაგრამ გერცენი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და განაგრძობდა ბრძოლას რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან. „როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს, პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა „განათლებულმა საზოგადოებამ" ზურგი შეაქცია „კოლოკოლს", გერცენი არ შემდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II მსახურ დამწყნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამათრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება"[1]

* * *

გერცენის, როგორც თავადაზნაურული წრიდან გამოსული რევოლუციონერის, შეზღუდულობა გამომჟღავნდა საგლეხო რეფორმის მისი არათანამიმდევრული და გადაჭარბებული შეფასებით. მაგრამ საგულისხმოა, რომ სწორედ 1861 წლის რეფორმამ შეასრულა გა-

1. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 17.

დამწყვეტი როლი გერცენის მიერ თავისი ლიბერალური ილუზიების საბოლოოდ უარყოფისა და თანმიმდევრული რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებზე მისი გადასვლის საქმეში.

გერცენი იწყებს აქტიურ ბრძოლას „ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა“.[1] აიღო რა ორიენტაცია მასობრივ მკითხველზე 1861 წლის ბოლოდან გერცენმა გაადიდა „კოლოკოლის“ გამოცემა. გაზეთი ხშირად გამოდის ორმაგი ფორმით. ზოგჯერ კი —ყოველკვირეულად. მისი სპეციალური დამატების სახით გამოსვლას იწყებს ფურცელი „საერთო ვეჩე“, რომელიც ძირითადად გათვალისწინებული იყო გლეხობისა და რაზნოჩინელებისათვის.

ამ პერიოდში გერცენის რევოლუციურმა მოღვაწეობამ აყვავების წერტილს მიაღწია. მან მაღლა ასწია და მტკიცედ ეჭირა ხელში საძულველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დიადი დროშა. გერცენის სიდიადე იმაშიც გამომჟღავნდა, რომ მან ღირსეულად შეაფასა რუსეთში რევოლუციური ბრძოლის ისტორიულ ასპარეზზე გამოსული რევოლუციონერების ახალი თაობის — რაზნოჩინელების როლი და მნიშვნელობა. როგორც რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული პერიოდის გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელმაც გზა გაუკაფა რაზნოჩინელებს, გერცენი შეგნებულად უთმობს ამ უკანასკნელთ მოწინავე, წამყვან როლს ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნებისათვის შემდგომ ბრძოლაში.

ამიტომ უწოდებს იგი რაზნოჩინელებს „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანებს“, ხოლო მათ ბელადს ნიკოლოზ ჩერნიშევსკის — ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული „ახალი რუსეთის წარმომადგენელს“, დიდ რევოლუციონერს და თავისი დროის „ყველაზე გამოჩენილ პუბლიცისტს“. ასევე თანაგრძნობით ლაპარაკობდა გერცენი ჩერნიშევსკის უახლოესი თანამებრძოლების — დობროლუბოვის, სერნო-სოლოვიოვიჩის, მიხაილოვისა და სხვათა შესახებ.

რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის მოწინავე წარმომადგენლებისადმი გერცენის დამოკიდებულების ზემოაღნიშნული ფაქტები, განსაკუთრებით კი მთელი მისი პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობა 1861 წლის რეფორმის შემდეგ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ამ პერიოდისათვის გერცენმა უკვე გადალახა თავადაზნაურული რევოლუციონერის კლასობრივი შეზღუდულობა და ჩერნიშევსკისთან ერთად გახდა გლეხური რევოლუციის მედროშე. უკანასკნელ წლებში საბჭოთა მკვლევარების მიერ აღმოჩენილი უტყუარი მასალები მოწმობენ, რომ გერცენსა და ოგარიოვს კავშირი ჰქონდათ 60-იანი წლების არალეგალურ პრაქტიკულ-რევოლუციურ ორგანიზაციასთან— („Земля и воля“); მათ აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ამ ორგანიზაციის პროგრამის, შეიარაღებული აჯანყების იდეისა და ტაქტიკური გეგმის შემუშავებაში.

მაგრამ, როგორც ცნობილია, 50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების დასაწყისის რევოლუციური სიტუაცია არ გადაზრდილა რევოლუციურ აჯანყებად. რუსეთში შესამჩნევია რეაქციის გაძლიერება. მთავრობამ დააპატიმრა ჩერნიშევსკი, დახურა ჟურნალი „სოვრემენიკი“.

შექმნილ ვითარებაში „კოლოკოლის“ გავლენა რუსეთში და მასზე მოთხოვნილება მკვეთრად შემცირდა. მკითხველები და კორესპონდენტები რევოლუციურ-დემოკრატიული წრეებიდან კატორღაში, საპატიმროებში ან სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხოლო მემამულურ-ლიბერალური წრის მკითხველებმა გერცენთან ყოველგვარი კავშირურთიერთობა გაწყვი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 18.

ტეს. გერცენმა შეამცირა თავისი გამოცემები და 1865 წლიდან „კოლოკოლის“ გამოცემა გადაიტანა ჟენევაში. იგი თვლიდა, რომ რევოლუციონერთა ახალი თაობა — რაზნოჩინელები რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალი, პროგრესული ძალაა, თავისი ისტორიული მისია კი, ისევე როგორც „კოლოკოლის“ მისია, მას შესრულებულად მიაჩნდა.

ამიტომ 1867 წლის 1 ივლისს „კოლოკოლმა“ შეწყვიტა თავისი არსებობა. ზუსტად ათი წლის განმავლობაში გამოდიოდა ეს ცნობილი გაზეთი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რევოლუციური აგიტაციის გაშლის საქმეში. მისი გამოცემა, საზღვარგარეთ თავისუფალი რუსული სტამბის შექმნის მთელ საქმესთან ერთად, გერცენის უდიდესი დამსახურებაა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინაშე.

* * *

გერცენის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და მისი რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი ცხადყოფენ, რომ საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციური თეორიის ძიებაში იგი იმ გზით მიდიოდა, რომელსაც აუცილებლად მჭიდროდ უნდა დაეახლოებინა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დარწმუნდა გერცენი მარქსიზმის, როგორც ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე რაზმის — მუშათა კლასის მსოფლმხედველობის, მთელ ძალასა და ისტორიულ როლში. მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობით კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობამ, რომელიც შეუდგა მუშათა „ლაშქრის შეკრებას“, „მუშათა სამყაროს“ გაერთიანებას, უდიდესი გავლენა მოახდინა გერცენზე. მის შეხედულებებში უკვე იგრძნობა მკვეთრი გადასვლა „ზეკლასობრივი“ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის მკაცრ, განუხრელ, უძლეველ კლასობრივ ბრძოლაზე“.[1]

ამას ამტკიცებს გერცენის 1869 წელს დაწერილი „წერილები ძველი მეგობრისადმი“; ამ წერილებში გერცენი პრინციპულად ემიჯნება ბაკუნინს საზოგადოებრივი გარდაქმნის ყველა უმთავრეს საკითხში, ულმობლად გმობს მის ანარქისტულ ტაქტიკას. ვ. ი. ლენინის თქმით ბაკუნინთან კავშირს რომ წყვეტდა, „გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ინტერნაციონალს. იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი“.[2]

გერცენის მოღვაწეობის გენიალური ამომწურავი შეფასება მოგვცა ვ. ი ლენინმა 1912 წელს დაწერილ სტატიაში „გერცენის ხსოვნას“, რომელშიც იგი დახასიათებულია, როგორც XIX საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის გამოჩენილი წარმომადგენელი და რევოლუციური დიალექტიკის ოსტატი, როგორც ხალხის ინტერესების დამცველი და რევოლუციური ბრძოლის მედროშე, როგორც ხალხთა თავისუფლების, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის მქადაგებელი და დიდი ინტერნაციონალისტი. ბელინსკისთან, დობროლუბოვსა და ჩერნიშევსკისთან ერთად იგი წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედს. ამიტომ ასე დიდად აფასებენ საბჭოთა ადამიანები გერცენის იდეურ მემკვიდრეობას.

---

1. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ. 18, გვ. 13.
2. იქვე, გვ. 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. სააკაძე

გერცენი და საქართველო

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი აღნიშნავს დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ალექსანდრე ივანეს ძე გერცენის დაბადების 150 წლისთავს.

ქართველი ერის მოწინავე შვილებს წილად ხვდათ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში პირადად გასცნობოდნენ და ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ ა. ი. გერცენთან, ხოლო შემდეგ, 60-ან წლებში, იდეურადაც დაკავშირებოდნენ მას.

ცნობილია, რომ გერცენი რევოლუციურ წრეში მონაწილეობისათვის 1834 წელს დააპატიმრეს და როგორც „საზოგადოებისათვის მეტად საშიში პიროვნება“, ჯერ პერმში ხოლო შემდეგ ვიატკაში გადაასახლეს, სადაც იგი 1835 წლის მაისიდან იმყოფებოდა და ვიატკის გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობდა. იმავე პერიოდში ორმა ქართველმა მოღვაწემ — ს. დოდაშვილმა და ი. მამაცაშვილმა გაიზიარეს გერცენის ბედი .ისინი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ვიატკაში იყვნენ გადასახლებული და იმავე კანცელარიაში მსახურობდნენ, სადაც გერცენი.

მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა გერცენი ჯერ კიდევ გადასახლებამდე იცნობდა ს. დოდაშვილს, როგორც ავტორს პეტერბურგში გამოცემული მეცნიერული ნაშრომისა — „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი“, რომელმაც მაშინდელი პრესის დადებითი შეფასება დაიმსახურა. გერცენისა და დოდაშვილის ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით მასალებს ჩვენამდე არ მოულწევია, მაგრამ მრავლის მთქმელია ის ერთადერთი ცნობაც კი, რომელიც გერცენის დღიურში ჩანაწერის სახით არის შემონახული, „მან ვერ აიტანა სასტიკი კლიმატი და დაავადდა საშინელი ჭლექით. მე ვინახულე იგი რამდენიმე დღით ადრე სიკვდილის წინ“. ჩანს, მათ შორის იმდენად ახლო ურთიერთობა დამყარებულა, რომ გერცენი ავადმყოფი დოდაშვილის სანახავადაც კი დადიოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ურთიერთობა შემთხვევითი არ იყო.

ჩვენამდე მოსული ცნობები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გერცენს თავისი მოღვაწეობის ვიატკის პერიოდში ჰყოლია მეორე ქართველი ნაცნობიც — იოსებ მამაცაშვილი. ცნობილი ქართველი მოღვაწე ა. ფურცელაძე, რომელიც ი. მამაცაშვილის თანამედროვე და მეგობარი იყო, ი. მამაცაშვილს პირდაპირ უწოდებს „გერცენის ძველ მეგობარს“.[1] ამასვე ამტკიცებს ი. მამაცაშვილის შვილისშვილის ქეთევან გიორგის ასულ ჯავახიშვილის მოგონებაც.[2]

ასეთ ურთიერთობას გერცენისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. მისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროიდან გახდა ცნობილი ქართველი ხალხის ბედი და შემდგომში, განსაკუთრებით კი 60-ან წლებში, როდესაც „კოლოკოლის“ არსებობა ამის საშუალებას იძლეოდა, მან განსაკუთრებული ინტერე-

---

1 «Закавказская речь», 1911, № 257.

2. საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 21448.

სი გამოიჩინა საქართველოსადმი. ეს მით უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი ხალხების ბედი მუდამ იდგა ა. ი. გერცენის ყურადღების ცენტრში. „ურალიდან ვისლამდე, არხანგელსკიდან ოდერამდე იმპერია წარმოდგენილია სხვადასხვა ტომებით, რომელთაც აქვთ თავიანთი ადგილობრივი მოთხოვნილებები, თავიანთი ცხოვრების პირობები და რომელნიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ერთნაირი მონობით და, მაშასადამე, განთავისუფლების ერთი შინაგანი მოთხოვნილებით“,—წერდნენ გერცენი და ოგარიოვი „კოლოკოლის“ ფურცლებზე.[1] ბუნებრივია, რომ სხვა ხალხებთან ერთად, ქართველი ხალხის ცხოვრებაც იპყრობდა გერცენის ყურადღებას. ამით უნდა აიხსნას, რომ თუნცა „კოლოკოლი“ 1861 წლიდან ბეჭდავდა კორესპონდენციებს საქართველოს შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა წერილების რიცხვი, რაც მას საშუალება მიეცა ჩაება ჟურნალში თანამშრომლად ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე.

გერცენისა და ნ. ნიკოლაძის გაცნობა 1864 წელს მოხდა. „1864 წლის შემოდგომაზე, — იგონებს ნიკოლაძე ავტობიოგრაფიული ხასიათის ერთ გამოუქვეყნებელ წერილში, — მე მოვახერხე საზღვარგარეთ, პარიზში წასვლა, სადაც არ გამოვდიოდი ბიბლიოთეკიდან და არ ვშორდებოდი წიგნებს. წლის ბოლოს მე იქ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მომძებნა ა. ი. გერცენმა, რომლის გამოჩენამ ჩემს მანსარდში ლათინური კვარტალის ვიწრო და გაჭვარტლულ ქუჩაზე დიდი სენსაცია გამოიწვია.“[2] ამ გაცნობის შემდეგ 1865 წლის გაზაფხულზე გერცენი დაჟინებით დაეძებდა ნიკოლაძეს. 1865 წლის 17 მარტს იგი წერდა ოგარიოვს: „ვერ ვიპოვნე ნიკოლაძის მისამართი, მახსოვს, რომ Rue seine, მაგრამ ნომერი, — მგონი, 32. შეეკითხე უტ (ინს), პასუხი ჯერ არ არის“, ხოლო იმავე საღამოს აცნობებდა: „...ვიყავი ათ ბინაში, Rue de la seine-ში, 30-დან 40-მდე, — ვერსად ვერ ვნახე“.[1] ორი დღის შემდეგ, ალბათ, ოგარიოვისაგან ნ. ნიკოლაძის მისამართის მიღების შემდეგ, გერცენი წერდა: „შენგან წერილია; ნიკოლაძესთან წავალ“, ხოლო 20 მარტს გერცენმა მოძებნა ნიკოლაძის ბინა და ოგარიოვს აცნობებდა: „ნიკოლაძესთან ვიყავი. არ აღმოჩნდა, დავუნიშნე მას rendez Vous — ნიკოლაძესთან შეხვედრის შემდეგ კი, 21 მარტს გერცენი წერდა: „ნიკოლაძე ჩემთანაა. მას შენგან არაფერი მიუღია და სურს გაიგოს, სახელდობრ, რა დაწვრილებითი ამბები გინდა იცოდე“. ამ შეხვედრის შედეგი იყო ნ. ნიკოლაძის სტატია „კოლოკოლის“ ფურცლებზე — „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“.[2] აღნიშნული სტატიის დაწერაზე ნიკოლაძე დიდხანს უარს ამბობდა, იმიზეზებდა თავის მოუმზადებლობას, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა. გერცენმა მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა ქართველი პუბლიცისტის სტატიას: „ქართული სტატია ძალიან კარგია“, — წერდა იგი ოგარიოვს.[3] „კოლოკოლში“ მალე დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის სხვა სტატიებიც: „ჩვენი მომავალი ადვოკატები „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ წინაშე“[4] და „ივნისის დღეები თბილისში“.[5]. გერცენსა და ნიკოლაძეს შორის საკმაოდ ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. განიზრახეს რა „პოლიარნაია ზვეზდას“ აღდგენა და ამავე

[1] «Колокол», 1862, № 705.

[2] ჟ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის ფ. 15—39.

[1] Герцен А. И. Полное собрание сочинений и писем, под ред. М. К. Лемке, т. XVIII, стр. 58.

[2] «Колокол», 1865, №№ 198, 199.

[3] Герцен А. И., т. XVIII, стр. 146.

[4] «Колокол», 1865, № 201.

[5] «Колокол», 1865, № 204.

დროს კრებულის გამოცემა, გერცენი და ოგარიოვი ფიქრობდნენ ნ. ნიკოლაძე მუდმივ თანამშრომლად მიეწვიათ.

რით იყო გამოწვეული გერცენის დაინტერესება, რომ ნიკოლაძე, რაც შეიძლება, ფართოდ ჩაება „კოლოკოლისა“ და სხვა გამოცემების თანამშრომლად? ეჭვს გარეშეა, რომ აქ გარკვეული როლი ითამაშა ქართველი პუბლიცისტის ნიჭმა — გერცენი ჯერ კიდევ 1865 წლამდე უსათუოდ იცნობდა ნ. ნიკოლაძეს, როგორც „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ ნიჭიერ თანამშრომელს, მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ საქმეში მაინც მრავალტანჯული ქართველი ხალხის ბედისადმი ინტერესმა, მისდამი თანაგრძნობამ ითამაშა. ჯერ კიდევ ნიკოლაძის გაცნობამდე დიდი ხნით ადრე გერცენი გარკვეულ ინტერესს იჩენდა საქართველოსადმი. საქართველოს შესახებ პირველი წერილი „კოლოკოლში“ მან 1861 წლის 15 იანვარს დაბეჭდა სათაურით: „თბილისი და „კოლოკოლის“ დამორჩილება“. სტატია აშკარად დაუმსახურებელ ბრალდებას შეიცავდა „კოლოკოლის“ გამომცემლების მიმართ: ავტორი ამტკიცებდა, რომ თბილისის მცხოვრებნი ხედავენ რა ადგილობრივი ხელისუფლების მრავალ ბოროტმოქმედებას, რომელთაც „კოლოკოლი“ არ ამხილებს, დარწმუნებული არიან, რომ ბარიატინსკიმ დიდი თანხის საშუალებით მოახერხა „კოლოკოლის“ მოსყიდვაო. ამავე დროს ავტორი აცნობებდა რამდენიმე ფაქტს უმაღლესი თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების შესახებ. აღნიშნული წერილი დაიბეჭდა „კოლოკოლის“ გამომცემელთა შენიშვნით, რომ ასეთი ცილისწამება მათ საწყენად არ მიუღიათ და მზად არიან დაბეჭდონ სტატიები საქართველოს შესახებ, თუ ისინი საინტერესონი იქნებიან. ამავე დროს გერცენი და ოგარიოვი მოსწრებულად შენიშნავდნენ: ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ შამილის მდგომარეობაში და თავად ბარიატინსკის ტყვედ არ ჩავბარდებით, რადგან ლონდონის პუდინგი კალუგის ცომს გვირჩევნიაო.

უცნობი კორესპონდენტის გამოსვლამ სწრაფი რეაქცია გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. 1 მარტს „კოლოკოლში“ დაიბეჭდა სტატია, რომლის ავტორი კატეგორიულად უარყოფდა აღნიშნულ ცილისწამებას და ამავე დროს გამოთქვამდა იმედს, რომ „კოლოკოლი“ წინააღმდეგი არ იქნება დაეხმაროს კავკასიის ჩაგრულ ხალხს, როცა რუსეთში გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, კავკასიის რიგიც დადგებაო. ამ განცხადების შემდეგ ავტორი აცნობებდა რამდენიმე ფაქტს: 1. გლეხთა განთავისუფლების საკითხი კავკასიაში ჯერ კიდევ ხელუხლებელია, რადგან ბარიატინსკის ეშინია აწყენინოს კავკასიის თავადაზნაურობას, 2. ბარიატინსკის აქვს საკუთარი ცენზურა, რომელიც იმ წიგნებისა და ჟურნალების გავრცელებასაც კი კრძალავს, რომლებიც მოსკოვსა და პეტერბურგში იბეჭდება; 3. ბარიატინსკიმ ცირკულარი დაუგზავნა ყველა სასაზღვრო საბაჟოებს, რომ მათ რაც შეიძლება მკაცრად გაჩხრიკონ საზღვარგარეთიდან მომავალი პირები.

ამ სტატიის შემდეგ გერცენი და ოგარიოვი ხშირად ბეჭდავდნენ საქართველოს შესახებ მასალებს, რომელიც ძირითადად სამი საკითხის გარშემო შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ; 2. მშრომელი ხალხის მდგომარეობა და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოროტმოქმედების მხილება: 3. რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის კრიტიკა.

სტატიაში — „ბატონყმობის შემოღება სამეგრელოში ბუტკოვის მიერ“ „კოლოკოლი“ აცნობებდა მკითხველს ქართველი გლეხობის უუფლებო მდგომარეობას, რომელმაც ისინი აჯანყებამდე მიიყვანა. გლეხთა საკითხი უფრო დაწვრილებით იყო გაშუქებუ-

ლი ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ნ. ნიკოლაძის სტატიაში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. ავტორი სასტიკად ამათრახებდა საგლეხო რეფორმას საერთოდ და ამ რეფორმის გატარებას საქართველოში, კერძოდ. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებას მიზნად მხოლოდ მათი მოტყუება აქვსო. საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების შესახებ გერცენი და ოგარიოვი ბეჭდავდნენ არა მარტო კორესპონდენციებს, არამედ სარედაქციო მასალებსაც. ასე, მაგალითად, 1865 წლის 1 აპრილის ნომერში „კოლოკოლი“ აღნიშნავდა, რომ ქართველებს არ გააჩნიათ მთავრობის ბრძანებულების ხეირიანი თარგმანიც კი და ასეთი განთავისუფლება გლეხობას არაფერს კარგს არ მოუტანსო.

გერცენი და ოგარიოვი დაინტერესებული იყვნენ არა მარტო ქართველი გლეხობის, არამედ მთელი მშრომელი მოსახლეობის ბედითაც. „კოლოკოლის“ 1865 წლის 17 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ნომრებში დაბეჭდილი იყო ცნობები თბილისის ხელოსანთა გამოსვლების შესახებ, რომლებიც მიმართული იყო ახალი გადასახადის შემოღების წინააღმდეგ. ამას მოჰყვა სტატიები „თბილისიდან“ (ხელმოუწერელია) და „ივნისის დღეები თბილისში“ „რიონელის“ (ნ. ნიკოლაძე) ხელმოწერით, რომლებშიაც დაწვრილებითაა გაშუქებული თბილისის ხელოსანთა აჯანყების მიმდინარეობა.

თანაუგრძნობდნენ რა საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, გერცენი და ოგარიოვი ამავე დროს გამოდიოდნენ მის დამცველად მეფის ხელისუფლების მიერ შევიწროებისა და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებისაგან. სტატიაში — „მიხეილები და მიხეილ ნიკოლოზის ძეები“ — 1865 წლის 25 მაისს „კოლოკოლი“ წერდა: „გადაყენებულ მურავიოვს გრაფის წოდება მიენიჭა. ველოდებით, როდის მიიღებს კატკოვი გრაფობას. მაგრამ რა ვუყოთ სამშობლოს მესამე მ ხ ს ნ ე ლ ს, მ ე-ს ა მ ე მ ი ხ ე ი ლ ს, იგი დაბადებიდან მთავარია და ამავე დროს დიდიც. ცოტა ხნის წინათ კავკასიას მიხეილმა მოაშორა დიდი უბედურება, რომელიც რუსეთს თავს ადგა. მან გამოამეღვნა ორი-სამი გიმნაზიელი, რომელთაც შექმნეს ფარული საზოგადოება ახალგაზრდა საქართველო და ახალგაზრდა სომხეთი და შემდეგ პეტერბურგში დააპატიმრეს ვიღაც ქართველი სტუდენტები. რა გვეშველებოდა, მისი სიფხიზლე რომ არა!“

გერცენი და ოგარიოვი ხალხთა თანასწორობის პრინციპისა და მცირე ერების უფლებათა დამცველად გამოდიოდნენ. „ჩვენი ყველა მისწრაფება, ჩვენი ღონე იქითაა მიმართული, — წერდა გერცენი,—რომ არა რუს ხალხთა დამოუკიდებლობა და რუსი ხალხის თავისუფლება დავამყაროთ პეტერბურგის დესპოტიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული, ძმური მოქმედებით“.[1] ამ პრინციპიდან გამომდინარე, გერცენი მხურვალედ თანაუგრძნობდა ყველა დაჩაგრული ერის ბრძოლას. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, ის მხარდაჭერა, რომელიც მან გამოიჩინა პოლონეთის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისადმი. იგი აქტიურად ეხმაურებოდა აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსაც. „კოლოკოლის“ ფურცლებიდან გერცენი ებრძოდა კავკასიაში მეფის ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას, გამოდიოდა ადგილობრივი ენების, ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების ნორმების დამცველად. ბუნებრივია, რომ „კოლოკოლს“ მოუხდა ამ საკითხზე პოლემიკა ეწარმოებინა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ წინააღმდეგ და დაეცვა საქართველო და ქართ-

[1] Герцен А. И. Полн. собр. соч. и писем, под ред. М. Лемке, т. XXII, стр. 21.

ველები აშკარა ცილისწამებისაგან. „კოლოკოლი“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ არავითარი სეპარატიზმი და ნაციონალიზმი ქართველებს არ ამოქმედებთ, პირიქით, რუსეთთან შეერთებაში ხედავენ ისინი საკუთარი თავის ხსნას, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედება განაწყობს მათ რუსების წინააღმდეგო. ამრიგად, ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზს „კოლოკოლი“ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში ხედავდა. კერძოდ, მოჰყავდა ასეთი ფაქტი: კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე მაქსიმოვიჩი ქუჩაში სიარულის დროს ჯოხით სცემს ქართველებს და უწოდებს მათ შამაძაღლებს, და დასძენდა: ამით, ალბათ, ჯილდოს მიაღწევსო. სხვა ნომერში „კოლოკოლი“ მკითხველებს აცნობებდა: სასამართლო რეფორმის გამტარებელი კომისიის სხდომის გახსნისას ბარონ ნიკოლაიმ თავისი გამოსვლა დაიწყო მტკიცებით, რომ ქართველი ხალხი არაა მომზადებული პოლიტიკური რეფორმებისათვის და მას არც საჭიროებსო. 1865 წლის 1 მარტის ნომერში „კოლოკოლმა“ გაილაშქრა იმ კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის გამტარებლადაც საქართველოში დიდი მთავარი მიხეილი გამოდიოდა: „დიდმა მთავარმა მიხეილმა ბრძანა: 1) განდევნილ იქნას ქართული ენა ამიერკავკასიის ოლქებიდან და 2) გაუქმებულ იქნას სტიპენდიები რუსეთის უნივერსიტეტებში, სადაც კავკასიის კომიტეტის ხარჯზე იზრდებოდა 150-მდე სტუდენტი. რა არის ეს, ისიც a la კატკოვია, ეშინია სეპარატივიზმისა. ნეტავი მათ ვინმე მაინც დაარწმუნებდეს, რომ ქართველებმა კიდეც რომ მოინდომონ აჯანყება, ისინი ერთ დღესაც ვერ შესძლებენ გაძლონ! რა საჭიროა შევიწროებით ვაიძულოთ აჯანყდნენ“? ამრიგად, ქართველი ხალხის უკეთესი შვილები, იბრძოდნენ რა რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, გრძნობდნენ, რომ ამ ბრძოლაში ისინი მარტონი არ არიან, რომ მათ მხარეზე არიან რუსეთის უკეთესი ადამიანები. ერთ-ერთი პირველთაგანი მათ შორის კი ა .ი. გერცენი იყო.

ამიტომ, ბუნებრივია, ის პოპულარობა, რომლითაც სარგებლობდა გერცენის სახელი იმდროინდელ საქართველოში და ეს მაშინ, როდესაც მეფის ხელისუფლების მიერ აკრძალული იყო არა თუ გერცენის თხზულებათა გავრცელება, მისი სახელის ხსენებაც კი. ასე, მაგალითად, გერცენის თხზულება, „რევოლუციური იდეების გავრცელება რუსეთში“, პირველად გერმანულ ენაზე დაიბეჭდა 1851 წელს. ამის შემდეგ რამდენჯერმე გამოვიდა გერმანულსა და ფრანგულ ენებზე, ხოლო რუსეთში ლეგალური სახით მხოლოდ 1907 წელს დაიბეჭდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელიგენციისათვის იგი ადრე გამხდარა ცნობილი. გერცენის ამ თხზულების ხელნაწერი ასლი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის არქივში აღმოჩნდა. აღნიშნული ხელნაწერის დედნის ძიებას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: იგი არაა გადმოწერილი 1907 წლის ლეგალური გამოცემიდან და შემთხვევით მოხვედრილი მ. თუმანიშვილის ფონდში, რადგან ხელნაწერსა და 1907 წლის გამოცემას შორის საგრძნობი სხვაობა არსებობს. თხზულების ტექსტი არც რომელიმე უცხოური გამოცემის დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს, არამედ იგი გადმოწერილია 1861 წლის არალეგალური გამოცემიდან. ცნობილია, რომ გერცენის სიცოცხლეში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა არალეგალურ ლითოგრაფიაში დაიბეჭდა ეს თხზულება სათაურით „რევოლუციური იდეების ისტორიული განვითარება რუსეთში“ და მიეძღვნა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს. თხზულება გერმანულიდან იყო თარგმნილი ზაიჩნევსკისა და არგიროპულოს წრის წევრთა მიერ. მ. თუმანიშვილის არქივში დაცული ხელნაწერი ორი სხვადასხვა

პირის მიერ არის შესრულებული, და არც ერთი მათგანი მ. თუმანიშვილი არ ყოფილა. მ. თუმანიშვილის მოღვაწეობა და მსოფლმხედველობა იმდენად იყო დაშორებული თხზულებაში გამოთქმულ იდეებს რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მ. თუმანიშვილი გადამწერისა და გამავრცელებლის როლში. საფიქრებელია, ხელნაწერი ან მ. თუმანიშვილის შვილის გიორგის საკუთრებას წარმოადგენდა ან რომელიმე სხვა, ჩვენთვის უცნობი გზით მოხვედრილა მ. თუმანიშვილის არქივში. როგორც არ უნდა იყოს, ერთი კი ცხადია: ხელნაწერი ასლი გავრცელების მიზნით იქნებოდა შექმნილი და უმოქმედოდ არ იდებოდა.

რაც არ უნდა ფართო ყოფილიყო ხელნაწერის მკითხველთა წრე, იგი მაინც ვერ შეედრებოდა ბეჭდურ გამოცემათა პოპულარობას. ამიტომ გასაგებია მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ზრუნვა გერცენის თხზულებათა დასაბეჭდად. ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერშივე, 1870 წელს ჩვენმა მოღვაწეებმა მოახერხეს დაებეჭდათ გერცენის რომანის „ექიმი კრუპოვის“ გიორგი წერეთლისეული ქართული თარგმანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თარგმანი დაბეჭდილი იყო სათაურით — „ექიმ კრუპოვის თხზულებიდან“, ავტორის მითითების გარეშე. სწორედ აღნიშნულ გარემოებას შეუყვანია შეცდომაში მეფის ცენზურა, რომელსაც, როგორც ჩანს, რომანის ავტორად კრუპოვი მიუჩნევია. საყურადღებოა ისიც, რომ თარგმანი შესრულებულია იმ დროისათვის ყველაზე უფრო სრული გამოცემიდან — 1847 წლის „სოვრემენიკის“ მეცხრე წიგნში დაბეჭდილი ტექსტიდან. ამ გზით მოხერხდა ქართველი მკითხველი გასცნობოდა გერცენის რომანს, რომელიც თავისი მძაფრი სატირული ხასიათით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

გერცენის სახელი საქართველოში პოპულარული იყო „კოლოკოლის“ გავრცელების შედეგადაც. ლონდონის ამ გამოცემას ქართველები 50-იანი წლების ბოლოს უკვე იცნობდნენ. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერში — „მასალები ქართველი ერის სოციალურათ მომზადების ისტორიის შესახებ“ —ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს, რომ ქართველები ახერხებდნენ ამ აკრძალული გამოცემის შემოტანას. „კოლოკოლის“ მკითხველთაგან ზ. ჭიჭინაძე ასახელებს ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელს, პოეტსა და მოღვაწეს ალექსანდრე ჩიქოვანს. „ჩვენ ვნახეთ, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — ალექსანდრე ჩიქოვანის საკუთრება „კოლოკოლის“ ნომრები... და ამ გაზეთის ნახვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ თავის დროის კვალად ამ გაზეთის კითხვა და აზრები ალექსანდრე ჩიქოვანს კარგად უნდა სცოდნიყო, რადგანაც გაზეთის ფურცლებზე ყველა წერილის შესანიშნავი ადგილები ფანქრით იყო გასმული და აღნიშნულები, რაც აჩენდა იმ გარემოებას, რომ ვინც არის მკითხველი, იმას იგი კარგადაც ესმოდა“.[1] ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა 1858 წელს ეხება. „კოლოკოლის“ გამოცემა კი 1857 წლიდან დაიწყო. და თუ 1858 წლისათვის მისი ნომრების კომპლექტი საქართველოში უკვე არსებობდა, გერცენის ამ გამოცემის შემოტანა და გავრცელება შედარებით მოკლე დროში მოუხერხებიათ.

საქართველოში გერცენის „კოლოკოლის“ გავრცელების შესახებ არსებობს სხვა დოკუმენტებიც. კერძოდ, ესაა ბაკუნინის წერილი, დათარიღებული 1862 წლის 10 მაისით. ცნობილია, რომ მ. ბაკუნინი, ციმბირიდან გაქცევის შემდეგ, 1861 წლის დეკემბერში ლონდონში ჩავიდა, სადაც ერთხანს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა „კოლოკოლის“ გამოცემისა და გავრცელების საქმეში. აღნიშნულთან დაკავშირებით იგი წერილით მიმართავდა „კოლოკოლის“ ერთ-ერთ გამავრცელებელს: „თქვენთან პიტერში წერილით ჩემგან გამოცხადდება ნიკოლოზ ილიას ძე ვო-

1. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ფ. 4459.

რონოვი... მიიღეთ იგი, როგორც ჩვენი მეგობარი, რეკომენდებული თქვენს წინაშე სამთავეს მიერ (იგულისხმება გერცენი, ოგარიოვი და ბაკუნინი, — **შ. ს.**). იგი ივნისში იქნება პიტერში, ხოლო სექტემბერში თბილისში. ის მოგელაპარაკებათ თქვენ კავკასიის მხარეში ჩვენი საქონლის შემოტანის ახალი საშუალების შესახებ. მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: ტრაპიზონიდან კავკასიის სანაპირომდე დადიან თურქების პატარა გემები კონტრაბანდით, რომელიც შემოაქვთ დიდი რაოდენობით. მთიელებს კი, სარგებლობდნენ რა უფლებით ეზიდათ შეშა მთიდან ყველა რუსულ პოსტზე, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროს მთელ ხაზზე, არა ერთხელ შემოუტანიათ შეშასთან ერთად ლონდონის ჩვენი აკრძალული საქონელი. თამამად გაუწიეთ რეკომენდაცია მის წინაშე თქვენს სავაჭრო მეგობრებს თბილისსა და სხვა ადგილებში".[1]

წერილიდან ჩანს, რომ 1862 წლის მაისისათვის უკვე არსებულა „კოლოკოლის" საქართველოში შემოტანისა და გავრცელების ძველი გზა: თურქეთის მთიანი საზღვრის რაიონში მცხოვრებ ქართველებს არალეგალურად ჩამოჰქონდათ საზღვარზე გადმოტანილი „კოლოკოლის" ნომრები. თბილისსა და კონსტანტინოპოლში უკვე არსებულან „კოლოკოლის" გამავრცელებელნი. 1862 წლისათვის საკითხი იდგა „კოლოკოლის" შემოტანის ახალი, უფრო სრულყოფილი გზის შესახებ.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ „თავისუფალ რუსულ პრესას", რომელიც შექმნილი იყო გერცენის მიერ საზღვარგარეთ, საქართველოშიაც სისტემატურად კითხულობდნენ. „კოლოკოლის" შემოტანისა და გავრცელების არალეგალური ხასიათი, დევნის საშიშროება აიძულებდა გამავრცელებლებს დაემალათ თავიანთი სახელები. ამის შედეგია ის, რომ არა გვაქვს მასალები ყველა იმ პირის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდა ამ საქმეში. ერთი კი ცხადია: ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი მოწინავე წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე აკრძალული გამოცემის შემოტანა და გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა.

ქართველი ახალგაზრდობა თბილისსა და სხვა ქალაქებში სიამოვნებით იკრიბებოდა რევოლუციური ხასიათის ლიტერატურის გასაცნობად. ერთ-ერთი ასეთი წრის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ა. ფურცელაძე: „ეს მოხდა 1860-62 წლებს შორის... ჩვენ დავიწყეთ კვირაში ერთხელ და ყველა უქმე დღეებში ლიტერატურული საუბრების მოწყობა... შეკრებებზე ვკითხულობდით ჟურნალებს, გაზეთებსა და ახალი მიმართულების წიგნებს. ხელთ გვივარდებოდა საზღვარგარეთული გამოცემებიც კი".[1] ეჭვს გარეშეა, რომ აქ ავტორი გულისხმობს გერცენის „კოლოკოლის" ნომრებსაც. წრეში, ა. ფურცელაძის გარდა, მონაწილეობდნენ პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, ნ. ყიფიანი და სხვები.

გერცენის სახელი კიდევ უფრო მეტად იყო პოპულარული პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა შორის, რომელნიც მოწინავე რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე იზრდებოდნენ. „ბევრი ჩვენგანი კითხულობდა „Колокол"-ს, „Полярная звезда"-ს და მაშინ ისკანდერის ფსევდონიმით უფრო ცნობილი გერცენის სხვა ცალკე გამოცემებს",[2] — იგონებს ნ. ნიკოლაძე სტუდენტობის წლებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართველმა თერგდალეულებმა სამუდამოდ შემოინახეს გერცენისადმი სიმპათიები. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძის პირად ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი ეჭირა „კოლოკოლის" მთლიან კომპლექტს, რომლის ზოგიერ-

1 «Былое», № 7, 1906, стр. 192—193.

1 «Закавказская речь», 1911, № 256.

2 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1931, გვ. 98.

თი დანაკლისი ნომერი ხელით იყო გადმოწერილი.

გერცენის პოპულარობა გარდაცვალების შემდეგაც დიდი იყო. მისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების კეთილმყოფელი ზემოქმედება საგრძნობია 70-80-ან წლებშიაც. როგორც ცნობილი ქართველი მწერალი ს. მგალობლიშვილი გადმოგვცემს, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს ჰქონიათ საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარი ყოფილა რევოლუციური ხასიათის ლიტერატურით; მასში ბელინსკის, დობროლუბოვისა და პისარევის თხზულებათა გვერდით, „კოლოკოლის“ ნომრებიც ინახებოდა.[1] საკუთარი ფულით უყიდიათ წიგნები და ბიბლიოთეკა შეუქმნიათ თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებსაც, და არც ისინი მორიდებიან აკრძალული რევოლუციური ლიტერატურის შეძენას, კერძოდ, „კოლოკოლის“ ნომრების კითხვას.[2]

გერცენის „კოლოკოლმა“ გარკვეული სამსახური გაუწია ქართველ ხალხოსნებსაც. თუმცა მისი გამოცემა უკვე კარგა ხნის შეწყვეტილი იყო, ჩვენი ხალხოსნები მაინც განაგრძობდნენ ზრუნვას მისი შოვნისა და გავრცელებისათვის. რუსეთიდან ჩამოსულ ნ. ხუდადოვს, ქ. ფურცელაძესა და სხვებს თან ჩამოუტანიათ გორში „კოლოკოლის“ ნომრები და ახალგაზრდობაში ავრცელებდნენ,[1] ხოლო გერცენის სახელი სხვა რევოლუციონერთა სახელებთან ერთად, ყველას პირზე ჰკერებია“.[2]

ამრიგად, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია დაკავშირებული იყო გერცენთან როგორც პირადი ნაცნობობითა და მეგობრობით, ისე იდეურადაც. ეს კავშირი იმ წყაროს წარმოადგენდა, რომელიც სიცოცხლის უნარსა და ძალას ჰმატებდა ნაყოფიერ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ 60-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას.

---

1 ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბილისი, 1938, გვ. 46.

2 «Былое», 1907, № 8, стр. 6—7.

1 ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 72.

2. იქვე, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი კენჭოშვილი

გიორგი ნატროშვილის კრიტიკული წერილები

წინაპართა და თანამედროვეებისადმი ინტერესის მუდმივ განახლებას განაპირობებს ის, რომ არც ერთ ახალ ლიტერატურულ თაობას არ აინტერესებს ხელოვნება ზუსტად წინა თაობასავით; დროს თან მოაქვს შეფასების ახალი კრიტერიუმები, ახალი ასპექტები, ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ხელოვნებას და თავისებურად მოიხმარს მას. ამის გამოც არაა ლიტერატურული ტრადიცია დაბრუნება ერთსა და იმავე მდგომარეობისადმი და მარტო გარკვეულ დოგმატურ თვალსაზრისთა გაზიარება. ლიტერატურის კრიტიკოსიც გულგრილი არაა იმისადმი, თუ როგორ ესმოდათ ესა თუ ის ლიტერატურული მოვლენა სხვადასხვა დროს. ისეთი შემოქმედნი, როგორიც არიან რუსთაველი, სულხანსაბა ორბელიანი, გურამიშვილი, ახალი შუქით, ახალი თვისებებით წარმოსდგებიან ყოველი ლიტერატურული თაობის წინაშე. ყოველთვის იჩენენ თავს ახალი მიმართებანი, ახალი თვალსაზრისი.

ამ თვისებებითაა აღბეჭდილი გ. ნატროშვილის კრიტიკული წერილები, რომელთა საუკეთესო ნაწილი წარმოდგენილია მის წიგნში „წინაპარნი და თანამედროვენი". წერილებში საბაზე, იოანე ბატონიშვილზე, გურამიშვილზე მოცემულია მათი გაგება არა მარტო ჩვენი ეპოქის თვალსაზრისით, არამედ ვხედავთ იმის სჯასაც, თუ როგორ ესმოდათ ისინი მათს თანამედროვეობაში და ილიას, აკაკის, ვაჟას ეპოქაში.

ისტორიზმის გრძნობის სიმკვეთრე ბევრს მეტყველებს როგორც მწერალზე, ისე კრიტიკოსზე; კლასიკური წარსულის უკვდავების შეგრძნება ისევე აუცილებელია, როგორც მისი წარმავლობის ხედვა. ამას გულისხმობდა ერთი კრიტიკოსი, როცა წერდა: ევროპის ლიტერატურას ჰომეროსიდან დღემდე ერთიანი არსებობა გააჩნია. წარმოუდგენელია დიდი მწერალი დიდი ტრადიციის გზის გარეშე; მისდამი მიმართების ხასიათი მწერლის თავისებურებას ნათელყოფს. ამიტომ მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია, რომ გ. ნატროშვილი საგანგებოდ მიუთითებს არა მარტო XVIII და XIX საუკუნის მწერლების, არამედ გ. ლეონიძის, ირ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების განუყოელ კავშირზე ქართული და სხვადასხვა ქვეყნის მწერლობის მრავალსაუკუნოვან რეალისტურ ტრადიციებთან. საინტერესოა, რომ გ. ნატროშვილი თერგდალეულთა თაობასთან, სამოციანელთა იდეურ სამყაროსთან, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან ვაჟა-ფშაველას ორგანიული კავშირის საკითხს შემდეგი მრავლისმეტყველი დეტალით იწყებს: „სწორედ ამ ხანებში, როცა თერგდალეულები მწერლობისა და ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდნენ, როცა სამშობლოსაკენ გამომგზავრებული ილია ჭავჭავაძე სტეფანწმინდასა და ფასანაურს შუა, ქართლის ბედზე ესა-

უბრალოდ მოხვევ ლელთ ღუნიას, ფშავში, სოფელ ჩარგალში, დაიბადა ბავშვი, რომელიც სიჭაბუკისა და დავაჟკაცების წელში მხარში ამოუდგა თერგდალეულთა თაობის მწერლებს და რომელმაც ქართული პოეზია ახალ მწვერვალზე აიყვანა“ (გვ. 222).

ასევე საგანგებოდ მიუთითებს გ. ნატროშვილი დ. გურამიშვილის მჭიდრო კავშირზე ქართული აზროვნების სამყაროსთან, ანტიურობასთან, ზეპირსიტყვიერების მოტივებთან და ინტონაციებთან. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე სხვა მკვლევარნიც ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ გ. ნატროშვილი ცდილობს ახალი კუთხით დაინახოს მოვლენა: რატომ და რისთვის დასჭირდა გურამიშვილს ანტიკური ეპოქის „უღვთო ფილოსოფიის“ გახსენება თავის პოეზიაში და საიდან გაჩნდა მის პოეზიაში ეპიკურესა და იონელი ფიზიკოსების აზრები. მკვლევარი გვიჩვენებს: იონური სკოლის მსგავსად გურამიშვილი ფიქრობს, რომ ადამიანი შექმნილია ოთხი სტიქიისაგან — მიწისა, წყლისა, ცეცხლისა და ჰაერისაგან, — პოეტის ერთ ლექსში საწუთრო აყვედრის ადამიანს: „შენ, მიწა-წყალო, ქარცეცხლო, მჯობიხარ თქვი-აბა რითა?“ გ. ნატროშვილი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ გურამიშვილის პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების სამყაროში როგორც ეპიკურეს, ისე იონელ ფიზიკოსთა აზრები მომდინარეობს არა უშუალოდ იონური სკოლისაგან, არამედ „იმდენად, რამდენადაც ამას პოეტური აზროვნების სპეციფიკა მოითხოვდა და რამდენადაც ეს აზრები, ასე თუ ისე, შერეული იყო ქრისტიანული მსოფლიოს აზროვნების სისტემაში — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გადასხვაფერებულად, ეპიზოდურად“ (გვ. 83). ამის საილუსტრაციოდ კრიტიკული წერილის ავტორი გვიჩვენებს, რომ ქართულ ზღაპარშიც იჩენს თავს მიწისა თუ წყლის თავისებური ჰილოძოისტური გააზრება.

სულ სხვა საშუალებით, მაგრამ არა ნაკლებ ორიგინალური კუთხით იძლევა გ. ნატროშვილი იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ იმ ნაწყვეტის შეფასებას, სადაც იოანე ხელაშვილი ამბობს: „ჰეი ოქროო, თუ რაოდენ შემძლებელ ხარ შენ ...“: ეს არის „ჰიმნი ოქროსადმი, რომელიც ჩვენ გვაგონებს შექსპირის „ტიმონ ათენელის“ მონოლოგს“ (გვ. 125).

„სიტყვის კონის“ შემდგენლის ერთ-ერთი თავისებურების საჩვენებლად კრიტიკოსი თავისი მსჯელობის ერთიან კონტექსტში მოაქცევს ვაჟა-ფშაველას მინდიას სტრიქონებს — „მე ვარო ამის წამალი, სხვა გაიძახის „იმისა“, მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა“, გ. ლეონიძის ლექსს საბაზე — „შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკრეფია სიტყვა ქართული“ და რერიხის სურათის „ბერი მკურნალის“ შინაარსს. ასე, ჩვენს წინაშე იშლება დიად ხელოვანთა ერთიანობის აზრი.

ვაჟა-ფშაველაზე დაწერილ წერილთა შორის ჩვენ ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია გ. ნატროშვილის „ვაჟა-ფშაველა“ (1947). ამ წერილში განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია დრამატიული პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ ანალიზი, ამ პოემის შეფასების გადაკვანძვა სოფოკლეს ტრაგედიასთან „ანტიგონე“. ეს მართებული და ლოგიკური პარალელია, რადგან ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი „მხოლოდ ფონია ყველაზე მაღალი საკაცობრიო იდეების გადმოსაშლელად“ (გვ. 229). ჯოყოლამ იცის, მიზეზი და გამართლება მოეპოვება იმას, რომ ხალხი ზვიადაურის წასაყვანად მოვიდა: „ეგ მართალია იქნება, რაც უნდა მითხრათ ბაგითა...“; მაგრამ თავისებურად მართალია ჯოყოლაც — არ შეიძლება სტუმართმოყვარეობის, ადამიანთა შორის ურთიერთნდობის სიწმინდის შებღალვა: „ჯოყოლა მ ა რ თ ა ლ ი ა საკუთარი სინდისისა და წინაპართა ანდერძის წინაშე, — წერს გ. ნატროშვილი,— მაგრამ მართალნი არიან ქისტებიც...

იბადება წინააღმდეგობა, რომელშიც თვითეული მხარე მართალია და მორალურად მაღალი და რომელთა შერიგება სიკვდილსაც აღარ შეუძლია“ (გვ. 228). ანალოგიური წინააღმდეგობა ტრაგიზმის მიზეზია სოფოკლეს „ანტიგონეში“. გ. ნატროშვილი გვიჩვენებს: ასევე ორი ადამიანური გრძნობა ებრძვის ერთმანეთს სოფოკლეს ტრაგედიაში, — თუ კრეონტის მრისხანება ანგიტონეს მიმართ მართალია სახელმწიფოს ინტერესებით, მართალი და კეთილშობილურია ანტიგონეს საქციელიც, რომელიც არ ემორჩილება კრეონტის ბრძანებას. კეთილშობილებისა და ხასიათის სირთულის მხრივ ბევრია საერთო ანტიგონესა და აღაზას შორის; ანტიგონეს, „ამ ამაყი და კეთილშობილი ანტიური ქალიშვილის სულიერი დაჯ არის აღაზა და მასთან მსოფლიო პოეზიის ულამაზეს სახეს წარმოადგენს, სახეს, რომელიც გასცდა ნაციონალურ საზღვრებს და ზოგად ადამიანური ღირსების მწვერვალზე დგას“ (გვ. 229). სოფოკლეს ტრაგედიასთან ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ანალიზის დაკავშირების ლოგიკურობაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს სოფოკლეს „ანტიგონეს“ თუნდაც ის შეფასება, რომელიც ახლახან რუსულად გამოცემულ ბონარის „ბერძნულ ცივილიზაციაში“ არის წარმოდგენილი: „დიდი პოეტი არასოდეს არ აისახება ერთს აჩემებულ პერსონაჟში... სოფოკლე როდი ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომელნიც აცხადებენ: ეს მართალია, ეს კი —მტყუანი... ყოველი მისი პერსონაჟი თავისებურად მართალია პოეტის მიერ დახატულ სამყაროში... თუ ანტიგონე უაღრესად მართალია იქ, სადაც, ბუნებისაგან ამაღლებული, ჩვენც მოგვიხმობს, მართალია კრეონტიც, მართალია პრაქტიკულად, სახელმწიფოს ინტერესებიდან...“ პირადად ჩვენი აზრით, გარკვეულ ეთიკურ პლანში შესაძლოა საგულისხმო იყოს პარალელი ანტიგონესა და ზვიადაურს, მათს სიტუაციათა შორისაც. ქისტებს სურთ ზვიადაური „შაეწიროს“ მათს მკვდარს, მაგრამ ხევსური არ „ეწირება“: „არ იდრიკება ვაჟკაცი, არ შეიხრიდა წარბსაო“, „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა“! ამ სიტყვებით კვდება იგი. „გული ვერ მოჰკლა მტრის გულმა, გული გულადვე რჩებოდა... ქისტები გაწყრნენ,, იტკიცეს: ვერ აუსრულდათ წადილი“... ასევე „ვერ აისრულა წადილი“ კრეონტმა: მას უნდოდა დაესაჯა ანტიგონე და ამით თვითონ ეზეიმა, მაგრამ ანტიგონე თვით შეეგება სიკვდილს, მას მიჰყვა ძე კრეონტისა გემონი და ცოლი ევრიდიკე. შეიძლება ბევრი ლაპარაკი იმ მრავალ ასპექტზე, რომელნიც სოფოკლესა და ვაჟა-ფშაველას და, საერთოდ, დიდ შემოქმედთა ნაწარმოებებს აახლოვებენ ერთმანეთთან, და იმ ასპექტებზე, რომელნიც მათ განასხვავებენ ერთმანეთისაგან და ორიგინალობას უნარჩუნებენ. „სტუმარ-მასპინძლის“ ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია გ. ნატროშვილის წერილში ვაჟა-ფშაველაზე, არის არა მარტო ამ პოემის ტრაგიკული კოლიზიის ახსნა, იგი ამავე დროს, ერთხელ კიდევ ნათელყოფს აღწერილობითი მეთოდის წინაშე კრიტიკული კვლევის ანალიტიკური მეთოდის უპირატესობას, გვიჩვენებს კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი იარაღის—შედარების ხერხის სარგებლიანობას. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, უკეთ ემსახურება ლიტერატურული ფენომენის ობიექტურ შეფასებას, ვიდრე რაიმე „იმპრესიონისტული“ მედიტაცია, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს კრიტიკულ ახსნას.

ქართული და რუსული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების ღრმა ცოდნას ემყარება წერილი „ლიტერატურული პარალელები“: გორკის ერთს იტალიურ ზღაპარში აღმოსავლური მოტივი —ჰიმნი დედისადმი, და მისივე პოემის „სიკვდილი და ქალიშვილის“ სულისკვეთება „საოცრად უახლოვდება იმ დიდებულ იდეას, რომლითაც გამსჭვალულია ქართული ბალადა ვეფხისა და მოყმისა...“ (გვ. 257). გ. ნატროშვილი გვიჩვენებს, რომ ცალკეულ მომენტებში გორკის ზღაპარი და ქართული ბალადა სა-

ოცრად ემთხვევა ერთმანეთს: „ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა გორკი საქართველოში ყოფნის დროს გაეცნო ამ ბალადის შინაარსს და მერე გვიან გაიხსენა იგი შორეულ იტალიაში“ (გვ. 258-9). მაგრამ მთავარი ეს როდია. გ. ნატროშვილს, სრულიად სამართლიანად, არა ნაკლებ საგულისხმოდ მიაჩნია ლიტერატურული პარალელები გორკის ზღაპარსა და ქართულ ბალადას შორის სხვა მხატვრულ პლანში, ეთიკურ პლანში. ამავე დროს არის ხოლმე შემთხვევები, როცა ზოგი მკვლევარი მწერლის ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენას ვიწრო კამერულ ჩარჩოებში განიხილავს, ტრადიციასა და ლიტერატურული კონტექსტისაგან მოწყვეტილად. განა შეიძლება საბჭოთა პერიოდის თვალსაჩინო მწერლების — გ. ტაბიძის, ირ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის, გ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის შემოქმედების სრულფასოვანი განხილვა, თუ არ ვაჩვენებთ მათს მიმართებას პოეზიისა და პროზის ამა თუ იმ ტრადიციებთან, თუ არ მივმართავთ სხვა ხალხთა ლიტერატურის ანალოგიებს. ხომ წარმოუდგენელია გ. ტაბიძის პოეტური სამყაროს სრული შეფასება, თუ არ მივაკვლევთ იმ „უხილავ“ სიმებს, რომელნიც მას არა მარტო განასხვავებენ, არამედ ანათესავებენ ქართველი ერის სულიერი თვითშემეცნების გამომხატველ სხვადასხვა დროის ლიტერატურულ და ზეპირსიტყვიერ ძეგლებთან, ფრანგულ, რუსულ, ამერიკულ პოეზიასთან.

ისევე როგორც გორკის ზღაპრისა და ქართული ბალადის ერთ-ერთი თავისებურების ანალიზისას, გ. ნატროშვილი გურამიშვილისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ურთიერთობის საკითხს საგანგებოდ იკვლევს, აღნიშნავს, რომ პოეტის მსოფლშეგრძნება თვით ქრისტიანული ლეგენდების ჩარჩოებსაც აფართოებს და ცოცხალი ხალხური შინაარსით ავსებს. ასევე დამაჯერებლად გვიჩვენებს მკვლევარი, რომ გურამიშვილის „მხიარული ზაფხულის“ პირვანდელი წყარო და პოეტის შთაგონების საგანი უკრაინის ყოფა ყოფილა. ამ მხრივ ავტორი მიმართავს შეტად საინტერესო არგუმენტს — ბევრი ანალოგია არსებულა გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულსა“ და ლესია უკრაინკას დრამა-ფეერიას „ტყის სიმღერას“. შორის, რომელიც გამსჭვალულია უკრაინული ფოლკლორის სტიქიით. „აქ არაფერი საკვირველი არ არის. ლესიას შთაგონებას ფრთას ასხამს თავისი ქვეყნის ყოფა და სინამდვილე. იმ ქვეყნისა, რომლის მოქალაქედ საუკუნე-ნახევრის წინათ ქართველი პოეტი გურამიშვილი იყო“. (გვ. 75), მაგრამ ამ პარალელს ლესია უკრაინკას დრამასთან, ა. ნ. ოსტროვსკის „სნეგუროჩკასთან“ და სხვ. კრიტიკოსი თვითმიზნურად არ მიმართავს, არამედ ამ „დამთხვევებს“, ანალოგიებს იყენებს გურამიშვილის ნაწარმოების მხატვრული ღირებულების შესაფასებლად. ზოგჯერ კი ჩვენს კრიტიკაში თვითმიზნურ ღირებულებას ანიჭებენ ფაქტობრივ-ტექსტუალურ შეხვედრებს ან გავლენათა დადგენას. რა თქმა უნდა, კვლევა ამ მიმართულებით, ამ „შავი“ სამუშაოს შესრულება უაღრესად საჭირო, კეთილშობილური და ძვირფასი საქმეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის კრიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ლიტერატურულ მოვლენათა მხატვრული ღირებულების ობიექტურ შეფასებას, არ შეიძლება შემოიფარგლოს „დამთხვევათა“, რემინისცენციათა თუ სხვაობათა დადგენით. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხშირი სიახლოვე და დაშორება ხალხური ზეპირსიტყვიერების სიუჟეტებთან და ენობრივ ფენომენთან არაერთგზის უჩვენებიათ. მაგრამ ამ ფაქტის მხატვრული მხარე ყოველთვის როდია გამოკვეთილი. ამ მხრივ საყურადღებოა, როცა გ. ნატროშვილი წერს: „ის ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც ვაჟას პოეზიაში ჩანს, უფრო ღრმა და შორსმწვდენია, ვიდრე ის თვალსაზრისი, რომელსაც ყველა ფშავურ-ხევსურული თქმულება შეიცავს“ (გვ. 225). ცხადია, ეს როდია ხალხის მხატვრული შემოქმედების

უგულებელყოფა, პირიქით, ეს ვაჟა-ფშაველას უაღრესად დიდი ორიგინალობის აღნიშვნაა.

გ. ნატროშვილის კრიტიკულ წერილებში ქართული ლიტერატურის ძველი და საბჭოთა პერიოდის ცალკეულ თეორიულ და კონკრეტული საკითხების ანალიზი ერთმანეთს ენაცვლება; ამის გარეშე წარმოუდგენელია ჭეშმარიტი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც ყოველთვის იღწვის მიმართულება მისცეს ეპოქის ლიტერატურულ და საერთოდ ინტელექტუალურ მოვლენებს. წერილში „მოკალმასე ბერი იოანე“ ნათელყოფილია ის აზრი, რომ „კალმასობა“ შეიცავს ისეთ თვისებებს, რომელნიც მას XIX საუკუნის ქართული პროზის სათავეში აყენებენ. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს რელიგიის ზოგი მსახურის კრიტიკას იოანე ბაგრატიონის მიერ. ამ მხრივ ძალიან გამართლებულია „კალმასობის“ გმირის დავით ჯიმშერიშვილის — მჭევრისა და მითოლოგიის კარგი მცოდნის შედარება ვოლტერის თანამედროვესთან — ანტიური მითოლოგიაში განსწავლულ ნიკოლოზ ფრერესთან. „იოანე ბაგრატიონი იოტის ოდენადაც არ ზოგავს სასულიერო წოდებას. „კალმასობის“ მთელი ეპიზოდები ამ მხრივ რაბლეს, ერაზმის და ვოლტერის მამხილებელ, გამანადგურებელ სატირას მოგვაგონებენ“ (გვ. 128). აქ არაა რაიმე გადაჭარბება. ზედმეტი არ იქნება, თუ აქ მოვიტანთ დ. მ. ლანგის სიტყვებს „კალმასობაზე“: „იგი განეკუთვნება იმ ლიტერატურულ ჟანრს, რომლის ადრეული სახელმოხვეჭილი ნიმუშებია სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ და რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“; ლანგი აღნიშნავს, რომ „კალმასობის“ სულისკვეთება ხშირად უტოლდება ილიასა და აკაკის პატრიოტული ლექსის მგზნებარებას.

წიგნში „წინაპარნი და თანამედროვენი“ სრულიად სხვადასხვა მწერალთა შესახებ დაწერილ წერილებში ხშირად ვხვდებით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართული კულტურის თვითშემეცნების გზაზე მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ხატოვნად რომ ვთქვათ, ილია და აკაკი თავს იჩენენ საქართველოს ცხოვრების მთელი ისტორიის მანძილზე, ამიტომ აქვთ მათთან ეგზომ ბევრი საერთო ქართული პოეზიისა და პროზის სხვადასხვა ძეგლებს. უაღრესად გამართლებულია, რომ წერილს აკაკი წერეთელზე გ. ნატროშვილი უწოდებს „აკაკი წერეთელი და საქართველო“. გასაგებია ავტორის მიერ თავისებურად ნაჩვენები ჭეშმარიტება, რომ იმ წყაროთა შორის, რომელნიც ასაზრდოებდნენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. ამ პოეტის შემოქმედებაში ილიამ დიდი სულიერი ცხოვრება დაინახა, „დაინახა იმ დროის საქართველოს ინტელექტუალური და სულიერი მებაირახტრე“ (გვ.162). ილია ჭავჭავაძე ერთი მხრივ იბრძოდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, საქართველოს თავისუფლებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური უკუღმართობის მოსპობისათვის; „სოციალური და ნაციონალური უკუღმართობის დათრგუნვა, შრომის სუფევის დამკვიდრება — ასეთია ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების დედააზრი, ესაა მისი რწმენის უწმინდესი სიმბოლო“ (გვ. 163). რა თქმა უნდა, წერილი ილია ჭავჭავაძეზე როდი იძლევა ამ დიდი მოღვაწის ყოველმხრივ და დაწვრილებით შეფასებას; მისი მთავარი მიზანია აჩვენოს ილია ჭავჭავაძე როგორც განახლების მებაირახტრე, რომ ილიას მთელი მოღვაწეობა იყო ბრძოლა დიადი განახლების — საქართველოს თავისუფლებისა და სოციალური კეთილდღეობისათვის.

გ. ნატროშვილის წერილებში ზოგჯერ მხატვრული დეტალი გამოყენებულია ფუნქციონალური ამეტყველების მიზნით. წერილის დასაწყისში ილიაზე ავტორი მოგვაგონებს, რომ ილია ლექსს ხან ყვავილს ადარებს და ხან პატიოსან

თვლებს, — მოგვაგონებს, რომ ანტიურ და შუა საუკუნეებში პატიოსან თვლებს თილისმურ ძალას მიაწერდნენ: ზურმუხტი — სევდის გამფანტავი, მთვარის ქვა — მომავლის განმჭვრეტი, ფირუზი —სიყვარულის და სხვ. ყველა ეს თვისება უპირველესად ლექსს გააჩნია, „რაც თითონ ილიას ლირიკულ ლექსზე ითქმის“ (გვ. 152). ასევე, წერილი ვაჟა-ფშაველაზე იწყება იმ დეტალის ამეტყველებით, რომ ბაგინეთის ფერდობის ასკილიან ბუჩქებში ყრია ნალეწები იმ კრამიტებისა, რომლებიც სტრაბონის მიერ აღწერილ იბერთა სახლებს ეხურა. გ. ნატროშვილი სიმპათიას და სიახლოვეს გრძნობს იმ მანერასთან, რომელსაც, თუნდაც, სტენდალი „იტალიურ ქრონიკებში“ და მერიმე „ესპანეთიდან გამოგზავნილ წერილებში“ მიმართავს. წერილში გ. ქიქოძეზე ავტორი აღნიშნავს, რომ ეს კრიტიკოსი „თავის თავში ბედნიერად აერთებდა კრიტიკოსისა და ბელეტრისტის ნიჭს, რაც თვით სენტ-ბევს შეშურდებოდა“. (გვ. 375). გ. ნატროშვილი ყურადღებას ამახვილებს ლ. ასათიანის სიტყვების სტილზე ნატო ვაჩნაძის გამო: „ზღაპარივით დასრულდა მისი სიცოცხლე. იგი ოცნებასავით გაეხვია ღრუბლებში და დაიფერფლა“. ავტორი არა მარტო ახასიათებს ჩვენი ორი ღვაწლმოსილი კრიტიკოსის სტილს, არამედ თავის ლიტერატურულ სიმპათიებსაც გვამცნობს. ბელეტრისტისა და კრიტიკოსის ნიშნების შეზავება იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე უპირველეს ყოვლისა მწერალია და არა კრიტიკოსი. „წმინდა“ კრიტიკა შეუძლებელიცაა. ერთი კი აშკარაა, რომ ლიტერატურული კრიტიკა არაა თვითმიზანი, არამედ წარმოადგენს ლიტერატურული ფენომენის ღრმა ობიექტური გაგების საშუალებას. თუ როგორი სახის კრიტიკა უკეთესად აღწევს ამ ამოცანას, ამის შეფასება ჩვენი მსჯელობის მიღმა მდებარეობს.

გ. ნატროშვილს ახასიათებს კრიტიკული სტილის ორიგინალობა. მას გააჩნია თავისი „ხელი“ თუ ხელწერა, კვლევის თავისი მანერა, თავისი რწმენა და მრწამსი. ამ მხრივ, ცხადია, იგი ბევრ რამეს იზიარებს თავისი თაობის თუ წარსულის თანამოკალმეებთან. წერილში „ფიქრები ჩვენს კრიტიკაზე“ („ცისკარი“, 1961, №3) გ. ნატროშვილი მოითხოვს, რომ ჩვენი კრიტიკა იყოს აქტუალური; ცალკეულ კრიტიკოსთა მოღვაწეობაც მეტი, საგანგებო ყურადღების ღირსია, — „რაღაც უხეირო ჩვეულებისა თუ ტრადიციის წყალობით, ჩვენში კრიტიკაზე არავინ არაფერს არ წერს, ამ ჟანრის მწერალს არც კარგს მოუწონებენ და არც შეცდომაზე მიუთითებენ“; საჭიროა აღდგეს „ლიტერატურული პოლემიკის შესანიშნავი ტრადიცია, რადგან ეს აკლია, მეტად საგულისხმოდ აკლია ქართულ მწერლობას და ხელს უშლის ჩვენი აზროვნების განვითარებას“. ხსენებულ წერილში, ჩვენი აზრით, გ. ნატროშვილი თუ სწორად გავიგეთ, იზიარებს კ. ზელინსკის აზრს, რომ „კრიტიკა მით უფრო მეტად ხდება მეცნიერებად, რაც უფრო მეტია მასში ხელოვნება“. გ. ნატროშვილიც ხშირად მიმართავს ხელოვნებასთან ახლო მყოფ სტილს. ასეთია ხატოვანი ეტუდი „ლექსი და სიყვარული“ — პოეტ ქალზე, რომელმაც შექმნა ლექსები „გამოლმა მე ვარ, გაღმა შენ“, „ვერცხლისამც თასად მაქცია,“ და სხვ. სამუკათ ხვარამზის ლექსი „არის პრიმიტივი ფურისულას ყვავილისა, იფნის ძირებში რომ აღაღანდება ხოლმე გაზაფხულზე, ეს არის პრიმიტივი ალპიური მდელოს ყვავილებისა.... ეს არის პრიმიტივი ტოროლას გალობისა ყანის თავზე...“ (გვ. 240). აქ „პრიმიტივი“ თავის ადგილზეა; ჩვენ დავსძენდით, ირაკლი აბაშიძის სიტყვებით, რომ „ყველა სიმღერას თავისი წლები აქვს“, — ხვარამზის ლექსი კაცობრიობის „პრიმიტიული“ ხანის, მისი სინორჩის პირმშოა. ეტიუდი ხვარამზეზე მხატვრული ნაწარმოების ზღვარზე დგას. მაგრამ გ. ნატროშვილს არ ახასიათებს რაიმე ტრაფარეტი, ყველა საკითხისადმი ერთსა და იმავე კუთ-

ხით, ერთი ასპექტით მიდგომა, რითაც ზოგი ხშირად სცოდავს. კარდინალური საკითხების შემთხვევაში, იგი საჭიროდ ცნობს გვიჩვენოს ის სოციალურ-ეკონომიური მიზეზები, რომელთაც განაპირობეს ესა თუ ის ლიტერატურული მოვლენა. წერილში გ. წერეთელზე საგანგებოდაა აღნიშნული გერცენის, შელგუნოვის, აგრეთვე სევასტოპოლის დაცემის მნიშვნელობა გ. წერეთლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. გრ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ ფაქტთანაც, რომ პოეტის „მსოფლმხედველობაში იყო ერთგვარი, თუმცა ძლიერ სუსტი განხრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებისაკენ" (გვ. 139). ასევე ილიას „მგზავრის წერილები" შეფასებულია პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

საერთოდ, გარკვეული მხატვრული სტილისა და ლიტერატურის ფასეულობის გახსნა ნაწარმოებში ჩაქსოვილი მორალური, სოციოლოგიური, რელიგიური მნიშვნელობის ჩვენების გზით ჩვენი აზრით, ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდება: „მნიშვნელობათა", „იდეათა" ძიების გამო ივიწყებენ წმინდა „ლიტერატურულ" მხარეს, იმის ჩვენებას, თუ რა ხდება შიგ ნაწარმოებში. სხვაგვარი უკიდურესობაა, როცა დღეს დასავლეთში ზოგჯერ მხოლოდ წმინდა „მხატვრულ" მოვლენას იკვლევენ, უგულებელყოფენ „მნიშვნელობას". ეს ნაწარმოების თავისებურ გაუქმებას ნიშნავს, რადგან ლიტერატურა არ არსებობს სულიერი ღირებულების გარეშე. ყოველივე ეს უნდა გვახსოვდეს, თუ მიზნად ვისახავთ რომ ლიტერატურული კრიტიკა იყოს კრიტიკა და არა ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ბელეტრისტიკის რაღაც ნაჯვარი ან შუალედური რამ. ლიტერატურის საუკეთესო შეფასება წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, როცა ლიტერატურას უპირველეს ყოვლისა უყურებენ როგორც ლიტერატურას.

მოსაწონ და ამდენადვე ლოგიკურ მოვლენად მიგვაჩნია, რომ რუსთაველი, რუსთველური ტრადიცია კვლავ და კვლავაა მსჯელობის საგანი გ. ნატროშვილის წერილებში. ირ. აბაშიძის ლექსების განხილვისას, აღნიშნულია რუსთველური რენესანსის მნიშვნელობა. მართლაც, საგულისხმოა, რომ რუსთაველთან, რუსთაველის ტრადიციასთან თავისებური გამოხმაურებაა ირ. აბაშიძის ლექსები „რუსთაველის ნაკვალევზე", „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში", და აგრეთვე „ხმა ჯვრის მონასტერში", „ხმა დარდანელთან", „ხმა კატამონთან". ეს ლექსები საქართველოს ცხოვრების სულიერი განწყობილების, ერის ფსიქიური ატმოსფეროს ერთ-ერთი ეტაპის პოეტური დოკუმენტებია, ქართული პოეზიის მშვენებანი.

საინტერესოა გ. ნატროშვილის დაკვირვება „ვეფხისტყაოსნის" ზნეობრივი სამყაროს გავლენაზე გრ. ორბელიანის პოეზიაში, რომ პოეტი ყველაზე ერთგულად ქართული ლიტერატურის ყველაზე ძველ, რუსთაველურ ტრადიციას აგრძელებდა. მართლაც, მკვეთრად მოისმის რუსთაველის გამოძახილი გრ. ორბელიანის მიერ სიყვარულზე ნათქვამ სტრიქონებში: „რომლის შუქი აგვამაღლებს, რომლით სული განათლდება, რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება".

ზოგჯერ უგულებელყოფენ ბიბლიის მნიშვნელობას ლიტერატურის განვითარების გზაზე. საჭიროა არა უგულებელყოფა, არამედ ამ საკითხის კრიტიკული დაძლევა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ათეიზმი, როგორც მსოფლმხედველობის დამახასიათებელი თვისება, — აღნიშნავს გ. ნატროშვილი, — თავისთავად იგულისხმება; ილიას ლექსში „პასუხის პასუხი" — „ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი" — ბიბლიური ღმერთი როდია, არამედ იგია ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, ჩაგრულთა მოსარჩლე პოეტ-მოქალაქის ხმა. მაგრამ რატომ ეწოდება მეორე წერილს ილია ჭავჭავაძეზე — „ჟამი სიცოცხლისა, ჟ-

მი სიკვდილისა“? წერილის ავტორი მიზნად ისახავს დაახასიათოს ილიას ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოები — 1885 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა“. ილიას „საწერ მაგიდაზე ერთ მხარეს ლევ ტოლსტოის „აღსარებაა“ გადაშლილი, მეორე მხარეს ბიბლია — ეკლეზიასტეს წიგნი და ერთიც და მეორეც ამ წუთისოფლის ამაოებას უჩივიან“. ამ წიგნთა სულისკვეთება ილიამ ნეგატიურად მიიღო, ეკლეზიასტეს წიგნთან ლექსიკური სიახლოვით დაუპირისპირდა მის დედაზრს. ასეა თუ ისე, მაინც აღიარებულია ძველი ებრაული პოეზიის ნაწარმოებისადმი ილიას საინტერესო მიმართების არსებობა. ილიას ამ „შინაური მიმოხილვის“ ცნობილი სიტყვების — „შე დალოცვილო, მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!“ ალეგორია ეფუძნება ხალხურ თქმულებას მამლის ყივილის წინაშე უწმინდურ სულთა შიშზე, — ერის მჩაგვრელებს ეშინიათ დიადი განახლების — საქართველოს თავისუფლებისა.

რა თქმა უნდა, იმ საკითხს, რომელიც აღძრულია წერილში „ჟამი სიცოცხლისა, ჟამი სიკვდილისა“ მეტ-ნაკლებად სხვა მკვლევარებიც შეეხენ. მაგრამ გ. ნატროშვილი ამ საკითხს ახალი და თავისებური ასპექტით უყურებს, იძლევა ილიას ამ „შინაური მიმოხილვის“ შინაარსის ფართო განზოგადებას, მის დაკავშირებას მწერლის სხვა ნაწარმოებებთან. ეკლეზიასტეს წიგნს ილია პირველი არ შეხებია, „მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ იმ პესიმიზმს, იმ ამაოთა ამაოების ფილოსოფიას არავინ ისე ძლიერად არ შებრძოლებია, როგორც ილია ჭავჭავაძე“ (გვ. 173). ავტორი ავითარებს თავის მსჯელობას და „ოთარაანთ ქვრივის“ ბოლო დიალოგს არჩილსა და კესოს შორის ახასიათებს, როგორც „შინაური მიმოხილვის“ თავისებურ „გავრცობას, მხატვრულ ნათელყოფას“. ასევე საყურადღებოა არჩილისა და კესოს ამ დიალოგის, თავის მხრივ, ილიას სხვა წერილთან — „მეცხრამეტე საუკუნე“ — დაკავშირება. ამავარად, „ჟამი სიცოცხლისა, ჟამი სიკვდილისა“ მეტად საინტერესო კუთხით გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძის, როგორც მხატვრისა და კრიტიკოსის, მსოფლმხედველობითს ერთიანობას. ილიამ „ბრწყინვალედ გადასჭრა ის წყეული საკითხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა ადამიანის გონებას, ასე მოძებნა მან ის ლარი, ის საზღვარი, რომელიც გაჰყოფს ცოდვასა და მადლს, კეთილსა და ბოროტს“ (გვ. 175).

ბიბლიის ანალოგიური გააზრება, თუმც სხვა თავისებურებით, თავს იჩენს გურამიშვილის მიმართაც. „ისევე როგორც საქართველოს ისტორიაში და ძველ ქართულ კულტურაში, გურამიშვილის შემოქმედებაშიც ეს ორი წყარო — „ვეფხისტყაოსანი“ და ქრისტიანობა — ერთმანეთს ებრძვის“ (გვ. 94). ვახტანგ VI-ის კრიტიკულ თვალსაზრისს („საღვთო მიჯნურობა“) ისევე როგორც რუსთაველს, გავლენა ჰქონდა გურამიშვილზე. სხვათა შორის, ვახტანგ VI, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, მეტ საგანგებო კვლევასაც მოითხოვს. ჩვენი აზრით, მისი „საღვთო მიჯნურობის“ თვალსაზრისი ენათესავება ფილონ ალექსანდრიელის დოქტრინას, ანტიურ ფილოსოფიაში ქრისტიანული ალეგორიების დანახვას. ცხადია, ეს მსგავსება წმინდა „შემთხვევითიც“ შეიძლება იყოს; შეიძლება, ადგილი აქვს მეტად არა უშუალო, პირდაპირ გავლენასაც; თუმცა არც ისაა დასავიწყებელი, რომ ფილონ ალექსანდრიელს საქართველოსა და სომხეთში იცნობდნენ, — მისი ზოგი თხზულება მხოლოდ სომხურ ხელნაწერებში შემორჩა. მაგრამ ეს ცალკე საკითხია.

გ. ნატროშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის კონცეფცია მთავარი არ იყო გურამიშვილის შემოქმედებაში: „ის დიდი რეალისტი იყო და ამ მებრძოლი, ჯანსაღი რეალიზმის იდეები მთელი ძალით ბრწყინავენ მის ქმნილებებში“ (გვ. 98). ყოვე-

ლივე ეს მეტად საინტერესოა. თუმცა შეიძლება წამოიჭრას კითხვა, იმ ეპოქაში ვახტანგ VI-ის და საერთოდ ქრისტიანიზმით შეფერადებული თვალსაზრისი აუცილებლად ეწინააღმდეგებოდა თუ არა „ჯანსაღ რეალიზმს“.

უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს გურამიშვილზე წერილის იმ თავსაც, რომელიც გ. ნატროშვილს ს. ჩიქოვანთან ერთად დაუწერია. მასში უარყოფილია მკვლევართა შორის გამტკიცებული უმართებულო შეხედულება, თითქოს გურამიშვილს დაღესტანში ორი ან ერთი წელი მაინც დაეყოს. „ქართლის ჭირის“ ტექსტის და მრავალი სხვა დაკვირვების შედეგად ცხადყოფილია, რომ პოეტი ტყვეობაში ერთ ზაფხულზე მეტხანს არ დარჩენილა. გურამიშვილის შემოქმედების განხილვას თავისებურად ესიტყვება წერილი სიმონ ჩიქოვანზე, მისი პოემის — „სიმღერა გურამიშვილზე“ — განხილვა. ამ პოემაში, მიუთითებს გ. ნატროშვილი, ისტორია თანამედროვეობის თვალითაა დანახული. ანალოგიურად, „ისტორია თანამედროვე პოეტის თვალით“, ასე ეწოდება თავს, რომელშიც გ. ლეონიძის ისტორიული თემატიკის ლექსებია განხილული.

კრიტიკა არ არსებობს დროისა და ადგილის გარეშე. გ ნატროშვილის კრიტიკული წერილები და ეტიუდები აღბეჭდილია ჩვენი ეპოქის, ჩვენი ქვეყნის თავისებურებებით. ჩვენს კრიტიკოსთაგან გ. ნატროშვილი გამოირჩევა იმითაც, რომ მახვილი სიტყვით აფასებს როგორც ჩვენს თანამედროვე საბჭოთა პერიოდის მწერლებს, ასევე მათს სახელოვან წინამორბედებს, ჩვენს წინაპრებს. იოანე ბაგრატიონის პროზა იქნება ეს, ვაჟა-ფშაველას პოეზია, თუ საბჭოთა მწერლების გ. ლეონიძის, კ. ლორთქიფანიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ირ. აბაშიძის პოეზია, გ. ნატროშვილი ყველგან მიუთითებს შემოქმედების განუყოფლობაზე, სამშობლოსადმი სიყვარულთან. წერილში „აკაკი წერეთელი და საქართველო“ ავტორი გვიამბობს იმ ღრმა კავშირზე, რომელიც დიდ პოეტსა და მის სამშობლოს შორის არსებობდა. საქართველოს ამ სიყვარულმა დაუკავშირა ერთმანეთს ილია და აკაკი, ეს „უძლიერესი ბურჯები მე-19 საუკუნის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა, სიბრძნის ორი დედაბოძი, რომელთა მხარზე იყო დაყრდნობილი იმდროინდელი საქართველო“ (გვ. 182). გ. ნატროშვილის წერილები არა მარტო ახასიათებენ ჩვენს ღვაწლმოსილ წინაპრებს და სახელოვან თანამედროვეებს, არამედ გვინერგავენ დიდ პატივისცემასა და სიყვარულს სამშობლოს წარსულსა და აწმყოსადმი.

ერთს წერილში გ. ნატროშვილი იხსენიებს პლატონის სიტყვებს „ფედრადან“, რომ კარგი ქმნილება, კარგი წიგნი ავტორისა — ეს უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებსო. მართლაც, ნაწარმოები, თუ მწერლის მთელი სულიერი ცხოვრების შედეგი არაა, თუ მისი სისხლ-ხორცი არაა, ამის გარეშე ნაწარმოები არ შეიძლება იყოს ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება. შემოქმედისა და ნაწარმოების ამ განუყოფელ კავშირს გულისხმობდა ჯოისი, როცა თავის გმირს სტივენ დედალუსს, „ულისის“ ცნობილ დიალოგში შექსპირზე, ათქმევინა: „თუ უშვილო კაცი მამა არაა, განა შეიძლება უმამოდ არსებობდეს შვილი“? საჭიროა ქართული ლიტერატურის კვლევის საქმე იყოს სათუთი და მუდმივი ყურადღების საგანი. აქ, ცხადია, უპირველესი მნიშვნელობა კრიტიკას ენიჭება, რომელსაც დიდად უნდა უყვარდეს ლიტერატურა და გული შესტკიოდეს მის ბედზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ შუშანია

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“

კონსტანტინე გამსახუდრიას რომანი „მთვარის მოტაცება“ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართულ სინამდვილეს ასახავს.

ეს დიდი მხატვრული ტილოა, რომელიც გადმოგვცემს იმ წლების რეალისტურ სურათებს, როდესაც სოფლად ტარდებოდა კოლექტივიზაცია, როცა დაიწყო გადამწყვეტი შეტევა წვრილი, პრიმიტიული სოფლის მეურნეობის მსხვილ, განვითარებულ კოლმეურნეობად გაერთიანებისათვის.

და მთელი ეს პროცესი სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისა მწერალმა გადმოგვცა იმ გაშლილი კლასობრივი ბრძოლის ფონზე, რომელიც სწარმოებდა ერთი მხრივ რევოლუციის მიერ განადგურებული პრივილეგიური კლასის გადმონაშთებისა და მეორე მხრივ სოფლის კულაკური ელემენტებისაგან.

რომანში მოქმედება ვითარდება სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და თბილისში.

ძველისა და ახალის დაპირისპირების კონტრასტული ხერხებით მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ ირღვევა ძველი, გარდასული ყოფა, ძველი პატრიარქალური იდილია და როგორ იბერება ახალი შუქი ისეთ მხარეში, როგორიც სვანეთია, სადაც მეოცე საუკუნის დასაწყისამდე შენარჩუნებული იყო გვაროვნული წყობილების ნაშთები.

რომანში დაპირისპირებულია ორი კლასი, ორი მსოფლმხედველობა...

სწორედ ძველისა და ახალის დაპირისპირებით იწყება რომანი.

შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობა იხატება ოქუმიდან ზუგდიდში მიმავალი მამა-შვილის კაც ზვამბაიასა და არზაყანის პაექრობაში.

თავის ჩერქეზულ ცხენზე ამხედრებული აფხაზი კაც ზვამბაია დროდადრო ვაჟკაცურ ერგეაშვას ღიღინებს და თან ესიტყვება თავის ვაჟს იმაზე, რომ, მას ლეგიონში ვერ შეასწავლეს ტალახებსა და ხნულებში ახალნახედნი ცხენის ტარება, რომ, კარგი მხედარი მათრახს უნდა ზოგავდეს და სხვა.

და ასე თანდათანობით, გზადაგზა კაც ზვამბაიას გულში აღდგება მამა-შვილს შორის არსებული მტრობა: კომკავშირში ნუ შეხვალო, ეუბნებოდა იგი არზაყანს და არზაყანი მაინც პირველი იყო მთელს სოფელში, კომკავშირში რომ შევიდა, ჩალმაზს, რაიკომის მდივანს ნუ აყვებიო და ლამისაა სულში ჩაიძვრინოს იგი. გარდა ამისა, არზაყანმა აკვანში დანიშნული ქალი მიატოვა და თამარს გადაეკიდა, შარავაშიძის ქალს, რა მისი საქმეა თავადის ქალი! აი ეს დარდი ახრჩობდა კაც ზვამბაიას.

ძველი და ახალი მსოფლმხედველობის ბრძოლა გაშლილია რომანის მთავარი გმირების — თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას ურთიერთობის ფონზე.

რომანის მთავარი გმირი თარაშ ემხვარი ფეოდალური არისტოკრატიის შვილია. იგი პირდაპირი მემკვიდრეა ვარდან ემხვარისა, რომელსაც თამარ მეფის სიგელი ჰქონია მიღებული იმ ომში მონაწილეობისათვის როცა თამარ მეფის სპამ რუმის სულტანი რუქნადინი გააქცია.

თამარის მიერ ჰქონია მას ნაბოძარი მამულები „ეგრის წყლით ვიდრე კილასურამდე ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა და ბარითა, წყლითა, კლდითა, ტყითა და ყოვლისა სახმარითა და უხმარითა“.

თარაშის მამამ, მეფის არმიის გენერალმა ჯანსუღ ემხვარმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სოხუმის თუთუნის პლანტაციები და ოქუმის მამულები მიყიდ-მოყიდა და თავისი ჯერ უწვერული ვაჟით თარაშით ევროპაში გაქცეულ მთავრობას გაჰყვა.

თარაშ ემხვარი ევროპაში აღიზარდა. ევროპის განთქმულ უნივერსიტეტებში ისმენდა ლექციებს:

„... როგორც დაგეშილ მიმინოს ძაფით თვალებს ამოუკერავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს ააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული დაავიწყონ, თანდაყოლილი ენერგიის პირველადი სილაღე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ააა-ს ევროპიელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში“, — წერს თარაშ ემხვარი თავის დღიურში.

ასე დააქროლებდა თარაშს ბედისწერა ქალაქიდან ქალაქად: რომში, ფლორენციაში, დრეზ-

დენში, პარიზში გაეცნო იგი ხელოვნების უკვდავ ნიმუშებს. გერმანიაში მიიღო თარაშ ემხვარმა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აფხაზურ ენაში გამოკვლევისათვის.

ყოველგან, ყოველდროს, ყოველთვის იგი გულით ატარებს საქართველოს სიყვარულს. პარიზში, საბერძნეთში თუ რომში ის ოცნებობს კოლხეთის დაფნიან ბორცვებზე, ბროწეულებითა და მაგნოლიებით დამშვენებულ ველებზე.

იტალიის დიდებული ტაძრების, ჩანაცრებული ქალაქებისა და საკურთხევლების, დანგრეული კართაგენის, ფორუმ რომანუმის მიღმა მას გულში ეხატება იგავმიუწვდომელი თმოგვის ციხე, ქსნის პალატები, ბებრის ციხე, ნარიყალა, გორის ციხე, სათანჯო, რუხი, უქიმერიონი და ქორსატეველა და ამბობს თარაში — ისევე როგორც იტალიის ცის განათებამ შექმნა ჯოტოს და რაფაელის ფერწერის მშვენება, ასევე საქართველოს ცამ შთააგონა ჩვენი უდიდესი ფრესკის მწერლებს გელათის, ვარძიის, ბეთანიის, ზარზმის, ატენის, უბისის უკვდავი ფერების სიმფონია.

პარიზში ის ღამით საბანს თავზე იფარებს, რათა იქაურობას გამოეთიშოს და დედამისი ან საქართველოს მთები დაესიზმროს. მას უნდა, თუნდაც ერთხელ ნახოს მშობლიური მთები და მერე, სულერთია, რაც მოუვა, მაგრამ ეშინია, რომ ბოლშევიკები მას უთუოდ მოკითხავენ წინაპრების ცოდვებს და ძნელია დაჯერება, იწამონ მისი გულწრფელობა.

ბოლოს, როგორც იქნა, თარაშ ემხვარი მოახერხებს საქართველოში ჩამოსვლას..

ევროპიდან დაბრუნებული ზის იგი ზუგდიდში, საქართველოს ამ ულამაზეს დაბა-ქალაქში, რომელსაც ამშვენებს დადიანისა და მიურატისეული ფეოდალური სასახლეები და შესანიშნავი ჭადრების ხეივანი. აქ იგი მუშაობს ძველი კოლხიდის ფეტიშიზმის საკითხებზე, დროდადრო კი ჭადრების ხეივანში პლატონის „ფედროსს“ კითხულობს.

რევოლუციის გრიგალმა დაამსხვრია ფეოდალური იდილია, გამოიცვალა დროება. მაღალი წოდების უკანასკნელი აგონია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მიდის, წარსულს ბარდება ძველი ცხოვრება, ძველი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ირღვევა პრივილეგიური კლასის დიდება. ყოველივე ეს თარაშ ემხვარის თვალწინ ხდება. ის მძაფრად განიცდის თავისი წოდების ბედს.

ჯერ კიდევ ევროპაში მას დედა ატყობინებდა: წისქვილები და მამულები ბოლშევიკებმა წაგვართვესო, სასახლეში სკოლა გამართესო, ეკლესიას ჯვარი მოხსნესო, მღვდელი კომკავშირლებმა გაკრიჭესო, წმინდა თებრონეს ძვლები მონასტრიდან გარეთ გამოყარესო, მონაზვნები გამორეკეს და ტფილისის აბრეშუმის ქარხანაში სამუშაოდ გააგზავნესო, ახლა ოქუმელი დიაკონი კოოპერატივის მოანგარიშედ დადგაო, ფსალმუნების კითხვას ბალანსების შედგენა არჩიაო. ტასია მონაზონი გათხოვდაო.

ასეთია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები.

მალე თარაშ ემხვარს ერთი დრამატიული შემთხვევა სვანეთში გადაისვრის მას შემოაკვდება ტარბა — ერთ-ერთი წევრი ბობოლების შეიარაღებული რაზმისა, რომელიც არზაყანს თავს დაესხა.

სისხლისმაძიებელი ტარბებისაგან თავის დაღწევის მიზნით თარაშ ემხვარი თავისი ძიძიშვილის არზაყანისა და კაც ზვამბაიასთან ერთად სვანეთში გადაიხვეწება.

თარაშ ემხვარის რთული, წინააღმდეგობებით სავსე ბუნება, მისი სევდა და განწირულება დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და უშუალობითაა გადმოცემული მის უაღრესად პოეტურ დღიურებსა და ბარათებში მახვშის კოშკიდან, რომლის ადრესატია თამარ შარვაშიძე.

ამ დღიურებში თარაშ ემხვარი, პირველყოვლისა, ჟენეველი ფილოსოფოსის ჟან ჟაკ რუსოს მიმდევარია. იგი გმობს ქალაქის ცივილიზაციას და თაყვანსა სცემს ბუნების შეუბღალავ იდილიას.

თუ ევროპის შფოთიან ქალაქებში მან სმენაც დაკარგა და ყნოსვაც, აქ, უსიერი ბუნების წიაღში განმარტოებულს ესმის უმცირესი ჩქამიც კი, „თუ როგორ ეცემა მიწაზე წიწვი, ან როგორ მოქონავს ფისი ფიჭვების გოლიათურ ტანზე“.

ბედისწერა დიდხანს დააქროლებდა თარაშ ემხვარს ევროპის ქალაქებში. თავისი გმირი მწერალმა წარმოგვიდგინა რთულ გარემოში, განწყობილებათა სწრაფი ცვალებადობით, სულიერი განცდების მძაფრი კონტრასტებით. თარაშ ემხვარი ცდილობს მოგზაურობაში ჩაკლას სევდა და კაეშანი, მაგრამ იგი ამაოდ ცდილობს სულის დამთრგუნველი მწუხარება განიქარვოს კულტურის მიუწვდომელი შედევრების გვერდით.

თარაშ ემხვარმა ცოდნა და განათლება მიიღო ევროპის განთქმულ უნივერსიტეტში, მაგრამ მიუხედავად ამისა ის ისევ გოდებს თავის დამსხვრეულ ოცნებებზე.

ვერც სიყვარულმა მოუტანა მას სულის მშვიდობა.

და ბოლოს სვანეთის პატრიარქალურ მყუდროებას შეაფარებს თავს, სადაც „ყოველი სულიერი დუმს, ყოველი ხმა წყვეტს ქღერას, არც როჭო წივის და არც შურთხები გვაუწყებენ ჯიხვთა მოდენას“.

ძველი გარდასული ყოფის წარმომადგენელია ქორა მახვში, ეს ბიბლიური კაცი, რომელიც ჩაკეტილია თავის კოშკში და, როგორც ბედისწერას, ელოდება ბოლშევიკების მოსვლას.

ქორა მახვშმა თარაშისაგან გაიგო პირველად,

რომ ადამიანები დიდი ხანია ცაში დაფრინავენ ჰაეროპლანებით.

— ფუ ეშმაკს, ფუ ეშმაკს, — ამბობს იგი ყოველივე იმ ახალის გაგონებაზე, რაც ნელ-ნელა იჭრება სვანეთში და არღვევს მის პირვანდელ სახეს.

საბჭოთა ხელისუფლება გზას იკაფავს სვანეთისაკენ. კულტურული რევოლუცია შეიჭრა ამ ძველი მითებითა და ლეგენდებით დამძიმებულ მხარეში. მახვშის კოშკს შეფარებულ თარაშ ემხვარს ეგონა, აქამდე ვერ მოაკვლევდა ის ახალი, რომელსაც იგი გამოექცა. მაგრამ უკვე ისმის ნაღმების გრიალი და სულ უფრო და უფრო ახლოვდება: „ეს ცივილიზაცია შემოდის სვანეთში სალუტით და მთები ბანს ეუბნებიან“.

უკვე ააფეთქეს არწივთა სავანედ წოდებული უზარმაზარი კლდე, რომელიც პირდაპირ უყურებდა ლაფარიანების მახვშის უძველეს კოშკს. ამგვარად მახვშის კოშკამდე შეაღწია ახალი საუკუნის განახლების ხმამ. გზა თანდათან უახლოვდება ძველთაძველ კოშკს და ამ გზით მოდის ახალი ცხოვრება, ახალი კულტურა სვანეთში.

და იწყება მძიმე კრიზისი თარაშის სულში. მას დიდი სურვილი აქვს ემსახუროს თავის ქვეყანას, გააკეთოს რამე, მაგრამ რა ქნას, როცა მისი და ახალი საქართველოს გზები გაყრილია, მასა და საზოგადოებას შორის უფსკრულია აღმართული. ის ხომ რევოლუციის მიერ განადგურებული წოდების განწირული ნაშიერია.

თარაშ ემხვარი კრიტიკულადაა განწყობილი საკუთარი თავისადმი. ის კიცხავს თავისთავს, ანალიზს უკეთებს თავის ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებას, მსჯავრი გამოაქვს თავისთავისადმი.

„... მე წილდაკარგული კაცი ვარ, წილწართმეული, ცაზე ღმერთი არ მეგულება და მიწაზე მეგობარი, ხანდახან ისე შემომენთება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია, სხვა პლანეტიდან პარაშუტით გადმოვმხტარიყავ“, — ასეთია თარაშ ემხვარის განწყობილება.

თარაშ ემხვარის გაორებული ბუნება, მისი შინაგანი ბრძოლა და წინააღმდეგობა, მისი მისწრაფება საზოგადოებრივ სასარგებლო საქმისადმი დიდი უშუალობითაა გადმოცემული დუელის სცენაში, რომელსაც თარაშ ემხვარი მართავს თავის მეორე მესთან მახვშის კოშკში.

ეს არის საზოგადოების ინტერესებს მოწყვეტილი ადამიანის აღსარება, მისი სევდა ამავე დროს მთელი თავისი კლასის, მთელი თავისი წოდების სევდაც. ამიტომაც ამბობს იგი: „ჩემთვის აწ ყოველივე ამაოა, მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი“ო.

თარაშ ემხვარს მწერალი ადარებს ჭანგმოცარულ მიმინოს, რომელიც ზის საგვარეულო კოშკის დაქცეულ თაღებ ქვეშ და ვერ ხედავს, რომ საუკუნეები ამდგარან ამ კოშკის პატრონთა და მათ ნაშიერთა დასამხობად. ახალი ცხოვრების გრიგალებს თარაში ვერსად გაექცა. მახვშის კოშკსა და დევის ქვაბში ის ამაოდ ოცნებობდა აწ დაკარგულ წარსულზე, ამაო იყო მისი ნუგეში და თავის გართობა მოგონებებით.

მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა და ყოყმანისა, მიუხედავად თავის მე-სთან დუელისა, მან ვერ შეძლო ალღო აეღო ახალი ცხოვრებისათვის. ის ხელმოცარული დგას ცხოვრების შუაგზაზე, მის სადისერტაციო ნაშრომს დაიწუნებენ როგორც იდეურად მიუღებელს. მას არც სიყვარულმა მოუტანა სულის მშვიდობა.

მწერალმა თავისი გმირი თარაშ ემხვარი მრავალი ღირსებით აღჭურვა. ის გულითად სიმპატიას იმსახურებს თავისი დახვეწილი არისტოკრატიული მანერებით, მოხდენილი გარეგნობით, თავისი დიდი კულტურით, განცდების ლირიზმითა და პოეტურობით, მაგრამ მწერალმა მაინც ბოლოს თავის გმირს ასეთი განაჩენი გამოუტანა:

„მარტოხელა კაცი, საზოგადოებას მოწყვეტილი, როგორი დიდი სიბრძნითაც არ უნდა იყოს აღჭურვილი, შლეგის შთაბეჭდილებას ახდენსო“.

თარაშ ემხვარი თავის მეგობარს სწერდა: ჩემს ნატერფალზე ფეხს ნურვინ შედგამსო, რადგან უცილო განადგურებისათვის იყო განწირული მისი წოდება, ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ის სამყარო, ის წარსული, რომელიც მას განუზომელად უყვარდა, ვეღარასოდეს აღსდგებოდა, ვეღარასოდეს მობრუნდებოდა.

რომანში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი თარაშ ემხვარის ცხოვრების ინტიმური მხარე.

მრავალი ქალი შემოყავს მას თავისი ბედის ორბიტში. მაგრამ მის ვრცელ დონჟუანურ სიაში განსაკუთრებული ადგილი მაინც თამარ შარვაშიძეს უჭირავს.

თარაშ ემხვარის სიყვარული თამარისადმი იყო ყველაზე ღრმა და პოეტური. ამაზე მეტყველებს თარაშ ემხვარის წერილი მახვშის კოშკიდან ზუგდიდში თამარ შარვაშიძისადმი, რომელიც უთუოდ ეპისტოლარული პოეზიის ერთი ბრწყინვალე შედევრია.

ამ წერილში როგორც ფოკუსში გადაშლილია თარაშ ემხვარის მთელი სულიერი სამყარო, როგორც პროდუქტი გარკვეული კლასობრივი ფსიქოლოგიისა. ცხოვრების მსახვრალმა ხელმა მას დააკარგვინა სიყვარულის მაღალი ნიჭიც და განგებას მისთვის მიუსჯია მარტოდ დარჩენა.

აქაც, ისევე როგორც ყველგან მისი ოცნებაა, როგორმე განიშოროს ბურჟუაზიული ევროპის სენი. ის ებრძვის თავის თავს, რათა მისი ხსოვნიდან წარიხოცოს სამარადჟამოდ უცხო მოძღვრებანი.

კოშმარული ზმანებებისა და უგუნებობის წინააღმდეგ ემხვარს მხოლოდ ერთი გზა გააჩნია. ეს არის ბუნება. თარაშ ემხვარის რომანტიული სული ბუნებაში პოებს ნავთსაყუდელს, ბუნება მისთვის ხორცშესხმული, მგრძნობიარე და თანაგრძნობის დამაამებელი ნიჭით სავსე მეგობარია, მხოლოდ მას ძალუძს განუქარვოს, მოაცილოს სულისაღმშფოთი სევდა და კაეშანი, მოჰგვაროს ნუგეში და სითბო, რომელსაც ამაოდ ეძებდა თავის ნაცნობთა წრეში.

რომანში მოცემულია სვანეთში ახალი ყოფის შეჭრის სურათები. სულ რამდენიმე შტრიხით მწერალი გადმოგვცემს განახლების იმ პროცესებს, რომელმაც სახე უცვალა პატრიარქალურ სვანეთს.

რომანში ვხედავთ, თუ რა დიდი მუშაობაა გაჩაღებული სვანეთის გზებზე. „მთელი ათასი კოჟრიანი მარჯვენა ებრძოდა კლდეების შეუვალ ბასტიონებს". აქ ნახავდით მანქანებს, რელსებს, ტელეფონის აპარატებს, ლითონის ჭანგებს, ბეტონის კალაპოტებს, ელექტროგაყვანილობის საჭურველს.

ეს ნივთები მიეტანათ პირველად იმ ქვეყანაში, სადაც დღემდე სუფევდა პირველყოფილი ცხოვრების შეურყეველი იდილია.

თვით მახვშის კოშკამდე, სულ დიდი, ერთი დღის სავალზე მოსულა: გრამაფონები, ბალალაიკები, ბლუზები, კეპები, ჭვინტგანიერი ფეხსაცმელები, მედიკამენტები. და ესენი, ვაი, რომ ალბათ სვანეთიდან გააძევებენ ოქროთი და ვერცხლით მოოქვილ ქამრებს, სვანურ ქუდებს, ჩოხებს, საცვეთებს, პაჭიჭებს, ნაბდებს, ფიჭვის კვარებს, ჩონგურებს, საზანდარს, — სწერდა გულისტკივილით თარაშ ემხვარი ერთ თავის მეგობარს.

ასევე იცვალა სახე საქართველოს სხვა კუთხეებმაც. კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობები ამოაშრეს, რიონს კალაპოტი უცვალეს, თხმელისა და ანწლის ტყეები და ველები ციტრუსებით, რამით, ევკალიპტით დამშვენდა. ფეოდალური თვალშეუდგამი სანადირო ტყეები, ჭაობები და უნაყოფო ეწერი ბაღნარად იქცა.

მწერალს არ გამორჩენია მხედველობიდან ის დამახინჯებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფლად კოლექტივიზაციის პერიოდში. ამ დროს სწარმოებდა გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა. სოფლის ბობოლები დიდ საფთხეს წარმოადგენდა პარტიის ა? უდიდესი ღონისძიების გატარების საქმეში. „თავი წამოყვეს ისევ ნახუცრებმა, ნადიაკვნარებმა, მონასტრიდან გამორეკილმა ბერებმა და მონაზნებმა, ისევ აზიმზიმდნენ მარჩიელები, შემლოცველები და გამომლოცველები. სოფელი შიშის აგონიამ შეიპყრო. ცრუმორწმუნე გლეხობა გაინაბა, დაშინებული ყურს მიუგდებდა მეორეთმოსვლის, ანტექრისტეს, ეფუთის ამბებს"...

რაიკომის მდივანმა არლანმა ძალდატანებით შეყარა გლეხები კოლექტივში. მან ქათმებიც კი შეაყვანინა ხალხს კოლექტივში. ამიტომაც კულაკები განუკითხავად ხოცავდნენ პირუტყვს, კამეჩებს, მოზვრებს და ხარებს. ისინი დაფრთხნენ, ვაი თუ ფრინველებიც წაგვართვანო, და მუსრს ავლებდნენ შინაურ პირუტყვს.

კულაკობამ ბრძოლა გააჩაღა კოლექტივიზაციის შესაფერხებლად. სოფელში ტერორი დატრიალდა კოლექტივიზაციის მესვეურების წინააღმდეგ, მათ თავს ესხმოდა კულაკობის შეიარაღებული რაზმები.

სოფელმა ისე შეიძულა არზაყან ზვამბაია, თითქოს კოლექტივიზაცია მის მიერ ყოფილიყო შემოღებული. არზაყანს, როგორც კოლექტივის ერთ-ერთ მესვეურს, პარტიის საიმედო ძალას, თავს დაეცემა ყაჩაღების ბანდა ლომკაც ტარბას მეთაურობით. არზაყანის მოკვლით კულაკობა იმედოვნებდა კოლექტივი აგვცდებაო.

არზაყან ზვამბაია ახალი ადამიანია. იგი მთელი არსებით იბრძვის იმისათვის, რომ სოფლად გაატაროს პარტიის ღონისძიებანი. იგი ახალი ცხოვრებისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია.

მიუხედავად იმისა, რომ არზაყანი იმ ოჯახიდან გამოვიდა, სადაც შეუცვლელად იყო დაცული ძველი აფხაზური ზნე-ჩვეულებანი, ის პირველი ჩაეწერება კომკავშირში და უყოყმანოდ ჩადგება იმათ რიგში, რომლებიც პარტიის პოლიტიკას ატარებენ სოფლად.

არზაყანმა რამდენიმე ღარიბი გლეხისა და კომკავშირელის მომხრობა შეძლო და მათთან ერთად ებრძოდა პირველი კოლექტივის დაარსებას. არზაყანს „რელიგიური ფანატიზმით უყვარდა პარტია. მისთვის პარტია თითქოს ზენარული რამ არსება იყო, რომლისთვისაც იგი ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს".

ტარბებთან კონფლიქტის გამო სვანეთში გადახვეწილი, მასავით ახალი ყაიდის ახალგაზრდა საურთან ერთად იგი მუდამ განახლებულ სვანეთზე ოცნებობდა. სვანეთის დიდი გზის გაკეთება მოთავდება თუ არა, აქ მრეწველობა აღორძინდებაო, ფაბრიკა-ქარხნები აშენდებაო, ფეოდალური კოშკები სვანეთის მახვშებისა სამუზეუმო ნივთებად იქცევიანო.

არზაყანი ოცნებობდა იმ დღეზე, თუ როდის

შემოვიდოდა ელმავალი ენგურის ხეობაში, როდის ალაპლაპდებოდა აქ ელნათურები და როგორ აღიმართებოდა ბაგირის გზები და ფუნიკულიორები მის ლამაზ მთებზე. ასე აღტაცებით ეტრფოდა არზაყანი ახალ ცხოვრებას.

რომანის მთავარი გმირების თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაის შორის კონფლიქტი მიჯნურობის ფონზე იშლება. ამ ორი გმირის საერთო სიყვარულის საგანია ჯერ მომხიბლავი თამარ შარვაშიძე, შემდეგ ძაბული და ბოლოს — სვანი ლამარია. თარაშისა და არზაყანის ინტერესების შეჯახების სფერო ეს სამი ქალია.

არზაყანმა კარგად იცის შარვაშიძეებისა და ემხვარების დამოკიდებულება ზვამბაიებისადმი. ოდითგანვე ზვამბაიები ემსახურებოდნენ შარვაშიძეებს, ხოლო სამაგიეროდ სტამბოლში ყიდიდნენ ყმა გლეხებს: ზვამბას, ეშბას, ლაკობას.

ახლა კი სხვა დრო დადგა. და არზაყანმა ძალიან კარგად იცის, რომ მას სრული უფლება აქვს შარვაშიძის ქალის ზღვისფერ თვალებზე და ცისფერ სისხლზედაც.

არზაყანს უფრო რომანტიული გმირის თვისებები გააჩნია, ვიდრე პარტიული მუშაკისა. ის ვაჟკაცი, რომელსაც პოლიტსამმართველომ ყაჩაღების დევნა დაავალა, ისე დაუმორჩილებია სიყვარულს, რომ „მზად არის მიწაზე დაანარცხოს და გმოს სიყვარულისა და სიცოცხლის გამჩენი“. მის მოღვაწეობაში არაიშვიათია წუთები, როდესაც ის მზად არის დათმოს ყველაფერი, მოვალეობა პარტიის წინაშე, მოვალეობა მამის წინაშე, დედის ძუძუს მოზიარის მიმართაც შეუძლია გასტეხოს მტკიცე აფხაზური ტრადიცია და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისათვის, რომ თუნდაც ერთხელ დაინახოს თამარი, თუნდაც ერთხელ შეხედოს მას მოლიბრო თვალებში, რადგან „არსად, არასოდეს ამგვარი თვალები არ უნახავს არზაყანს“.

ხანდახან არზაყანის გულში გაიელვებს აზრი: რა მისი საქმეა თავადის ქალის სიყვარული. სად არზაყანი — ახალი ცხოვრების, სოციალისტური ყოფის მშენებელი თავის პატარა სოფელში და სად შარვაშიძის ასული. ხშირად არზაყან ზვამბაიც იგონებდა თავისი ცხოვრების იმ ბედნიერ დღეებს, როცა მის გულში ენთო ერთადერთი გრძნობა და ფიქრი — პარტიის სამსახური, ის ბედნიერად თვლიდა იმ დღეებს და წუთებს, როცა მისმა გულმა არ იცოდა, თუ რა იყო თამარ შარვაშიძისადმი სიყვარული.

მის გულს ქენჯნიდა აფხაზური თავმოყვარეობა, რომ ასე დაჯაბნა დიაცის სიყვარულმა.

არზაყან ზვამბაიას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველი ტრადიციებისაგან. ის ერთობ შებოჭილია ძველი აფხაზური ადათ-წესებით, ზნე-ჩვეულებებით, რაც არ შეჰფერის მას, როგორც ახალ ადამიანს, ვინც თავის სოფელში პირველმა დააარსა კოლექტივი, ჩაეწერა კომკავშირში და ითვლება პარტიის დასაყრდენ ძალად, მის თანაშემწედ.

ამასთან ერთად, არზაყანს, როგორც ადამიანს, დიდად ამცირებს მკითხველის თვალში ის გულგრილობა, რომელსაც იგი იჩენს თავისი მამის კაც ზვამბაიას ტრაგიკულად დაღუპვის ჟამს, კიდევ უფრო შემზარავია ის ეროტიკული სცენა ძაბულისთან, რომელიც ხდება მამის ცხედრის გვერდით. ყოველივე ეს დიდად ამცირებს არზაყან ზვამბაიას.

არზაყანი ვერ არის ახალი ადამიანის, პარტიული მუშაკის დასამახსოვრებელი სახე. მას არა აქვს სათანადო სიდინჯე და ზომიერება, მას არც ორგანიზატორული ნიჭი და უნარი გააჩნია და ამით აიხსნება ის, რომ მას არავითარი ავტორიტეტი არა აქვს არც სოფელში და არც საკუთარ მამის თვალში.

კ. გამსახურდიამ შექმნა მკვეთრად გამოკვეთილი, დამაჯერებელი პორტრეტები ძველი თავადებისა, ძველი ყაიდის ადამიანებისა, რომლებსაც გულის სიღრმემდე სძაგთ ეს სინამდვილე და ეს ცხოვრება.

ასეთია ტარიელ შარვაშიძე — დეკანოზი, რომელიც აფხაზეთში არ დააყენეს იმის გამო, რომ ანაფორა არ გაიხადა, ახალ წესებს არ შეეგუა. მას თავი გამოცხადებული აქვს „ქრისტიანობისათვის გვემულ მამად“. იგი ყოველ ლოცვაში ბოლშევიკებს ლანძღავდა. მათ ადარებდა სადუკეველებს, კათაკმეველებს, მეგვიპტელებს. ის სიზმრებით ინუგეშებდა თავს და სჯეროდა, რომ მალე თავის მამულებსა და მრევლს დაიბრუნებდა.

ამ კატეგორიის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის თავადი გვანჯი აფაქიძე, რომელსაც განუზომლად სძაგდა დღევანდელობა, იგი გულისტკივილით იგონებდა იმ დროს, როცა თვით პრინცი მიურატი მის მიერ გაზრდილ ცხენზე იჯდა, ის უზომოდ სწუხდა იმის გამო, რომ ნადირობის დრო წავიდა მას შემდეგ, რაც მეურნეობები და პლანტაციები გაშენდა. რკინიგზამ, ტრაქტორმა და მანქანებმა დააფრთხო ტყიური.

აფაქიძე ყოველგვარ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ კოლექტივიზაციისათვის ხელი შეეშალა.

კ. გამსახურდია მახვილი პოეტური თვალით ხატავს პერსონაჟის გარეგნობის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელიც ერთგვარად ავსებს მის შინაგან მხარეს, მის გრძნობებს, განწყობილებებს, აზრებს.

შარდინ ალშიბაიას „ჭორფლიანი და დანაოჭებული სახე ჰქონდა, ისეთი წვრილი და მოძრავი თვალები, რომ ნააზრევს ვერასდროს შე-

ატყობდით სახეზე, თუმცა მხედველობა კარგი ჰქონდა, მაგრამ ამერიკულ რქის სათვალეს მაინც ატარებდა, რათა ფრიად განათლებულ კაცად მოჩვენებოდა ქვეყანას". იგი ბოლშევიკებთან ასმენდა კონტრრევოლუციას, ხოლო კონტრრევოლუციონერებთან ბოლშევიკებს ლანძღავდა. ის პირველი ავრცელებდა ემიგრაციიდან მოსულ ჭორებს, მას ტარიელ შარვაშიძესთან მორწმუნე კაცად მოქონდა თავი, ამავე დროს ანტირელიგიური საზოგადოების წევრი იყო.

ისტორიის მიერ განადგურებული კლასის უკანასკნელ მოჰიკანთა პორტრეტებია მოცემული რომანის იმ თავში, რომელსაც ეწოდება „ლანდადქცეული თავადი".

თარაშ ემხვარი სტუმრად მიდის თავადის ოჯახში, მამიდა ფარჯანიანთან თბილისში.

ოდესღაც ბრწყინვალე კნეინა სავსებით გამოცვლილი ეჩვენა თარაშს. იგი ახლაც მაღალზურგიან ტყავის სავარძელში დაუხვდა თარაშს, ნეკრესის ქარებისაგან წელში მოხრილი და დალეული.

ასევე გამოცვლილა და დაჩიავებულა თავადი ნოშრევანი, კნეინას მეუღლე, ერთ დროს განთქმული მოჯირითე და მონადირე. არსებობის საშუალებად მას არტისტობისათვის მიუყვია ხელი. კინოსურათში თავადის როლს ასრულებს, ასე გადასულა ნოშრევანის ცხოვრება ეკრანზე და ლანდადქცეულა.

ამ ოჯახში თარაში გაიცნობს ამ ბრწყინვალე წოდების რამდენიმე წარმომადგენელს: ასეთია კნიაზი შაქრო ორბელიანი — ბურების ომის ძველი პარტიზანი, რომელსაც გაბზარული პენსნე ეკეთა, ახლა იგი კურიერად მუშაობს რომელიღაც სახკომში.

აქვე იყო ყოფილი გენერალი „შეითან კაპიტანი", მსოფლიო ომის დროს მას ერთი ბატალიონით თურქეთის მთელი კორპუსი შტაბიანად შეუპყრია. შეითან კაპიტანი, როგორც კი თავს დააღწევდა თავის საანგარიშო კანტორას, ორი წუთით შემოირბენდა ნოშრევანთან მომპასიანი ჩაის დასალევად და თან ერთ-ორ პარტია ნარდს წაითამაშებდნენ.

აქ თარაში შეხვდება აგრეთვე კნიაჟნა თამარ ბაგრატიონს, ერეკლე მეფის შვილისშვილის შვილს, რომელიც თავის გამწარებულ სვეს ფრანგული აქცენტით მოსთქვამდა.

კ. გამსახურდია ლანდადქცეული ნოშრევანისა და ნეკრესის ქარით შეპყრობილი მისი მეუღლის ცხოვრებას ორგანულად უკავშირებს მათი ოჯახის ნივთებისა და საგნების აღწერას და ამით ქმნის რევოლუციის მიერ განადგურებული კლასის წარმომადგენელთა ერთ მთლიან სურათს.

მამიდა ფარჯანიანის ბინიდან გულსაკვდავი თარაშ ემხვარი ქუჩაში გაიპრეხა, ირაკლის ხიდი გადაიარა თარაშ ემხვარმა. შემდეგ გაყვა ნავთლუღის შოსეს. გზაზე ხვდებოდა მომავალ ურმებს, რომელსაც პური, ღვინო და სხვა საქონელი მოჰქონდათ ქალაქში. მიყვებოდა თარაშ ემხვარი ბნელსა და განიერ შოსეს. და ეთრბაშად გაოცდა იგი, როცა ადამიანის ხმამაღალი ლაპარაკი გაიგონა ბნელში. ვაკე მინდორზე აღმართული რადიოს სვეტი ლაპარაკობდა. ეს იყო საანგარიშო მოხსენება, რომელიღაც უწყებისა.

ამ ანგარიშიდან თარაშ ემხვარი გაიგებს ახალი, საბჭოთა საქართველოს მიღწევებს, რომელიც შექმნილა სულ რამდენიმე წლის მანძილზე, რომ საქართველოს გააჩნია მტკიცე ინდუსტრიული ბაზა, ის ქცეულა ძვირფას ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურების ქვეყნად, აქ ამოუშვრიათ ათასობით ჰექტარი ჭაობი, სახეუცვლია მის კოლხიდას, ის ბაღნარად ქცეულა. საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებელი შექმნილა, ელსადგურებს გაუნათებია მისი მრუდე სოფლები, მთები, დაბები, ფართო გზებს გადაუსერავს მისი მთა და ბარი.

სოციალისტურმა მშენებლობამ ასე გამოსცვალა საქართველო.

თარაშ ემხვარი, რომელიც ყოველთვის გულით ატარებდა თავის ქვეყნისა და ხალხის დიდ სიყვარულს, სიხარულით ივსება, აღტაცებაში მოდის მოლაპარაკე, ჯადოსნური სვეტის ყურისმგდებელი.

ასე ორიგინალური მხატვრული ხერხით წარმოგვიდგინა კ. გამსახურდიამ ახალი, განახლებული საქართველოს სურათები, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე, მისი მშენებლობის, წინსვლის პერსპექტივები.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თარაშს არ გაეგონა თამარის სახელი, თითქმის იმ დღიდან, რაც სვანეთში გადაიხვეწა ძიძიშვილთან და გამზრდელთან ერთად.

თამარ შარვაშიძე იყო ერთადერთი ქალი, რომლის განშორება თარაშ ემხვარმა განიცადა, როგორც აუტანელი სულიერი კატასტროფა, როგორც ნამდვილი განადგურება.

ახლა მისი ერთადერთი სურვილია: ნახოს თამარი! ერთხელ, თუნდაც ერთხელ შეხედოს მის მარაოსავით დახრილ წამწამებს, მის მოლიბრო, სევდიან თვალებს და მოკვდეს თუნდაც!

მაგრამ ამ უკანასკნელ სურვილს ბედისწერასავით გადაეღობა უჩვეულოდ ადიდებული, გრიგალისებურ ტალღებად აბორგებული ენგური.

იქ, ზუგდიდში გულისსიღრმემდე შეძრწუნე-

ბული ტარიელ შარვაშიძე თამარის ცხედართან ასდამერვე ფსალმუნის ლექსით წყეულიდა თავის გამწარებულ სვეს. აქ, ენგურის აბობოქრებულ ტალღებთან ბრძოლაში დასრულდა თარაშ ემხვარის გზა და სამანი!

„მთვარის მოტაცება“ ფსიქოლოგიური რომანია, რომლის ცენტრში დგას მეოცე საუკუნის ზედმეტი ადამიანი თავისი ღრმა ინტელექტით, დიდი სულიერი კულტურით, გარკვეული კლასობრივი ფსიქოლოგიით შებოჭილი.

საინტერესოა რომანის კომპოზიცია. ავტორი უშუალოდ მონაწილეობს თხრობაში. ის ესაუბრება თავის გმირებს: თარაშ ემხვარს, კაც ზვამბაიას, არზაყანს, მსჯელობს მათთან მთელ რიგ საკითხებზე.

რომანი შედგება სამი კარისა და 76 ნოველისაგან. სიუჟეტი საინტერესოდ და დრამატიულად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან მოქმედება თარაშ ემხვარის გარშემო იშლება, თითოეული ნოველა დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

კ. გამსახურდია დიდი ოსტატობით გადმოგვცემს ბუნების სურათებს. რომანში ბუნება შემოყვანილია როგორც ცოცხალი გმირი. მთელი რიგი ადგილები შესრულებულია მხატვრის ჯადოსნური ყალმით, რომელიც განაცოცხლებს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის პეიზაჟების მშვენებას.

რომანში მოქმედებს მრავალი პერსონაჟი. თითოეული მათგანი გამოკვეთილი ინდივიდუალური სახეა, ღრმად დამაჯერებელი და დასამახსოვრებელი, თავისი განსხვავებული ხასიათებით, ფიქრებით, ინტერესებით. ხშირად ერთი, თითქოს უმნიშვნელო დეტალით ან შტრიხით მწერალი მთელ ხასიათს ქმნის.

გმირის გარეგნობა, მისი კოსტუმის თითოეული დეტალი ისეა დახატული, რომ იგი გვაძლევს გასაღებს გმირის ხასიათის, მისი ბუნების გასარკვევად.

ზუგდიდის მარულას აღწერისას, ზღვა ხალხისა და ჯიშიანი ცხენების რიალში, ამ საზეიმო აურზაურში მწერალს შეეძლო შეემჩნია ის, რომ ზოგიერთ თავადს ჩოხაზე უსატევროდ ქონდა შემოჭირებული ძვლის სამკაულები, ზოგ მათგანს რევოლვერის ცარიელი ბუდე ეკიდა.

კ. გამსახურდია ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის ერუდიციით აგვიწერს აფხაზეთ-სამეგრელოს მრავალ დამახასიათებელ ყოფით დეტალს, ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, რიტუალებს, სიმღერებს, რაც ხელს უწყობს ამ მხარეთა დამახასიათებელი კოლორიტის აღდგენასა და გადმოცემას.

„მთვარის მოტაცება“ დაწერილია ცხოველი მხატვრული ენით, მდიდარია ფერებითა და საღებავებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა კაკაბაძე

დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა

დავით აღმაშენებელი და დემეტრე მეფე თავისი ეპოქის მოწინავე მოაზროვნეები და პოეტები არიან.

XII საუკუნე იწყება დავით აღმაშენებლით და სრულდება თამარის ხანით. დავით აღმაშენებლის ეპოქა იყო საწინდარი თამარის ოქროს ხანისა.

ორივე მეფე—დავითიც და დემეტრეც მოღვაწეობდნენ მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ საუკუნეში გვაქვს, ერთი მხრივ—საერო მწერლობით დიდი გატაცება და, მეორე მხრივ (უფრო მეტად საუკუნის პირველ ნახევარში) — ძლიერი და დიდებული სასულიერო პოეზია.

დიდი პოეზია ქართველი ხალხისა, მისწრაფებანი და პოეტური ხმა ყველა დროში თავისებურ ფორმას და მიმართულებას იღებდა ეპოქის შესაფერისად.

X-XII საუკუნის ქართული პოეზია უკვე რუსთაველამდე ჩამოყალიბდა, როგორც დიდებული ეროვნული პოეზია.

ადრეული შუა საუკუნეების ფილოსოფია გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიიდან და პოეზიაც სულის განწმენდისა და ხორცის უარყოფის პოეზია იყო.

კაცობრიობის ცოდვათა თავსდება, რაც ასე კარგადაა გამოთქმული დავით აღმაშენებლის საგალობელში (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ), დამახასიათებელია მსოფლიო რანგის დიდ მისტიკოსთათვის. მსოფლიო სევდის, მისტიკის სათავეები ქრისტიანულ პოეზიაში საძებარია ნეოპლატონიკოსებთან (ხოლო უფრო ადრე და ყველაზე ადრე — სოლომონის „ეკლესიასტეში"). ნეოპლატონიკოსთა მისტიკა მოდის ანტიკური მისტიკიდან, კერძოდ, პლატონიდან. შემდეგ ამ ხაზს თავისებურად ავითარებს ქრისტიანული მწერლობა, პოეზია. ამავე განწყობილების ტიპიური გამომხატველია ქართული საგალობლები და, საერთოდ, ქართული სასულიერო პოეზია.

მისტიკის შემდგომი, თავისებური და განსხვავებული ფორმა შეიმუშავეს რომანტიკოსებმა.

ქართულ სინამდვილეში ქრისტიანული პოეზია სხვადასხვა ხასიათს იღებს. ჩვენ გვაქვს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი", ქრისტიანული საკაცობრიო სევდისა და მსოფლმხედველობის გამომხატველი. და, მეორე მხრივ, გვაქვს, აგრეთვე, ამავე პოეზიის წიაღში ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული მისწრაფებების, სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი" და იოანე შავთელის" „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი".

ამათგან სრულიად განცალკევებით დგას დიმიტრი მეფის იამბიკოები, ეს იამბიკოები წარმოადგენს შესხმას ღვთიშობლისა და წმინდა შიოსი და დიდად განსხვავდება საგალობლებისა და საერთოდ, სასულიერო პოეზიის სტილისაგან. საოცარი სიახლოვე ხალხურ მეტყველებასთან და ნათელი, ცოცხალი თქმები, დამახასიათებელი დიმიტრის იამბიკოებისათვის, იმდროინდელ ქრისტიანულ პოეზიის წიაღში ფრიად საინტერესო და საგულისხმოა.

სასულიერო ფილოსოფიურმა მწერლობამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან პრიორიტეტს უთმობს საერო მწერლობას, რომელმაც ეს ეპოქა ესოდენ გაადიადა „ვეფხისტყაოსნით".

ამრიგად, მეთორმეტე საუკუნის მწერლობაში გვაქვს აღმავლობა საერო მწერლობისა და სასულიეროსი, რომლის სულისკვეთებას შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი დიდებული მეფეთ მეფე დავითი თავის საგალობელში „გალობანი სინანულისანი" და დიმიტრი მეფე ღვთიშობლისა და შიოსადმი მიძღვნილი ოთხი პატარა იამბიკოთი.

„გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა მეფე დავით, ... უკვდავი და დიდების მოყუარე და მეფობისა ტროფიალი მედვა ბუნებაჲ და არამიოდეს მოვიკსენებდი დღესა ამას სამარადისოდ მისლვისა ჩემისასა და ვერ უძლე დატევებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან".1 — ვკითხულობთ არსენი ბერის ხელით დაწერილ დავით აღმაშენებლის ანდერძში.

XI საუკუნის მიწურულში (1089) გამეფდა დავით აღმაშენებელი. 16 წლის ხელმწიფემ ჩაიბარა დასუსტებული და გაპარტახებული სა-

1 იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II 1897, გვ. 51-52.

ხელმწიფო. და ამიერიდანო, ამბობს მემატიანე, — „იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად". ვინაიდან, — „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგმამან დავით, ღმრთისამამისამან, და თკთ ‖ ამეოცდამეათურამეტემან შვილმან დავითისამან, დავით".[1]

დაუცხრომელი ენერგიით, უამრავი ბრძოლებით და გამარჯვებებით გააძლიერა დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო. ააშენა ეკლესია-მონასტრები, ააშენა გელათი, ააყვავა დიდი კულტურა. საქართველო მის ხელში შეიქნა ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო.

დავით მეფის მოძღვარი არსენი, ამავე დროს მისი მემატიანე, ეს ფრიად ნიჭიერი და ბევრის მცოდნე კაცი, აღტაცებულია დავითის საქმეებით და წერს, დავითს რომ ღირსეული აღმწერელი ყოლოდა, მისი სახელი აქილევსივით პოპულარული დარჩებოდაო.

დიდგორის გამარჯვების გამო მემატიანე ამბობს: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა. მიემთხვე მაქებელსა უმიროსს... ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა (იგულისხმება ჰომეროსი და არისტოტელე) თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა"[2].

მემატიანის თხზულებას მკვეთრ ზოლად გასდევს დავით აღმაშენებლის, ერთი მხრივ — ბიბლიურ დავითთან შედარება და ამ გზით მისი ღვთაებრივი წარმომავლობა და, მეორე მხრივ — ალექსანდრე მაკედონელთან დაპირისპირება.

საბოლოოდ, როცა დასკვნებს უკეთებს დავით მეფის ნამოქმედარს და ნაღვაწს, მის საქმეებს დაბეჯითებით ადარებს ალექსანდრე მაკედონელისას და თუ ჩვენმა მეფე დავითმა ვერ დაიპყრო ალექსანდრესავით თითქმის მთელი ქვეყანა, ამის მიზეზად მიაჩნია თვით საზელმწიფოში ნიადაგის არქონა და ქვეყნის მოუმზადებლობა იმგვარი ამბებისათვის.

„თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალა, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს საქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი".[3]

დავით აღმაშენებელი სულაც არ არის ცხოვრებაში პესიმისტი. პირიქით, ის საქმის და სიცოცხლის მეფეა; უაღრესად გამჭრიახი ცხოვრებისეულ საკითხებში, მზრუნველი და მოქმედი; კეთილმოღვაწე ერის კეთილდღეობისათვის.

მაგრამ მის მრავალმხრივ ბუნებაში, არის ადამიანური მისტიკა, სინანული, ფილოსოფიური თვალთახედვა ადამიანის არსებობის საკითხებზე.

დაუკმაყოფილებლობაა გამომწვეული ამ განწყობილებისა თუ სხვა რამ? სად ვეძებოთ ფესვები? პირად ცხოვრებაში? — მაგრამ დაუკმაყოფილებლობა რით?—შეუძლებელია ვთქვათ, საკუთარი ცხოვრებით. მან ხომ ყველაფერი გააკეთა, როგორც მეფემ და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა მისი იყო საფუძველი „ქვეყნის აღშენებისა". ყოველი ძლიერი და ბედნიერი მეფე იქნებოდა კიდევ უფრო ბედნიერი, თუ ასეთ უმაღლეს სახელს მიანიჭებდა ხალხი — „აღმაშენებელი". ეს სახელი კიდევ ერთხელ არის დავითის, როგორც დიდებული მეფის, ბედნიერების ნათელყოფა.

მაგრამ რა ტკივილი აწუხებდა ასეთი მეფეს? რა ცოდვები ქონდა ასეთი? — ყველა ისტორიკოსი, ჩვენი თუ უცხო, აღტაცებულია მეფის სიქველით, ვაჟკაცური ლმობიერებით. რა ადარდებდა ბედნიერ ხელმწიფეს? ან რა ადარდებდა საუკუნეთა წინათ ბიბლიურ სოლომონს, „ეკლესიასტესა" და „ქებაჲ ქებათაჲს" ავტორად აღიარებულს? — ქონდა თუ არა ერთი და იგივე სადარდებელი ამ ორ ძლიერ ხელმწიფეს, რომელთა განწყობილება ასე წაგავს ერთმანეთს.

„უკვდავი და დიდების მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ"— ეს არის დავით აღმაშენებელი თავისი დაუცხრომელი საზრუნავით, შენებით და ომებით, სიცოცხლით და სინანულის საგალობელით. — რადგან ის გრძნობდა ტკივილს, როგორც მეუფე; როგორც გრძნობდა პასუხისგებას ქვეყნის და მომავლის წინაშე. მას უნდა ეგრძნო ადამიანთა ნაღველი და სიხარული ყველაზე მეტად, რადგან ის იყო მათი ჭეშმარიტი მეუფე, შემქმნელი მათი ბედისა.

შემდეგ, მე-17 საუკუნეში, მეფე-პოეტმა თეიმურაზ პირველმა, რომლისთვისაც ცხოვრება გულმოწყალე არ ყოფილა, თავისი სევდიანი ხმით დაიტირა საწუთროს გაუტანლობა. თეიმურაზის პოეზიაში საკაცობრიო სევდის განცდა გვაქვს. საკაცობრიო სევდა, ერთი მხრივ, დიდი სპარსი კლასიკოსების გავლენით, მეორე მხრივ და უმთავრესად, საკუთარი ქვეყნის ბედუკუღმართობის შეგნებით. მაცდური ბედი თავის ქვეყნისა, თავის პირადი უბედურება — ეს თითქმის განუყოფელადაა თეიმურაზისათვის. მუხთალი ბედის სისასტიკე მთელი სიმკაცრით განიცადა მგოსანმა მეფემ.

მაგრამ დავით აღმაშენებელი, ეს დიდებუ-

1 ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 323-324.
2 ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 342.
3 ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 359.

ლების და ძლიერების შარავანდედით მოსილი მეფე, ძლიერი თავის ცხოვრებისეული, ადამიანური სიძლიერით, სადღაც სულის სიღრმეში ფილოსოფიურად განწყობილი, სიმშვიდეს „გალობათა სინანულში“ ეძებს. და, მართალია, მას არ უთქვამს სოლომონივით, „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“... მაგრამ თუ არ არის „ყოველივე ამაო“, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ამაოების იქით შეიძლება იხსნა თავი მარადიულობაში. ეს ქვეყანა კი მაინც დარჩა „ამაოებად ამაოთა“.

სოლომონს ეს საიდუმლოებით მოცული მარადიულობა არ გააჩნდა დამხსნელად სულისა, და როცა ქვეყნის ყოველგვარ სიტკბოებას მიაღწია და აღარაფერი დარჩა სანატრელი, მისთვის ყველაფერი „ამაოებად“ იქცა.

„რამეთუ ყოველივე ამაო და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს. ყოველივე შეიქნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწად“.1

ქართველ მეფეთა გენეალოგიის გამოყვანა ბიბლიურ დავითისაგან მრავალმხივ არის საგულისხმო. დავითისა და სოლომონის სიბრძნე და ფილოსოფია, მათ შთამომავლად წოდებულის, მეფეთა მეფის დავითისათვის განსაკუთრებით მახლობელი და საინტერესო ყოფილა— ფილოსოფოსი სოლომონ ბრძენი და დიდი დავით, ავტორი ფსალმუნთანი.

დავით აღმაშენებელი ძლიერი პიროვნებაა. მას აქვს რწმენა ადამიანისადმი და ღმერთისადმი. ის მიდის ადამიანიდან ღმერთამდე, ადამიანის რწმენით — ღმერთამდე, ღმერთის რწმენით — ადამიანის მარადიულობამდე. მას წამს ადამიანის, სამყაროს ძლიერება, მას სწამს ძლიერება ქვეყნისა და სწამს ღმერთი; სწამს ცხოვრება და მაღალი იდეალი, ადამიანის მიერ შექმნილი. სჯერა ქვეყნად სიკეთის სიდიადე.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი იდეევნებოდა მრავალგზის, ხოლო დავით აღმაშენებელი მას თანაუგრძნობდა, მფარველობდა. პეტრიწს სწამს აბსოლუტური „კეთილ ობაჲ“ ღმერთისაგან, აბსოლუტური ერთი.

აღმაშენებელს სწამს ღმერთი — შემოქმედი კეთილისა, მისთვის ბოროტი მეორეული მოვლენაა, წარმავლობაა. კეთილი არის მარადიული.

მისი გაგებით, ბოროტი შეიქმნა იქ, სადაც კაცი ვერ ავიდა თავისი სახის სრულყოფამდე. მიზანი ადამიანისა არის სრულყოფა ღმერთის დარად. აქ უკვე კაცში იმარჯვებს მხოლოდ აბსოლუტური „კეთილობაჲ“ (მარადიული კეთილი).

ეს უმაღლესი იდეალი, უმაღლესისადმი სწრაფვა უნდა განხორციელდეს ადამიანში ღმერთის აღდგომით.

„მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოველივე სინანულითა აღდგომისაჲ“1.

აქ ადამიანი ხდება მარადიული, როგორც სიკეთე, როგორც „ნათელი ზეშთა საუკუნეთა“.

კეთილმა ღმერთმა შექმნა კაცი თავისი სახის (ხატის) მსგავსად.

მისცა გონება და სიტყვა თავისებური. ხოლო კაცმა ვერ დაუმადლა.

„ხატსა თჳსსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფისა დამაწესე,
შენებრ არსთა სიტყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.
ბუნებითნი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიკუმიენ,—
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავმბადე ბოროტი“.

ბოროტის დაბადება კაცისეულია და არა ღმერთისეული. ბოროტი დაიბადა იქ, სადაც კაცმა ვერ შეძლო ღმერთის მსგავსებამდე ასვლა.

ადამიანი ცოდვილია.

და ამიტომ ღმერთ-მამაკაცად მოგვევლინა ზეციური უფალი, რომ როგორც კაცმა, გაგვიგოს, ეზიაროს ჩვენს ვნებებს, და როგორც ღმერთმა გვიხსნას ცოდვებისაგან. მან, რომელსაც ღმერთის მშობლად, ადამიანი,—წმინდა ქალწული დედად ჰყოლია.2

მე, ადამიანმა, კანონი გონებისა ცოდვებსა და ხორციელ ვნებების კანონს დაუმორჩილე.3

აქ ავტორი წარმოგვიდგება აღმწერელად ადამიანთა ცოდვებისა „დასაბამითგან დასასრულამდე“, თუ რატომ იყო საჭირო ქვეყნად ღმერთის ადამიანად მოვლინება, რა ჩაიდინა კაცობრიობამ, ადამიანმა, რომელიც ღმერთმა, შემოქმედმა, თავისი სახის მსგავსად შექმნა და მისცა გონება და შესაძლებლობა ქვეყნის სრული მფლობელობისა.

დავითი გვევლინება იმ ცნობილი თეოლოგიური მოძღვრების გადმომცემად, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დედააზრს შეადგენს. — მთავარი მიზანი ქვეყნად ღმერთის მოვლინე-

---

1 ეკლესიასტე, თავი გ, იხ. აკად. კ. კეკელიძე, „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“, ტფილისი, 1920, გვ. 196.

1 იხ. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“ — VIII გ. III ანტისტროფი, პ. ინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“, 1954, გვ. 600-606

2 იხ. — „გალობანი სინანულისანი“, — III გალობა, 4 ანტისტროფი.

3 იქვე, IV გალობა.

ბისა იყო აღდგომა, როცა ძე ადამიანისა აღდგა ღმერთად, და როგორც ღმერთმა, დაიბრუნა თავისი პირველი სახე, ხოლო რადგან ის ამავე დროს იყო კაცი და მაინც აღდგა, მასთან ერთად აღდგა მთელი კაცობრიობა და გოლგოთის გზით მას მიეცა გზა ხსნისა. ამიტომ ადამიანებმა ამ ქვეყნად უნდა იზრუნონ იმ ქვეყნისთვის, მარადისობისათვის და ტანჯვის და მოთმინების გზით მათთვის გაიხსნება გზა სამოთხისა. მაგრამ, რომ არ ყოფილიყო აღდგომა, მაშინ პავლე მოციქულის სიტყვებით — ამაო იქნებოდა ადამიანთათვის მოთმენაც და ცოდვების ჩადენაც, რადგან თუ, სულ ერთია, ვერ ვეღირსებით მარადიულ ხსნას, რა საჭიროა მაშინ გოლგოთა, რა საჭიროა მოთმინება.

აქვე გავიხსენოთ სოლომონის „ეკლესიასტეს" მთავარი ხაზი — ამაოება ამაოთა, რომელიც ფარავს ყველაფერს და რომლის იქით არ არსებობს არაფერი; ხოლო ერთადერთი, რაც გვაქვს, — სოლომონის გაგებით, ეს არის დღევანდელობა, დღევანდელი სიამე და სიხარული, — ეს ერთადერთი მისცა ღმერთმა მზის ქვეშეთში კაცს:

„და ვაქე მე სიხარული. ვითარმედ არარაჲ არს კეთილ კაცისა მზესა ამას ქუეშე: გარნა ჭამაჲ და სუმაჲ და ხსიარულებაჲ:"[1]

მივეცეთ დღევანდელი დღის სიტკბოებას, რადგან იმის იქით მხოლოდ ამაოებაა — „რამეთუ ძაღლი ცოცხალი, იგი უკეთეს ლომისა მკუდრისა".

დავით აღმაშენებლისათვის გზა სინანულისა არის გზა აღდგომისა, —

მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ.
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოველივე სინანულით აღდგომისაჲ".

დავით აღმაშენებლის ღირსება ამ თემის თავისებურად გაგებაშია. ეს ცნობილი კონცეფცია ქრისტიანული რელიგიისა, დავითს აღუქვამს თავისებური პოეტური ხედვით და ღრმა ადამიანური განწყობილებით. მართალია, სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელი და ცნობილი ფორმაა ლოცვა-ვედრება ღმერთისადმი ცოდვათა შენდობისათვის, — აღდგომისა და სინანულის საგალობლები ისევე გავრცელებული იყო იმ ეპოქაში, როგორც საერო მწერლობაში სატრფიალო ლექსი. მაგრამ დავითისეულ „სინანულის გალობაში" არის სხვა, რითაც ის ჩვეულებრიობისაგან განსხვავდება.

მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება.

შიო მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ დავით აღმაშენებლის ანდერძში გვხვდება ფრაზა, რომელმაც დააფიქრა მკვლევარები:

რა ცოდვა ჰქონდა დავითს?

რაღაცა ცოდვა უნდა ქონოდა ახალგაზრდულიო, — წერს თ. ჟორდანია და შემდეგ ზოგიერთი სხვა მკვლევარი. ქრისტიანული გაგებით, ყველა კაცი ცოდვილია, უცოდველი მხოლოდ ღმერთია. ადამიანები შენდობას ითხოვენ უფლისაგან ცოდვათა გამო, რომელიც მათ ადამიანობას უცილობლად თან ახლავს.

„...და მილოცენ ესრეთ: უფალო ღმერთო, დავითს მიუტევე ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი!"[1]

ხოლო ფსალმუნი ამბობს:

„ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიკსენე; წყალობითა შენითა მომიკსენე მე სიტკბოებისა შენისათჳს უფალო".[2]

იქნებ, აქედან მოდის ესოდენ გავრცელებული ფორმა ქრისტიანული თავის დადაბლებისა უფლის წინაშე. იქნებ ასეთივეა დავით აღმაშენებლის ფრაზა სიყრმის ცოდვებზე?

ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვილაპარაკოთ დავით მეფის ცოდვებზე, როცა ამის საბუთი არა გვაქვს, ანდა გამოვაცხადოთ უცოდველად, როცა თვითონ გრძნობდა თავს კაცად და მოითხოვდა შენდობას, რადგან არავინ მაახნდა უცოდველად, გარდა ღმერთისა. ეს ყოველივე უფრო მეტად გასაგები ხდება, როცა ვუფიქრდებით დავით მეფის მსოფლგაგებას, როგორც ქრისტიანის და როგორც ავტორის „გალობანი სინანულისანის".

ყოველ დიდ განცდაზე და განწყობილებაზე გავლენა აქვს ადამიანის პირად ცხოვრებას. პირადი განცდით, პირადი სიხარულით და წუხილით იწყება შესვლა ზოგად-საკაცობრიო ცხოვრებაში, — მის გაგებასა და განცდაში.

ასეთი წუხილი ჰქონია ჩვენ მეფესაც, დავით აღმაშენებელს; მაგრამ „გალობანი სინანულისანის" ავტორი გვევლინება, როგორც საერთოდ **კაცობრიობის ცოდვათა თავსმდები.** მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება. ეს არის ვედრება რელიგიური კაცობრიობისა, რომელსაც არსებობის მანძილზე ამდენი ცოდვა ჩაუდენია, და ავტორი „სინანულისანის" გვევლინება თავსმდებად ამ კაცთა ცოდვებისა. ის ევედრება ღვთიშობელს შეუნდოს ცოდვები,

[1] ეკლესიასტე, თავი ზ, იხ. „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ", გვ. 215.

[1] დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმისადმი მიცემული. — იხ. ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონისტრისა, თ. ჟორდანიას გამოც. 1896. წ.

[2] ფსალმუნი დავითისი, 24, — იხ. მ. შანიძე. „ფსალმუნნი", გვ. 55.

მაგრამ ეს არის ცოდვები საერთოდ ადამიანებისა დასაბამიდან დასასრულამდე. და ის ხომ მეფეა, მფლობელი და პატრონი ადამიანთა ქვეყნად, ამიტომ ხალხთან ერთად ყველა უბედურებას, იმათ ცოდვებს ეზიარება. სწორედ ამიტომ არის ის ცოდვილთა „პირველი, საშუალო და დასასრული, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“.[1]

„შემმოსეს პორფირით, მეფობის შარავანდედით, ხოლო მე ბილწთა ვნებათ მივეც თავი; რადგან ვინც მძლეთა-მძლეა, ყოველივე მას ემონება, მძლეთა მძლე იმონებს ძლეულს.[2]

კაენის ცოდვა, სეითის ძეთა ურცხვობა და ხუთქალაქელთა შეგინების სიბინძურე, —

„უფროსად ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ დაღმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან“.

ყოველი ცუდი ადამიანური, — სხვადასხვა დროის ხალხთა და ცოდვილთა, ჩემში ჩაწურულან. მე—ყველა ცოდვილთა შორის უცოდვესი ვარო.

ხალხთა სიყვარულით, მისი ხსნისათვის ქვეყანას წმინდა ქალწული მოევლინა, რომ თავისი სიწმინდით, ქალწულებრი დედობის შუამდგომლობით იხსნას ცოდვილნიო:

„...რომელთაჲ პირველი,
საშუალი და დასასრული, —
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწების ღუართაჲ“.

ყველა ცოდვილი მე ვარ, — რადგან მე ვარო ადამიანი; ადამიანი პირველ ყოვლისა ერთი და ყველა ადამიანი ერთად; მე ვარ თვით კაცობრიობა, გაძლიერებული ხელმწიფე, ცხოვრების სიტკბოებით და ცოდვებით სავსე. მომთრგუნი სუსტთა, მოძალადე და მფლობელი კაცთა, მათი მეპატრონე, მათი ცოდვების პატრონიც მე ვარ; აი, ამიტომ არის იგი დასაწყისი და დასასრული ცოდვისაო. — „პირველი, საშუალი და დასასრული“. მისგან მოდის ცოდვა და მასშია ყველა ცოდვა. როგორც მეფე და როგორც ადამიანი, კისრად ვიდებ ყველა ადამიანურ ცოდვას, რაც კი კაცობრიობამ იცისო. სწორედ ამიტომ არის — „ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“.

„ელინთა მიერი ვერ ცნობაჲ.
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ,
და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ
ცვალებაჲ თაყუანის-ცემისაჲ, სრულ ვჰყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნების კერპსა ვჰმსახურე“.

ელინთა სიბრძნე ღმერთისეულია; ის ეთაყვანა კერპებს ელინთა და მათ სიბრძნეს, რომლებმაც ვერ ცნეს ჭეშმარიტი ღმერთი.

ის იყო, ისრაელთა მეფეს რომ ბაძავდა, ბაძავდა ურჯულოებს, უსმენდა წარმართთა ვარსკვლავთმრიცხველობას.

„სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხუათა სოფლის —
კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობლად, და
ღ მ რ თ ი ს საზღუართა ვაბრალობდ“.

საზღვარი არ არის ღმერთის მიერ დადებული; უსაზღვროდ მისცა მან კაცს ყოველი, თვით მათ შექმნეს საზღვრები სახელმწიფოთა და ღვთის დაწესებული დაარქვეს.

მე გადავლახე საზღვარი მეზობლების სახელმწიფოთა, ძალით დავიპყარ, სახლები და მამულები ვიმრავლე, არ მივდიე წესებს სარწმუნოებისას, ძალმომრეობით შევბილწე ქორწინების სარეცელი.[1]

ვერცხლი, როგორც მიწა და ოქრო, როგორც უბნის თიხა მოვიხვეპე და ანგარებას მივეც თავი.[2]

ეკლესიასტე ამბობს:

„განვადიდენ საქმენი ჩემნი, ეშენე მე სახლები. დავნერგენ მე სავენახენი.

ვიქმენ ჩემდა მტილნი და სამოთხენი, და დავნერგენ მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა.

მოვიგენ მონანი და მკევალნი, და სახლისა ნაშობნი მესხეს მე და მონაგები ველთანი და მროწეულთაჲ ფრიად იყო ჩემი უფროის ყოველთა რაოდენი იყვნენ უწინარეს ჩემსა იერუსალმს.

შევიკრიბე მე ვერცხლი და ოქრო, და სიმდიდრე მეფეთა და ქუეყანისა“.[3]

— ხოლო დავითნი:

„დავაწულილნე იგინი ვითარცა მტუერი წინაშე პირსა ქარისასა და ვითარცა თ ი ხ ა ჲ, უბნისაჲ დ ა ვ თ რ გ უ ნ ნ ე ი გ ი ნ ი“.[4]

სიტყვაჲ წმინდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ ხოლო
მლიქვნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე.
და შემაჲმენელთანი.
დავიტკბენ ზრახვანი,
და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.
ცრემლი ქურივთანი
და ობოლთა ბრგუნილი ტირილი არაჲ შევიწყალე.

ამ ცოდვათა განსაწმენდად ქალწულის სისხლისაგან ხორციელი ღმერთი შეიქმნა.

„ამისათჳს ქალწული დედაჲ და შობაჲ

1 „გ. ს.“ — გალობა II, ანტისტ. IV
2 იქვე, გ. II, სტროფი!

1 იხ. „გ. ს.“ გ. V, ანტისტრ. 2.
2 იქვე, გ. V, სტრ. 1.
3 ეკლესიასტე, თავი ბ. გვ. 184—5.
4. ფსალმუნნი. გ. 17 გვ. 38.

ახალი სიტყვსაჲ (იქმნა),* რომ დედობრივი შუამდგომლობით „დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ“.

. . . . . .

და როცა მეფობის დრო გადამივა, დიდება ჩემი მტვერად იქცევა, სხვამ მიიღოს სკიპტრა ჩემი, სხვას დამორჩილდეს სპა ჩემი, —

„მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“[1]

როცა მოვა დღე განკითხვის და მე ქედდრეკილი განსაკითხავად წარვდგები, როცა მსაჯული მართლად სჯიდეს,

„მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

. . . . . .

მოწამს ვითარმეცა აღსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ“.

ასეთია მისტიკურ-რელიგიური განწყობილებით დაწერილი „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლისა, სადაც, ღრმა ქრისტიანულ ფილოსოფიასთან ერთად, პოეტურად დანახულია ზოგადკაცობრიული სულიერი ტკივილები; ეს ტკივილები განცდილი, როგორც საკუთარი და ვედრება ხსნისათვის, არის ვედრება ერთისა ყველასათვის, ყველას ცოდვების თავსმდებისა.

„და ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამანაც თჳსთა ხელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი, სახელითა ოდენ ცვალებული“[2].

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, რომელმაც მეტად მცირე ცნობები შემოგვინახა დიმიტრი მეფის ცხოვრების შესახებ, წერს, რომ დიმიტრი მეფე — „ყოვლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ხესა ღმრთივ დანერგულსა“.[3]

მაგრამ რაში გამოიხატა ფაქტიურად ეს მსგავსება, როგორც მეფისა, — ამის შესახებ მატიანე თითქმის არას გვეუბნება, და ჩვენც არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ დიმიტრის, მამის მეფობაშივე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, სახელოვანი ბრძოლა გადაუხდია შირვანს და აუღია ციხე ქალაქორი. ვიცით ისიც, რომ დავით აღმაშენებელი დიდი იმედით შეჰყურებდა თავის მემკვიდრეს და ბედს უმადლიდა მისი გაჩენისთვის. დავითის ანდერძში ვკითხულობთ: „(საწუთრომან) მრავალნი წყალობანი ჰყვანა ჩემ ზედა სოფელსა ამას შინა, რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა და ახოვნებითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა“.[1]

დავითმა უანდერძა შვილს დიდი გელათის მონასტრის დამთავრება, რომელიც ჯავრად მიჰყვებოდა მეფეს:

„ხოლო დარჩა სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო.

აქ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოველითურთ საუკუნოდ (სალოცავად) ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს“.[2]

დიმიტრის დაუმთავრებია გელათის მშენებლობა.

დავით მეფე მეორე ანდერძში, შიო მღვიმის მონასტრისადმი მიცემულში, უბარებს შვილს ამ მონასტრის დასრულებას (მოლესვა-მოხატვას და სხვ.) და კურთხევას.[3]

იმ მცირე ცნობებითაც, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ცხადია, რომ დიმიტრი მეფე სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა თავის დროზე. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით,[4] ფილოსოფოსს იოანე ჭიმჭიმელს შესხმის სახით დაუწერია დიმიტრის ქველობა და მხნეობა. ეს „ქებანი“ ჩვენამდე არ შემონახულა.

დიმიტრი მეფე იყო დიდებული და ძლიერი ხელმწიფის მემკვიდრე. მასზე გადმოვიდა აგრეთვე მამის პოეტური ნიჭი. დიმიტრის შესახებ ცნობები ცოტა შემოგვინახა მატიანემ. მისი საქმეები და ნამოღვაწარი თითქმის დავიწყებას მიეცა, ვინაიდან ადრევე დაკარგულა დიმიტრის ვრცელი მატიანე; მაგრამ არასოდეს დავიწყებულა მისი — „შენ ხარ ვენახი...“ ის მცირე ცნობები, რომლებიც ჩვენ ხელთაა, საინტერესოდ წარმოგვიდგენენ მეფე-პოეტის პიროვნებას. დავით აღმაშენებლის მემატიანე მას მოიხსენებს პატივისცემით და ქებით.

დავითის მემატიანე მას გვიხატავს ღირსეულ მემკვიდრედ, მაგრამ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით დიმიტრის სამეფო მოღვაწეობის შესახებ, ეს კია, რომ მას დიდებული მეფის ბედი არა ხვდაწილად. დიდი გამარჯვებები, დიდი სახელი და დიდება, მამის დარად, როგორსაც მოელოდნენ მისგან და თვითონაც ელოდა ცხოვრებისგან, არ ყოფილა. არ გამართლდა იმედები, მომავალზე რომ ამყარებდნენ. პირიქით, მომლოდინე მამის დარად დიდებისა, საკუთარმა შვილმა ტახტიდან ჩამოაგდო და ბერად აღიკვეცა.

---

1 იხ. „გ. ს.“ VIII, სტ. I.

2 ქართლის ცხოვრება, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 363, ტ. I, 1955.

3 ქართლის ცხოვრება, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 366.

1 დავით აღმაშენებლის ანდერძი, თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, 1897, გვ. 51-52.

2. იქვე.

3 თ. ჟორდანია, — ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, 1896.

4 იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ნუსხა, გვ. 364

საინტერესოა მამისა და შვილის ცხოვრება და პოეტური განწყობილება. მათი პოეზია სრულიად სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენს ამ ადამიანთა სულიერ ცხოვრებას. სწორედ ეს განსხვავებაა მეტად საინტერესო.

ღირსი მემკვიდრე და სულაც არაბედნიერი მეფე დიმიტრი ბერად აღკვეცილი ხედავს ნათელ და ცოცხალ სახეებს ღვთიშობლისას, წმინდა შიოსას. ხედავს ღვთიშობელს როგორც შროშანს, როგორც სიცოცხლეს, როგორც ვენახს; უდაბნოს შიოსას ამკობს მარადმწვანე დაფნით, ნილოსივით მაცოცხლებელ ნაკადულით. ვიწრო და ბნელი მღვიმე მწირისა წარმოუდგება როგორც სამყარო, როგორც ნათელი.

ნუთუ არ იმოქმედა მეფის განწყობაზე ამდენმა უბედურებამ, იმედების გაცრუებამ, გაჭირვებამ, მისი ნათელი განწყობილებები სხვიანი დარჩა მაინც და სრულიად განსხვავებული იმდროინდელ პოეტების შექმნილ სახეებისაგან. როგორ არ გავს დიმიტრის ღვთიშობელი მამის მიერ დანახულ ღვთიშობელს და ყველა იმ ხატებს, რომლებიც იხატებოდა იმ ხანად, რომლებსაც ხედავდნენ და წერდნენ იმდროინდელი პოეტები.

ასე განსხვავებულია დავით აღმაშენებელთან და დიმიტრი მეფესთან ცხოვრებისა და შემოქმედების ურთიერთობა.

ამ ორი მეფის ცხოვრებიდან და პოეზიიდან შესანიშნავად ჩანს ის, რომ ყოველთვის შეიძლება დაინახო სასიხარულო და დასაღონებელი ცხოვრებაში, რაგინდ მძიმე, ან რაგინდ ბედნიერიც, დიდებულიც არ იყოს ეს ცხოვრება. ცხოვრება უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ის გვეჩვენება. რა დაგვაკმაყოფილებს, რა გაგვახარებს, რა დაგვაღონებს; რამდენი გვეყოფა სიხარულისთვის, რამდენს განგვაცდევინებს დასაღონარი.

დიმიტრი მეფის იამბიკო უფრო ხალხურია — ვიდრე კლასიკური. დიმიტრის ლექსი უძველეს სიმღერასავით გაისმის და მასში იგრძნობა ეროვნული, ქართული კოლორიტი; აქ ხალხური სული უფრო ძლიერია, ვიდრე რელიგიური. სწორედ ამიტომაც, მისი ლექსი ხალხში გასულა და გახალხურებულა.

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული“.

ღვთიშობლისადმი მიძღვნილ ამ ლექსში იგრძნობა უფრო მეტად სიცოცხლე, — აყვავებული, მარადიული, ვიდრე მისტიკური ხედვა. საინტერესოა, რომ დავით გარეჯის მონასტერში ბერად აღკვეცილი მეფე წერს ცოცხალ, ზენან სახეს ღმრთისმშობლისას.

„ღმრთისმშობელი და ყოველად პატიოსანი
დედა, ქალწული, შუენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:
შენგან იშუების მეფე გვირგვინოსანი,
და მას ჰმონებენ მეფე მრავალ-ყმოსანი“.[1]

„შენგან იშუების მეფე გვირგვინოსანი“, — ეს მეფე, ქალწული დედისაგან შობილი, ქრისტე-ღმერთია, რომელსაც ემორჩილება ყველა ყმა-მრავალი მეფე, ძლიერი მეფეები ამა ქვეყნისა. ამ ყოვლის მეუფის დედა, დედა-ქალწული, დიმიტრი მეფის გაგებით, არის მშვენიერი შროშანი, აყვავებული ვენახი, ის არის სიმბოლო, საწყისი სიცოცხლისა, აყვავებული ვენახად, გაზაფხულად, სითბოდ. ის თითქოს ქვეყნად სახავს სამოთხეს, რომლის დედაა ქალწული.

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სუნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით დგსით მზე ხარ გაბრწყინვებული“.[2]

შენ ხარ ალვა, სამოთხის ხე, ხე სიცოცხლისა.

გავიხსენოთ ის ამბავი, რომ ხე, ვაზი, უძველესი სიმბოლიური სახეებია სიცოცხლისა. ისინი გვხვდება „დაბადების“ პირველივე წიგნში, მოსეს პირველი წიგნის დასაწყისშივე.

ხე ცხოვრებისა და ხე ცნობისა, ბიბლიური გადმოცემით, — შეიქმნა საბედისწერო ადამიანთათვის, მიზეზი კაცობრიობის მომავალი ცხოვრებისა. ხე სიცოცხლისა ბიბლიური წიგნებიდან შემოვიდა ქრისტიანულ მწერლობაში და ის იქცა ერთ-ერთ დიდ და მნიშვნელოვან თემად არა მარტო ქრისტიანული მწერლობის, არამედ მსოფლიოს დიდ მწერალთა შემოქმედებაში.

ცნობილია, რომ ვაზის და ღვინის კულტი ძველ საბერძნეთში დიდი პატივით სარგებლობდა. აქ დიონისეს დღესასწაული იყო დიდი ტრადიციული ზეიმი.

ქრისტიანიზმში ვაზი მოდის ძველი აღთქმის წიგნებიდან. საქართველოში ქრისტიანობა შემოდის ვაზის ჯვარით და ჯვარი ვაზისა ჩვენში იქცა სარწმუნოების ძლიერ სიმბოლოდ.

ქართველ მეფეებს თავიანთი შთამომავლობა მოყავთ ბიბლიურ დავითიდან და სოლომონიდან. დიმიტრი მეფე, მემატიანის სიტყვით, მამამ ტახტზე დასვა თავისი ხელით, — „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი“.

დიმიტრი მეფის ღვთიშობლის სახეებში იგრ-

1 იხ. ჩვენი საუნჯე, I, თბილისი, 1960, გვ. 527. „დიმიტრი მეფე ღმერთისმშობლისადმი.“

2 იქვე.

ძნობა სოლომონის „ქებათა-ქების“ სახეები. დიმიტრის ღვთიშობელი არის აყვავებული ვენახი, მშვენიერი შროშანი.

სოლომონის სახელით ცნობილ „ქებათა — ქებაში“ ვკითხულობთ:

„მე ყვავილი სავსე და შროშანი ველეთა. ვითარცა შროშანი ეკალთა შინა ეგრეთ მოყუასი ჩემი შორის ასულთა. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა ტყეთათა. ეგრეთ ძმისწული ჩემი შორის ძეთა.

ნუ მხედავთ მე რამეთუ მე ვარ დაშავებული, რამეთუ მომხედა მე მზემან, ძენი დედისა ჩემისანი ილალვიდეს ჩემთვის, დამდგინეს მე მცველად ვენაკთა შინა, სავენაკე ჩემი არა დავიცევ“.[1]

დიმიტრი მეფისათვის ღვთიშობელია ვენახი, ალვა, სამოთხის ხე, ხე სიცოცხლისა. — შენ ხარ კეთილი რტო, შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული. თვით ღმერთისაგან შემკობილი, ყოვლის შემმკობი ხარ. შენ ხარ თვით მზე — გაბრწყინებული. მაგრამ მზე ხომ სიცოცხლის საწყისია —შენ თვით სიცოცხლე ხარ; ხე —ფუძე სიცოცხლისა, რტო — კეთილი სამოთხისა და თვით მზე — საწყისი ქვეყნად სიცოცხლისა.

ასეთი ცხოვრებისეული ნათლით გააბრწყინა დიმიტრი მეფემ მისტიკური სახე ქალწული დედისა. ყველა ხატზე დახატული ღრმა სევდით და მწუხარე, იმქვეყნიური ღიმილით. ყველა სალოცავზე განსახიერებული ცრემლითა და სასოებით აღსავსე სევდით.

დიმიტრი მეფემ დაინახა სულ სხვა ხატი. მისთვის დედა ამ მშვენიერი ქვეყნის შემოქმედისა, ისეთივე მშვენიერია, როგორც სიცოცხლე აყვავებული, კეთილი სიცოცხლე.

ეს ახლებური გაგება ღვთიშობლის სახისა სრულიად ორიგინალურია და თავისი სიცოცხლის სიყვარულით ძველი აღთქმის შესანიშნავ სახეებს გვაგონებს.

XII საუკუნის საქართველო შეიქმნა და აშენდა დავით აღმაშენებლის მეფური ტალანტით და პოეტური აზროვნებით. მან მისცა დიდი გასაქანი ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას; მისი თანამდგომლობით და თანამშრომლობით აყვავდა ქართული აზროვნება და მწერლობა. ის ამავე დროს თავისი ეპოქის დიდი პოეტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

დავით აღმაშენებლის ლირიკული საგალობელი არის შესანიშნავი ნიმუში თავისი დროის მოწინავე იდეების შემცველი პოეზიისა. დავით აღმაშენებლის პოეზია გამოდის ქრისტიანული ფილოსოფიიდან და განსაკუთრებით ძველი აღთქმის წიგნებიდან. მისი პოეტური აზროვნების მასაზრდოებელი წყარო ყოფილა ბიბლიური დავითისა და განსაკუთრებით სოლომონის პოეზია; ეს კარგად იგრძნობა „ფსალმუნთან“ და „ეკლესიასტესთან“ „გალობანი სინანულისანის“ შედარებით.

ძველი აღთქმის სახეები შემოდის აგრეთვე დიმიტრი მეფის იამბიკოებში. მაგრამ ეს არის სრულიად განსხვავებული „გალობანი სინანულისანის“ სახეებისაგან.

დავით აღმაშენებლის საგალობელი თავისი განწყობილებით, იდეით, სახეებით მოდის მსოფლიო მისტიკური მწერლობიდან.

დიმიტრი მეფის ღვთიშობლის სახე სრულიად არ გავს ქრისტიანობაში ცნობილ და მიღებულ გაგებას ღვთიშობლისას. დიმიტრის იამბიკო თავისი ნათელი, ხალისიანი ფერებით ახლო დგას „ქებაჲ ქებათაჲს“ სიცოცხლის სიყვარულთან. ასეთმა განწყობილებამ მოუპოვა მას საერთო—სახალხო სიყვარული და განაპირობა მისი გახალხურება.

დიმიტრი მეფის ასეთი განწყობილებები კიდევ უფრო საინტერესოა მისი ცხოვრებისა და იმდროინდელი აზროვნების და მწერლობის ფონზე.

დიმიტრი მეფის ცოცხალი სახეები, — მისი გახალხურებული იამბიკოები ერთგვარი გადასვლაა საუკუნის მეორე ნახევრისაკენ, როდესაც სასულიერო მწერლობამ პრიორიტეტი დაუთმო საერო მწერლობას.

---

1 დაბადება IV, გვ. 256, ხელაძის სტამბა, 1884.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღ. სანაღირაძე

არნო ონელი—საბავშვო პოეტი

მკითხველები და კოლეგები მას არნო ონელის სახელით იცნობენ, ხოლო შინაურთათვის და ახლობლებისთვის ალექსანდრე ბურდილაძეა. ბევრს არც სჯერა, რომ ამ ახოვანმა, ჭაბუკური ენერგიით აღსავსე კაცმა ექვს ათეულ წელს გადააბიჯა და აგერ ორმოცი წელია უანგაროდ, უპრეტენზიოდ და თავმდაბლად ემსახურება ქართულ ლიტერატურას, თავის უსაყვარლეს საქმეს.

არნო ონელი ქართული ლექსის მედგარი ჯარისკაცია, რომელიც გულწრფელი აღტაცებით ყოველთვის მღეროდა იმას, რაზედაც ემღერებოდა. სასიმღეროს კი რა გამოლეოდა ამ ორმოცი წლის მანძილზე და კიდევ რამდენი შემოქმედებითი შთანაფიქრი შეისაამს ხორცს. არნო არის თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და ადამიანების ზნეობრივი გაფაქიზებისათვის თავდადებული მსახური. ქართველ მწერალთა ოჯახში მას თავისი მოკრძალებული ადგილი უკავია.

ზემო რაჭის პაწია სოფელ მოედანში, ღარიბი გლეხის კაცია ბურდილაძის ოჯახში დაიბადა მომავალი პოეტი. ეს ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით, შრომა-გარჯითა და კეთილ-კაცობით. რაჭაში ცნობილი მესტვირეების გვარიშვილობამ თუ რიონის აზავთებული ტალღებისა და თავხუმუმა ტყეების ხილვამ აუნთო პოეტური ნაპერწკალი ჯერ კიდევ პატარა სანდროს. მშობლებმა იგი მიაბარეს ონის სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1918 წელს. ცოდნასმოწყურებულ და წიგნების მოყვარულ ჭაბუკს სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა ამის საშუალება. სამიოდე წელი მასწავლებლად იმუშავა ამბროლაურის რაიონის სოფელ ამბარში და ლიხეთში. და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში შესძლო გადმოსვლა თბილისში, სადაც განაგრძო სწავლაც და მუშაობაც.

მშობლიური ბუნების სილამაზით შთაგონებული ახალგაზრდა ლექსებს ადრიდანვე სწერდა. პირველი და დაუვიწყარი პოეტური ნათლობა გალაკტიონ ტაბიძესთან მიიღო. სწორედ გალაკტიონმა დაულოცა პოეზიის გზა სანდრო ბურდილაძეს, როცა ორი ლექსი („ელეგია“ და „შემოღამების ესკიზი“) თავის საკუთარ ჟურნალში დაიბეჭდა არნო ონელის ფსევდონიმით. ამის შემდეგ ფართოდ გაუღო კარი სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმაც: „თეატრი და ცხოვრება“, „ჩირაღდანი“, „ხელოვნება“, „ლიანდაგი“, „მერცხალი“, „ქართული მწერლობა“, „ხელოვნების დროშა“, „ტარტაროზი“, „ნიანგი“.

„მთები“ — ასე ეწოდებოდა არნო ონელის ლექსების პირველ წიგნს, რომელიც 1927 წელს გამოვიდა. პოეტის იმდროინდელ ლექსებში მკაფიოდ აისახა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი გრანდიოზული ძვრები, ინდუსტრიის შეჭრა მიუვალ მთებში და ახალი იდეების ცხოველმყოფელი გავლენა ადამიანთა ყოფაზე.

ეს პატარა წიგნი იხსნება ლექსით „მიწიდან ცამდე“, რომელშიაც ნათლად ჩანს პოეტის დამოკიდებულება ახალი ცხოვრებისადმი:

ისმის შორიდან შრომის დაფები
ქალაქი ქარგავს ქაღალდის ფარდაგს;
ქალაქი მთისკენ მოესწრაფება
და ახალ ყოფნის იწევა ფარდა.
ბორგავენ დრონი, მიდიან წლები,
გავანდე ბედი ახალ განთიადს;
მიწიდან ცამდე, მიწიდან ცამდე
შემოქმედების ცეცხლი ანთია.

არნო ონელის ადრინდელ ლექსებში გადმოცემულია სურათები ზვიადი მთების სილუეტებისა, ადიდებული ქვედრულასა და ჭანჭახის ხმაური, შოვისა და უწერას წარმტაცი სანახები, რაჭული სოფლის პეიზაჟების ნაზი აკვარელები. ეს გასაგებიცაა, ყოველ შემოქმედს თავისი პირველი ნაწარმოებებით მოაქვს იმ კუთხის სურნელი, სადაც დაბადებულა, ფეხი აუდგამს და გარემო შეუცვნია. მაგრამ არნო ონელი კი არ ჩაიკეტა ცადაწვდილი მთების მიღმა თავისი პოეზიით, კი არ შეიზღუდა მამა-პაპური ტრადიციების მხოლოდ აღწერით ან ამ ტრადიციების დარღვევის სინანულით, არამედ გულწრფელად და აღტაცებით მიესალმა ახალი ყოფის დანერგვას.

პოეტი თავის ადრინდელ ნაწარმოებებში არ ღალატობდა ქართული კლასიკური ლექსის კანონებს, ქართული ენის სისადავესა და სიმ-

დიდრეს. არნო ონელის ლექსების პირველ წიგნში ხშირია მომხიბლავი და ემოციური მხატვრული სახეები:

როდესაც ღამე გადაივლის ზანტი
მთქნარებით,
მთვარე ნისლების მთა-გორებს ანათებს:
იღება კოშკის მძიმე კარები
და ნანგრევებზე ატირდება როსტომის
ლანდი.

არნო ონელის შემოქმედების პირველ პერიოდში ყურადღებას იმსახურებს ლექსები: „მამაჩემი, ყანა და ხარები", „რაჭა", „შემოდგომა სოფელში", „საგზაფხულო", „ჰიმნი სოფელს" და სხვა.

* * *

ოცდაათიანი წლებიდან არნო ონელი ძირითადად საბავშვო ლიტერატურის ჟანრში იწყებს მუშაობას და მალე ჩადგა ნორჩი მკითხველებისათვის საყვარელ პოეტთა რიგებში. თვითონ არაერთგზის უთქვამს, რომ საბავშვო მწერლობაში მის გადასვლას დიდად შეუწყო ხელი შიო მღვიმელთან ახლო მეგობრულმა ურთიერთობამ. სწორედ სათნოებამ და ჰუმანურობამ, რომელიც ბავშვების საყვარელ „ძია შიოს" გააჩნდა, — მისცა ბიძგი არნო ონელს თავისი შემოქმედების უმთავრეს ამოცანად მომავალი თაობის კეთილშობილურად აღზრდის საქმე ექცია.

ცნობილია, თუ რა დიდი და საპატიო ამოცანები აკისრია საბავშვო ლიტერატურას. ყოველ ლექსსა თუ პოემას, მოთხრობასა თუ ზღაპარს ბავშვი უნდა შეჰყავდეს კეთილშობილი გრძნობებისა და ჯანსაღი აზრების სამყაროში. ამავე დროს საბავშვო ლიტერატურა უნდა იყოს ისეთივე გულწრფელი და მდიდარშინაარსიანი, როგორც მოზრდილთა ლიტერატურა. მით უფრო ძნელია წერა ბავშვებისათვის, რომ მათ მუდამ სჯერათ წაკითხულისა და ნაწარმოების გმირებიც მათთვის რეალურნი არიან. ჯერ კიდევ გენიალური რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „საბავშვო წიგნები იწერება აღზრდისათვის, აღზრდა კი დიდი საქმეა. ის წყვეტს ადამიანის ბედს".

არნო ონელს შესანიშნავად აქვს შეგნებული და მთელ მის შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს მომავალი თაობის სწორად აღზრდის პრინციპები. იგი უმთავრესად საშუალო ასაკის ბავშვებისათვის წერს, ეს ასაკი კი თითქმის ყველაზე რთულია და ამდენად მწერლის პასუხისმგებლობაც უფრო იზრდება.

დღემდე ჩვენს პოეტს გამოცემული აქვს საბავშვო ნაწარმოებების ათამდე წიგნი: „ცრემლი და სიხარული", „ნოდარის ოცნება", „უბედური მელია", „ფრიადოსნები", „ჩიორას სიმღერა", „მშვიდობა გვინდა", „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად", „რას ამბობს ჩიტი ჩიორა".

საერთოდ, საბავშვო ლიტერატურისათვის თემები განუსაზღვრელია და შეუზღუდავი. ისეთ ტრადიციულ თემებთან ერთად, როგორებიცაა: სწავლა და შრომა, გამბედაობა და მეგობრობა, პატიოსნება და ზრდილობა, პატრიოტიზმი და ბუნების სიყვარული, — შეიძლება ახალ-ახალი, თანადროული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თემების მონახვა და დამუშავება. მაგრამ ყველაფერი ეს ბავშვისათვის იოლი ასათვისებელი და გასაგები უნდა იყოს. ამავე დროს ბავშვის ბუნება რომანტიკულია. ბავშვის მეოცნებე გონება არ უნდა დაიტვირთოს მეორეხარისხოვანი წვრილმანებით, ბავშვის ბუნება ცნობისმოყვარეა, მას ყველაფერი აინტერესებს, გაოცებული შეჰყურებს გარემოს და სურს შეიცნოს იგი მთელი თავისი საიდუმლოებებით.

არნო ონელს, როგორც საბავშვო პოეტს კარგად ესმის ეს და სწორედ ამ მხრივ წარმართავს მთელ თავის შემოქმედებას. რა ნიშანთვისებანი ახასიათებს მის საბავშვო ნაწარმოებებს? პირველ რიგში ეს არის თემატიკის მრავალფეროვნება და თვით ამ თემების თავისებური, ახლებური გადაწყვეტა; მეორე, არნო ონელის ლექსების უმრავლესობა სიუჟეტიანია, კონკრეტულ მასალაზე აგებული და ამდენად დამაინტერესებელიცაა და ადვილად დასამახსოვრებელიც; მესამე, პოეტს ნორჩ მკითხველთან საუბარში შეუძლია ინტიმურად, მხოლოდ ბავშვის გონებისათვის მისაწვდომი ნიუანსებით უთხრას ბევრი რამ, რაც ასე აღელვებს და აინტერესებს ცხოვრებაში ფეხადგმულ მოზარდს. მეოთხე ისაა, რომ მწერალი მშრალ დიდაქტიკასა და „ჭკუისდამრიგებლურ" ფორმულებს კი არ სთავაზობს ნორჩ მკითხველს, არამედ უშუალო სიტუაციებით, ნათელი ფერებითა და ბუნებრივი მხატვრული სახეებით ამდიდრებს მათ შეგნებას. ხოლო ლექსის სადა, მიმზიდველი და მუსიკალური ენით კიდევ უფრო მეტ ემოციურობას აღწევს. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გამო არნო ონელის საბავშვო ნაწარმოებებს მოზრდილებიც სიამოვნებით წაიკითხავენ.

უმთავრესი ადგილი არნო ონელის საბავშვო ლექსებში სკოლისა და სწავლის თემას უკავია, დაწყებული პირველკლასელის მერხზე დაჯდომის ოცნებით და დამთავრებული მეხუთე-მეექვსე კლასელის ფრიადოსნობის სიხარულით.

სკოლასა და სწავლას ეხება ლექსები „ჩვენი უფროსი დაიკო", „რას ამბობს ჩიტი ჩიორა", „მიულოცეს"..., „საახალწლო დაპირება" და სხვა. ამ თემას ორგანულად უკავშირდება ვრცელი, ბალადისებური ლექსი „მასწავლებელი", რომელშიაც ოსტატურად არის დახატუ-

ლი მხცოვანი პედაგოგის კეთილშობილური პორტრეტი:

ახლა, როცა ყველას სძინავს,
ის მარტო ზის მაგიდასთან,
წინ უწყვია მოსწავლეთა
რვეულების მთელი დასტა.

წითელ ფანქრით მიუყვება
გიშერივით შავ სტრიქონებს:
ხან უეცრად წარბს შეიკრავს,
ხან ღიმილით აცისკროვნებს.

არნო ონელი მუდამ სიხარულით უმღერის იმ ბავშვებს — „ვინც კარგად სწავლობს და კარგი სწავლით ქვეყნისთვის მოაქვს ბედნიერება“.

შრომის ჩვევის გამომუშავება ბავშვობის ასაკშივე — საუკეთესო გარანტიაა საქმის ერთგული, დაუზარელი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად და საბავშვო ლიტერატურის ამოცანაა, მოზარდს შეაყვაროს ეს თვისებები. რა თქმა უნდა, აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. ბავშვი მაინც ბავშვია და არ შეიძლება, მას პირდაპირ, ლოზუნგებით მოუწოდო იშრომოს ისე, როგორც მოზრდილმა. ბავშვში შრომისმოყვარეობის გამომუშავება სულ უბრალო, თითქოს უმნიშვნელო საქმიანობიდან იწყება. ეს გარემოება მშვენივრად ესმის არნო ონელს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსს „ხვალინდელი მასპინძელი“.

აბა ერთი ახლა ნახეთ,
როგორ ხარობს ჩემი ბაღი...
პირველად რომ ბრძანდებოდით,
როდის იყო? — შარშანწინა!
მაშინ მხოლოდ ნერგებს ვრგავდი
სულ თოთოს და პაწაწინას.
იმის შემდეგ დრო გავიდა.
გულმოდგინე შრომა გარჯით
დავაყაცდნენ ხეხილები,
შეიმოსნენ მწვანე ფარჩით.
წელს კი ჰყვავის ნაირფერად
ქლიავი თუ მსხალი, ვაშლი,
ალუბალი პატარძალს ჰგავს
საცეკვაოდ ხელებგაშლილს.
მალე მოვა შემოდგომაც
(ო, როგორი ნატვრით ველი), —
მაშინ ნაირ ხილეულით
ვიქნე თქვენი მასპინძელი!

ბავშვების შრომას ეძღვნება აგრეთვე, ლექსები: „თივ[illegible]ს ცაცხვი“, „ტყის მეგობრები“, „ჩვენი ფერმა“ და სხვა.

არნო ონელი თავის ლექსებში დიდ ადგილს უთმობს მავნე ჩვევების დაგმობას — როგორიცაა: უზრდელობა, ჯიუტობა, სიზარმაცე, მატყუარობა, ონავრობა... ისევე როგორც საერთოდ ყოველი ადამიანის, ბავშვის ხასიათში თუ ქცევაში არსებობს უარყოფითი და დადებითი თვისებები. მაგრამ საჭიროა წინ წამოვწიოთ, ავამაღლოთ კარგი და დავაგმობინოთ, გადავაჩვიოთ ცუდს. ამ საქმეში შეიძლება იმდენი ვერ გააკეთოს მშობელმა და მასწავლებელმა, რამდენიც შესწევს მწერლის მიერ ოსტატურად მოქნეულ ერთ სტრიქონს. არნო ონელის ასეთი მორალური ტენდენციების მქონე ლექსებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ამ ხასიათის ლექსებიდან საუკეთესონია: „დაგვიანებული ზრდილობა“, „დაიგვიანა“, „გულმავიწყი“, „ტირიფის ჩივილი“.

საერთოდ საბავშვო პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა ბუნების სურათებსა და ბუნების მოვლენების აღწერას, ფრინველ-ცხოველებთან ბავშვების მეგობრობას.

პოეტს განსაკუთრებით ეხერხება ზამთრის თოვლიანი პეიზაჟების ხატვა.

ლექსებში „მარიკა და მურიკელა“ და „თინიკოს ბეკეკა“ ბავშვების ცხოველებთან სათუთი მეგობრობა მშვენივრადაა ასახული და ნორჩ მკითხველს უნერგავს სასარგებლო ცხოველების სიყვარულსა და მოვლა-პატრონობის გრძნობას.

არნო ონელის საბავშვო ლექსებიდან, რომლებიც ბევრ სხვადასხვა საკითხებს ეხებიან, თავიანთი თემატურ-იდეური ჩანაფიქრითა და მხატვრული შესრულებით, აგრეთვე, გამოირჩევიან: „ჩვენი უფროსი დაიკო“, „ჭრელი პეპელა“, „რას გვიამბობს ტყე“, „ჩვენი გაზაფხული“, „პიონერული ზაფხული მოდის“, „მეგობრობაც ამას ჰქვია“, „ძერა და წიწილები“, „ჩვენი ახალი სახლი“ და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი ლექსი: „პატარების გასაგონად“ და „ასე იმგზავრეს“, რომლებშიაც ავტორი გასაგებად უხსნის ბავშვებს ქუჩაში მოძრაობის წესებს, როგორც ფეხით ისე მანქანით მოსიარულეთათვის.

არნო ონელი თავისი ლექსებით ნორჩ თაობას აყვარებს სწავლასა და შრომას, ბუნებასა და ადამიანებს, ყველაზე მეტად კი თავიანთ წარმტაც ქვეყანას, რომლის ნათელი მომავალი მათ უნდა გამოსჭედონ.

არნო ონელის, როგორც საბავშვო მწერლის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, პოემა „გელა მინდელი“, რამდენიმე ზღაპარი და იგავ-არაკი („რატომ ყივის მამალი“, „დოყლაპია“, „უბედური მელია“, „კურდღელი და ნაკადული“, „საჩივარი“ და სხვ.) გარდა „დოყლაპიასი“ ამ ზღაპრებისა და იგავ-არაკების მოქმედი პირები ცხოველები და ფრინველები არიან. მათი ესა თუ ის ქცევა სიმბოლიურად ასახავს ადამიანთა ურთიერთობის კეთილ და ბოროტ მხარეს. ზოგიერთი მათგანი („კურდღელი და

ნაკადული", „საჩივარი") დაწერილია დიალოგის ფორმით და ამდენად უფრო მეტად ემოციურია ნორჩი მკითხველებისათვის.

„გელა მინდელი" — ასე ეწოდება არნო ონელის ვრცელ საბავშვო პოემას. არნო ონელმა ამ პოემაში კარგად დახატა მინდელის თაობის წარმომადგენელთა ბედი. როგორც პოეტმა კი დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ფართო ტილოების შექმნა. პოემის შესანიშნავი პასაჟები, გამოკვეთილი ხასიათები და თხრობის ბუნებრიობა ამის დამადასტურებელია.

არნო ონელი მაღალმხატვრულად თარგმნის ცნობილი რუსი პოეტების ვლადიმერ მაიაკოვსკის, კორნეი ჩუკოვსკის, სამუელ მარშაკის, აგნია ბარტოს, სერგეი მიხალკოვის და სხვათა საბავშვო ნაწარმოებებს.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, არნო ონელის ლექსების პირველი წიგნი 1927 წელს გამოიცა. შემდეგ იგი მთლიანად საბავშვო ნაწარმოებების შექმნაზე გადავიდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა გამოცემული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. მაგრამ აი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოცდათორმეტი წლის „შესვენების" შემდეგ, — 1959 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოუშვა არნო ონელის ლექსების წიგნი სახელწოდებით „ასე ვმღეროდი". ამ კრებულში ყველაზე ადრინდელი ლექსები 1922 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი კი 1953 წლით. ასე რომ ეს წიგნი პოეტის ოცდაათზე მეტ წლიანი შემოქმედების ერთგვარი შეჯამებაა, როგორც იტყვიან „სადიდო" პოეზიაში.

ამ კრებულიდან ნათლად ჩანს, რომ პოეტი მუდამ თავის ხალხთან იყო, მას მუდამ აღელვებდა ჩვენს სამშობლოში მომხდარი მოვლენები და ეხმაურებოდა მათ თავისი ლექსებით. სოფლის კოლექტივიზაცია და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და მშვიდობიანი მშენებლობა — აი, თემები, რომელთაც არნო ონელმა მიუძღვნა ლექსები: „მთები", „განახლდი, ჩემო სოფელო", „ტრაქტორისტ-ქალს", „ძმები", „გამარჯვების გაზაფხული", „ხუთნი", „მოგზაურები" და სხვა. ისევე, როგორც პირველ წიგნში, აქაც გვხვდება რაჟის ულამაზესი პეიზაჟები. მაგრამ ისინი სტატიკური, განყენებული კი არ არიან, არამედ გაცოცხლებულ-გასულიერებული და ადამიანის განწყობილებების გადმომცემი. საილუსტრაციოდ მთლიანად მოვიყვანთ პაწია ლექსს — „შემოდგომა".

ხავერდის ფერს მოერია ქარვა,
ავდარია, არ მასვენებს წვიმა;
აი უცბათ, დაუბერა ქარმა
და ცახცახით ხეს ფურცელი ცვივა.
ავდარია, არ მასვენებს წვიმა.
შოდას ნისლის გვირგვინები ადგას,
უმზეობა და ნაღველი ბინდის;
— ბაწარ-ბაწარ, ბაწარ-ბაწარ! — სადღაც
წეროების ქარავანი მიდის.
უმზეობა და ნაღველი ბინდის...

ამ წიგნში შეტანილია, აგრეთვე, რამდენიმე სატრფიალო ლექსი და მიძღვნითი ლექსები „აკაკი სხვიტორში", „ბარბიუსის გარდაცვალებაზე" და „შიო მღვიმელი".

არნო ონელი ცნობილია, როგორც მეტად გულისხმიერი, სპეტაკი ზნეობისა და ვაჟკაცური ადამიანი. თავმდაბალი და გულმართალი პოეტი-მოქალაქე ახლაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ხარაძე

კოსმოსის დაპყრობა

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი ეპოქა, რომელიც სოციალური გარდაქმნების სიღრმით და განვითარების ტემპებით შეედრებოდეს ჩვენსას. ჩვენი ეპოქა დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, რომელსაც მოჰყვა ძველი, კაპიტალისტური სამყაროს რღვევა და ახალი, სოციალიზმის სამყაროს აღმოცენება და აყვავება. ფართო სოციალური გარდაქმნები და მეცნიერებისა და ტექნიკის უჩვეულოდ სწრაფი განვითარება ერთიმეორის გვერდით მიმდინარეობენ და ეს გასაგებიცაა: სოციალიზმი ფრთებს ასხამს განთავისუფლებულ შრომას და ფართო გზას აძლევს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და, მაშასადამე, — საწარმოო ძალთა განვითარებასაც; ეს, თავის მხრივ, საზოგადოებრივი პროგრესის ერთერთი მთავარი ფაქტორია.

ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ეპოქის სოციალურ ნიადაგზე მრავლად აღიზარდა ნიჭიერი კადრები, რომელთა თავდადებულმა შრომამ საბჭოთა მეცნიერებას მოუპოვა არნახული წარმატებანი დედამიწაზე და კოსმოსში. ეს წარმატებანი, თავის მხრივ, უსაზღვრო ძლიერების საშუალებას იძლევიან იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად შეისწავლებოდეს მატერიალური სამყარო, ძლიერდებოდეს ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, მრავლდებოდეს კაცობრიობის მატერიალური და კულტურული დოვლათი.

ის დიადი საქმენი, რომელნიც დასახულია კომუნისტური პარტიის ახლახან მიღებული პროგრამით და მოასწავებს კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებას, არა მარტო ემყარება მეცნიერების განვითარებასა და ნაყოფს, არამედ მათი შესრულება უზრუნველყოფილია მეცნიერებისა და ტექნიკის დღეისათვის მიღწეული შესაძლებლობებით.

მართლაც, ატომური და თერმობირთვული ენერგიის გამოყენების საქმის შემდგომი სრულყოფა, თერმობირთვული რეაქციის მართვის განხორციელება უზრუნველყოფენ მომავალში ენერგეტიკული რესურსების უსაზღვროდ გამდიდრებას. ეს შესაძლებელს გახდის მთელი წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ყოფის სრულ ელექტროფიკაციასა და მექანიზებას. ამასთან დაკავშირებით შემცირდება ნავთობის, როგორც საწვავი და ენერგეტიკული მასალის ხარჯვა და იგი უხვად გამოიყენება, როგორც ნედლეულის სინთეზური ქიმიური მასალების დასამზადებლად.

ქიმიას ახლა ძალუძს „სასწაულები" მოახდინოს ახალი თვისებების მქონე მასალების შექმნის საქმეში. ისეთი მასალა, რომელიც ერთდროულად იქნება მსუბუქი როგორც ბამბა, მტკიცე როგორც ფოლადი, გამჭვირვალე როგორც მინა და სხვა, — ახლა „ზღაპრული" აღარაა. ცნობილია, რომ ქიმია — ერთერთი უძველესი მეცნიერება — ყველაზე უადრეს ასპარეზს წარმოადგენდა ადამიანისათვის მის ცდაში შეეცნო და და დაემორჩილებინა ბუნება. ჩვენს დროში ქიმია ამ მიმართულებით მწვერვალებს უახლოვდება. პრაქტიკულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ჭარ-

ბად დააკმაყოფილებს კაცობრიობის მოთხოვნილებას ლაზათიანსა და მოხერხებულ საოჯახო საგნებზე, ქსოვილზე; ერთობ ეფექტურად მოემსახურება მრეწველობას, საბინაო მშენებლობას და სხვ.

ახლა ელექტრონული გამომთვლელი მანქანები გავიხსენოთ. ეს მანქანები, რომლებიც აგებულია მათემატიკური ლოგიკის პრინციპებზე და ქმნის პრაქტიკული კიბერნეტიკის საფუძველს, არა მარტო იხსნის ადამიანს მძიმე ფიზიკური შრომისაგან, არამედ ათავისუფლებს კიდეც მას გონებრივი შრომის იმგვარ სახეობათაგან, რომლებიც არ მოითხოვს შემოქმედებითს აზროვნებას. ტრანსპორტის მართვა, წარმოების ავტომატიზაცია, სააღრიცხვო-საბუხჰალტრო, სტატისტიკური, ბიბლიოგრაფიული და სხვა სამუშაონი — ყველა ეს ავტომატურად შესრულდება მათემატიკური მანქანების მეშვეობით. ამის შედეგად ადამიანის სამუშაო დღე შემცირდება 3-4 საათამდე და მას მეტი დრო დარჩება კულტურული დასვენებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

დაბოლოს. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, კოსმოსური რაკეტები, პლანეტაშორისი ავტომატური სადგურები და კოსმოსური ხომალდები ბუნების გამოკვლევის და მის ძალებზე გაბატონების ახალს, მძლავრ საშუალებას ქმნიან, დედამიწის ახლო სივრცისა და გარე სამყაროს მეცნიერული შეცნობის ფართო პერსპექტივებს გვისახავენ.

დედამიწის გარემომცველი ატმოსფერო ადამიანისათვის წარმოადგენს უახლოეს ფიზიკურ გარემოს, რომლის მოვლენები ამა თუ იმ გავლენას ახდენს მის მოღვაწეობაზე. ეს გარემო არა მარტო უზრუნველყოფს ადამიანის სასიცოცხლო ბიოლოგიური ფუნქციების შესრულებას, არამედ აგრეთვე მრავალნაირად გამოიყენება ადამიანის მიერ მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ გარემოში ვრცელდება ბგერა, რადიოტალღები; მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები გამოიყენება ამა თუ იმ სახის საჰაერო ტრანსპორტისათვის; ამ გარემოში მიმდინარე მოვლენებს შეუფარდებს ადამიანი ინ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავებასა და მოსავლის მოყვანასთან.

თავისი ფიზიკური პროცესებით, ეს გარემო, ერთი მხრით, ხელისშემწყობი, მეორე მხრით, ხელისშემშლელია ადამიანის მოღვაწეობაში. ხელისშემწყობია იმდენად, რამდენადაც ადამიანს მიუკვლევია ზოგი მისი ნოვლენის ახსნისათვის და გამოუყენებია კიდეც ესენი (მაგალითი: აეროდინამიკური მოვლენები და თვითმფრინავების კონსტრუქცია). ხელისშემშლელია იქ, სადაც ადამიანი ჯერ ვერ ფლობს საკმარისი სისრულით ბუნების ძალებს და ვერ წარმართავს მათ თავისი საჭიროებისა და ნების მიხედვით (მაგალითი: ამინდის ზოგიერთი მოვლენა).

ამნაირად, ჯერ კიდევ მაინც რჩება ამოუხსნელი ამოცანები, თუნცა ადამიანს დიდი მიღწევებიც აქვს ატმოსფერული მოვლენების შესწავლასა და გამოყენებაში, და იგი განაგრძობს მათ თანმიმდევრულ შესწავლა-შეცნობას.

მაგრამ საკმარისია თუ არა მარტო იმ ახლო გარემოს გამოკვლევა, რომელშიაც უშუალოდ მიმდინარეობს ადამიანის მოღვაწეობა? ეს არაა საკმარისი, რადგანაც, ჯერ-ერთი, ადამიანის სამოღვაწეო სივრცის საზღვრები უფრო და უფრო მეტად ფართოვდება. თუ თავდაპირველად ადამიანი მხოლოდ დედამიწის ზედაპირზე მოძრაობდა, მერე იგი ატმოსფეროში აიჭრა, — პირველ ხანებში მის ერთობ დაბალ ფენებში, მერე კი სულ უფრო და უფრო მაღლა. ახლა იგი თავისუფლად დაფრინავს ათეული კილომეტრის სიმაღლეზე, ხოლო მისი ხელით შექმნილი სხეულები ათასეული კილომეტრის სიმაღლეზე სრბოლავენ. კიდევ მეტიც: საბჭოთა ადამიანმა

კოსმოსური ხომალდი შექმნა და თვითონ აიჭრა კოსმოსის ახლო სივრცეში და გზას იკაფავს შორეულისაკენ.

მეორეც ისაა, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა თუ მოვლენათა კომპლექსი განმხოლოებულად არ მიმდინარეობს, არცაა იზოლირებული სივრცეში. მოვლენები უწყვეტ ურთიერთმოქმედებაშია, რაც ამყარებს ურყევ კავშირს ახლო და შორეულ ფიზიკურ გარემოთა შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ გვსურს საკმარისად ღრმად შევისწავლოთ „ახლო" მოვლენები, უნდა შევისწავლოთ ისინი „შორეულ" მოვლენებთან კავშირში, მათთან ერთად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითიც მოვიტანოთ. როგორც ვიცით, მზე დაშორებულია დედამიწას დაახლოებით ასორმოცდაათი მილიონი კილომეტრით. ეს იმდენად დიდი მანძილია, რომ თითქმის სამი ათას რვაასჯერ აღემატება თვით დედამიწის გარშემოწერილობას. მიუხედავად ასეთი დაშორებისა, მზესა და დედამიწას შორის მჭიდრო კავშირია, რაც გამოიხატება არა მარტო იმით, რომ მზის სითბო და სინათლე განაპირობებს დედამიწაზე მთელს სიცოცხლეს და ყოველგვარ ენერგეტიკულ გარდაქმნას, არამედ ამასთანავე მზეზე განვითარებული პროცესები უშუალო გავლენას ახდენენ, მაგალითად, რადიოკავშირზე და დედამიწის მაგნიტიზმის მოვლენებზე და ხასიათს უცვლის მათ მიმდინარეობას. ასეთ პროცესებს შორის არის, მაგალითად, მზის წიაღიდან წყალბადის მასების ამოფრქვევები. ეს და სხვა ასეთი კავშირი არა ერთხელ შეუნიშნავთ და შეუსწავლიათ. უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენჯერმე ყოფილა მკაფიო დადასტურება ამგვარი კავშირისა. ამას წინათაც საბჭოთა ასტრონომიულ ობსერვატორიებში აკვირდებოდნენ მზის ზედაპირზე და მის ატმოსფეროში აქტიურად მიმდინარე ამოფრქვევებს და ე. წ. მზის ლაქების განვითარებას. ამავე დროს კი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას წარმოიშვა უძლიერესი მაგნიტური ქარიშხლები და კონტინენტებს შორის დაირღვა რადიოკავშირი. ეს მოვლენა იმასაც გვიჩვენებს, რომ მზე წარმოადგენს ფიზიკურ სხეულს, რომლის შემადგენელი მატერია ძლიერ ცვლილებებსა და განვითარებას განიცდის. მზე გავარვარებული გაზოვანი ნივთიერებისაგან შედგენილი უზარმაზარი კოსმოსური სხეულია, რომელიც მასით დედამიწას 330 ათასჯერ ჭარბობს, ხოლო მოცულობით მილიონ სამასი ათასჯერ. ტემპერატურა მის ზედაპირზე 6 ათასი გრადუსია, ხოლო წიაღში ათეულობით მილიონ გრადუსს აღწევს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მატერია განუწყვეტლივ სახეს იცვლის და დასაბამს აძლევს მრავალნაირ რთულ ფიზიკურ მოვლენებს. რომელთა გავლენა შორს ვრცელდება სივრცეში და დედამიწასაც წვდება.

შეგვიძლია მეორე დამაჯერებელი მაგალითიც მოვიტანოთ. ცნობილია, რომ თანამედროვე ფიზიკის შეუნელებელი გამოკვლევის ერთერთ საგანს წარმოადგენს ე. წ. კოსმოსური სხივები. ეს ატომბირთვების ნაწილაკების ნაკადია, რომელიც დიდი ენერგიითა და სიჩქარით შემოიჭრება ჩვენს ატმოსფეროში გარე სამყაროდან. ნაწილაკები დამუხტულია ელექტრობით და დედამიწის ატმოსფეროში მთელ რიგ მოვლენებს იწვევს და თვითონაც სახეს იცვლის იმდენად, რომ ის, რაც აქ, დედამიწის ზედაპირის მახლობლად დაიკვირვება, არ ჰგავს იმას, რაც პირვანდელ სახეს უნდა წარმოადგენდეს. როგორც უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა ცხადყო, კოსმოსური სხივები წარმოიშობა მზისა და ზოგიერთი სხვა, უფრო მეტად დაშორებული გალაქტიკური ობიექტების, კერძოდ, განსაკუთრებული კატეგორიის ვარსკვლავების წიაღიდან. კოსმოსური სხივების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჯერ-ერთი, ესენი სამყაროს შორეულ უბნებში მიმდინარე საინტერესო ფიზიკური პროცესების მაუწყებელია. მეორეც, დედამიწის ატმოსფეროს ნივთიერებასთან მათი ურთიერთმოქმედება წარმოშობს ისეთ ატომბირთვულ რეაქციებს, რომელთა ხელოვნურად წარმოქმნა ლაბორატორიულ პირობებში ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. ამ ურთიერთმოქმედების დაკვირვება მის ბუნებრივ პირობებში საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ შიგაატომური ნაწილაკების ბუნებას.

კოსმოსური სხივების ხასიათი და ფიზიკური თვისებები სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რა სიმაღლეზე შევისწავლით მათ ან რა ადგილას: — დედამიწის ეკვატორთან თუ პოლუსების მახლობლობაში; ეკვატორიდან სამხრეთით თუ დასავლეთით. მაშასადამე, კოსმოსური სხივების მაგალითზე მარტო იმაში კი არ ვრწმუნდებით, რომ საჭიროა სამყაროს ახლო და შორეული სივრცეების ერთდროული შესწავლა, არამედ, იმაშიაც, რომ საჭიროა, ერთდროულად ვაკვირდებოდეთ მოვლენებს დედამიწის ატმოსფეროს სხვადასხვა სიმაღლეზე და დედამიწის ზურგის სხვადასხვა პუნქტებში — ეკვატორთან და პოლუსებთან, ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ამნაირად, საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ახლო გარემოს შესასწავლად არ კმარა დაკვირვების წარმოება ერთი პუნქტიდან და მხოლოდ დედამიწის ზედაპირიდან. ამას დიდი ხანია მიხვდა განათლებული კაცობრიობა და ამ მიხვედრამ წარმოშვა საერთაშორისო თანამშრომლობის იდეა, რამდენადაც არც ერთს, ცალკე აღებულს ერთს სახელმწიფოს არ ძალუძს განახორციელოს ერთდროული დაკვირვებანი დედამიწის ზურგის საკმარისად მრავალი პუნქტიდან. ამ იდეის განხორციელებას წარმოადგენდა ეგრეთწოდებული საერთაშორისო გეოფიზიკური წელი, როცა ამ 3—4 წლის წინათ, რამდენიმე ათეული სახელმწიფოს მიერ შეთანხმებულად მოწყობილი დაკვირვება-გამოკვლევები მიმდინარეობდა დედამიწის ზედაპირზე, ატმოსფეროში, ზღვა-ოკეანეების სივრცეებზე, დედამიწის წიაღში, არქტიკასა და ანტარქტიკაში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზომიერ სარტყელში და ეკვატორის გასწვრივ. დაკვირვება-გამოკვლევისათვის გამოიყენებოდა მეცნიერების განკარგულებაში არსებული ყველა თანამედროვე მეთოდი, იარაღი და საშუალება. აკვირდებოდნენ ცვლილებებს ატმოსფეროში, მის ელექტრომაგნიტურ, ოპტიკურ, ქიმიურ, ფიზიკურ და სხვა თვისებებს; აკვირდებოდნენ დინებებს ზღვა-ოკეანეებში, ყინულოვანი მასების მოძრაობას, სეისმური ტალღების გავრცელებას დედამიწის წიაღში, მზის გამოსხივებას, მზეზე განვითარებულ პროცესებს და მრავალ სხვა მოვლენას.

ბუნების შესწავლის ასე ფართო პროგრამით წარმოების აუცილებლობა და შესაძლებლობაც ჩვენს დროში მომწიფდა, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დონე იმდენად ამაღლდა, რომ ახალი, უფრო რთული პრობლემები ჩამოყალიბდა და ტექნიკის უკანასკნელმა მიღწევებმა კი ამ პრობლემების შესწავლაც გახადა რეალური. კერძოდ, აღსანიშნავია ავიაციის, აეროსტატებისა და გეოფიზიკური რაკეტების გამოყენება, რამაც შესაძლებელი გახადა დაკვირვებათა წარმოება არა უთუოდ დედამიწის ზედაპირიდან, არამედ უშუალოდ ატმოსფეროში, მის სხვადასხვა სიმაღლეზე.

აღნიშნული საერთაშორისო გეოფიზიკური წელი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა საკაცობრიო მეცნიერების ისტორიაში, მით, რომ მისი განხორციელების მსვლელობაში პირველად იქნა გამოყენებული ბუნების შესწავლის მიზნით გამოკვლევის თვისობრივად

ახალი საშუალებები: დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტები.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნა თავისთავად ნიშნავს ურთულესი და უძნელესი საბეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტას. ხელოვნური თანამგზავრი წარმოადგენს სხეულს, რომელიც, ერთხელ ნატყორცნი სათანადო მიმართულებით და სიჩქარით, დიდი დროის განმავლობაში სრბოლავს დედამიწის ირგვლივ, მისი ზედაპირიდან დიდ სიმაღლეზე, დაახლოებით წრიული გზით.

ეს 1957 წლამდე არნახული შემთხვევაა, როცა ადამიანის გონებით შექმნილი სხეული სძლევს დედამიწის მძლავრ მიზიდულობას და იქცევა სივრცეში მსრბოლავ კოსმოსურ სხეულად. ამ სხეულებში ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევის გამოვლინებაა. ესენი ყველაზე უფრო მეტად დამაჯერებლად მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირში ძალზე მაღალია სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე. ამ სხეულების შექმნა საზომია, რომლის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ჩვენს ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიური სიმძლავრე, მეცნიერულ-ტექნიკური უნარი.

მაგრამ ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა ამაზე არ შეჩერებულა; ხელოვნურ თანამგზავრებსა და რაკეტებს გარდა, მალე მათ შექმნეს პლანეტთაშორისი სადგურები და კოსმოსური ხომალდები და ამ შესანიშნავ მიღწევათა მიბ-ლევრობა დააგვირგვინეს პირველი კოსმონავტების — ი. გაგარინისა და გ. ტიტოვის — შემოფრენით დედამიწის გარშემო.

ასეთი დიდი და სწრაფი ტემპებით განვითარებული წარმატებანი ჩვენს ჭეშმარიტ აღტაცებას იწვევს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად შთამაგონებელი ისაა, რომ ეს მიღწევები ადამიანს უსახავს ბუნების მეცნიერული შეცნობის ახალს, უსაზღვრო პერსპექტივებს.

ათასწლობით აკვირდება ადამიანი სამყაროს მოვლენებს. წინათ იგი აკვირდებოდა უბრალო, შეუიარაღებელი თვალით; ჩვენს დროში ხმარობს ძლავრ ტელესკოპებს და სხვადასხვა ოპტიკურ და რთულ ფიზიკურ იარაღებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში დაკვირვება ემყარება იმ სხივების აღქმასა და ანალიზს, რომლებიც ცის სხეულებს გამოუსხივებიათ. ამნაირად, ადამიანმა მრავალ საიდუმლოებას მიაკვლია: შეისწავლა ატმოსფეროს აგებულება ზედა ფენებში: გამოიკვლია სამყაროს უსასრულო სიღრმეში გაფანტული უამრავი კოსმოსური სხეულების დაშორება, განლაგება, მოძრაობა; გამოარკვია მზისა და სხვა სხეულების ზედაპირის ტემპერატურა, აგებულება; ჩაწვდა მათი წიაღის ფიზიკურსა და ქიმიურ აგებულებას.

მაგრამ აქამდე მკვლევარი ყველა დაკვირვებას კოსმოსურ მოვლენებზე დედამიწის ზედაპირიდან ანუ ატმოსფეროს ოკეანის ფსკერიდან აწარმოებდა. მნათობის სხივი, ვიდრე დამკვირვებელის თვალს ან ტელესკოპს თუ სხვა რამ იარაღს მოაღწევს, ატმოსფეროს განსჭოლავს. ატმოსფეროს კი ისეთი თვისებები აქვს, რომელთა გამო მასში გავლილი სხივები სუსტდება, ფერსა და სხვა ფიზიკურ თვისებებს იცვლის და სხვაგვარ სახეცვლილებას, ანუ, შეიძლება ითქვას, „დამახინჯებას“ განიცდის. ამიტომ მათი ანალიზი არც თუ უშუალოდ და მარტივად შესასრულებელია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ხელოვნური თანამგზავრის ან კოსმოსური რაკეტის საშუალებით ტელესკოპი ან სხვა რაიმე აპარატი ავიტანეთ დიდ სიმაღლეზე — ატმოსფეროს საზღვარს ზევით და იქ შევაგებეთ მნათობებიდან მომავალ სხივებს. ასეთი სხივები ხომ ატმოსფეროს მიერ „დაუმახინჯებელი“ იქნება და მათი ანალიზი — უფრო მდი-

დარისა და უფრო მეტად სარწმუნო ცნობების მომწოდებელი.

მეტი სიცხადისათვის შეგვიძლია ერთგვარ ანალოგიასაც მივმართოთ. წარმოვიდგინოთ, რომ მოთავსებული ვართ შენობაში, საიდანაც უცნობ არემარეს ვაკვირდებით, მაგრამ ისე, რომ ვიყურებით ფერადი ან ცუდად გამჭვირვალე, ჭუჭყიანი მინის მქონე სარკმელში. რა თქმა უნდა, თუ მინა სრულიად გაუმჭვირვალე არაა, არემარეზე წარმოდგენას მაინც შევიქმნით, მაგრამ — გაჭირვებით, და ეს წარმოდგენაც საკმარისად ზუსტი არ იქნება. თუ მოვხსნით მინას ან სარკმელს გავაღებთ და უშუალოდ გავხედავთ არემარეს — მდგომარეობა არსებითად შეიცვლება: წინ გადაგვეშლება გარემოს უფრო ადვილად გასარჩევი ნამდვილი სურათი.

ამ მაგალითის მიხედვით უფრო ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის ის დიდი უპირატესობა და სამყაროს მეცნიერული კვლევის უმაგალითოდ ფართო პერსპექტივები, რომლებსაც ქმნის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების გამოყენება ბუნებაზე მეცნიერული დაკვირვების საქმეში.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე გამართული აპარატურის გამოყენება საშუალებას იძლევა თითქმის უშუალოდ და დეტალურად შეისწავლებოდეს დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენების აგებულება და დედამიწის გარემომცველი, მახლობელი კოსმოსური სივრცის ფიზიკური თვისებები.

ამ დაკვირვება-გამოკვლევებმა ბევრი ჩვენი წარმოდგენა შეამოწმა და დაადასტურა. ბევრიც შეასწორა და დაზუსტა. ასე მაგალითად, მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენები დედამიწის ატმოსფეროს შედგენილობისა და აგებულების შესახებ. ითვლებოდა აქამდე, რომ დედამიწის ატმოსფერო განვრცობილია ათას კილომეტრამდე. უშუალოდ ეს სიმაღლე არავის გაუზომია, მაგრამ ქვედა ფენებში ატმოსფეროს სიმკვრივის ცვლილებების მიხედვით, აგრეთვე პოლარულ ციალსა და სხვა მოვლენებზე დაკვირვების საფუძველზე, შეიძლებოდა ასეთი დასკვნის გამოტანა; იგი ძირითადად და დაახლოებით სწორი აღმოჩნდა, მაგრამ ახლა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან წარმოებული დაკვირვება-გაზომვების მიხედვით არსებითად დაზუსტდა. მართალია, უკვე ერთი ათასი კილომეტრის სიმაღლეზე ატმოსფეროს სიმკვრივე იმდენად მცირე და უმნიშვნელოა, რომ, პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, მის ზევით იგი აღარაა. მაგრამ როგორც ფიზიკურად მოქმედი გარემო, რომლის თვისებებს გარკვეული, შესამჩნევი მოვლენები შეუძლია გამოიწვიოს, ატმოსფერო ვრცელდება უფრო შორს — ორ ათას და კიდევ მეტი კილომეტრის სიმაღლემდეც. ამავე დროს, ამ დიდ სიმაღლეებზე ატმოსფერო არაა წყნარი და ერთგვაროვანი, არამედ მასში ინტენსიური შეშფოთება — მოძრაობებია, სიმკვრივის ცვალებადობა, ელექტროდენებით მისი განჭოლვა და სხვა ფენომენები, რომელთა აღმოცენებასა და განვითარებას განსაზღვრავს მზის გამოსხივების ზემოქმედება. მთლიანად ატმოსფერო ერთგვარ რყევასაც განიცდის, ე. ი. პერიოდულად იკუმშება და ფართოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განვრცობა ანუ მისი სიმაღლე არ ყოფილა მუდმივი სიდიდე. ეს რყევაც მზის გამოსხივების თვისებებითა და ხასიათით არის დაპირობებული.

ატმოსფეროს სინჯები ახლა ძალიან დიდ სიმაღლეებზედაც არის აღებული. ამის შედეგად გამოირკვა, რომ თუ 100 კილომეტრის სიმაღლემდე იგი კარგად არის შერეული, ე. ი. სივრცის სხვადასხვა უბანში ჰაერის შემადგენელი გაზების პროპორცია ერთნაირია, აღნიშნულზე უფრო მაღლა ხდება ერთგვარი განშრევება, რაც იმით გამოიხატება, რომ მატულობს მსუბუქი გაზების წილი. 150 კილომეტრის სიმაღლეზე ჟანგ-

ბადის მოლეკულები იშლება ატომებად, 250 კილომეტრზე იგივე მოსდის აზოტს. მაინც ერთი ათასი კილომეტრის სიმაღლემდე აზოტი და ჟანგბადი ატმოსფეროს ძირითადი მდგენელებია, თუმცა დიდ სიმაღლეებზე ისინი მხოლოდ ატომურ — და არამოლეკულურ მდგომარეობაში იმყოფებიან. აქამდე გეოფიზიკოსებსა და რადიოფიზიკოსებს მიაჩნდათ, რომ იონოსფერო ანუ ატმოსფეროს იონიზებული ფენა, რომელშიც ხდება, კერძოდ, რადიოტალღების არეკვლისა და გავრცელების პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები, 100-დან 400-500 კილომეტრამდეა განვრცობილი. ახლა გამოირკვა, რომ ეს განვრცობა გაცილებით მეტია და ელექტრონების კონცენტრაციაც მასში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე აქამდე იყო შეფასებული; სახელდობრ, ერთ კუბიკურ სანტიმეტრში ასეულობით ათასი ასეთი ელექტრონია.

ყველა ამ აღმოჩენას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამინდის პროგნოზი, რადიოკავშირის სისტემების განვითარება, კოსმონავტიკა — ყველა ეს დარგი მოუთმენლად მოელის თავისი განვითარებისა და სრულყოფისათვის ზემოაღწერილი მოვლენების, რაც შეიძლება, დეტალურსა და ზუსტ შესწავლას.

მეტად საინტერესოა აგრეთვე დედამიწიდან დიდ მანძილებზე — რამდენიმე ათასიდან ორ ათეულ ათას კილომეტრამდე თავისებური რადიაციის ზონების აღმოჩენა. ესენი ერთგვარ შარავანდედს წარმოადგენენ დედამიწის გარშემო. დამახასიათებელია, რომ შარავანდედი სიმეტრიულად კი არ მოიცავს დედამიწას, არამედ განვრცობილია მისი ეკვატორის გასწვრივ. მის შედგენილობას წარმოადგენს ელექტრონებისა და პროტონების ერთობლიობა. ეს ნაწილაკები, რომლებიც დიდი ენერგიის მატარებელნი არიან, გამოფრქვეულია მზიდან, დედამიწის მახლობლად კი თავმოყრილი და თავისებურად განლაგებულია დედამიწის მაგნიტური ველის ზემოქმედებით. საგულისხმოა, რომ ამ ნაწილაკების ენერგია და მათი სიხშირე აღნიშნულ ზონებში იმდენად დიდია, რომ იქ მოქცეული ადამიანისათვის საფრთხეს ქმნიან. ამიტომ ამ მოვლენის საგულდაგულო შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა დადგენილ იქნეს მომავალი კოსმონავტების შორეული ფრენის ყველაზე საიმედო ტრასები და გამომუშავებულ იქნეს მავნე რადიაციისაგან დაცვის საიმედო ხერხები, ყველა სხვა მეცნიერულსა და პრაქტიკულ ამოცანას რომ დავანებოთ კიდეც თავი.

მომავალი კოსმოსური ხომალდების ფრენის უსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ჰქონია აგრეთვე ხელოვნური თანამგზავრებიდან და კოსმოსური რაკეტებიდან მეტეორების დაკვირვების საქმე. როგორც ცნობილია, პლანეტთაშორის სივრცეში უხვადაა მყარი მეტეორული ნაწილაკები, რომლებიც, უწესრიგოდ არიან გაბნეული და დიდი სიჩქარეებით მოძრაობენ. მათგან მრავალი შემოიჭრება დედამიწის ატმოსფეროში და სწრაფ მოძრაობაში ატმოსფეროს ნაწილაკებთან ხახუნის გამო ხურდება, აინთება. აორთქლდება და ამნაირად ქმნის ე. წ. მოწყვეტილი ვარსკვლავების მოვლენას. ამ ნაწილაკებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც იმდენად მოზრდილი და შედარებით დიდი მასის მქონეა, რომ სრულად აორთქლებას ვერ ასწრებს და მისი ნარჩენები დედამიწის ზედაპირზე ცვივა. მომავლის კოსმოსურ ხომალდებთან მეტეორული ნაწილაკების შეჯახების საკითხის შესწავლის მიზნით საბჭოთა ხელოვნურ თანამგზავრებზე და კოსმოსურ რაკეტებზე სპეციალური დანადგარები იქნა მოწყობილი. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მიკრომეტეორული ნაწილაკები, რომელთაგან თითოეულის მასა გრამის მემილიონედებით განისაზღვრება, რამდენიმე ათეული ხვდება

რაკეტის ზედაპირს დღეღამის განმავლობაში. უფრო მსხვილ ნაწილაკებთან შეხვედრის სიხშირე ძალიან მცირეა და, საერთოდ, თუ კოსმოსური ხომალდების ჯავშნოსან ზედაპირსაც გავითვალისწინებთ, ადვილად დავასკვნით, რომ მეტეორული საშიშროება პლანეტთაშორისო სივრცეში მოძრავი ხომალდისათვის სრულიადაც არაა დიდი.

ახალი ცნობები მოპოვებულია უფრო შორეული სივრცეების მოვლენების შესახებაც. ეს მოხდა კოსმოსური რაკეტებისა და პლანეტთაშორისი ავტომატური სადგურების მეშვეობით. ასე, სახელდობრ, მეცნიერებას ახლა ხელთ აქვთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია პლანეტთაშორისი გაზის ნაწილაკების კონცენტრაცია ან მაგნიტური ძალები სადმე დედამიწასა და მთვარეს შორის. ეს სივრცე, როგორც ვიცით, ოთხასამდე ათასი კილომეტრის სიგრძით განისაზღვრება.

ხელოვნური თანამგზავრებით, კოსმოსური რაკეტებითა და პლანეტთაშორისი ავტომატური სადგურებით შეისწავლება არა მარტო თვით მათი ფრენის სივრცე და გარემო, არამედ აგრეთვე შორეული წყაროებიდან მომდინარე მათი შემხვედრი კოსმოსური სხივების ნაკადიც. ამ მხრივ უკანასკნელმა ოთხმა წელმა ბევრი ახალი ცნობა მოგვაწოდა, უმთავრესად, ერთი მეორესთან დაკავშირებული ორი პრობლემის გასაშუქებლად. ეს არის, ერთი მხრით, ნივთიერების ფიზიკური აგებულება, რამდენადაც კოსმოსური სხივების თვისებებში თავს იჩენს ატომგულის შიგნით მიმდინარე პროცესები, რაც ნივთიერების თვისებებს აღწერს. მეორე მხრით, ეს არის ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებს სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში გაბნეული გალაქტიკებისა და ვარსკვლავების წარმოშობა-განვითარების პროცესებს.

აი, შესასწავლი საგნებისა და მოვლენების როგორი ფართო დიაპაზონია: ნივთიერების ელემენტარული ნაწილაკები, რომელთა შორის ურთიერთმანძილები მილიმეტრის მემილიარდედი ნაწილების ნაწილებით გაიზომება, ერთი მხრით, და ვარსკვლავები და გალაქტიკები, რომელთა შორის დაშორება ასეული ათასი და მილიონობით სინათლის წლებით განისაზღვრება (უნდა გვახსოვდეს, რომ სინათლის წელი ის მანძილია, რომელსაც სინათლის სხივი ან რაიმე სხვა ელექტრომაგნიტური ტალღა, მაგალითად, რადიოტალღა, ერთ წელიწადში დაფარავს, გაივლის რა იგი ყოველ წამში სამას ათას კილომეტრს.).

კოსმოსურ სივრცეში განვითარებული მოვლენების შესწავლა არა მარტო გვშველის სწორად გავიგოთ იმ გარემოს მთავარი თვისებები და კანონზომიერებანი, რომელშიაც ადამიანი მოღვაწეობს; ამასთან ამ შესწავლაში საფუძველია ისეთი მოვლენების გამოსაკვლევად, როგორიც სამყაროს სხეულების ევოლუციაა ან მოზიდულობის ბუნებაა და სხვა ისეთები, რომელთა ამოცნობას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბუნებამცოდნეობის განვითარებისა და სამყაროზე სწორი მსოფლმხედველობის გამომუშავების თვალსაზრისით.

თანამედროვე ტექნიკა, ფიზიკური მეთოდები, ელექტრონიკა, ავტომატიკა და სხვა დარგები უზრუნველყოფენ ახლო და შედარებით შორეული კოსმოსური გარემოს ეფექტურ გამოკვლევას ისე, რომ ადამიანს არ სჭირდებოდეს უშუალოდ თვითონ აწარმოებდეს მასში დაკვირვებებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, თვით მკვლევარი — ადამიანის შეჭრა კოსმოსურ სივრცეში გამოკვლევის სისრულის თვალსაზრისით გარდუვალია. საბჭოთა მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობს კოსმოსში ადამიანის გაფრენის საქმეს. ამ მიზნით არა მარტო სხვადასხვა სახის გამოსხივებასა და მეტეორებზე წარმოებს დაკვირვება. როგორც ეს ზემოთ აღვწერეთ, არამედ შეისწავლება აგრეთვე ყველა ის პირობა და ვითარება, რომელიც მოელის კოსმონავტს ფრენის დროს. ადამიანის გაფრენამდე არაერთხელ იქნა აშვებული კოსმოსური რაკეტებითა და თანა-

მგზავრი-ხომალდებით სხვადასხვა ცხოველები, რამაც დიდძალი მასალა მისცა მეცნიერებას იმისათვის, რომ გამოკვლეული ყოფილიყო კოსმოსურ გამოსხივებათა ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე.

ამასთან, შეისწავლებოდა თვით კოსმოსური ფრენის პირობებით გამოწვეული ვითარება. ფრენის დროს, სანამ ორბიტაზე გავიდოდეს, კოსმონავტი განიცდის დიდ გადატვირთვებს, წონის მომატების ილუზიას. ორბიტაზე გასვლის შემდეგ კი იგი უწონადობას განიცდის. ორივე მდგომარეობა ფიზიკურად ძნელი ასატანია, და სჭირდება სათანადო წრთვნა, მომზადება და შეჩვევა. ასევე ძნელად გასაძლებია ხომალდის ძლიერი ვიბრაცია, რასაც მძლავრი, მილიონობით ცხენის ძალის სიმძლავრის მქონე ძრავები იწვევენ. სხვა ფაქტორებიც ანგარიშგასაწევია. მაგალითად,—ტემპერატურის დიდი ცვლილებანი. გავიხსენოთ, რომ, როცა ი. გაგარინი ეშვებოდა თავისი ხომალდით დედამიწის ზედაპირზე, ჰაერის ნაწილაკებთან ხახუნმა ისე გაახურა ხომალდი, რომ მისი გარე ზედაპირი რამდენიმე ხნით ალმოკიდებული იყო; გაგარინი თვითონ ხედავდა ალს თავისი ხომალდის სარკმლიდან. მართალია, ხომალდის კედლების თერმოიზოლაცია უზრუნველყოფდა ხომალდის შიგნით ტემპერატურის უცვლელობას, მაგრამ კოსმონავტი მზად უნდა იყვეს უარესი შემთხვევისათვისაც. ძნელად ასატანია ადამიანისათვის ის მძლავრი გრიალი, როგორითაც მუშაობენ ხომალდის ძრავები და ის უჩვეულო სრული სიჩუმეც, რომელიც სუფევს ორბიტაზე გასული კოსმონატვის გარშემო. ყველა ამას შეჩვევა უნდა ხელოვნურ, სავარჯიშო დანადგარებზე, და ხანგრძლივი, შეუპოვარი შრომა და ვარჯიში სჭირდება.

თვითონ ხომალდი, რომელშიაც მარტო ადამიანი-კოსმონავტი კი არაა მოთავსებული, არამედ ამყვანი და დამშვები ძრავები, სათადარიგო საწვავი. მავნე გამოსხივებისაგან დაცვის მოწყობილობა, მართვის აპარატურა, ჟანგბადის სარეგენერაციო დანადგარი და სხვა, უნდა წარმოადგენდეს დიდსა და მძიმე აპარატს. ეს გათვალისწინებულ იქნა თავის დროზე და საბჭოთა ექსპერიმენტები კოსმოსურ ფრენათა დარგში თავიდანვე წარიმართა დიდი და მძიმე სხეულების შექმნის გზით. ამ მხრივაც საბჭოთა კავშირმა ერთობ საგრძნობლად გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მაგრამ კოსმოსური ხომალდების შექმნისა და გამოყენების საქმეში სხვა მხარეებიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ოსტატობას. ხომალდის მართვა უნდა ხდებოდეს სრულიად განსაკუთრებული სიზუსტით. ჯერ ხომალდის ორბიტაზე აშვება წაუყენებს მართვის სისტემას მეტად მკაცრ მოთხოვნილებებს, ხომალდის დაშვების მანიპულაცია კი შესასრულებელია კიდევ უფრო მეტი სიმკაცრითა და სიზუსტით. იმისათვის, რომ ხომალდი დაეშვას დედამიწის ზედაპირზე, საჭიროა დიდი კოსმოსური სიჩქარის „ჩაქრობა“ და ატმოსფეროს ქვედა, მკვრივ ფენებში სრულიად გარკვეული, წინასწარ გამოთვლილი ტრაექტორიით შემოჭრა. სულ მცირე გადახრასაც შეუძლია გამოიწვიოს ხომალდის დაწვა ისე, როგორც იწვის მეტეორები. ატმოსფეროში შემოჭრის მომენტში ხომალდის კორპუსი გარკვეულად უნდა იქნეს ორიენტირებული. იმისათვის, რომ ხომალდი წინასწარ დანიშნულ პუნქტში დაეშვას, აუცილებელია დიდი სიზუსტით განისაზღვროს მისი დამუხრუჭების დასაწყისი მომენტი და სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან. როცა მისი კოსმოსური სიჩქარე „ჩაქრობილია“, ხომალდი იწყებს „თავისუფალ ვარდნას“ და ამ დროს იგი უახლოვდება დედამიწას წამში რამდენიმე ასეული მეტრის სიჩქარით. დაბოლოს ჩაირთვის დამმუხრუჭებელი ძრავების მეორე სისტემა, რომელიც შეანელებს ხომალდის სიჩქარეს წამში რამდენიმე მეტრამდე და ამ სიჩქარით

დაეშვება იგი უშუალოდ დედამიწის ზედაპირზე.

ამნაირად, კოსმოსში ადამიანის გაფრენამდე ექსპერიმენტებმა და გამოკვლევებმა ამ დარგში გაიარეს რამდენიმე რთული ეტაპი; კოსმონავტის სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფა მსრბოლავ ხომალდში, მძლავრი რაკეტული ძრავების შექმნა, დაშვების სარწმუნო სისტემის დამუშავება. ყველა ამ ეტაპზე ექსპერიმენტები ნაყოფიერად ჩატარდა და დაგვირგვინდა იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის ბრწყინვალე კოსმოსური სრბოლით დედამიწის გარშემო. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელება მარტო საბჭოთა ხალხის ზეიმი კი არ იყო, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დღესასწაულიც; საბჭოთა კოსმონავტების წარმატება დიდი წვლილია ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

საბჭოთა მამაცი კოსმონავტები გზას უკვლევენ კაცობრიობას კოსმოსურ სივრცეებში. ჭეშმარიტად მომხიბლავი და გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს ადამიანი ამ გზაზე. სამყაროს პირველი სხეული, რომელიც შეხვდება ადამიანს, არის მთვარე — დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი. მას შემდეგ, რაც სამნახევარი საუკუნის წინათ, გალილეომ პირველად მიმართა მას ახლად გამოგონილი ტელესკოპი, ადამიანმა ბევრი რამ შეისწავლა და გამოარკვია მთვარის აგებულების შესახებ. მთვარის ზედაპირი დასერილია ნაპრალებით, დაფარულია დაბლობებით, მთებითა და მთაგრეხილებით. დადგენილია, რომ მთვარე მოკლებულია წყალსა და ჰაერს; ნიადაგი მთვარეზე დაფარულია სითბოს ცუდად გამტარი ფხვიერი ნივთიერებით. გამოთვლილია მთვარის მასა და სიმკვრივე; გაზომილია მისი სიდიდე. მაგრამ ამავე დროს მაინც მთვარის აგებულების მრავალი ფიზიკური თავისებურება ჯერ კიდევ მოცულია საიდუმლოებით; მთვარის სფეროს ერთი მხარე სრულიად უჩინარია დედამიწაზე მყოფი დამკვირვებელისათვის. ახლა ამ მხარის პირველი ფოტოგრაფია უკვე მიღებულია მთვარის გარშემო გაშვებული სპეციალური რაკეტის მეშვეობით. მომავალში მთვარეზე ჯერ ავტომატური სადგურის დაშვება და შემდგომში კი ადამიანი-მკვლევარის მისვლა მრავალ ახალ ცოდნას მოუპოვებს კაცობრიობას არა მარტო მთვარის საერთო აგებულების შესახებ, არამედ მისი და დედამიწის წარმოშობის თეორიულ საკითხებზედაც, მის წიაღში არსებულ სასარგებლო ნამარხების შესახებ და სხვ. ახლა იმ წარმატებების შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში მიღწეულია კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში, ამ ამოცანების გადაწყვეტა შეგვიძლია მივაკუთვნოთ არც თუ ისე შორეულ მომავალს.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს მზის სისტემის ცთომილების შესწავლა. მათ შორის პირველ რიგში საინტერესოა დედამიწასთან უახლოესი ცთომილები: ვენერა და მარსი. სათანადო ხელსაწყოებით აღჭურვილი კოსმოსური რაკეტების გაშვება ამ ცთომილებისაკენ საშუალებას მისცემს ადამიანს გამოარკვიოს მათი ატმოსფეროს და ზედაპირის აგებულება, გამოიკვლიოს მაგნიტური ველი, ატმოსფერული გარსების სიმკვრივე, შედგენილობა, ფიზიკური თვისებები.

დაუცხრომელ ინტერესს იწვევს საკითხი სხვა ცთომილებზე სიცოცხლის არსებობის შესახებ. ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებს ადამიანის გონებას. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ადამიანი თანამედროვე ფიზიკური მეთოდებით იკვლევს მას. უკანასკნელი დროის გამოკვლევებმა ამ დარგში არა ერთი დიდი მნიშვნელობის ახალი ფაქტი აღმოაჩინა. მაგრამ მაინც სხვა ცთომილებზე სიცოცხლის არსებობის საკითხში ჯერ კიდევ არაა მიღწეული საბოლოო დასკვნები ან ერთიანი შეხედულება. ერთი მხრით ის გარემოება, რომ ცთომილების

ზედაპირი ზოგ შემთხვევაში, როგორც, კერძოდ, — ვენერაზე, მუდამ დაფარულია სქელი ღრუბლების საბურავით, მეორე მხრით, მათი სიშორე და თანამედროვე ოპტიკური ხელსაწყოებით ცოცხალი ორგანიზმის ნიშნების ამ მანძილებზე უშუალოდ დანახვის შეუძლებლობა დღემდე ღიად სტოვებს ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს.

მეცნიერებამ ბევრი სარწმუნო ცნობა მოიპოვა მზის ან გაცილებით უფრო შორს მდებარე ვარსკვლავების ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესახებ, რამდენადაც ამ სხეულების ატმოსფეროში და წიაღში მოქმედობს მექანიკის, ფიზიკის და ქიმიის უკვე კარგად შესწავლილი კანონები. მაგრამ ჯერ უცნობი რჩება სიცოცხლის არსებობის საკითხი შედარებით ახლო მდებარე ცთომილებზედაც, რადგანაც სიცოცხლის კანონები კიდევ უფრო რთულია და მოითხოვს გარემოს თვისებების ღრმა ცოდნას.

დადგენილია, რომ ვენერას ატმოსფეროში უხვად მოიპოვება ნახშირჟანგა გაზი; ამავე დროს კი არაა მიკვლეული ჟანგბადისა და წყლის ორთქლის ნიშნები. თუმცა შესაძლებელია, რომ ვენერას მომცველი სქელი ღრუბლები წარმოადგენდეს ყინულოვანი კრისტალების გარსს, ხოლო ჟანგბადი მოქცეულია ამ გარსის შიგნით. შეიძლება ისიც, რომ ნახშირჟანგა გაზის სიუხვე დაკავშირებულია ვენერას ზედაპირზე არსებულს უხვ მცენარეულობასთან. ეს იმიტომ, რომ ნახშირჟანგი არის ჟანგბადისა და ნახშირბადის პროდუქტი, ხოლო ეს უკანასკნელნი — მცენარეულობის მთავარი შემადგენელი ნაწილებია. თუ ეს ასეა, სავსებით დასაშვებია ვენერაზე მცენარეულობის და ცოცხალი სამყაროს სხვა წარმომადგენლების არსებობა. მაგრამ თანამედროვე ტექნიკის პირობებში ამ საკითხის საბოლოოდ გაშუქებისათვის აუცილებელი, გადამჭრელი ცნობების მოპოება შეუძლია მხოლოდ კოსმოსურ რაკეტებზე გამართულ აპარატურას.

დღემდე ღიად რჩება საკითხი მარსის ზედაპირზე არხების მსგავსი წარმონაქმნების არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნემ განვლო მათი აღმოჩენის დროიდან. „არხების“ საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მას შემდეგ, რაც ადამიანისათვის შესაძლებელი გახდება მარსის ზედაპირის ფოტოგრაფირება ახლო მანძილიდან. ამ ამოცანის შესრულებას შესძლებს სათანადოდ აღჭურვილი კოსმოსური რაკეტა, რომელიც მიუახლოვდება, მარსს.

როგორც ვხედავთ, კოსმოსური რაკეტების გამოყენება მოიცავს ფართო შესაძლებლობებს არა მარტო არაორგანული, არამედ ცოცხალი ბუნების შესწავლის დარგშიაც.

ადამიანი უხსოვარი დროიდან აკვირდება და შეისწავლის მისი გარემომცველი ბუნების მოვლენებს. არა უბრალო ცნობისმოყვარეობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა პრაქტიკული, საწარმოო ინტერესები აღძრავენ ადამიანში შეუპოვარ მისწრაფებას გამოიკვლიოს გარემოს თვისებანი, მიაკვლიოს ბუნების „საიდუმლოებათ“. მართლაც, ადამიანის მთელი მოღვაწეობა მიმდინარეობს ბუნების გარემოცვაში. კაცობრიობის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ადამიანის მოღვაწეობა წარმოადგენს მის განუწყვეტელ ურთიერთობას გარემოსთან, ბუნების მოვლენების რაობის თანმიმდევრულ მიკვლევას, ბუნების ძალების დამორჩილებას და მათ წარმართვას საკუთარი პრაქტიკული ინტერესების მომსახურების გზით. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების პროგრესი ისტორიულად ყოველთვის მჭიდრო კავშირშია გარემომცველ სამყაროზე ადამიანის ცოდნისა და წარმოდგენათა პროგრესთან, ადამიანის უნართან გამოიყენოს ეს ცოდნა თავისი პრაქტიკული და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მდიდარი ცოდნა მოიპოვა ადამიანმა

ბუნებაზე საუკუნეების მსვლელობაში. მაგრამ, რაც უფრო მაღალია კაცობრიობის პროგრესის დონე, მით უფრო დიდი როლი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცნიერებას, რომელიც აერთიანებს ყველა ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენებს ბუნების მოვლენებზე.

განსაკუთრებით დიდია მეცნიერების როლი ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, კომუნიზმში გადასვლის ეპოქაში. არც ერთს სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში მეცნიერებას არ ჰქონია ისეთი დიდი, გარდამქმნელი როლი, როგორიცაა აქვს მას კომუნიზმის მშენებელს ჩვენს საზოგადოებაში. მომავალ წლებში ეს როლი კიდევ უფრო მეტად აქტიური, უფრო მეტად ზემოქმედი და მამოძრავებელი იქნება, როგორც ეს ნათლად და დამაჯერებლად ჩანს კომუნისტური პარტიის ახლად მიღებული პროგრამიდან.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების მიღწევებს კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მიღწეულმა წარმატებებმა საწყისი მისცა საზოგადოების ისტორიის ახალს, კოსმოსურ ერას, რომლის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ერთობ ფართოვდება კაცობრიობის მოღვაწეობის სფერო. ჯერ კიდევ კ. ციოლკოვსკის უთქვამს, რომ ჩვენი ცთომილი — დედამიწა გონების აკვანია, მაგრამ არ შეიძლება მუდამ აკვანში ცხოვრებაო. საბჭოთა ადამიანი მტკიცედ ეუფლება დედამიწის მახლობელ კოსმოსურ სივრცეს და დღეისათვის მიღწეულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ, არსებითად, მას ხელთ აქვს მზის ოჯახის მთელი სივრცის დასაპყრობი საშუალებანი.

ასტრონავტიკის თეორიულსა და პრაქტიკულ პრობლემებზე მუშაობა ისე წარიმართება, რომ სწრაფად მწიფდება საკითხი ადამიანებით დაუსახლებელი ან დასახლებული, ხანგრძლივად მოქმედი ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური სადგურების შექმნის შესახებ; საკითხი სამყაროს სხვა სხეულებზე ადამიანის გაფრენის შესახებ. შეიძლება მეტიც ითქვას: ვრწმუნდებით, რომ ადამიანის კოსმოსური შესაძლებლობანი პრინციპულად განუსაზღვრელია.

ამასთან ერთად, უმაგალითოდ სწრაფად ფართოვდება და ღრმავდება ჩვენი ცოდნა ბუნების მოვლენებზე. სამეცნიერო აპარატურის უშუალოდ კოსმოსის სივრცეში გატანა არსებითად ახალი, შეუდარებლად უფრო მაღალი დონეა ბუნების შესწავლის მეთოდოლოგიაში, იგი აღნიშნავს მთელი ბუნებისმეტყველების გადასვლას მეცნიერული პროგრესის ახალს, უმაღლეს საფეხურზე. ყველაფერი ეს უფრო მეტად აქტიურს ხდის ადამიანის ზემოქმედებას ბუნების მოვლენებზე, მის ჩარევას ბუნებაში, ამტკიცებს ადამიანის ბატონობას ბუნების ძალებზე და ამით კიდევ უფრო მეტად ფართო გზას აძლევს მას კოსმოსის სივრცეებისაკენ; ეს გზა ისევე უსასრულოა, როგორც უსასრულოა ადამიანის მიერ ბუნების შეცნობის უნარი და კაცობრიობის პროგრესი.

ჩვენ გვახარებს და სიამაყის გრძნობას გვგვრის ის, რომ პირველი ნაბიჯები ამ გზაზე საბჭოთა ადამიანმა გადადგა, კაცობრიობას იგი უდგას წინამძღოლად და მიჰყავს მომავლის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღ. ხუბულური

„სეზამ, გააღე კარი!“

იმ ხანებში კაკაურიძეების ოჯახი ტაშკენტში ცხოვრობდა. გრიგოლი, სანდროს მამა, მეტყველად მუშაობდა იქ და ცოლ-შვილიც თან ჰყავდა საქართველოდან წაყვანილი.

პატარა სანდრო კარგად შეეგუა უზბეკ ბავშვებს. მეზობლებთან ხშირად გრძელ ტახტზე ფეხმორთხმული ისმენდა ხოლმე არაბულ, სპარსულ ზღაპრებს, ბევრი რამ იყო მისთვის ამ ზღაპრებში უცნობი და საინტერესო.

პატარა ბიჭს საოცრად უყვარდა ჩხირკედელაობა. როგორც კი სკოლიდან მოვიდოდა, მაშინვე სათამაშოებს მიუჯდებოდა. ზოგს დაშლიდა, აინტერესებდა შიგ რა იყო მოთავსებული, ზოგს თავისებურად გადააკეთებდა. ცდილობდა რაიმე თვითმოქმედი შეექმნა. ასე გადიოდა დღეები.

1921 წლის თებერვალში, როცა საქართველოს ცაზე აფრიალდა წითელი დროშა, კაკაურიძეების ოჯახი კვლავ მშობლიურ თბილისში გადმოსახლდა. სანდრომაც სწავლა თბილისის საშუალო სკოლაში განაგრძო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში ააყვავა რესპუბლიკის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება. ფართო გასაქანი მიეცა ტექნიკის განვითარებას.

სკოლაში სანდრო ასტრონომიით იყო გატაცებული. ბევრს კითხულობდა ციურ სხეულებზე, მაგრამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ელექტრო-საინჟინრო საქმე აირჩია და სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა.

1935 წელს ალექსანდრე კაკაურიძემ ფოტოელემენტების დახმარებით გააკეთა ისეთი ხელსაწყო, რომელიც იდგმებოდა საგაზეთო ვიტრინასთან და ადამიანის მოახლოვებისთანავე ინთებოდა. ამ ხელსაწყოს შესახებ წერილიც დაიბეჭდა გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე, როგორც ელექტრო-ინჟინერი, საკავშირო ელექტროტექნიკური გაერთიანების თბილისის ფილიალში მუშაობს ელექტროლაბორატორიის გამგედ. ეს დაწესებულება აწარმოებდა ელექტრომონტაჟს მთელს ამიერკავკასიაში—ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში. კაკაურიძე გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ერთი საწარმოდან მეორეში. ვინ მოსთვლის რამდენი დაწესებულების ელექტროგაყვანილობის, ელექტროდანადგარების მუშაობა შეუმოწმებია მას, სამუშაოებმა დიდი გამოცდილება შესძინა. სამამულო ომის მძიმე წლებში კი ამ მდიდარ გამოცდილებას ჩვენი სამშობლოს ტექნიკის შემდგომ განვითარებას ახმარდა.

გადაიარა ომის ქარცეცხლმა. გამოცდილი ინჟინერი კვლავ მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. კაკაურიძე დაინტერესდა კიბერნეტიკული მეცნიერებით.

თუმცა მან ოთხ ათეულ წელს გადააბიჯა, მაგრამ კიდევ ნათლად ახსოვდა ბავშვობაში ჩაბეჭდილი სიტყვები არაბული ზღაპრიდან: „სეზამ, გააღე კარი!“. ბევრი რამ გამართლდა ფანტაზიორ მეზღაპრეების მიერ გამოგონილი. განა მფრინავი ხალიჩა არ შეცვალა თვითმფრინავმა, ჯადოსნური სარკე—ტელევიზორმა, და რამდენიმე ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტროტექნიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთანავე კაკაურიძე ამ ინსტიტუტში იწყებს მუშაობას. ამჟამადაც იგი აქ ხელმძღვანელობს ზოგადი ავტომატიკის განყოფილებას.

... სიჩუმეა. მიკროფონთან ზის დიქტორი და კარნახობს. „ერთი“! „პლიუს“! „სამი“! „წინწკლები“, „ნოლი“! ოთახში დიქტორის გარდა არავინ არის, მხოლოდ მანქანები დგას: მიკროფონთან ახლოს მდებარე ეგრეთწოდებული გამაძლიერებელი, ანალიზატორი, დეშიფრატორი და ელექტრონული საბეჭდი მანქანა.

კარნახის დამთავრების შემდეგ, დიქტორი მიდის საბეჭდ მანქანასთან, იღებს ფურცელს, რომელზედაც აღნიშნულია მის მიერ ნაკარნახევი სიტყვები.

რა მოხდა? „გონიერმა“ მანქანებმა გაიგეს ადამიანის მეტყველება და შეასრულეს ის მოქმედება, რასაც მისგან მოითხოვდნენ.

ეს არის სამეტყველო ინფორმაციის ნაბეჭდ სახედ გარდაქმნის ექსპერიმენტალური მოწყობილობა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ტელემექანიკისა და ავტომატიკის ინსტიტუტში დაამზადეს ინჟი-

ნერ ალექსანდრე კაკაურიძის ხელმძღვანელობით.

ჩვენ იმ დროს ვეწვიეთ კაკაურიძეს, როცა იგი ჩაწერას აწარმოებდა.

გქონიათ შემთხვევა გესაუბრა მსახიობთან, რომელიც თავის საყვარელ თოჯინას განასახიერებს სცენაზე? იგი ისე ეჭცევა, ელაპარაკება თოჯინას, როგორც ცოცხალ არსებას.

ასე იყო აქაც.

— „ერთი“! — კარნახობს თეთრ ხალათში გამოწყობილი ალექსანდრე, „ნული“! „ხუთი“! — მანქანა უსმენს თავის მბრძანებელს. ბეჭდავს ზუსტად, მაგრამ აი, იგი შეჩერდა.

— რა მოგვივიდა? რატომ გაჩერდი, აბა ყურადღებით დამიგდე!—და უფრო მკვეთრად იმეორებს—„ერთი“!—ჩხაკ—დაიწერა ერთი. — „ნული“!—ახლა ნული დაიწერა—სწორია.

—აბა, რეზო, შენ უკარნახე,—გადასცემს იგი მიკროფონს ინჟინერ ბრეგაძეს, რომელიც, აგრეთვე, ამ მანქანაზე მუშაობს.—სტუმართან არ შერცხვეთ.

საბეჭდი მანქანა ზუსტად მუშაობს.

—ახლა ჩვენი ურიკას მოძრაობაც ვნახოთ.

ალექსანდრე კვლავ ხელში იღებს მიკროფონს, გაისმის მისი ხმა. „წინ“! დარბაზში ნელი მოძრაობით გამოდის ურიკა, „მარჯვნივ!“ ურიკა უხვევს ნაკარნახევი მიმართულებით. „მარცხნივ!“ იგი კვლავ სცვლის მოძრაობას, „უკან!“ უახლოვდება თავის საწყის ადგილს და, როცა გაისმის ბრძანება „სდექ!“ ჩერდება პირდაპირ თავისი „მბრძანებლის“ ფეხთით.

—იქნება თქვენც სცადოთ?

ვართმევ მიკროფონს და ვკარნახობ.

ლითონის „არსება“ ემორჩილება ჩემს ხმას. აი, დაიძრა იგი. შეასრულა სხვადასხვა მოძრაობა, „უკან!“ ვეძახი ჩემგან შორს წასულ მანქანას, რომელიც თან დაათრევს ელექტროზონარს. მანქანა ნელ-ნელა მიახლოვდება, ელექტროზონარი ფეხებში მომედო, „სდექ“! „სდექ“! —ვიმეორებ შეშინებული და უკან-უკან ვიხევ. მანქანას თითქოს ჩემი შეშინება განუზრახავს, არ მემორჩილება და კვლავ მომდევს.

—„სდექ!“—ნათლად გაისმის მიკროფონში ინჟინერ დოცენკოს ხმა, რომელიც ამ დროს ოთახში შემოსულიყო.

ურიკა გაჩერდა.

კაკაურიძეს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

—ხომ არ შეშინდით. მანქანა ისმენს მხოლოდ გარკვეულად წარმოთქმულ სიტყვებს. თქვენ, როცა ურიკა ფეხებთან მოგიახლოვდათ შეშინდით და ბრძანება მკვეთრად ვეღარ წარმოთქვით, ამიტომ ისიც არ დაგემორჩილათ. ჩვენი მანქანა უმეტესად იგებს იმ პირთა სიტყვებს, რომლებთანაც იგი მუშაობს. ჩვენი განყოფილების მუშაკები—ინჟინრები რევაზ ბრეგაძე და ივანე დოცენკო, ვინ მოთვლის, დღეში რამდენჯერ „ესაუბრებიან“ მას.

— იქნებ გაგვაცნოთ, როგორ ხდება ელექტრონული მანქანების მუშაობა?

აი, თქვენ მიკროფონთან წარმოსთქვამთ რაიმე სიტყვას. ეს სიტყვა ელექტროტალღებად იქცევა და გამაძლიერებლის საშუალებით ანალიზატორს გადაეცემა სპექტრული ანალიზისათვის.

როგორც ცნობილია, ყოველ ბგერას აქვს თავისი სიხშირე (აკუსტიკური სპექტრი), მაღალი, დაბალი და საშუალო. ამ სიხშირეების შესატყვის არხებში აინთება სასიგნალო ნათურები და ეს სიგნალები გადაეცემა დეშიფრატორს.

კაკაურიძემ გამოაღო დეშიფრატორის კარი, სადაც პატარა ყუთებში მანქანის „მეხსიერების“ ნაწილები იყო მოთავსებული.

— ესენი ელექტროსქემებია, რომლებიც შეესატყვისება ანალიზატორის სპექტრულ მოცულობებს. თვითეულ სქემას აწერია გვარი და სახელი. ეს მითითება იმისთვის არის საჭირო, რომ მანქანას სწორედ ამ ადამიანების ხმა აქვს შესწავლილი.

ჯერჯერობით, ზეპირი მეტყველების ნაბეჭდ სახედ გარდაქმნის ექსპერიმენტალურ მოწყობილობას შესწავლილი აქვს 30-მდე ბრძანება. ესენია რიცხვები 0-დან 9-მდე, სასვენი ნიშნები, სიტყვები, „წინ“, „უკან“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, „სდექ“ და სხვ.

— ახლა ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანი ის არის, რომ, რაც შეიძლება გავზარდოთ ამ „ბრძანებების“ რიცხვი. მეტი ვასწავლოთ მანქანას სიტყვები, რომ შეძლოს უფრო რთული მოქმედების შესრულება.

— დეშიფრატორის საქმე როგორ-ღა იქნება, ეს მოწყობილობაც ხომ რამდენჯერმე გაიზრდება.

— ჩვენ ამას უკვე მივაქციეთ ყურადღება და ვცდილობთ, რაც შეიძლება, პატარა მოცულობის სქემები შევქმნათ.

ზეპირი მეტყველების ნაბეჭდ სახედ გარდაქმნის მანქანებს დიდი მომავალი აქვს. მათ პირველ რიგში გამოყენება ექნება უნივერსალური ელექტრონული სათვლელი მანქანებისათვის.

იმისათვის, რომ უნივერსალურმა სათვლელმა მანქანამ შეასრულოს რაიმე მათემატიკური მოქმედება, ეს ზეპირი ინფორმაცია უნდა გარდაქმნას იმ ენაზე, რა ენაც ესმის მანქანას, კერძოდ, იგი გადაიყვანონ რიცხვებში. ეს გარდაქმნა კი საკმაოდ რთულ მუშაობას და ბევრ დროს მოითხოვს. სახელდობრ, ზეპირი ინფორმაცია მემანქანემ უნდა დაბეჭდოს საბეჭდ მანქანაზე. შემდეგ მეცნიერ მუშაკმა მოახდინოს დაბეჭდილი ინფორმაციის კოდირება. ე. ი. თვითეული სიტყვა აღინიშნოს რიცხვების საშუალებით. ეს უკანასკნელი კი დაიბეჭდოს სპეციალურ ლენტ-

ზე სათანადო ნიშნების ჩვენებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყავთ ზეპირი ინფორმაცია, ანუ „ბრძანება“ სათვლელ მანქანაში.

სამეტყველო ინფორმაციის ნაბეჭდად გარდაქმნის მოწყობილობის საშუალებით კი მოხდება ზეპირი ინფორმაციის შეყვანა მანქანაში პირდაპირი კარნახით. მანქანა შეასრულებს ყველა ზემოთჩამოთვლილ ოპერაციას ავტომატურად, ადამიანის ჩაურევლად.

— როდესაც ჩვენი მანქანა შეისწავლის ყველა სიტყვას, ეს კი მომავლის საქმეა, იგი შესძლებს შეასრულოს მექანიკური „სტენოგრაფისტის“ როლი. მომხსენებლის სიტყვას პირდაპირ დაბეჭდავს. ამავე დროს იგი გახდება ავტომატური მთარგმნელი მანქანების ნაწილი და მისი გამოყენებით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებმა ილაპარაკონ მთარგმნელის დაუხმარებლად.

ზეპირი მეტყველების ავტომატურად განსაზღვრის პრობლემით დაინტერესებული არიან მეცნიერები, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

ამ რთული პრობლემების გადაჭრაში თავისი წვლილი შეაქვს ქართველ მეცნიერს ალექსანდრე კაკაურიძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ნუცუბიძე

მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურის საკითხები თანამედროვე მეცნიერებაში

ჩვენი დროის მეცნიერება არაა ჯერ კიდევ გარკვეული იმ ადამიანის ნააზრევში, რომელიც მაქსიმე აღმსარებლის სახელითაა ცნობილი. მართალია, მასზე ბევრია დაწერილი და მისი ცხოვრების ძეგლები იმავე მეშვიდე საუკუნიდანაა ცნობილი, როდესაც მისი მოღვაწეობა და სიცოცხლე მიმდინარეობდა (580-662 წწ.), მაგრამ ამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასება მეცნიერებისათვის დღემდე ძნელი აღმოჩნდა.

მეცნიერებას აქვს საკმაოდ ზუსტი ცნობები აღმსარებლის მოღვაწეობის შესახებ. ცნობილია მისი შრომები, მათი დაწერის საბაბი, მოტივები და საბუთები, გარკვეულია მისი პოზიცია თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლებში, რომლებიც ბიზანტიის საზოგადოებრივ-იდეოლოგიურ ცხოვრების წარმმართველი იყო. ბოლოს, რაც საკვირველია, ზუსტი ცნობები დაგვრჩა მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის შესახებ; ტანჯული მაქსიმე აღმსარებელი ბიზანტიიდან საქართველოში გადმოასახლეს, აქ გარდაიცვალა და ცაგერის მახლობლად იქნა დასაფლავებული.

ეს უკანასკნელი ცნობები მაქსიმე აღმსარებლის შესახებ ცნობილია მისი თანამოაზრისა და ბედის მოზიარე მოწაფის — ანასტასი აპოკრიარისის აღწერიდან. მაქსიმეს ტანჯვათა უკანასკნელი დღეების შესახებ ცნობები მოღწეულია იმავე VII საუკუნიდან თეოდოსე განგრელის მოგონებებიდან მაქსიმეს შესახებ (იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", გამ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1941 წ., გვ. 38-56).

მიუხედავად მაქსიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებულ ძეგლთა საკმარისობისა, როგორც ითქვა, აზროვნების ისტორიაში იგი იხსენიება სხვათა შორის, ხანდახან კი მოხსენიებულიც არ არის, როგორც მაგალითად, ჰარტმანის „მეტაფიზიკის ისტორიაში", ან ინგლისელი მოაზროვნის ბერტრან რასელის 1948 წელს გამოცემულ „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიაში". რა თქმა უნდა, ამის გამართლება არ შეიძლება იმით, რომ რასელის ნაშრომი მარტო „დასავლეთის ფილოსოფიას" ეხებოდეს. მაქსიმეს ნააზრევი თავის მნიშვნელოვან ნაწილში ეხება საკითხებს, რომლებიც სწორედ დასავლეთის ფილოსოფიას ედო საფუძვლად საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. მეშვიდე საუკუნეში მსოფლიო კრება მაქსიმეს მასალებზე მსჯელობდა, როცა ნიკეას მეორე კრებას თავისი დადგენილება გამოქონდა „დიდი დიონისეს" შესახებ. დასასრულ, ტერიტორიულადაც მაქსიმე აღმსარებელი რომში მოღვაწეობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ასე რომ, მაქსიმეს მოღვაწეობის არმოხსენიება იმის გამო, თითქოს ის დასავლეთს არ ეკუთვნოდა, სრულიად გაუმართლებელია.

ზოგიერთ სხვა შემთხვევაში მაქსიმეს ძლივს იხსენიებენ. ასეთები არიან: ფილოსოფიის ისტორიკოსი ფრანგი ემ. ბრეჰიე, გერმანელი — იბერვეგი და სხვ. მართალია, მას გვერდი ვერ აუარა

დოგმების ისტორიის ისეთმა დიდმა მკვლევარმა, როგორიც იყო გერმანელი ჰარნაკი, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს დაუკავშირდა, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა.

მაქსიმე აღმსარებლის საკითხის ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ყურადღებას არ იპყრობდეს მეცნიერებაში, და რამდენადაც დიდი აღმოჩნდება მაქსიმეს როლი, როგორც მისი მოღვაწეობის, ისე, განსაკუთრებით, აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, იმდენად უფრო საინტერესო ხდება საკითხი — რა იყო იმის მიზეზი რომ მაქსიმეს ირგვლივ მეცნიერული კვლევა არაა მისი მნიშვნელობის შესაბამისად მაღალ დონეზე აყვანილი. ამ ვითარების გასარკვევად საჭიროა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და აზროვნების მთავარი მომენტების აღდგენა, კერძოდ, ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებით.

ამ ისტორიის შესწავლაში იმთავითვე ერთი შეცდომაა დაშვებული: ფიქრობენ, რომ მაქსიმეს ცხოვრება, მოღვაწეობა და აზროვნებაც დაკავშირებული იყო იმ სააზროვნო სიტუაციასთან მეშვიდე საუკუნეში, რომლის შინაარსს შეადგენდა ბრძოლა ეგრეთწოდებული მონოთელიტობის წინააღმდეგ, რამაც, საბოლოოდ, იმსხვერპლა მაქსიმე აღმსარებელი. მართალია, მაქსიმეს ცხოვრებაში ამ ბრძოლამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, იგი მას აუწერელ ტანჯვად და სიცოცხლედ დაუჯდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ბრძოლა იყო მთავარი ამბავი მის მოღვაწეობასა და, განსაკუთრებით, მის ნააზრევში. ეს იყო, მაქსიმეს თეორიული პოზიციის ასე ვთქვათ, პრაქტიკული მხარე ანუ შედეგი.

მაქსიმე აღმსარებელი უპირველესად ყოვლისა, აზროვნების ისტორიას ეკუთვნის. პეტრე იბერის სიკვდილის შემდეგ, იგი ერთბაშად გამოდის როგორც დიდი მებრძოლი ე. წ. არეოპაგიტიკულ შეხედულებათა დამკვიდრებისათვის. თვით ის ფაქტი, რომ მაქსიმე არეოპაგიტიკის ახსნა-დამუშავებით გამოდის სწორედ პეტრე იბერის მომდევნო დროში, მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ იგი ძირს უთხრიდა ყალბისმქნელების მტკიცებას, თითქოს არეოპაგიტიკა შემუშავდა პირველ საუკუნეში, როცა ვითომდა ცხოვრობდა სახარებაში მოხსენებული მოწაფე პავლე მოციქულისა. ადვილი გასაგებია, რომ, როცა ამ დებულების მომხრენი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამის საწინააღმდეგო საბუთების მოსასპობად, კერძოდ ისეთისა, რაც არეოპაგიტიკას, მოაშორებდა პირველ საუკუნეს და გვიან დროში გადმოიტანდა, გამოდის მოაზროვნე, რომელიც ავითარებს არეოპაგიტიკულ იდეებს. კერძოდ, ის გასაგებს ხდის არეოპაგიტიკის „ძნელ ადგილებს", რომლებიც ჯერ კიდევ არეოპაგიტიკული წიგნების ავტორის საზრუნავ საგანს შეადგენდა. ეს იყო საკითხი, რომელზედაც ფსევდოდიონისე (პეტრე იბერი) თავის მთავარ წიგნში — „საღმრთოთა სახელთათვის" — ლაპარაკობს და მიზეზთა შესახებ მოძღვრებას ქრისტოლოგიის ძირეულ საკითხს უკავშირებს. (იხ. ამის შესახებ **„Византийский временник"-ის № 20, ჩემი წერილი სათაურით: „მიზეზთა წიგნის პირველწყარო").**

აქ იყო მთელი კვანძი, თუ როგორ დაემთხვა ერთიმეორეს ანტიკურობის მიწურულსა და შუა საუკუნეთა გარდამავალ მომენტში ფილოსოფია და ქრისტოლოგია — ერთბუნებოვანობისა და ორბუნებოვანობის — მონოფიზიტობა — დიოფიზიტობის დასაყრდენი. თვითონ არეოპაგიტიკის შემქმნელი არ აკეთებდა თავის ფილოსოფიური დებულებიდან დასკვნას, რომელიც ან ერთ, ან ორბუნებოვანობას დაუჭერდა მხარს; მეხუთე საუკუნის შუა ხანებში (451 წელს) ოფიციალურად დამკვიდრდა მოძღვრება ორბუნებოვანობის შესახებ, მაგრამ, როგორც ცნობილია, პეტრე იბერი (ფსევდოდიონისე) ამის მიმართ ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა (იხ. აკად-

მარის „პეტრე იბერის ცხოვრების“ წინასიტყვაობა, სპბ, 1896 წ., რუსულად).

სწორედ პეტრე იბერის შემდეგ მაქსიმე აღმსარებლის გამოსვლას არეოპაგიტიკის ენერგიული დაღრმა მოსაზრებებით დამცველის როლში არა მარტო მაჩვენებელი მნიშვნელობა აქვს აზროვნების ისტორიულ სიტუაციისათვის, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრამდე ორბუნებოვანობის შესახებ მოძღვრების დამკვიდრებასთან ერთად თანდათანობით შეიქმნა პირობები ისეთ შეხედულებათა შემუშავებისათვის, რომლებიც აყენებდა საკითხს, რომ არ შეიძლებოდა ორბუნებოვანობის გაერთიანების ახალნაირობაზე ლაპარაკი. ამ პირობებში დაისვა საკითხი ქრისტეში ადამიანური და ღვთაებრივი ბუნების დაახლოებისა ერთი — ღვთაებრივი ნებელობის ნიადაგზე. ეს იყო მოძღვრება ერთნებელობის ანუ ბერძნულად მონოთელიტობის შესახებ.

არაა საჭირო თეოლოგიურ-ფილოსოფიური ძირების კვლევა იმის გასაგებად, რომ მონოთელიტობა კომპრომისული მოძღვრება იყო დიოფიზიტობის შესასუსტებლად. პეტრე იბერი, თანახმად ისტორიული წყაროებისა, გულგრილად შეხვდა ქალკედონის მსოფლიო კრების 451 წლის დადგენილებას დიოფიზიტობის გამარჯვების შესახებ, რადგან მისთვის მოძღვრებას ღმერთის „განკაცებისა“ და ადამიანის „გაღმერთების“ შესახებ ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი ფილოსოფიის წინამძღვრების მიხედვით.

მაქსიმემ წინ წამოსწია თავისი მასწავლებლის — პეტრე იბერის (ფსევდოდიონისეს) მოძღვრება ლოგოსის შესახებ და არეოპაგიტიკის „სიძნელეთა განმარტების“ სახით უკანასკნელი ნამდვილად დააკავშირა „მიზეზთა“ შესახებ მოძღვრებასთან იმდენად, რომ მომდევნო საუკუნის მოაზროვნეს, იოანე დამასკელს საშუალება მისცა გაეგო არეოპაგიტიკა და მასთან მორიგება მოეხერხებინა.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა დავიხსომოთ ეს მომენტი, რადგან თემისათვის — „მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურა“ — ამას დიდი მნიშვნელობა მიეცემა, როცა მივუახლოვდებით იერუსალიმის ქართული მონასტრის ფრესკაზე მსოფლიო მნიშვნელობის გამოსახულებას მაქსიმესა და დამასკელის მიერ ერთიმეორეს გაგებისა. ამის საიდუმლოება, როგორც ჩანს, ქართულ მონასტერში განსვენებულმა რუსთაველმა იცოდა, აასახვინა იგი და შთამომავლობას დაუტოვა.

ამას მნიშვნელობა აქვს პეტრე იბერთან (ფსევდოდიონისესთან) ერთი გარემოების ნათელსაყოფად. მიუხედავად არეოპაგიტიკაში მოცემული წანამძღვრების ნიადაგზე მისი ავტორისათვის დიოფიზიტობის ან მონოფიზიტობის მიწერის უსაფუძვლობისა, ზოგიერთები მაინც ფიქრობენ, რომ პეტრე იბერი თავგამოდებული მონოფიზიტი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება არაა სწორი: იგი არ იყო სავალდებულო არეოპაგიტიკის თეორიულ წანამძღვართა მიხედვით, რომელიც არ ამართლებდა არც ერთ ცალმხრივ მოძღვრებას. არ იყო იგი მართალი პეტრეს არც პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით. მართალია, მან დაიბრალა ერთხელ „მწვალებლობა“, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამას მხოლოდ ტაქტიკური დანიშნულება ჰქონდა (იხ. ჩემი „ფსევდოდიონისეს საიდუმლოება“, თბილისი, 1942 წ., რუსულად).

მაქსიმე აღმსარებელმა დიდი როლი ითამაშა ფსევდოდიონისეს (პეტრე იბერის) ოფიციალურ ეკლესიასთან დაახლოებაში, რასაც მან კიდეც მიაღწია ნიკეას მეორე კრების დადგენილების სახით (VII საუკ.) რადგან მისი დროისათვის მონოფიზიტებთან ბრძოლა მინელებული იყო, მაქსიმე გამოდიოდა, არეოპაგიტიკაზე დამყარებით, ერთნებელობის მომხრეთა წინააღმდეგ, რითაც ის საქვეყნოდ განამტკიცებდა აზრს, რომ იგივე არეოპაგიტიკის საბუ-

თები მოასწავებდნენ, როგორც მონოფიზიტობის, ისე მონოთელიტობის (ერთნებელობის) წინააღმდეგ ბრძოლას. მონოფიზიტებს, როგორც ეს გარკვა კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე დისპუტის დროს (532 წ.), ძალიან უნდოდათ დაეცვათ პირველი საუკუნის დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება და არეოპაგიტიკის ნამდვილი ავტორის სახელის მოსპობა, და ამ უიმედო საქმეში მაქსიმე აღმსარებლის, როგორც არეოპაგიტიკული მოძღვრების გამგრძელებლის როლი მათაც არ აძლევდა ხელს.

ამით იყო განპირობებული მაქსიმეს ბრძოლის სიმწვავე მონოთელიტების, როგორც მონოფიზიტთა შემცვლელების წინააღმდეგ, რისთვისაც მან ფილოსოფიურად უფრო გამოკვეთილი საბუთები მონახა, როცა ფილოსოფია და ქრისტოლოგია ისე დააკავშირა, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა უფრო ნათელი გახადა.

აქაა მაქსიმეს ისტორიულ-ფილოსოფიური ნააზრევის, როგორც პრაქტიკული საქმიანობის, დასაბუთება. და ამის გაუშლელად და გაუგებრად ძნელია მაქსიმე აღმსარებლის, როგორც მოაზროვნის ადგილის გამოკვეთა. აქ იყო მოცემული არისტოტელეს მიერ პლატონის იდეების ნაცვლად მიზეზთა წყობის შესახებ სწავლის ის ფორმა, რომელსაც დიალექტიკის ახალი და უფრო მაღალი საფეხურის დამუშავება ევალებოდა. აქვე დაფორმდა საბოლოოდ ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გადასვლა შუასაუკუნეთა ფილოსოფიაში, რომლის შინაარსი იყო ყველა ამ მონაცემის „ლოგოსის" ფილოსოფიად გარდაქცევა.

რა ვუყოთ, თუ ახალ შეხედულებათა პროპაგანდის პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ერთნებელობის წინააღმდეგ ბრძოლად დაიხვეწა, მას არაფერი დაუკარგავს თავის ისტორიულ-ფილოსოფიურ მნიშვნელობაში იმის გამო, რომ თავგანწირვით დამთავრდა მაქსიმეს აზროვნება და არსებობა. უხერხულობას წარმოადგენდა მის თანამედროვეობისათვის ის რომ: ა) დიონისეს საიდუმლოების შემქმნელთათვის იგი უხერხულობას ქმნიდა არეოპაგიტიკის გაფართოება-გაღრმავებით სწორედ პეტრე იბერის მოღვაწეობის მომდევნო დროში; ბ) მონოთელიტობის მომხრე ბიზანტიის კეისართა და მღვდელმთავართათვის იგი უხერხულობას ქმნიდა ქრისტოლოგიური ორთოდოქსალობის სასტიკი დაცვით.

ამ უდროულობამ მოსპო მაქსიმე აღმსარებელი, როგორც ადამიანი და კინაღამ გადაიტანა მისი ნააზრევიც, რომელსაც ქრისტოლოგიის საფარის ქვეშ განუუქმებელი ისტორიულ-ფილოსოფიური ღირებულება ჰქონდა.

პირველის მთავარი მომენტების აღდგენას შეუძლია შეგვიყვანოს მეორის მთავარი მომენტების აღდგენაში, მხოლოდ ორივეს ერთად — მის თავისებურ დამოკიდებულებაში ქართული კულტურის მიმართ.

* * *

პეტრე იბერის მოღვაწეობის მეხუთე საუკუნეში გაშლა და მისი იდეების მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში საბრძოლო იდეურ ვითარებაში მოხმობა მონოფიზიტების მიერ უბრალო ქრონოლოგიური წინამორბედობის ამბავი არ იყო მეშვიდე საუკუნეში მისი ნააზრევის აღდგენა-განმარტებისათვის, რადგან მთელი ეს პროცესი გამართლებული და განმტკიცებულია მისი შედეგით — არეოპაგიტიკის ავტორის ფსევდოდიონისეს (პეტრე იბერის) აღიარებით. დიალექტიკური გაგება, მოვლენათა მსოფლიო მთლიანობის რა კუთხესაც არ უნდა მივუყენოთ იგი, უკუქცევითია. ადამიანის ანატომია გაგების გზაა მაიმუნის ანატომიისათვის (კ. მარქსი).

580 წელს კონსტანტინეპოლში დაბადებული მაქსიმე აღმსარებელი. მხოლოდ 630 წლიდან შედის ქრიზოპოლისის (სკუტარი) ბერ-მონაზონთა შემადგენლობაში. ამ დროისათვის იგი საკმაოდ აღჭურვილია ბიზანტიაში დაუმცხრალი იდეური ბრძოლებისათვის. 633

წელს ალექსანდრიის კრებაზე იგი ებრძვის მონოთელიტებს. ღირსშესანიშნავია, რომ იგი აქ მხარდამხარ იბრძვის მონოთელიტების წინააღმდეგ. ქართული კულტურისათვის ცნობილ სოფრონ პალესტინელთან ერთად.

ფილოსოფიის ისტორიას აღუნიშნავი დარჩა დიდი მნიშვნელობა ამ ფაქტისა: სოფრონ იერუსალიმელი დაუახლოვდა მაქსიმეს და მასთან ერთად ებრძვის მონოთელიტებს, და ეს ის სოფრონი იერუსალიმელია, რომელიც ფანატიკური გაბოროტებით ებრძოდა პეტრე იბერს, მას ტალახში სვრიდა და დიონისე არეოპაგელს უპირისპირებდა. უკანასკნელს სოფრონი „ღვთის მოვლენილად" სთვლიდა. რისთვის დასჭირდა სოფრონ იერუსალიმელს პეტრე იბერის დიონისე არეოპაგელისაგან განსასხვავებლად სასტიკი და მწვავე გამოთქმებისათვისაც კი მიემართა? სოფრონ იერუსალიმელი იმ შეცდომის გავლენას განიცდიდა, თითქოს პეტრე იბერი მონოფიზიტობის მომხრე იყო, და ეს აიძულებდა მას არ მიეღო დებულება პეტრე იბერისა და დიონისე არეოპაგელის იგივეობის შესახებ.

აკადემიკოსი ე. ჰონიგმანი სთვლის, რომ სოფრონ იერუსალიმელი შეცდომაში შეიყვანა იბერიელ ნაბარნუგის და ლაზი მითრიდატის „ფსევდონიმებმა", ე. ი. პირველის დიონისედ, ხოლო მეორის იეროთეოზად წოდებამ. ამ „ფსევდონიმურობის" „პარადოქსულ შედეგად" სთვლის ე. ჰონიგმანი იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე მიმართვაში სერგი კონსტანტინეპოლელისადმი სოფრონ იერუსალიმელი ისე სასტიკად უპირისპირებს ერთიმეორეს პეტრე იბერსა და დიონისე არეოპაგელს (იხ. ჰონიგმანი, „პეტრე იბერი და სხვ.", რუს. თარგმანი, თბილისი, 1955, გვ. 39, უნივერ. გამომცემლობა).

აქ, რა თქმა უნდა, მარტო „ფსევდონიმურობა" არაფერ შუაშია. სოფრონი იმდენად ჩახედული იყო არეოპაგიტიკაში, რომ მისი ავტორის მონოფიზიტობა შეუძლებლად მიაჩნდა. ტყუილად ხომ არ იყო ის ქართველი მწიგნობარ-მოაზროვნის — იოანე მოსხის მოწაფე, რომელსაც „ბალავარიანში" გამოყენებული ჰქონდა არა ერთი იდეა არეოპაგიტიკისა, რომელთაგან არც ერთი მონოფიზიტურად არ ეღერდა. საქმე ის იყო, რომ დროთა ვითარებაში პეტრე იბერის სახელს, უკანასკნელის მომხრეებმა, მონოფიზიტობის ლიდერობა დაუკავშირეს. ამიტომაც დასჭირდა სოფრონ იერუსალიმელს მწვავედ მტკიცება, პეტრე იბერი არ იყო დიონისე არეოპაგელიო. მაშასადამე, სოფრონის ფანატიკური გაბოროტება გამოწვეული იყო მონოფიზიტების მიერ პეტრეს სახელის გამოყენებით და სოფრონს დასჭირდა პეტრე იბერის სახელის ჩამოშორება. არეოპაგიტიკის ავტორობისაგან, ე. წ. დიონისესაგან.

აშკარაა, თავისი წერილით სერგი კონსტანტინეპოლელის მიმართ სოფრონმა მისი დროის დიდი საიდუმლოება გაამხილა, სახელდობრ ის, რომ VII ს. **პეტრე იბერი გაიგივებული იყო დიონისე არეოპაგელთან.** წინააღმდეგ შემთხვევაში სოფრონის მწვავე გამოსვლას არავითარი საბაბი და გამართლება არ ჰქონდა. მეცნიერებისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ, როცა აღმოჩნდებოდა, რომ პეტრე იბერი არ იყო მონოფიზიტი, მაშინ სოფრონ იერუსალიმელის გამოსვლა უნიადაგო რჩებოდა და იხსნებოდა საბუთი პეტრე იბერის ავტორობის წინააღმდეგ.

იმავე მეშვიდე საუკუნეში, როგორც გაირკვა, აფრიკაში მოღვაწეობას განაგრძობს არეოპაგიტიკული წიგნების განმარტებულ-გამგრძელებელი მაქსიმე აღმსარებელი. 645 წელს ის ებრძვის კონსტანტინეპოლიდან გაძევებულ ყოფილ პატრიარქს — პიროსს. რომში მაქსიმე დიდ გავლენას მოიპოვებს, რის შედეგად იქ ახლად არჩეული პაპი — მარტინე I იწვევს ლატერანის სინოდს, რომელზედაც მოხდა მონოთელიტების შეჩვენება. ბიზანტიაში ახალი ვითარების შექმნასთან დაკავშირებით (მონოთელიტების მფარველობით) შეიცვალა,

ბიზანტიის საეკლესიო პოლიტიკა ღა მასთან მაქსიმეს ბედიც. სასტიკად ნაწამები და დასჯილი მაქსიმე თავის მოწაფე — ანასტასე აპოკრიარისთან „წარავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილობასა კერძოთა სამეგრელოისათა“ (იხ. აკად. კ. კეკელიძის „კეიმენა“, 93—20—20). ოფიციალურ დოკუმენტში სწერია სამეგრელოს ნაცვლად „ლაზიკის ქვეყანაში“, რაც ბიზანტიელებისათვის ერთი მეორეს უდრიდა, ანუ ძველს საქართველოში, სადაც იგი დასაფლავებულია „ცაგერის მახლობლად“ (იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „მასალები“, 1940 წ., ნაკ. 1, გვ. 55).

მაქსიმე აღმსარებლის ექსორიად საქართველოში გადმოსახლება, ცხადია, არაფერს ნიშნავს ძველი საქართველოსადმი მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ასეთი გადმოსახლების მრავალ სხვა შემთხვევას რომ თავი დავანებოთ, თვით მაქსიმესთან ერთად იყვნენ იქვე გამოძევებული პირები, კერძოდ, მისი ზემოთმოხსენებული მოწაფე ანასტასე აპოკრიარისი და ანასტასი ბერი, მეორე მხრივ, არც ისაა საფიქრებელი, რომ ბიზანტიელებს მეშვიდე საუკუნეში ძველი საქართველო ისეთ ველურ კუთხედ ჰქონოდათ წარმოდგენილი, რომელიც დასჯილის მხოლოდ გადასაკარგავად თუ გამოდგებოდა (ეს იყო 662 წელს).

მაქსიმეს ბედის თანამოზიარე ანასტასი აპოკრიარისი მათი თავგადასავლის აღწერილობაში აღიარებს, რომ იბერიას VII ს. გაცხოველებული იდეური ურთიერთობა ჰქონებია დასავლეთთან (თვით რომამდეც კი), რაც საგანგებო მისვლა-მოსვლასა და წერილობით იდეურ ურთიერთობაში გამოიხატებოდა. ანასტასი ითხოვს: „თუ კი შესაძლებელი იქნება გადმომიგზავნეთ ერთერთი სარწმუნო, იბერიაში მომავალი კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომლებიც დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა, პაპის მარტინეს წინადადებით, უხუცეს ქალაქ რომში“, (ციტირებული „მასალები“, გვ. 47).

ამის დაწერის დროს მაქსიმე უკვე ცოცხალი აღარ არის, . მაგრამ ეს არ უკარგავს მნიშვნელობას იმ იდეურ ურთიერთობათა დამადასტურებელ ძეგლს, რომელშიაც არა ერთხელაა მოხსენიებული. „ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყნის“ გვერდით „ქრისტეს მოყვარე აბაზგების ქვეყანა“ (გვ. 45 და სხ.). ადვილი გასაგებია, ვის აღნიშნავდა ძველი საქართველოს ამ ორი მხარის ერთნაირი მოხსენება მეშვიდე საუკუნეში („ინ ქრისტი ამატორუმ რეგიონე აბაზგორუმ“).

მეშვიდე საუკუნე დიდი იდეური აღრევის პერიოდია ბიზანტიაში, მაგრამ არის ერთი მოაზროვნე, რომელსაც გარკვეული ხაზი აქვს აღებული. ეს კაცია მაქსიმე აღმსარებელი: ამ საუკუნის აზროვნება მას არეოპაგიტიკული წიგნების განვრცობა-განმარტებით ნიკეას მსოფლიო კრებისაკენ მიყავს. მთავარი მომენტი მისი გონებრივი საქმიანობისა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ქრისტოლოგიასთან შემოქმედებით დაკავშირებაში იყო. ეს არ იყო არც აპოლოგეტიკა, ე. ი. ფილოსოფიის ქრისტოლოგიისათვის გამოყენება. არც დოგმატიკა, რადგან იგი მთელი თავისი მნიშვნელობით ანტიკური ფილოსოფიის შემდეგ დარჩენილი პრობლემების გადაჭრას ემსახურებოდა. ეს იყო შებრუნებული აპოლოგეტიკა ქრისტოლოგიის საშუალებით ფილოსოფიის გამაგრებისა.

აი, ამ ორიგინალური საზროვნო სიტუაციით მაქსიმე იკავებს ადგილს ფილოსოფიის ისტორიაში, და სადაც ეს შეგნებული არაა, იქ გაწყვეტილია ნამდვილი კავშირი ანტიკურობასა და შუა საუკუნეთა აზროვნებას შორის. აქ არაა საჭირო ფილოსოფიის სიღრმეში შესვლა: საკმარისია გვახსოვდეს, რომ არისტოტელეს მიერ პლატონური იდეალიზმის გაკრიტიკების შედეგად შეიქმნა „მიზეზთა ფილოსოფია“ ნაცვლად იდეათა ფილოსოფიისა. უკანასკნელი თავისი უმოძრაობის გამო არ გამოდგა ქვეყნის მოვლენათა ასახსნელად, ხოლო იდეათა სათავეში პლატონის მიერ მოთავსებუ-

ლი „მთავარი იდეა“—უმაღლეს სიკეთედ გამოცხადებული—ვერ იქცა მსოფლიო მამოძრავებელ ძალად. ნეოპლატონიზმის მიერ მიზეზთა ფილოსოფიისათვის გამოყენებული არისტოტელეს პირველ მიზეზის ცნება, როგორც ის არის მისი „მეტაფიზიკის“ მეექვსე წიგნში, და „პირველ მამოძრავებელის“ ცნება, როგორც იგი იმავე არისტოტელეს აქვს განვითარებული თავის „ფიზიკაში“, გამოიყენა V საუკუნეში პროკლემ.

ეს ამბები იოანე ლაზმა „ამოკრიფა“ პროკლეს წიგნიდან „კავშირნი თეოლოგიურნი“ და გადასცა თავის მოწაფეს პეტრე იბერს დასამუშავებლად. ასე წარმოიშვა პირველი არეოპაგისტული წიგნი, პეტრე იბერის (ფსევდოდიონისეს) მიერ შეთხზული, ვითარცა შესავალი მის თეოლოგიაში (იხ. ჩემი შრომა — „მიზეზთა წიგნის პირველწყარო“, ჟურნალ „Византийский временник“-ში, 1961 წ., № 20, რუსულად).

ეს იყო პეტრე იბერის პირველი შრომა, ყველა მონაცემის მიხედვით ქართულად დაწერილი და მის პრინციპზე აიგო ე. წ. არეოპაგიტიკა.

იერარქიულად გაგებული ქვეყანა ოთხ საფეხურად უნდა წარმოდგენილიყო: შეუქმნელად და შემქმნელად, შექმნილად და შემქმნელად, შექმნილად და შეუქმნელად და შეუქმნელად და შეუქმნელად. ამ საფეხურებში ყველაზე ძნელი ამბავი იყო გადასვლა პირველიდან მეორეზე, რადგან შეუქმნელი (ე. ი. ღმერთი), როგორც არარსებობა და სიცალიერე, ვერ გახდებოდა სინამდვილის მოვლენათა შემქმნელად, თუ თვითონ არ იქნებოდა მოვლენა, მოვლენათა წყობაში ჩამდგარი.

არისტოტელემ, შენიშნა იდეალისტ პლატონს, რომ იდეას, როგორც სინამდვილის გარეითს, არ შეუძლია იყოს მიზეზი სინამდვილისაო, მაგრამ „პირველიც“, ნეოპლატონისტურად გაგებული, ასევე არ გამოდგებოდა სინამდვილის მიზეზად. თუ იგი „შექმნილი“ იქნებოდა. „შემქმნელად“ მაინც არ გამოდგებოდა და სიძნელე დაუძლეველი რჩებოდა. არეოპაგიტიკა ვერ გაიმარჯვებდა, თუ პირველი მიზეზი არ იქნებოდა გაგებული როგორც „სიტყვა ღვთისა“ („ვერბუმ დეი“) და სწორედ ეს სინათლე შეიტანა არეოპაგიტიკაში მაქსიმე აღმსარებელმა (იხ. მაქსიმე აღმსარებლის კომენტარი, კორდერიუსის გამოცემა, გვ. 510).

ამის შემდეგ ძალა დაკარგა იოანე დამასკელის წინააღმდეგობამ არეოპაგიტიკის მიმართ, თითქოს „შექმნილს“ არ შეიძლება მიეწეროს შექმნის უნარიო, და თუ ეს იქნა დაშვებული, თითქოს, უნდა აღდგეს კერპთაყვანისცემლობა („იდოლატრია“-ო).

ადვილი მისახვედრია, რომ მაქსიმე აღმსარებელმა ორი საკითხი გადასწყვიტა: გამართა ხაზი ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობიდან ქრისტოლოგიამდე და ამით არა მარტო დააზუსტა არეოპაგიტიკა შექმნილისა და შეუქმნელის დიალექტიკით, არამედ შეარიგა მასთან დამასკელი დოგმატიკოსი.

ამ შერიგებამ შესაძლებელი გახადა, როგორც ზევით აღინიშნა, ნიკეას მეორე კრებაზე არეოპაგიტიკის ავტორის რეაბილიტაცია და ამავე დროს მაქსიმეც ნამდვილი აღმსარებელი გახადა. ქართული კულტურა ამ მოვლენებს დროთა ვითარებაში გამოეხმაურა, ამიტომ ქართულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მაქსიმეს აზროვნებასა და მოღვაწეობის ისტორიის შესწავლისა და შუა საუკუნეთა ფილოსოფიის ისტორიის კვლევისათვის.

ეს მასალა არაა მოთავსებული მაქსიმეს „ცხოვრების“ ქართულ თარგმანში, რომელიც აკად. კ. კეკელიძემ გამოსცა (იხ. ზემოთდასახელებული „კეიმენა“ 1. გვ. 60-103) და არც სხვა რუსულ თუ უცხოურ ბიოგრაფიულ გამოცემაში. იგი უკავშირდება იმ საზროვნო იდეურ ვითარებას, რომელიც არაა სრულფასოვნად მოცემული დასავლეთის შუა საუკუნეთა ფილოსოფიის ისტორიაში.

არეოპაგიტიკასთან მაქსიმეს დაკავში-

რების ნათელყოფა დასავლეთის მეცნიერებამ მხოლოდ XVII საუკუნეში შესძლო. როცა კორდერიუსმა მაქსიმეს კომენტარებს თავისი ადგილი მიუჩინა არეოპაგიტიკული წიგნების სათანადო თავების მიდევნებით. მაგრამ დასავლეთის შუა საუკუნეთა ფილოსოფიის ისტორიის ცენტრში მისი გადმოტანა აქამდე არ მოგვარდა და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო მოვლენებს, მათ შორის მაქსიმეს ნააზრევსაც, თავისი ადგილი ვერ მიუჩინეს. სანამ ეს ადგილები ოფიციალური ფილოსოფიის წარმომადგენლებს ეკავება, მანამდე მაქსიმეს მსგავსი მოღვაწეები ჩრდილში რჩებიან და ხშირად, როგორც ითქვა, არც კი იხსენიებიან.

თუ მაქსიმეს როლი მართლაც იმის შეგნებაშია, როგორ უნდა გადაინასკვოს ერთი მეორეს ანტიკური და მედიევალური ფილოსოფიის ის კონკრეტული მომენტები, სადაც პროკლე დიოდოხოსის მიერ ღიად დატოვებული საკითხი პირველ მიზეზის შესახებ უნდა გაშლილიყო იერარქიულად განლაგებული ქვეყნის მიზეზად და ადამიანურის და ღვთაებრივის კავშირის სიმბოლოკით ნამდვილ ქრისტოლოგიად დამკვიდრებულიყო, მაშინ ამის მაუწყებელ ისტორიას პროკლე დიოდოხოსი და სკოლის მასწავლებელი და მაქსიმე აღმსარებელი ერთად უნდა წარმოედგინა.

ყველა ამ ამბავს საფუძვლად უნდა დადებოდა არეოპაგიტიკულ წიგნთა ცოდნა და სურათი მთლიანი იქნებოდა, რადგან, ერთი მხრივ, საჭირო იყო იმის ცოდნა, თუ როგორ გაიდო ხიდი პროკლე დიოდოხოსისა და არეოპაგიტიკულ იდეათა შორის, კერძოდ, ქრისტოლოგიურ ძირითადი საკითხის, როგორც „პირველ მიზეზის“ სახით გაგებისათვის. არ დაგვავიწყდეს, რომ პროკლესაგან მოტანილი საკითხი პეტრე იბერმა (ფსევდოდიონისემ) თავისი მასწავლებლის იოანე ლაზის მეოხებით შესავალ თხზულებაშივე აღნიშნა პირველი სახელით — „თეოლოგიური სახის მიღება“ — („თეოლოგიკაი ჰიპოტიპოზეის“) ხოლო შემდეგში „მიზეზთა წიგნად“ წოდებული.

იოანე ლაზზე („იეროთეოსზე“) ძეთეთებით არეოპაგიტიკის ავტორმა აშკარად გვაჩვენა ვისთან გვაქვს საქმე, რადგან მითრიდატე ლაზი — იოანე ევნუქი — იეროთეოზი ყველა ერთი კაცის სახელი იყო — პეტრე იბერის მასწავლებლის — ჯერ კიდევ იბერიიდან მოყოლებული, ვიდრე ბიზანტიის საიმპერატორო კარამდე. მითრიდატე ლაზი (ბერად აღკვეცის შემდეგ იოანე ლაზი) — პეტრეს მასწავლებელი, შუამავალი იყო ბერძენ ფილოსოფოს — პროკლესა და პეტრეს შორის. მას პეტრემ მეტსახელად იეროთეოზი უწოდა, ე. ი. „ტაძარი ღვთისა“ (იხ. პეტრე იბერიელის „შრომები“, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბ. 1961 წ.).

ასე შეიკრა მეხუთე საუკუნეში ეს კულტურული რკალი, რომელშიაც მოღვაწეობდნენ ერთი ბერძნული აზროვნების წარმომადგენელი პროკლე და ორი ქართველი მოაზროვნე — იოანე ლაზი და პეტრე იბერი. მეშვიდე საუკუნეში მოდის მაქსიმე აღმსარებელი და პეტრე იბერის (თსევდოდიონისეს) წიგნების განმარტებას წერს. მან არა მარტო შეავსო მთავარი საკითხი, რომელიც ანტიკურ ფილოსოფიას და ქრისტოლოგიას აკავშირებდა, არამედ ნათელი გახადა ის, რაც შუა საუკუნეთა ფილოსოფიის დასაწყისს საფუძველს უყრიდა, რამდენადაც უკანასკნელი ქრისტოლოგიური ფორმით ანტიკურობიდან დარჩენილ მემკვიდრეობას შეიკავდა, როგორც ამას მარქსიზმის ფუძემდებელნი აღნიშნავდნენ. ეს დებულება ნიშნავდა, რომ ქრისტოლოგია შუასაუკუნეობრივი აზროვნების ფორმა იყო, რომლის ქვეშ უარყოფითი დიალექტიკა ვითარდებოდა, ამ თვალსაზრისით ღმერთი თავისთავად არარაობა იყო. განმარტავდა რა არეოპაგიტიკული წიგნის „საღმრთო სახელთათვის“ მეორე პარაგრაფს, რომელიც ეხებოდა დებულებას, რომ მამა ღმერთის შემეცნება არავის შეუძლია, თუ არა მისი ძის სა-

ხით, და ძის — მამის სახით, მაქსიმე წერდა: „მამა ღმერთი შეიცნობს რა ძეს, თავის თავს შეიცნობს". მაგრამ რადგან ღმერთი ამ სახით წარმოიდგინებოდა, როგორც ბუნებად გადაქცეული, აქედან იშლებოდა გზა ღმერთისა და ბუნების გაიგივებისაკენ იმ სახით, რომ ღმერთი იყო არაფერი, ხოლო ბუნება ყველაფერი.

ასე ჩაეყარა საბოლოოდ საფუძველი პანთეისტურ ფილოსოფიას, რომელიც მაქსიმეს განმარტებაში იმდენად ნათელი გახდა, რომ იოანე სკოტ ერიუგენამ IX საუკუნეში, არეოპაგიტიკულ წიგნებთან ერთად, საჭიროდ დაინახა მაქსიმე აღმსარებლის განმარტებანი გადაეთარგმნა ლათინურ ენაზე. მაქსიმეს ზემოთმოყვანილ განმარტებაზე დამყარებით ერიუგენამ დასწერა: "ღმერთმა არ იცის რა არის ის, რადგან იგი არ არის რაო". აქედან კიდევ ნაბიჯი და ერიუგენა მივიდა პანთეისტურ მატერიალიზმამდე: ღმერთი არის ის, რაც გამოვლენილია ბუნებაში.

ასე ჩაეყარა საფუძველი შუა საუკუნეთა მატერიალიზმს, რომელიც XII საუკუნის მიწურულში განვითარდა, მთელი შუა საუკუნეები გადაიარა და, ხიდერლანდებში მრეწველობის ფეხზე წამოდგომის პირობებში, სპინოზას ნაზრევში კვლავ აღორძინდა პანთეისტური მატერიალიზმის სახით. მისი ლოზუნგი იყო „ღმერთი ანუ ბუნება" (დეუს სივე ნატურა).

* * *

მაქსიმე აღმსარებელი, ცხადია, იცნობდა ფსევდოდიონისეს პირველ თხზულებას. უკანასკნელმა ეს ნაწარმოები დასწერა იოანე ლაზის მასალების მიხედვით, რომელიც მან პროკლე დიოდოხოსის „კავშირთა" ვარიანტის სახით მისგან მიიღო. „საღმრთო სახელთათვის" პირველი პარაგრაფის განმარტებაში მაქსიმე წერს: „საუკეთესო წესის თანახმად ღვთაებრივი შესაგლის ცნებათა შემდეგ სწერს საღმრთოთა სახელთათვის".

მაქსიმემ არ იცოდა მხოლოდ, რომ პეტრე იბერის მიერ მისი მასწავლებლის — იოანე ლაზის დახმარებით შექმნილი ეს შესავალი თხზულება, როგორც დღეს ირკვევა, ქართულად იყო დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, მაქსიმე ამ წიგნის შესახებ განმარტებას არ წერს და კმაყოფილდება მხოლოდ მისი სარგებლიანობისა და აუცილებელი საჭიროების აღნიშვნით. შეუძლებელია რომ ეს წიგნი მაქსიმეს დროს (VII საუკუნეში უკვე დაკარგული ყოფილიყო, რადგან VI საუკუნეში იგი ხელთ ჰქონდა პეტრეს უახლოეს მოწაფეს, სირიელ ფილოსოფოსს სერგი რეშაინელს, ხოლო XI-XII მიჯნაზე იგი აგრეთვე ხელთ ჰქონდა ქართველ მოაზროვნეს იოანე პეტრიწს (იხ. მისი „შრომები", II, 218).

ამრიგად, ქართული კულტურის ისტორიაში XI-XII საუკუნეთა მიჯნას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მიუბრუნდება არეოპაგიტიკის ქართულ ვითარებაში შემოტანას. ამ საქმეს, როგორც ცნობილია, ეფრემ მცირე აკეთებს ბერძნულად დაწერილი არეოპაგიტიკული წიგნებისა და ათი წერილის თარგმნით, რაც მხოლოდ 1961 წ. იქნა აკადემიურად გამოცემული ს. ი. ენუქაშვილის მიერ. ამ წიგნების დასავლეთევროპული თარგმანი (IX საუკუნისა) არ იქნა მიჩნეული სწორღირებულად და ისინი კვლავ ორჯერ ითარგმნა XII-XIII საუკუნეებში.

არეოპაგიტიკული წიგნების თარგმნას საქართველოში დაუკავშირდა მათი სათავის —პროკლე დიოდოხოსის სწორედ იმ წიგნის „კავშირნი თეოლოგიურნის" თარგმნა და განმარტება, რომელიც შეიცავდა მიზეზთა ფილოსოფიის ელემენტებს. ეს საქმე, როგორც ცნობილია, ეფრემ მცირეს უმცროსმა თანამედროვემ — იოანე პეტრიწმა გააკეთა. მანვე, როგორც, აგრეთვე, ცნობილია, თავის განმარტებათა III ნაწილში აღნიშნა პროკლე დიოდოხოსის დასახელებული წიგნის პირველი გად-

მომკეთებელი ქართულ ენაზე და დასძინა, რომ მას პროკლე დიოდოხოსის შესახებ მუშაობაში მხარს უჭერდა დავით აღმაშენებელი, რომ იგი მუშაობდა „თანადგომითა დავითისათა“ (იქვე).

ქართული კულტურის ამ ფაქტებმა თავისი გამოხმაურება ჰპოვეს XI-XII საუკუნის პოეზიაში. ცნობილია, რომ შავთელმა საგანგებოდ აღნიშნა დავით აღმაშენებლის თანაგრძნობა პროკლე დიოდოხოსთან დაკავშირებული საქმიანობისათვის. კიდევ მეტი, ქრისტოლოგიის საკითხებთან მიმართებაში იმავე შავთელს ხაზგასმული აქვს, რომ ნაბდვილი სჯულის გარკვევაში იგი იმავე დავითის მოიმედეა, რომელსაც პოეტი მიმართავს სიტყვებით: „გიძნობ მაქსიმედ, შენი მაქვს იმედ“-ო. შავთელი არ იხსენიებს არეოპაგიტიკის ავტორს და მის საქმიანობას, მაგრამ მაქსიმე აღმსარებლის მოხმობა, როგორც საიმედო დასაყრდენისა XI ს. საქართველოში, დოგმატიკურ პაექრობაში ხშირად მონაწილე დავითის გვერდით, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მაქსიმეს მიერ არეოპაგიტიკული წიგნების განმარტებაზე მითითებას.

ასეთია, ერთი მნიშვნელოვანი მოწმობა მაქსიმე აღმსარებლისა XI საუკუნის ქართულ კულტურაში. დავით აღმაშენებელთან გაიგივება ისეთი მოაზროვნისა, როგორიც იყო მაქსიმე აღმსარებელი, ცხადია, გულისხმობდა, რომ XI საუკუნის საქართველოში იცოდნენ მაქსიმეს განმარტებანი. მათ შორის ისეთი თამამი განმარტება როგორიც იყო, მაგალითად: „ღმერთი არის არარაობა, რადგან აღემატება ყოველივეს, რაც არის, როგორც მათი მიზეზი“ (იხ. კორდერიუსის გამ; გვ. 406, ბერძნულ ენაზე).

ეს იყო არეოპაგიტიკის ავტორის მიერ შემუშავებული ნეგატიური დიალექტიკის ნიმუში. ამიტომაც გაბედა ამის შემდეგ მაქსიმემ და დაუმატა: „ღმერთი მხოლოდ უვიცობის საშუალებით შეიმეცნება“ (იქვე, გვ. 512). თუ მივიღებთ, რომ ძველ ქართულში „უიცობა“ და „სიცრუე“ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, თუ გავიხსენებთ რუსთველის ნათქვამს — „ცოდნა ხამს მართ უიცისა“ გასაგები იქნება, რომ სიცრუისა და სიბრძნის მიმართება, რომელიც ნეგატიურ დიალექტიკაში იგულისხმებოდა, ისტორიულად არეოპაგიტიკის ავტორიდან დაწყებული, მაქსიმეზე გავლით, შემოვიდა ქართულ აზროვნებაში, ამიტომ „სიბრძნე სიცრუისა“-მდე მისასვლელად საბას დასავლეთ ევროპული—შუა საფეხური თითქოს არ დასჭირებია, ნიკოლა კუზანელის მოძღვრების სახით „მეცნიერი უვიცობის შესახებ“.

ეს შუა საფეხური ქართული კულტურისათვის, როგორც დღეს ირკვევა, მაქსიმე აღმსარებელი იყო თავისი ზემოთმოყვანილი და სხვა ადგილების მიხედვით.

XI-XII სს. ქართული სააზროვნო კულტურა, იოანე პეტრიწით შეკრული უდავოდ ცნობილი იყო რუსთველისათვის, რომელმაც, როგორც პოეტმა, მხატვრულად ასახა ეს მიღწევები თავის შემოქმედებაში. მაგრამ ეს მარტო იქიდან კი არ ჩანს, რა გამოითქვა დებულებით „ცოდნა ხამს მართ უიცისა“. არა, რუსთველმა თავისი მოღვაწეობის იმ ნაწილში, რომელიც იერუსალიმთანაა დაკავშირებული, გვაჩვენა იშვიათი სიზუსტით ცოდნა მაქსიმე აღმსარებლის მიერ არეოპაგიტიკაში იმ სინათლის შეტანის შესახებ, რომელმაც გასაგები გახადა საკვანძო მომენტი ანტიკურობასა და მის ქრისტოლოგიურ მემკვიდრეობას შორის.

ამის საწინააღმდეგო იყო იოანე დამასკელის მოძღვრება, რომ „პირველი“ ვითარცა მიზეზი იყო აბსოლუტურად მოცილებული თავის შემდგომ საფეხურებს, რადგან უკანასკნელნი, როგორც შექმნილნი, არ იყვნენ რისიმე შემქმნელნი. ეს გარემოება იოანე დამასკელმა ჩათვალა ისეთ მომაკვდინებელ შეცდომად, რომ მისი ავტორები

შეაჩვენა. ეს რომ ასე დარჩენილიყო, საქმე ძალზე გართულდებოდა და ფსევდოდიონისე (პეტრე იბერი) ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა იმ განდიდებას, რომელიც მას წილად ხვდა იმავე საუკუნეში. ეს უკანასკნელი მოვლენა, როგორც აღინიშნა, პირდაპირი შედეგი იყო მაქსიმე აღმსარებლის დიდი განმარტებითი მუშაობისა. ამასთან დაკავშირებით, გამოიკვეთულია შუა საუკუნეების დასავლეთის ფილოსოფიისათვის გადამწყვეტი მომენტი: იოანე დამასკელისა და მაქსიმეს სახით წარმოდგენილი არეოპაგიტიკის შერიგებისა.

ამის მეოხებით პირდაპირ გადავდივართ რუსთველის მიერ იერუსალიმში ქართული მონასტრის მოხატვის ამბავზე, რომელიც გაირკვა პალესტინაში წარვლენილი სამეცნიერო ექსპედიციის საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ საკითხს მე საგანგებოდ შევეხე ჩემს პატარა ნარკვევში და აქ მინდა წინ წამოვწიო მხოლოდ ის ძირითადი მომენტები, რომლებიც მაქსიმე აღმსარებლის ქართულ კულტურასთან დამოკიდებულებას ეხება.

რუსთველის მიერ იერუსალიმის ქართული ტაძრის მოხატვაში მე იმთავითვე გავაფართოვე დასურათების კადრი და ზიგ ვგულისხმობდი არა მარტო მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს, არამედ პეტრე იბერსა და იოანე ლაზს (იეროთეოზს). თუ ასე არ მოვიქეცით, არ გაირკვევა წარმოდგენილი მხატვრული ჩანაფიქრისა და მისი შესრულების ეპოქალური დიაპაზონი, ამ კადრში შედიან, ერთი მხრივ, პეტრე იბერი (ფსევდოდიონისე) და მისი ფილოსოფიური მასწავლებელი იოანე ლაზი და, მეორე მხრივ, მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი. ეს პერსონაჟები მთელი მონაკვეთია მსოფლიო კულტურის ისტორიაში: პირველი — იოანე ლაზი (ყოფილი მითრიდატე ლაზი) ანტიკურ ფილოსოფიასთან (პროკლეს საშუალებით) კავშირს განასახიერებს, ხოლო უკანასკნელი — იოანე დამასკელი — შუა საუკუნეთა დოგმატიკას. შუაში — ორი მოაზროვნე დგას, რომელთაგან პეტრე იბერი (ფსევდოდიონისე) ანტიკურობის ნიადაგზე ქართული ნააზრევის შედეგს გამოავლენს, მხოლოდ მეორე — მაქსიმე აღმსარებელი — ამ ნააზრევის შუა საუკუნეების კაცობრიობასთან კავშირს აჩვენებს. ასეთ ჩარჩოებშია მოქცეული ორი ეპოქის — ანტიკურისა და შუა საუკუნეთა ქართული აზროვნების დიდება.

მრავალი აზრია ამ კადრში ჩაქსოვილი: ფსევდოდიონისეს თან ახლავს იოანე ლაზი და არავითარი იეროთეოზი, რომელიც ვითარცა „ნამდვილი იეროთეოზი“ ნამდვილი იოანე იყო. უკანასკნელის გამო ფსევდოდიონისეც ნამდვილი პეტრე იბერი იყო, რადგან V საუკუნეში პროკლესაგან ამოსული, იოანე ლაზი მისი და არა დიონისეს მასწავლებელი იყო.

მაქსიმე აღმსარებლის მოთავსება იერუსალიმის ქართულ მონასტერში პეტრე იბერისა და იოანე დამასკელის შუა ქრონოლოგიურად გამართულია. სამი საუკუნის ის ვეებერთელა იდეური კულტურა, რომელშიაც ქართული უცილობლად წამყვანია. იცოდა რუსთველმა, როგორც თავის დროის ფრიად განათლებულმა ადამიანმა და ფრესკული კულტურის ოსტატებს იერუსალიმის ქართულ ტაძარში იდეურობით გამსჭვალული შესანიშნავი სურათები მოახატვინა.

ამ საქმეს არა მარტო დიდი მსოფლიო რეზონანსი აქვს, იგი ხაზგასმით აჩვენებს არა მარტო მაქსიმე აღმსარებლის როლს, აღნიშნულს დიდ სააზროვნო მონაკვეთზე, არამედ ასახავს მას როგორც უცდომელს და მით პროტესტს უცხადებს მაქსიმე აღმსარებლის საკითხში მედიევალურ დასავლეთს.

რუსთველის ასეთი დაინტერესება მაქსიმე აღმსარებლის პიროვნებით და საქმიანობით მოულოდნელი არ ყო-

ფილა. ქაროული ჯვრის მონასტერი იერუსალიმში დიდი კულტურული ცენტრიც იყო. სანდო მონაცემთა მიხედვით, იგი საკმაოდ დიდი წიგნთსაცავის მფლობელი ყოფილა თავის დროზე. ამ მხრივ იგი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკასთან შედარებითაც კი გამოირჩეოდა. ჯვრის მონასტერში თვალსაჩინო სამწერლო მოღვაწეობაც მიმდინარეობდა, რომლისაკენ იმავე საპატრიარქო ბიბლიოთეკას ეჭირა თვალი. აქ შეიძლება დავასახელოთ ორი ძეგლი: ერთის შესახებ ცნობილია, რომ საპატრიარქო ბიბლიოთეკამ იერუსალიმში მიითვისა ქართული ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავიდან მესამე ვარიანტი ბალავარიანისა, სახელდობრ „ცხოვრება ნეტარის იოდასაფისა", ათონიდან მოსულის XI საუკუნეში ჯვრის მონასტრის განმაახლებლის, ექვთიმე იბერის ყოფილი მოწაფის — პროქორეს გარემოცვაში შექმნილი, იოანე მოსხის VII საუკუნის „ბალავარიანისა" და ექვთიმეს „ბალავარიანისავე" ბერძნულ ვარიანტზე დამყარებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ იმავე იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში წაუღიათ, და დღესაც იქ ინახება, მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი ხელნაწერი XII საუკუნისა ბერძნულ ენაზე.

ამ გარემოებას დოკუმენტურად ადასტურებს „აღწერილობა ხელნაწერებისა ბერძნულ და სომხურ საპატრიარქო ბიბლიოთეკებში", .რომელიც გამოცემულია ინგლისურ ენაზე ვაშინგტონში 1953 წელს (იხ. ამის შესახებ ჩემი ბროშურა — „რუსთველის ცხოვრების მეორე ნახევარი", თბილისი, 1961, გვ. 29). ამ აღწერილობაში მოხსენებულია მაქსიმე აღმსარებლის აღნიშნული ხელნაწერიც.

უმართებულო იქნებოდა იმის თქმა, რომ რუსთველმა მაინც და მაინც ძიზნად დაისახა მაქსიმე აღმსარებლის ვამართლება ოფიციალური დოგმატიკის წინაშე, რისთვისაც საჭირო იყო ის უაღრესად ფილოსოფიური დამოსაბუთებები, რაც შუა საუკუნეთა ფილოსოფიის შესავალსა და წარმართვას წარმოადგენდა. რუსთველი, უპირველესად ყოვლისა, პოეტი იყო, დიდება ქართული გენიისა და ფილოსოფიის საკითხებს ის მხოლოდ ამ თვალსაზრისით უდგებოდა. რუსთველს ჯვრის მონასტრის კედელთა შინა თავისი საკუთარი ტრაგედია ჰქონდა განსაცდელი და იგი „ცოდვათა შემსუბუქების" ღაღადისს იყო მიცემული. რაც დღეს დიდი შთაგონებით და ოსტატობით აღადგინა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ.

ამ განწყობამ წარმართა მისი შთაგონება ეკლესიის ისეთ ავტორიტეტულ „მერჩულესაკენ" როგორიც იყო იოანე დამასკელი, მაგრამ მისკენ რუსთველს მეგზური სჭირდებოდა, ამ საქმეთა შინა გამობრძმედილი. იგი მან მაქსიმე აღმსარებელში დაინახა, სხვა კი დამოკიდებული იყო ქართული გენიის რუსთველის განსწავლულობისაგან, რაც მას შესწევდა მძიმე ამოცანის ასაწევად. რუსთველმა ინდომა ეხილა დამასკელისადმი ნახევრადმიქცეული მაქსიმე აღმსარებელი და დიდი ისტორიული შერიგების ნიადაგზე, რომელთა ამოძახილი საუკუნეთა სიღრმიდან ისმოდა, თვითონაც დამასკელისაკენ დაიხარა და შერიგების ლიქია აღსრულებულ იქნა.

რუსთველი ნაადრევი, მაგრამ დიდი რეალისტი იყო და იგი ისტორიულ სინამდვილეს ემყარებოდა. ამოიღეთ ამ სინამდვილიდან მაქსიმე აღმსარებელი და მისი განწყობა ქართული კულტურის სიმბოლოს — პეტრე იბერისადმი და მთელი მხატვრული სიტუაციაც დაირღვევა. ეს არის უდიდესი საბუთი მაქსიმე აღმსარებლის ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირისა.

ამან მისცა სამშობლოდან განდევნილ პოეტს „ცოდვათა შემსუბუქება", ხოლო ტანჯულ და დევნილ მაქსიმე აღმსარებელს — ქართულ მიწაში მშვიდად ვანსვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. კევლიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი და სანდრო ახმეტელი

მიხეილ ჯავახიშვილისა და სანდრო ახმეტელის მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა იწყება სტუდენტობის დროიდან. მაშინ ორნი თანამშრომლობდნენ ერთსა და იმავე ჟურნალ-გაზეთებში და გამოდიოდნენ მოხსენება-ლექციებით სხვადასხვა ლიტერატურულ და თეატრალურ საღამოებსა და დისპუტებზე.

მიხეილ ჯავახიშვილი რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი იყო და იქ, ამავე საბჭოს წევრებთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან და შალვა ნუცუბიძესთან ერთად, დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. სანდრო ახმეტელს არ განუხორციელებია არც ერთი დადგმა, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს. სანდრო ახმეტელი და მიხეილ ჯავახიშვილი დასადგმელად მიღებულ თითქმის ყველა პიესის გარშემო უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს.

1927-28 წლის სეზონში სანდრო ახმეტელმ, განიზრახა მიხ. ჯავახიშვილის „კვაპი კვაპანტირაძის“ დადგმა. ამ ნაწარმოების გასცენიურებაზე პირადად მიხ. ჯავახიშვილი მუშაობდა სანდრო ახმეტელთან ერთად. პიესა კომედიურ ფორმებში უნდა წასულიყო, რასაც ჯანსაღი სიცილი უნდა გამოეწვია მაყურებლებში, „კვაპის“ გასცენიურებას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ პირველად ქართული თეატრის ისტორიაში, სანდრო ახმეტელმა სცადა დრამატიული მსახიობის კომიკურ ჟანრში ამეტყველება. ეს იყო გიორგი დავითაშვილი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე არასოდეს არ უთამაშია კომიკური როლი. მოულოდნელი იყო ეს თვით გიორგი დავითაშვილისთვისაც, რომელსაც სანდრო ახმეტელმა თვით კვაპი კვაპანტირაძის როლი შესთავაზა.

თამამად შეიძლება ითქვას, სანდრო ახმეტელსა და მიხეილ ჯავახიშვილს რომ დასცლოდათ და განეხორციელებინათ დიდებული ჩანაფიქრი იქნებ გიორგი დავითაშვილისათვისაც კვაპის როლი ისეთივე განუმეორებელი ყოფილიყო, როგორც მის მიერ განხორციელებული ვაჟა-ფშაველას მინდია. ასევე მოიქცა რამდენიმე წლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილიც, რომელმაც უშანგი ჩხეიძის ტრაგიზმით ათრთოლებული გული ყვარყვარეს ჰიუმორით და სითბოთი აავსო. საინტერესო იყო ისიც, რომ სანდრო ახმეტელს „კვაპში“ ბერიკობის ფორმების გამოყენებაც სურდა, მაგრამ რა სახით, ეს არავინ იცის. ერთი კი ცხადია, რომ ალექსანდრე ჟორჟოლიანის „ჭიპურტანიძე“, შალვა ღამბაშიძის „ჩხუბიშვილი“, ვასო გოძიაშვილის „ნაცარქექია“ და ემანუელ აფხაიძის „მისი ორეული“ კომიკურ ნიღაბთა ცოცხალი გალერია იყო. მათ ამშვენებდათ ვანიკო აბაშიძის „როხროხას“ სახე. აქვე იყვნენ „ბოთე“ და „რეფო“ პიერ კობახიძისა და ია ქანთარიას სახით. „მიფრინია“ და „მოფრინიაც“ მათ გარშემო დაფრინავდნენ ნინო ალექსი-მესხიშვილისა და ბუეუეა შავიშვილის სახით. სცენას აგვირგვინებდა ვანო ლაღიძისა და ივლიტა ჯორჯაძის „ცანგალა“ და „გოგონა“. ყველაფერი ეს მშვენიერი ქართული თეატრალური პოემა იყო, „ბერიკობის“ ფონზე გაშლილი.

თუმცა სანდრო ახმეტელი და მიხეილ ჯავახიშვილი დიდი შემოქმედნი იყვნენ, მაგრამ „კვაპი კვაპანტირაძის“ პიესად გადაკეთებას მაინც შალვა დადიანის გამოცდილი ხელი დასჭირდა, რომელმაც უზარმაზარი ტექსტი 32 ნაკვეთად დაყოფილ სამ მოქმედებაში მოათავსა.

„კვაპი კვაპანტირაძემ“ პირობითად ბევრი სახელი შეიცვალა: „კვაპი“, „ბერიკობა“, „გაიმასქნება“, „ბერიკობა კვაპზე“ და სხვ. სანდრო ახმეტელმა მიხეილ ჯავახიშვილის „კვაპის“ გასცენიურებაზე ზოგიერთი მსახიობიც დაიხმარა: ია ქანთარია, ემანუელ აფხაიძე, პიერ კობახიძე და სხვ.

მთლიანად, როგორ ჰქონდა გამიზნული „კვაპანტირაძის“ დადგმა სანდრო ახმეტელს, ამისი თქმა ძალიან ძნელია, მაგრამ იმ მუშაობიდან და რეპეტიციებიდან, რაც მან ჩაატარა,

შეიძლება ითქვას, რომ სანდრო ახმეტელს „კვაჭი კვაჭანტირაძის“ დადგმა სურდა სრულიად ახალ ფორმებში. მაგალითად, პირველად ქართულ სცენაზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორკესტრი შემდგარი მხოლოდ ქართული მუსიკალური საკრავებისგან. საკრავების დამზადება მინდობილი ჰქონდა ამ საქმის დიდ მცოდნეს და ამისათვის საგანგებოდ მოწვეულ ბოტკოველს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. დეკორაციებსა და კოსტიუმებს ამზადებდა მხატვარი ირაკლი გამრეკელი. მუსიკალურად ამეტყველებდა კომპოზიტორი იონა ტუსკია.

სანდრო ახმეტელს ახალი თეატრალური ფორმით სურდა განეხორციელებინა მიხეილ ჯავახიშვილის მეორე დიდი რომანიც—„არსენა მარაბდელი“, რომლის მუშაობაც უკვე დაწყებული ჰქონდა. ეწყობოდა მსახიობთა ექსკურსიები მარაბდის იმ ისტორიულ ადგილებში, სადაც მოქმედება სწარმოებდა. ადგილობრივ დათვალიერებას ესწრებოდნენ, აგრეთვე, დადგმაში მონაწილე მსახიობებს გარდა, მხატვრებიც და კომპოზიტორებიც.

სანდრო ახმეტელის აზრით „არსენა მარაბდელის“ გასცენიურებისათვის საჭირო იყო ახალი თეატრალური ფორმა. ასეთი ფორმის საწყისებს სანდრო ახმეტელი ხედავდა მის მიერ გააზრებულ „თეთნულდის“ დადგმაში.

მიხეილ ჯავახიშვილისა და სანდრო ახმეტელის მჭიდრო ურთიერთობას და ურთიერთ სიყვარულს ნათლად ადასტურებს მიხეილ ჯავახიშვილის მიერ სანდრო ახმეტელისადმი მიძღვნილი „არსენა მარაბდელი“, რომელსაც ასეთი გულთბილი წარწერა აქვს: „ჩ ე მ ს გ უ ლ ი თ ა დ მ ე გ ო ბ ა რ ს, დ ი დ ო ს ტ ა ტ ს, ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი ს ნ ო ვ ა ტ ო რ ს სა ნ დ რ ო ა ხ მ ე ტ ე ლ ს.

მ ი ხ ე ი ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.
7 მარტი—33 წ.“

მახსოვს: 1928 წელს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დისპუტი იყო დანიშნული თემაზე: „ქართული თეატრის ამოცანები“. მომხსენებელი სანდრო ახმეტელი. უნდა ითქვას, რომ სანდრო ახმეტელი დიდ რეჟისორთან ერთად დიდი ორატორიც იყო. ლაპარაკობდა მჭევრმეტყველურად. განსაკუთრებით ძლიერი იყო სიტყვის მეორე ნახევარში, რადგან იწყებდა ნელა, დაბალი ტონით და შემდეგ კი შედიოდა ეშხში. მოხსენებას არასოდეს არა სწერდა. ლაპარაკობდა ყოველთვის ზეპირად, მხოლოდ პატარა ქაღალდზე მოკლე თეზისები ჰქონდა აღნიშნული. სანდრო ახმეტელი, ლაპარაკობდა რა მომავალ ქართული თეატრის ამოცანებზე, შესავალში აღნიშნავდა, რომ არც ერთი დარგი ჩვენი ხელოვნებისა ჯერ-ჯერობით ისე არ არის შესისხლხორცებული ჩვენს ცხოვრებასთან, როგორც ქართული თეატრი, ამასთანავე არც ერთი დარგი ჩვენი ხელოვნებისა არ არის იმგვარ მდგომარეობაში, როგორც თეატრი...

შემდეგ ახმეტელი თვით თეატრის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა და აღნიშნავდა, რომ თეატრი უმაღლესი განხორციელებაა ადამიანის გრძნობისა, რომ ეროვნული თეატრი, უპირველესად ყოვლისა, უნდა იყოს ქართული ფორმით, ვინაიდან თეატრი ბუნებით მხოლოდ ფორმაა.

სანდრო ახმეტელი ლაპარაკობდა ახალ ქართულ მსახიობის აღზრდაზეც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი მომავალში, ლაპარაკობდა თვით თეატრის შენობის ისეთ ტექნიკურ-არქიტექტორულ აღნაგობაზე, რაც ხელს შეუწყობდა ახალ ქართული თეატრის შექმნასა და ახალ ქართველი მსახიობის აღზრდას.

სანდრო ახმეტელს მოჰყავდა თავისი შემოქმედებითი სისტემის განხორციელების კონკრეტული მაგალითები.

კამათში გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილიც. თუმცა მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი არა გვაქვს, მაგრამ მისი სიტყვა შეიცავდა დაახლოებით შემდეგ შინაარსს: ახალი ხაზი, რომელიც აღებული აქვს რუსთაველის თეატრს სანდრო ახმეტელის მეთაურობით, ერთადერთი და სწორი გზაა წმიდა ქართული ნაციონალური თეატრის გამარჯვებისათვის, რომ სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მეთოდი და სისტემა იმდენად ახალია, დიდი და განუზომელი, რომ მასში ერთბაშად ჩაწვდენა და ამოცნობა ყველასათვის ძნელია და ამიტომ არის, რომ ზოგიერთების მხრით არამც თუ თავშეკავებულობას, არამედ წინააღმდეგობასაც აქვს ადგილი, მაგრამ მოვა დრო და ვინც დღეს მხარს არ უჭერს მას, პირველად იგი გახდება სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი სისტემის ქადაგი...

სულიერად მონათესავე ეს ორი დიდი მეგობარი და ორი დიდი შემოქმედი, სიცოცხლის ტრაგიკულ დასრულებაშიც ერთი ბედისანი იყვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იპოლიტე ვართაგავა

ილია, ვაჟა, გიგა ყიფშიძე*

— ერთ დღეს, — მითხრა გიგამ, — ეს ჩემი შეხედულება დაუმალავად გადავეცი ილიას და ვთხოვე მას ვაჟა საცხოვრებლად, სამუშაოდ თბილისში გადმოეყვანა და ფართო საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მუშაობაში ჩაება... ილიამ კატეგორიული უარი თქვა: „ამით მე ვაჟას შემოქმედებით ძალღონეს გამოვაცლი, სამშობლოს დიდ პოეტს დავუკარგავ. ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებ“, — განსაკუთრებულის სერიოზულობით მიპასუხა ილიამ.

რაღას გავუბედავდი. გულში კი საკმაოდ დიდხანს საწინააღმდეგო მოსაზრებებს ვატარებდი მაგრამ შემდეგში ვაჟას შემოქმედების ისტორიამ და თვით ვაჟას აღსარებამ ძირითადად შემიცვალა აზრი და ილიას შეხედულების აღმასრულებელი გავხდი და ვარ დღესაც.

— მეც ამის შესატყობად მოვედი თქვენთან, — ვუპასუხე მე. ამ საკითხზე ბაასი შეწყდა. მეც კმაყოფილი დავბუნდი შინ.

წამოსვლის წინ მე ჩემს ამხანაგს, გიგას უმცროს ძმას (რომლის სახელი აღარ მახსოვს) ვკითხე, გარეშე სამსახურისა, ამჟამად თუ რა საკითხით და პრაქტიკული საქმიანობით იყო დაინტერესებული. მანაც ნაჩქარევად და სახელდახელოდ მითხრა, რომ რაღაც ძველი ქართული სამხედრო საქმის დამუშავებას ვაპირებო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უდაოდ ნიჭიერმა და მცოდნე ახალგაზრდამ, როგორც დანამდვილებით ვიცი, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. ადრე გარდაიცვალა. მისმა უფროსმა ძმებმა კი —გიგამ და საშამ — თუ ღრმა კვალი არა, საკმაოდ მაინც კარგ მანძილზე შესამჩნევი ბილიკი დასტოვეს საზოგადო და ლიტერატურულ სფეროში.

უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში თითქმის ჩავიკეტე საკუთარ ფიქრ-გრძნობათა სამფლობელოში; ფიქრებით გადავედი იმ პერიოდში, როდესაც ვაჟა ფშაველა თბილისში, ილიასთან „ივერიის“ თანამშრომლებთან გამოჩნდა და უდაოდ ნიჭიერ პოეტად აღიარება ერგო. მერე ჩარგალში დაბრუნება. ხანდახან თბილისში ჩამოსვლა. ამხანაგების, კერძოდ, გიგას დაინტერესება ვაჟას მომავალი ბედით და შემოქმედების გაფართოებით. ილიას კატეგორიული აზრი და გადაწყვეტილება ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ვისთვის გამეზიარებინა ჩემი განსაკუთრებული დაინტერესება — გამეგო სრული და მართალი ამბავი ილიასა და ვაჟას ურთიერთობის შესახებ? სემინარიაში მყავდა მხოლოდ ერთი ქართველი ამხანაგი — ნიკო მახათაძე. მართალია, მე მასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა და სამსახურებრივ და ზოგად ქართული საზოგადოებრივი საკითხების შესახებ ხშირად მქონდა გულახდილი საუბარი. მე და ნიკო, როგორც ყოფილი მოწაფე-მასწავლებელი ერთმანეთს ვენდობოდით. ვიცოდი ახალგაზრდობიდანვე, რომ ნიკოს ქართული, ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივი საკითხები ნაკლებ აინტერესებდა. ამიტომ მე მას ასეთ საკითხებით არ ვაწუხებდი, და თავს არ ვაბეზრებდი. რომ შემეწუხებინა კიდევაც, მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ რაიმე საყურადღებოს არაფერს გავიგებდი.

ვაჟასა და ილიას ურთიერთობის გამორკვევა-დადგენა გამგეობის წევრებთან გასაუბრების საშუალებითაც არ მიცდია. ვიცოდი, რომ ჩემი ამხანაგები—ილო და საშა—საკუთარი საქმეებით გადატვირთულნი იყვნენ და გრძელი ბაასით დროს წავართმევდი. ამასაც რომ არ მოვრიდებოდი, ვიცოდი—იმდენს ისე დაწვრილებით და დამაჯერებლად ვერ მეტყოდნენ ვერაფერს, როგორც გიგა და გადავწყვიტე ისევ გიგას შეწუხება. მე ვგრძნობდი, რომ გიგა ყოველთვის, უცვლელად და დაინტერესებით მიყვებოდა ძველ ამბებს.

კვირა დღე იყო. ვიცოდი, რომ გიგა ძალიან ადრე დგებოდა. მეც ყოველთვის შვიდ საათზე ფეხზე ვიყავი. ამისათვის პირველი რეისით გავემგზავრე ქალაქისაკენ. მე მინდოდა ორი სამი საათი მესაუბრა გიგასთან და შემდეგ „წერა კითხვის“ საზოგადოების სხდომას დავსწრებოდი. გიგას პირველი კითხვა იყო:

— ხომ არ დაგიწყიათ ჯერ ვაჟას ნაწერების წაკითხვა?

— არა,—ვუპასუხე მე, — მინდა კიდევ შეგაწუხოთ, ბ-ნო გიგა, და მოვისმინო თქვენი მოთხრობა ზოგიერთ საკითხზე, მაგალითად, იმის შესახებ, სურდა თუა არა თვითონ თბილისში გადმოსვლა და საცხოვრებლად, სამუშაოდ საბოლოოდ აქ მოწყობა; უცდია თუ არა, ზომები მიუღია თუ არა?

---

* გაგრძელება, იხ. მნათობი № 3.

— დიდის სიამოვნებით ბ-ნო იპოლიტე, — და დაწვრილებით, საინტერესო დეტალებით მიამბო გიგამ ამის შესახებაც.

გიგამ იმ დილას ბევრი რამ საინტერესო ცნობები და ფაქტები მომაწოდა ჩემ მიერ დასმულ საკითხის შესახებ, მე რომ გიგას მონაყოლი სუყველაფერი შინ დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით ჩამეწერა, საკმაოდ შეენახებოდა ისტორიას XIX საუკუნის სამი ცნობილი ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი მოვლენები. მე, სამწუხაროდ, ეს მაშინ აზრად არ მომსვლია და მე მათ დღეს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვიგონებ და ვიხსენებ თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩემი, თუმცა დღემდის კიდევ საღად შემორჩენილი, მაგრამ მაინც რაც გინდა არ იყოს, ახალგაზრდულ სიმკვირცხლეს მოკლებული, მეხსიერების საშუალებით. მთავარი, ძირითადი მაინც კარგად მახსოვს.

გიგა გადაჭრით ამბობდა იმას, რომ ილიას სიცოცხლის პერიოდში ვაჟას არ გამოუთქვამს სურვილი და არც არავითარი ზომები მიუღია, ილიასი და სხვა გავლენიანი ნაცნობების დახმარებით ცოლშვილით გადმოსულიყო თბილისში და აქ დაეწყო მუშაობა.

— ვიმეორებ, — განაგრძობდა გიგა, — როგორც გითხარით ამას წინათ, მე პირველ ხანებში არ ვიზიარებდი ილიას აზრს და, რა დასამალავია, რამდენჯერმე წავაქეზე კიდეც ვაჟა დაეწყო მეცადინეობა თბილისში გადმოსვლისათვის. ხაზგასმით გავაფრთხილე იმის შესახებ, რომ ჩარგალში მას შვილები უსწავლელები დაურჩება. ამის პასუხად მან ერთხელ მითხრა: „ძმებს დავიხმარიებ შვილების აღზრდაში. უფროს შვილს მე თედოს გაუგზავნი. მას გორის მახლობლად კარგი ოჯახი აქვს, მასწავლებლობს კიდევაც. ის მიაბარებს ჩემს უფროს შვილს გორის ერთ-ერთ სასწავლებელში, მე ხომ გორში გავიზარდე; მეორეს ჩავუყვან სანდროს თბილისში, მაგრამ იმედი მაქვს მზრუნველობით მოუვლის. სხვებსაც გამოუჩნდებათ პატრონიო. რას ვეტყოდი ამაზე?! მართალია, — განაგრძობდა გიგა მოგონებას, — მე სხვებისაგან გავიგე, და შემდეგში ვაჟამაც დამიმოწმა, რომ თავის ცხოვრების ერთ-ერთ უკიდურესად მატერიალურად და ზნეობრივად მწვავე პერიოდში, ვაჟას გადაუწყვეტია ჩარგალის დატოვება და ოჯახით თბილისში გადმოსვლა.

ეს იყო ის დრო, როდესაც ის საშინელი, ძნელად გადასატანი ავადმყოფობით — ციმბირის წყლულით გახდა ავად. არც ექიმი, არც რამე საჭირო წამალი, — უკიდურესი მატერიალური მდგომარეობა! დიდხანს ებრძოდა ვაჟას კაჟივით მაგარი ორგანიზმი ავადმყოფობას... ბოლოს გადაიტანა, მაგრამ სამუდამოდ დაამახინჯა, ერთი თვალი გაუფუჭა, გადაუბრუნა. საერთოდ გასტეხა მდევივით ვაჟკაცი. აი, ამ პერიოდში, მას შეუდგენია განცხადება-თხოვნა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის სახელზე, რომელშიაც ის ითხოვდა მეცათ გიმნაზიის ეკონომის ადგილი. დაუწერია ეს განცხადება. გადაუწყვეტია, მიეწერა წერილი ილიასათვის, დახმარებოდა ამ ადგილზე დანიშვნაში. მაგრამ ასეთი წერილი არ შეუდგენია. ბევრი ფიქრისა და არჩევანის შემდეგ. გასაგზავნად დამზადებული განცხადება უჯრაში შეუნახავს. ეს ნამდვილი ფაქტია...

საათს დავხედე: დრო იყო „წერა-კითხვის საზოგადოების“ გემგეობის კრებაზე წავსულიყავი. მახსოვს, 1913 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში „განათლების“ ნოემბრის ნომერი გამოსულიყო. ჯერ მკითხველებს არ დარიგებოდა. ნოემბრის ნომერი ლ. ბოცვაძეს ხელში ეჭირა და ჩემზე წინ მოსულ გამგეობის წევრებს რაღაცას ელაპარაკებოდა. რომ დამინახა, მხიარულად მითხრა.

— ბ-ნო იპოლიტე! თქვენი წერილი ჩემს ამხანაგებს ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებს, კერძოდ, — პეტრე მირიანაშვილს ძლიერ მოეწონათ. მომიწონეს, რომ ჟურნალში ვათავსებ ასეთ ვრცელს და დასაბუთებულ წერილებს ქართველი კლასიკოსების შესახებ. დარწმუნებული ვარ, ეს წერილი სხვა წრის მკითხველებსაც მოეწონებათ. 1914 წლის იანვრიდან ველი თქვენგან ახალ ვრცელ წერილს. გიგა შემხვდა ამ დღეებში და მითხრა: ბ-ნი იპოლიტე დაინტერესებულია ვაჟას პიროვნებით და მისი შემოქმედებით, რამდენიმეჯერ იყო ჩემთან და ბაასი ჰქონდა ჩემთან... რა კარგი და დროულია, ბ-ნო იპოლიტე, ვაჟას შესახებაც დიდ მონოგრაფიას რომ დაწერდეთ...“ მე გადაწყვეტილი მქონდა საბოლოოდ ეს საკითხი — დამეწერა მონოგრაფია ვაჟაზე, მხოლოდ ერთხელ კიდევ და უკანასკნელად მინდოდა გიგასთან მისვლა და რამდენიმე საკითხის გარკვევა.

რამდენიმე დღის წინათ უკვე შევუდექი ვაჟას ორი წიგნის გარჩევას („თხზულებანი“ ნ. I და „ცრემლები“). აღვიჭურვე წვრილად წაწვეტილი ფანქრით, გვერდზე მოვიდე ქაღალდის თეთრი ფურცლები. ვკითხულობდი წიგნს და ვაჭრელებდი მის ფურცლებს ხაზებით, მოკლე შენიშვნებით. მართალია, რომ ჯერ კიდევ არ მქონია წინასწარ მოსაზრებული მთავარი გეგმა და ამ გეგმის ნაწილები; ჯერ კიდევ წარმოდგენილი არ მქონდა მომავალი კრიტიკული ეტიუდის სივრცე-სიგანე. მაგრამ ერთი რამ დიდი ხანია უდაოდ, უცვლელად და კატეგორიულად მქონდა გადაწყვეტილი: ჩემს შრომას ვაჟას პოეზიისა და შემოქმედების შესახებ, რა გეგმის მიხედვითაც არ უნდა ყოფილიყო ის დაწერილი და რა სივრცისაც არ უნდა ყოფილი-

ყო, ის უნდა დაწყებულიყო თავით: „ბუნება ვაჟას პოეზიაში“ და, აი, რა სარჩული, რა მოსაზრება ედო, ამ გადაწყვეტილებას: ზემოთაც განვაცხადე, რომ როდესაც მე არჩევანს ვახდენდი ს. მგალობლიშვილისა და ვაჟას შორის, თუ რომელი მათგანის შემოქმედება ამეღო თემად ჩემი მომავალი კრიტიკული ეტიუდისათვის, პირველ ხანებში უარზე ვიყავი „მთის შვილის“ „დიდი მთების მგოსნის“ ვაჟას შემოქმედების შეფასებაზე. საქართველოს მშვენიერ კუთხეებში — ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარა-ქობულეთში, ასე წარმოიდგინეთ ჩემი მშობლიური კუთხის მთიან ადგილებში მე, სამწუხაროდ არ ვყოფილვარ, მათი სიმშვენიერე არ განმიცდია, მათი სილამაზით არ დავმტკბარვარ.

ვაჟას კი, ყველა რეცენზია, ვრცელი კრიტიკული მონოგრაფიები და ავტორებიც სწორედ განსაკუთრებით უქებდნენ მთის სურათების აწერის ვირტუოზულობას. „ვაი, თუ მე ვერ შევძლო, ვაჟას შემოქმედების ამ თვისების ჯეროვანად აღნიშვნა და ანალიზი“-მეთქი, ვფიქრობდი. და როდესაც ჩემი არჩევანი ვაჟაზე შეჩერდა, გადავწყვიტე ამ ჩემი სუსტი მხარისთვისაც მიმექცია მთავარი ყურადღება. ჩემი ეტიუდის პირველ თავად გამეშვა „ბუნება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში“ და თუ აქ ცდა გამიმართლდებოდა, მაშინ ეწერგიულად შევდგომოდი სხვა მნიშვნელოვან საკითხის დაძლევას. ჩემი ცდა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ ვაჟას ნაწერებში (ლირიკული ლექსების, სატირების, პოემების, ბელეტრისტული ნაწარმოებები) აღმენიშნა. ხაზი გამესვა იმ ადგილებისათვის, სადაც ვაჟა, ფართოდ, გაშლილად, თუ ორიოდე სიტყვით აღნიშნავდა მშობლიური მთების სიმშვენიერეს და ბუმბერაზობას. ქაღალდზე კი აღმენიშნა ხაზგასმული ადგილების გვერდები. ამის შემდეგ, რამოდენიმე დღე — ღამის მუშაობის მერე, დიდი „მთის მგოსნის“ სიტყვებით, გამომეკვეთა მრავალ-სახეობა ვაჟას საყვარელ მთებისა. წინდაწინ კარგად ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ჩემი სუსტი და უსახო პროზაული ენით ამას ვერ შევძლებდი. ამისათვის აზრის ჩასაჩუქურთმებლად უნდა მეხმარა და მომემარჯვებინა ვაჟას მდიდარი სიტყვიერი საღებავი-მასალა.

ასე მქონდა გადაწყვეტილი. საჩუქურთმოდ გამოსაყენებელი ადგილები ზუსტად მქონდა აღნიშნული. ერთ-ორ დღეში უნდა შევდგომოდი ჩემთვის უჩვეულო და უცხო ხელობას. მაგრამ სანამ ამას მოვკიდებდი ხელს, გადავწყვიტე ერთხელ კიდევ მივსულიყავი გიგასთან და ეს უაღრესად თავაზიანი ადამიანი შემეწუხებინა.

მივედი თუ არა გიგასთან, პირდაპირ შეეკითხე:

— ბ-ნო გრიგოლ, ილიას ხომ არაფერი დაუწერია ვაჟას შესახებ?

— არა, სრულებით არაფერი, — მოკლედ და კატეგორიულად მიპასუხა.

— თქვენ, ბ-ნო გრიგოლ?

— არც მე, — მითხრა გიგამ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო.

— არა, ახლა გამახსენდა: მე 1895-1896 წლებში ჟურნალ „მოამბეში“ და „ნოვოე ობოზრენიეში“ მოთავსებული მაქვს წერილები, სხვათაშორის აქ გაკვრით შევეხე ვაჟა-ფშაველას; ვამტკიცებდი, რომ მას და მის ძმებს სრულებით არ განუცდიათ რაფიელ ერისთავის გავლენა მეთქი. ვაჟამ, როგორც მის ტემპერამენტს შეეფერებოდა, თავის წერილში, რომელიც სიამოვნებით დავუბეჭდე „ივერიის“ ერთ ნომერში, კატეგორიულად უარყო ჩემი დებულება: ის ამბობდა: ბ-ნ გრ. ყიფშიძეს ზოგი შეცდომა მოსვლია და ამ შეცდომის გამოსწორება ახლავე საჭიროდ მიმაჩნია, რომ შემდეგში ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსს ავაცილოთ ეს შეცდომაო“.

— ხომ სხვა ვინმეს არ დაუწერია ვაჟას შესახებ წერილი: იონა მეუნარგიას ან ურბნელს?

— არა, — გადაჭრით მიპასუხა გიგამ, — მახსოვს მხოლოდ, მგონი, 1888 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა იაკობ მანსვეტაშვილის წერილი ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობებზე, კიდევ დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის წერილი სათაურით „საეროვნო და სათემო კილო“.

მე მაინტერესებდა მხოლოდ ის წერილები და მათი ავტორები, რომლებიც გამოეხმაურნენ ვაჟას გამოსვლას „ივერიაში“.

1905 წლამდე და შემდეგ წლებში გამოქვეყნებულ წერილებს მე ვიცნობდი. ეს წერილები ეკუთვნოდნენ ილია ნაკაშიძეს, ივანე გომართელს, კიტა აბაშიძეს და პროფ. ალ. ხახანაშვილს. ამიტომ სხვა შეკითხვებით გიგა არ შემიწუხებია; არც ის მიკითხავს, თუ თითონ ის ძირითადად რა შეხედულებისა იყო ვაჟას შემოქმედების შესახებ.

საერთოდ გადაწყვეტილი მქონდა (ეს გადაწყვეტილება ზუსტად შევასრულე ჩემი უკანასკნელი სამი მონოგრაფიის დაწერის დროს), მონოგრაფიის შედგენის წინ და შედგენის პროცესში არ წამეკითხა არც ერთი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა, იმ თემას და იმ მწერალს, რომლის შესახებ მე ვწერდი და ეს იმ მოსაზრებით, რათა თავიდან ამეცილებინა სხვა ავტორების აზრ-შეხედულების გავლენა და მეთქვა მწერლისა და მისი ნაწამოების შესახებ ჩემი, შეიძლება მაინც და მაინც არა დამაჯერებელი, მაგრამ მაინც საკუთარი სიტყვა.

მე ვცდილობდი მოურიდებლად გამომეთქვა ჩემი აზრი ისეთ დაწესებულებაშიაც, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და ისეთი დიდი ავტორიტეტიანი მეცნიერის შესახებ, როგორიც იყო მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი.

ალ. ხახანაშვილს „წ. კ. გ. საზოგადოების“ გამგეობისა და ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიების დირექტორ-მასწავლებლების თხოვნით, როგორც სახელმოხვეჭილ სპეციალისტს, უნდა შეედგინა ქართულ ენაზე ქართული სიტყვიერების ისტორიის სახელმძღვანელო.

ეს საპატიო დავალება პროფ. ხახანაშვილს შეუსრულებია და ნაშრომი გამოსაცემად წერაკითხვის საზოგადოებაში გამოუგზავნია. ყველას გაუხარდა ასეთი იშვიათი შრომის მიღება, რომლის ღირსებაში ეჭვი არავის შეჰქონდა და, რასაკვირველია, არც მე, საშუალო სკოლის მასწავლებელს. გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა საკითხი, თუ ვისთვის გადაეცათ ეს წიგნი სარეცენზიოდ. რატომღაც ჩემზე შეჩერდნენ: მე დამავალეს რეცენზია დამეწერა. ვგრძნობდი, რომ ეს მძიმე დავალება იყო ჩემთვის, მაგრამ უარი ვერ განვაცხადე. შევუდექი ალ. ხახანაშვილის მიერ შედგენილი ქართული სიტყვიერების ისტორიის გულდასმით შესწავლას და რამდენიმე ხნის შემდეგ წარვუდგინე რეცენზია-შეფასება გამგეობას. ჩემი მოხსენება ასე იწყებოდა (ასლი შემომრჩა არქივში): „ვინ არ იცის, რომ სახელმძღვანელოს ღირსებას, მის სიავკარგეს, შინაარსიანობას, მასალის მწყობრად და მკაცრი სისტემით დაწყობას, აზრისა და მსჯელობის მკაფიოდ, გასაგებად და მასთან ღრმად გამოთქმას, ენისა და სტილის სიწმინდეს, სიცხადეს დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიურ მეცნიერებაში და დიდ როლს თამაშობს ამა თუ იმ მეცნიერების, შეგნებულად, ადვილად, ძალდაუტანებლად შეთვისების პროცესში. პირველი შეხედვით, უბრალო საქმეა სახელმძღვანელოს შედგენა. მხოლოდ საჭიროა ავტორისათვის მუყაითობა, შრომა და მეცადინეობა. მას შეუძლია თამამად ისარგებლოს სხვისა შრომით სიტყვა-სიტყვითაც და არა ორი-სამი სტრიქონი ამოიღოს, არამედ მთელი გვერდებიც ამოწეროს უციტატოდაც. ასეთი ფართო უფლება სახელმძღვანელოს ავტორისა დაკანონებულია. მისი საქციელი მსჯავრს გარეშეა. მიუხედავად ასეთი გარეგნული სიადვილისა, სახელმძღვანელოს შედგენა დიდად ძნელი საქმეა. სახელმძღვანელოს შედგენა ერთგვარი ხელოვნებაა, უფრო კი ოსტატობაა... არც ერთ ნაწარმოებს ისე არ დაესმის დაღი ავტორის პიროვნებისა, მისი მსოფლმხედველობისა, გრძნობის, სიმპატიის, ლოგიკისა და სხვა მისი თვისებებისა, როგორც სახელმძღვანელოებს. და ეს იმ დროს, როდესაც მთელი მასალა სახელმძღვანელოში შესაძლოა, ნასესხები და ამოდებული იყოს. ავტორის ორიგინალობა, — უმთავრესად მასალის დაწყობა და დალაგებაშია, ამ მასალის გაშუქება და გამორკვევაშია.

წ. კ. გ. საზოგადოებაში ბატონ ა. ხახანაშვილის მიერ ხელნაწერად წარმოდგენილი: „ქართული სიტყვიერების ისტორია (მე-19 საუკ.). თუ კი გავსინჯეთ იმ თვალსაზრისით, რაც ზემორე გამოვსთქვეთ, უეჭველია, რომ ნამდვილს და ღირსეულს სახელმძღვანელობას ჩვენს სკოლებში ვერ გასწევს. ჩვენის აზრით, აქ მასალა დაუმუშავებელია და სისტემატურად არ არის დალაგებული; გარჩევა და დაფასება ეპოქებისა და მწერლების ნაწარმოებთა არ არის ღრმა, მწყობრი და გარკვეული, გადმოცემას აკლია ზომიერება; სახელმძღვანელოში არსად არ სჩანს ავტორის საკუთარი მსოფლმხედველობა, მისი საკუთარი კრიტერიუმი, პრინციპები; სხვადასხვა მწერლების და პოეტების ნაწარმოებთა ანალიზი გაკეთებულია წყაროების, არსებული მასალის მიხედვით და თვალსაზრისით. ამისათვის ბატონ ხახანაშვილის შრომა მოკლებულია შინაგან მთლიანობას და იდეურ ერთიანობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს შრომა ჯერჯერობით მაინც, ერთადერთი შრომაა ქართულ ენაზე, სადაც ყველა ჩვენი მწერალი რიგ-რიგად და მომეტებულ შემთხვევაში დაწვრილებით არიან გარჩეულნი“. სულ არარაობას კი როგორც ქართული ანდაზა ამბობს, „ცალ უღელი ხარი სჯობიან“-ო.

ჩემ მიერ ეს ზემოთ აღნიშნული ფაქტი და ოფიციალურ დოკუმენტიდან მოყვანილი სიტყვები შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს მოთხრობის ბუნებრივ მსვლელობის გაუმართლებელ დარღვევად და ზედმეტ ბალასტად. მე მგონია, რომ ეს ასე არ უნდა იყოს.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ მე ქართულ ლიტერატურაში ინტენსიური მუშაობის დაწყებიდან — 1909 წლიდან დღემდის, ე. ი. 1961 წლისთებერვლამდე, შეუწყვეტლივ ვცდილობდი, თუ რამეს დავწერდი ან შევქმნიდი, არ დამკარგოდა ჩემი ინდივიდუალობა, არ გადავქცეულიყავი სხვისი აზრების და შეხედულების მჭადაგებლად, კომპილატორად, ან პირდაპირ პლაგიატორად, ჩემს ნაწერში აღმებეჭდა საკუთარი შეხედულება, გამომეთქვა საკუთარი შეფასება. მოურიდებლად, პიროვნების მიუხედავად.

ახლაც ვაჟა-ფშაველას შეფასების დროს ვაპირებდი არჩეული გზით სიარულს. გადავწყვიტე თავი არ შემებოჭა საქართველოში უკვე სახელმოხვეჭილი მწერლების: პროფ. ალ. ხახანაშვილის, კრიტიკოსების — კიტა აბაშიძის,

ილია ნაკაშიძის და ივანე გომართელის აზრ-შეხედულებებით.

მე, როგორც „წ. კ. გ. ს“ გამგეობის წევრს, საშუალება მქონდა საზოგადოების მდიდარი ბიბლიოთეკიდან გამომეტანა მათი ნაშრომები, საწერ მაგიდაზე დამელაგებინა და საჭირო შემთხვევებში გადამეფურცლა ისინი. მაგრამ არჩეულ და მოწონებულ ჩვეულებას არ ვუღალატე.

შევუდექი 1913 წლის დეკემბრის „განათლების“ ნომრისათვის განკუთვნილი ჩემი ეტიუდის დამუშავებას, რომელსაც მე უკვე შემდეგი სათაური შევურჩიე: „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“. მე გადავწყვიტე ეს ეტიუდი ნაწილ-ნაწილად, გაგრძელებებად მეწერა. დეკემბრის ნომერში მოსათავსებლად მე დავამუშავე: „ბუნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ და ვაჟას „ლირიკა“ (დასაწყისი). ძლიერ გაუხარდა ლ. ბოცვაძეს და თანაც გაუკვირდა, როდესაც მას დეკემბრის 17-18 რიცხვში ჟურნალის დეკემბრის ნომრისათვის ახალი დიდი კრიტიკული შრომის დასაწყისი ჩავაბარე და შევეპირდი — 1914 წლის ნომრებისთვისაც საკმარისი მასალის ჩაბარებას.

საშობაო არდადეგები დადგა. მეტი თავისუფალი დრო მქონდა და დაწყებულ შრომას განვაგრძობდი. დადგა 1914 წელი. სასწავლებლებში სწავლა დაიწყო. მომივიდა 1913 წლის დეკემბრის ჟურ. „განათლების“ ნომერი. როგორც მოსალოდნელი იყო და იმედიც მქონდა, ჩემი მონოგრაფიის დასაწყისი სრულებით შეუცვლელად და, რასაკვირველია, შეუმოკლებლად იყო მოთავსებული. „გაგრძელება 1914 წლის პირველ ნომრიდან იქნება“-ო, შენიშნავდა რედაქცია.

მე ჯერ კიდევ არც სემინარიაში და არც ქალაქში ისეთი ნაცნობობა არ შემხვედრია, რომელსაც წაეკითხოს ჩემი მონოგრაფიის დასაწყისი და იმის შესახებ ჩემთან ჰქონოდეს რაიმე საუბარი.

ერთ დღეს ქალაქის ქუჩაში შემხვდა რუსეთში ახლად კურსდამთავრებული, უკვე ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერმუშაკად აღიარებული ვუკოლ ბერიძე. მას ქუთაისიდან ვიცნობდი. მისი სტუდენტობის დროს მე ვუკოლი არ შემხვედრია. რამდენიმე მისი ნაწერი წაკითხული მქონდა.

ვუკოლი მისთვის ჩვეული დარდიმანდობით და სიცილით მომესალმა, მომიკითხა და თანვე ჩემი უკანასკნელი წერილის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი და სხვათა შორის, მითხრა: „ბ-ნო იპოლიტე! მე წინათ დაწერილ წერილებშიაც შემინიშნავს, რომ თქვენ ოსტატობას იჩენთ ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებებიდან თქვენთვის საჭირო ადგილების ამოკრეფაში, დალაგებასა და სისტემატიზაციაში: უკანასკნელ თქვენს ნაშრომში, მის დასაწყისში თქვენ პირდაპირ შეუდარებელი ვირტუოზობა გამოიჩინეთ! ვაჟას სიტყვებით ბუნება დახატეთ.

— ნუ გამაწითლებთ, მეგობარო ვუკოლ! პოეტის ლექსებიდან და პოემებიდან ამოწერას რა ოსტატობა უნდა?

— უნდა! — სიცილით მითხრა ვუკოლმა, გამომემშვიდობა და თავის მკვირცხლი ნაბიჯით გზას გაუდგა.

ჩვეულებრივი, სწორედ რომ მორიგი ადამიანის ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა ჩემში და ამ გრძნობამ ჩემს მეგობარ ილო აგლაძესთან შემიყვანა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

კარგა ხანი გავიდა, რომ მე ილოს ოჯახში არ ვყოფილვარ. მოვიკითხე ნათლიდედა, ნათლული — მარო, პატარა ილოს ვაჟი. ამ დროს ილოსთან მოვიდა სამსონ ფირცხალავა, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ მუდმივი, ძირითადი თანამშრომელი და დროდადრო რედაქტორიც. მე ვიცოდი, თუ რა დიდ პატივსა სცემდა სამსონს ყველა თანამშრომელი თავისი იშვიათი ადამიანური და ამხანაგური თვისებებისა გამო. ვიცოდი ილოსა და სამსონის ურთიერთობაც.

— სამსონ! — სიცილით მიმართა ილომ სამსონს, — როგორ მოგწონს იპოს ღალატი: ჩვენ გვიღალატა და „განათლებაში“ დაისადგურა?!

— არა, ილიკო, — სერიოზულად უპასუხა სამსონმა ილოს, — ეს ღალატი კი არა, ბუნებრივი მოვლენაა! როდესაც თვიური ჟურნალი არსებობს, ბ-ნ იპოლიტეს ვრცელი მონოგრაფიების მსგავსი წერილები, მართლაც, ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს.

— მე ძალიან დამაფიქრა, ბ-ნო იპოლიტე, — მომმართა სამსონმა, — თქვენმა წერილმა — „რ. ერისთავის შემოქმედება“, სადაც, ჩემი შეხედულებითაც, სამართლიან რევიზიას უკეთებთ საერთოდ გავრცელებულ და მიღებულ აზრს, რომ რ. ერისთავი „ქართველი ხალხის სულის მესაიდუმლეაო“. ამ დებულების მომხრეებს დიდად გაუჭირდებათ თქვენთან კამათი.

— კამათს და დიდად სერიოზულს, სამსონ, იპოს უპირებს მისი საყვარელი ამხანაგი იაკობი: „გამლანძღა, გამთათხა მეგობარმაო, შენს გაზეთში უნდა ვუპასუხოო“.

— არ დაუჯეროთ, ბ-ნო იპოლიტე ილიას სიტყვებს: ის ხუმრობს. ნამდვილად კი იაკობი თქვენი დიდი მადლობელია, მართალი და მიუდგომელი შეფასებისათვის.

ჩემი უკანასკნელი წერილის შესახებ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში სიტყვა არავის ჩამოუგდია: ალბათ, არ ჰქონდათ წაკითხული.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. სემინარიაში ყოველდღე მხვდებოდნენ ნ. მახათაძე და ჩემი სკოლის ამხანაგი ეპიფანე ჯიოშვილი. ვიცოდი,

რომ ისინი ჟურ. „განათლებას“ არ იწერდნენ, მაშასადამე არც ან მოთავსებულ ჩემს წერილებს კითხულობდნენ. ამისათვის, ბუნებრივია, მე ჩემი წერილების შესახებ მათთან ლაპარაკს არ გავმართავდი. სულწასულობად ჩავთვალე გიგასთანაც სპეციალურად მისვლა. ერთმა შემთხვევამ დააჩქარა გიგასა და ჩემს შორის ჩამოვარდნილიყო საუბარი ჩემი უკანასკნელი წერილის დასაწყისის შესახებ.

კვირა დღე იყო. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრები ნელნელა ეიკრებებოდით მორიგი სხდომის ჩასატარებლად. მოვიდნენ ძმანი — გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები. გიგა არ იყო გამგეობის წევრი, მაგრამ მოსულიყო თავის საყვარელ სბავშვო მწერალ — შიო მღვიმელთან რაღაც საქმის გამო. შიო, როგორც ცნობილია, იყო საზოგადოების ბიბლიოთეკის გამგე.

გიგამ და საშამ ხელი ჩამომართვეს. საშა შევიდა იმ დიდ დარბაზში, სადაც სხდომები ტარდებოდა, გიგა კი — წიგნის მაღაზიაში შიოსთან. როცა გიგა შედიოდა წიგნის მაღაზიაში, უცბად უკან მოიხედა და იქვე ახლოს მდგომს მომაძახა:

— შემოდით, ბ-ნო იპოლიტე, რამდენიმე წუთით მაღაზიაში, ორიოდე სიტყვის თქმა მინდა თქვენთან.

შიო და გიგა მიესალმნენ ერთმანეთს. მე და შიო კი ერთმანეთთან უკვე ვიყავით შეხვედრილი.

შიომ და გიგამ დაიწყეს ერთმანეთთან საუბარი. მე იქვე სკამზე ჩამოვჯექი, მაგრამ საუბარს სრულებით ყურს არ ვუგდებდი. მაინტერესებდა და ვუცდიდი იმას, თუ რა უნდა ეთქვა ჩემთვის გიგას. შედარებით მალე დაამთავრა გიგამ შიოსთან ლაპარაკი, მობრუნდა ჩემსკენ, აიღო იქვე თავისუფლად მდგარი სკამი და გვერდზე მომიჯდა. შემდეგ შიოს მიმართა!

— შიო, შენთვისაც როგორც პოეტისათვის და თან ვაჟას მეგობრისათვის საინტერესოა ის, რისი თქმაც მე ბ-ნ იპოლიტესთვის მინდა. ხომ წაკითხული გაქვს მისი წერილი „განათლების“ უკანასკნელ ნომერში?

— კი, ბ-ნო, როგორ არა, — გამოეხმაურა შიო.

— გულახდილად უნდა ვთქვა, ძალიან მომეწონა არჩეული სათაური. „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“. რა კარგადაა ჩამოყალიბებული! ვაჟას ყველა ლექსი ხომ თითქოს სასიმღეროდაა დაწერილი და არა ხელოვნურად შეთხზული. ის ლექსებიც თითქოს სასიმღეროდაა შექმნილი, რომლებშიაც მხოლოდ სევდა, ნაღველი, მოთქმა და გოდებაა გამოთქმული. მისი ახლად გამოსული წიგნი „ცრემლებიც“ სიმღერებისაგან შესდგება! განა „ალუდა ქეთელაურში“ მოცემული ალუდას დედის წყევლაკრულვა გამძევებელი თემისა სიმღერა არ არის?! ანდა „ბახტრიონში“ სანათას ქვითინი გამწარებული ადამიანის სიმღერა არ არის?! — გატაცებით ამბობდა გიგა.

შიოც პატარა შენიშვნებით უდასტურებდა გიგას მის აზრ-შეხედულებას.

მე კი, ბუნებრივია, ვდუმდი. მხოლოდ ვუსმენდი გიგას.

— ამ სათაურში ხაზგასმულია ის მთავარი დებულება, რომ ვაჟას შემოქმედება ხალხურია, მთას ეყრდნობა და იქიდან იღებს საზრდოს, — განაგრძობდა შთაგონებით ძველი ლიტერატორი და ვაჟას ნიჭის უანგარო დამფასებელი.

— იპოლიტე, სხდომა დაიწყო, — მოგვაძახა ვიღაცამ.

მე ბოდიში მოვიხადე გიგასთან, სწრაფად ავდექი და სხდომის დარბაზისაკენ ჩქარი ნაბიჯით გავემართე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მკვლევარის წიგნი პლეხანოვის ესთეტიკაზე*

გ. ვ. პლეხანოვის ესთეტიკური მემკვიდრეობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მან გამოთქვა მრავალი შესანიშნავი მოსაზრება ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. იდეალისტური ესთეტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისტორიულ მატერიალიზმზე დაყრდნობით, პლეხანოვმა ჩამოაყალიბა მთელი რიგი ღრმამეცნიერული ღირებულების მქონე დებულებანი, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ვერც ერთი მკვლევარი. ამ მოაზროვნის მოღვაწეობის სწორი გაგება წარმოუდგენელია კრიტიკული მიდგომის, ე. ი. მისი მსოფლმხედველობის პოზიტიური და ნეგატური მხარეების შეცნობის გარეშე, რაც თავისთავად, გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ყოველი სერიოზული ცდა ამ მიმართულებით მისასალმებელია. ასეთ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მკვლევარის ბ. ბახტაძის წიგნი „გ. ვ. პლეხანოვის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი", რომელიც 4 თავისაგან შედგება.

პირველი თავი (გვ. 9-63) მიძღვნილია ეთეტიკის ზოგადი საკითხების განხილვისადმი. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ ხსნიდა გ. ვ. პლეხანოვი ხელოვნების წარმოშობის პრობლემას, ხელოვნების სპეციფიკას. ლ. ტოლსტოის ცალმხრივ თვალსაზრისს, რომ „ხელოვნება ისეთი მოქმედებაა, რომლითაც ერთი ადამიანი შეგნებულად გარკვეული, გარეგნული ნიშნებით სხვებს გადასცემს მის მიერ განცდილ გრძნობას", — პლეხანოვი უპირისპირებს ხელოვნების არსის საკუთარ განმარტებას: „ხელოვნება იწყება მაშინ, როცა ადამიანი კვლავ იწვევს თავისში გრძნობებსა და აზრებს, რომლებიც მას განუცდია გარემო სინამდვილის ზეგავლენით და აძლევს მათ გარკვეულ სახეობრივ გამოხატულებას. თავისთავად იგულისხმება, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი ამას აკეთებს იმ მიზნით, რომ სხვა ადამიანებს გადასცეს მის მიერ კვლავ გაგაზრებული და კვლავ განცდილი. ხელოვნება არის საზოგადოებრივი მოვლენა".

როგორც ბ. ბახტაძე აღნიშნავს, „ხელოვნების არსის პლეხანოვისებური განმარტება იყო წინგადადგმული ნაბიჯი ბელინსკისა და ჩერნიშევსკისთან შედარებით, მაგრამ ამასთანავე იგი არ არის სავსებით ზუსტი, რადგანაც ამ შემთხვევაში ხელოვნება ცხადდება არა ობიექტური სამყაროს სუბიექტურ სახედ", ე. ი. სინამდვილის უშუალო ასახვად, არამედ როგორც ასახულის (მხატვრულის შთაბეჭდილებების) მეორადი ასახვა მხატვრულ ნაწარმოებებში.

პლეხანოვის აზრით, ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, განვითარებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ეკონომიკის, საზოგადოების საწარმოო ძალთა და წარმოების ურთიერთობათა განვითარება, რომელიც მხოლოდ საბოლოო ანგარიშში განაპირობებს ყოველი იდეოლოგიის განვითარებას.

სარეცენზიო წიგნის ავტორი იხილავს ნაშრომებს, — „უმისამართო წერილები", ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება", „XVIII საუკუნის ფრანგული დრამატული ლიტერატურა და ფრანგული ფერწერა სოციოლოგიის თვალსაზრისით" —. რომლებშიც დასაბუთებულია მარქსისტული ესთეტიკის დებულება, რომ ხელოვნების განვითარებას ახასიათებს ობიექტური კანონზომიერებანი. პლეხანოვი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხედავს ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური იდეალების უკუფენას.

ნაშრომის ავტორი ვრცლად განიხილავს გ. ვ. პლეხანოვის მსჯელობას ფრანგული კლასიციზმის შესახებ. იგი არკვევს, თუ როგორ ესმოდა გამოჩენილ მარქსისტს მხატვრული ტალანტის როლი, ხელოვნების მხატვრულობის ობიექტური კრიტერიუმის, ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების, ნაწარმოების იდეურობისა და სხვა პრობლემები. პლეხანოვი გვასწავლის, რომ დაცემულობის ხანის ხელოვნებაში ვხვდებით ფორმის პრიმატს, ხოლო დიდი საზოგადოებრივი ბრძოლე-

---

* ბორის ბახტაძე, „გ. ვ. პლეხანოვის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი", „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1961.

ბისა და მწვავე კონფლიქტების ეპოქაში შინაარსი წინ უსწრებს ფორმას. საერთოდ, მისი აღიარებით, ჭეშმარიტად მხატვრულ ქმნილებაში ფორმა და შინაარსი სრულ შესატყვისობასა და ორგანულ მთლიანობაშია.

ბ. ბახტაძე მართებულად ლაპარაკობს პლეხანოვის უდიდეს დამსახურებაზე ესთეტიკის ურთულესი პრობლემების გაშუქების საქმეში, აღნიშნავს მის შეხედულებათა პოზიტურ მხარეებს და იქვე მიუთითებს იმ შეზღუდულობებზე, რომლებმაც თავი იჩინა გ. ვ. პლეხანოვის მსოფლმხედველობაში (განსაკუთრებით მენშევიზმის პერიოდში) პოზიტივისტებისა (ტენი, ბრიუნეტიერი) და კანტიანელობის არათანმიმდევრული კრიტიკის სახით. სწორედ აქ ღებულობს სათავეს მშვენიერების პლეხანოვისეული განსაზღვრა და ზოგად-თეორიული დებულება „წმინდა ხელოვნების“ ისტორიული გამოვლინების შესახებ, რის ილუსტრაციასაც იგი ხედავს ნიკოლოზ I რეაქციის ეპოქის ა. პუშკინის ნაწარმოებებსა, XIX საუკუნის ფრანგ რომანტიკოსთა და გუსტავ ფლობერის შემოქმედებაში. მართალია, იგი ებრძოდა ბურჟუაზიულ-იდეალისტური ესთეტიკის ობიექტივიზმს, მაგრამ ვერ ამაღლდა ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრიობისა და პარტიულობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებამდე.

წიგნის მეორე თავში (გვ. 64-152) გაშუქებულია პლეხანოვის დამოკიდებულება რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან. პლეხანოვი გამოდიოდა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ტრადიციათა დამცველად და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ვოლინსკის, ფილოსოფოვის, მინსკის, მერეჟკოვსკის, სკაბიჩევსკის, ბულგაკოვისა და სხვა რეაქციონერთა ყალბ თეორიებს. რევოლუციონერ დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს პლეხანოვი განიხილავს მჭიდრო ურთიერთკავშირში და ღრმა შეფასებას აძლევს მათ მოღვაწეობას. იგი აღნიშნავს, რომ ბელინსკიმ შესძლო ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატული მხარის დაძლევა და ფოიერბახის მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლა. ეკამათება ო ვოლინსკის, რომელიც უარყოფდა ბელინსკის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევის თვითმყოფადობას, იგი საგანგებოდ ჩერდება ჰეგელის ფილოსოფიასა და ესთეტიკასთან ბელინსკის დამოკიდებულებაზე და ობიექტური იდეალიზმის ამ უდიდესი წარმომადგენლის მოძღვრებისადმი შემოქმედებით მიდგომაში ხედავს ბელინსკის დიდ დამსახურებას.

ბ. ბახტაძე მიუთითებს იმ ნაკლზეც, რომელიც შეინიშნება პლეხანოვთან ესთეტიკის ზოგიერთი ბელინსკისეული დებულების გარჩევის დროს. „პლეხანოვის მსჯელობის სუსტ მხარეს — აცხადებს ის, — საერთოდ შეადგენდა თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან. ამიტომ იგი კმაყოფილდებოდა ბელინსკის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ლოგიკურ-ფილოსოფიური ანალიზით და ნაკლებად განიხილავდა მათ მჭიდრო კავშირში. XIX საუკუნის 40-იანი წლების რუსული სინამდვილის პრაქტიკულ-პოლიტიკურ საკითხებთან“ (გვ. 92).

პლეხანოვის რწმენით, ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ჩერნიშევსკის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან ესთეტიკა, როგორც მეცნიერება, არ შემოფარგლა მხოლოდ მშვენიერებით, არამედ მასში დაინახა „ხელოვნების თეორია. სისტემა უზოგადესი პრინციპებისა საზოგადოდ და პოეზიისა განსაკუთრებით“. მას მოსწონს ჩერნიშევსკის აზრი, რომ ხელოვნების სფერო ბევრად უფრო ფართო და მდიდარია მშვენიერების შინაარსზე და აგრეთვე მშვენიერების არსის განმარტება. ამასთან, იგი აკრიტიკებს ტრაგედიის ჩერნიშევსკისეულ განსაზღვრას.

პლეხანოვი გვიხსნის, თუ როგორ უყურებდნენ რევოლუციონერი დემოკრატები ხელოვნებას, მის საზოგადოებრივ ადგილსა და დანიშნულებას.

ნაშრომში ცალკეა დახასიათებული აგრეთვე პლეხანოვის თვალსაზრისი დობროლუბოვის შესახებ და ხაზგასმულია, რომ მიუხედავად მრავალი საყურადღებო მოსაზრებისა, პლეხანოვი ვერ იჩენდა საკმაო თანმიმდევრობას რევოლუციონერი დემოკრატების შეფასებაში.

ცნობილია, რომ პლეხანოვი იყო მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო მცოდნე. ამ დიდ ერუდიტს აქვს ბრწყინვალე ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები რუსული და დასავლეთ-ევროპული მწერლობის შესახებ. ეს კარგად არის დახასიათებული ნაშრომის მესამე თავში (გვ. 153-190).

საინტერესოა პლეხანოვის რეცენზიები ისეთ წიგნებზე, როგორიცაა ა. შახოვის „გოეთე და მისი დრო“, გ. მოგრას „უკანასკნელი დღენი ერთი საზოგადოებისა“, ჰ. ლანსონის „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“ და სხვა. იგი არ ეთანხმება ლანსონის აზრს და ბალზაკს თვლის XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის კორიფედ. პლეხანოვს საყურადღებო დაკვირვებანი აქვს ტეოფილ გოტიეს, შარლ ბოდლერის, ე. წ. „პარნასელების“ (ლეკონტ დე-ლილი, ტ. დე-ბანვილი, ვ. დე ლილ-ადანი), გუსტავ ფლობერის, გონკურების, კნუტ ჰამსუნის, ჰენრიკ იბსენისა და მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატთა შემოქმედების გარშემო.

პლეხანოვი არა ერთგზის გამოსულა დეკადენტური ხელოვნების აპოლოგეტთა წინააღმდეგ. ანტირეალისტური, ფორმალისტური ხელოვნების მასაზრდოებელ წყაროდ იგი აღიარებს კაპიტალისტურ წყობილებას. ბურჟუაზიული კულტურის საერთო კრიზისი აიძულებს ხელოვანს ზურგი შეაქციოს სინამდვილეს და ჩაეფლოს უკიდურეს ინდივიდუალიზმში.

პლეხანოვის მიერ დეკადენტობის კრიტიკა მოცემულია წიგნის მეოთხე თავში (გვ. 191-219).

პლეხანოვისათვის, როგორც უკვე ითქვა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, მთლიანობა ჭეშმარიტი ხელოვნების არსებობის აუცილებელი პირობაა. იგი განიხილავს ნატურალიზმს, სიმბოლიზმს, იმპრესიონიზმს, კუბიზმს და განმარტავს, რომ მისტიკა, ირაციონალიზმი ზღუდავს ხელოვნებას, აცლის მას საღ იდეურ შინაარსს. პლეხანოვი აკრიტიკებს იმათ, ვინც, იდეურობის მიჩქმალვის მიზნით, უფსკრულს თხრის ლიტერატურასა და ფერწერას შორის და ამ უკანასკნელს ცნობს რაღაც განყენებულ „საღებავთა სიმფონიად". იგი ეკამათება კუბიზმის თეორეტიკოსებს (გლეიზი, მეტცენჟე), რომელთა მიხედვით ადამიანის „მე" არის „ერთადერთი რეალობა", რომ მხატვარი ქმნის ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელ და მისგან სავსებით განსხვავებულ სამყაროს.

რაც შეეხება იმპრესიონისტებს, მათ მთავარ მიღწევად პლეხანოვს მიაჩნია ბრწყინვალე ფერწერითი ტექნიკა, ხოლო ნაკლად კი — შუქის, სინათლის გამოცხადება სურათის მთავარ გმირად.

პლეხანოვის მიერ დეკადენტობის კრიტიკა გვეხმარება მოდერნისტული ხელოვნების მრავალსახეობათა არსის გაგებაში.

ბ. ბახტაძის წიგნი დაწერილია პრობლემის ცოდნით, დიდი კეთილსინდისიერებით. ავტორს ახასიათებს წერის მაღალი კულტურა და გემოვნება. რაც მთავარია, საკითხებს იგი განიხილავს ლიტერატურათმცოდნეობისა და ესთეტიკის უახლოესი მიღწევების შუქზე. ამიტომ ცალკეული შენიშვნა რომელსაც შეიძლება იწვევდეს ზოგიერთი საკითხი, ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ნაშრომის ღირებულებას.

გივი ლომიძე

მურმან ლებანიძის ლექსები*

მ. ლებანიძის პოეტური ხმა პირველად ომის წლებში გაისმა. მის პირველივე ლექსებში იგრძნობოდა, რომ ჩვენს ლიტერატურულ ოჯახს სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, მგზნებარე ტემპერამენტის პოეტი ემატებოდა. მისი მაშინდელი ლექსები „მეომრის ქუდი", „მამიდა ჩემი", „ბალადა სოფლის ექიმზე" და სხვა, უმალ შეიყვარა მკითხველმა, როგორც ვაჟკაცური გრძნობის გამომხატველი ნაწარმოებები. შემდეგ წლებში მ. ლებანიძის პოეტური რეზონანსი კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. დღეს მ. ლებანიძის სახით ჩვენს წინაშეა ცხოვრებასა და შემოქმედებაში მომწიფებული პოეტი, რომლის ლექსები მდიდარი ფერებითაა სავსე და თავისებური ნიუანსებით ხასიათდება.

მ. ლებანიძისათვის დამახასიათებელია წრფელი უშუალობა, ღია და მართალი გულის თქმა, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი ნიშანია და მკითხველზეც დიდი ემოციური ძალით მოქმედებს.

კითხულობთ სამშობლოზე, ჩვენი ხალხების მეგობრობაზე, მშვიდობაზე, მშობლიურ პეიზაჟზე, სიყვარულზე, სახელოვან ადამიანებზე, შრომაზე, გმირულ ბრძოლებზე დაწერილ მის ლექსებს და გრძნობთ, რომ მწერლის შემოქმედებას მუდამ საფუძვლად უდევს ღრმა და პოეტური აზრი, — ხალხის სიცოცხლის უკვდავების იდეა:

ასჯერ — თავგაჩეხილი,
ასჯერ — გადაჯეგილი,
წაქცეული არ ხარ!
ასჯერ — სისხლში მოთხვრილი,
ასჯერ — ძირში მოთხრილი,
ისევ ფეხზე დგახარ!
. . . . . .
ჰოიდა, ტკბილო მამულო,
ჯეჯილების ხმაურო,
უკვდავების ხეო!
მშობლიურო ხალხო,
ლხინში მარად ლაღო,
გასაჭირში მხნეო!

(„საქართველო")

პოეტის ფიქრები თავს დასტრიალებს უბრალო ადამიანებს,

„ვინ მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო, თუ არა გლეხმა — ვინც საკუთრივ ჩაჰყარა ვაზი, თუ არა ხურომ — ვინც საკუთრივ გამოსწვა კირი, თუ არა კაცმა — ვინც საკუთრივ გასჭედა რკინა და ქალაქები გამოჰკვეთა იმ რკინით კლდეში", — ამბობს პოეტი და ჩვენ ამ სტრიქონებში ნათლად ვხედავთ იმ მტკიცე კავშირს, რომელიც მწერალსა და ხალხს შორის არსებობს. აქ ჩანს ხალხის თვითმყოფადი ცხოვრების, მისი გაუტეხელი ნებისყოფის ცოდნა-შეგრძნება.

პოეტი ამაყობს თავისი ხალხის გმირული წარსულით, სულიერი გაუტეხელობით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით, სიმამაცითა და გამბედაობით, მაგრამ წარსული მაინც არ არის მისი ლექსების მთავარი თემა. აწმყო და მომავალი, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება, მისი შინაგანი სულიერი სამყარო— ესაა ლებანიძის პოეზიის საგანი, მისი შთაგონებისა და აღტაცების სათავე:

* **მურმან ლებანიძე — „ლექსები, პოემები", საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1962.**

შემოვსე ჭიქა!
ჩვენს თაობას, ჯანმრთელს და
დღეგრძელს,
თავისუფლების
ხელთ უპყრია წმინდა სანათი,
მე ვადღეგრძელებ
დღეის-დღეს და ხვალინდელ ლექსებს
და რუს-ქართველთა მეგობრობას
აწ და მარადის!

როცა ვლაპარაკობთ პოეტის შემოქმედებით იდეებზე, მისი პოეზიის საზოგადოებრივ მოტივებზე, არ შეიძლება არ შევჩერდეთ ლექსებზე „ტაჯიბეი“ და „მეორე ლექსი ტაჯიბეის“, რომლებიც პოეტმა მიუძღვნა ფრონტელ მეგობარს — ტაჯიბეი ტაჯეტინოვს. ეს ლექსები დაწერილია დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ და გამოხატავენ პოეტის ფიქრებს მეგობრებზე, რომლებთანაც ერთად განიცადა საფრონტო ცხოვრების ტკივილებიც და სიხარულიც.

როგორი გულღიობით, როგორი შინაგანი სიმართლით და სულიერი თრთოლვით არის ნათქვამი ეს სტრიქონები:

მწყემსო, მწყემსად გაჩენილო,
ჯარისკაცად გაჭედილო, —
ტაჯიბეი ტაჯეტინოვ!
სადაც უნდა ვიყოთ ახლა
და მშვიდობას ვჭედდეთ,
სადაც უნდა ვაშენებდეთ
კომუნიზმის კედლებს, —
საქართველოს კორტოხებზე,
თუ კასპიის იქით, —
ჩვენ ვიგონებთ გზას და წვიმას,
მეგობარს და ჯიგიტს.
ჩვენ ვიგონებთ ძმისთვის ცეცხლში
გადავარდნილ ვაჟკაცს:
ვადღეგრძელებთ
კრემლს,
მშვიდობას
და უძლეველ ლაშქარს.

ამ ლექსებში („მეგობრობა“, „ტაჯიბეი“, „მეორე ლექსი ტაჯიბეის“), როგორც ნათელ სარკეში მკაფიოდ აირეკლა ძმობისა და სიყვარულის მზით გამთბარი გულები. ეს ნაწარმოებები ნაყოფია პოეტის დიდი სულიერი წვისა და საბჭოთა ადამიანების მდიდარი შინაგანი ცხოვრების გამოხატულებას წარმოადგენენ, რადგან აყვანილია დიდი განზოგადოების ხარისხში. მართალია, ხალხთა მეგობრობის თემა ძველთაძველი თემაა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენს დროში მას სრულიად ახალი ხასიათი და შინაარსი მიეცა. ამ სიახლის გრძნობითაა გამსჭვალული მურმან ლებანიძის პოეზიაც.

ლექსში „გამარჯვება“, მკითხველს ახარებს საოცნებო გაზაფხულის ძალუმი და ცხოველმყოფელი სუნთქვა. აქ არის ფერების ხალისიანი მარული, აღტაცებით მოკიკინე ადამიანის მგზნებარე ტემპერამენტი და ღრმა ლირიზმი, ასე უშუალოდ რომ ეხმაურება გამარჯვებული ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს. აქ არის კანონიერი სიამაყე უძლეველი სოციალისტური სამშობლოს მოქალაქისა, რომელმაც ოქტომბრის დიადი დროშა ქარიშხლიან გზებზე ატარა და მისი სიწმინდე ღირსეულად დაიცვა:

კვლავ სალამი — ზვარს და ვენახს!
კვლავ სალამი —აღმაფრენას!
კვლავ სალამი — ჯეჯილების
დაპურებას!
მე ვიგონებ ცრემლთა დენას,
გამარჯვების დღეთა ლხენას,
სამშობლოში მეომართა
დაბრუნებას.

მურმან ლებანიძის პოეზია ჭაბუკივით ფიცხია. ეს პოეტის ტემპერამენტიანი ხასიათიდან მომდინარეობს. მისი მოუსვენარი და მოძრავი ბუნება ნათლად ჩანს ლირიკულ ლექსებში, რომლებიც გამოირჩევიან მკაფიო გონებითა და მშობლიური ბუნების თავისებური ხილვით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „სანადიროდ დავდივარ“. კითხულობთ ამ ნაწარმოებს და დიდხანს რჩებით ხალისიანი ფერების ტყვეობაში. პოეტს აქ მონადირის თოფი გადაუგდია მხარზე და ტყე-ტყე დაეხეტება, სანადიროდ კი არა, სამშობლო ბუნების საოცრებათა სახილველად. სურათები, რომელთაც აქ პოეტი ხატავს, ხელშესახებად გვაგრძნობინებენ საქართველოს ბუნების სიდიადესა და სილამაზეს.

სურათების სიმშვენიერითა და პოეტური სახეების სიუხვით გამოირჩევა ლექსების ციკლი „კახეთი, შემოდგომა“. ეს არის საქართველოს შემოდგომის უაღრესად კოლორიტული სურათები:

დასალდათებულან თუთუნები,
ლეღვები ცვივა და იპობა..
ჩუ, წიფობელებიც გრუტუნებენ;
— მწიფობა!
— მწიფობა!

ამ ციკლის ლექსებში ბევრი მშვენიერი ადგილია, აი თუნდაც:

გადაყვითლდა კახეთს ზვრები,
ლიხთ-იმერეთს კორდები,
შემოდგომის აზნაურებს
ჰგვანან ჭრელი ფოთლები...

მაგრამ აქ მარტო პეიზაჟი როდია. აქ ჩანს სული ადამიანისა, რომელიც მოუხიბლავს და დაუტყვევებია სილამაზეს.

მურმან ლებანიძის ლექსებს, რომლებიც თავისი პლასტიკური სახეებითა და ფერების შეხამებით განუყოფელია ფერწერული ტილოებისაგან, მარადიული სიცოცხლისა და ბუნების განახლების იდეა განმსჭვალავს:

ბოლავს მწუხრი ალისფერი,
ყანა-ყანა რთველია,
უცებ, ასი ჩალისღერი,

ვითომც ასი სტვირია,
თავს წამოყოფს:
— კიდევ მოვალთ,
გაზაფხული ტკბილია!
და შემდეგ:
მე მაგ სტვირებს ვენაცვალე,
წამოვიწევ საყელოს,
თავზე ქუდი ჩაფხატურად,
სახელოში სახელო...
ვივლი ასე — გაზაფხულმა
გვახელოს და გვამღეროს.

ამავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ლექსი „გარინდებულა დედა ბუნება". აქედან გამომდინარე მურმან ლებანიძისათვის უცხოა გულგატეხილობა, უიმედობა. იგი გამოდის ერთ საწყისიდან. ესაა სიცოცხლის უკვდავების იდეა.

ლირიკული პოემა „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა" ხელშესახებად ამქღავნებს იმ უსაზღვრო მწუხარებას და ფაქიზ გრძნობას, რომელიც შვილს მამის დაკარგვით განუცდია. კითხულობთ ამ ნაწარმოებს და იმსჭვალებით სევდით, მაგრამ ეს სევდა გვამაღლებს:

ჩუმი სიმღერა უყვარდა მამას,
ერთხელ ხმამაღლა არ უმღერია,
ჩუმსა და უთქმელს,
მართალს და ამაყს,
მას მხოლოდ ჩემთვის გაუმხელია, —
რომ ამაოა ყველა ქონება,
რომ სიცრუეა დიდება ყველა,
რომ მხოლოდ ხალხის დიდი გონება,
ხალხის სიმართლე ბრწყინავს და ელავს.
და კიდევ თვისი მაღალი მცნება
უთქვამს ბერიკაცს მეორე სახით:
— ხუთივე თითი მიგაჩნდეს ძმებად
და არ დახედო არათითს მაღლით...

ეს უაღრესად მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი პოემაში ძალუმად ძგერს მამის ნათელი ხსოვნის პატივისმცემელი და მოსიყვარულე შვილის მღელვარე გული.

ლექსები: „ზაფხულის ფანტაზია" „მამულის მხატვრებს" „ხორუმი", „ქართველის დედა", „ჩვენ ვართ კოლუმბები" და სხვა, ნამდვილი ჰიმნია მეგობრობისა, გმირობისა, სამშობლოსა და ხელოვნების სიყვარულისა, კაცური კაცობისა, ურთიერთპატივისცემისა და დაფასებისა.

მურმან ლებანიძე დაჯილდოებულია უტყუარი მუსიკალური სმენით, რიტმის მახვილი გრძნობით. როცა მ. ლებანიძის რიტმის მრავალფეროვნებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი ლექსების მდიდარი პოეტური მეტრიკა. აი, ნიმუშიც:

ზეცა ფეხად იცლება,
კვლავ რუმბივით იბერება,
ფოცხები და ფიწლები
მიატოვეს მთიბელებმა.
(„სანადიროდ დავდივარ")

ახმეტას თითო ვაზზე ფუთს კრეფენ,
ატმებს დასწმენდიათ ბუსუსები,
ყურძენზე გადასულან ფუტკრები —
მინდვრის ყვავილთა მუსუსები.
(„ახმეტას თითო ვაზზე ფუთს კრეფენ")

ამ ორ მაგალითში მკაფიოდ იგრძნობა სხვადასხვა რიტმი, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი ურთიერთშეხამება. რაც შეეხება რითმას, მურმან ლებანიძისათვის იგი არასოდეს არ არის თვითმიზანი. ზოგჯერ იგი ურითმო ლექსსაც მიმართავს („ფიქრები", „თეთრი ლექსები ფიქრიას" და სხვ.).

მაგრამ მის შემოქმედებაში ვხვდებით ახალ კეთილხმოვან რითმებს, ასონანსებსა და დისონანსებს, მაგალითად: „გალობა-გალუმპა", „შემოგეპარა — შენ რომ გებარა" „მარტორქა-გაგვეთოკა!", „დიაცებო-ვიარსებო?!" „მთიბელებმა-იბელება" და ა. შ.

და სდუმს საყდრის გალავანი,
გალავანში ტალავარი,
მსხლებია და ფითრებია...
კვერცხისტოლა საყდარია
ფრესკა წვიმით წამხდარია,
ღვთიშობელი გამხდარია, —
მარტოდმარტო თითებია.
(„სანადიროდ დავდივარ").

ვერსიფიკაციული ნაჭედობისა და კეთილხმოვანი რითმების საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

მ. ლებანიძე ეკუთვნის იმ პოეტების რიგს, რომლებსაც თითოეული ჩვენთაგანის ნაფიქრნაგრძნობს, სურვილებსა და მისწრაფებებს მხატვრულ სახეებში განაზოგადებენ და რომლებსაც შესწევთ უნარი განგვაცდევინონ ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვან მოვლენათა სიდიადე.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲯᲘᲒᲣᲢᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ*

ბევრი კარგი საბავშვო წიგნი გამოსცა ამ ბოლო ხანებში „ნაკადულმა". მათ რიცხვს მიეკუთვნება ის ორი ნაწარმოებიც, რომელთა შესახებ ამ მოკლე წერილში გვექნება საუბარი. ეს წიგნები, თავისი შინაარსით ერთი მეორესაგან დამოუკიდებელნიც არიან და, იმავე დროს, ერთი მეორის გაგრძელებასაც წარმოადგენენ.

ავტორს თავისი ნაშრომი ბავშვებისა და

* ნ. კეცხოველი, „ორი მეგობარი", გამომცემლობა „ნაკადული", 1960 წ., „დედა ჩამოფრინდა", 1961 წ.

ბუნებისადმი მიუძღვნია. იგი ერთის სამყაროსაც კარგად იცნობს და მეორისაც. ამ წიგნებში, ჩინებული, ბავშვებისათვის ადვილმისაწვდომი, ხატოვანი ქართული ენითაა მოთხრობილი იმის შესახებ, რაც ორმა პატარა მეგობარმა ბუნებაში გასეირნებისას ნახა.

ცნობილია ასეთი წიგნების შემეცნებითი ღირებულება, მათი მნიშვნელობა ბავშვთა ცოდნის, დაკვირვების, წარმოსახვის, ფანტაზიის უნარის გაძლიერების, შემოქმედებითი ნიჭისა და პატრიოტიზმის, მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობის ამაღლებასა და გამობრძმედაში. ამასთან ერთად ისინი ხელს უწყობენ ნორჩების ესთეტიკური აღზრდის დიდ საქმესაც.

ავტორი ამ ორი წიგნისა, რომელთაგან ერთს ვწოდება „ორი მეგობარი", ხოლო მეორეს „დედა ჩამოფრინდა", ნიკო კეცხოველია.

ნიკო კეცხოველი ქართულ საბავშვო მწერლობაში „გუშინ მოსული" კაცი არ არის. იგი ჩვენი ქვეყნის ბავშვების ერთ-ერთი ძველი და საყვარელი მეგობარია, იგი ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ვეტერანია. ამასთან, ნ. კეცხოველი, საქართველოს ბუნების უსაზღვრო ტრფიალია, იგი მისი მეცნიერიცაა და პოეტიც. ამიტომ წერს ნინო ნაკაშიძე ასეთი სიყვარულით მასზე: „ნიკო კეცხოველი, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა, დარჩა ახალგაზრდობის მწერლად. მე მახსოვს მისი პირველი მოსვლა რედაქციაში. მახსოვს, როგორ მოვიდა მაღალი, წვრილი, სათავადაზნაურო გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი. მისი პირველი მოთხრობა „ლექსოს ნაამბობი" დაიბეჭდა მცირეწლოვანთათვის. როდესაც სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე წავიკითხეთ, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ამ ყმაწვილს ეტყობა — ბუნება უყვარსო. მან გაამართლა ეს აზრი. მაშინ, მე მგონია, ნიკო კეცხოველი მეექვსე თუ მეშვიდე კლასის მოწაფე იყო. მის შემდეგ ბევრი კარგი ნაწარმოები დაუწერა მან ახალგაზრდობას, და როგორც სკოლის ასაკამდე ბავშვებს, ისე, უფროსი ასაკის ბავშვებსაც".

ახლაც, მის ორ წიგნშიაც, პატარების თვალებით დანახულ, საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მრავალფეროვან და წარმტაც ბუნებაზე მოგვითხრობს ნიკო კეცხოველი. ამ ბუნების ფონზეა წარმოდგენილი ბავშვური სიფაქიზით და გატაცებით აღსავსე ნიკასა და მაიკოს წმინდა მეგობრობაც.

ბუნება ადამიანის დიდი მეგობარია, მაგრამ იგი უსასყიდლოდ არაფერს აძლევს მას. ეს „სასყიდელი" კი ბუნების დამორჩილებისა და გამოყენებისათვის გაწეული შრომაა ადამიანისა. შრომას მოითხოვს აგრეთვე ბუნების მოვლენათა და მათი კანონების აღმოჩენა და შესწავლაც.

რუსო ამბობდა, რომ ბუნება ერთი უდიდესი წიგნთაგანია ყველა წიგნს შორის, რომელსაც კი კაცობრიობა იცნობსო. ნიკო კეცხოველიც თავისი ნაწერებით „ბუნების წიგნის" წაკითხვას ასწავლის პატარებს და ამაშია მათი ღირსება.

აი მოთხრობა „ორი მეგობარი", რომლის პირველი ფურცლის მარცხენა მხარეზე აყვავებული ხის ტოტია, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე, გაღიმებული პატარა ძაიკო და ნიკა სხედან. ამ სურათებში თავისებური სიმბოლიკური აზრია ჩადებული. აყვავებული ხის ტოტი ბუნების გაზაფხულის ემბლემაა, ხოლო ეს ორი პაწია მეგობარიც ადამიანთა სიცოცხლის გაზაფხულის პირველი ყვავილებია და ჩანს ამ პოეტური ანალოგიისათვის მოუთავსებია ისინი მწერალს ერთი მეორის გვერდით.

ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ერთ სოფელში მაიკო და ნიკა, როგორ უყვარდათ მათ ერთიმეორე და ურთიერთის გასართობად ჰყვებოდნენ მომხიბვლელ ქართულ ზღაპრებს. როგორც ყოველი ბავშვი, კეთილი გულის პატრონები იყვნენ მაიკო და ნიკა და ამიტომ ებრალებოდათ მათ მოლაღური და სძულდათ წუწკი მელია, ჩიტი-ჩიორას რომ სტაცებდა ბარტყებს. დაუღლელად სერავდნენ მაიკო და ნიკა მთასა და ბარს, ათვალიერებდნენ ყვავილებით დამშვენებულ მდელოს, დაეძებდნენ ქამა-სოკოს და ტკბებოდნენ პრიალა ქვებზე მოლიკლიკე ნაკადულის სილამაზით. ბუნების მშვენიერებით აღტაცებულნი, სეირნობისას მიესალმებოდნენ ისინი კესანეს, მიუალერსებდნენ ფურუსელას და ფუტკარას, დაჰკრავდნენ ლაშქარას ყვავილის კაბას და ნაკადულის თხელ და მდორე აღგილას ჯარისკაცებივით ჩაამწკრივებდნენ მათ.

ერთხელ ძლიერ გაიტაცა ბუნების სურათებმა პატარა ნიკა და მოულოდნელად იგი ასწლოვანი ფიჭვებითა და ნაძვებით დაბურულ იმ ტყეში აღმოჩნდა, რომლის სურათითაც დამშვენებულია „ორი მეგობრის" ერთ-ერთი გვერდი.

ვეება ხეებს შორის მარტოდ დარჩენილი ნიკა შეკრთა, შეშინდა, რადგან გარემო „ცოტა ეუცხოვა", მაგრამ ერთი გახედვა-გამოხედვის შემდეგ მაინც „თამამად გასწია წინ" ამბობს მწერალი. და ნიკას ეს გამბედაობა რომ უფრო ნათელეყო ავტორს, იგი ისეთი ყოჩაღი გამომეტყველებით არის აღბეჭდილი წიგნში მოთავსებულ სურათზე, რომ პატარა მკითხველებს გული უმაგრდებათ და ის აზრი უჩნდებათ, რომ ტყე არც ისე საშიში ყოფილა, როგორც ეს ზოგჯერ გარედან გვეჩვენებაო. ამას კი, ბავშვებისათვის გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ხელს

უწყობს მათში, ნაწილობრივ მაინც, შიშის გრძნობის დაძლევას.

ბუნება ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს ადამიანებს .და ზოგჯერ მათ ზნეობრივ დაახლოვებასაც უწყობს ხელს. მწერალს ამ მიზნით შეუტანია თავის წიგნში ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა ნიკამ ჟოლოს ბუჩქი, როგორ დაჰკრიფა მასზე ნაყოფი, შეჭამა იგი, ეამა და თანაც სურვილი დაებადა — ეს სიამოვნება მის მეგობარს, მაიკოსაც განეცადა. ამიტომ მოაყვანა მან ბუჩქთან მაიკო, დააკრეფინა ჟოლო, და ამით ისიც გაახარა და თვითონაც გაიხარა. ამ სიხარულში დაგვანახა მწერალმა ძალა მეგობრობის იმ გრძნობისა, რომლის აღზრდას პატარებში ემსახურება მისი წიგნიც.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ ის შემეცნებითი მნიშვნელობა, რომელიც ნიკო კეცხოველის ხსენებულ ორ წიგნს აქვს ნორჩი მკითხველებისათვის. მათი ეს ღირსება განსაკუთრებით კარგად ჩანს „ორი მეგობრის“ ბოლო ნაწილში, სადაც ფერადებით დახატულია ყაყაჩო, ფხიჯა, ბარბაცა, ასკილი, ეორდასალამი, შხამა-სოკო, ქამა-სოკო და, რაც მთავარია, ჟოლო, ხემაყვალა, ხუნწი, ხურტკმელი, კუნელი, ცირცელი და ვინ იცის, კიდევ რა არის წარმოდგენილი თავისი სახელწოდებებით. ყველაფერი ეს ისე ემოციურადაა წიგნში შესრულებული, რომ ჩამოთვლილი მცენარეების სახეები, ერთხელ ნახვის შემთხვევაშიაც, მტკიცედ ჩარჩება ბავშვს მეხსიერებაში და საჭიროებისას იგი ადვილად შესძლებს ერთის გარჩევას მეორესაგან, თუნდაც მათ დიდი გარეგნული მსგავსებაც ჰქონდეთ.

ნიკო კეცხოველის მეორე წიგნი სათაურით — „დედა ჩამოფრინდა“, ერთგვარად საუკეთესო ნაწარმოებიცაა. ამბავი იწყება ნიკას დედის გამგზავრებით შორეულ ქვეყანაში და მაიკოს ხშირი სტუმრობით მარტოდ დარჩენილ ნიკასთან. ერთხელ პაპამ მაიკო და ნიკა ქალაქგარეთ წაიყვანა და დაავალა მათ, რომ ლოკოკინას ნიჟარების კოლექცია შეეგროვებინათ. ნიჟარების შესაგროვებლად წასული ნიკა და მაიკო გზადაგზა ეცნობოდნენ სხვადასხვა მცენარეს, მწერებსა და ფრინველებს, რომელთა ფერად ნახატებით შემკობილია წიგნის დიდი ნაწილი. ამ ნახატების საშუალებით ავტორი თავის მკითხველებს აცნობს ამა თუ იმ მწერის მდგომარეობას მისი განვითარების სხვადასხვა ფაზაში, თვალსაჩინოდ ასწავლის მათ გარეგნულად მსგავს მწერთა შორის არსებულ განსხვავებას (ჩოქელა და მინდვრის კალია და სხვ.), უხსნის ამ მწერების მავნებლობას ნათესებისა და ბოსტნეულისათვის, მოუთხრობს მათ იმ დახმარებაზე, რომელსაც ფრინველები ადამიანს უწევენ ამ მინდვრის მავნებელთა განადგურებაში (ტარბი) და სხვ. ზოგჯერ ავტორი მწერებისა და ფრინველთა „ბიოგრაფიასაც“ აცნობს ნორჩებს და ამით მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს ახალგაზრდობის გასამდიდრებლად ბუნების შესახები ცოდნით. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამგვარი ცოდნა საჭირო და სასარგებლოა არა მარტო პატარებისათვის, არამედ მოზრდილებისათვისაც, რადგან ისინი, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას ვერც იცნობენ სათანადოდ. ამ თვალსაზრისით, ნიკო კეცხოველის წიგნები ნამდვილად ამართლებენ საბავშვო წიგნის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას: ისინი ერთნაირად საინტერესონი არიან როგორც პატარებისათვის, ისე მოზრდილი მკითხველებისათვისაც.

ცნობილია, რომ ადამიანი მარტო ბუნების იმედით არ ცოცხლობს ქვეყანაზე. იგი თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ტექნიკის ძალასაც იყენებს. მწერალიც უხსნის პატარებს, თუ როგორ შველის ტექნიკა ადამიანს სივრცის გადალახვაში, ბუნების სიმდიდრეთა მოპოვებასა და გამოყენებაში, შრომის პიროობების გაუმჯობესებაში, ცხოვრების უკეთ მოწყობაში. ამის სიმბოლური გამოხატულებაა ის უზარმაზარი „ვერცხლის ფრინველი“, რომლითაც ნიკას დედა დაბრუნდა შორეული ქვეყნიდან. ამასთან ეს სურათი თავისებური მოწოდებაცაა ნორჩებისადმი, რომ მათ გაიმდიდრონ გონება ცოდნით, რომელიც ადამიანებს წინსვლის, პროგრესის საქმეში ეხმარება.

ნიკო კეცხოველის ეს ორი წიგნი, მართლაც კარგი, საჭირო და სასარგებლო ნაწარმოებებია, მაგრამ თითო-ოროლა მეთოდიკური თუ ენობრივი ლაფსუსი მასშიაც შეხვდება მკითხველს. ასე, მაგალითად, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ მორიელისა და ბაბაჭუას შესახებ ნაამბობში ავტორი შეხებოდა არა მარტო ბაბაჭუას თვისებებს, არამედ მორიელისაც და ორიოდე სიტყვა ეთქვა მის შხამიანობაზე, იმ ზიანზე, რომელსაც მორიელის კბენა იწვევს და სხვ. რაც შეხება ავტორის ენას, იგი, როგორც ვთქვით, მართლაც, გამართულია წიგნში, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ მაგალითად, ნაცელად გამოთქმისა „სახლიდან რომ წამოვიდნენ“, „სახლში რომ დაბრუნდნენ“, მას ეხმარა —„შინიდან რომ წამოვიდნენ“, „შინ რომ დაბრუნდნენ“ და სხვ.

ცხადია, ეს „ნაკლი“ იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს ნიკო კეცხოველის განხილულ ორ კარგ საბავშვო წიგნს, რომლის შექმნაში თავისი წვლილი ჩვენს ნიჭიერ მხატვარს მახარაძესაც შეუტანია.

ვლადიმერ ზამბახიძე

«დაუმთავრებელი ბალადა»*

ჯერ კიდევ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო გიორგი ნაფეტვარიძე, როცა მისმა უშუალო, ტემპერამენტიანმა, შინაგანი ენერგიით სავსე ლექსებმა მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. გიორგი იყო უბრალო მეგობარი, ჩინებული მოქალაქე და თავდავიწყებამდე გატაცებული პოეზიით.

პოეტის საქმიანობა ფუტკრის საქმიანობასაც ჰგავს: ისე, როგორც ფუტკარი ხალხისათვის თაფლს ამზადებს, ასევე პოეტიც „ყვავილებს წნავს უნაზეს ლექსად, თითო სიმღერად რომ ღირდეს თითო“, და ეს არის მისი სიმდიდრე, სიხარული და ბედნიერება. ჭაბუკი პოეტის გასაღებიც ეს არის, მისი ყოველი ლექსი ასეთი შთაგონების ნაყოფია.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ნაფეტვარიძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა სამამულო ომში, მისმა ხალასმა პოეტურმა ნიჭმა მაინც მოასწრო ისე გაბრწყინება, რომ მისი ლექსების წიგნი დიდხანს შერჩება ქართველი მკითხველის წიგნების თაროს.

გიორგი ნაფეტვარიძე ყოველთვის ორგანიულად გრძნობდა თემას. და გულწრფელად მღეროდა. მისი ლექსის ვაჟკაცური ინტონაცია გამთბარია ნაზი ლირიზმით. ნათელი მხატვრული სახეები, უბრალო და სადა ენა, ჟღერადი რითმები მის ლექსს მიმზიდველს ხდის.

გამომცემლობა, „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა გ. ნაფეტვარიძის ლექსებისა და მოთხრობების წიგნი „დაუმთავრებელი ბალადა“. ეს მისი მეორე წიგნია.

ბევრნი წასულან ჯარისკაცებად.
მაგრამ ცოტანი დაბრუნებულან.

ასე ამბობს პოეტი ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში, და ეს სტრიქონები წინასწარ დაწერილ, საკუთარი საფლავის ქვაზე ამოკვეთილ ეპიტაფიასავით ჟღერენ დღეს. განსაცდელში მყოფი სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს და ეს კარგად იცის პოეტმა და როცა ის ამბობს, ბევრნი წასულან, მაგრამ ცოტანი დაბრუნებულანო, ამით ის დაუბრუნებელი გმირების სახეებს აცოცხლებს ჩვენს წინაშე, ისე, როგორც ჩვენს ქალაქებში მათ სახსოვრად აღმართული ჩაუქრობელი კოცონი გვაგონებს ხოლმე მათ სახეებს.

პოეტი ფრონტულ დღიურში წერს: „გავიმარჯვებთ, უეჭველია. მსხვერპლი? ო! მსხვერპლი იქნება, რადგან დიდი საქმე არასდროს უმსხვერპლოდ არ კეთდება. მიწის თავისუფლება ითხოვს მსხვერპლს, ცრემლებს, სხეულებს“. ასე ფიქრობს ფრონტზე მყოფი პოეტი. სანგარში პირქვე დამხობილი სიმშვიდის ჟამს წერს ლექსებს, მოთხრობებს, ესკიზებს, დღიურებში ომის სურათების ტიპიურ დეტალებს ინიშნავს, და ხშირად თავის თავს ესაუბრება: „ბარბიუსიც, ჟიონოც და ყველა სხვა, გარდა ტოლსტოისა, ომში რომ არ ყოფილიყვნენ, ვერაფერი შვილი მწერლები იქნებოდნენ. ომმა დაბადა ისინი, მთავარია ნახო, განიცადო, გადარჩე. ძველი ტკივილი დავიწყდება, როცა ახალი იჩენს თავს“.

იბრძვის ჯარისკაცი სამშობლოს დასაცავად და უბის წიგნაკში ინიშნავს ნახულსა და განცდილს. „ჩემს ჯიბეში ყოველთვის შეიძლება პოვნა ხახვის, შაქრის, თუთუნის და შენიშვნების“ — წერდა იგი.

არ დასცალდა ნიჭიერ პოეტს ამ შენიშვნებითა და ესკიზებით სამშობლოს დაბრუნებოდა. არ დასცალდა, ხორცი შეესხა იმ ფართო ტილოებისათვის, რომელთათვისაც ინახავდა ამ შენიშვნებს.

გიორგი ნაფეტვარიძის ჯარისკაცული „დღიურები“ ქართული მემუარული ლიტერატურის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ლამაზი ფურცელია.

როცა გიორგი ნაფეტვარიძის „უსათაურო ლექსს ფრონტიდან“ ვკითხულობთ, არ შეიძლება ყოველი ჩვენთაგანის გულის სიმები არ შეთრთოლდეს. ღამით, ბრძოლის გუგუნის წამიერ მიყუჩების დროს, პოეტსა და ჯარისკაცს იპყრობს ოცნება სამშობლოზე და სატრფოზე. უწმინდესი გრძნობები აღეძვრება მას სამშობლოსა და სატრფოს მიმართ, ჩვენც, მის მკითხველებს ეს უწმინდესი გრძნობები გვატყვევებს და გვიპყრობს. ჩვენ გვჯერა ამ ლექსის ლირიკული გმირისა:

ჩვენ ველით, ჟამი დარეკავს მალე,
მრისხანე რისხვად ფეხზე დავდგებით.
და თოფის წამლით გარუჯულ თვალებს
მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.

და ამ სტრიქონების შემდეგ პოეტი მინორული ტონით სატრფოს შეჰღაღადებს:

გახსოვდეს, მინდვრად ფოთოლი მჭკნარი,
სეირნობის ჟამს როდესაც ნახო,
ფეხს ნუ დაადგამ, ო! ცოდვა არი,
ხელი არ ახლო, ხელი არ ახლო!

სატრფოსადმი მიმართულ ამ ღაღადებას ჩვენდაუნებურად ჩვენც ყურს ვუგდებთ, ვუსმენთ და გვჯერა, რომ მჭკნარ ფოთოლს სადმე ფეხი არ დავადგათ: ამ მჭკნარ ფოთოლში ჩვენ

---

* **გიორგი ნაფეტვარიძე, „დაუმთავრებელი ბალადა“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1961 წ.**

უნებლიედ ვანსახიერებთ ჩვენი ახლობელი და საყვარელი ადამიანების უდროოდ დამჭკნარ სიცოცხლეს.

და ეს არის პოეზია. ასეთია პოეზიის ძალა. პოეტი ახერხებს თავისი პირადი განცდები კონკრეტული საგნების მიმართ განავრცოს მრავალთა გულზე, და ჩვენ, მკითხველები, პოეტის პირად განცდას ვღებულობთ ჩვენს საკუთარ განცდად, გვძრავს და გვათრთოლებს; ვფიქრობთ ამგვარად ვგრძნობდი მეცო.

წიგნში წარმოდგენილი მოთხრობები, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ესკიზების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ეს ავტორის პირველი ცდებია, მაგრამ ამ მოთხრობებშიც გარკვევით სჩანს გიორგი ნაფეტვარიძის, როგორც ბელეტრისტის ნიჭი. როცა კითხულობთ მოთხრობებს: „ჩემი ძმა“, „სიყვარული“, „მზარეული“, უკვე გხიბლავთ ავტორის ძალდაუტანებელი და ბუნებრივი თხრობის სტილი, ხატვა იმ გარემოსი, რომლის შესახებაც წერს. მკითხველის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ფრონტელი მზარეულის სახე, რომელიც ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

გიორგი ნაფეტვარიძე, ჩვენთვის მაინც უფრო საინტერესოა, როგორც პოეტი. მისი ლექსები მეტად ხატოვანი და მკაფიოა. ხშირ შემთხვევაში მისი გამონათქვამი ყალმით ნახატსა ჰგავს, მშვენიერი ფერებით შესრულებულს. ნათელი პოეტური სახეებითა და დეტალებით ხატავს ის მშობლიური სოფლის პეიზაჟებს, ომის სურათებს. მას არ უყვარს ბუნდოვანი სახე ან აზრი. პოეტური სახე ან აზრი ყოველთვის მკვეთრი საკრეთელითაა ხოლმე გამოკვეთილი, ყველაფერი ზედმეტი ჩამოფრეკილი აქვს და ჩვენ გვრჩება ხოლმე ხელთ სწორედ ის სახე ან აზრი, რომელიც პოეტს ჩაუფიქრებია.

აი ერთი სურათი:

„ჭოროხები, ჭვარტლი, სხვენი და ფუტი,
ბაბუს ჩიბუხი, მბოლავი მარად,
გზა ღორღიანი, ვიწრო და მრუდი,
ჭიშკრებზე ნალი და თავის ქალა.

ჭა კი — ცალ ფეხზე შემდგარი ყანჩა,
ცისკენ მზირალი მარცხენა თვალით,
ეზოში რბილი კოინდრის ფარჩა
და ჯანიერი კაცი და ქალი.

აი, სურათი ნახატი სადად,
სოფლის ბუნება და იდილია;
აკლია რამე?
ჰო, მართლა, სადაც
წყდება ორღობე, იქ წისქვილია,
ჰო, მართლა კიდევ, აკლია ერთიც,
გამოყოლილი ცრემლივით დრო-ჟამს,
მაღალ გორაკზე გედივით თეთრი
და დანგრეული საყდარი მოჩანს“.

გიორგი ნაფეტვარიძე დიდი შინაგანი პოეტური ენერგიის პოეტი იყო. მისი ლექსების, მოთხრობებისა და დღიურების წიგნი ჩვენთვის საინტერესოა დღეს და მომავალშიც ყოველთვის საინტერესო იქნება. ამიტომ არის, რომ სიხარულით ვხედებით მის წიგნებს და დიდ გულისტკივილს გამოვთქვამთ იმ დაუწერელი ლექსების გამო, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი ნაფეტვარიძეს თან გაჰყვა სამარეში.

დიდი სიყვარულით არის დაწერილი დევი სტურუას მიერ წინასიტყვაობა გიორგი ნაფეტვარიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ლადო სულაბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

შალვა დადიანი—რჩეული თხზულებანი. ტ. V, რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 370, ფასი 1 მან. 20 კაპ.

ლეო ქიაჩელი — თხზულებანი. ტ. IV, რედ. მ. ბაკურაძე, გვ. 208, ფასი 53 კაპ.

გიორგი ქუჩიშვილი — თხზულებანი. ტ. I, რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 400, ფასი 91 კაპ.

სანდრო შანშიაშვილი — ტ. II, პიესები. რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 340, ფასი 1 მან. 20 კაპ.

სერგო კლდიაშვილი—მყუდრო სავანე და მოთხრობები. რედ. ნ. ჟღენტი, გვ. 454, ფასი 90 კაპ.

კოლაუ ნადირაძე — რჩეული. რედ. რ. ორჯონიკიძე, გვ. 358, ფასი 1 მან.

მურმან ლებანიძე — ლექსები. პოემები. რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 154, ფასი 47 კაპ.

ნიკოლოზ თავართქილაძე — იყო ასეთი დღეები. წიგნი II. რედ. ნ. ინასარიძე, გვ. 256, ფასი 50 კაპ.

ქართული ანდაზები რუსული და გერმანული შესატყვისებით—შემდგენელი ვახტანგ კუპრავა, რედ. გ. ციცქიშვილი, გვ. 138, ფასი 43 კაპ.

ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ — შემდგენელი ვანო შადური. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 518, ფასი 1 მან. 43 კაპ.

„ნაკადული“

გ. ლეონიძე — ნატვრის ხე. რედ. ხ. ბერულავა, გვ. 338, ფასი 50 კაპ.

აკაკი ბელიაშვილი — სამეფოს მედროშე. რედ. ნ. დარჩია, გვ. 232, ფასი 50 კაპ.

ლადო სულაბერიძე — თემურის კვიცი. რედ ჯ. ნიქაბაძე, გვ. 8, ფასი 7 კაპ.

ა. ბურთიკაშვილი — ლადო მესხიშვილი. რედ. ბ. აბულაძე, გვ. 120, ფასი 56 კაპ.

ციცინო მესტიაშვილი — ურჩი ბაჭია. რედ. მ. ამაშუკელი, გვ. 28, ფასი 18 კაპ.

ვ. რიდი — ლეოპარდი. თარგ. რ. თ ვ ა რ ა ძ ი ს ა, რედ. ე. მაღრაძე, გვ. 116, ფასი 16 კაპ.

ვ. ნემცოვი — სამი სურვილი. თარგ. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ი ს ა, რედ. შ. გაგოშიძე, გვ. 296, ფასი 65 კაპ.

კ. ჩუკოვსკი — რეპინი. თარგ. ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ა, რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 124, ფასი 70 კაპ.

შ. პერო — ჩექმებიანი კატა. თარგ. ნ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ი ს ა, რედ. ლ. გეგელია, გვ. 17, ფასი 30 კაპ.

6 /142

ფასი 80 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“